

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ  
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებათა  
სრული კრებული

ათ ტომად

თხზულებანი

ტომი

4

1916

თბილისი

1961

„საბჭოთა მწერალი“

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)

სოლომონ ყუბანიშვილი  
მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და  
სიტყვების განმარტება დაურთო რ. კ უ ს რ ა შ ვ ი ლ მ ა .

მოთხრობები

რომანები

## ს ე ვ დ ი ს ს ა გ უ ბ ა რ ი

1

– აქედან იწყება ჩემი ზვარი. შეხედე რა მშვენივრად ასხია; თითქო განზრახ შეუყურიათო მტევანი ვაზისათვის; ავი თვალით არ ინახება.

– ხომ დიდი მოსავალია წლეულ ყურძნისაც და ხილისაც, მაგრამ შენს ვენახს მართლა საკვირვლად ასხია; ფოთოლზედ უმრავლესი მტევანი აკუნწლია. ღმერთმა ქმნას მშვიდობით მოვისთვლათ მოსავალი; ეგებ წელში გასწორდეს სოფელი, სული მოითქვას.

– ის წნორები ჩემსა და ჩვენი ოთარის მამულის მზღვარზედ არიან ჩაყრილნი, არხის პირას. მისი მამულიც კარგ მოსავალსა ჰპირდება წელს თავის პატრონს.

– კარგი პირი უჩანს მოსავალს, მაგრამ აქ ვაზი არც ისე მოვლილია, ვერც ისე დატვირთული ნაყოფით, როგორც შენ ზვარში.

– იმიტომ, რომ ჩემს ვენახს აგერ რამდენი წელიწადია თავს ვადგევარ, ნირს არ ვუშლი, ოთარი კი სულ ორი წელიწადია, რაც დაბრუნდა თავის მამულში, ჯერ კარგად ვერ დაუმჩნევია თვისი ხელი მიწა-წყალისთვის. საიმედო კაცი დამდგარა: აზრიანი, გამრჯელი, მიწის მოტრფიალე.

– მართალს ამბობ! მეც თვალს ვადევნებ მაგის შრომას და მიკვირს, როგორ შერჩენია მიწის სიყვარული, მისი დამუშავების ეშხი თუ სურვილი; არ დაუკარგავს მოხელობაში სოფლური გარჯის უნარი. სხვა უმაგისო მთლად გადაეჩვევოდა სოფლურ ცხოვრებას, არ იტვირთებდა აქაურ შრომას, ვერც აიტანდა.

– ოთარსაც ჩემსავით ბაღლობიდანვე აქვს დანერგილი მამულის სიყვარული და მისი შემუშავების ნიჭი: ორივე ძმები, მამაჩემი და მაგისი მამა, ძველებური ხალხი იყო, ნიადაგზე დამყარებული, მიწის მოყვარული. რაკი სოფლად დაგვიგულებდნენ პატარებს, ჩაგვაბამდნენ შრომის უღელში; ჩვენც დამკლავებულნი ამოვუდგებოდით მათ გვერდით და ნელ-ნელა შევეჩვიენით მძიმე შრომას. რახან ოფლი დავაწურეთ მიწას და ჩვენი ხელი დავატყეთ, ძალიან შევეჩვიენით მას. ველაც გაგვიძლია უმისოდ. რამდენი ეცადა ოთარ, მანამ მოახერხებდა და თავისსავე მამულში გადმოვიდოდა მოხელედ, რომ მოეხედნა სამკვიდროსათვის და ეპატრონნა.

ჩრდილები აღმოსავლეთისკენ მიხრილიყვნენ, მზე საშუადღეოს გადასცილებოდა. მთის სიო თუმცა ჯერ არ იძროდა, მაინც გრილოდა ორლობეში, რადგან ღობეებთან ჩარაზმული ალვის ხეები და უზარმაზარი კაკლები, ღობის აქეთ რომ გადმოეტანათ მსხმოიარე ტოტები, მთელს გზას სჩრდილავენდნენ. ორლობეში სიგრილეს ინახავდნენ. სინოტიეს და სიგრილეს ინახავდა მდინარედან გადმოშვებული ტოტიც, რომელი ნაკადულებად ჩამოურბოდა ორლობეს აქეთ-იქით. მთელი გზა ქვით იყო მოფენილი, ეტყობოდა ავდარში რუები ურთდებოდნენ ერთმანეთს და გზას წყალსადენად გარდაჰქმნიდნენ. ტყისავე სუნი იდგა ორლობეში, მხოლოდ ჰაერი აქ უფრო გაჟღენთილი იყო მწიფე ყურძნის თუ ხილეულობის სუნნელებით. მფრინველებსაც აქ მეტი ჟრიაბული გაჰქონდათ: უხვ საზრდოს

მიეზიდნა ისინი ბაღებისაკენ, მხიარულობდნენ ტკბილეულობით დამძღარ-დამთვრალნი. ადგილ-ადგილ, სადაც ღობე უფრო დაბალი იყო, მწკრივად მოსჩანდა დატვირთული ვაზი. ვენახში იდგა მსხმოიარე ვაშლი თუ მსხალიც; მეზაღეს სარები შეედგა დაბლა დახრილ ტოტებისათვის, რომ ნაყოფთა სიმრავლეს და სიმძიმეს არ ჩაეხლიჩა მზრდელი რტოები. ვაზს და ხეხილს შიგადაშიგ ფოთოლი შეჰყვითლებოდა: მცენარეს თვისი სიცოცხლის ძალა მიეპყრო ნაყოფისათვის მის ასავსებ-დასასრულებლად; თვითონ უკვე მზა იყო განემარცვა სამოსელი მშვენებისა და მიქცეულიყო თუნდ არარაობად.

მიდიოდნენ, მილაპარაკობდნენ დაბა საუნჯარას მცხოვრებნი ბაადურ და ფარნა. ბაადურ წინ მიდიოდა, ფარნა გვერდზედ მისდევდა ცოტა ჩამორჩომით, თუმცა ცდილობდა გაეხალისებინა ცხენი, მთლად დასწორებოდა თანამგზავს. ფარნა მოხელის ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ბჰყვრიალა ფოლაქები ეკრა არწივიანი, ვიწრო შალვარი ასჩაჩოდა, წინდის ყელი უჩანდა წულებიდან; უშნოდ იჯდა ცხენზედ, ირყევოდა წინ წახრილი. ბაადურს ქართული კაბა ეცვა ყურთმაჯიანი, მუქათ დასევადებული ხანჯალი ერტყა ვერცხლის ქამარზედ, ბუხრის ქუდი ეხურა გვერდზედ ჩატეხილი. მკვიდრად იჯდა ცხენზედ და თავისუფლად. მისი ცხენი ბეჯითად ადგამდა ნაბიჯს, მუხლმაგრად. ქვიან ორლობეში მკაფიოდ მოისმოდა ცხენთა ფეხის ხმა.

- ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა! – მიესალმა ფეხშიშველა ბიჭი ბაადურს.
- გაგიმარჯოს! სად მიდიხარ, ბიჭო, ხახალით ხელში?
- ბაღში გეახლები: ცოტა რამ მწვანელი მოითხოვეს კიდეც.
- დიდი ხანია, რაც სადილად დასხდნენ?
- კარგა ხანი გახლავსთ. კიდეც გაახურეს სმეულობა. აგერ როგორი გუგუნნი ჩამოდის სიმღერისა.
- ბევრი ხალხია?
- ბევრი!

მართლა და, მრავალჟამიერის ხმა უკვე უწევდა მგზავრების ყურს. გაიარეს ცოტა და გათავდა ორღობე, გამოჩნდა ფართე მოედანი ამწვანებული. შუა მინდორზედ ამაყი რამ ჭანდარი იდგა გალალეებული. მიდამოს ზევით, ტყრუმულის იქით, მოსჩანდა ნახევრად ხეებით დაფარული სასახლე და მისი აივანი, რომლის სურაიებს თუ სვეტებს უხვად აჰხვეოდა ფათალო. სახლი ძველებური სჩანდა. მარჯვნივ კოშკი ედგა განცალკევებული. მხოლოდ წინგარდი ახლად გაეკეთებინათ, წითლად შეეღებნათ, თუნუქით გადაეხურნათ. ხალხი მოსჩანდა აივანზედ. მგზავრებმა მოიკრიფეს სადავე, ჰკრეს ცხენებს დეზი და მარჯვედ წაესწრაფნენ ღია ჭიმკარისაკენ.

- ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!
- კაი კაცი სუფრაზედა!
- სიდედრებს ჰყვარებიხარ, სიდედრებს!
- ჯარიმა მაგათ დაგვიანებისთვის!

– ბოდიშს ვიხდით დაყოვნებისათვის; არ შეიძლებოდა: ყრილობა იყო ხალხმრავალი და წესიერად არ დაგვესრულებინა საქმე, არ იქნებოდა.

– კეთილი! ფრიად სასიამოვნოა, რომ საზოგადოებასაც ერთგულად ემსახურებით, სამხიარულო მეჯლიშსაც არ აკლდებით.

– დაიგვიანეს? რა უშავს! დაგვიანებულ მუშაკთაც იმავე საწყაულით მივუწყოთ, რომლით მიეწყოთ ადრე მოსულთ, – განმარტა მოძღვარმა.

– მაშ დაუსხით ჯვარის სახით! – ბრძანა თამადამ.

მისულებს საინით გადააწოდეს ხუთ-ხუთი ჭიქა, რომელთ შორის ერთი შუაზედ იდგა, სხვები ოთხივ კუთხეში. ღვინო ლალისფრად ციმციმებდა გამჭვირვალე ბროლის სასმისში და ძლიერად იზიდავდა თვისკენ ნამგზავრ ხალხს მწყურვალს. ადღეგრძელეს. დაცალეს. შეფერიანდნენ. თვალები გაუნათდათ.

სავსე სუფრაზედ ყველას მოემხიარულნა, კაცს თუ ქალს, აყიყინებულიყვნენ საუბრის ემხზედ მოსულნი. სადილი დარბაზით ფართე აივანზე გაემალნათ, სტუმრები მოხერხებულად ჩაემწკრივებინათ: ქალს ყველგან ვაჟი ეჯდა გვერდით. რაინდები სცდილობდნენ გაერთოთ თანამოინახე მანდილოსნები, მეტად ესიამოვნებინათ. ნორჩი ქალები ახლად გადაფურჩქვილ ყვავილებით მოსჩანდნენ შიგადაშიგ, ტურფად ამშვენებდნენ ძვირფასად შემკულ სუფრას და ყოველივე კეთილით აღსავსეს. სტუმრებს თავს დასტრიალებდნენ მოახლეები, ბიჭები, რომ მსწრაფლ მიერთმიათ ყველასათვის საჭირო საწოვავე, ნირი არავისთვის შეემალნათ.

– გოგო, აქეთ მოდი, ლანგარი მოართვი ქალბატონს!..

– ინებეთ, შენი ჭირიმე! გადაიღეთ თეფშზედ.

– გმადლობთ, ყმაწვილო, ნუ ირჯებით!

– განა ჩიტუნა ბრძანდებით მაგალობელი, ეგრე მცირედით კმაყოფილდებით. მიბოძეთ ნება, ერთი ნაჭერიც მოგართვათ.

– კარგი, გაისარჯეთ: არ მინდა უარი გითხრათ.

– ახ, გმადლობთ! ნურასოდეს გამაგონოს ღმერთმა თქვენის ვარდისფერ ბაგიდან უარი...

– რა გემრიელად არის, კაცო, ეს ხობობი მომზადებული! ნამდვილად მოსაწონია.

– ჰაი, ჰაი, გემრიელია და მოსაწონი! მაგრამ რა ვქნა, რომ ახალუხი მიჭერს და ამოდენა ხალხში არ შემიძლიან ჩემებურად შევიხსნა ღილი.

– ქამარი მაინც მოიშვი იდუმალ...

– რა ფრთხილად მიირთმევ დღეს, ყმაწვილო, ღვინოს, ფხიზელთა რაზმში ხომ არ აპირობ ჩაწერას?

– ეჰ, უღვინოდაც მთვრალი ვარ! რაც თვალსა მტაცებს, მას არ ძალმიძს ვეწაფო, ბაგე არ შემიძლიან დავაკარო და სხვა ყველა, თვით ნექტარიც, არარად მიჩანს მის შედარებით.

– რა სასმელი გსურთ, ყმაწვილო, ან რამ მოგტაცათ თვალი? შორს ხომ არ არის აქედგან?

– ახლოა, ძლიერ ახლო, მაგრამ ჩემთვის მაინც მიუწოდომელი!

– მაინც?

– აი ეგ თქვენი ბამბის ქულა მაჯა სუნნელოვანი!..

– არა, ეგ ჯერი არ არის! თუ სმავ, სმა იყოს ნამდვილი და გულახდილი; თუ არა, თითი მოხარე. თაღლითობა რა საკადრისია?!

– რაო? თაღლითობა და ოინბაზობა?!

– არა, ოინბაზობა კი არა, მაგრამ ჭიქას რომ თავი წაუქციე, იმაზედ გეუბნები.

– მაინც როგორაო? თაღლითობა და ოინებო?!

– დაიცათ, კაცო! სმენა იყოს, სმენა! თამადა ვარ თუ არა? ჰოდა თუ თამადა ვარ, მაშ შენ, ჩემო შალვა, მაგ მოუხეშავი სიტყვისათვის ჯარიმად ორი სავსე ჭიქა და შენ, ბატონო ნოდარ, ეს თასი უნდა გამოსცალო უსუნთქებლივ იმ დანაკლისის შესავსებლად. მერე გადაჰკოცნეთ ერთმანეთი!

- გაამოსთ! აი ეგრე ძმურად და მადლიანად!..
- ვაჰ, რომ მეც არ შეგეკამათეთ! არ წაგეკიდეთ!
- რადაო, ყმაწვილო?
- მაშინ ჩვენც გვიბრძანებდა თამადა ჯარიმას, კოცნას.
- კმარა, ყმაწვილო, ნუ ინებებთ ზრდილობის უკუგდებას...
- რა უშავს, გეთაყვანე, მხოლოდ აღიღინდი, გამაგონე ეგ ტკბილი ხმა თუნდ ერთს წამს. დაიწყე, მეც ავაყოლებ ხმას. რას გაიგებენ ამ საერთო ჟრიაშულში.

გაფრინდი, შავო მერცხალო, დაჰყევ ალაზნის პირსაო.

– სმენა! თქვენ კი გენაცვალეთ მაგ ტკბილ ხმაში! აბა, მხარი დაუჭირეთ, ვისაც თავის გაქვსთ ცდისა.

– აი გაგიმარჯოსთ! ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ორი გვრიტი, ერთად რომ სხედან ლამაზები და სმენა დაგვიტკბეს მწყობრი ღულუნით...

- აბა, გენაცვათ, საერთო „მრავალჟამიერ“.
- კახური „მრავალ“, კახური!..
- თქვენი გამარჯვებისა იყოს!
- დაგიტკბოთ ღმერთმა ენა, როგორც დამიტკბეთ სმენა!
- თქვენ კი გენაცვალეთ მაგ შაქრის ყანყრატოში!
- არ ჩაადნოს ყანდის ყანყრატო წითელმა ღვინომ.
- ნუ გეფიქრება: მხოლოდ მოალბობს და მოჰქნის უკეთ...
- ბატონო თამადავ! წელან რომ გვრიტებზედა ბრძანე, იმ ლამაზმა სიტყვამ თქმის ეშხზედ დამაყენა; მეც მათქმევინე, ენა მოვიქავლო.

– ბრძანეთ! ბრძანეთ!

– ჰოდა გვრიტები მაშინ არიან ტურფანი და საამონი, როცა წყნარად სხედან გაფოთლილ ტოტზედ დატოლებულ-დაწყვილებულნი და ერთმანეთს შეჰფრფინვიან ღვთის შვილები. ცალად მჯდომი კი, თუნდ ვარდის ბუჩქზედ ცალად მყოფი, მაინც ბრალია: მარტოდა გრძნობს თავს და ობლად. ჩვენი ოთარი, ეს ჩვენი საყვარელი მასპინძელი, დღეს ეგეთი გვრიტია განმარტოებული...

– მოზრდილი მფრინველია ფრთაფართე.

– მაინც გვრიტია ჩვენთვის სასურველი და მებრალეა, რომ მარტო ზის ამ მშვენიერ ბუჩქნარში გულჩათხრობილი. ეხლა გარს ბევრნი ვახვევივართ; გაივლის წამი, დაიჟურება კოლოტი და გავფრინდებით...

– გავბანცალდებით!

– ჩვენ წავბარბაცდებით საამოდ მუხლმოკვეთილნი; ლამაზნი გაფრინდ-გამოფრინდებიან ფრთაფარფატნი და უფრო მეტს მოწყენილებას იგრძნობს აწ მხიარული ჩვენი მასპინძელი, რაკი დარჩება განმარტოებით. რადაო ან რისთვის?! ხომ შეუძლია დღესვე გვერდს ამოუჯდეს თავის ცალს და იგემოს ნაყოფი ხეხილისა მის ცხოვრების მომცემელისა?! მერე რა ადვილია მისთვის ჰპოვოს ბედნიერება! თვალის მოვლებად სჭირია, რომ მოხელოს თავის საბედო და გულის სწორი. მაშ კვლავ ადღეგრძელოს ჩვენი გულუხვი ოთარი, მსწრაფლ აპოვნინოს თვისი საბედო!

– ადღეგრძელოს!

– მსწრაფლ აპოვნინოს!

– გააბედვინოს საბედოსთან გულდაგულ მისვლა.

დალიეს. ბევრმა გადახედა ელისაბედ ქალს, მასპინძლის მახლობლად რომ იჯდა ყელმოღერებული და თვალებს აჟუჟუნებდა დახრილ წამწამთა ტევრის ქვეშ.

### 3

ეს ელისაბედ ელეფთერის ასული უკვე დამჯდარი ქალი იყო, ოცდახუთი-ექვსი წლისა. სამი წელიწადი იყო, რაც საუნჯარაში მასწავლებლობდა. გიმნაზიაში იყო ნასწავლი, თუმცა არ დაემთავრებინა სწავლა: ხელმოკლეობის გამო გამოეყვანათ სასწავლებლიდან. მას აქეთ ხან სად იყო ოსტატად, ხან სად. ეხლა კარგი ადგილი ეჭირა და კმაყოფილი იყო თავის სამსახურისა, რამდენადაც შეიძლება კმაყოფილი იყოს მოწიფული ქალი, საკუთარი ოჯახის მოტრფიალე, მაგრამ უნებლიეთ ჩაბმული სხვათა სამსახურში, თვიდან თვე ორიოდე მინალთუნის შემყურებელი. სოფელში პატივისცემა ჰქონდა ქალს დამსახურებული: შრომა არ ეზარებოდა, თანაც ძლიერ ფაქიზი იყო, სუფთა ქცევა-ყოფაში, ცხოვრებაში, ჩაცმა-დახურვაში. სისუფთავე შეეტანა სასწავლებელშიც, თავის ბინაშიც: უბრალოდ, მაგრამ შნოიანად მოერთვ-მოეკაზმა ოთახი, როგორც ღარიბი ვინმე საპატარძლო.

– კარგი დიასახლისი დადგებოდა ჩვენი საბედო, ოჯახის შემნახველ-წამმართველი, თუ ბედს ერგუნებინა მისთვის საკუთარი კერა და ქმარ-შვილი.

– ოღონდაც! მაგრამ უნდა იცოდე, სულით დაიტანჯება, თუ საფერი ქმარი არ შეჰხვდა. უსიტყვოდ იცის წყენა. დაეჩაგრება გული, თუ რამ უსიამოვნება შეემთხვა, ჩაეთხრობა. ჩაეთუთქება.

საბედო თვითონაც ნატრობდა საფერ ვაჟკაცს: გულში სიყვარულის წყარო უდიოდა უშრეტი და ისწაფვიდა გაეზიარებინა თვისი სულის საუნჯე მოსიყვარულე არსებისათვის; მისი ბუნება დედობრივი ალლოთი იყო სავსე და სწყუროდა ქმარ-შვილის საკეთილოდ მოეხმარა ეს განგებისაგან მინიჭებული განძი; მოქმედ დიასახლისს ეძინა მის უნარიან მკლავებში და ჰსურდა საკუთარ ოჯახის შექმნაში თუ აღორძინებაში დაეღალნა თვისი მარჯვენა. მისი მისწრაფება აუსრულებელ ოცნებადა რჩებოდა: ცხოვრების გზაზედ ჯერ არ შეჰხვედროდა სათავისო კაცი, თვისი მეუღლე ვაჟკაცი. ძალიან ენანებოდა თავი ქალს, ეძნელებოდა უკვალოდ გაევილო ამქვეყნად, ნასახი არ დაეტოვებინა თვის შემდეგ. გრძნობათა სიმრავლეცა სძალავდა ქალს, სხეულის ლტოლვათა დაუკმაყოფილებელი სიძლიერე. ჯანსაღი ადამიანი იყო, ბუნებისაგან მოდგმის სამრავლებლად დაბადებულ-მოწოდებული, თავისი დანიშნულების განხორციელება კი არ ძალედვა ცხოვრების პირობათაგან შეზღუდვილს, თითქო უარყოფილს და გარიყულს.

– აბა დიდი ოჯახიდან ვიყო, ფული მქონდეს და მზითევი, თუ არ ამომიჩნდნენ მთხოვნელები! ეხლა ზედაც არავინ მიყურებს. როგორ არა, მიყურებენ, მაგრამ ჟამიერი მისწრაფების თვალთ მიმზერენ და გულს მიმღვრევენ; ადვილად დასაჩაგრ-დასამდაბლებელი ვგონივართ განმარტოვებული, უქომაგო.

მაინც განმარტოვებული იყო ქალი, განცალკევებული. ხათრიანი ხასიათი რომ ჰქონდა, თანაც დარცხვენა იცოდა, უბრალო რაზედმე შეწითლება. მოკრთალებით ეჭირა თავი, მორიდებით. მხოლოდ როგორღაც მოხდა, დაუახლოვდა ოთარაანთ ოჯახს პირველსავე წელიწადს, სინამ რუსეთიდან გადმოიყვანდნენ თვით ოთარს. ვაჟკაცის თავის სახლში ჩამობინავების შემდეგ ქალმა იშვიათად იწყო იმ ოჯახში



სიარული, თუმცა ძნელი იყო მისთვის შეჰლეოდა სასიამოვნო ნაცნობებს. მაინც დღესასწაული ან რაიმე საოჯახო ზეიმი ისე არ ჩაივლიდა იქ, საბედო არ დასწრებოდა, როგორც საპატიო სტუმარი სასურველი. ოთარის ჩამოსვლის შემდეგ შესწყვიტა საბედომ ხშირი მისვლა-მოსვლა ამ ოჯახში, რადგან დასანიშნი ვაჟკაცი იყო იგი და ქალს ეშინოდა, არავინ რა გაიფიქროს ცუდი, არავის ეგონოს, განზრახ თავს ევლება მათ, რამე მიზნის მისაღწევად. ეს იგრძნეს იმ ნაცნობებმა და ქალის ფაქიზი ქცევით გულმომბაღნი უფრო მიეტკბნენ მას. თვალი ეჭირათ იმაზედ, მფარველობას უწევდნენ.

ოთარმა მიაქცია ყურადღება საბედოს: მის სახლში ხშირად ახსენებდნენ ქალს და ყოველთვის სიამოვნებით ან ქებით. მოსწონდათ იმისი თავდაჭერილობა, ზრდილობა, ზომიერი თავმოყვარეობა, რაც დარაჯად ედგა მის პიროვნებას, არავის ნებას არ აძლევდა დაემდაბლებინა თუ დაემცირებინა იგი. ქალს მაინც ყოველთვის ეშინოდა, ვინმე მოუხეშავად არ შეჰხებოდა მის სახელს და სცდილობდა თვითონაც არვის შეჰხებოდა წინდაუხედავად, თუნდ მცირედს ვისმე სხვას.

– კარგად უჭირავს ქალს თავი; შეჰშვენის კიდევ ეგეთი ქცევა. რატომო? მაინცდამაინც არავისზედ ნაკლები არ არის ჩამომავლობით, არც განათლებით, არც თვალად-ტანადობით. რა ვუყოთ, რომ ღარიბია! მამა მოჰკვდომია და დაღარიბებულან; ქალიც იძულებული შექმნილა თვისი შრომით იცხოვროს.

– რა უჭირს თვალად-ტანად! ლამაზიც კი იქნებოდა, თუ პირისყდა შესაფერადა ჰქონდეს მოყვანილი: ნიკაპი და ქვედა ყბა თითქო მოკლედ არის მოჭრილ-მოკვერცხილი და ის აუშნოვებს ცოტად. ქალი კი სწორედ კარგია. იცი? მე გავიგე, შინაც აწვდის დახმარებას თავის პაწია ჯამაგირიდან, რომ როგორმე შეუმსუბუქოს ყოფა თავის დედას, პატარა და-მმას.

ოთარის სახლში მეამიტად ლაპარაკობდნენ ქალზედ, გულუბრყვილოდ. ისინი სრულებით არა ფიქრობდნენ იმაზედ, რომ ვაჟკაცს შეეძლო მეტი ყურადღება მიექცია მისთვის და მუშტრის თვალით შეეხედნა. ვაჟი მათ თვალში უკვე დიდკაცი იყო და მისი მეუღლე მდიდარიც უნდა ყოფილიყო, გამოჩენილი ოჯახიდანაც, რომ ცოლის მხრივ მისადევარი შესაფერი ჰყოლოდა, საამო და სასარგებლო. სხვებიც ამ აზრისანი იყვნენ ოთარზედ, მისი მეგობრები და ნაცნობები.

– ცოტა შეჰგვიანებია ცოლის შერთვა, ალბათ იმისთვის, რომ იქ, უცხო ქვეყანაში, ვერ იპოვიდა თავის საფერ ქალს. არც მოიწადინებდა სხვა ხალხის შვილი შეეყვანა სახლში: ეცოდინებოდა, ამისთანა კავშირს კეთილი ბოლო არა აქვს, – ამბობდნენ ნაცნობები.

ოთარს მართლა შეჰგვიანებოდა ცოლის შერთვა; აგერ უკვე ოცდათორმეტი წლის კაცი იყო; ამის უმთავრესი მიზეზი მაინც ის არ იყო, რომ უცხო თესლის შემოყვანა არ უნდოდა თავის სახლში. მიზეზი სხვა იყო, უფრო ღრმად ჩამჯდარი მის არსებაში. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს და მოხელეობის პირველ წლებში უცხოეთში სცხოვრობდა კაცი, სულ სხვა ხალხთა შორის და ამ გარემოებას გაემნელებინა მისთვის საცოლოს პოვნა: ქართული ოჯახის შვილი იყო ოთარი, სადაც ჯერ ისევ დაცული იყო ქართველის სახე, სადაც ჯერ ისევ პატივსა სდებდნენ ქართველთა მისწრაფებას თუ ოცნებას, შეგნებულ-შეთვისებული ჰქონდათ თავიანთი ვინაობა; ამას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ახალგაზრდაზედ. ამნელებდა მის არჩევანს, ძალიან ბევრი სიკეთე უნდა ჰქონოდა ქალს, რომ ოთარს შეეწირნა თავისი შეხედულობა და სხვა თესლი შეეყვანა თავის ოჯახში. ეს მართალი იყო. მაგრამ თუ შეჰხვდებოდა მას უებრო რამ პიროვნება, მაშინ სხვა იქნებოდა: არც ისე მტკიცე იყო მისი შეხედულობა, უცვლელად დაეცვა იგი და შეურყევლად. ფული ძნელად

შეაცდენდა მას. ძალიან დიდი მზითევი თუ შეარყევდა მის ნებისყოფას და შესცვლიდა მის პიროვნებას. მცირე კი ვერა, რადგან ფულის ნატრული არ იყო შეძლებული დედ-მამის შვილი და ფრთხილი მხარჯველი. უმთავრესი მიზეზი დაყოვნებისა მაინც ის იყო, რომ ოთარი ბაღლობიდანვე ოცნებობდა სიყვარულზედ, ორმაგ ტრფობაზედ, სანატრელ ერთობაზედ სულთა; ცხოვრების გზაზედ კი ისეთი სიყვარული არ შეჰხვედროდა მას, რომ საამოდ დაემონავებინა მისი პიროვნება. უხანო ტრფობა თუ არშიყო ბევრი ნახა შორეულ ქვეყანაში: ქალნი მყინვარ ქვეყნისა გრძნობაგამხვალნი აღმოჩნდნენ, ალერსს არ აკლებდნენ შავ წვერ-ულვაშა ახალგაზრდას, რომლის წერწეტი ტანი ვეფხვისებურ ძალას აგრძნობინებდა მჭვრეტელს. გულჩვილთ ბევრჯერ ჩაუკოცნიათ მისთვის თითქო ნაღვლის ბურუსით მიბინდული თვალები, რომ მხურვალე ბაგეთა შეხებით გაეფანტათ მათში ნისლი, გაებრწყინებინათ, სათვისო სხივებით აეღვარებინათ ეშხით მწველები. ჭაბუკიც არ იყო გულქვავი, ალერსს ალერსითვე პასუხს უგებდა. სურვილით ეწებებოდნენ მისნი ბაგენი თეთრყირმიზ ღაწვებს, მაგრამ ჟამიერად, მხოლოდ წამიერად. გარდუვალის სიყვარულის ჯერ ვერ მქონი, წამიერ არშიყობით კმაყოფილდებოდა, წუთიერის ტრფობით. არც ეგონა, ამგვარ ალერსით შეურაცხჰყოფდა იმ სატრფოს სახეს, მარად საძებარი რომ შეჰქმნოდა მას და მიუწდომელი. მაინც რა უშავდა? ჯერ ხომ ბუღბუღს ტკბილად არ ეძღერნა იმ სანატრელ კოკობ ვარდზედ, ჯერ ხომ არც კი ეპოვნა იგი თვის სურვილთა ხელმწიფე და მარტოოდენ სურათს, მხოლოდ ოცნებაში დასახულ მის ხატებას როგორ ეწყინებოდა ჭაბუკის ესეთი ქცევა?! შეურაცხყოფად რად ჩასთვლიდა იგი თავისთვის?! ეს მსუბუქი ტრფიალი თუ არშიყობა იყო ერთ იმ მიზეზთაგანი, რომ მის საოცნებო სიყვარულის ძალა თანდათან სუსტდებოდა, თითქო იშრიტებოდა, ხოლო იმ ნანატრ სატრფოს სახე ცრიატდებოდა, ბურუსით იმოსებოდა, ნისლთა რიდეში ჩაინთქმებოდა. ისიც საცნაურ იყო, რომ ჩრდილოული სიმშვენიერე ვერ ეთანხმებოდა, ვერ ედარებოდა იმ საოცნებო სახეს, გონების თვალთ რომ განეჭვრიტა ოთარს და შესთვისებოდა, გულის ფიცარზედ რომ აღებეჭდა მას, რომელს მოელოდა იგი ყოველს ჟამს თვისის ცხოვრებისა.

მაინც იმედს არა ჰკარგავდა ოთარი, რომ შეჰხვედებოდა იმ საოცნებოს და სცდილობდა უმწიკვლოდ შეენახა თვისი ზნეობრივი პიროვნობა, რომ პირველ ხილვაზედვე მსხვერპლად მიერთმია იგი მისთვის ტრფობათა ღველფლზედ ყოვლად დასაწველად. გრძნობდა ვაჟკაცი, წინდაწინვე განიცდიდა იგი, რა ტკბილი იქნებოდა, როდესაც პირისპირ იხილავდა თვის სანატრელსა და მიუძღვნიდა მას თვის არსებას სიხარულით, თავისივე სრულის ნებით და სურვილით.

#### 4

ესეთ სულიერ განწყობილებაში იყო ოთარი, როცა სამსახური მისცეს საქართველოში, თავისსავე მამულში. მოულოდნელი იყო ეს შემთხვევა: ბევრია ჩვენი კაცი, რომელიც იქ, მყინვარ ქვეყანაში ჩაბმულა მოხელედ თუ სხვა რამ შრომაში და იქვე ჩაღუპულა სამუდამოდ, იქაურ თვალუწვდენელ ოკეანის უფსკრულში. ძლიერ გაეხარდა ოთარს შინ დაბრუნება. ეხლა რომ უყურებდა აქედან იმ თავის წარსულ ცხოვრებას, ისე ეგონა, თითქო რაიმე უზარმაზარ ვეშაპისაგან ჩანთქმას განერა, როგორც იონა ვინმე ახალი.

პატიოსანი კაცი დამდგარიყო ოთარ, მშრომელი: თავის თანამდებობასაც მადლიანად ასრულებდა, საოჯახო საქმესაც არა ჰღალატობდა. სახლ-კარი, სახნავ-სათესი, ბაღ-ბოსტანი, ტყე-ველი ძლიერ უყვარდა; სოფლურ ყველა საქმეს ბეჯითად

მისდევდა, თვალ-ყურს ადევნებდა. დაწყნარდა და გამტკიცდა ეხლა მისი სახლი; ოჯახის ყველა წევრს შეეძლო ახლა სიამით ეცხოვრნა თავის ჭერქვეშ. იმედიანად დაჰყრდნობოდა ვაჟკაცის მზრუნველობას, როგორც ბურჯს ძირმაგარს და საესავოს. თვითონ ოთარიც სრულ კმაყოფილებასა გრძნობდა პირველ ხანში; შემდეგ მალე აღმოაჩნდა პირადი ზრუნვა თუ დარდი: თავის საკუთარ სახლობას იყო მოკლებული და ის ანაღვლებდა ვაჟკაცს. ეს დარდი ახალი არ იყო მისთვის, მაგრამ ეხლა მეტის ძალით განცხოველებულიყო მასში. ბუნების კალთაზედ მყოფს, ყუჩი ცხოვრებით გარემოცულს, თავდაჭერით და მოკრთალებით მცხოვრებ ხალხში მომუშავეს უფრო ცხადად დააჩნდა ცალმხრივობა თავის ყოფისა, საპირადო გრძნობათა განუზიარლობა, სურვილთა და მისწრაფებათა დაუსრულებლობა, საამო ფიქრთ ვერ განსახება. აქ, ბუნების წიაღში, უფრო მკაფიოდ აღბეჭდილიყო უცვლელი იგი ჭეშმარიტება სინამდვილისაგან დასკვნილი და ცხოვრების მკერდზე აღმოკვეთილი: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო.

არასრულიად კეთილ იყო ოთარის ცხოვრება განმარტოვებული, არც თუ სათანადოდ დანაკვეთილი და მშვენიერი. შრომობდა მარად ჟამს, არ იცოდა ვის შეუკრებდა ნაყოფსა შრომისას, არა ჰქონდა მის ღვაწლს მიზანი გაშუქებული. ამისთვის აკლდა მის მხნეობას იერი სიამის მომგვრელი და სიხარულის აღმძვრელი. ყოველ მის ფიქრს თუ ზრახვას, გრძნობას თუ ლტოლვილებას მაინც აკლდა დამთავრებული სახე თუ გამოხატულობა ანუ მეტყველობა. უკლებლივ ვერ მოსულიყო არსებაში, ვერ განხორციელებულიყო კმასაყოფელ სისრულით. რადა? იმიტომ, რომ გვერდს არ ჰყვანდა არსება სულის სწორი, რომლისთვის განხმულ იქმნებოდა მის აზროვნებათა ბჭე, მის გრძნობათა კარი, მის სურვილთა და მისწრაფებათა მისავალი; არ უვიოდა მახლობელი, რომელი განიცდიდა მის სულის ყოველსავე მოძრაობას, აღბეჭდავდა მას თავის ნაზსა და ფაქიზ სულში, როგორც რამ მგრძნობიარ სარკეში, რომ ეხილვებინა ვაჟკაცისათვის მის გულისთქმათა სიკეთე სასურველი, სიმშვენიერე სანდომი, აზრიანობა საიმედო და უფრო ძლიერად წაესწრაფებინა ის სინამდვილეში მათ დასასკვნელად.

- ვაზი დავრგე მწყობრად, აგერ დარაზმულნი დგანან დალოცვილნი, მადლიანად დატვირთულნი, კალთასავსენი. დიდს მოსავალს მოგვცემს ვენახი, გაგვიმრავლდება კეთილდღეობა. მაგრამ, ეჰ, ვის შევუკრებ საბოლოოდ, ვის სასარგებლოდ, სამხიარულოდ? ვენახის ბოლოს მოცლილ ადგილზედ ალუბლები ჩავყარე, მთელი ჭალა ალუბლებისა, სულ ჯიშიანი ხეხილი. ისეთს მოსავალს მოგვცემს, გასასყიდადაც გაგვექონდეს ბლომად! მაგრამ ვის საამოდ ან განმად საბოლოოდ? ძლიერ კარგი ვქმენ, ნაფუძვრები შევიძინე და ისე იაფად! ოთხი თვის ჩემი ჯამაგირი გაუძღვება. ზედ ჩვენ მიწებს აკრავს ახლად შეძენილი. ვისთვის ვეცადე და შევზღუდე თავი? ან ვის გავანდე და მოვაწონე გეგმა ჩემის მოქმედებისა? პირად მე რაში მეჭირება ყოველივე ეს მარტოხელს?! ჩემი ულუფაც თავსაყრელადა მყოფნის. ვის უნდა დარჩეს ჩემ შემდეგ ეს ყოველივე?

- როგორ თუ ვის?! დედა გყავს, და-ძმა გარს გახვევია.

- დიაღ! დედას უხარიან, მაგრამ წუთია ეს სიხარული: მას პირი წარსულისკენა აქვს მიქცეული მიმავალს და რა მკვიდრ მხიარულებას შეიტანს მის გულში ზრუნვა მომავალზედ. და-ძმა თუ სხვა მისადევარი მომავლისაკენ მიისწრაფიან; მიდიან ისინი თვისი საკუთარი მსვლელობით, განკერძოებული მიმართულებით და მათი სავალი თანდათან აჰშორდება ჩემს ბილიკს, მთლადაც ასცდება. ამ მამულში დაენაცვლებიან ჩემს პიროვნებას მთლად უცხონი და გამრიელნი. მე რომ შრომაში ჩემს სახეს ვაქსოვ, ვანხორციელებ ჩემს აზრებს, გრძნობებს თუ ოცნებებს, ჩემთვის ძვირფას და საწუკვარ

გულისთქმას, ყველა ამის დამნახველად და შემგნებლად ვერ შეიქმნებიან სხვანი: მათში არ იქმნება განხორციელებულ-განმეორებული ჩემი ხატება, არსება ჩემი სულიერი და ხორციელი, არც თუ ნასახი ჩემის ცნობიერებისა. ჩემი სახე დავიწყებას უნდა მიეცეს და მთლად განქრეს მაგათ შთამომავლობაში. აღიგვება სახსენებელი ჩემი პირისაგან ქვეყნისა. რაც არა სცხოვრობს შთამომავლობაში, იგი ისპობა; რაც თვითონ არა სცხოვრობს შემდეგში სხვადასხვა ცვალებადი სახით, იგი იფხვრება. არ მინდა მთლად მოისპოს პიროვნება ჩემი, განქარდნენ უკვალოდ ჩემნი მისწრაფებანი, ჩემგან ნაგრძნობ-ნაფიქრი, ჩემნი ოცნებანი მათი მესაიდუმლოვე იქნებოდა საყვარელი მეუღლე; ბუნებრივ მემკვიდრეებად შეიქმნებოდნენ მხოლოდ ნაყოფი ჩვენის ტრფობისა, განმეორებანი ჩვენის შეერთებულის პიროვნებისა.

– ათასნაირი ფრთაჭრელი ფიქრები მებადება მოელვარე, მრავალი გრძნობა შუქდება ჩემს საწყალ გულში და ჰქრება უკვალოდ, უამრავი ლამაზი სურვილი აღმოჩნდება ჩემის არსების სიღრმიდან და ისევ ინთქმევა წყვილად უფსკრულში უკვალოდ, სიტყვაშიც ვერ ღირსქმნილი განხორციელებისა თუ განსახებისა. ვერ ძალმიძს განვუზიარო ვისმე ჩემი სულის მოძრაობანი: არა მყავს მეგობარი ერთსული და ერთხორცი ჩემდა, განუყრელი ტოლი, რომელს შეეძლოს სავსებით განიზიაროს ყოველივე გულისკვეთება ჩემი და მამცნოს მეც შინაარსი თვისის სულისა. ცალს ეძებს ბუნება ჩემი სულიერი და არსება ჩემი ხორციელი; ვერ ვპოვე ის ცხოვრების გზაზე და მწუხარე არის სული ჩემი ვიდრე სიკვდიდმე.

– იქნება კიდევ შემხვდა ცხოვრების სავალზედ იგი საოცნებო პიროვნება და ვერ ვიცანი ამაოებათა მიერ გატაცებულმა, თვალეზაბმულმა? იქნება ვერ შევსძელ გულს ჩაკვირვებოდი, გონებას მოვგებოდი, რომ განმეცადა იგი და მეცნო?

– შეიძლება! სად გეცალა, ბედნიერო, გულს დაჰკითხებოდი ან გონს ჩაკვირვებოდი?! სხვათა ბაღნარში ვარდთა ყნოსვა, ყვავილიდან ყვავილზე ფრენა-ფარფატი, ტკბობა უხანო და შემთხვევითი, სრბოლა ცხოვრების არეზედ უფიქრელი და უშედეგო. რა გიხაროდა სასურველი ისეთი ყოფა! ხომ შესაწყნარებელი იყო შენთვის და შეგფეროდა ისეთი ცხოვრება?

– არა! ვხედავ, განვიცდი მთელის ჩემის არსებით, რომ ნივთიერი და სულიერიც ჩემი პიროვნება მძლავრად მოითხოვენ მეგობარს რჩეულს, სამუდამოდ ჩემთან შეერთებულს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ-დამყარებულ წესთა მიხედვით, ადათთა მფარველობით. რამდენი ფიქრი, მოთმინება, ტანჯვა, მხნეობა, შორსგამჭვრეტელობა დასჭირდა ადამიანს, მანამ შესძლო და მოაწყო განსაზღვრული ფარგლები ოჯახურის ცხოვრებისა. ვისა აქვს უფლება დაშალოს იგი ან თუ დაქსაქსოს?! ჯერ არავის: ჯერ ვერვის მოუღია ახალი სახე არსებობისა უმჯობესი. უნდა დაცულ იქმნას საფუძველნი ოჯახის ყოფისა, უნდა შევინახოთ წესი კერის დებულობისა; გავამშვენიეროთ იგი, გავავითაროთ, განათლების ციაგით გავაშუქოთ, რომ ავაშოროთ ყოველივე ჩრდილი ბოროტისა, ყოველივე ნაკლი შეუსაბამო. უნდა გავაძლიეროთ სახლობაში სანდომი გრძნობები, ფაქიზი მისწრაფებანი, საღი ფიქრები და გავამეფოთ კერაზედ ის თავდადებული სიყვარული, საამო ერთობა სამარადისო, რომლისადმი ესეთის სიმტკიცით ისწრაფის ადამიანის გული, რომელი ესეთის უძლეველი ძალით სწყურის აწ სულსა ჩემსა.

– მაშ ეგრე ჰფიქრობ ეხლა შენ?

– დიად, ესე! იქნება რომელთამე ზეკაცთ უფლება ჰქონდეთ ნაანდერძევი კერის დარღვევისა: მათ ბევრი ნათელი მოაქვსთ ამ წყვილადი ქვეყნისათვის და მრავალიც მიეტევებათ; ოღონდ კი არ შესცდეს ადამიანი მათ ცნობაში, წყალწმიდა მარგალიტად არ მიიღოს თაღლითი კრიალა. იქნება ცხოვრების ფსკერზედ დაღექილთაც ვერ

ძალუმთ დაიცვან სიწმიდით კერა პატიოსანი: რადგან ადამიანურის ცხოვრების აწინდელი სამზღვრებიც მათთვის ჯერ ისევ მიუწდომელია: ისევ ცხოველური ბუნებით არიან მოსილნი, ჰზაძავენ პირუტყვთა და ემსგავსებიან მათ. ისინი ვერ განიცდიან გარდუვალ სიყვარულს: ვერ მისწვდებიან მას. მიეტევოსთ მათაც ბოროტი: არა იციან, რასა იქმენ!

– ეხლა მაშ მაგასა გრძნობ და ეგრე ისწრაფი? მცირედ ფრთები ხომ არ შეჭხუნებია შენს სანატრელს, საფუძველი ხომ არ დაჰზნარვია შენს ოცნებათა გოდოლს? არა?! მაშ კეთილი; აირე!

## 5

ისეთი თანამდებობა ებარა ოთარს, რომ იძულებული იყო ხშირად ევლო სოფლიდან სოფლად. სამსახურის გამო ქალაქშიც უხდებოდა სიარული: სოფელი მჭიდროდ იყო მმართველობის მხრივ ქალაქთან დაკავშირებული, როგორც რამ ცილა გულთან: ყოველივე ბრძანება თუ განკარგულება ქალაქში ისახებოდა, სოფლად მიდიოდა გადასაშლელად, ქალაქსვე ბრუნდებოდა დასასკვნელად. ეს მოვალეობა არ ეძნელებოდა სამსახურის ერთგულ კაცს, კიდევ ართობდა და ხელსაყრელადაც მიაჩნდა, რადგან თვის სახელთუფლო საქმეთა დევნა უხდებოდა იმ ბილიკებით, რომლებზედ შეიძლებოდა ეძებნა თვისი პირადი საქმეები, მიეხწია მიზნისათვის, რომლისადმი მისწრაფოდა: ცოლის შერთვა დაეპირებინა, ჰსურდა სახლობას მოჰკიდებოდა, ხოლო თავის სამსახურის გამო ყველა ოჯახის გაცნობას ახერხებდა იმ არემარეში, შეძლება ეძლეოდა ენახა ქალები მათვე ბინებზედ, შეეფასებინა მათი ღირსება. გაიცნო მრავალი ქალწული მაღალი თუ მდაბალი წრისა, მდიდარი თუ ღარიბი, განათლებული თუ გაუნათლებელი. მადლობა ღმერთს, ამგვარი სამკალი მრავალი მოიძებნება ყოველ კუთხეში.

დადიოდა ვაჟკაცი სოფლიდან სოფლად, ოჯახიდან ოჯახში და თან სდევდა მას თავისი ფიქრი მკაფიოდ ასახული, სხვა აზრთა შორის თვალსაჩინოდ წინ წამომდგარი, გაშუქებულ-განათებული. ეს საზრუნველი ათასნაირად ევლინებოდა მის გონებას, ამოძრავებდა მის გრძნობას თუ გულისთქმას, ჰპატრონობდა და წინამძღვრობდა მის სურვილებს; არც ერთს წუთს არ ჰშორდებოდა სიფხიზლის დროს, არც თუ ძილში. ამავე დროს ოთარი იყო გულმოდგინედ აღმასრულებელი სამსახურისა, კანონთ მოდარაჯე და ისე ბეჯითი, რომ ახერხებდა დამთავრებული ყოფილიყო ყოველივე წვლილი მისის ვალდებულობისა, ხოლო მოთხოვნილებანი სავსებით შესრულებულ-გავრცელებულნი. ეს ორი მისწრაფება, პირადი და სახელთუფლო, ავსებდა მის პიროვნებას და თითქმის დროს აღარ უტოვებდა სხვა კარგ საქმისათვის მიექცია ყურადღება, იმ საზოგადო საქმეებისათვის, რომელნიც ასჩენოდნენ ქართველებს ყველგან და ყოველ დარგში, როგორც ხალხს შევიწროებულს, ბუნებრივ სადინელიდან ცხოვრებისა გადავარდნილს, მსვლელობააბნეულს, უგზო-უკვლოდ მავალს. ამისთვის იყო, რომ ვაჟკაცის ცხოვრება ერთის შეხედვით შეზღუდვილ ფარგლებში მიმდინარეობდა, ერთგვარობით აღბეჭდილ-დაფერილი, გარეშე მაყურებელთათვის მოსაწყენ ერთფერობით.

– ჩვენი ოთარი ყველაფრით კარგი ადამიანია: ჰკვიანი, გამრჯელი, ხათრიან-თავაზიანი, მაგრამ ძალიან ერთსახე ცხოვრებას შესჩვევია ჩათხრობილს. სულ სამსახური ან თვის ქერქში შემწყვდეული ყოფა! გონების თვალი შიგნითა აქვს მიქცეული. არ იზიდავს მას არც საზოგადოება, არც სახალხო საქმეები.

– მართაღს ამბობ! ვსთქვამთ ეშხი არა გაქვს ლხინისა და დროს გატარებისა, არც თუ შნო; არ გახარებს მეზობელ-მეგობრებთან სიტყვის თქმა, ავზედ თუ კარგზედ საუბარი; ეს ქართული საზოგადო საქმეები ხომ სავალდებულოა ყველა ჩვენთვის, მეტადრე განათლებულთათვის, და აბა თუ სადმე დაგვეხმაროს ან რასმე ხელი მოჰკიდოს.

– შეუძლიან კი, მე და ჩემმა ღმერთმა! დიდი უნარიცა აქვს: რამდენჯერ დამიჭერია სამსახურის გამო მაგასთან საქმე და დავრწმუნდი, შეგნებული კაცია, დაფიქრებული, მუყაითი. თუ ერთხელ მოჰკიდა რასმე ხელი, აღარაფერს დაზოგავს მის შესასრულებლად.

სხვებისთვის იყო ოთარის ყოფა ერთფერი და მოსაწყენი, თორემ თვითონ მისთვის სავსე იყო შინაარსით. დრო მიჰქროდა მისთვის შეუმჩნეველად, როგორც რამ წუთი უხანო: სამსახური ართმევდა მას დროს, ხოლო მისი უმთავრესი ფიქრი თუ მისწრაფება ნთქავდა მთელს მის დანაშთენ წამებს და სულიერ ძალებს; იგი საკითხი პირადი მისი საკითხი იყო, კერძო, მაგრამ საფუძველი მთელი მისის ცხოვრებისა და არსებობისა. გადაწყვეტილი ჰქონდა მოჰკიდებოდა ოჯახობას. ძვირფასი სასძლოები მოფენილიყვნენ მის გარშემო, როგორც რამ ყვავილნი ფერად-ფერადი. ხედავდა ამას ვაჟკაცი. ისა სტანჯავდა მას, რომ ამ კეკლუცთა შორის ვერ აერჩივნა ვერც ერთი. მისი გონება განსჭვრეტდა და არკვევდა მათ პიროვნებას, ცივად უფარდებდა მათ ერთმანეთს, აღნიშნავდა მათ ნაკლს და ღირსებას და ეჭვით ავსებდა ვაჟკაცს, გრძნობის მომწამვლელ ეჭვიანობით. მისი გრძნობა ღვივოდა ტურფათა გარშემო, დაჰფრენდა მათ შორის, როგორც პეპელა უცნაური, წამიერ შესდგებოდა თითოეულ მათგანთან; ვერ კი ჩასწაფებოდა სიტკბოთი სავსე ფიალასა რომელიმე რჩეულ ყვავილისა, რომ დამტკბარ-დამთვრალიყო მუნ ჩამდგარ ნექტარით ნექტარებისა და ამოდ ჩასძინებოდა ჩაკონებულს. ნებისყოფა მისი წუთსა და წუთს ირყევოდა მშვენიერთა შორის, როგორც ლერწამი ზროჩაჟდლილი, ვერ წასწრაფებულებიყო ვერც ერთისადმი, რომ შეჰყროდა მას, რჩეულ თანამგზავრს თვისის ცხოვრებისა. გაჰბოდა ვაჟკაცი ბარდებს ეკლიანს, ვით მონადირე გზააზნეული.

– კარგია მარიკო, მადლიანი ქალწული. რადა ჰღირს მისი ყარყატი ყელი, ეშხით ნაქანდაკვე გულ-მკერდზედ რომ დამდგარა მწყაზარი! რა ძლიერ მოუხდება მარგალიტის ფარღული! მის გამჭირვალ თბილ კანზედ თვით მარგალიტიც გაცოცხლდებოდა, გადახალისდებოდა სიცოცხლის იერით: თვალი პატიოსანი ჯავარს იცვლის და ელფერს ადგილისა და ჰაერის მიხედვით. აფსუს, წელი ცოტა გრძელი აქვს და ვერ არის მისი ტანი უნაკლოდ ნაქანდაკვე! მზითევი კარგი აქვს. რად მინდა მე მისი მზითევი? ისე როგორ გამიწყრება ღმერთი, ქალი ვერ ვაცხოვრო შესაფერად.

– არაბულის ქალი შემკობილია ყველაფრით და მოსაწონი, მაგრამ ქცევა არ უვარგა: ტლანქი მიხვრა-მოხვრა აქვს, მოუხეშავი. ქალს სინაზე უნდა ამშვენებდეს, სინარნარე ქცევა-ყოფისა, როგორც ყვავილს კდემა სუნნელი და მიმზიდველი. არც ეს არის საჩემო; ის არ არის ეს, რომელსაც ვეძებ.

ვინ იცის, რომელ კუთხეშია ის ჩემი ბედისწერა, მე კი გარს ვუვლი სულ სხვა მხარეს და სხვაგაბ დავეძებ იმ ჩემს იღბალსა.

ამგვარად განსჯიდა ოთარი ყველა სასძლოდ მოწიფულ ქალწულს თვის გარშემო. ისინი კიდევ იზიდავდნენ მას თავისკენ და განზედაც აყენებდნენ თავისგან. ყველაში ჰპოვებდა მოსაწონ თვისებებს, სულიერ თუ ხორციელ ღირსებას; მაინც ყველას რამე წუნსა სდებდა მისი დაგესლილი გონება, ეჭვით მოშხამული. წინდაწინვე იცოდა ვაჟკაცი, გრძნობდა გულის სიღრმეში, რომ არც ერთ მათგანს არ გაიხდიდა თანამეცხედრედ. არც შესაძლო იყო ეს: ის მხოლოდ გონების თვალთ ევლებოდა

თავს გრძნობათათვის შექმნილ არსებებს; ამისთვის იყო, რომ ბუნდადა ხედავდა მათ სანდომ პიროვნობას, სავსებით ვერ განიცდიდა უძლეველ ძალას მათის ბუნებისას.

– კრულია საწყალი ჩემი გული, ისეთი იწრო და დახშული, რომ ძალა არ უძს განიცადოს, დაიტოს სიყვარული სამარადისო! ალბად არ აქვს ძალა ცხოველი, ჩამოაკვესოს ნაპერწკალი ტრფობისა, მგზნებელი მიჯნურობის ალისა. ჩემი უკაცური ბუნება კოკორშივე სთრთვილავს და ახმობს ყვავილს სიყვარულისას, აშთობს მას ჯერ ისევ გარდაუშლელს. იქნება განელდა მასში ცეცხლი ღვთაებური, დაიმსხვრა ძალა გრძნეული და განიფანტა ჟამიერ ტრფობათა გამო, რომელი განვიცადე დასაწყისშივე ჩემის ცხოვრებისა! ნუ იყოფინ ეგრე, ნუ!

და უღონოდ იღვედებოდა მისი ნებისყოფა. ვერ აეყოლებინა და აემოქმედებინა იგი ნებისყოფა ვერც მის გრძნობას თუ გულისთქმას, ვერც მის აზრს გამკვეთელს. ძალა არა ჰქონდა ვაჟკაცს, გამოსულიყო მებრძოლ მაძიებლად იმ საუნჯისა, რომელი დაესახა მის აღფრთოვანებულ ოცნებას, რომელი ესრე სწყუროდა მის გრძნობას აღგზნებულს. ეძიებდა იგი საძებარს, მაგრამ უკვე შემდრკალი, ღონეშერყეული, უსასოქმნილი, უძლური. ესეთი მდგომარეობა სტანჯავდა ოთარს. ტანჯვა მით უფრო ძნელი იყო, რომ მიზეზი ამ წამებისა თვითონ მის პიროვნებაში იყო აღმოცენებული, მის სულშივე მკვიდრად ჩამჯდარი და ფესვგადგმული, როგორც რამ ავადობა საზარი, ხელდაურევი.

## 6

ცალმხრივი საზომი ეპყრა ხელთ ოთარს, მრუდე; იშვიათად თუ ვინმე მოვიდოდა მის საზომში უკლებლივ. ადამიანს გარეგანი შეხედულობით აფასებდა, მის სულიერ ბუნებას ვერა ჰხედავდა; როგორ შეიგნებდა მის მთლიან პიროვნებას?! ეგონა ადამიანს გაიცნობდა ერთის თვალის დაკვრით, შემთხვევითი ხილვით; ის არ ახსოვდა, რა რთულია არსება კაცისა, საიდუმლოებით მოცული, ძნელ განსაცდელი. ის უახლოვდებოდა პიროვნებას მხოლოდ ცივი, დაუნდობელი აზრის ძალით და როგორ დასდებდა მსჯავრს მართალს მის სულიერ და ხორციელ ბუნებას განუყოფელს, რომელ საცნაურ იქმნება არა მხოლოდ განყენებულ ფიქრთა განჭვრეტით, არამედ თბილ გრძნობათა საიდუმლო გავლენითაც, მიმზიდველობითაც?! საჭირო იყო უფრო დაახლოვებოდა პიროვნებას, შესჩვევოდა მას, გადაეშალა მისთვის თვის გრძნობათა სალარო, ჩაეხედნა მის სულის საგანძურშიც, რომ ეპოვნა საზოგადო საგანი მისწრაფებისა; მაშინ საერთო განცდა შეაერთებდა მათ ერთისა და იმავე კავშირით; ეს დაანახვებდა მათ იმ კეთილ თუ ლამაზ მხარეებს, რომლებიც არიან ყველა ადამიანში, ხოლო ეს კარგი თვისებები თვისი შარავანდედით დაჰფარავდნენ ნაკლულევანებათა სიმრავლეს, რომელნი უხვად ჩასტანებიან ადამიანს, როგორც მიწის შვილს, თიხიდან ნაგებ ცხოველ მანქანას.

სიყვარული, როგორც ყველა სხვა ვნება, ნელ-ნელაც აღმოცენდება. ის მაშინ დაფუძნებულია საერთო განცდებზედ პიროვნებათა. ერთად შრომა თუ გართობა, ერთად დარდი თუ სიამე, ერთად გაცნობა გარემო არს-მსოფლიოსი თანდათან გაუხსნის მათ ერთმანეთის გულს, ჩაახედებს ერთმანეთის სულში და აპოვნინებს იქ გაბნეულ მარგალიტებს. ერთსა და იმავე საგანში განხორციელებული მისწრაფებანი, თუნდ პაწაწინა ყოველდღიური სურვილები, ახლოვებენ არსებებს, ათვისებენ მათ და აკავშირებენ. საერთო წარსული თუ აწმყო ჰქმნის მათ შორის სულის საერთო შინაარსს, ხოლო ეს გარემოება მათ შეძლებას აძლევს შემდეგშიაც კვლავ განიცადონ

გარდასული, ცხოვლად აღადგინონ და განაახლონ თვის გულში საერთო წარსული, მათ მაკავშირებელი. ასეთი სიყვარული აღმოცენებულია ჩვეულებათა ძალით ერთმანეთის შეთვისებაზედ, შექსვაზედ, მეგობრობაზედ. ეს თანაგრძნობა საიმედოა და ხანგრძლივი, რადგან სწარმოებს ოცნებათა გარეშე და არაფერს სასწაულებრივს არ მოითხოვს ტრფიალთაგან, არც თუ განკერძოებულ არსებად მიაჩნიათ მოტრფიალებს ერთმანეთი, ციურ რამ ქმნილებად საარაკოდ. ასეთი სიყვარული არა სდულს, არც თუ ქაფქაფებს; იგი ოდნავ ღვივის და ფუის მიფერფლილ-მიყუჩებული. ესეთი ურთიერთობა, სადა ცხოვრების პირზედ ამოჭრილ-ამოკვეთილი, ადვილად ეთვისება საყოველთაო არსებობას, მის ავსა თუ კარგს, ჭირსა თუ შვებას, ზრუნვას თუ სიხარულს.

ოთარსა ჰყავდა ამისთანა მეგობრები, პატარაობიდანვე შეჩვეულ-შეთვისებული თვისი კბილის ქალები, რომლებიც ოდესმე თვალ-ყურს ადევნებდნენ მის დღითი დღე განვითარებას და აღორძინებას. ისინი მოუთმენლად მოელოდნენ ხოლმე მის ქალაქიდან დაბრუნებას, რომ ენახათ, რა წარმატებით სწავლობდა, რა გამარჯვების მპოვნელი შექმნილიყო ან როგორ გამოცვლილიყო. დაუვიწყარი იყო მისთვის ამგვარ მეგობრებთან გატარებული დრო. ახსოვდა, როგორ ამხნევებდა მას შრომის დროს მათი სანდომი სახე, მათი მოსიყვარულე თვალები, რომლებში ამოიკითხავდა წრფელ თანაგრძნობას, გულუბრყვილო სიხარულს. თვითონაც თანაუგრძნობდა მათ, თვითონაც სიხარულით ადევნებდა თვალს მათ აღივებას, აკოკრებას, შვესებას, გასაფურჩქვნად შემზადებას. მოსწყვიტა იგი მეგობრებს სწავლის გზაზე თანისთან დენამ, მოაშორა თვალთაგან, სულაც გადაავიწყა შორს ქვეყანაში გატყორცნილს, უცხოეთში მცხოვრებს სხვა გარემოებებში, სხვა ხალხის შვილთ შორის. შეიძლებოდა მთლადაც შესდუღებოდა ის იმ უცხო ხალხს, განუყრელად შეერთებოდა მას, ჩანთქმულიყო მასში საუკუნოდ და უკვალოდ. რაღაცა განგებამ დაიფარა ის ამგვარ დანთქმისაგან თვისის პიროვნებისა და დაუბრუნა სამშობლო მხარეს. იმედით და სიხარულით მიმოავლო ოთარმა თვალი წინანდელ სასურველ ნაცნობთ, მაგრამ ამაოდ: მათ დავიწყებოდათ თავიანთი ადრინდელი მეგობარი თვალიდან რომ მოშორებოდათ. გულიც აეყარნათ მასზე და საკუთარ გზას გაჰყოლოდნენ ცხოვრების ზვირთებით გატაცებულნი; ყველას ეპოვნა თავისი სავალი და თანამგზავრი. იგრძნო ობლობა სულისა უტოლოდ დარჩენილმა, მარტოობა გულისა. დაღონდა. დაჯავრიანდა.

არის მეორე გვარის სიყვარული, უეცარი, მთლად მოულოდნელი, როგორც რამ ცის გახსნა საბედნიერო. გამობრწყინდება იგი გრძნობა, ვით ელვა მოშავზნელებულ ცის კაბადონზედ. ჰნახავ მშვენებას და მის თვალთა ნათელი მყის განგეწონება გულს ისარივით, განგმერს მას უკურნებლად და ჩააწვეთებს ნამს დაუშრეტელის ნეტარებისა.

– აი ის, ვისაც ვეძიებ! ოცნება ჩემი ცხადქმნილი, ხორცშესხმული, მწყალობელ ბედისგან ჩემ სალხენად მოვლინებული! ან შენ, სულის სწორო, ან არავინ! გესმის? ან არავინ არასოდეს, არცა სად!

და გარს შემოეხვევა განსახებულს ნატვრას სხივოსანს ფრთაჭრელი ოცნება მოტრფიალესი, შეჰმოსავს მას სიკეთით პირადპირადით, სიმშვენიერით გამოუთქმელით, სინაზით ეთეროვანით, სახიერებით სავსებით სრულით. და გაუშლის მას ფიანდაზად თავის გულს ეშხით დაბუგულს, თვის ნებისყოფას მთლად დამონებულს, ფრთაშესხმულ ფიქრთა მისკენ მილტოლვილთ. მსხვერპლად შესწირავს თვისსა არსებას მისთვის აღგზნებულს და მისთვის სულდგმულს.



– განა შემძლიან ყოფნა უშენოდ, ჩემო სულისდგმავ?! რადღა მინდა სიცოცხლე და ცხოვრება შენგან დაშორებულს?! აწ ყოველსავე მხოლოდ შენითა აქვს ფასი და სიამე, ყოველივე ამაოა ჩემთვის გარეშე შენსა. ღირს-მყავ მიახლებად შენდა, სასოო ჩემო და შესავედრებელო!

ოთარს არავინ შეჰხვედროდა გულის წარმტაცი, რომ საამოდ ტყვექმნილ ყოფილიყო მისგან მოხიბლული. ახლო კი იცნობდა ოთარი იმ არსებას სანატრელს, ნანახი ჰყვანდა იგი თვის ოცნებაში; ისე ნათლად ჰყვანდა დასახული აზრთა სამფლობელოში, როგორც ხატება მისთვის ნამდვილ არსებული და ხორცშესხმული. თუ ცხოვრებაში შეჰხვედებოდა მას, წამსვე იცნობდა მშვენივით სრულს და თაყვანს სცემდა. სად იყო იგი ქმნილება ან რომელ მხარეს? არ იცოდა ოთარმა ადგილი მისი, იღუმალი იყო მისთვის სავანე მისი და მიუწდომელი. თუ სცოდნოდა ტურფის სამყოფი, რკინის ქლამნებს ჩაიცვამდა, რკინის არგანს აიღებდა ხელში და ივლიდა თუნდ ცის კიდემდინ, რომ მიახლებოდა მას სათაყვანებლად. იქაც რომ შეჰხვედროდა მას იგი სანატრი, მყინვარ ქვეყანაში, წუთსავე ეზიარებოდა მის არსებას, თუნდა საჭირო გამხდარიყო ამისთვის იქვე ჩამრჩალიყო და ჩანთქმულიყო. არ შეჰხვდა მას იგი თვისი ოცნება არსად, არც იქ, არც აქ, თავის სამშობლოში. დრტვინავდა ჭარბად ჰასაკს მოსული ვაჟკაცი, სასოწარკვეთილებისკენ იხრებოდა შემძიმებული.

– რად დამისახე, განგებავ მკაცრო, იგი ხატება საოცნებო, თუ ღირს არ ვიყავ შევეროდი მას სინამდვილეში? განა შესაძლოა ეხლა ჩემთვის სხვასთან სიყვარულით შეუღლება, როცა თვალწინ მიდგა ნათელი სახე ჩემის ცალისა?

## 7

ოთარის ამგვარმა მდგომარეობამ მისი ფიქრები თუ გრძნობები თვისსავე თავისკენ მიაქცია, თავისივე ბედი გაუხადა უმთავრეს კითხვად თუ საგონებლად, თვისი დაუკმაყოფილებელი მისწრაფება უდიდეს საგნად საზრუნველ-საღონებლად. ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მარად დაფიქრებული იყო ვაჟკაცი, თვალთახედვის ისარი შიგნითვე ჰქონდა მიქცეული, უხილავ რამ კერძო საგანზედ მიპყრობილ-მიჩერებული. ფიქრთა რიდე მკაცრ და ჩათხრობილ იერს მაინც არ ამღევდა მას, მიუკარებელ პიროვნებად არა ჰსახავდა, არც სანდომობას ართმევდა მის შეხედულობას. იქნება ამის მიზეზი ის სათნო ღიმილი იყო, რომელიც საუბრის დროს ხანდისხან გადურბენდა ბაგეზედ და შეურხევდა მწყობრად ჩამოფენილ შავ უღვაშს. ეს საკუთარივე ფიქრი თუ ზრუნვა იყო იმის მიზეზი, რომ ის ყურადღებას ვეღარ აქცევდა ბევრ წვრილმან შემთხვევებს, რომლებიც სწარმოებდნენ მის გარემო მიმდინარე ცხოვრებაში და რომელნიც მისთვის არ უნდა ყოფილიყვნენ მთლად უმნიშვნელონი თუ არვარგნი. ესევე იყო იმის მიზეზი, რომ ვაჟკაცი თითქო ვერ ამჩნევდა იმ მღელვარებას, რომელი გამოეწვია მას საბედოს გულში და რომელი ელვასავით ჰკრთებოდ-ჰქრებოდა ქალწულ მოძრავ სახეზედ თუ გრძნობათა მსწრაფლმხატველ მის ჟუჟუნა თვალებში.

საბედო ისევ ხშირად იყო ეხლა ოთარაანთსა: ფრთხილობდა, თავი არავისთვის შეეწყინა, მაგრამ ოთარის და თეკლე არ ეშვებოდა საყვარელ დობილს, ძალით მიჰყავდა თავიანთსა. სახლში არ უყვარდათ ქალებს ყოფნა; ოთახებში სადილად თუ საუზმისთვის თუ შევიდოდნენ. დროს უფრო ბაღში ატარებდნენ, ვაზების ბოლოს, კაკლის ქვეშ. ჰკერავდნენ, ჰქსოვდნენ, მუსაიფობდნენ, კითხულობდნენ,

ოცნებობდნენ, მღეროდნენ. ეხლა შემოსული იყო კაკალი, თუმცა ჯერ წინგო არ მოსცილებოდა, ლებანი ისევ რძითა ჰქონდა გაჟღენთილი. კარგი ადგილი იყო საგრძობელი: ვაზიანი თავდებოდა, ხეხილი მოსდევდა, რომელიც უერთდებოდა წვრილიან ტყეს. ვენახიც, ტყეც ერთადა ჰქონდა ოთარს შემოღობილ-შემოფარგლული. მისი ოცნება იყო, ეს ტყეც ნელ-ნელა ვაზით შეეცვალნა და მთელ იმ დიდ მანძილზედ ზვარი გადაეჭიმნა.

– მაშინ ესეთი ბუნებრივი მშვენება აღარ ექმნება ამ ადგილს, აღარც თავისებური სახე საამო, მაგრამ სარგებელს დიდს მოგვცემს. ეხლა მხოლოდ ჭიგო იჭრება აქ. დროა, ხელოვნურად შევცვალოთ პირველყოფილი სახე ჩვენის მამულისა, უფრო ხვავიანად ავამუშაოთ ჩვენ სასარგებლოდ, – ფიქრობდა ოთარ.

და თვალთ უალერსებდა დარაზმულ-დატვირთულ ვაზებს. ის იყო გოგომ გაათავა ნიგოზის რჩევა და მოართვა ქალებს, რომ გამოსცდა ოთარი ვაზნარს. მივიდა ქალებთან, მოიკითხა საბედო და დაჯდა მათ გვერდით ფარდაგზედ. უსკამოდ ჯდომა არ ეხერხებოდა; უშნოდ ჩაკეცილიყო. როცა ქალებს გაეღიმათ ამაზედ, ის მხარ-თემოზედ წამოწვა მათ ფერხით. საბედომ უნებლიედ კალთა გადიფარა წულეებზედ, რომ დაეფარნა თეთრი წინდის ყელი, რომელიც ოდნავ მოსჩანდა კაბის კალთიდან. ვაჟმა აადევნა თვალი მიმალულ ფეხს და სურვილი დაებადა ხელი შეეხო ქალისთვის.

– რასა ჰქსოვთ ეგრე ბეჯითად ორნივენი ერთს დროს, ორივე მხრიდან?

– სუფრაა, მაგიდის საფარი. ნახე, როგორი უცნაური სახეა, სულ ახალი, – მიუგო დამ.

ვაჟკაცმა მოჰკიდა ხელი საქსოვს იმ ადგილას, რომელიც ახლო იყო საბედოს კალთასთან და ხელის ზურგი შეახო ქალს მუხლზედ. მისმა დამ ამ მოძრაობას არ მიაქცია ყურადღება, ვერც კი შენიშნა; საბედომ კი შეიგრძნო ის მთელის მისის მნიშვნელობით და ნაპერწკალმა აურბინა თხემამდის, გაუშუქდა თვალები, ჟუჟუნა დიდრონი თვალები; მათ ფსკერზედ ცისარტყელად აციმციმდა გრძნობის ნასახი, როგორც სხივთა ნატეხი ანკარა საგუბარში. ოთარი ჩააკვირდა ამ იდუმალ გრძნობათა კრთოლვას, გული აუჩქროლდა და მის გრძნობათა ჩქერმა განსაზღვრული სახე მიიღო ქალთან დაახლოვების სურვილში. ქალწულის თვალებმა მიიზიდეს ვაჟკაცი, დაჰხარეს თვისკენ მისი ნებისყოფა. ველარც შეიმაგრებდა იგი თავს. სიტყვით თუ მოძრაობით დაუსახავდა ქალს თავის წამიერ ღელვას, თუ იქ არ ყოფილიყო მისი და თეკლე და ამ დაბრკოლებას არ შეეკავებინა იგი. არც საკვირველი იყო, რომ საბედოს თვალებმა მოხიბლეს კაცი: თვალები ერთადერთი ძვირფასი მშვენება იყო ქალის მოხმელო სახეზედ, როგორც ერთადერთი მისი ძვირფასი სამკაული იყო ის ალმასის ბეჭედი, რომელი ელვარებდა ქალის ხელზედ, თითქო კრთისო ბუნებისაგან მომწყვდეული მუნ ცეცხლის ალი. მოისმა ფეხის ხმა. ჩამოირბინა ბიჭმა, შეატყობინა თეკლეს, დედა გემახისო. ქალი წამოდგა; ადგომა დააპირა საბედომაც; დობილმა ისევ დასვა.

– აქ იყავით! მეც ეხლავე ჩამოვალ. შენ, ჩემო საბედო, დღეს სადილად ვერსად გაგიშვებ: მწვანე ლობიო გვაქვს ბორნით, შენი საყვარელი საქმელი.

თეკლე რომ წავიდა, საბედომ უხერხულობა იგრძნო. მის ქალწულ მკერდს ღელვა დაეტყო, დაწვნი შეუვარდისფერდნენ.

– რა მშვენიერი ნივთია ეგ თქვენი ბეჭედი! ძვირფასი თვალია, პატიოსანი.

– დედიჩემის ნაქონია. ნიშნობაში მიურთმევია მამას. თვითონ გამიკეთა ხელზედ. მითხრა, ამ ბეჭდის ბრწყინვაშილა სჩანს ის სიხარული, რომელიც განვიცადე წარსულში.

– თუ შეიძლება, ახლო მიჩვენეთ.

– ინებეთ, ყმაწვილო! – მიუგო ქალმა.

და წაიძრო თითიდან ბეჭედი. კაცმა სინჯვა დაუწყო ნივთს. ვერცხლში იჯდა ცეცხლის მფრქვეველი თვალი. უნაკლოდ იყო ნათალი. გარსაც ესხა ალმასი, მაგრამ ისინი წვრილები იყვნენ.

– სწორედ რომ ძვირფასია, ხოლო თქვენთვის ფასდაუდებელიც, როგორც სახსოვარი. ვინ იცის, რამდენ ტკბილ გრძნობებს გაგვაცნობდა გარდავლილს, მეტყველი რომ იყოს.

– გახსოვთ, ყმაწვილო, ის ზღაპრული გრძნეული, თილისმა რომ ჰქონდა და მისი ძალით ყველა არსისა და ნივთის ენა იცოდა, კაცის გულშიც ცხადად კითხულობდა?

– მახსოვს! აფსუს, ის ნიჭი არა მაქვს: მაშინ ამ თვალზედ აღბეჭდილ წარსულს გავარჩევდი, თქვენ საიდუმლო გულისთქმასაც ამოვიკითხავდი. იცით? ყველა არსება, ყველა მოქმედება თვის კვალსა თუ ხატებასა სტოვებს თვის გარშემო მყოფ ნივთიერებაზედ, მხოლოდ სახება ისე მკრთალად არის აღბეჭდილი, ადამიანის აწინდელი თვალთახედვა ვერ ამჩნევს მათ.

ქალმა პასუხი ვერ გასცა. მორცხვად დახარა თავი და რაღაცა ყვავილს დაუწყო თითებით თამაში, იქვე რომ ამოჩენილიყო მდელოში.

– მომეცით, ქალო, ნება ეს ბეჭედი თვითონ მე გაგიკეთოთ ხელზედ!

ქალმა უარი არ უთხრა, მხოლოდ ხელი დამალა მუხლის იქით. ვაჟკაცმა გაბედა, უპყრო ხელი და გაუკეთა ბეჭედი. ერთხანს ხელში ეჭირა იგი ხორბლის ფერი სუფთა ხელი, კინალამ კიდევ დაიხარა მის დასაკოცნად; ვერ მოახერხა შეესრულებინა წადილი წუთიერი: არ გაბედა.

## 8

ზედდატანებაზე ჩამობრუნდა თეკლე.

– ახალი ამბავი! მნათიანთ კეკას ჰნიშნავენ. მისი დედა იყო, ქალის გასასინჯად უნდა მოვიდნენ ამაღამ და კაბა გვათხოვეთო. ჩემი მწვანე კაბა მივეცი, დაჰშვენდება.

– ვიზედა ჰნიშნავენ?

– კოკოთ სოფლიდან არისო, გზირის ბიჭი.

– ვიცნობ. კარგი ბიჭია, შეძლებული ოჯახის შვილი, – სთქვა ოთარმა.

ქალები ისევ ჩაუსხდნენ ხელსაქმეს. ოთარი მოშორებით ბოლთასა სცემდა. საბედოს გული უღიმოდა და ღიმილი ვარდის ფურცლად ეფინებოდა ლოყებზედ, თვალთა ნათელს ჰმატებდა. მისი ფიქრი ყვავილოვან ბილიკს დასდგომოდა სალხინოს; მის ოცნებას ფრთა გაეშალნა და მიმოაფრენდა ქალწულს სანატრელ სანახებისკენ.

– მოვსწონვარ, ეამება ჩემთან ყოფნა! ვერ მოითმინა, ხელი არ შეეხო ჩემთვის. იქნება კიდევ შემირთოს. რატომო?! როგორი ზრდილია და პატიოსანი! სწადდა მაჯაზედ ეკოცნა. ცხადად ამოვიკითხე ეს სურვილი მის თვალეში; ვერ გაბედა. ნეტა რას ვიზამდი, რომ გაებედნა? გავიბუტებოდი? ავდგებოდი? არა მგონია! ისე ვიყავი მიჯაჭვული იმ ადგილას, ვერც კი გავინძრევოდი. მაგრამ არა! გავწყობოდი, უნდა გავმწყრალიყავი. შეხების ნებას ხომ არ მივსცემდი ვიღაც უცხოს, კოცნის უფლებას?! ღმერთმა კი ნუ ჰქმნას კვლავ უცხო შეიქმნას ჩემთვის ოთარი, მთლად შორეული. როგორღა გავსძლებ უმისოდ?! – გაიფიქრა ქალმა.

და თითები აუთრთოლდა, ყაისნალი შეტოკდა მის ხელში. თეკლემ მხიარულ გუნებაზედ იყო; ნიშნობის ამბავს ემზზედ მოეყვანა, მღერის გუნებაზედ დაეყენებინა. აღიღინდა:

მე შენმამ ფიქრმან მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა!  
ანდამატივით მიმიზიდავ, ვგავ ნამჭირებსა...

საბედოც აჰყვა დობილს. ქალებს არა ჰქონდათ ხმა მთლად მოქნილი, არც თუ წმიდა და წკრიალა; მათი სიმღერა ვერ გამოდგებოდა სხვის გულში სიხარულის თუ სევდის აღმგზნებად ან ვისიმე ნატკენი გულის დასაყურებლად, თუმცა მწყობრად ამბობდნენ დობილნი, სანდომიანად. თვითონ იქარვებდნენ გულს, თავიანთ გრძნობას აქსოვდნენ ხმებში და უხაროდათ. უამებოდათ, როცა ჰხედავდნენ თავის გულის დუდილს განსახებულს და საცნაურ ქმნილს.

დაგჭარბებს გულისთქმა და შენდა უნებლიედ ჩადნება მწყობრ ხმებში ნამეტნავი შენის გულისა, რომელი ვერღა ეტევა გრძნობათა საგუბარში. შეიძლება ის ხმა სრულებითაც არ იყოს სხვისთვის კეთილშეზავებული და გრძნობათა აღმშლელ-მსახველი; თითონ შენ კი შვებასა გგვრის, სიამეს განიჭებს, როგორც გამომტანი და შემამსუბუქებელი შენის სულის ჭარბ მოძრაობისა.

ქალები რომ დიღინებდნენ, ვაჟკაცი ხეივან ქვეშ მიდი-მოდიოდა ფიქრში გართული: თავის პირად საკითხს იკვლევდა მისთვის უდიდესს. საბედომ შთაბეჭდილება მოახდინა მასზედ და სურვილმა აამოქმედა: თითქმის უნებლიედ აგრძნობინა ქალს, რომ საამო იყო მასთან მიახლება, მისი შეხება; კინაღამ დაუკოცნა ხელები და გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი, რომლის შემდეგ უკუდგომა მოუხერხებელი შეიქმნებოდა. ხვევნა-კოცნას უნდა მოჰყოლოდა სიტყვის მიცემა და დანიშვნა. როგორ შეიძლებოდა სხვანაირად?! განა დასაჩაგრი ვინმე არის მშრომელი ქალი ან დასამდაბლებელი? ძლივს გამოსულა დამოუკიდებელ ცხოვრებაში, თავისი საკუთარი შრომით სცხოვრობს. თურმე სხვასაც ეშველება, თავისიანებს; როგორ შეიძლება მაგის კეთილი სახელის შეჩრდილვა, გაწბილება? ქომაგობის და დახმარების მაგიერია!..

– ეტყობა თანამიგრძნობს. როგორ აენტო თვალები და შეწითლდა! იქნება კიდევ მოელოდა ჩემგან საბოლოო თქმას. რა უშავს, კარგია: ძვირფასი დიასახლისი დადგება, გამრჯელი, მოყვარული, მეოჯახე, მაგრამ ის რომ არ არის ეგ, ჩემი სატრფო რომ არ არის ეგ! კარგად ვიცნობ იმას, ცოცხლადა მყავს დასახული იგი ლამაზი. რამდენჯერ მინახავს ჩვენებაში, როგორც ხორცსხმული. არც თუ ულამაზოა საბედო, მშვენიერი თვალები აქვს, იმ ჩემის სატრფოს თვალებსაც კი შეედრება. რა იქნებოდა, დალოცვილ ბუნებას მთელი სახეც იმ თვალების შესაფერად მოეხაზ-მოექარგა. სიტურფე იქნებოდა მაშინ და მატკობელი. ძლიერ ცოტა მშვენიერება დაუტანებია შემოქმედს დედამიწისათვის, სიტურფე მხოლოდ დაუსხურებია მისთვის; თითოეულ ქმნილებას ცვარი რამ თუ ატყვია იმ ციურის სიტურფისა. ამისთვის არის, რომ ყველა ადამიანში იპოვება რაიმე ნატამალი გარდუვალის მშვენიებისა. ვინ შეჰხვდა სრულს მის განხორციელებას ან როდის? ვერვინ! არც როდის! იქნება ეს არის იმის მიზეზი, რომ იშვიათია ცხოვრებაში გარდუვალი სიყვარული: ტრფობა სიდუხჭირისადმი შეუძლებელია, სიგონჯე კი მეტია ადამიანის ბუნებაში, სინამ სიმშვენიერე...

– ის ჩემი სატრფო კი საოცნებო უნაკლულოა ყოველ მხრივ! ვიცი, არსებობს; მრწამს, არის სადმე იგი ცეცხლთამომდებარი. როგორ შეიძლება მაშ ჩემი ოცნება, თუ არ არსებობდეს იგი?! მაშ როგორ ჰნახავდა მას ჩემის გონების თვალი, როგორ განიცდიდა გული ჩემი მის ყოფნის სიტკბობას ან რად შემოერტყმებოდა ჩემ სურვილთა ბადე მის ეთეროვან სახეს?! არსებობს, არსებობს! სადა ვძებნო იგი და როგორ? შეიძლება ისე გავლიო სიცოცხლის დღენი, ვერ ვპოვო საძებარი ჩემი, ვერ

მივიკვლიო მისი სავანე, ვერ მივეახლო მას, ვერც განვიცადო მაცოცხლებელი არსება მისი. იქნება სხვასაც მიჰხვდეს იგი, ვინმე უცხოს და უღირსს. ვერ იცნობს იმ სხვას სატრფოი ჩემი, თავისი ბედისწერა ეგონება ის და გაჰყვება. ნუ ინებებ, საყვარელო, ამას! ნუ იყოფინ აგრე, უფალო!

ამ შემთხვევის შემდეგ ცხადად დაეტყო ოთარს რყევა საბედოს შესახებ, იმისკენ დახრა. გონება ამცნებდა ქალის სიკეთეს და დაასკვნიდა, რომ ოჯახის ასაშენებლად, წყნარი ცხოვრების დასამკვიდრებლად სწორედ ეს ქალი იყო შესაფერი; ამაზედ უკეთესს ვერვის იპოვიდა იგი, მით უფრო, რომ ქალს უყვარს ის და სავსებით დააფასებს იმ ბედს, რომელს მიუძღვნის მას განგება. გონება წრფელად ეტყოდა ვაჟკაცს; სხვაგვარი მსჯელობა არც შეეძლო მას: საბუთი არა ჰქონდა სხვანაირის ფიქრისა. გული კი ვერ ეთანხმებოდა გონებას. ის უარჰყოფდა მარტო მომთბარ გრძნობათა სამფლობელოში არსებობას, ხანგრძლივ, თვით სიკვდილამდე. ოთარი ჰნატრობდა აღტაცებულ გრძნობებს, ჰსურდა სავსებით დამტკბარიყო აღზნებულ გულისთქმით, თუნდ წამიერით. დეე, დამწვარიყო იმ გრძნობათა აღზედ, სამუდამოდ დაფერფლილიყო. ან რად უნდა ყოფილიყო აღზნებული გრძნობა წუთიერი?! არა! სამუდამო იქნებოდა ის, როგორც კეთილი და მშვენიერი. სიკვდილამდე გასატანი შეიქმნებოდა მარად სანეტარო, მუნ თანაც წასატანი, დაუსრულებელი. ასე ეტყოდა გული და ანელებდა ვაჟკაცის აზრებს საბედოს შესახებ, ფებს უკან ადგმევინებდა. გრძნობდა ოთარი გულის სიღრმეში, რომ იგი უკვე მოისპობოდა იმ აღფრთოვანებული სიყვარულისთვის, რაკი შეეუღლებოდა ამ ქალს; იცოდა ეს და ენანებოდა თავისი თავი, სწყინდა კიდევ.

– ნუთუ იმდენად ძლიერი, ზემადღებელი ბუნება არა მაქვს, რომ შემძლებოდა განმეცადა სინამდვილეში ის იშვიათი გრძნობა სანატრი, მეგემნა ვნებათა საოცნებო ღელვის სიტკბოება?!.. – ფიქრობდა გულნატკენი.

ასეთს რყევაში იყო ოთარი ზამთრის განმავლობაში; თანაც ემჩნევოდა, ეს ბრძოლა ნელ-ნელა ჰღლიდა მას, უკარგავდა წინააღმდეგობის უნარს. გონების მოსაზრებანი თანდათან უფრო საფუძვლიანნი ეჩვენებოდნენ და ხელსაყრელნი. რწმუნდებოდა, რომ მის გარემო მხოლოდ ეს ერთი გზა იყო რჩეული, რომელზედაც გავლა მისაღები იყო ყოველი მხრივ, ყველასთვის მოსაწონი. ასეთი რაინდული მისი ქცევა მეტს შარავანდედსაც შესძენდა მის სახელს გარეშეთა თვალში.

– მაინც როგორ შეიძლება ადამიანი მხოლოდ თავის თავზედ ფიქრობდეს, მარტო თავის საკუთარ სიამოვნებაზე, და სხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდეს, თუნდ მისთვის თავდადებულ სხვა პიროვნებას? რომ საბედოს ვუყვარვარ, რომ ის თავდადებული იქნება ჩემთვის, ეს ცხადია და ჰემმარიტი. დეე, გაიხაროს ჩემს გვერდით ჩემმა მოყვარულმა ადამიანმა! ეგებ გააღბოს შენი შეყვნილი გულიც მისმა გულწრფელმა და მხურვალე სიყვარულ-სიხარულმა.

საუკეთესო ხანი იყო საბედოს ცხოვრებაში ის შემოდგომა და ზამთარი. იმედიანი დრო, როდესაც ღივდებოდა, იზრდებოდა, იფურჩქნებოდა, სრულდებოდა ნაყოფი მისის მომავალი ბედნიერებისა. ქალი ჯერ ისევ უცხო იყო ოთარის ოჯახისათვის, მხოლოდ საპატიო ნაცნობი და ფრთხილად ეჭირა იქ თავი, მოკრძალებით, სტუმრულად, მაგრამ ჰხედავდა, ალღოთი ჰგრძნობდა, რომ მისი იღბალი იმ ოჯახში დაბინავებულიყო და ნელ-ნელა, შეუდრკომელის თანისთანობით უმზადებდა მას იქ სავანეს, სახლის შვილობას. დიასახლისობა ოთარის ოჯახში! ასეთი იღბალი

ოცნებაშიაც ძნელი დასასახი იყო მისთვის, ცხოვრებისაგან დაჩაგრულ-დატანჯულ ქალისთვის, რომელმაც გამოცდილებით იცოდა უკიდურესი ხელმოკლეობა.

საბედოს მამა ელისბარ აზნაური იყო, პაწაწინა მამულზე დამყარებულ-დაიმედებული; ბუნებით პატიოსანი და გულუბრყვილო მიწის შვილი, თან იმდენად თავმოყვარე, რომ თავის გაჭირვებას თუ დარდს ვერავის გაუმხელდა, ვერც აგრძნობინებდა. სცდილობდა საკუთარი შრომით ეცხოვრნა, პირადი უნარით გაეტანა ლელო და პატიოსნად შეენახა სახლობა. ძლიერ საჭირო კი იყო მომჭირნეობით თუ საკუთარ მოთხოვნილებათა შეზღუდვით და უარყოფით შეევესო ცოლ-ქმარს ნაკლებობა, რომელი მარად თანა სდევდა მათ. ახერხებდნენ ამას. ხელები დიად დადარულ-დაკოჟიჟებული ჰქონდათ უდიერის შრომით, მაგრამ ბელელში პური არ ილევოდა, არც ჭურში ღვინო. ბალ-ბოსტანი და სახნავ-სათესი საუკეთესოდა ჰქონდა დამუშავებული, თუმცა ძველებურად მამა-პაპურის წესრიგით. მეუღლეთა მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, შინაური საშუალებით წარემართათ ყოველდღიური ცხოვრება, თავიანთ შრომით მოყვანილ-დამუშავებული მასალით და სანოვაგით დაეკმაყოფილებინათ სახლის მოთხოვნილებანი. თუმცა სოფელშიაც ძლიერის ძალით შეჭრილიყო ფულის ტრიალზედ აგებულ-დაფუძნებული სახე ცხოვრებისა, ოჯახი მაინც ძველებურ წარმოების გზას ადგა, როდესაც ხერხდებოდა ცხოვრებაში საჭირო ყოველივე მასალა თვითონვე დაემზადებინათ სახლში და თვითონვე გამოეყენებინათ.

მაინც ვერ მოახერხა ელისბარმა ბოლომდის დაეცვა თვისი გზა ცხოვრებისა. მანამ ბალღები პატარები ჰყავდა, შესაძლო იყო ამ ფარგლებში ტრიალი, მერმე კი, როცა ყმაწვილები დაეზარდნენ და სკოლებში დაგზავნა ისინი, იძულებული შეიქმნა მათზედ ზრუნვას ნაღდის საშუალებით გასძლოლოდა და შეეცვალა არჩეული სახე ცხოვრებისა. შეირყა ოჯახიშვილის კეთილდღეობა: ფულის საშოვრად ბაზრისკენ გზა გაიხსნა ერთგულად დამზადებულმა დოვლათმა, ხოლო ამით მოპოვებული ფარები ხელშივე ჰქრებოდნენ. ერთობ მოძრავი აღმოჩნდა ფული ელისბარის ხელში, ფრთები შესხმოდა დალოცვილს და მარად ფთხრიალებდა გასაფრენად. ამ გარემოებამ დასცა მცირე მამულის სიპოხივრეზედ დამკვიდრებული ოჯახი. თუ სახლში ზედმეტი რამ ყოფილიყო, მოჭარბებულ-მოსაჭარბებელი, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ჭარბი არა სჩანდა. კარი გაჭხსნოდა საჭირო თუ აუცილებელს. ეს ამაბუნებდა კომლეულს.

მაინც არა უშავდა რა! თუმცა დაიწია დაწვრილშვილებულმა ელისბარმა, მაგრამ დაიზრდებოდნენ ბალღები, ფრთებს შეისხამდნენ, საშოვარზედ გაიფანტებოდნენ და ისევ აიწევდა მისი კეთილდღეობა. სიუხვე და სიამე გამეფდებოდა მის კერაზედ. ველარ მოესწრო იმ საიმედო დროს, ჩატყდა მძიმედ დატვირთული თავზე და სართული მოერღვა სახლის კეთილდღეობას! გაცივდა ვაჟკაცი, ორ კვირაზედ გაჰქრა. გამოეცალა ოჯახს ყოველივე ნიათი და დაგლახაკდა. მაშინ საბედო მეექვსე კლასში იყო და უთუოდ უნდა დაბრუნებულიყო თავის გასაცოდავებულ სახლში, თუ მოულოდნელი გულშემატკივარი არ გასჩენოდა იქავ, იმ სასწავლებელში: ერთმა თავისივე შრომით მცხოვრებმა მასწავლებელმა ქალმა იტვირთა მისი გამოკვება და გაძლოლა; იფიქრა ჯიუტმა, მაინც ტვირთ ქვეშ ვიკეცები და დეე, ეს სხვის ბარგიც ჩემი საზიდი გახდეს: ვისაცა აქვს შეჭირვება, მიეცეს და მიემატოსო. იმავე ადამიანის მეცადინეობით შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ სოფლის მასწავლებლობა იშოვა ქალმა. ბოლოს ოსტატად მოჰყვა დაბა საუნჯარას სკოლაში. ქალი ეწევოდა მძიმე უღელს, რომ ეცხოვრნა თითონ და დახმარება გაეწია თავის გაწყალეებულ ოჯახისთვის.

ამისთანა გარემოებაში ქალის ოცნება ცხოვრების შესახებ ფრიად შეზღუდვილი იყო: იგი ნატრობდა მხოლოდ იმას, დაემსახურებინა მთავრობის ყურადღება, ადამიანურად მოეწყო თავისი ყოფა და ყოველ ჟამს იმისი შიში არა ჰქონოდა, რომ დაითხოვდნენ რაიმე მიზეზით სამსახურიდან, დასტოვებდნენ ულუკმაპუროდ. ეს იყო ყოველ ჟამს მისი საზრუნველი, ხოლო აცდენა ამისთანა უბედურობისა მისი ნატვრის საგანი საოცნებო. საკუთარი ოჯახის მოწყობაზედ, სადაც მისი მდებარეული ალლოთი მდიდარი ბუნება შესძლებდა ფრთების გაშლას, როდესაც შეიძლებოდა განევითარებინა და მოქმედებაში ჩაესახა გრძნობებით სავსე თვისი გული, სადაც შესაძლო შეიქმნებოდა ღრუბელივით შემოებურნა თავისი მოსიყვარულე არსება ქმარ-შვილისათვის და სურვილით ჩასდნობოდა მათ, როგორც რამ ნამი მაგრილებელ-მაცოცხლებელი, – ამისთანა მიუწდომელ საგნებზედ ფიქრსაც ვერა ჰბედავდა ქალი. ვინ შეჰხედავდა მუშტრის თვალთ მას, ცხოვრებისაგან თითქმის გარიყულს, ოჯახდაშლილ-დაქცეულს, მოჯამაგირედ მოტანტალე ქალს? ვინ დაჰხვდებოდა ცხოვრების გზაზედ ისეთი სიკეთით სავსე მაღლიანი ვაჟკაცი, რომ ეპყრო მისთვის შრომით დაღლილი მარჯვენა, ამოეზიდნა ხნარცვიდან ბეჩავ ყოფნისა, ეკოცნა უკვე ზრუნვით ნაოჭავლებულ შუბლზედ და გაეხსნა სასიხარულოდ მისი გული ყოველგვარ სიკეთით სრული, იგი სალარო ჯერედ დახშული?! მას, უმწეოს, ვაჟკაცი ისე უმზერდნენ, როგორც სადავლო სიტკბოებას შემთხვევით ზღუდეთაგან კერისა გარედ გამოტანილს, ადვილად ხელსაყოფს.

## 10

ეხლა მდიმარე ბედმა ჩამოურეკა კარი ქალს: მას მიაქცია ყურადღება, მიაპყრო თანაგრძნობა ისეთმა ვაჟკაცმა, რომელი სანატრელია ყველა ქალწულისთვის იმ მხარეში. თვალად-ტანადი, განათლებული, კარგი და საპატიო ხელისუფალი, დაბრძნობილ-გამოცდილი, მშვენიერი მამულის მექონი.

– სხვა რაღა გინდა, სულო და გულო?! იშვებდე და იხარებდე დოვლათით გალაღებული, კარგი ქმარ-შვილით გარშემორტყმული! არ კი დაივიწყო შენი აწინდელი გასაჭირი და იწროება, შენი დამოკიდებული ყოფა ჩაგრული. მოძულედ არ მოეკიდო არავის, არც იმ კეკლუცებს, ეხლა რომ მეტობენ შენზედ და აღმაცრად დაგყურებენ ზვიადნი.

– მარტო თეკლე, ჩემი ოთარის და, მეპყრობა, როგორც დობილს საყვარელს. მეც შევაწყე მას გული და მთელ სახლობასაც. ალბად ვგრძნობდი ეს სახლი შეიქმნებოდა შემდეგში ჩემ კერად, ხოლო ოჯახიშვილნი ჩემ მახლობელად და თვისტომად. ამბობენ, ადამიანის გული მისანიაო, მომავალის წინადმგრძნობელი. მართალი უთქვამთ! – ფიქრობდა აღფრთოვანებული.

და წარმოიდგენდა თავის თავს უკვე მეუღლედ ოთარისა, საყვარელ დიასახლისად მისის მდიდარის სახლისა. ამოფხვრილიყო მის გულიდან შიში ყოველდღიური ცხოვრებისა, კიდეც დაჰვიწყებოდა გალაღებულს ფიქრი პურზე არსებობისა; მძიმე ზრუნვისაგან განთავისუფლებული მისი არსება გრძნობს, განიცდის უჩრდილო სიამეს უდარდელის ცხოვრებისა. ეს სიხარული ფართე გზას აძლევს მის ბუნებაში დამარხულ განძს სათნო გრძნობათა, კეთილ მოქმედებათა, ბრწყინვალე საჭურჭლეს ნათელ აზროვნობათა. მოჰფენს ბედნიერი თვის გარემო სიკეთეს, როგორც სუნნელებას ყვავილი ტურფად ფურჩქნისი. რა ვუყოთ, რომ იგი სიკეთე ვერ არის ერთობ დიდი, ზვიადი და საქვეყნო?! განა ის კი საქები არ არის და სასიქადულო, რომ კეთილი მოეფინოს თუნდ მხოლოდ მახლობელთ და კეთილ

ნაცნობთ? ჰაი, ჰაი, სასურველია და კარგი უფროც გააფართოვებს საბედო კეთილ საქმეებს, ბევრს გაუშუქებს ბედს ჩამავებულს.

შინ მიდის ოთარი სამსახურში მოღლილი თუ საოჯახო ზრუნვით გარემოცული. რაც უფრო უახლოვდება სახლს, იმდენი უფრო ეხსნება შუბლის ნაოჭი, უსხვიოსნდება თვალები, ეფინება პირს ღიმი. იცის ბედნიერმა, რა მოტრფიალე გული დაჰხვდება შინ, საალერსოდ დამტკბარი ენა მოყვარულისა. მზრუნველი ხელი მარჯვედ უკუაგდება იქ ყოველგვარ დრტვინვას საყვარელი მეუღლის გარემო, რომ სიწყნარე და სიმშვიდე განაცდევინოს ოჯახის პატრონს და შემნახველს. მისთვის მიუხარიათ ვაჟკაცს შინისაკენ და ისწრაფის მადლობის ნიშნად თვალები ამოუკოცნოს მეუღლეს, მარად სიხარულით მისკენ მიპყრობილი მადლიანი თვალები. რა უხარიათ საბედოს, რომ ტურფა თვალები აქვს! იცი? რაც უფრო მეტსა ჰკოცნის ვაჟკაცი თვალებში, იმდენი უფრო ემატება მათ შუქი და სიღრმე. ტყუილად კი არ ეტყვის ქმარი, შენი თვალები ნამდვილ ვნებათა მორევიანო მღელვარე. ოთარს ისიც უხარიათ, რომ მისმა საბედომ ისე კარგად შეიფერა ახალი ნათესავ-მისადევარი. იმათაც უყვართ ქალი. ისე შემტკბარნი არიან, თვალში ჩაუვარდეთ, ხელს არ მოისვამენ. ასეთი მისი სათნო ქცევა ზრდის და აძლიერებს ქმრის სიყვარულს. იმ დღეს რომ ყელ-ყური გადაუკოცნა ქმარმა, უთხრა, თანდათან უფრო მიცხოველდება შენი სურვილი, ჩემთვის მეუღლეცა ხარ და მარად ტკბილი საყვარელიცაო. ოცნებებით აღგზნებულ ქალს მოუთმენლად მოჰსურდა იმ წამს ოთარის ნახვა: კინალამ ადგა და გასწია მისკენ.

– მინდა ვნახო, მივუახლოვდე, ვიგრძნო მისი სუნთქვა ჩემს სახეზედ. ჯერ შესაძლო არ არის ეს ჩემთვის! რას იტყვიან, რომ მივიდე უდროვო დროს? დამაკვირდებიან, ნეტა რა სასწრაფო საქმე გასჩენიაო.

– მოდი, გენაცვალე, შენ თითონ მოდი! განა არა გრძნობ, როგორ კვენესის შენთვის გული ჩემი საბარლო? მოუთმენლად მოგელი სანატრელს. იგრძენ, შორიდან ამოიკითხე ჩემი ფიქრები და მოვედ, მომესწრაფე, სასურველო ჩემო!

ქალი მთლად მოლოდინად გარდაიქცა, მტანჯველ ლოდინად მოუთმენლად.

– მოდის! მოისწრაფის! რა კარგი ჰქმენ, რომ მოხველ, ჩემო ყველავე. ველარ გაუძლებდა გული შენს შორ ყოფნას, ველარ დაიტევდა სურვილთა ძალას და გაიპობოდა უწყალოდ.

– რად მიყვარხარ? რად შეგიყვარე? არ ვიცი, გეთაყვა! რად აპობს შავს ღრუბელს ელვის მახვილი? რად ღელავს ზღვა და აქაფებული ემსხვრევა ნაპირს? რად უღიმის დედამიწა მზეს ამომავალს? რად ილტვის ფარვანა მის დამწველ ალისკენ? მისთვის, რომ სხვანაირად ქცევა არ ძალუძს! რად გეტრფი? იმისთვის, რომ სიცოცხლე ხარ ჩემი და ყოფნა უშენოდ არ ძალმიძს არც თუ სიკვდილის შემდეგ! მაშ, რადღა სდგეხარ განზედ?! მომეახლე, მომეხვიე, დაადნე მხურვალე კოცნით ჩემი პიროვნება და შეიშრე იგი, როგორც მზის სხივმა ცვარი ანკარა, ყვავილთ ფურცლებზედ მთრთოლავ-მოკამკამე.

უალერსებდა აღგზნებულ-გატაცებული ქალი თვის მოჩვენებას. ჰხარობდა ბედნიერი. პაწაწა ოთახი შემკულ დარბაზად გარდაჰქმნოდა ყოვლის კეთილით აღსავსედ, მბჟუტავი შუქი დაჟღლილი ლამპრისა ციურ სინათლედ საოცნებოდ, იმ ნათელად, ევას რომ ეხვია მონეტარეს და ჰმოსავდა სალხინოდ; ხოლო ბავშვის რვეული ნაჯღაბნ-ნაღვენთი სუნნელოვან წიგნად მოსჩვენებოდა, სატრფოსგან მასთან მონაწერად.

– ის არ გეგონოს, ჩემო კარგო, მთელი ჩემი დრო და ალერსი შენ შემოგავლო თავს. ნუ იფიქრებ! არც ის განიზრახო, ეხლანდელ ჩემს საქმეს, ჩემს პატარა მოწაფეებს თავს დავანებებ ან უარსა ვყოფ. სრულებითაც არა! იცი? მაშინ მზრუნველად



ჩავუდგები სასწავლებელს, მასწავლებლად ჩემ მაგივრად ჩავაყენებ ჩემსავით საწყალს, ბედისაგან დაჩაგრულს ქალს და თითონ მე ვუხელმძღვანელებ შრომაში. კარგი? თანახმა ხარ? არ კი გეგონოს, ისე გამიტაცოს ამ საქმემ, რომ მოგაკლო ალერსი ჩემი. არ იფიქრო არასოდეს!..

– როგორ ეწყინებათ ჩემი ბედი აქაურ ქალებს! ძალიან შეჰშურდებათ. მხოლოდ სიმდიდრით მეტობენ ჩემზე; მაშინ რილათი დამეჭარბებიან? არა უშავთ რა, შეეჩვევიან! ისე მოვექცევი, თითქო მათგან თავის დღეში წყენა არ მახსოვს, მითომ ყოველთვის კეთილნი იყვნენ ჩემთვის. განა სიბოროტით მოსდით, რომ მედიდურობენ. არა! შეგნება არა აქვსთ არც თავის თავისა, არც სხვისა და მისთვის ვერ შეუფერებიათ ვერც თავიანთი თავი, ვერც სხვა. ჩემი ოთარ რომ განგებიანია და განვითარებული, აკი დამაფასა კიდევ ღირსეულად!..

– ქალბატონო, ჩაიდანნი რათა ხანია შემოვიტანე და რატომ ჩაი არ ჩაგიყრიათ აქამდისინ? – შეეკითხა ჭუჭყიანი მოახლე, რომელმაც პირგაბზარული ფინჯანი შემოიტანა, ჩაი დაესხა.

– შენ თითონ ჩაჰყარე, ჩემო ქეთო, და დაისხი; აი შაქარიც, – უთხრა საბედომ.

და ისევ შეცურდა ოცნების ნავით მისთვის დაწყნარებულ ზღვის ყურეში.

– მეტ მოახლეს თუ მსახურს არ შევინახავ, რად მინდა? მზარეული ისევ იქნება და ერთიც სუფთად გამოწყობილი სენაკპანი მთლად კმარა. ლამაზი გოგო კი არ უნდა იყოს ის სენაკპანი, რომ ვაჟკაცს შემთხვევით თვალი არ დარჩეს მასზედ. უჰ, რა ცუდი აზრი მომივიდა! განა ეგეთი პატიოსანი არის ჩემი ოთარი?! მოსარეცხე და პურისმცხობელი გარედან ივლიან. მებაღეები ისევ ყოველთვის საჭირონი არიან. შევებვეწები ოთარს, აივანის წინ ყვავილები დაარგვევინოს მებაღეს, ბევრი ყვავილები. ოღონდ გააშენონ და მოვლით მე თითონ მოვუვლი. ძალიან მიყვარს ყვავილები.

გაირთეს ქალი მომხიბვლელმა სურათებმა, სიხარული ჩაუნერგეს გულში, დაავიწყეს სინამდვილე ჯერ ისევ დუხჭირი. თავს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა ნესტი იგრძნო და სიგრილემ დაურბინა ტანში. მიიღვა ჭიქა, რომ ჩაი დაესხა და გამთბარიყო. ჩაიდანნი აღარა დულდა, აღარც შიშინებდა; ნელ-თბილი წყალილა დაჰხვდა შიგ. გაეღიმა ამ მცირედ უსიამოვნებაზედ: რა უშავს, კიდევ ცოტა ხანი და მიეცემა დავიწყებას ყოველგვარი გაჭირვება, როგორც სიზმარი ცუდი წყალსა მდინარსა.

გაიარა შემოდგომამ. დადგა ზამთარი. მოახლოვდა დღესასწაულები. ერთგულად მუშაობდა ქალი და მხიარულად: მის შრომას ფრთას უსხამდა დიდი იმედი, რომელი თანდათან ღვივდებოდა მის გულში, რომელი აჰხვევ-აჰყოლოდა სიყვარულის ზრდას, როგორც ყვავილებად გარდაშლილი ფათალო ამწვანებულ საროს. აყიროდ აღზრდილ ქალის სიყვარულს ყვავილივით ამშვენებდა მადლობის გრძნობა მიჯნურისადმი, რომელმა შეაფასა და შეითვისა მისდამი მილტოლვა ქალისა, თანაურგრძნო მას და განიზრახა ვაჟკაცურად უპყრას მას ხელი, ამოზიდოს შეიწროებულ ძნელ ცხოვრებიდან.

– ვიცი, ჯერ ისე არ ვუყვარვარ ოთარს, როგორც მე მიყვარს ის, ძალიან კარგადა ვგრძნობ ამას; მაგრამ არა უშავს რა: როცა თავს შემოვევლები, დავუტკობ ცხოვრებას, ყოველს წუთს ყოფნისას, მაშინ მიჰხვდება სიუხვეს ჩემის სიყვარულისას, მის ძალას ულეველს და ღირსეულად დამაფასებს მისი რაინდული გული, შემითვისებს საბოლოოდ.

– სამარადისო მადლობით განიმსჭვალე არსება ჩემი მისდამი! მომეველინება მხსნელი განგებისაგან, რომ არ დაშრეს უჟამოდ, არცა გაქრეს უკვალოდ საიდუმლო მისწრაფება იგი, რომლისადმი უძლეველად მიილტვის ბუნება ჩემი მდებარული. ვპოვო მის მიერ მადლი წინაშე ღვთისა ჩემისა, მოჰხედოს ზენამან სიმდაბლისა მხველისა თვისისა და ვიქმნე მე დედად, მშობელად!

– ტკბილად აღვიზრდი იმ ნანინანატრს, ჩემის სისხლხორციით აგიღორძინებ, რომ უკლებლივ სტკბებოდე მზერით საესავო ნაყოფისა. განმეორება იქნება ის ჩვენის არსებისა, განუყრელად შეთხზული განსახება შენის და ჩემის პიროვნებისა.

მომავალი შეტკბობის სურათები ისე ნათლად, ისე მომხიბვლელად დაეხატა თვალწინ ქალს, რომ ააღელვ-ამომძრავა მისი ხორციელი ბუნებაც. მზურვალე რამ ძალამ დაურბინა ძარღვებში. დალულა მიბნედილი თვალები, მკლავები შემოაჭდო მის თვალწინ ცხადქმნილ მიჯნურს და წარმოსთქვა აღტაცებით:

– თავს შემოგვევლე, ჩემო ყველავე!

ქალი თავისმავე ხმამ გამოარკვია ოცნების ბურუსიდან; ნეტარების ღიმილი მაინც არ გაქრა მის ოდნავ გაპობილ ბაგეზედ და ის ღიმილი დაცემიციმებდა მის გაშუქებულ სახეზედ მაშინაც კი, როდესაც დაიწყო რვეულების სწორება.

– ჰაი, შე ცელქო! სწორედ არა მჯდარხარ, როცა გიწერია, თორემ ასეთი მრუდე ასობის დასხმა ვის გაუგონია?!..

– ეე, ჩემო მარიკავ, სულ იმას ჩაგჩიჩინებ, შრომას ბოლო გაადევნე-მეთქი! რასა ჰგავს ეს?! პირველი სტრიქონები ჩახატულია, ბოლო ხაზები კი ისეა დაჯღაბნილი, თითქო ქათმებს უვლიათო ზედ. უნდა ისწავლო ბეჯითობა, თორემ როგორი დიასახლისი დადგები ბოლოს...

– ბიჭო კიკო! რატომ ასე ყველაფერში ჩამორჩი ამხანაგებს, წერაშიც და კითხვაშიც. იქნება, შე საწყალო, მართლა გონებადუნე ხარ და უნიჭო. მოდი, საღამ-საღამობითაც გასწავლი, თორემ სირცხვილი იქმნება შენთვისაც, ჩემთვისაც ასეთი შენი უვიცობა, – ესაუბრებოდა ქალი თვის მოწაფეთა აჩრდილს.

თან მუშაობდა, წითელ მელნით აჭრელებდა რვეულებს.

მიდიოდა დრო. ქალის იმედი ხან იზრდებოდა, ლამის შეურყეველ რწმენად გარდაქმნილიყო; ხან კნინდებოდა, მჭლევდებოდა და მიმქრალ-მისუსტებული მზა იყო გადამტვრეულიყო, რომ უხმარი გამხდარიყო სამუდამოდ, მთლადაც უვარგი ქალის იმედთა რყევა იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ვაჟკაცი ხან მიუახლოვდებოდა მას, თავს დასტრიალებდა, ვით შეგულეებულს, და ქალიც მის მოძრაობაში, მის თვალებში, მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებში ჰპოვებდა უტყუარ საბუთებს თანაგრძნობისა თუ სურვილისა; ხან განზუდ გაუდგებოდა, შორს უვლიდა, კიდევ ერიდებოდა, და ქალიც მის თვალთა მიმქრალ იერში, მის ქცევაში სათავისოს ვეღარას კითხულობდა, ვეღარც რას ამჩნევდა; მისი იმედიც იწყებდა ამოქრობას, ჰკარგავდა ძალას ხალისის მომგვრელს და მაცოცხლებელს.

ოთარის ქცევა უნებლიეთი იყო, მისგან შეუმართებელი. ქალისადმი მისი ურთიერთობა იმაზედ იყო დამოკიდებული, რა დასკვნა უფრო ძლიერდებოდა იმ სულიერ ბრძოლაში, რომელსაც განიცდიდა ვაჟკაცი. ოთარი გარემოებათა გამო დაკავშირებული იყო საბედოს პიროვნებასთან, მაგრამ ქალი ვერ იზიდავდა იმას ისე მძლავრად, პირდაპირ მიემართა მისთვის და უნებლიედ მისულიყო მასთან. არც ყოველ მხრივ და ყოველ ჟამს თანაბარი იყო იგი ქალისადმი მიმზიდველობა, რომ ერთს განსაზღვრულ წრეზედ ევლო ვაჟკაცის მისწრაფებას, ერთს მანძილზედ ეტრიალნა საძიებელ საგნის გარშემო. ვაჟკაცის გონება ხან ისე მარჯვედ მოაწყობდა საბუთებს, კაცი მთლად დაუახლოვდებოდა ქალს, და მაშინ ეახლებოდა საბედოს

ნუგეში ფრთაჭრელი, განუბრწყინებდა თვალთა სინათლეს, აღუყვავებდა დაწვთა ფეროვნობას, ჩაუსახავდა ტკბილსა სიხარულს; ხან ისე აებნეოდნენ კაცს იგი საბუთები, ისე მისუსტდებოდნენ, რომ ქარწყლდებოდა, ჰქრებოდა მათი მადასტურებელი ძალა და განივლტოდა კაცი თავისაგანვე აღნიშნულ საგნისაგან; მაცოცხლებელი იმედი დაჰშორებოდა საბედოს, მიეფარებოდა მის თვალთახედვიდან, ნისლი მოედებოდა მას და თვალთ ნამი მოადგებოდა, ცრემლი სიბეჩავისა. ეს ყოველივე ხდებოდა იმისთვის, რომ მდუმარებდა ოთარის გული ერთ ალაგას შემდგარ-გაქვავებული. თუ ვაჟკაცის ფიქრი ქალისკენ დაიხრებოდა, გული ვერა ჰყვებოდა მას თან, რადგან მასში გრძნობებს ვერ აგზნებდა საბედოს სახე, დამწველ ნაპერწკლებს ტრფობისას; თუ ფიქრნი აშორდებოდნენ ქალს და უარჰყოფდნენ მას, გული ვერც მაშინ ჰყვებოდა მათ, რადგან იქაც, საბედოსაგან შორს, არა ჰხედავდა ის მიმზიდველ რამ ანდამატს, რომ ტალივით ზედ შემტვრევ-შეჭვრქვეოდა და ნაპერწკალი ტრფობისა ჩამოეკვნენა. ამოდ იდგა დაკვართული ვაჟკაცის ნებისყოფა და ელოდა ნიშანს უტყუარს, რომ წასწრაფებულებოდა სასურველ საგნისა თუ მოქმედებისაკენ; ნებისყოფა ღონდებოდა ამგვარ უმოქმედობით, მის შეგუბებულ ძალას გზა არ ეხსნებოდა სადენი და დულდა ადგილობრივ, ქაფდებოდა, შრებოდა.

– კარგია საბედო, მაგრამ მხოლოდ ალხობს გრძნობას, ოდნავ ათბობს; გულს კი ჰსურს დულდეს იგი და გადმოდიოდეს. მაინც როდემდის? ან ჰო, ან არა! გავიტანჯე მეც, გავაწამე ქალიც. ის ჩემს ფიქრებს თუ გრძნობებს უკლებლივ კითხულობს ჩემს თვალეში, გრძნობს ყოველ ჩემს მოძრაობაში და რა უფლება მაქვს განვაპატიჟო მძიმე ლოდინით?! ცხოვრებისაგანაც ეყოფა მას შეიწროება, სასტიკად მოწყობილ სიცოცხლისაგან, – ფიქრობდა ოთარი.

და ჯავრობდა თავის თავზედ.

– ეე, ჩემო კარგო, გაკლია გამბედავობა, ვერც იცი მტკიცე და გადაჭრილი ნაბიჯით სიარული. რა ვაჟკაცი ხარ, როდესაც ირხევი ნასახლარის ნარივითა, გადასდიხარ-გადმოსდიხარ ნაღვინები მთვრალივითა?! – აყვედრიდა ოთარი თავს.

ხომ ასეთ რყევაში იყო ოთარი, მაგრამ მაინც დღითი დღე იხრებოდა საძებრისკენ, თანისთანობით უახლოვდებოდა საბედოს; უარყოფა ნელ-ნელა მკრთალდებოდა, დასტურს სიცოცხლე ემატებოდა; ახლო ყოფნის სურვილი უძლიერდებოდა, ქალის ნახვა, მასთან მუსაიფი უფრორე უამებოდა ჩვეულებად გადაქცეული; სურვილი ებადებოდა შეჰხებოდა ქალს თუნდ შემთხვევით; უხაროდა, თუ რასმე მის სასიამოვნოს მოაგვარებდა ან სასარგებლოს. მაინც ისევ ძალიანა ფრთხილობდა ვაჟკაცი ყველაფერში: არ უნდოდა გარეშეთათვის ეგრძნობინებინა, ხალხის ყურადღება მიექცივნა თვის ქცევაზედ და უდროვოდ აელაპარაკებინა სოფელი; ეფიქრებოდა, ვაითუ ჩრდილი რამე მივაყენო ქალის სახელს და მით ვნება მოვუტანოვო. ამო სიფრთხილე! როგორ რა დაიმალებოდა გაშლილ ხელის გულზედ?! დაბის პატარა საზოგადოებაში ქალსაც, კაცსაც შესამჩნევი ადგილი ეჭირათ და მათი ყოველი მოქმედება, სიტყვა თუ მოძრაობა გათვალისწინებული ჰქონდა ყველას. უკვე გუმანი ჰქონდათ მიტანილი იმ განზრახვაზედ, რომელიც ახელმძღვანელებდა ქალ-ვაჟის ქცევას და მოქმედებას. მხოლოდ უმრავლესობას არა სჯეროდა კაცის გულწრფელობა და ეგონათ, მღვრიე მიზანი დაუსახავსო ქალის შესახებ.

– უფრთხილდეს საბედო, თორემ დაილუპება. ვინ ეგ, ვიღაც ლატაკი მასწავლებელი, ვინ ოთარი! დაიახლოვებს, მურაზს ეწევა, მერმე ხელსა ჰკრავს და

განშორდება. ალბად ბევრჯერ ჩაიდენდა მაგისტანა ბიჭობას იქ, მყინვარ ქვეყანაში; გაწაფული იქნება მაგვარ საქმეებში.

## 12

ხალხი უფრო აალაპარაკა ოთარისა და საბედოს ურთიერთობაზედ ერთმა შემთხვევამ. ეს ამბავი იყო იმისივე მიზეზი, რომ ოთარმა უფრო გაბედვით გადადგა ნაბიჯი თვის სურვილისაკენ; თითქმის საჯაროდ განაცხადა თვისი გულის ნადები.

საუნჯარაში არსებობდა საერო მთავრობის სკოლა. საეკლესიო სასწავლებელიც მოქმედობდა მის გვერდზედ. ამ სასწავლებელთა შორის ქიშპობა და მტრობა იყო ჩამოვარდნილი: საბედოს სასწავლებლის სიკეთე გულს ეკლად ესობოდათ სამრევლო სასწავლებლის გამგეებს. ამ ამბავს იქაურები ისე იყვნენ შეჩვეულნი, რომ უვნებელ რამ გასართობადღა მიაჩნდათ მოწყენილ და მოსაწყენ ცხოვრებაში. ნათლიღება დღე იყო. მთელი დაბა ფეხზედ იდგა საუკეთესოდ მორთულ-მოკაზმული. იქაური ხელისუფალნი პირველობდნენ სამოხელო მზინავ ტანისამოსში გამოკვართულები. ოთარი პირველ რიგში იდგა იორდანეზედ მსვლელობის დროს. ოქრომკედით მოჭედილ სკლატის ტალავარს დაშნა უმშვენებდა ტარფუნჯიანი, მარცხენაში სამკუთხი თავსარქმელი ეჭირა ბუზმენტით მოქარგული; მკერდს უმშვენებდნენ სამეცნიერო ნიშანი და ჯილდოდ ნაბობები სისხლის ჯვრები; თეთრი თათმანი მარჯვენიდან ოდნავ წაეძრო და ცერი აღმოეჩინა; იძვროდა დინჯის ნაბიჯით იქვე, სამღვდელოების უკან. შექუჩებულმა ხალხმა მისახვევში შეაიწროვა დიდებული ლიტანიობა და დეკანოზმა პეტრემ რომ დაინახა აქ მოსწავლენი, ხოლო მათ წინ მათი მასწავლებელი საბედო, შეუტია:

– რა გზაში ჩაგიყენებია შენი აბანძული შაგირდები და ფეხქვეშ გვედებით!

ქალმა ხმა არ გასცა. უკან მიაგდო მწკრივი სირცხვილისაგან გაწურულმა. ოთარს ჯავრი მოუვიდა და წარმოსთქვა ხმამაღლად:

– აცადეთ ყრმათა მათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყოვნებთ მათ, რამეთუ ეგვეითართა არს სასუფეველი ცათა!

მღვდელმა დამცინავის ღიმილით გადახედა ოთარს და განაგრძო გზა. თუმცა ახლო მდგომმა ყველამ შენიშნა ეს უხერხული შემთხვევა, მაინც არავინ შეიმჩნია და ამყად განაგრძობდნენ სეირის მაყურებელთა წინაშე თვის საზეიმო მსვლელობას. დღესასწაულის შემდეგაც აღარავინ ახსენა ეს უხერხული შემთხვევა, არც თვით დეკანოზმა. პატივსაცემი კაცი იყო ოთარ, თანაც იქაური მემამულე. არც დეკანოზი იყო უკანასკნელი იმ კრებულში და არავისთვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა მათზედ ლაყბობა თუ მათი ზრახვა. დეკანოზმა მხოლოდ იმითი მიაგო ოთარს მისაგებელი, რომ დაადასტურა უკვე ყრუდ გავრცელებული ამბავი ოთარის და საბედოს ურთიერთობის შესახებ.

– სწორედ რომ უადგილი ადგილას ჩაეხერგა ქალს თავისი მოწაფეები; ვეღარ მოვითმინე, შევნიშნე ზრდილობიანად. აღარ გამახსენდა, რომ ეგ ქალი დღეს თუ ხვალ შეიქმნება პატივცემული ოჯახის რძალი, პატივსადები ჩვენი მეზობელი.

– იმისთვისაც წაესარჩლა ოთარი, სამღვთო სიტყვები გადმოისროლა შენსკენ.

– ეჰ, დრო არ იყო შეკამათებისა, თორემ სამღვთო წერილის სიტყვებითვე ჩავუგუბებდი მას პირში წყალს.

საბედო ძალიან გაახარა ამ უეცარმა მისარჩლებამ, სიხარულის ელდა ეწია მის გულს, ერთს წამს მტკივნეულად შეიკუმშა ის და იქვე გადიშალა სასიამო ღიმილად. მოულოდნელი შემთხვევით არის აღსავსე ადამიანის ცხოვრება. ბოროტი დაემთხვა

ქალს გზაზედ, აფეთქდა ავი მის ფერხთ ქვეშ, მაგრამ ნაშალში ბოროტისა გამოუბრწყინდა ნატვრის თვალი პატიოსანი. სასიხარულო დღე გაუთენდა ქალწულს, სადღესასწაულო. გასცხოვლებოდა თეკლეს სიყვარული საბედოსადმი და არ მოეშვა დობილს, სანამ სიტყვა არ ჩამოართვა სადილზედ სწვევოდა მათ. ცოტა შეუგვიანდა ქალს. გოგო ეახლა, სუფრა გაშლილია და მობრძანდი, შენღა გელიანო. ქალს ემინოდა, სადილად დღევანდელ შემთხვევაზედ არ ჩამოაგდონო საუბარი და უხერხულადა ჰგრძნობდა თავს. ვაჟკაცი მიუხვდა მას და სულ სხვა საგნებზედ გააბა ბაასი, თან ისე მხიარულად, ისე მარილიანად, რომ სუფრაზედ იმ დღეს ღიმილი არ გამქრალა, არც სამხიარულო ნათელთა კრთომა ჩანელეებულა.

ამ დღიდან ცხადად დაეტყო ბედნიერების მზეს საბედოსკენ დაბრუნება; ქალის ყოფას დღითი დღე სინათლე ემატებოდა და სითბო მაცოცხლებელი; დადნა მის გარემო თოვლი მყინავი, განქარდა კვალი სასტიკი ზამთრისა; ჩაისახა ცხოვრების წიაღში მარცვალი მისის კეთილდღეობისა და იზრდებოდა იგი, ივსებოდა კეთილი ძალებით; მოწვენილ იყო ჟამი, როდესაც გაიღიმებდა კოკორი ნეტარებისა, გახლეჩდა ბაგეთ და პირს ვარდი გადაეფინებოდა ქალისთვის მიმზიდველი და თვალთწარმტაცი.

ქალ-ყრმათა შორის კავშირის გაძლიერება ისარივით ესობოდა საუნჯარის ქალწულებს, რომელთ ვერ შეეგნოთ, ვერ წარმოედგინათ, რად აირჩია ჭკვიანმა ოთარმა სადიასახლისოდ ვიღაც ეული, ხოლო მათი არშიყობა უგულულებელყო, მათი მისწრაფება უარყო და უკუაგდო.

– ალბად მეტისმეტად უაღერსებდა საბედო იმ კაცს და შეიჩვია.

– ცბიერი ქალია, გამოცდილი. იგრძნო, რა სათნო ხასიათის კაცთან აქვს საქმე და დაიახლოვა, შეიჩვია, რომ უფრო მაგრა დაეჭირა ხელში.

– მაგისტანებს მეტიც შეუძლიანთ! ეხლა თუ არ მიჰყვება ოთარი მაგის ნებას, საქვეყნოდ თავს მოსჭრის მოკრთალებულ ვაჟკაცს და გააწბილებს.

– ჩვენს ყარამანს უნდა დაახლოვებოდა საბედო, რომ ეწვნივ-ეგემა თვისი ქცევის შედეგი: ის არც დაზოგავდა მაგას, არც დაირცხვენდა; ხალხში დაიკვეხებდა თავის სიმამაცეს, საჯაროდ იტყოდა.

– რაც გინდა სთქვით და მაგისტანა თავწასულები უფრო გადიან ფონს. ჩვენ ესე ვსხედვართ ჩაღამებულ-ჩაზნელებულნი, ეგ კი საცაა ჯვარს დაიწერს საუკეთესო ვაჟკაცზედ. ვინც მიდიოდა, ფქვადა, ვინც არა და ჯერს კითხულობდა. გაბედულად წავიდა ეგ და ავი ჩამოფქვა თავისი საფქვავი, – დასძინა ჭორმეშიანთ მაიკომ.

რომელი აგერ ოცდაათ წელს გადასცილებოდა და ლამის უბედოდ ჩაჰშავებოდა თავისი ქალობა. სასძლოდ გამზადებულთა დედებსაც არ მოსწონდათ ოთარის გადაწყვეტილება და ჯავრობდნენ, რომ ისე მარჯვედ გამოაცალეს მათ ხელიდან სასურველი სასიძო. მანდილოსნებს თანაუგრძნობდა თვითონ ოთარის დედაც, თავს მართლულობდა მეგობრების წინაშე.

– არა, ქალო, ჩემთვის სრულებით არ უკითხავს ოთარს და აბა რას ვურჩევდი. რასაკვირველია, შეეძლო უკეთესი ქალი გამოეყვანა, უკეთესი გვარის შვილი, მეტ პატივსადები და არც ისე მთლად უფულ-უმზითვო, მაგრამ რაღა გაეწყობა ან რაღა მეთქმის? ეტყობა, ცოლქმრობის საქმე მართლა ზეცაში რიგდება.

– ისიც კი სათქმელია, რომ ეხლანდელი განათლებულები აღარავის ჰკითხავენ, აღარც დედ-მამას.

– მართალსა ბრძანებ, ჩემო მაკრინე: ურჩნი არიან ეხლანდელი მომავლები და თავის წვერანი. ჩემმა იოსებამაც ეგრე არა ჰქმნა, რომ დაჰკარგა სულის მშვიდობა და

ადარ იცის, როგორ უშველოს თავს ან საიდან. ბევრი ვებრძოლე მაშინ, მაგრამ ვერა გავაწყე რა. ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ცნებასა.

თეკლეს კი მოსწონდა თავისი ძმის არჩევანი: უყვარდა დობილი და უხაროდა მისი დანათესავება; ალლოთიც მიხვედრილიყო, რომ საბედო კარგ მეუღლეობას გაუწევდა მის ძმას და აზრიან დიასახლისობას თავის ოჯახს.

გამხიარულებულ საბედოს ეხლა ადარ ეფიქრებოდა აღარაფრისა, არც ყურადღებას აქცევდა სხვათა მსჯელობას თუ ფიქრ-გრძნობას: ღმერთი მისკენ იყო, ეშმა რამ მავნე როგორღა შეჰმართავდა მას? ბედნიერი იყო ქალი, მეტ სანატრელს ოცნებაშიც ვერ დაისახავდა და სტკბებოდა ლამაზი იღბლით. სიხარულისათვის გადახსნილიყო ქალწულის გული. რომ უყვარდა საბედოს თავისი ოთარი, მით მასში მოსწონდა სხვა ყველაც, ყოველი არსი და ქმნილება. ტრფობისაგან აცისკროვნებული მისი თვალები ველარა ჰხედავდნენ ბნელს, ადარ სწამდა წყვიდადის არსებობა საშინელ-საზარელი. სრული სიხარული მაინც ჯერ არ განეცადა ქალს პირისპირ და ხანდისხან ეს აღონებდა მის ლამაზ თვალებს. ჯერ არ ჩაეკოცნა ოთარს მისი მხურვალე ბაგე, არც მძლავრად მიეზიდნა იგი თავისკენ, რომ მჭიდროდ ჩაეკრა და სურვილით გაეწურნა ეშხიანად აზიდულ-აკოკრებული საგუბარნი იგი ნექტარისა.

– რად არის ესეთი მოკრთალებული?! ჰგონია მაწყენინებს, თუ ეხლავ ჩამიკონებს და შემეტრფის; ჰსურს ხელშეუხები წამაყენოს ეკლესიის წინაშე. როგორღა ითმენს?!

### 13

ილეოდა დრო რყევისა, ჰქრებოდა ჟამი ეჭვიანობისა: ოთარი ურიგდებოდა თავის ბედს, ეჩვევოდა იმ აზრს, რომ ჰპოვა თანამგზავრი ცხოვრებისა, რომელთან დაესახა მისთვის ბედს მოწყობა ოჯახისა. კაცი ძალიან აღარა ფრთხილობდა თავის ქცევაში, აღარც ვის ეკრძალებოდა, არცღა ჰძალავდა თავის გრძნობა-სურვილებს. ეხლა ხშირად იყო ქალი ოთარაანთსა ღამემდის; კაცი ბევრჯერ მარტო თითონ გამოაცილებდა ქალს მის სახლამდის. მაინც მათ ურთიერთობას ჯერეთ მჭიდრო მეგობრობის საზღვრისათვის არ გადაებიჯებინა, სამიჯნუროდ არ მოექდო ვაჟკაცს მკლავი ქალწულისათვის: ჯერ ისევ შესწევდა ღონე თავი შეემაგრებინა, უჟამოდ არ აეჩქეფებინა წყნარად მიმდინარე თვისი ცხოვრება. სწადდა სიტყვა საჯაროდ მიეცა ქალისათვის და მერმე მიახლებოდა მას. საკვირველი კი იყო, რომ არ იქნა და ვერ დაჰხწია ეს სიტყვა კაცმა თავის თავს, ვერ წარმოათქმევინა ვერასგზით. რამდენჯერ დაასკვნა ეთქვა სათქმელი და გაეთავებინა, გადაედგა უკანასკნელი ნაბიჯი; პირზედ მომდგარი სიტყვა ტუჩებზედ შრებოდა და ჰქრებოდა; ხოლო ქალი, სასურველ სიტყვის მომლოდნე ქალწული, გულნაკლულივე ჰშორდებოდა თვის რაინდს.

– რაინდს კი არა, უხასიათო რამ მამაკაცს ჯაბანს! – იტყოდა ქალი.

ელეოდა მოთმინება, ლამის თითონ აღმოეთქვა ის გარკვეული სიტყვა ტკბილსასმენი, რომელიც ვაჟკაცის სათქმელია ყოველთვის და ყოველგან. მეტადრე მაშინ უღელავდა საბედოს გული და სურვილთა ალით ეტკრიცებოდა უბიწო ხორცი, როცა ოთარ სიარულის დროს თითქო უნებლიეთ შეეხებოდა მას ან გამოთხოვებისას დიდხანს ეჭირა ხელში მთრთოლარე თითები ქალწულისა, თითქო ადარ ეთმოებოდა გაეშვა ხელი, გაბრუნებულიყო.

– ნუთუ არ იცის, რა სიხარულით მივიღებ მის ალერსს და იმისთვის იქცევა ისე მოკრძალებით?! ან იქნება ჯერ კიდევ მტკიცე არ არის მისი სურვილი და შიშობს გადმოდგას ნაბიჯი საბოლოოვ?! ალბად ასეა, თორემ არც ისე რბილი და გაუბედავი

ხასიათისა უნდა იყოს, თორემ სამსახურის ასრულებაში როგორღა იქნებოდა ისე პირდაპირი და შემმართველი, როგორც ამბობენ მისი მცნობები.

განვლო ზამთარმა. დადგა გაზაფხული. შეშრა მდნარ თოვლისაგან დამბალი დედამიწა, მოიფინა ყვავილოვანი მწვანით, გათბა სულდგმული, გაუჩნდა მას საზრდო და ბინა თავშესაფარი ტყესა და ველში. აივსო ქვეყანა სიცოცხლით, აჟიჟინდა-ახმაურდა სამხიარულოდ. კვლავ ამოდრავებულმა ბუნების საიდუმლო ძალებმა ააფრთოვანეს ადამიანიც, გაახალისეს, აგრძნობინეს სიცოცხლის დენა შემოქმედი, წაასწრაფეს უშრეტ წყაროსაკენ არსებობისა თუ ცხოვრების განგრძობისა, განახლდა, განცხოველდა ყოველივე. საამოდ ახმაურდა მთელი ბუნება. დაღაღებდა იგი და ჰგალობდა შემოქმედის სადიდებელ ხმას ტურფად შეწყობილს.

მოკველუცდა, მოიკაზმა დაბა საუნჯარაც. ზამთარში რომ ულაზათოდ გამოიყურებოდა ტალახმორეული, მოსაწყენად გულჩათხრობილ-ჩაშავებული. ეხლა ბაღჩები, ბაღები, მინდორ-ველი და ჭალა-ტყე შეიმოსა ხასხასი მწვანით, რომელს უხვად ჩაჰქსოვოდა ფერად-ფერადად შემკული ყვავილთა ჯგუფები. მეტადრე მშვენივრად მოსჩანდა ყვავილებით დაფენილი „კვერნაკი“ – საუნჯარას მშვენიება და სიამაყე. დაბა ვაკეზედ არის გაშენებული, ღელის პირას; აქეთ-იქით ბუჩქნარიანი გორაკები ჩასდევნენ და ზღუდავენ თვალთახედვას. სოფელი მთლადაც ჩამწყვდეული იქნებოდა, თუ სამხრეთისაკენ ძლიერ არა ფართოვდებოდას ღელე და თავისუფლად არ მოსჩანდეს აქეთ მხარეს დაცემული მინდვრები, ხოლო შორს, ცისკიდურზედ, ტყიანი მთა. დაბას თავს წარმოსდგომია ბორცვი რამ დაღარული, რომლის თხემზედ მცირე ვაკეა, სოფლისაკენ ოდნავ დახრილ-დაშვებული. აქ არა გვარობს ხე, ბუჩქნარიც არსად მოიპოვება; მხოლოდ ბალახით იმოსება მინდორი უხვით, ნოყიერით. გაზაფხულობით ეს ადგილი თაიგულია დაბის მაშვენი: ლამაზად მოსჩანს ქვეიდან ყვავილოვანი. ეს ადგილი არის აჩემებული საუნჯარელთაგან სასეირნოდ თუ გულის გასაყოლებლად. არც დიდი გზა იყო იქამდის, არც ძნელი. ახვიდოდი და მშვენიერი სანახები გარდაგეშლებოდა თვალთ წინ. ისე მოსჩანდა სოფელი, როგორც ხელისგულზედ; ყველა სახლი და ეზო შეგეძლო დაგეთვალიერებინა; უკლებლივ დასთვლიდი კომლექსობას თუ შენობას. „კვერნაკის“ იქით მხარეს ნიში იყო, დახავსებულ უზარმაზარი ლოდებით ნაშენი სამლოცველო. სამებას ეძახდნენ. აღდგომის მესამე დღეს იზიდავდა მლოცავს. უწინ დიდი ღლეობა იცოდა ამ ნიშმა, ეხლა მივიწყებული ჰქონდათ; რამდენიმე მოცლილი თუ ავიდოდა ამ დღეს სანთლის დასანთებლად. ოთარაანთ იმ დილით ნაცნობები ეწვივნენ და სადილის შემდეგ მოისურვეს კვერნაკზე გარონინება. წყვილ-წყვილად შეუდგნენ აღმართს. საბედო და ოთარი წინ მიდიოდნენ. ვერ ახერხებდნენ გაბმით საუბარს: ქალი აღელვებული ჩანდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხს აძლევდა, თან გული უფანცქალებდა, მკერდი უღელავდა, ად-ჩადიოდა წამწვანო ფანცის ქვეშ. ღელვამ და აღმართმა შეაწითლეს ქალი, ყაყაჩო აუყვავეს ღაწვებზე. ოდნავ შეზარხოშებულმა ოთარმა ნდომის თვალთ დახედა ქალწულს და მოუნდა მისი შეხება, მისი თბილ-ტკბილი სხეულის გრძნობა.

– ქალო, ხელი მომეცი, თორემ დაიღლები აღმართზედ, – უთხრა ვაჟმა.

და მკლავი მიუპყრო. საბედო გაუბედავად დაეყრდნო მის მარცხენას და სამადლობელი ღიმილი უძღვნა თვის კილოიანი თვალებით. მიდიოდნენ ზევ-ზევით ერთმანეთს მიკრულ-მიტოლებულნი და მთის არსებიდან ისწრაფოდნენ ერთმანეთის მიმზიდველ-მამებელი სხივები, რომ უჩინარ ნაკადსავით შეჭრთოდნენ ერთმანეთს და სამუდამოდ შეეკონათ ორი სხვადასხვა არსება ერთ არსად. ძლიერადა გრძნობდნენ ორივენი ამ საიდუმლო ძალთა მოქმედებას, მაგრამ სიტყვებში ვერა ხორციელდებოდა მათი გრძნობა: კდემამოსილობა არ აძლევდა ქალს მეტის თქმის

ნებას, ხოლო ვაჟის ნებისყოფას კიდევ რყევა შერჩენოდა თვის საფუძველში და ვერ გამომკრთალიყო შესაბამ მოძრაობით. ამოდლა იმაგრებდა ფეხს! უკვე გამოსცლოდა მას მკვიდრი ნიადაგი, თავქვესაკენ გადახრილიყო მთელი თვისი სიმძიმით და მხოლოდ მცირედი რამ მოძრაობალა იყო საჭირო, ოდნავი შერხევა, რომ დაშვებულიყო უფსკრულისაკენ, მიჭრილიყო იმ დასკვნამდის, რომელი ასეთი თანისთანობით იყო მომზადებული.

– ნეტავ ვიცოდდე, ადამიანი მართლა თითონა სჭედავს საკუთარ ბედს, თუ იგი ბედი გარეშე ძალთაგან არის წინადვე უცვალეზლად ნაქანდაკევი, დასკვნილ-განსაზღვრული, – სთქვა კაცმა იმ კილოთი, თითქო თავის თავს ეტყვისო შეუგნებლად.

– ეჰ, თუ ადამიანი თავის ბედის მქარგავ-მკერავი თითონვე იყოს, მაშინ ქვეყანაზედ გამეფდებოდა ნათელი ბედნიერება სანატრელი: ადამიანი ბუნებით მოყვარულია თავისი თავისაც, სხვისაც და თავისი ნებით, შეგნებულად ბოროტს არ ამძლავრებდა ცხოვრებაში, – მიუგო ქალმა.

და თითქო ნამმა შესცვარა მისი ნათელი თვალეზი, დაბინდა.

## 14

ოთარს ქალის თქმაში თუ ხმაში საბრალო რამ ბგერა მოესმა დაჩაგრულის გულისა, თითქო უპატრონოდ დარჩენილი ბაღლის უმწეო ძახილი, და შეხედა ქალს გულაჩუყებულმა; მის შენამულ თვალეზშიც იმავე სიბეჩავის ლანდი შენიშნა და განიმსჭვალა თანაგრძნობით სუსტ არსებისადმი.

– რა ვაჟკაცი ხარ, თუ ისე ჩახვალ საფლავში, ერთს მაინც არ გაახარებ, ერთს მაინც არ შესწირავ თუ შენს თავს არა, შენს გულისთქმას მაინც?! – აყვედრა კაცმა თავის თავს და თანაგრძნობის ნიშნად თავისკენ მიიზიდა მის მკლავზედ დანდობილი. ქალი ლაფანივით მოშვებულ-მოდუნებული მიჰყვა ვაჟს; არც თუ სახეზედ აუთამაშდა მას შუქურ იმედის ანარეკლი, თუნდ შორეულ ნუგეშის ლანდი. თითქო ეჭვი შეეტანა ქალს ვაჟკაცის სურვილთა სიმტკიცეში და სანდოდ აღარ მიაჩნდა მისი ტკბილი თქმა თუ სანუგეშო მოძრაობა.

– იქნება ამ საწყალს ისიცა ჰგონია, მხოლოდ დროს გასატარებლად დავუახლოვდი მას ან ტრფობის ყვავილთა მოსაკრებ-მოსათვლელად, როგორც მეკობარი გაქნილი; იქნება დარწმუნებულებიც არის, მსურს ვისარგებლო უპატიოსნომ მისი სისუსტით, – გაიფიქრა კაცმა.

და იწყინა ფრიად, შეელახა თავმოყვარეობა; ბრძოლის გუნებაზედ შეაყენა იგი ამ მოსაზრებამ, თავის თავთან ბრძოლის ყილილზედ. ავიდნენ გორაკზედ. შედგნენ შესასვენებლად. კვერნაკი უფრო მაღალი იყო, სანამ ის ბორცვები, რომლებიც სამი მხრივ ერტყნენ სოფელს და ზღუდავდნენ, ხშავდნენ იქ თვალთა ხედვის სივრცეს. აქედან თავისუფლად მოსჩანდა თვალუწვდენელი არე. დახრილ მზეს შეეალისფერებინა ნაგლეჯი ღრუბლების კიდეები, ხოლო ამწვანებული ტყისათვის ქვე დაეფრქვია სიმრავლე სხივთა. აქათ ცის ფეროვნება მოცრიატო იყო, თეთრ შუქნარევი; ცის გუმბათში უფრო ყინჩად მოჩანდა ლაჟვარდი, უფრო მაღალი თუ ღრმა. მთის აქეთ, დაფენილ მინდვრებზედ, შიგადაშიგ მოსჩანდნენ ბაღეზში ჩამსხდარი სოფლები, ხოლო მათ გარშემო დამუშავებული ან ჯეჯილით ამწვანებულ-აბიბინებული მინდვრები. დასავლეთიდან უბერავდა ნაზი ნიავი, გაჟღენთილი და აღსავსე ტყისა თუ ყვავილთა სუნნელებით.



– შეხედე, ქალო, რა მშვენიერი სანახაობაა გადაშლილი. სულით ვისვენებ, როცა აქა ვარ და დავყურებ ამ დიდებულ ბუნებას. შეჭხვდები ახალ-ახალ ძვირფას სურათებს ბუნებისას და თვალთწარმტაც სიმშვენიერეს, მაგრამ მე ეს ადგილი ყველაზედ უფრო მომწონს და მიყვარს.

– იმისთვის, ყმაწვილო, რომ აქა ხართ ბალღობიდანვე აღზრდილი; შესჩვევიხართ ამ ადგილს და შეგყვარებით; იქნება მემკვიდრეობითაც გადმოგეცათ ამ მიდამოს სიყვარული: მამა-პაპით აქაურები ხართ, აქაური მემამულენი.

– თქვენ კი არ გიყვართ ეს ადგილი. არ მოგწონთ?

– მამწონს. მეც ყოველთვის მიხარიან, როდესაც ამოვალ აქ. კვირა-უქმით ბავშვებსაც წამოვიყვან ხოლმე აქ სასეირნოდ. ჩემი გრძნობა მაინც ვერ შეედრება თქვენსას: მე მხოლოდ სტუმარი ვარ ამ მხარეს, ეული მუშაკი, აქეთ შემთხვევით გადმოტყორცნილი.

– და თუ აქაური შეიქმნები, მკვიდრი და პატრონი აქაური დედულ-მამულისა, მაშინ ნამდვილ შეგიყვარდება ეს მხარე, გაგიხარებს გულს აქაური მიწა-წყალი? – შეეკითხა ვაჟკაცი

და ჩახედა ქალს თვალეში. საბედომ სათავისო ხმები იცნო ვაჟკაცის თქმაში, იგრძნო ნანატრის სიახლოვე, მაგრამ ვერ გაბედა მთლად დაჰნდობოდა ნაგრძნობს; შეანათა ვაჟს თვალეხი დაუვიწყარის შეხედვით, რომელშიაც ერთად და ერთს დროს იხილვებოდა სიყვარულიც, სიხარულიც, ეჭვიც, იმედიც, შიშიც სანატრელის განცდის განქარვებისა. კაცმა შენიშნა ეს მრავალგვარ გრძნობათა ნაპერწკლები, მიიზიდა ქალი თავისკენ და ჩასჩურჩულა:

– ჩემო კარგო, ჩემო ჭკვიანო, მომეცი ნება, ეგ შენი გრძნობათა საუნჯე გული ჩემად დავსახო, ჩემ საყვარელ მეუღლედ გიგულო!

და ჩაუკოცნა ქალს სიხარულით განსხივებული თვალეხი. ქალი მიჰყვა საყვარელს, თვითც მოეჭდო ყელზედ და მეტის მღელვარებით ათრთოლებულმა ცრემლი დააფრქვია მის მკერდზედ, სიხარულის ცრემლი მღიმარე.

– ჩემო ბედნიერებავ! შენ მომანიჭე სიხარული უთქმელი და შენ შემოგველოს თავს ჩემი საწყალი სიცოცხლე...

იდგნენ ტრფიალნი გადახვეულ-გადაჭდობილნი და აღტაცებული ქალი აღარა გრძნობდა დროთა დენას, არც მიწას ფერხთ ქვეშ, არც გარემო მის არსებულ მსოფლიოს, გარდა იმ თავის რაინდისა, რომლის არსებაში ჩაედნო თავისი პიროვნება. ამოჩნდნენ კვერნაკზე სხვებიც. გამოერკვივნენ გრძნობას ახლად შემტკბარნი. მხიარულად წავიდნენ თავისიანებისაკენ.

ეხლა კი დასაფარ-დასამალავი აღარა ჰქონდა რა ვაჟკაცს და განუცხადა თავისებს, სიტყვა მივეციო ქალს. თეკლე სიხარულით გადაეხვია დობილს, თავის დას სასურველს; სადედამთილომ მიიზიდა სასძლო და აკოცა, მაგრამ მის ამბორს არ ეტყობოდა არც აღტაცება, არც დიდი სიხარული. ოთარის დედა ადრევე გრძნობდა, ქალ-ვაჟის ურთიერთობა ამ კავშირით დასრულდებოდა. არც თუ ბევრი რამე ჰქონდა მას ქალის წინააღმდეგ, მაგრამ თავის შვილისათვის მაინც უკეთეს მეუღლესა ნატრობდა, მშვენიერს, მდიდარს, დიდი ოჯახის შვილს, დიდებულ მისადევართა პატრონს.

– თუ ეკითხა, მოვუნახავდი შესაფერ ქალს, მაგრამ... ეჰ, ზეცამ აკურთხოს ამათი კავშირი! კიდეც კარგი, უცხო თესლი არ შემოიყვანა სახლში, არ შელახა მამაპაპეული კერა, – დაასკვნა დედამ.

და გული დაიმშვიდა. დაიწყო საბედოსათვის ჟამი ყოველ მხრივ სასიამოვნო და ეშხით მთვრალი. ის უგემური დღეები აღარ იყო ეს, ერთმანეთზედ გადაბმული დღე-

დამე, შრომისა და დრტვინვის გზაზედ ზანტად მიმდინარე; ეს დღეები მარგალიტებად ასხმული მისი ოცნებები იყო ცხადქმნილი, მისი ჭრელი ნატვრები უკვე ხორცსხმულნი, არსებაში მოსულნი.

– რა კარგია სიცოცხლე, რა ტკბილია არსებობა! რა ლამაზად შეუქმნია სახიერს ეს ქვეყანა, ტურფად მოწყობილი და მუნ არსებულიც ყოველივე!

ადრე ესე ცხადად არა გრძნობდა საბედო თავის შრომის სიამესაც, როდესაც ცოდნას წვეთ-წვეთად აწვდიდა მოზარდებს და ჰკვებავდა მათ სულიერად, როგორც მოყვარული დედა საყვარელ შვილებს.

– თითონ ბალებიც რომ ძალიან კარგები ყოფილან და საამონი! მათი ჟივილ-ხივილი და ცელქობა ანგელოსთა ხმაურობაა და ცქრიალ-ფარფატი სამოთხის ყვავილთა შორის. ერთი ჩახედე მათ თვალებში, თუ შიგ ნათელთა სხივი არ სჭვრიტო მხიარული.

– ჰა, ჰა, ჰა! მეთვალყურეც რომ კეთილი ყოფილა და ზრდილობიანი, სკოლის მეთვალყურე! მე კი ჭირივით მეჯავრებოდა საწყალი; როცა მოვიდოდა, ვუფრთხოდი. მისი ჩამოფხატული წარბები, წითელი ცხვირი შესიებული, ღრენით ნასროლი მკვახე სიტყვები... რაღაც გაურკვეველი შიში მქონდა მისი, შეუმართებელი. შეეძლო, ერთი კალმის მოსმით გავენადგურებინე. ეხლა რომ ვაკვირდები, სულ სხვანაირად მეჩვენება: კეთილი ადამიანი საფრთხობ გარეგნობით მოსილი! იცი? ღიმიც კი შევნიშნე მის ფარცხივით ულვაშებქვეშ, კეთილი ღიმილი!

გულუბრყვილოდ უხაროდა, რომ ქვეყანა ესეთი კარგი ყოფილა, ნათელი, ჰაზრიანი; მოსიყვარულე და სასიყვარულო არსებათა მიერ სავსებით სავსე. ეხლა დარწმუნებული იყო ქალი, თავის მხრითაც მეტს კეთილს შესძენდა სოფელს, სასიკეთო კვალს დაამჩნევდა თავის მოქმედებით: სურვილიცა ჰქონდა ამისი, უნარიც და აწ შეძლებაც.

– როგორ იქნება ისე განვლო ცხოვრების გზა, შენი მოსიყვარულე და სასიყვარულო არსების სახე არ აღბეჭდო მოყვასთა ცხოვრებაში?! – სთქვა ქალმა.

და დაკოცნა იაგუნდის ბეჭედი, საქმრომ რომ ამოურჩია საგვარეულო სამკაულებიდან და ბელგად მისცა.

რაკი საბოლოოვო ნაბიჯი გადადგა ოთარმა და წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვა, თითქო დაწყნარდა, ჩადგა თავის დარიჯაგში. მართალია, მისმა გარდაწყვეტილებამ ახალი სიამე რჩეული ვერ აგრძნობინა ვაჟკაცს, ვერც თუ აღტაცება საიშვიათო განაცდევინა, მაგრამ მაინც დაუმშვიდა სული და მოცლა მისცა მის გონებას მიეხედ-მოეხედა, გაეთვალისწინებინა სხვა საგნებიც მისწრაფებისა. რომ ჩააკვირდა თავის თავს, გაუკვირდა: თითქო მთლად წამოცალიერებულიყო კერძო მისწრაფებათაგან, მისი გონების თვალწინ აღარ მოსჩანდა მძიმე რამ საპირადო სურვილი. მისი სამსახური ერთხელ და სამუდამოდ გაკვერილ გზაზედ მიდიოდა, როგორც რამ ნაკადი ღორღიდან გაწმედილი წყალსადენში; ნივთიერი მისი ცხოვრება უზრუნველყოფილი იყო: რადგან ხელისუფალი რომ იყო და კარგ სასყიდელს იღებდა მთავრობისაგან, სახლ-კარი და მამულიცა ჰქონდა და უორკვეებდა წყაროს ცხოვრებისას. საკუთარი ცხოვრების მოწყობაც ეხლა უკვე უზრუნველყოფილი იყო: ამას იტვირთებდა საბედო, წაუძღვებოდა ამ მოვალეობას წყნარის და მოზომილი ნაბიჯით; იცოდა, ამ მხრივ არავითარი ღელვა არ დააწყდებოდა თავს, არც რამ სულის აღმაშფოთებელი ლანდი მოევილინებოდა მას თავის მეუღლის სახით.

– შინაური პური შეიქმნება საბედო ჩემთვის, სახლისათვის: შემრგო, გამყოლი, ბარაქიანი. ახ, მურასა არ არის თეთრ-წითლად დაბროწილი, მაგრამ რა ვუყოთ: ყველას ხომ სეფეწულად არა სცნობს ბუნება, რომ სეფისკვერი მიაერთვას, რჩეული ნამცხვარი საიასალო, – ფიქრობდა ოთარი.

და გონების თვალთ ეძებდა იმ საგანს, რომელიც შესძლებდა თავისზედ მიექცივ- მიეზიდნა მის სულის ძალთა ნამეტნავი, აევსო მისი ჯერ ისევ წამონაკლულელებული ჭური სიცოცხლისა. ამ გარემოებაში მყოფმა ოთარმა მიაბყრო ყურადღება საზოგადო საქმეებს, სამშობლოსათვის ხელის ასაბყრობლად საჭირო საშრომს და საგონებელს. ეს საგანი ახალი არ იყო მისთვის; სკოლაშივე მისი სატრფიალო იყო იგი და გულწრფელად ამზადებდა თავის თავს ამგვარ მოღვაწეობისათვის. ოთარი ჰსახავდა თავის თავს ერთ იმ გმირთაგანად, რომელთ ვალად ედვათ მძლე მარჯვენით ჩასწვდომოდნენ უფსკრულში მდგარ მძიმე აკვანს, რომ აეხსნათ არტახები, ამოეყვანათ ჯადოსანთაგან მიძინებული ბედი ქართველისა, გაეღვიძებინათ იგი, აღეზარდათ, აეღორძინებინათ, შთაენერგათ მისთვის უნარი კეთილმოქმედებისა, წარემართათ მსვლელობა მისი საბედნიეროდ. სწავლის გათავების შემდეგ ოთარს სამსახური უცხო ქვეყანაში მოუხდა, მაგრამ თავისი პირველი მისწრაფება არ დაჰვიწყებია; მეტადაც განუცხოველდა სურვილი: სამშობლოდან შორს მყოფს უფრო გაუტკბა მშობელი მხარე. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ ოთარის სულში ჯერ პირადმა მისწრაფებამ დასჭარბა, საკუთარი ბედის გაკვლევის სურვილმა; ამან შეაფერხა მისი გამოსვლა საჯარო სარბიელზედ.

– ჯერ ოჯახს მოვეკიდო, პირად ცხოვრების არე მკვიდრად შემოვფარგლო და როცა მყარ ნიადაგს ვიგრძნობ ფერხთ ქვეშ, მაშინ გავაფართოვებ ჩემს მოქმედებას, სახალხო საქმეებში გავიტან აზრს და უნარს ჩემის შრომისას, – ფიქრობდა იგი.

სახელმწიფო სამსახური არ მიაჩნდა საზოგადო მოღვაწეობად. შეგნებული ჰქონდა, რომ სახელმწიფო განმგებლობა, ყოველგვარი და ყოველ დარგში, ვერ ემსახურებოდა ხალხის კეთილდღეობას და მის სულიერ თუ ნივთიერ აღორძინება-წარმატებას. ეს იმიტომ, რომ წეს-წყობილება არ გამომდინარებდა ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან, არც ამ ცხოვრებაზედ იყო გამოჭრილი და არ შეეძლო მის არსებითი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ხალხს უნდოდა საკუთარი ცხოვრების განვითარება, საკუთარი მიზნისადმი მისწრაფება თავისივე საშუალებით. აუცილებელი იყო ერის ჭირისუფლობა თავს ედვათ მის შეგნებულ შვილებს. ოთარისთანა ხალხს ვალად ედვა ორმაგი მუშაობა: ერთი შესაფერი იმ გეგმისა, რომელსაც განავითარებდა უხენაესი ძალა და რომლის ასასრულებლად იყო ის დაქირავებული; მეორე საკუთარი, თავისებური, შორიდან მოწოდებულ გეგმის გარეშე მდგარი, სულ სხვა გზისაკენ მიმართული.

ოთარიც მოვალე იყო ხელი წახემარებინა თავის ხალხისათვის. თუ ვერ იხსნიდა მას განსაცდელისაგან, ცოტად მაინც შეაჩერებდა უფსკრულისაკენ დაქანებულს. ესეც კარგი სამსახური იქნებოდა: ამისთანა მუშაკნი განავითარებდნენ ხალხს, შეიმაგრებდნენ მას, ნებას არ მისცემდნენ წარწყმედის ჟამს უსახოს მსწრაფლ მიახლებოდა განწირულს. შეიძლებოდა იქამდინ შეეჩერებინათ ერის დანთქმა, მანამ განგება მოწყალის თვალთ გადმოხედავდა თავის გაჩენილ ერს და წარმოუვლენდა მხსნელ კაცდმერთს, რომელი დასთრგუნავდა სიკვდილით თვისით სიკვდილს ხალხისას და აღადგენდა მას ახალი ცხოვრებისათვის.

ხალხი, შემკრებლობითი იგი პიროვნება, ხომ მით განსხვავდება კერძო პირისაგან, რომ ჟამითი-ჟამად ფენიკსებრ განახლდება ახალი ცხოვრებისათვის,

როგორც უკვდავი წევრი უკვდავის კაცობრიობისა; ხოლო მის განახლებას წინ უძღვის მხსნელი ხალხისა, აღთქმული მესია ცხოვრების მომნიჭებელი.

– მოველინება ქართველთა ერსაც მესია მხსნელი, აღმადგენელი მისი და განმაახლებელი! იმ დიდებულ ზეკაცს წინ უნდა უძლოდეს გუნდი მცირე მუშაკთა, რომელნი გაჰკვალავენ გზას ეკლიანს, ძნელად სავალს, შეამზადებენ იმ ძლევიტ მომავლისათვის შარას ფართეს და დიდებულს. მეც მინდა ვერიო იმ წინამორბედთა დასში, მსურს ვეზიარო იმ მახარობელთა ღვაწლს! – ფიქრობდა ოთარი.

განიზრახა, ეხლა კი წასძლოლოდა წინ იმ ეროვნულ მოთხოვნილებებს, რომელნი ელოდნენ უანგარო მუშაკთ გატაცებულთ, ხოლო სასყიდლად აღუთქვამდნენ ტანჯვას და კაემანს.

– არა უშავს რა! იგი შრომა და ტანჯვა მაინც მიმზიდველია: ის ერთადერთი გზაა ხალხის ხსნად მიმართული, მის ჭირთა გამქარვებელი, – დაასკვნა ოთარმა.

აივსო მხნეობით, წელში გაიმართა, მებრძოლის სახე მიიიღო მედგრად შემმართებელისა. თითქო მტკიცე იყო განზრახვა მისი და ურყეველი, გონების სასწორზედ აწონილ-დაწონილი, აზრთა მიერ უკლებლივ გაანგარიშებული; გარნა უკვირდა ვაჟკაცს, რომ გული აღფრთოვანებით არ ასდევდა მის ფიქრთა სრბოლას, არც მის ნებისყოფას ემჩნევოდა ძლიერება მედგრად მიმდინარე, ზღვის კაბადონზედ მოცეკვავე ტალღებივით ძალთა სიმრავლით აღსავსე. გრძნობათა არეში და ნებისყოფის მიდამოებში ისევ სინაკლულე მოსჩანდა ფერმიხდილი, უილაჯო, უხალისო, თითქო უმადური.

– ალბად დროებითი მდგომარეობაა ეს ჩემი, ახალი ნაბიჯის შედეგი, უჩვევ პირადი ყოფისაგან გამოწვეული. ჩემი გულიც, ჩემი ნებისყოფაც შეეჩვევიან და მთლადაც შეექსვიან ჩემს გადაწყვეტილ განზრახვას; ისინიც ჩემი აზრისავით მოიწონებენ უკვე სამუდამოდ ჩემგან არჩეულ და ხელდასხმულ ჩემს საბედოსა. მადლობელნიც დამრჩებიან გრძნობები და სურვილები! საბედო მთლად არ ჩაიხვევს მათ, სავსებით არ შეიხმარებს მათ ძალებს, არც დაიმონებს; მით გაუხსნის იმათ ფართო სარბიელს უდიდეს სიყვარულისადმი დაჩაგრულ სამშობლოს ტრფობისადმი, – გაიფიქრა ოთარმა.

ამ მანუგემებელმა დასკვნამ მაინც ვერ დააამა ოთარის პიროვნება, ვერც სავსებით აავსო იგი: მას ისევ სწყუროდა პირადი ტრფობა აღტაცებული და ტკბილად მწველი. ეგონა, მაშინ მხიარულად გადაიშლებოდა მისი არსება იმ დიად საქმისათვისაც სიყვარულისა, გონება რომ უჩვენებდა მას სივრცეში. მაინც ნებისყოფა, გონების ურჩი იგი ნებისყოფა იჭვით უმზერდა აზრს და ისევ გულს შეჰყურებდა გატაცებით: გულს დაჰმძიჯნურებოდა ის საბოლოოდ, უხაროდა მხოლოდ მისი მორჩილება, მისდა საამოდ შრომა თუ ბრძოლა.

– აი, ჩემო კარგო, როგორ სასიკეთოდ იმოქმედე ჩემზედ, სასარგებლო გზაზედ შემაყენე, რახან ჩემად გიგულე და აზრი დავიმშვიდე. ყველა მძიმე საზრუნავისაგან თავისუფალნი ვართ ეხლა მე და შენ, მოცლილნი: ნივთიერად უზრუნველყოფილნი, ამის ფიქრი ნურასოდეს ნუ გექნება; სამსახურში მეტი დაწინაურება მომელის ნამდვილ; საოჯახო საქმე ისეთ მკვიდრ ბურჯზედ დამიყენებია, როგორიცა ხარ შენ, ჩემო ჰკვიანო და წინდახედულო. რაღა მაქვს საზრუნველ-საფიქრებელი, თუ არ საზოგადო საქმე, რომელიც ესე გზააბნეულია ჩვენში და ითხოვს ყველა ჩვენთაგან ხელის აბყრობას?! – ეუბნებოდა ოთარი თავის დანიშნულს.

და სუფთად ნათალ თითებს თითო-თითოდ უკეცავდა მას მისსავე ხელისგულზედ. ქალის ხელი თრთოდა ვაჟკაცის მუჭაში, გრძნობათა ღელვა ტალღასავით აქანებდა ქალის მკერდს და არხევდა ყოველ ძარღვს ნდომით გამსჭვალულ მისის სხეულისას; სურვილთა იგი ფურთვნა ელვასებურ სინათლედ კრთებოდა მის მეტყველ თვალთაგან. ქალი აეტანა ძლიერ ლტოლვილებას, ალერსი სწყუროდა მას განაზებული; ვნებათა თრთოლვას საკოცნელად გაეხლიჩნა მისი ბაგე და მისი ალაკრული ტუჩები თითონ ეძებდნენ ამბორს ტრფობისას; გრძნობისა ბორცვნი აღივებულნი ისწრაფიდნენ, შეჰკონებოდნენ ვაჟკაცის მკერდს მტკიცეს, რომ დაეცხროთ იქ და დაეწურნათ სურვილთ სიმწვავე მთლად უძლეველი; ქალის ბუნება ვნებათა მფრქვეველ ცეცხლად აღზნებულისყო, ჩაენავლა ნებისყოფა; ლამის ქალი თითონ შემოჰხვევოდა ვაჟკაცს ყელზედ კდელა დამწვარი. ის კი, რჩეული მისი რაინდი, დინჯ მსჯელობაში გართულისყო და განუმარტავდა ქალს მომავალი ცხოვრების გეგმას, როგორც რამ გაკვეთილს უგემურს, წვრთნას მოსაწყენს! ქალი თავს უქნევდა კაცს, რალაზედაც ეთანხმებოდა, თითქო პასუხსაც აძლევდა, მაგრამ შეუგნებლად, მთლად უფიქრელად: ვერ გაეგო, როგორღა შეიძლებოდა ამ ჟამს სხვა საგანზედ საუბარი, თუნდ წამიერი ფიქრი.

მოატანა შუალამემ. ლამპრის ალმა ნელ-ნელა ჩაიწია. ბინდ-ბუნდმა მოიცვა ოთახი. საგნები აჩრდილთ დაემსგავსნენ, შეუერთდნენ ერთმანეთს, დაკარგეს საკუთარი სახე განკერძოებული. გადნა, ჩაიფერფლა, განქარდა ქალწულის კდელა; უნებლიეთ წაიწია მან ვაჟკაცისაკენ, შემოეჭდო ყელს, ჩასჩურჩულა ვნებით გამსჭვალულ მთრთოლარე ხმით:

– თავს შემოგველე, ჩემო ყველავე!

ვაჟკაცმა მკლავი მოჰხვია წელზედ, მიიჩნია თვისკენ ლელწამტანი, დაუკოცნა ჩახსნილ გულისპირით ამომჯდარი ძუძუს თავი. ლაფანივით მოეშვა ქალი, ჩაუჯდა კალთაში, მოექნა ზედ სურვილთა ტალღით აზიდულ-ატივტივებული. უკვე განიცდიდა ვნებული დასაწყისს იმ ნეტარებისას, რომელი ერთს წამს აგემებს ქმნილებას მთელის სამყაროს სიტკბოებას საოცნებოს; მაგრამ ვაჟკაცი მოეგო თავს, კვლავ გადუკოცნა ქალწულს ტუჩ-ბაგე და ფრთხილად გადასვა კალთიდან სკამზედ.

– ლამპარი ქრება, გენაცვალე, სანთელი ააშუქე.

ქალმა ჯერ ვერ გაიგო, რასა თხოულობდნენ მისგან ან ესე სასტიკად რად გამოაფხიზლეს სანატრელ ზმანებისაგან; ერთს ხანს რეტად აყოლებდა მიბინდულ თვალს, ღელვის სიმძლავრით შემძიმებულს; მერმელა გამოერკვა, მოვიდა გონს და ამოიოხრა. სანთლის შუქმა ჩამოაცალა ქალს გრძნობათაგან ნაკვესი ციაგი და დაანახა სიშიშვლე თვისის არსებისა მარად ფიქრთა ტალავარით მოსილ ვაჟკაცის წინაშე. შეკრთა ქალი. ეჯავრა, რომ ისე დაჰრია მას ხელი ჭარბმა სურვილმა და ეს მაშინ, როცა ვაჟკაცმა შეიმაგრა თავი, არ გადასცდა გრილად მოზომილ გრძნობათა ფარგალს. გგონია ქალი მადლობელი იყო ვაჟკაცისა? სრულებითაც არა! მისი გონებაც კი არავითარ სამადლობელ საგანს არა ჰხედავდა აქ კაცის მხრივ. რაკი სიტყვა სთქვა, რახან თავისი უწოდა ქალს და მისი გულიც სათავისოდ დაინახა, უკვე ერთმანეთისანი იყვნენ ისინი; ამის შემდეგ საეკლესიო წესის შესრულება მხოლოდ გარეგანი მოქმედებალა იყო, დასტური კანონისა უკვე ერთქმნილ მოტრფიალეთა მაერთებელი, საჯარო რამ აჩრდილი განხორციელებულის სურვილისა.

– რადღა აფასებს ესე დიდად იმ გარეგან სახეს ერთობისას? ან თუ აფასებს, რასღა ეკრძალვის, რისა ეშინის, რად აყოვნებს ჯვარის დაწერას? იქნებ ჰგონია, კვლავ რამე შესცვლის ამ ჩვენს დასკვნასა?! სიკვდილსღა ძალუმს ჩასჭრას ჩვენ შორის მტკიცედ ნაბეჭი ტრფობის კავშირი!..

– სიკვდილს კი ძალუმს განაშოროს მოყვარულთ გულნი? განა სიყვარული ისევე საუკუნო არ არის და დაუსრულებელი, როგორც შემოქმედი სახიერი, რომელი თვით არს სიყვარული სამარადისო?! – ჰკვირობდა ქალი.

და ვერ შეეგნო ოთარის ქცევა, მისგან ყოვნება, რაღაც მზადება და ცივი განსჯა მომავალის მოქმედებისა.

– ტრფობის გარეშე ხომ ყოველივე უბრალოა და შემთხვევითი, მოსაპოვებელ-წასაგები ამაოება, რომლის მოაზრებას თუ გაკეთებას მოასწრობს ადამიანი თავის შემდეგ ცხოვრებაშიც, – მსჯელობდა ქალი.

გაოცდა, როცა საქმრომ დინჯად ამცნო მას:

– იცი, ჩემო კარგო, გახსნილდება პეტრე-პავლობის მარხვა და ჯვარიც დავიწეროთ. მანამდის მე ჩემ საქმეებს მოვაწესრიგებ და დავათავებ, რომ ერთი-ორი თვე მაინც გვქონდეს თავისუფალი. შენც მორჩები შენ სასწავლებლის საქმეებს, დაათავებ ყველაფერს და ჩააბარებ მმართველს ისე, რომ შენ შემდეგ არაფერი ძველი ანგარიში არ დარჩეს გასასწორებელი. მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში საპატიო მზრუნველი იქმნები ამ სკოლისა.

რა ჰკვიანური იყო დანიშნულის თქმა, რა წინადახედული იყო მისი მოსაზრება! ყოველსავე წვლილს სისწორით ითვალისწინებდა და სწონავდა მისი აუღელვებელი გონება, დინჯად მჭვრეტელი მისი სული. რა უშავდა ქალს ცხოვრებაში ამისთანა უებროდ მომქმედ ადამიანის გვერდით?! არაფერი!

რა ცივი იყო იგი მისი მსჯელობა, აღტაცებას მთლად მოკლებულია დინჯად მავალი აზრი მისი! სად არის გრძნობათა ჩქეფა აქაფებული, რომელი რღვნის, ჰგლეჯს, ანადგურებს თვის გზაზედ ხელოვნურად ნაქსოვ ფიქრთა ქსელს, წამს იმორჩილებს ნებისყოფას, ახელებს თვით ბრძენს, ატვირთებინებს მას საოცარ რამ მოქმედებას შეუსაბამოს? სად არის ის მძლეთა მძლე მისწრაფება, რომელი მსწრაფლ განვითარდება ადამიანის არსებაში, ვითა გრიგალი და შეუზომ-შეუგნებელად მიმოაქროლებს სანეტარო არეში მას, ყოვლად ნეტარს; მთელს დუნიაზედ მხოლოდღა ჰხედავს იგი თვის ბედის ვარსკვლავს ციაგის მფრქვეველს და მიჰქრის მისკენ.

– ვერა ვხედავთ ამა შენს ოთარში, ჩვენო ქალთა მზევ! ვერ შესძარ მასში ძალა მძლეთა მძლე, წარმღვნელ-წარმტაცი მოსაზრებათა, ფართედ განმხვები საზეიმო რამ კარის-ბჭეთა, რომლით ისწრაფის, ვით სხივი მზისა სულის სწორი! – ეტყოდნენ საბედოს გულნატკენნი მისი ძუმუნნი

და თვალთ ცრემლი მოსდიოდათ კოვბად მიყუჟულ-მიტოლებულთ.

– არ გინახავს ქალწული ძუმუ მარგალიტის ცრემლით მჭმუნვარე თვალზედ? არც მოდიმარზედ? მაშ რაღა გინახავს?!

გამოეთხოვა ოთარი თავის დანიშნულს: დაემშვიდობა, ხელზედ აკოცა. განა ხელისგული დაუკოცნა ლბილი და მგრძნობიარე; ხელის ზურგზედ შეახო ტუჩი, როგორც რომ უცხომ და გამრიელმა. ქალს უნდოდა ბნელაშიც გაჰყოლოდა ვაჟკაცს, ჰსურდა მასთან ერთად შეეხედნა უძირო ცისათვის, ბრწყინვალე თვალებს რომ აჟუჟუნებდა უსაზღვრო; გული უთხრობდა ეჩვენებინა საყვარლისათვის ცის კამარაზედ ის ობოლი ვარსკვლავი, რომელიც ბალღობიდანვე ჰქონდა საბედოს აჩემებული, რომელს გაანდობდა თვის გულისნადებს საიდუმლოს.

– ნეტა რაღა ხარ, ჩემო ვაჟკაცო, მარად დაბრძნობილ-დადინჯებული. რად არ ჰხელდები ჩემს სიახლეს, რომ გავგიტაცოს გიჟურმა ლტოლვამ ედემისაკენ მოელვარისა? შენ არ იცი, რა ყვავილებით არის იგი მოფენილი, დამათრობელ სუნნელებით გაჟღენთილ-შეზავებული!

– შენვე ხარ დამნაშავე, ჩემო საბედო, თითონ შენ! გიყვარვარ, მაგრამ შენმა სიყვარულმა მხოლოდ მიმიზიდა, ვერ კი შემბორკა უტეხი ჯაჭვით, თავდავიწყების გრდემლზედ ნაჭედით, ვერ დამიმონა ტკბილი მონობით და ვერც მიმწურა იმ დავიწყებად თუ უარყოფად თავის თავისა, რომლის ფსკერზეა ნეტარება გამოუთქმელი.

17

ქალაქს მისთვის ეშურებოდა ოთარი, რომ გამგებელი მათის უწყებისა საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას სამკურნალოდ. მას კი უნდოდა უთუოდ იმისთვის მიეთვალნა მოქმედების ანგარიში:

– წავალ, წარვუდგენ ყველაფერს, დავათავებ ყოველ დავალებას და მერმე შემემძლება მთელი ზაფხული შევისვენო, თავისუფლად გავატაროთ დრო და სიამით.

უფროსის სახლში წინადაც ყოფილიყო ოთარი, იცნობდა მის ცოლსაც, ქალებსაც. დიასახლისი ქართველი იყო. ქალებს აღარაფერი ემჩნეოდათ ქართველობისა: არც სახე, არც ქცევა-ყოფა, აღარც თუ ენა. შახი ქცევისანი იყვნენ. ცხვირაწეულნი, თვალებგამორეცხილნი. მათი დედ-მამა ნდომის თვალთ უყურებდა ოთარს, როგორც ხელსაყრელ სასიძოს, განათლებულს, შეძლებულს, საიმედო ხელისუფალს. ქალაქს რომ მიდიოდა, წარმოდგენილი ჰქონდა, როგორი ყურადღებით მიიღებდნენ მას იმ ოჯახში, რა ნაზი არშიყობით აჰხედ-დაჰხედავდნენ მას იგი ზერდაგი ქალწულნი, რა პრანჭვით მიეალერსებოდნენ მას. მათი ლაპარაკი, სარეკელას განუწყვეტელი რაკრაკი!

– არ კი შეიძლება გამხილება იმათთან, რომ დანიშნული ვარ. მაშინვე გაგრილდება დიასახლისის თბილი გული ჩემდამი და მაშასადამე თვით მეუფროსესიც. ტუჩს ამიკრავენ ქალები, როცა გაიგებენ, ვინ ავირჩიე; იწყენენ, რომ დიდებული კაცის შვილები უარვყავ და მასწავლებელ ქალს მოვკიდე ხელი ღარიბ-ლატაკს. ნეტა რომელი უფრო გაწყრება, უფროსი თუ უმცროსი? უფროსი, რასაკვირველია!

ვაჟკაცი რომ ამისთანა ფიქრებში იყო გართული და არ ემძიმებოდა დანიშნულის თუნდ დროებით დატოვება, საბედო ძალიან დაადარდიანა მისმა წასვლამ. შიში ჩაუვარდა ქალს გულში, თუმც თითქო უნიადაგო. ესმოდა, რომ ვაჟკაცი ისე ვერ გამოეხმებოდა მის ლეჩაქის ყურს, აღარ მოჰშორებოდა არც ერთს წამს. ათასი საქმე ჰქონდა მას, იძულებული იყო ხან იქით წასულიყო, ხან აქეთ. ვერც შემდეგ შესძლებდა მარად ცოლის მუხლთან ჯდომას და ტუჩაუშორებლივ მის კოცნას. ეს ესმოდა ქალს. გული მაინც ელმოდა, უკვნესოდა, ეტანჯებოდა.

– ათასი ხიფათი სდევს მგზავრობას; რომ მოუვიდეს რამ, რაღა მეშველება ან რაღა წყალში ჩავვარდე! განა საკვირველი იქნება ეს ჩემი უბედო ბედისაგან? ვინ იცის, რა ავი თვალი აადევნეს ჩემმა ტოლებმა. ველარ მოუსვენიათ ბოროტებს, რაც გაიგეს ჩემი დანიშვნა; ყველა ღონისძიებასა ხმარობენ, გზა ჩამიჭრან და მავნონ რამე, – სთქვა ქალმა.

და შებრუნდა შინ, სანთელი აანთო ხატის წინ. ევედრებოდა მეუფეს, კეთილი მგზავრობა მიენიჭებინა ვაჟკაცისათვის, ანგელოსი მცველი წარეგზავნა მის თანამგზავრად, რომ ბოროტი არ წაჰკიდებოდა მას. იმასაც ევედრებოდა ქალი თვის გულის სიღრმეში, ეხსნა და განერინებინა მაცთურთაგან, რომელნი მრავალ სახედ მოველინებიან ვაჟკაცთ, ხშირად მხიბლავ მშვენიერებად, რათა წარსტაცონ გული,

დაუტყვევონ ნებისყოფა, სისხლი ამოსწოვონ თვისი ცეცხლებრივი შეხებით, უკანასკნელი წვეთი სისხლისა.

– მაგრამ სიყვარული ხომ სპეტაკი მოვლენაა, წმიდა, ხოლო სიწმიდეს ვერ გაეკარება ვერც თვით სატანა, – ინუგეშებდა ქალი გულს გატეხილს.

მაინც მღელვარებდა, ვერ დაწყნარდა მთელი დღე. ძილმაც ვერ მოუტანა ტანჯულს დავიწყება, არც დასვენება. ცუდი სიზმარი ნახა: მისი ოთარი მოსულიყო და მისთვის საჩუქრად მოეტანა მინანქრით მოოჭვილი ალმასი დანა. ქალის ხელში თავის თავად გაიხსნა მახვილი და ძლიერად გაიწია მისი მკერდისკენ. საბედოს უნდოდა გადაეგდო დანა, მაგრამ ველარ შემოხსნა მის ტარს თითები, ველარც მკლავი წარმართა სხვა მხარისაკენ. ოთარი კი უგრძნობლად იდგა მის წინ თვალგამტერებული, თითქო ვერა ჰხედავდა განწირულ ბრძოლას, ვერც თუ ამჩნევდა. გაიბრძოლა ქალმა, დაიძახა განაწამებმა და თვალები ღია დაჰრჩა. ჭირის ოფლში გაწურულიყო. შეაკრთო და შეაშფოთა ქალი უცნაურმა სიზმარმა.

– ნეტა რას ჰნიშნავს ეს ლახვარი, საყვარლისაგან შორით მოძღვნილი? ან რა არის მახვილის სწრაფვა ძლიერი, ჩემის გულის გასაგმირად მომართული?!

საგონებელს ჩავარდნილიყო საბედო მწარეს. საწყინარს ეუბნებოდა. გულნაკლულობას მოელოდა ვაჟკაცის მხრივ უნებურს; ვაჰ, თუ გზააუქცეველ უბედურებას, გულის გამპობელს.

ოთარი კი მიდიოდა ქალაქს და დაწყნარებით ანგარიშობდა ყველაფერს, რაც უნდა გაეკეთებინა იქ; გასთვლიდა ყოველსავე, რაც უნდა მოეხერხებინა უფროსის გულის მოსაგებად, თავის თავის სამსახურში წინ წასაწევად. დინჯად ჰზომავდა და ბჭობდა, არც არაფერი ახარებდა მას მეტისმეტად, არც არაფერი აღონებდა. მის გრძნობათა ნაკადი დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდა უკვე გაკვალთ სადენში, საყოველღეო ცხოვრებისაგან გაჭრილ, სამუდამოდ გაწმენდილ ხევით: ოთარი ცოლს ირთავდა, რადგან ესეთი იყო ჩვეულებრივი სახე ცხოვრებისა. ქალის დანიშვნაში მხოლოდ სარგო მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, სარგებლობის და აუცილებლობის თვალსაზრისით. ჰხედავდა, შეასრულა მოვალეობა, როგორც წევრმან მცხოვრებ ხალხისა და უკვე ჩადგა იმ საერთო კვალში, რომელზედაც მიდიოდა ათასი სხვა მის მაგვარი თუ მის ფერი. მართალია, მის სულის სიღრმეში უსიამოვნო რამ სიმძიმეს დაესადგურებინა და უკმაყოფილების ხმას აწვდიდა ოთარს, მაგრამ ეს ყრუ სამდურავი მის არჩევანს კი არ შეეხებოდა, არამედ ბედისაკენ იყო მიმართული.

– სისასტიკე იხმარა ბედმა ჩემს წინააღმდეგ; ერთს წუთსაც არ განმაცდევინა ის უძლიერესი ვნება, რომელითურმე ერთსა და იმავე დროს აჩვენებს სამოთხეს და ჯოჯოხეთს, აგემებინებს ნეტარებასაც ნათელს, სევდასაც წყვიდადს და გარესკნელს; ერთსა და იმავე წამს განაცდევინებს ორივე პირს იმ საკვირველი ქსოვილისას, ცხოვრებას რომ ემახიან წუთის სოფლისას.

მოირთო ოთარი და მოიკაზმა, აიღო მისართმევ-მოსახსენებელი ქალღმერთით აღსავსე ჩანთა; გასწია უფროსისაკენ. გზადაგზა იმაზედ ფიქრობდა სავსებით გადაეშალნა თვის მბრძანებლისათვის ნაშრომ-ნაღვაწი, მიეღო მისგან განკარგულებანი შემდეგი დროისათვის; ეგემა სიტკბოება მისის მოწონებისა.

მუშტაიდისკენ რომ მიდიხარ, შეჰნიშნავ ძვირფას სასახლეებს, რომელნი წალკოტებში ჩამდგარან, ყვავილნარით დაუმშვენებიათ მიდამო. ამ სახლების მშენებელთ არ უფიქრნიათ სარგებლობაზედ, მეტის გამორჩომაზედ: ამაზედ ზრუნვა



ადარ სჭირებიათ გულსავსევებს. მხოლოდ ისა სდომებიათ შეექმნათ ყველაფრით მოწყობილი სავანე; შეერთებინათ, მწყობრად შეეთხზათ სიმდიდრე თუ სანთიანობა ქალაქურის სადგომისა და სოფლოურ მოსახლეობისა; დაედგათ შუა ქალაქში ედემი რამ სააგარაკო. ამ სასახლეებს წინ არ აჰფარებიათ, არც ქვეშ მოჰქცევიათ მაღაზიები თუ სახელოსნოები. მხოლოდ თითო ოჯახი სცხოვრობს იქ, ყისმათისაგან განაზებულ-გაყვინიზებული სახლობა, რომელს შეუქმნია ყოფა საოცნებო და გულსავსე შესტრფის ცხოვრებას. ერთ ამისთანა სასახლეში სცხოვრობდა ის დიდკაცი, რომელთანაც მიდიოდა ეხლა ოთარი. აივანზედ ბრძანდებოდა უფროსი. ჩაი გაეთავებინათ, მოახლე ქურჭელს ალაგებდა. კაცი გადმოჰყრდნობოდა მოაჯირს, ყალიონს შეექცეოდა. უფროსმა შენიშნა ოთარი და ბიჭები ჩამოაგება.

– ჯერ ისევ გაზაფხულია, მაგრამ მაინც დაცხა ამ დალოცვილ ქალაქში; ჩაი აივანზედ დავლიეთ დღეს.

– მშვენიერი ბინა გიჭირავთ! სწორედ ცოდვას ოთახებში ყოფნა, როდესაც ეზოში ესეთი ძვირფასი ყვავილოვანია გადამლილი.

– მართალს ამბობ! კარგი ბინაა, ყველაფრით შემკული. თავადი თითონა სცხოვრობდა აქ, სანამ ექიმების რჩევით საზღვარგარეთ წავიდოდა. მეც იმათი რჩევით მივდივარ სამკურნალო წყლებზედ.

– გავიგე, ბატონო, და გამოვეშურე, ანგარიში ჩაგაბაროთ მოქმედებისა. მინდოდა გაგეცნოთ გეგმა ჩემის შემდეგი დაწყობილებისა, რომ გამეგო თქვენი აზრი და შეხედულება.

– კარგად გიფიქრია! გამოცდილი კაცია ჩემი თანაშემწე. ის ჩადგება ჩემს ნაცვლად, მაგრამ მისი შეხედულება მთლიანად ვერ ეთანხმება ჩემს ჰაზრებს; სჯობია, ჩემ მოსვლამდის არ შეირყეს ის გზა, რომელი დამისახავს ჩვენ უწყების სფეროში.

და შეიწვია ოთახში, რომ მოესმინა მოხსენება, მიეცა შესაფერი განკარგულებები. დიასახლისმა ნახა ოთარი და განუმტკიცდა განზრახული თავისი ჰაზრი. დაასკვნა გამჭრიახმა, სათავისოდ გამოეყენებინა მარჯვე შემთხვევა და დაენიშნა ეს ხელსაყრელი სასიძო თავის ქალზედ. ქართველი ქალი იყო დიასახლისი, ქმარი რუსი ჰყავდა. ოდესმე გატაცებული სიყვარულით შეირთო იმან თავის კატიკო, თუმცა ვერც მცნობთ. ვერც მახლობელთ ვერ გაეგოთ, რა მოეწონა ამ ქალში სამსახურში დაწინაურებულ მშვენიერ ვაჟკაცს. შავ-ყვითელი, მოდაბლო, ჩამრგვალებული, წვივ-მაჯა მსხვილი. ალბათ იმან გაიტაცა კაცი, რომ თამამი ქცევა ჰქონდა, არშიყობა ეხერხებოდა და იცოდა, როგორ მოეხიბლა ადამიანის სხეული, გაედვიძებინა ძლიერი სურვილები. ესე უნდა ყოფილიყო, თორემ როგორ შეიძლებოდა კატიკი ისე გაგიჟებით შეჰყვარებოდა ვაჟკაცს, რომ მთავარცნება დაეკარგა?! სადილად რომ გაიცნო, დაიჟინა, საღამოზედვე დამწერეთ ჯვარიო; მეორე დღემდის გადასდო ქორწილი, მხოლოდ მისთვის, რომ საჭირო საბუთების დამზადებას დასჭირდა დრო. ოცდაშვიდი წელიწადი გასულიყო მათ ქორწინების შემდეგ, ორ-ორი გასათხოვარი ქალი უჯდა შინ და მაინც ნდომით უმზერდა თავის მეუღლეს; თვალ-წარბში შეჰყურებდა, მისი კითხული იყო, არც სანანურადა ჰქონდა, რომ სახლის გამგებლობა მთლად მიანდო მეუღლეს: დიასახლისი მარჯვედ უძღვებოდა ოჯახს. ჰაზრიანად აწარმოებდა ყველაფერს. ცოლ-ქმარი სიამოვნებით ატარებდნენ ცხოვრებას და ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სახლი სავსე იყო დოვლათით; კაცს საპატიო სამსახური ეჭირა, შემოსავლიანი, და მამულიდანაც საკმაო შემწეობა მოსდიოდა, რუსეთში რომ სახლ-კარი ჰქონდა, იქიდან. შვილებითაც ბედნიერი იყო: ვაჟები კარგადა სწავლობდნენ, მარჯვედ შეიარაღებულნი აპირებდნენ ცხოვრებაში შესვლას; ქალებმა უკვე დაასრულეს სწავლა, სარძლოდ გამზადებულნი ისხდნენ და

ელოდდნენ ბედს ბედნიერს. არა, კი არ ისხდნენ, დარონინებდნენ, დააქროლებდნენ მორთულ-მოკაზმულნი, არც ერთს ლხინს თუ მეჯლიშს არ აკლდებოდნენ. არდადეგებს ხალხით სავსე აგარაკებში ატარებდნენ; ყისმათს ეძებდნენ, ჯერ კი ვერ შეჭხვედროდნენ მათ ვარსკვლავზედ დაბადებულ რაინდებს. ბევრი ვაჟკაცი მოსწონდათ, მრავალს ეარშიყებოდნენ ტრფობა-ალერსში დახელოვნებულნი; ჯერ ვერ შეხვედროდათ ისეთი ჭაბუკნი, რომელთ თითონ მოედრიკნათ მათ წინაშე თავი და გული ეძღვნათ გულისა წილ, სიყვარული ტრფობის ნაცვლად. იყო ერთი-ორი მათ მამის ხელქვეითი მოხელე, რომლებიც სიხარულით ამოუდგებოდნენ მათ გვერდში საგვირგვინოდ, მაგრამ ქალებს მათთვის სრულებით არ უთქვამდათ გული: არა სცნობდნენ ისინი მათ თავიანთ დარად-ყადარად.

– ივანე ივანეს ძე ხვოსტოვი. ერთი გვარს დახედე! რა საკადრისია?! მდიდარი მაინც იყოს ან დიდი ჯამაგირის პატრონი. მის რომ თვიურად ფულს იღებს, შაქარლამისათვისაც არ მეყოფა ის და ხილისათვის; თავიც მოაქვს, უმაღლესი სწავლა გამითავებიაო!

– იცი, ნადიაჯან, მე ის გულწრფელ კაცად არ მიმაჩნია. შენ არ უყვარხარ ნამდვილი სიყვარულით, უფრო ანგარიშით ხელმძღვანელობს: რაკი მამაჩვენი იმის სიმამრი შეიქმნება, დაეხმარება, სამსახურში ძალიან დააწინაურებს. მოწიწებით კი მოსწონხარ, ღვთის წინაშე; ეს ხომ არც საკვირველია.

– არა, ლიუბა, არ გავყვები არავის, თუ ნამდვილ არ შემიყვარდება და არ შემიყვარებს. როგორ შეიძლება სხვანაირად ცხოვრება?! ცოდვა არ იქნება, ამ გაფურჩქვნილი ტანით შევეხო ვისმე უცხოს და ისე, რომ არ მენატრებოდეს მასთან შეერთება, – სთქვა ქალმა.

და მაგრად მიიზიდა თვისი გამრცვილი მკლავი ფუნთუშა, სურვილით ჩაიკოცნა ჩაკვრივებული თეთრი ხორცები.

– მეც ეგრე ვფიქრობ, გენაცვალე. მხოლოდ იმას კი ვნატრობ ისეთი არავინ შემიყვარდეს, მდაბალი გვარისა იყოს, უზრდელ-უწვრთნელი მისადევარი ჰყვანდეს. არც შევიყვარებ ისეთს! როგორღა გამოვჩნდები ტოლ-სწორში ან რა საკადრისი იქნება, სახლში შემოვიყვანოთ უღირსნი, გვერდს ამოვუსხათ ჩვენ წარჩინებულ ნაცნობ-ნათესავთ. ვგრძნობ, მალე შევხვდები, ორივენი მალე შევხვდებით ღირსეულ და სანატრელ ჭაბუკებს.

– მეც დარწმუნებული ვარ, მალე შევხვდებით ბედისაგან ჩვენთვის განმზადებულ ვაჟკაცებს. იცი? უეცრად შევხვდებით და ისე მოუთმენლად შეგვიყვარებენ, როგორც ჩვენს მამას შეჰყვარებია დედაჩვენი და დატყვევებულა მისგან!

– სწორედ ეგრე იქმნება! ჩვენ ხომ უფრო ტურფები ვართ, ნასწავლები და შეძლებული კაცის შვილებიც, – მიუგო ლიუბამ.

და სარკეში გაისწორა კულულები, განზრახ რომ დაეხუჭუჭებინა და შუბლზედ ჩამოეშალნა.

ქალები რომ ოცნებობდნენ გულის სწორზედ, იმათი დედაც დაეფიქრებინა მათ ბედს. უგვიანდებოდათ გათხოვება, მეტადრე უფროსს. იმედი ჰქონდა, რომ მის ქალებსაც მსწრაფლ დაესხმობოდათ მისი წყალი: ბედი თითონ მიადგებოდათ კარს, როგორც მზეთუნახავებს; მაგრამ დრო მიდიოდა, ქალების წამყვანი კი შესაფერი არსით სჩნდებოდა. ბევრჯერ ჰქონია მას საუბარი თავის ქმართან ამ საგანზედ, არა

ერთხელ უსაყვედურნია მისთვის, რომ იგი ვერ იჩენდა ამ შემთხვევაში საჭირო გამჭრიახობას, ვერ არჩევდა შესაფერ საქმროებს ქალებისათვის თუნდ თავის ხელქვეითთა შორის. გულში კი გრძნობდა, რა უსამართლო იყო ასეთი საყვედური: კაცი არაფერსა ჰზოგავდა მათთვის, მთელ თავის შემოსავალსა ჰხარჯავდა სახლობის დიდებით შენახვაზე; სხვა თვით ქალებს უნდა მოეხერხებინათ, უნდა დაახლოვებოდნენ მრავალ ნაცნობთა შორის ისეთებს, რომელნიც შესძლებდნენ მათთვის საფერ ყოფის შექმნას, უზრუნველ ცხოვრებას დიდკაცურს. დედა დრტვინავდა, სწუხდა ამაზე.

თითებზედა ჰყვანდა ჩამოთვლილი ის ახალგაზრდები, რომლებიც გამოსადეგნი იყვნენ მის ქალებისათვის, მეტადრე ისინი, რომლებიც მის ქმრის უწყებაში მსახურებდნენ და რაიმე სიკეთე ჰქონდათ თვალსაჩინო. მათ შორის ოთარსაც ხელსაყრელ სასიძოდა სთვლიდა იგი, თუმცა არა ისეთ საოცნებოდ, როგორც წარმოდგენილი ჰყვანდათ მის ქალებს საქმროები. ამიტომ უბრძანა ქალებს გაესწორებინათ სახე და თავაზიანად მოპყრობოდნენ ვაჟკაცს, რომელიც ეხლა მათ მამასთან იყო და საქმის ქალაღდებს არჩევდა. თითონ კატიკო დარბაზში დაბრძანდა საქსოვით ხელში, მისი ქალები აივანზედ დასეირნობდნენ ერთმანეთს მოჭდობილნი.

– ქალბატონს ეკატერინე ამირინდოს ასულს ვახლავარ! – მიესალმა ოთარი, როცა ქალაღდების სინჯვა გაათავეს და გამოვიდნენ. ქალმა თავი დაუკრა სტუმარს და მიაწოდა ხელი საკოცნელად. დასხდნენ. რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზა ააფრიალეს. შემოვიდნენ ქალიშვილებიც, მიესალმნენ სტუმარს. გაება საერთო საუბარი. სთქვეს ზამთრის გარდასრულ გართობებზედ, იოცნებეს როგორ მხიარულად გაატარებდნენ დროს ზაფხულში.

– ვერქარებით წასვლას, რადგან ჩვენი პეტრე-ივანეს ძე ვერა გრძნობს თავს ისე ჯანსაღად, როგორც საჭიროა მისთვის და შეეფერება მის რთულ სამსახურს.

– უსათუოდ ბევრსა შრომობთ და ის მოგლდიდათ, თქვენო აღმატებულებაგ. ძნელია ყველაფერი თქვენის თვალით გასინჯოთ, თქვენის ხელით გასცეთ ყოველივე განკარგულება თუ განჩინება: სჯობს თქვენ საზოგადოდ ადევნოთ თვალი და უდიდესი საქმეები განიხილოთ; მეორე ხარისხოვანი მიანდოთ თქვენს თანაშემწეს.

– კარგი იქნებოდა ეგრე, მაგრამ ვერ ვანდობ მას საპასუხისმგებლო საქმეებს: განუვითარებელი კაცია, მხოლოდ ხანგრძლივი სამსახურის გამო დაწინაურებული; მას მარტო იმის გაკეთება შეუძლიან, რაც დაუზეპირებია.

– თქვენ, ყმაწვილო, სადა გაქვსთ უმაღლესი სწავლა მიღებული? – ჰკითხა ნადიამ.

– მოსკოვის უნივერსიტეტი გავათავე იურიდიულ განყოფილებაზედ.

– განათლებული კაცი და სადღაც მიყრუებულ ადგილას მომწყვდეული! მიკვირს, როგორა სძლებთ იქ, – გაიკვირვა ქალწულმა.

და ფეხი ფეხზედ შემოიდო, ბლომა ბარძაყი მკაფიოდ დაიჩინა გამოწუთხულ კაბის ქვეშ.

– სრულებით არა ვგრძნობ იქ მოწყენილობას: ჯერ სამსახურს უნდება ბევრი დრო; გარდა ამისა, მამული მაქვს იქ და ძალიან მიყვარს მისი მოვლა; ბუნებასთან დაახლოვებული ცხოვრება უფრო საამოც გახლავსთ, სასარგებლოც.

– ძალიან მიყვარს ბუნება! სულ იმას ვოცნებობ, სააგარაკოდ რომ წავალთ, როგორ ვისეირნებ ცხენდაცხენ ტყესა და ველში; შევიყრებით ტოლ-სწორნი ერთად, გავემგზავრებით მხიარულობით, – სთქვა ლიუბამ და მიჰმართა დედას.

– ჩემი საცხენოსნო კაბები ხომ მზად იქნება წასვლამდის?

– ყველაფერი მზად იქნება თავის დროზედ, მაგის ფიქრი ნუ გაქვს, გენაცვა! – მიუგო დედამ და მიუბრუნდა ქმარს:

– პეტია! სთხოვე ბატონს ოთარს ზეგ სადილად გვეწვიოს.

თვითონვე მიჰმართა ოთარს:

– გთხოვთ ხვალზეთ სადილად ჩვენთან ბრძანდებოდეთ, ერთი-ორი ადამიანი გვეყოლება. იმედი გვაქვს, არ მოიწყენთ ჩვენს ოჯახში.

ოთარმა დიდი მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის, დასთანხმდა სტუმართმოყვარე მასპინძლებს და გამოემშვიდობა.

როცა კიბეებზედ ჩამოირბინა ოთარმა და ეზოში გასდგა ფეხი, ყვავილოვანის ერთს კუთხეში თვალი მოჰკრა ნორჩ არსებას. პირისფერი კაბა ეცვა ქალწულს, ოდნავ მოკლე, ალი ბაბთის სარტყელი ერტყა გვერდზედ დუნედ შეკრული, ფოჩებჩამოშვებული; მოწითალო ფერის მსუბუქ წუღებზედ იდგა კობტად; იმავე ფერის წინდის ბადედ ნაქსოვი მაღალი ყელიდან განიცდებოდა თეთრწითლად შეფერილი სურათი წვივები; ერთი ნაწნავი მკერდზედ გადმოსცურებოდა, მუხლზედ სცემდა ბოლო გაშლილი, მეორე ბეჭებზედვე ჰქონდა მძიმედ გადაგდებული. აშლილი კულულები შარავანდედად მოსდებოდა მის სპეტაკ შუბლს. ქალწული იდგა ისარივით სწორედ აღზრდილ ვარდის ღეროსთან, რომლის თავს ახლად გაღებულყო ყვავილი სუნნელი. თითონაც ნაზი ყლორტივით ლაღად აზრდილი თავს დასცქეროდა ვარდის ტოტს, ფურცლებს უსწორებდა მის ყვავილს ფურჩქვნილს. კაბის განიერი სახელოები ძირს ჩამოჰშვებოდა, გაემარცვა მარმარილოს მკლავები მგრგვალად ნაკვერცხ იდაყვებამდის. პირს ღიმი უქროდა სიამისა. გიშრის წამწამთა უხშირეს ტევრს დაეჩრდილა სპეტაკი ღაწვები, უფრო ჩაებნელებინა უკუნივით შავი თვალები. ვარდს დაჰმზერდნენ იგი თვალები, გარნა შორს იყურებოდნენ, ძლიერ შორს, ოცნებათა სამფლობელოსკენ მიქცეულნი: იქა ჰხედავდნენ ფართედ ხაზულნი სამოთხის ვარდსა უფშენელ-უჭკნობელს, ედემში მისთვის ტურფად გადაშლილს.

ქალწული თითქმის მთლად იყო ოთარისაკენ მიბრუნებული, მაგრამ ისე გართობოდა თვის ოცნებას და ყვავილთა ალერსს, ვერ ამჩნევდა მის მახლობლად გაქვავებულ ვაჟკაცს, რომელი განცვიფრებით შეჰყურებდა მას, თვალი ველარ მოეწყვიტნა ტურფა ჩვენებისათვის. ბოლოს იგრძნო ოთარმა, უზრდელობა იყო უცნობი ქალის ახლო ამდენს ხანს უძრავად გაჩერება თუ მზერა და თავს ძალა დაატანა, დაიძრა ადგილიდან. თავი მაინც ვერ შეიმაგრა, ქუდი მოიხადა, მდაბლად მოუხარა თავი, შორიდან თაყვანი სცა ეთეროვან არსებას უმაღლესს, კაცთა სანუგეშებლად განგებისაგან მოვლინებულს. ქალწულმა ეხლა შენიშნა ვაჟკაცი, განცვიფრებით მიაპყრო ცეცხლთმფრქვევი თვალები და ლოყებზედ სიწითლემ აურბინა, როგორც ალიონის რამ სხივმა ვარდისფერ განთიადს. ქალწულმა ოდნავ მოხარა თავი ნიშნად სალამისა, ისევ მიიქცა ყვავილისაკენ.

წამოვიდა ოთარი. მუხლი ეჭრებოდა, ძალა აღარ შესწევდა გაბედვით გადმოედგა ნაბიჯი, როგორც ძლიერი ნებისყოფის მექონეს და თავისუფლად მავალს: უხილავმა ძალამ მიჯაჭვა იგი იმ ადგილას, სადაც იხილა ჩვენება მომჯადოები.

– ის არის, სწორედ ის! აი, სადა ყოფილა! მე კი სად არ ვეძებდი! – მილაპარაკობდა.

და წამისწამ უკუიხედებოდა გაოცებული, ცნობააზნეული: ეგონა განსჭვრეტდა იმ სანატრელ სახილველს შორიდანაც, მწკრივად ჩარაზმულ სახლების გადაღმა, მრავლად ჩახერგილ კედლების იქით. ამოდ იხედებოდა: ველარა ჰხედავდა მშვენიერთა ხელმწიფეს, ველარ! და გაგრძელდა დრო, გაიძაბა დაუსრულებლად, წუთი საათს დაეტოლა, საათი კვირას; აღარ აპირობდა მოახლოებას ის დღე, როცა

ოთარს კვლავ შეეძლებოდა მისულიყო მისთვის სანატრელ ციხედარბაზში, სადაც თურმე დაევიანა მის მზეთუნახავს.

## 20

ქალწული, რომლის ნახვამ ააღელვა ოთარი, დიასახლისის ნათესავი იყო, გულნაზი. მისი მამა სამხედრო უწყების კაცი ყოფილიყო, შესანიშნავი შეხედულობის ვაჟკაცი, კარგი მებრძოლი. ლაშქარში ზარის ხმასავით გაისმოდა მისი მაღალი ძახილი, როდესაც ბრძანებას გასცემდა და იწვევდა მეომართ სამხედრო მოძრაობისთვის. თუ ლაშქრის მთვალეირებელი მოუვიდოდათ, უფროსები ცდილობდნენ, დარაზმული ჯარის გამგებელად თუ მბრძანებლად ნოდარი გამოეყვანათ. მოსული ყოველთვის იხიბლებოდა მისი რაინდული შეხედულობით, გამყივარი ხმით; სიამოვნების ღიმი დაურბენდა სახეზე; ის ღიმილი დაჰხრიდა სასიკეთოსაკენ საქმის მიმართულებას. ომში მოელო ბოლო: მაშინ მოჰხვდა ტყვია, როდესაც საბრძოლველად გამოსულ რაზმს გასამხნევებელი სიტყვა შესტყორცნა და ხმალამოწვდილი გაემართა წინ. მისი ბალები სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ. ქალი პანსიონში მიიღეს. ინახავდნენ ისე სათუთად, თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცხოვრების ბჭეშივე შეეგებებოდა მას ვარდის სახე არსებობა და გარს შემოჰხვევდა სუნნელოვან ფურცლებს კეთილდღეობისას, რომ არ განეცადა აზიზს სიდუხჭირე დაუნდობელ-მოუხეშავი ყოფისა. გულნაზს შარშან გაეთავებინა სწავლა, დაბრუნებულიყო სიღარიბეში ჩავარდნილ თვის სახლში. ეხლა სტუმრად იყო თავის დედიდასთან. ეხლა, რაკი დედიდაანი სააგარაკოდ აპირებდნენ წასვლას, გულნაზი ისევ თავის სახლში უნდა დაბრუნებულიყო. კატიკოს არ ჰსურდა თან წაეყვანა ის, რომ იქ მის ქალებს მეტოქედ არ ამოსდგომოდა გვერდით და თავისი სიკეკლუცით არ დაეჩრდილ-დაეფოლებინა მათი ემხი თუ სილამაზე.

– არ წამოვიყვან თან, – ეუბნებოდა კატიკო თავის ქმარს, – განა ვერ ატყობ, იმას უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ, მინამ ჩვენს ქალებს, რადგან თვალმახარა შეხედულობა აქვს? გაგიგონია, თვალი სჭამსო საჭმელს.

– მაინც მეცოდება; როგორ უნდა გაატაროს ზაფხული ქალაქში აგარაკ ნაჩვევმა ქალმა და ისიც შემწყვდეულ ბინაზედ, ხელმოკლე სახლში?!

– არა უშავს რა! ურჩევნია ეხლავე შეჩვიოს გაჭირვებას, შეიგნოს სიძნელე ცხოვრებისა, თორემ თავისი თავი ისევ პანსიონში ჰგონია, სადაც ყოველივე მზამზარეულად მიერთმევოდა. რა დიდი ბედი მაგას მოელის? ან სადმე მასწავლებლად უნდა იყოს თვეში სამ-ოთხ თუმნად, ან ვინმე ღარიბ-ღატაკს გაჰყვეს, იქნება მთლად გაუნათლებელს და მოუხეშავს.

– ვინ იცის? ძნელია ეგრე გადაჭრით ლაპარაკი.

თუ გუშინ კატიკოს დაენახა, როგორ შეიპყრო ოთარი განცვიფრებამ, როცა თვალი მოჰკრა გულნაზს, იქნება ისე მკაცრად არ დაეწყო მსჯელობა, მაგრამ იმ დროს ის ქალებს ელაპარაკებოდა და დაავიწყდა თვალი გაედევნებინა მიმავალი კაცისათვის. მეორე დღეს ოთარმა ორჯერ კიდევ ჩაუარა დიდკაცის სახლს, მაგრამ ამაოდ: ქალი ვეღარ დაინახა ვერც ეზოში, ვერც აივანზედ. საშინლად გაგრძელდა ის დღე და მეორეც სადილობამდის, როცა შეეძლო მას მისთვის საოცნებო სასახლეში მისვლა და ნახვა იქ ამობრწყინებულ შუქურ ვარსკვლავისა.

შუქურმა კი კარგადაც ვერ შენიშნა ვაჟკაცი, მისი ყურადღება ვერ შეჩერდა ოთარის სახეზედ და მაშინვე განქრა მასში ის წამიერი განცვიფრებაც, რომელი აღიბეჭდა მის ბრიალა თვალებში, როდესაც უცნობმა მდაბლად და მოწიწებით

მოიხარა მის წინ თავი. გულნაზი ჯერაც არა სცხოვრობდა სინამდვილის სფეროში. პანსიონში რომ გონებას შეეთხზა ოცნებათა სამფლობელო, ჯერ იქვე დაივანებდა ქალწული, იქაურ სურათებს დასტროფოდა და დაჰხაროდა. მის ოცნებათა შეთხზაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქალის ყოფნა ბალღობიდანვე საგანგებოდ იყო მოწყობილი და არავითარი მძიმე ზრუნვა არ მიჰკარებოდა მას, გაჭირვების ან ძნელი შრომის ნასახიც არ დაენახა არც შორიდან. საუკეთესოდ მოწყობილი ბინა, შერჩეული საზრდო, სპეტაკი ტანთსაცმელი, მრავალი მოახლე ქალწულთა მისახმარად განმზადებული. მოსწავლეთა საქმე იყო მხოლოდ გონების ვარჯიშობა და ხელოვნება მსუბუქი, სამხიარულოდ გამოსადეგ-მოსახმარი, დროს სატარებელი. ბალღი ნელ-ნელა შეეთვისა იმ აზრს, რომ ბუნებრივი იყო ესეთი მისი კეთილდღეობა და შეუძლებელი სხვაგვარი ცხოვრება. ამნაირსავე აზრს უნერგავდნენ მოზარდთ ის წიგნები, რომლებსაც მათ აძლევდნენ საკითხავად, გონებისა თუ გრძნობა-სურვილთა განსავითარებლად. იქაც საოცნებო ცხოვრება იყო დახატული, მოქმედი პირნი უანგარიშოდ აპნევდნენ ფულს, სასურველად აწყობდნენ ყოველდღიურ არსებობას; თუ შეჰხვდებოდათ დაბრკოლება, ნირი შეეშლებოდათ და ბოროტი წაეკიდებოდათ, ეს დროებით, წუთიერად, მხოლოდ მისთვის, რომ უკეთესი ბედი დაჰბრუნებოდა მათ, ცხოვრება სანეტარო. მეტადრე კარგი იღბალი ჰქონდა გულნაზს, რომელიც საკმაო ნიჭით იყო დაჯილდოებული, მხოლოდ სიმშვენიერით სჯობდა თანატოლებს: ყველა მას უალერსებდა, ბევრი შესტროფოდა, თვით მასწავლებელთაც გული სასიამოდ ეღებოდათ, როცა მის მადლიან სახეს მიაპყრობდნენ ზრუნვით მოქანცულ თვალებს. ბუნებას რომ ბევრი კეთილი მიეპყრო მისთვის, ადამიანიც მასვე ჰკერძავდა კეთილს და უმატებდა. მოსწავლეებსაც გააზიზებული ჰყვანდათ, უმრავლესობა გატაცებული იყო მის სილამაზით, შეყვარებული. იცი, როგორი გადამდები სენივით არის გავრცელებული პანსიონში არშიყობა თუ ერთმანეთის თაყვანისცემა: გული თბილ გრძნობათა ზღვაა, ის ყველგან ეძებს სიყვარულს და თუ ბუნებრივ კმაყოფილებას ვერ ჰპოვებს ნაგუბი გრძნობა, თავისებურ სადენს დაჰკვალავს, ბევრჯერ საკვირველს.

იზრდებოდა გულნაზი. მშვენივით ივსებოდა პირმანგი. მიაღწია უკანასკნელ კლასს. უკვე მზა იყო შეეღო კარი ცხოვრებისა. აქ, კარის ბჭეში, შეჰხვდა მას საოცნებო ჭაბუკი, რომელს განგება მოუვლენს თვის რჩეულთ თუ დარკვეულთ; ესე ეჩვენა ქალწულს. სკოლამ რომ გამოსათხოვებელი მეჯლიში გაუმართა სწავლადამთავრებულ ქალებს. მაშინ ნახა თვისი რაინდი გულის წარმტაცი, ნატვრა-ოცნებაში წინად განცდილი. განეძარცვათ დასაფრენად განმზადებულთ სკოლის სამოსი, ცხოვრებაში საჩენ ტალავრით შემკულიყვნენ პირად-პირადით, როგორც ყვავილნი გაზაფხულისა. დაცქრიალ-დასტრიალებდნენ სამხიარულოდ მორთულ დარბაზში. ირეოდა აბზინებული დიდკაცობა, სამხედრო ახალგაზრდობა, წამიერ რაინდად ქმნილი მასწავლებლობა. ქალწულებს ჯერ თვალს უჭრებოდა მათთვის უჩვევი კრებული ბრწყინვალე, ჯერ ისევ ამზრდელთა მძიმე მარჯვენასა გრძნობდნენ მხრებზედ და თავისუფლად ვერ გაშლილიყვნენ წელში. სინორჩემ მალე გაიტანა თავისი, მხიარულება თანდისთან იტაცებდა ახლად ფრთაასხმულთ, იტივტივებდა, მწყობრად არხევ-აქანებდა ეთეროვან ტალღებზედ გამჭვირვალის სიამისა. გულნაზი გაეტაცნა მწყობრ ხმათა დენას, ვეღარც კი ამჩნევდა, ვის და ვის მკლავზედ იყო მიყრდნობილი მისი წერწეტი წელი საკრავთა ხმის ამყოლ რხევა-ბრუნვის დროს. კვლავ მოისმა მწყობრ-ხმოვანობა და ქალწულის წინ გაჩნდა საროს ტანი ახალგაზრდა მოლაპლაპე ტალავარში, სირმახვეულით მხარ მკერდ შემკული.

– მომეცით ნება თქვენთან ცეკვისა, უფლისწულო!

ქალმა შეანათა თვალები ჭაბუკს და გაჰყვა. მსწრაფლ იგრძნო რეალისავით მტკიცე ხელი თეთრ თათმანში გამოკვართული და ნდობით მიეყრდნო მკლავსა მას ძლიერს. მიფრინავდა წყვილი, ფეხს მიწაზედ არ აკარებდა.

– მოიღეთ წყალობა, უფლისწულო, ნება მომეცით ერთხელ კიდევ თქვენთან ცეკვისა! ვერ წარმოიდგენთ, რა გამოუთქმელ სიამესა ვგრძნობ თქვენს სიახლესა.

– სრულებითაც არ გახლავართ უფლისწული, არც ბატონიშვილი, ყმაწვილო.

– მშვენიერება უადრესი ნიჭია ამ ქვეყნად, ყოველსავე ხარისხს აღემატება იგი. ხოლო თქვენ, მშვენიერთა ხელმწიფევ, საოცნებო თაიგული ბრძანდებით დღევანდელი მეჯლიშისა და მამშვენიებელი.

აღტაცებაში იყო ქალწული. ფართო საზოგადოებას უჩვევს თავისი თავი საარაკო რამ ციხე-დარბაზში ეგონა, ხოლო იგი რაინდი დაესახა უებრო ქმნილებად, რომელი მოევლინა განგებას მის თაყვანისმცემლად, საესავო თანამგზავრადაც ცხოვრების გზაზედ.

## 21

შემდეგში, როცა ქალი თავის სახლში დაბრუნდა და გამოსცადა იწროება თუ ხელმოკლეობა, როცა ნახა თავისი ოდესმე აზიზმაზიზი დედის გატანჯული ცხოვრება, და- ძმათა საზრუნველი ყოფა, შეწუხდა ფრიად, თითქო ნივთიერი ტკივილი იგრძნო ქალბატონურ ცხოვრებას მოკლებულმა. შეკრთა კიდევ, რადგან არამც თუ უძლური გამოდგა შეკშველებოდა დაჩაგრულ კერას, ბარგადაც დააწვა მას ჯერჯერობით: მისი ხელიდან ვერაფერი გამოდიოდა ისეთი, დვრიტად დასდებოდა სახლს, შეღავათი მიეცა მისთვის. რა იცოდა ოჯახისთვის შესამატ-გამოსადეგი? წიგნი და ხელთსაქმე დროს სატარებელი. მის ამგვარ საქმიანობას ბაზარი არ ჰქონდა. ღარიბ ყოფაში შეუწყნარებელი იყო მისი ყაისნალი, რომელიც მხოლოდ ხარჯს თხოულობდა; გამოუსადეგარი იყო მისი ფაქიზი, საჩვენებლად ნასწავლი ნემსის ამოგდება, არ ვარგოდა იგი ძველმანის დასაკონკვებლად, ნაცვამ-ნაცვეთის ახლად საჩენად. დედამისი არც ამღევდა ამისთანა საქმეს ქალს: სიფრთხილით, თითქმის ზიზღით ჰკიდებდა იგი ამგვარებს ხელს და დედასაც ებრალებოდა, ცდილობდა გული არ აემღვრია მისთვის. საჭმელი, ჭურჭელი, ამორეცხვა, დაგვა-წმედა... ცრემლად იფრქვევოდა ღამაზი უნებლიედ, უსიტყვოდ: კანი არ ჰქონდა ბროლის თითებზედ, საამისოდ სახმარი ტყავი და ზედ მგრძნობიარე ნერვებს ჰხვდებოდა ყოველივე ლორწო თუ მწვირე და სტანჯავდა ბეჩავს, მთლად აწამებდა. ისევ თითონა შრომობდა დედა, თავისივე ტანჯვა ერჩივნა დამკლავებულს. ისლა ანუგემებდა დედას, რომ დარწმუნებული იყო, მალე გაათხოვებდა ქალს ან სამსახურს უმოვიდა შესაფერს.

– რატომო?! ღარიბი ოჯახისაა, უმზითვო, მაგრამ მშვენიერია, ნასწავლი, კეთილზრდილი და სრულებითაც არ უნდა ერიდებოდნენ მას საფერი ჭაბუკნი. ვერც მოერიდებიან მისგან ტყვექმნილნი!

დედა მაინც ცდილობდა, სადმე ქალაქშივე მასწავლებლის ადგილი ეშოვნა ქალისათვის. პირველ წელს ვერ მოახერხა ეს: შესაფერი ადგილი არსად მისცეს, არც თუ ძალიან ჩქარობდა.

– დაისვენოს ერთი წელიწადი. როგორც იქნება, შევინახავ. ვეცდები, არაფერი მოვაკლო. ჯერ ისევ დაღლილია საწყალი, დასუსტებული. იქნება ბედმა გამიღიმოს და მალე კარგ იღბალს შეეყარო, სახარბიელოს. ურჩევნია პირდაპირ ჩადგეს ცხოვრებაში. ოღონდ შეძლებული კაცი შეჰხვდეს და პატიოსანი. სასურველი ბოლო მაინც ეს უნდა იყოს და რაღად იტანჯოს სხვათა მოჯამაგრობაში, – ფიქრობდა დედა.

ეხლა, როდესაც აგერ მეორე წელიწადს თავი თავს გადაედვა, ქალის მთხოვნელი კი არსად სჩანდა, დაასკვნა სამსახურში ჩაეყენებინა ქალი. ამ მიზნით დაუახლოვდა თავის ბიძაშვილს კატიკოს და მოუალერსა: იმედი ჰქონდა, იმის ქმრის შემწეობით ქალაქშივე უშოვიდა საკადრის ადგილს. ნება მისცა ქალს სტუმრებოდა მდიდარ ნათესავის ოჯახს და დაახლოვებოდა მას. აქამდის შორს ეჭირა თავი იმ გადიდებულ სახლობისაგან, ქალსაც იშვიათად ასტუმრებდა მათ: სიამაყე ნებას არ აძლევდა სხვის წინ გადაეშალა თვისი სისაწყლე, ეშინოდა რამ დამამცირებელი შენიშვნა მიეღო გალალეულთაგან, ან მათი მედიდური ქცევა განეცადა თავის დაკნინებულ თავზე. გულნაზი რომ სტუმრად წავიდა, ის პირისფერი ტანისამოსი ჩაიცვა, რომელიც შეუკერა მას დედამ სწავლის დამთავრებისას და რომლით მოსილს მოჰკრა თვალი ოთარმა.

გულნაზის დედას უკვირდა, რომ მთელი წლის განმავლობაში ქალს მთხოვნელი არ აღმოუჩნდა; სწყინდა კიდევ ეს, შელახულადა სთვლიდა თავის თავს, შვილის თავმოყვარეობას. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეაღო სახლის კარი გულნაზის მძებნელმა, მაგრამ ისიც მსწრაფლ გაქრა იქიდან უკვალოდ: რაინდს ის არ დაჰხვდა იქ, რასაც ეძებდა.

კვირა დღე იყო, თორმეტი საათი იქნებოდა, როცა გულნაზიანთ კარის წინ გაჩნდა მხედარი, რომელს უკან ცხენოსანივე მხლებელი მოსდევდა. სამხედრო პირნი იყვნენ. ჭაბუკმა იკითხა გულნაზი და, რო გაიგო მისი შინ ყოფნა, შევიდა ოთახში. ქალმა მაშინვე იცნო თავისი რაინდი, სკოლის მეჯლიშზედ რომ გაიცნო, ის ჭაბუკი და გული გადაუქანდა. გააცნო დედას.

– თქვენი ქალი გავიცან სკოლის მეჯლიშზედ და გავბედე გხლებოდით, რომ გამეახლებინა ნაცნობობა.

– დიდებული ოჯახის შვილის და პატიოსანი ადამიანის გაცნობა სასიამოვნოა ჩვენთვის, – მიუგო დედამ.

მიიღო სტუმარი პატივისცემით. მისული ერთხანს თავისუფლად იქცევოდა, თითქმის ხასად. მერმე თითქო რაღაცამ შეაკრთო და შეაფიქრიანა. ცოტა ხანი დაჰყო იქ. ერთი კიდევ აათვალაიერ-ჩაათვალაიერა იქაურობა, სთქვა კიდევ ორიოდე უმნიშვნელო ფრასა და გამოეთხოვა. ვაჟკაცმა სულ სხვა აზრით მიიკვლია გულნაზის ბინა. იმ მეჯლიშში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზედ ქალწულის ეშხიანად დანაკვთულმა აგებულობამ და აუშალა მას მძლავრი სურვილები. გალალეული ახალგაზრდა ნაჩვევი იყო ნდომათა თვითნებად დაკმაყოფილებას, ყვავილიდან ყვავილზედ ფრენას თავისუფლად, რაიმე მოვალეობის უტვირთელად. მივიდა, რომ დაეხედნა და აეწონა, შესაძლო ხომ არ იყო ამ უცხო ყვავილის შემთხვევით მოსთვლა, დროებით სატკბობელად თვისკენ მიზიდვა. მაინც ქართველი იყო ჭაბუკი. ქართული ოჯახის შვილი და კდემამოსილება არა ჰქონდა მთლად ჩამწვარ-ჩანავლილი, არც სინიდისი ცოდვათა ღვარისაგან ჩარეცხილ-წალექილი, და როცა ნახა ხელმოკლე, მაგრამ პატიოსანი ოჯახი, რომელს დარაჯად ედგა ზრდილი და თვალაზრიანი დიასახლისი, შერცხვა განზრახვისა, განშორდა სახლს. განშორდა ჭაბუკი! ის სრულებითაც არა სთვლიდა თავის თავს საარაკო უფლისწულად, რომელი არ შეკრთებოდა თუნდ კონკიაჟდარუნესათვის მოეკიდნა ხელი იმ იდუმალის იმედით, რომ მადლიერი იღბალი გაუღიმებდა მორჩილს და ბეჩავ სასძლოს გარდაჰქმნიდა ინდოთ ხელმწიფის ბრწყინვალე ასულად. ვაჟი ცხოვრების შვილი იყო, სარფისა და სიამის მიმდევარი. რახან გაჩენილიყო ქვეყანაზედ, ჰსურდა მოეჭამა სოფელი, ფუფუნებით განევლო გზა ცხოვრებისა. რა მისი საქმე იყო გადაება თვისი გახალისებული ბედი ლატაკ ქალის დაკნინებულ ყისმათთან?! როდესაც შეატყო, რომ



საქმე ჰქონოდა დაჩაგრულ, მაგრამ პატიოსან სახლობასთან, არ იკადრა მათის სახელის შებღალვა; შესძლო ისე ასცდენოდა ქალს, არაფრით შეემწიკვლა მისი სახელი.

– სჯობს განვშორდე ამ საწყალ ოჯახს, სამუდამოდ განვშორდე ლამაზს, ახ, მშვენიერს! – გაიფიქრა ვაჟკაცმა და გააქროლა მერანი.

გულნაზის დედა ერთის თვალის დაკვრითვე მიჰხვდა მოსულის იდუმალ გაზრახვას, სწრაფად გაითვალისწინა გამოცდილმა ის უმთავრესი სურვილი, რომელიც ახელმძღვანელებდა ჭაბუკს, და ფრთხილად დაუწყო ქცევა, როგორც გამოცდილმა დარაჯმა, რომელმაც ყური მოჰყრა საეჭვო ხმებს, თვალი შეასწრო არა სანდომ მოჩვენებათა აჩრდილს. ქალი კი, დახშულ სავანეში აღზრდილი ქალწული, სიხარულით შეეგება ჭაბუკის მისვლას; გაუნათდა ბეჩავობისაგან დახშული გული, სხივმა შეაშუქა შიგ საოცნებო არედან, საკუთრად მისთვის წარმოგზავნილმა სხივმა სალხინომ. გულნაზი დარწმუნებული იყო, რომ მაშინ საბოლოოდ მოხიბლულიყო მისი ეშხით იგი რაინდი, ის უფლისწული, რომელი წარმოგზავნა განგებას მისთვის მეუღლედ სანატრელად, კვერთხად დასაყრდნობელად, მარჯვენედ ხნარცვიდან ამომყვანებლად, ყოლაოზად მიმყვანებლად უზრუნველ ცხოვრებისადმი, რომელი მხოლოდ არის შესაფერი სათუთად აღზრდილ მოცისკროვნე გულნაზისა.

– ნამდვილი უთქვამთ, ზემთაგონებით დაუწერიათ, განგება გამოსცდისო ადამიანს ცხოვრებაში: დაამდაბლებს მას, დასჩაგრავს; მაგრამ თუ მოთმინებით და სიყვარულით გადაიტანა მისადმი მიწვენილი ავი, სახიერი სიკეთედ შეუცვლის მას ყველაფერს, კეთილს მიაგებს ბოროტისა წილ და გაუმრავლებს სიხარულს. შემდეგ უნდა ახსოვდეს განდიდებულს დაჩაგრული და სიყვარულსვე ჰგენდეს ყოველსავე არსს, როგორც მზე თვის სხივს უშურველად მობნეულს, – ფიქრობდა აღტაცებული ქალი.

და გულუბრყვილო სიხარული განთიადის სხივებივით უნათებდა მას ბრიალა თვალებს. უვარდისფერებდა სპეტაკ ლოყებს, როგორც ფიფქ რამ ღრუბელს შეტყორცილ-შეთამამებული შუქი მზისა.

– იცი, დედილო, დარწმუნებული ვარ, ანდუყაფარი მოვა ამ დღესასწაულებში ჩვენ სანახავად. თუ მე დედიდანთა ვიყო, უთუოდ ასწავლე იმათი სახლი: მოვა და მნახავს. შენი ჭირიმე, იჭვით აღარ დაუწყო მზერა, აღარც ისე უკმეხად უპასუხო; ხომ იცი, რა დიდი ოჯახის შვილია და კარგი ახალგაზრდა.

დედა დაჰპირდა დანაბარების ასრულებას, არ კი უამა ქალის გულუბრყვილობა. დარწმუნებული იყო იგი რაინდი აღარ დაბრუნდებოდა მათთან: მას არავითარი საქმე აღარა ჰქონდა მის სახლში.

## 22

– დედიდაჯან, მოდი გაკოცო! – შესთხოვა გულნაზმა კატიკოს.

როცა დიასახლისი შევიდა დილით ქალების ოთახში, მიუახლოვდა დედიდა. ქალწულმა მოაქდო ვარდივით შეფერილი თეთრი მკლავები და ჩაუკოცნა ყელ-ყური, ჩამომლილ თმათა ბარდებით დაჰფარა იგი.

– კოცნის გუნებაზედ გაიღვიძა ჩვენმა გულნაზმა, კოცნით აგვიკლო; ალბად კარგი რამ სიზმარი ნახა, – უთხრეს დედას ქალებმა ოდნავ ტუჩაკვრით.

– ეგრე სჯობია, გენაცვათ: მხიარულად უნდა შეჰხვდეთ ახალსვე დილას, რომ ბოლომდის შეგრჩეთ სახეზედ სხივი სიამისა.

– იცი, დედიდოჯან, მართლა ვნახე სიზმარი, მაგრამ ისეთი კი არა, როგორც მე მინდოდა.

– რა ნახე, შვილო, ან როგორი სიზმარი უნდა გენახა?

– ცხენდაცხენ შემოვიდა ეზოში ვიღაცა კაცი და ბეჭედი მომაწოდა. ვიცოდი, რომ ბრილიანტისა უნდა ყოფილიყო ბეჭედი, იმას კი მარგალიტის თვალი ეჯდა. მაინც ჩამოვართვი, ხელზედ გავიკეთე. კაცის სახე ვერ დავინახე კარგად, ნისლი ეხვია ზედ.

– ცხენი ზრუნვასა ჰნიშნავს, – სთქვა ნადიამ.

– სიზმრად მარგალიტი ნახო, ცრემლი გედინოს! – დასძინა ლიუბამ.

– კეთილად აგიხდეს! ამ დღეებში ახალ ამბავს გაიგონებ უცნობი კაცისაგან, შენს გულს შეეხება ის ამბავი; კიდევ მიიღებ მისაღებელს, თუმცა ყოყმანით, – მიუგო ჩაფიქრებულმა დედაკაცმა.

აკოცა ქალს. მაინც არ უამა მას გულნაზის სიზმარი, გასათხოვარი ქალების დედას.

– ეს სიზმარი თითქო ქალის ნიშნობას მოასწავებს. იქნება ჩემი ქალების მოტრფიალეთაგანს მოეწონოს ვისმე ეს და ითხოვს. გულნაზი გათხოვდეს და ჩემი ქალები შინვე ისხდნენ! – გაიფიქრა დედაკაცმა.

და გულს ეკალი დაესვა უცნაური. თითონ გულნაზზედ სიზმარმა ძლიერ იმოქმედა. აჰყვა მას ზმანება ლოგინიდან, არც შემდეგ მოჰშორდა. ქალწულის ფიქრი გადიტაცა ჩვენებამ იმ მის ნაცნობ ჭაბუკთან, რომელი ოცნებაში დაესახა თავის რაინდად.

– მსწრაფლ ახდება მისი სიზმარი: მოვა იგი რაინდი, მონახავს სატრფოს, თუნდ ცის ძირს იპოვის მას, შესდგება მის ახლო მოწიწებით, როგორც რამ მონა სეფეწულის წინ, და შეევედრება, მიიღოს იგი, მიიახლოს თაყვანისცემად და მსახურებად, მიანიჭოს მას ბედნიერება გამოუთქმელი. შენ არა გჯერა ეს?! არა გრწამს?!

– სულისდგმა ხარ ჩემი, მშვენიერო, ვერღა შემიძლია ყოფნა უშენოდ; განმარინე სიკვდილს უჟამოს, მომანიჭე სიცოცხლე სასიხარულო! – ეტყვის ქალს მოწიწებით.

გულნაზი დაჰყოვნებს ერთს წამს და შეჰხედავს კდემამოსილად, მაინც საიმედოდ. გაჰბედავს რაინდი მიხლებას, დაეყრდნობა მის წინ მუხლზედ, დაუკოცნის ხელს აღსავსე ნეტარებითა. ქალმა ცხადად წარმოიდგინა ეს წუთი, სრული სინამდვილედ დაესახა თვისი აზრი და სიხარულის ალიონმა აუვარდისფრა ნაზი ღაწვები.

– შენ, ჩემო ვარდის რტოვ, ერთი ყვავილი უნდა მიძღვნა, თმა დავიმშვენიო ახლად ფურჩქვნილით! – უთხრა ქალმა ბუჩქს.

და კულულებში გაიბნია ახლად გარდაშლილი ყვავილი.

– სხვა ყვავილებს აღარ წაგართმევ, გენაცვალე, ნუ გეფიქრება! მხოლოდ ხელს შევახებ ტურფებს, გავასუფთავებ, – ანუგეშა ქალმა ბუჩქი.

და დაუწყო ყვავილებს წმედა: ამორებდა მისეულ მწერს, აცილებდა შემჰკნარ ფოთლებს, უსწორებდა ფურცლებს.

– იმისთვის უფრო მიყვარხარ, ლამაზო, რომ ჩემმა რაინდმა შენ შეგაადარა ჩემი თავი. ვარდი ხარ ამ უთვალავ ყვავილთ კრებულში, ვარდისავით სდედოფლობ მათ შორის; ნება მომეცი, ვარდის ქალწული გიწოდოვო, მითხრა ცეკვის დროს. არ იცოდი ეს შენ?!

– ვიცოდი! მე ყველაფერი ვიცი: გულთმისანი ვარ.

– არ შემეცილო, ტურფავ, მშვენებაში, არასოდეს არ შემეცილო, არც ეხლა, არც შემდეგ, არ დამჩაგრო!

– შენს ხელში ჩავჰკნები ეხლა, მშვენიერო.

– შემდეგში კიდევ სხვა ტურფა შენისთანები! არა?

– არა! შემდეგში კიდევ სხვა ტურფა ჩემისთანები სხვა ტურფა შენისთანებთან.

– სხვა ტურფა ჩემისთანებთან?!

– კაემანს ნუ დაიმჩნევ ნათელ სახეზედ: სხვა ტურფა შენისთანებთან შემდეგში, ძლიერ შორეულ მომავალში, გენაცვალე! – ეტყოდა ვარდი ქალს.

ამ დროს იყო, ვარდთან საუბრის დროს, ოთარმა რომ პირველად შენიშნა ჰაეროვანი და შესდგა მისი მშვენივლით მსწრაფლ მოხიბლული. ნებისყოფა დაჰკარგა აღტაცებულმა, ვეღარ შეიმაგრა თავი. ზრდილობის სამზღვარს გადასცდა და მდაბლად მიესალმა უცხო სუნობი. გაოცდა ქალთამზე, მაგრამ გაკვირვება მხოლოდ წამიერი იყო: მყისვე მიეპყრო მის გონების თვალი საოცნებო ჭაბუკს, რომელს დაეტყვევებინა მისი გული და რომელს მოელოდა იგი ამ ჟამს, ამ წუთს, ამავე წამს. უკვე მიესწრაფება მისკენ ტკბილ მომდიმარე. შორიდანვე იცნობს იგი ჭაბუკი თავის გულის ვარდს. ხომ არ იცის, სად იმყოფება მისი გულნაზი, მაგრამ ალლოთი მიხვდება და მიაგნებს. ქალის სურვილი იდუმლის გზით მიაღწევს მასთან, შეაღებს კარებს მისის გულისას, მიუთხრობს სათქმელს საალერსოს და გამოიტაცებს მას აქეთ, მისკენ, გულნაზისკენ, როგორც რამ ძალა უხილავი, მაგრამ ძლიერი და უძლეველი.

ქალწული ისე იყო გართული თავის ოცნებებში, ისე იყო გატაცებული თავისი ჩვენებებით, რომ ვეღარ ამჩნევდა დროთა მსვლელობას; მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა გოგომ მოახსენა, ყავა მზად გახლავსთო.

ყავის მისართმევადაც აივანზედ შეიკრიბა ოჯახი. ეხლა აქა სჯობდა. ოთახებში ცხელოდა. სურაიებზედ ახვეული ყვავილები ატკობდნენ ყნოსვას და თვალს, იქვე მდგომ ალვის ხეებს მწყობრად უშრიალებდნენ ფოთლები, უალერსებდნენ ყურთასმენასა. სახლობა მსჯელობდა წვეულობის შესახებ, რომელიც უნდა გამართათ ხვალზეთ. ითვალისწინებდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მოწყობილი სტუმრობა ან ვინ იქნებოდა დაპატიჟებული.

– ყველაზედ ძალიან ის მიხარია, მომღერალმა ელეფთერმა აღგვითქვა მოსვლა, – სთქვა ლიუბამ.

– უნდა ვუფრთხილდე, არა ეწყინოს რა, არ გაჟინიანდეს; თუ ერთი გაწყრა, კრინტსაც ვეღარავინ დააძვრევინებს, მთელი საღამო დაღვრემილი იჯდება.

– მაინც ხელოვნები ყოველთვის ცვალებადის ხასიათისა არიან, ჟინიანები, თავის წვერანი.

– თქვენ იმას მიაქციეთ ყურადღება, რომ მოცეკვავე ახალგაზრდობა იყოს და ქალები მოწყენილნი არ დარჩნენ.

– რას ამბობ, დედი?! ჯერ ანდუყაფარ რადა ღირს! რომ შემოჰკრავს ფეხს ფეხზედ და დეზებს შეაწკრიალებს, გულგატეხილსაც თამაშობის ეშხზედ მოიყვანს, – სთქვა ლიუბამ.

– შენი ანდუყაფარ მაშევრელი მარჯვე მოცეკვავეა, მაგრამ იმასაც უსათუოდ შესაფერი მოლხინენი უნდა ჰყვანდნენ გვერდით, რომ მხიარულება ბუნებრივი გამოვიდეს და გულიანი, – მიუგო დედამ.

– ანდუყაფარ მაშევრელი იქნება ზევ? თქვენ იცნობთ იმას? – იკითხა გულნაზმა და შეწითლდა.

– უსათუოდ იქნება! შენ საიდან იცნობ ბრწყინვალე თავადს? – შეეკითხა დედიდა.

– პანსიონში რომ გამოთხოვებისას სტუმრობა გაგვიმართეს, იქ გავიცანი; რამდენჯერმე მთხოვა მეცეკვა მასთან. ერთხელ ჩვენსაც იყო მერმე.

დებმა გადახედეს ერთმანეთს, ორაზროვნად გაუღიმეს დედას.

– ქალო ლიუბა! მისი ბრწყინვალეობა ხომ შენი საკუთარი რაინდია და ვინძლო არ მოაწყინო, კარგად გაირთო, გაიტაცო კიდეც. შენ კი, ჩემო ნადია, ყურადღება მიაქციე ჩვენ ახალ სტუმარს ოთარს; გახსოვდეს, ყოვლად ღირსეული ვაჟკაცია ის: განათლებული, დედულ-მამულის პატრონი, კარგი სამსახურის მექონი, სწორედ ოჯახის ბურჯად დაბადებული. ისეთი თვალთწარმტაცი არ არის, როგორც ანდუყაფარ, მაგრამ ნამდვილ კი არაფერში ჩამოუვარდება მას, სრულებით არაფერში! – არიგებდა დედა თავის ქალებს.

ქალწულნი ყურადღებით ისმენდნენ დედის წრთვას და ბჭობდნენ იმაზედ, რა ჩაეცვათ იმ დღისათვის ან რა დაეხურათ; როგორ მოეწყოთ ყოველივე გასართობად თუ სალხენად.

გულნაზი სრულებით აღარ იღებდა მათ ლაპარაკში მონაწილეობას, აღარ ესმოდა ქალთა ბაასი, არც არავითარ ყურადღებას აქცევდა მას; უმზერდა იგი თვის ოცნებას უკვე ხორცშესხმულს და განსახებულს, უღიმოდა უებრო რაინდს, რომელი ბედს მისთვის გაეჩინა და მოევილინა. დახე: შორსმჭვრეტი იღბალი ისე მიმოხრის გარემოებებს, რომ იგი რჩეული თითქო ისევ შემთხვევით შეჭხვედროდა ქალს ხვალზედ და განეცხოველებინა სიყვარული. აკი სიზმრადაც ეჩვენა... სწორედ ის იყო. სხვა ვინ იქნებოდა?! განგებამ იმ სიზმრით საიდუმლოდ ამცნო ქალს, რომ შეჭხვედებოდა აქ თავის იღბალს და გადუსხნიდა გულს, გრძნობათა საუნჯეს უმრეტულეველს.

– მაგრამ ეს რასა ნიშნავს, რომ სიზმრად მისი სახე კარგად ვერ გავარჩიე? ან ნეტა რად მომართო მარგალიტი აღმასის მაგივრად? მეუბნებოდა, ძვირფასი ბეჭედიანო, საგვარეულო საგანძურიდან გამოღებული. ნეტა რა ცრემლს უნდა მოასწავებდეს ეს მარგალიტი ან რა სიმძიმისა?

– ნუ გეფიქრება, ჩემო ვაჟკაცო, არ დაგაღონებს შენ შენი სატრფო, არც აგაცრემლებს ჭმუნვისა ცვარით; ცრემლებს კი მოგგვრის შენი გულნაზი, თვალთა ნამს სიხარულისას!

## 23

ყოველთვის თანაბრად არ მიმდინარეობს დრო, არც ერთნაირის სისწრაფით. თვითეულ განკერძოებულ შემთხვევაშიც იცვლის იგი სახეს და სიჩქარეს დენისას. არის დრო, როცა ჟამნი რბიან საშინელის სისწრაფით; არის გარემოება, როცა შესწყვეტენ მნათობნი დენას: შესდგების მზე, აღარ მსვლელობს მთვარე, აღარა ბრუნავს შუქურ-ვარსკვლავი. შენელდება სრბოლა ჟამთა, შესდგება. მაშინ ადამიანისთვის წამი ჟამს აღემატება თვისი სიგრძით, ჟამნი უდიდეს იქმნებიან დღისა თუ ღამისა. აღარ დის დრო მოსაწყენი, აღარ მიჰყავს მის ტალღებზედ მიმომცურავი არსება საესავო ნავთსაყუდელში. ამისთანა წამებში უმძიმდება ტვირთი სიცოცხლისა, უსახო ხდება თვით მაღლიც არსებობისა, უარსაყოფი.

ამგვარ ძნელ გარემოებაში ჩააგდო ოთარი შუქურის ნახვამ. გამოსცდა ქუჩას და მოესურვა ერთი კიდეც დაეკრა თვალი იმ ჩვენებისთვის, ერთი კიდეც შეეხედნა ქალად შენივთებულ ვარდისფერ სხივთა ჯგუფისთვის. გაბრუნდა, გაიარა განხმულ ჭიშკარის წინ, მიაპყრო აღგზნებული თვალები წალკოტს, ეძიებდა ვარდის ბუჩქსა. ამაოდ! არა სჩანდა ბუჩქი ქუჩიდან, არც ის ფერია, რომელი აცისკროვნებდა, სიხარულის ფერსა ჰფენდა იმ არემარეს. კინაღამ ფეხი შესდგა ეზოში!

შეწუხდა ფრიად. მოუთმენლობამ ჩასჭრა, ჩასერა მღელვარე, ნივთიერ ტანჯვად გარდაუქმნა ლოდინი. წამისწამს იღებდა საათს უბიდან დროს სასინჯავად; ისრები

შეყინულიყვნენ სავალზე, აღარ იძროდნენ. გულის გადასაყოლებლად მოინდომა თბილისის მიდამოების დათვალიერება და გაემართა ნარიყალის ნანგრევებისაკენ. ჯერ არც კი ასულიყო მთაზე, რომ მოეწყინა. რა იყო ეხლა იქ მისთვის საყურადღებო თუ სასიამო?! ოღროჩოღრო სავალი, ძველისძველი კედლების ნაშთები, კოშკების თუ ბურჯების ნამსხვრევები, გვირაბების პირები, ვეებ-ვეება გელაზები უწინდელ ნახატ-ნაწერით უსულგულო ნიშანი წარსულისა, სავალალო მოგონებანი გარდასრულ-გარდაცვლილისა. რად უნდა ყველა ეს ოთარს?! არაფრად! აწმყო სწყურის მას მოელვარე, დამათრობელ-დამატკობელი აწმყო, ის სანატრელი ეხლა, რომელი სცხოვრობს მთელის სიცოცხლით: ჰგრძნობს, ფიქრობს, ჰსურს, უყვარს, მიისწავის; რომელს სული უდგა მოძრავი, ცხოველსმყოფელი. ოთარი ერთხანს გაქვავებული იდგა ნანგრევებში, როგორც რამ სვეტი ლოდთა შორის, უსიცოცხლო, ხავსმოდებული: გასცლოდა მას ცნობიერება ნათელი, განშორებოდა იგი თვითცნობა და თავს ევლებოდა სხვას, რჩეულ ქმნილებას, რომ შეერთებოდა მას განუყრელად და ეარსებნა მასთან საუკუნოდ.

– ნეტავ ვინ არის ის ქალწული ან ვისი ასული? იქნება სხვისთვის უცემს გული უმანკო? ვაჰ, თუ სხვა ვინმე ჰხარობს მისით სვებედნიერი! ღმერთმა ნუ ქმნას! არა, მას ჯერ არ მიჰკარებია ცოდვა მატკობი, უმანკოა, როგორც დილის ციაგი. არა? ჰო, თორემ ვეღარ გავძლებ, ვეღარ ვიარსებებ გონივრულად; უხმარი შევიქმნები, როგორც ნაშთი უგვანი, მთლად უაზრო, შორს გასასრევი, – წარმოსთქვა ოთარმა.

და მაღლიდან დაუწყო თვალიერება ქალაქს, რომ ეაზრნა ის უბანი, ქუჩა, სახლი, რომელშიც იმყოფებოდა მისი სულისდგმა. თავს ძალა დაატანა, დაახლოვებით მიიკვლივა ის სასახლე, დააშტერდა; თითქო შესადლო იყო განეჭვრიტა სივრცე თუ ყოველი სხვა დაბრკოლება და დაენახა სანატრელი, აწ ერთადერთი საგანი თვის მისწრაფებათა. ხელქმნილის თვალთან ერთად წაესწრაფა იქით მისი არსება: შეუგნებლად დაემო თავქვე, სწრაფად გაიარა მთელი ქალაქი და გაჩნდა იმავ მოჯადოებულ ქუჩაზედ, იმავ სახლთან, იმავ ალაყაფის კარებთან. ამაოდ! ქალწულის აჩრდილსაც ვეღარ მოჰკრა თვალი.

მოუთმენლად ელოდდა მოხიბლული ქალწულის ნახვას, პაემანი კი მასთან მისვლისა სრულებით არა ჩქარობდა მოახლოვებას; დრო იზღაზნებოდა უგემურად, იძაბებოდა უსაზღვროდ. იგვემებოდა ვაჟკაცი: მის ნათელ გონებას ჰქეჯნავდა გაურკვევლობა მისის სავალი გზისა, უცნობობა მისთვის ახლად აღმომხდარის მნათობისა. არ იცოდა, ვინ იყო მისი მომჯადოები. ვერც შეეგნო, რა ძლიერმა გრძნობამ შეიპყრო ის, რომ წაართვა ნებისყოფა და ლამის საარაკო საქმეები ჩაადენინოს ჰკვადამჯდარს, ბალღური საქმეები მოუზომელ-მოუაზრებელი. დრო, გულცივი დრო, ისევ დამცინავის ღიმილით დაჰყურებდა მის დაუცხრომ შფოთვის და ნელა, ძლიერ ნელ-ნელა, მთლად შეუმჩნევლად მიირხევ-მიიკლაკნებოდა დაუსრულებელ სავალზედ.

თურმე მაინც მიდიოდა დრო! და დადგა ის ჟამი, როდესაც შესადლო შეიქმნა მისულიყო მიპატიჟებული სტუმარი სასიამოვნო მასპინძლისას. გამოეწყო საუკეთესო ტანისამოსში, თავი მოიმამაცურა და სწრაფად გაუდგა გზას. ის იყო დაუპირდაპირდა სასახლეს, რომ ჯიბეზედ ხელი მოისვა და შედგა: ხელცახოცი დარჩომოდა შინ, სუნნელებით ნაპკურები თეთრი ხელმანდილი. დაბრუნდა. ძალიან კარგი ქმნა, თორემ სტუმრად მისვლა მეტად ადრე მოუხდებოდა, როდესაც ჯერ არც ერთი დაპატიჟებული არ იყო მასპინძლისას, არც მისი მახლობელი.

გულნაზი დარბაზში დაუხვდა ოთარს. ისევ ის ტანისამოსი ეცვა. ქალმა ცივად ჩამოართვა ხელი, გარეწრად; გამკვირვებელი თვისი თვალი არ შეაჩერა ვაჟკაცზედ:

მისი ლამაზი თვალები სხვას ეძებდნენ დარბაზში, სულ სხვას ელოდდნენ მოუთმენელნი. სახლი თანდათან აივსო ხალხით. შემოვიდნენ ბრწყინვალე სტუმრები და მათ შორის სხარტი ვინმე ჭაბუკი მკვირცხლი, მარჯვე, ლაზათიანი, მოქნილი. მასპინძლის უმცროსი ქალი შეეგება მას; მალე გაიცალკევა. ოთარმა შენიშნა, რომ თითონაც უფროსი ქალის ქსელში გაბმულიყო, დაეჩემებინა იგი მას. ზრდილობა მოითხოვდა სუფთად და სრულის ყურადღებით მოჰყვრობოდა მასპინძლის ქალს. ოთარი ძალას ატანდა თავს, რომ საუბარი არ შეწყვეტილიყო მათ შორის; იმასაც ძლიერა სცდილობდა არ გაეგებინა ქალისათვის ვისკენ იყო ეხლა მისი ყურადღება მიქცეული, მხოლოდ ვისა ჰხედავდნენ მისი ორივე თვალები.

– გადაჩვეულა ბრწყინვალე საზოგადოებას და მიტომ გრძნობს თავს უხერხულად დიდებულ კრებულში; ალბათ ამის გამო ფრთხილობს თვალი გამისწოროს ან ხასად მომეპყროს მე, საუკეთესო წარმომადგენელს ამ კრებულისას, უპირველეს ქალწულთაგანს აქ მყოფთა შორის, – ფიქრობდა ქალი.

რომ წახედავდებოდა ვაჟკაცი, გაემხნეებინა ან აელეღებინა, თითონ ექცეოდა ხასად, თითქმის დაურიდებლად: ფეხი ფეხს შემოედო და ბჭყვრიალა ქოშის ჭვინტს ცხვირწინ უთამაშებდა, ამოჭრილი კაბიდან უხვად ამოყრილ მხარ-მკერდს თვალწინ უელვარებდა, სპეტაკ მარაოს ათასგვარად შეჰკეც-გაშლიდა და უფრიალ-უტრიალებდა; ვნებათა ღელვათაგან მინისლულ თვალებს დაუფარავის სურვილით წამისწამს მისკენ მიაქცევ-მიაპყრობდა. ქალი ეუბნებოდა ძალაღ საზოგადოების ყოფაცხოვრებიდან; ჰკვირობდა, რომ განათლებული კაცი გადაკარგულ დაბაში მსახურებდა, თუნდაც საკუთარ მამულ-დედულში. ართობდა იგი სტუმარს, როგორც მარჯვე მასპინძელი, სცდილობდა ემზადებინა მოეყვანა, ტკბილად აეჭიკჭიკებინა, ფიქრთა თუ გრძნობათა სალარო გაეხსნევიდნენ, ვნება-მისწრაფებათა ნიადაგი გაემტკიცებინა. ამაოდ სცდილობდა! კაცი ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხს აძლევდა, ბევრჯერ უაზროდ, უადგილოდ; თითქო ვერა ჰხედავდა სანუკვარ მოსაუბრეს, ვერც ამჩნევდა მის ნივთიერ მშვენიერებს; გულგრილად უმზერდა ქალწულის თეთრ ტანს, ემზით აფუებულს, როგორც ვნებათგან დაცლილ-დამშრალი, სამუდამოდ გაყინულ-გაციებული, გრძნობათა არედან მთლად გარისხული, განცადევნილი. ოთარმა ისიც კი გაბედა, მუსაიფის დროს სხვებს დაუწყო თვალიერება: რამდენჯერმე დაჟინებით მიაშტერდა გულნაზს, რომელიც შორს იჯდა გულჩათხრობილი, თითქო შემკრთალი, გზააზნეული, გაბუცებულ-დადუმებული. მოეწყინა ნადიას ამ უგრძნობელ ადამიანთან ყოფნა-ბაასი, ეწყინა კიდევ მისი ესეთი უგულო ქცევა და უცბად ანება მას თავი, მთლად განშორდა.

– დედიჯან, უაზრო კაცი სჩანს ეს ვიღაც ოთარია, გრძნობაწამოცალიერებული. ან დაჩაგრული ჭკუის მექონი უნდა იყოს და ბეჩავი, ან მთლად გაველურებულა ტეტებთან ცხოვრებით მივარდნილ კუთხეში.

– სცდები, საყვარელო! თვალს გადევნებდით და შორიდანაც კი შევნიშნე, რომ მისი ყურადღება მიიპყრო ჩვენმა გულნაზმა. თუ შენთან იჯდა და შიგადაშიგ მაინც პასუხს გაძლევდა, ეს მხოლოდ ზრდილობის გამო; ის იმაზედა ფიქრობდა, როგორ დაგხწეოდა შენ, რომ მიახლებოდა გულნაზს.

– მაშ სოფელში გემოვნებაც დაჰხმობია მაგ საწყალს, თუ მაგისთანა უგრძნობელმა ქალმა მიიპყრო მაგის ყურადღება და დაიმონა! – სთქვა ნადიამ წყენით.

და მთელის მეჯლიშის განმავლობაში ზედან აღარ შეჰხედა ოთარს. მის გამოსაჯავრებლად საკრავს ჩაუჯდა, რომ შორიდან ეჩვენებინა იმ უგულო და უხემ ვაჟკაცისათვის ეს თავისი ნიჭიც.

ოთარი რომ განთავისუფლდა ძალად მართობელ ქალის ხელიდან, წაესწრაფა გულნაზისაკენ და როდესაც მუსიკის ხმაზედ რამდენიმე ახალგაზრდა ცეკვით უვლიდა ფართე დარბაზს, შეჰხედა სიტყვა: გააცნო თავისი თავი, ჰკითხა ვინაობა. ქალწული უგულოდ უპასუხებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვას აწვდიდა უმნიშვნელოს. მისი მეტყველი თვალები კაემანს დაებურა ნესტიანის საბურველით, თითქო კრიალა ცას ნისლი შეჰპარვიაო, რომ ღრუბლად გადაეფინოს, ცრემლად დაჰღვაროს იგი ლაჟვარდი.

## 24

გულნაზი იმისთვის იყო მოწყენილ-დაღონებული, რომ სიზმარი არ აუხდა კეთილად, არ გაუმართლდა წინადგრძნობა: მისმა რაინდმა, რომელსაც ისე მოუთმენლად მოელოდდა ის, რომლის მისვლა მანათობელ სხივად დაესახნა, არ გაუთბო მას სული, არც გაუშუქა; ლახვარი ჰკრა გულს და დაუწყელულა სასტიკად; ახ, უკურნებლად! დარბაზის კარი რომ შემოაღო მოხდენილმა ჭაბუკმა და ლაღად წარმოსდგა წინ, ქალწულს გული გადაუბრუნდა სიხარულით, უნებლიეთ წარსდგა ფეხი მისკენ; ყმაწვილმა ჯერ დიასახლისს, მის ქალებს დაუკოცნა ხელები და ყვავილოვანი სიტყვები შესძღვნა, შემდეგ ვიღაც მანდილოსნები მოიკითხა, მოწიწებით, მერმელა გაუწოდა ხელი აღელვებულ გულნაზს.

– ჩემი ნათესავი გახლავთ, გულნაზი, – გააცნო დიასახლისმა.

– ვიცნობ! შემთხვევით გავიცან შარშან ჯერ ისევ სასწავლებელში, – მიუგო ანდლუყაფარ

და ისე მიტრიალდა სხვებისაკენ, რომ ხმაც არ გასცა, კრინტიც არ დასძრა საალერსო: არც კი შეჰხედა წესიერად. თვალთა სხივები ოდნევი ააცურა მის სახეზედ, ვიღაც სხვისაკენ გატყორცნილი ისარი თვალთა. შეკრთა გულნაზი, შემფოთდა, მაგრამ გაიფიქრა:

– იქნებ განზრახ მომექცა გარეწრად; არ უნდოდა პირველ შეხვედრაზევე ეგრძნობინებინა უცხოთათვის, რანაირად გაეხარდა ჩემი მოულოდნელი შეხვედრა.

მცირედ დამშვიდდა. შორიდან დაუწყო თვალთვლიერება ჭაბუკს. არ გამართლდა მისი აზრი: ვაჟი შემდეგშიაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას; ისე ექცევოდა, თითქო ქალი იმ კრებულის წევრი კი არ იყო მშვენიერი; ვინმე უბრალო ასული იყო მდაბიო, ბრწყინვალე კრებულში შემთხვევით მოყოლილი. არა, მაინც არ ინება ვაჟმა ხმა არ გაეცა ქალწულისათვის ან დაემცირებინა ის: სიტყვას გადუგდებდა შიგადაშიგ, მიაწვდიდა სანოვაგეს თუ სატკბილობელს; ერთხელ კიდევ სთხოვა ეცეკვავნა მასთან; ყველა ამას სჩადიოდა უგულოდ, თითქო მხოლოდ მისთვის, არ დაემდაბლებინა ეს სტუმარი ქალი, რომლისათვის მაინც პატივი ეცათ და მოეწვიათ კრებულში.

რაკი დარწმუნდა ვაჟის გულცივობაში, ძლიერ იწყინა ქალმა, ბოდმა ბუმტვიით მოაწვა ყელში, განცალკევდა კრებულისაგან ჩათხრობილი. იქვე იყო დარბაზში, მაგრამ მთლად მარტო გრძნობდა თავს სულით დაობლებული. თუ სულაც არ მიეფარა სტუმარ-მასპინძელთ თვალთაგან, მხოლოდ მისთვის, რომ არც სიამაყე, არც ზრდილობა ნებას არ აძლევდა მას საკუთარი დარდის გამო შეეშალნა მეჯლიშის ნირი და თუნდ ოდნევი გაენელებინა მხიარულობა ან თავის თავზედ მიექცია სხვათა ყურადღება. მაინც შენიშნეს ქალის მდუმარება; იფიქრეს, ჯერ ისევ სასწავლებელში ჰგონიაო თავი, გამოუსვლელია და ბრწყინვალე კრებული უხერხულობას აგრძნობინებსო.

– გაიწრთვნება, გაიწაფება, შეეჩვევა საუბარსაც, მარჯვე მიხვრა-მოხვრასაც და ესე მოუხეშავად აღარ დაიჭერს თავს ხალხში. ლამაზი კი არის, ღვთის წინაშე, მოუხდება ცქრილა ქცევა, – უთხრა დიასახლისის ერთმა.

– ჰაი, ჰაი გაიწაფება! მერმე ეხლა, როდესაც შენისთანა განათლებული და მოწინავე ნათესავი აღმოსჩენია მფარველად, – დასძინა მეორემ.

– ეგ ეგრე, მაგრამ სიამაყეც ეტყობა ქალს. უნდა მოგახსენოთ, ეგ ღარიბი ოჯახის შვილები განათლებასთან ერთად დიდ ზვიადობასაც გამოიტანენ სკოლიდან, გოროზობაში კიდევ აჭარბებენ იმათ, ვისაც მდგომარეობა და შეძლება ნებას აძლევს იამაყონ, ამპარტავნულად დაიჭირონ თავი ყველგან თუ ყველასთან.

– მართალსა ბრძანებთ! იქნება იმისთვისაც მოსდით ეს, რომ ეშინიათ აბუჩად არავინ აიგდოს ღარიბ თუ მდაბალ საზოგადოებიდან გამოსულნი.

გულნაზი რომ ამ ძნელ გარემოებაში იყო და ესე ობლადა გრძნობდა თავს დავიწყებულ-დაჩაგრული, ანდუყაფარ გულწრფელ სიმხიარულეს მისცემოდა. რჩეულ ვარდად, მართალია, დღეს მხოლოდ დიასახლისის უმცროსი ქალი ჰყვანდა ამორჩეული, რომელსაც ფარვანასავით თავს ევლებოდა, მაგრამ თვის სიმხიარულის სხივებით სწვდებოდა ყველას: ერთს ტკბილს სიტყვას აწვდიდა, სხვას უღიმ-უცინოდა, ზოგს თვალით უაღერსებდა, ყველას რამე მოსწრებულ სამსახურს უწევდა; ერთსა და იმავე წამს ყველგან იყო, რომ ყველასთან მიეტანა ნექტარი სიამისა, გაეზიარებინა თვისი უზრუნველ-უდარდელი ყოფა და ეგემ-ეყნოსა სხვათა შვების ეშხი თუ სიტკბო. სადამომ რომ მწყობრი სიმხიარულით ჩაიარა, დიასახლისი ანდუყაფარის მადლიერი უნდა ყოფილიყო ამისთვის. აკი ერთგულადაცა ჰმადლობდა კმაყოფილი!

როცა უეცრად მოსცილდა მასპინძლის ქალი ოთარს, ეს მთლად განმარტოვებული დარჩა დარბაზში; რამდენსამე ხანს მის ახლოს არავის გაუჭაჭანია, თითონაც არც ერთს ჯგუფს არ შეუერთდა, არც ვისთან არ დაიწყო საუბარი. უცხო თვალისათვის ესეთი მისი ყოფა უხერხული იყო. თუ თავი ხელთა ჰქონოდა, თითონაც მალე იგრძნობდა, რომ საზოგადო სიმხიარულის და ყიჟინ გარეშე დარჩა უშნოდ განმარტოვებული. მაგრამ მას ვეღარ შეეძლო ამის შემჩნევა, ვერც თუ სხვა რამ საგონებლის შეგნება; ვეღარ არჩვედა თვის სიმარტოვეს, მოლხინე კრებულსაც ბუნდად ჰხედავდა: მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო გულნაზისაკენ, რომელი მასავითვე განცალკევებულიყო და მონაწილეობას არ იღებდა საზოგადო ხმაურობაში, სიცილ-თქართქარში, ალატაცებაში. ოთარს აღარ შერჩენოდა ფიქრისა თუ მოსაზრების უნარი, რომ შეეფასებინა თვისი მდგომარეობა, ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის და ჩარეულიყო საერთო დროს ტარებაში: მისი აზრები და გრძნობები გარს ეხვეოდნენ იმ ლამაზ ჩვენებას, რომელი მოჰვლენოდა მას გულნაზის სახით; მისთვის ეხლა მთელ ქვეყანაზედ ამ ქალის გარდა სხვა ვინმე ან სხვა რამ აღარ არსებობდა.

ოთარი ისევ განცვიფრებული იყო სანახაობით, გაურკვეველად განიცდიდა იდუმალ ძალის უძლეველობას, რომელი გარს შემორტყმოდა მას, მძლავრად შეებოჭა და იზიდავდა იმ ქალისაკენ, მისაწრაფებდა. მალე გამოირკვა ეს შეუმართებელი გრძნობა, მიიღო სახე მკაფიო, დაინახა თვის გულში მსწრაფლ აღმოცენებული მძლე სიყვარული და მისი საგანი ტურფა ქალწული.

– აი სადა ყოფილა ჩემ მეუღლედ დასახული ქალწული! მე კი სად ვეძებდი მას! მაინც ხომ არც ერთი სხვა არ მომდიოდა ჰკვაში, ვერც ერთს სხვას ვერ იკარებდა ჩემი გული, არც ერთის ახლოს არ გრძნობდა არც სიმშვიდეს, არც რამ კმაყოფილებას. ჩემს გონების თვალს მარად ეცხადებოდა სხვა სახე ეთეროვანი. ტოლს ელოდდა სული ტანჯული. მიჰხვდაცა იგი საწადელს! ველირსე მის ხილვას, შეხვედრას, გაცნობას!



მაგრამ, დახე, მოქმედების უნარი მთლად წაერთმია ოთარისთვის საუცხოვო სანახავს, მოესპო მისთვის მიზანშეწონილი მოძრაობის შეძლება: ვეღარ მოახერხა მარჯვედ მიახლებოდა ქალწულს და ბუნებრივად ემუსაიფნა მასთან ჭკვადალაგებით, რომ უხერხულად არ გარჩეულიყო მისი საქციელი სხვათა ქცევისაგან. მაინც მიუახლოვდა ქალწულს, გახლიჩა სასაუბროდ ბაგე შეწებებული. მისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტმა სიტყვამ და ათრთოლებულმა ხმამ ახლომყოფთ ღიმილი გამოიწვია, გამკილაგ-დამცინავი ღიმი. ბოლოს მოაგვარა ვაჟკაცმა და გაიგო ქალისაგან მისი ვინაობა.

– თუ ნებას მომცემთ, გაიხლებით აქ თქვენ სანახავად.

– გმადლობთ! რად უნდა შესწუხდეთ და მობრძანდეთ ჩემ სანახავად? ტყუილადაც გაირჯებით: ამ ცოტა ხანში მე ჩემს სახლში წავალ, რადგან ეს ოჯახი სხვაგან მიდის.

– უფრო სასიამოვნო! ნება მომეცით გავიცნა თქვენებიც და გნახოთ თქვენ სახლში, – შეემუდარა ოთარი ქალს.

პასუხი კი ვეღარ მოისმინა: უკვე აიშალნენ სტუმრები.

– იცი რა უნდა გითხრა, ჩემო კარგო? – მიჰმართა თავშეკოპილმა კატიკომ ლოგინში ჩაწოლილ ქმარს.

– რა უნდა მითხრა?

– შეცდომა იყო შენის მხრივ, რომ გულნაზი მომაწვევინე და ამდენს ხანს დამატოვებინე სახლში.

– რათაო? მადლობელიც უნდა იყო, რომ პატივსა ვცემ შენს ნათესავს. ან რა დაგიშავა იმ გვრიტივით უწყინარმა ქალწულმა?

– სწორედ დამიშავა! გასათხოვარი ქალების პატრონები ვართ და უნდა ვეჩქარებოდეთ მათ დაბინავებას, მეტადრე ნადიას გათხოვებას, რადგან ლიუბამ ვგონებ იშოვა საქმრო და ძალიან კარგიც.

– ანდუყაფარი?

– სწორედ ანდუყაფარი! არ მოგწონს? ოთარიც კარგი იქნებოდა ნადიასთვის, ყოველმხრივ ხელსაყრელი; მოვახერხებდი კიდეც ამ საქმეს, თუ მას გულნაზისათვის არ მოეკრა თვალი. ეხლა ამაო იქნება ყოველივე ცდა.

– რად იქნება ამაო?

– არაფერი გესმის, არც არაფერს ჰხედავ! იმიტომ იქნება ამაო, რომ ვნახე, როგორ მოჰხიბლა ის კაცი გულნაზის თვალმახარა შეხედულობამ. ვაჟკაცებს მხოლოდ თვალებში გაქვთ ჭკვა.

– მეც მარტო თვალებში მაქვს ჭკუა, ჩემო სულიკო?

სტუმრობიდან დაწყნარებული წამოვიდა ოთარი, რადგან ცხადად და გარკვევით დაინახა უმთავრესი საგანი თავის კერძო მოქმედებისა, უდიდესი მიზანი თავის პირადი ცხოვრებისა. სიხარულიც იგრძნო ჯერეთ განუცდელი. ეს სიხარული იმით არ იყო გამოწვეული, რომ ადვილად მისწვდებოდა თავის სანატრელ საგანს; გრძნობდა, ხედავდა, მის სასურველ საგნისადმი სავალი ძნელი იყო და მით უფრო საფთხილო, რომ ერთადერთი იყო ის მისთვის, უბადლო, განუმეორებელი. არა, სიხარულის ციაგი

იმისთვის იგრძნო, რადგან სინამდვილეში ჰპოვა ოცნებაში დასახული არსება, ღირს იქმნა მის პირისპირ ხილვისა. თუ განგება გზასაც მისცემდა მას, დაახლოვებოდა იმ ტურფას და თავისი ბედი მისთვის შეეერთებინა, ეს ხომ ნეტარება იქნებოდა მისთვის დაუშრეტელ-გარდაუვალი. ახსოვდა ოთარს, რა იშვიათად შეჰხვდებოდა ადამიანი თავის ოცნების განსახებას; ესმოდა, რომ თვით ეს შემთხვევა დიდ მადლად უნდა მიეჩნია მას, ღვთისაგან მინიჭებულ წყალობად.

– რაზე ავცდებოდი ამ ჩემთვის დასახულ ქალწულს და სხვასთან გადავებამდი ჩემს ბედს თუ ცხოვრებას! მთელი სიცოცხლე ყრუ ტკივილად გარდაიქმნებოდა ჩემთვის, მარად მადონებელ სნებად: მეცოდინებოდა, ყოველ წამს მეხსოვებოდა, რომ გვერდსა მყავს ის, ვინც ჩემთვის არ იყო გაჩენილი; ამცდა ის, რომელი განგებას ჩემთვის დაეზადნა.

– იგი? შემოქმედი დაჰბადებს ვაჟკაცისათვის ცალს, როგორც ევას ადამისათვის, ხოლო ცხოვრებაში მათ შეხვედრას მიანდობს ცვალებად შემთხვევას გაუტანელს, რომელიც არ არის იმის ზრუნვაში, უსათუოდ შეგხვდეს განგებისაგან შენთვის აღნიშნული; ეს პირად შენი საზრუნველია და იქნება ჰპოვო, თუ შესძლებ მის ძებნას მოფიქრებით, დაჟინებით, თვალხმიერად, აუჩქარებლივ.

ამნაირი გრძნობა-აზრები რომ აიშალნენ ოთარის სულში, ცხადად წარმოუდგა მას იგი საბედოც და უნებლიეთ პირჯვარი გადაისახა, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ არ აჩქარდა მაშინ, თავი შეიმაგრა, უკანასკნელი ნაბიჯი არ წარსდგა და სამუდამოდ არ შეაკავშირა თავის ბედ-იღბალი იმ ვიღაც უცხო ქალის ცხოვრებასთან.

– ის კავშირი ნაკარნახევი იყო მარტო ჩემი გონებისაგან, ბედის ლოდინით დაღლილ ფიქრისაგან, რომელს სწაღდა დაესრულებინა ეს პირადი საკითხი, ბოლო მოეღო მისთვის. გული მონაწილეობას არ იღებდა არჩევანში. სურვილებიც არ აღძრულიყვნენ მისგან და მის გარშემო. არც სურვილები, არც გრძნობები არ გამითბობდნენ საბედოს უეშხო ეშხით; შემდეგში გონებაც თანდათან მიატოვებდა იმ თავისგან რჩეულ საგანს და მთლად უცხო შეიქნებოდა ქალი ჩემთვის; კავშირი ჩვენი გახდებოდა ნაძალადევი, სიკვდილამდის უგემური. გრძნობათა ნაპერწკალს ვერ ჩამოაკვესებდა მწვავ განცდათაგან გამრცვილი; ვერ გამოიღებდა ფრთიან სიამეს. გარეგნობით ჰაი, ჰაი უღელველი იქნებოდა ჩვენი კავშირი. მდორე, შეურყევლად მიმდინარე ხავსმოკიდებულ სადენში, უცხო თვალთათვის სანიმუშო და ნამდვილ ბედნიერი; მაგრამ არ ექნებოდა მას არც ერთი წყალვარდნილი, სადაც მარგალიტებად იშლება ნაკადი ცხოვრებისა, არც ერთი ჩანჩქერი, სადაც სდულს, იბრძვის, ქაფქაფებს სიცოცხლე, ხოლო მისგან ნასროლ შხეფში კრთიან სხივნი თვალთწარმტაც ნატეხებად ცისარტყელისა.

ოთარის ოცნება მთლად მიეპყრო იმ ახალ ვარსკვლავს, რომელი უეცრად აღმობრწყინდა მის ბუნდოვან ცაზედ და გაუცისკროვნა არე ცხოვრებისა; ის ცრიატი სინათლე, რომელი სჩვენებოდა მას სინამდვილეში და ჰსურდა დაჰნაცვლებოდა ამ მნათობს შუქურს, აწ მიეფარა გონების თვალთაგან, სრულებით განქრა, ჩაიძირა უფსკრულში არარაობისა. გონებაც, თაღლითი იგი გონება, აწ სრულებითაც აღარ დაეხმარა ოდესმე მისგან სასურველ არსებად შენაქებ საბედოს, ერთიც აღარა სთქვა ენაწყლიანმა მის საღსრად თუ სანუგეშოდ. ვაჟკაცის გულმა სრულებით არ იგრძნო რაიმე ტკივილი საბედოს დანაცრების ხილვაზედ, უბრალო თანაგრძნობის სხივით ვერ გასტყორცნა განწირულისკენ; მის ნებისყოფასაც ზურგი შეექცია შორეულ საბედოსათვის და პირი ებრუნა შუქურისაკენ, წასწრაფებულიყო მის თაყვანებად თუ მსახურებად. იგრძნო ოთარმა საამო რამ სიმჩატე თუ სიკეთე არსებობისა, როგორც

ხლართს მოცილებულმა მერცხალმა, თავისუფლად მიშვებულმა სანავარდოდ ლაჟვარდ ცაში, ყვავილოვან ველ-მინდორში.

ეხლა ოთარმა იცოდა, ვინ იყო მისი სიცოცხლის ყვავილი, რა ნორჩი იყო, კეთილქმნილი, სუნნელოვანი. როგორის ეშხით გადმოხრილა იგი ფურჩქენილი ნაზ ღეროზე და მწყობრად აყოლებს გამჭვირვალ ფურცლებს ეთერთა რხევას.

– არ მოაშორო თვალი, ბედნიერო, დასტკბი მისის არსებობით! მიეახლე მას, ნეტარო, შეახე ბაგე ადამიანის სახედ შენივთებულ შვენებას და მისწვი, რომ ხარ აწ ვითართა ერთი ღმერთთაგანი. იგი შეხება ბედნიერ გყოფს შენ სამარადისოდ, ჩასახავს შენში დაუჩრდილავ სხივს ნეტარებისას; ვერღა მოგეახლოს ბნელი უგვანი! იყავ მადლიერ ცხოვრების მომცემელისა: ღირსგყო ხილვად უჩრდილო მშვენებისა, ხლებად განსახებულის სილამაზისა, შეხებად განხორციელებულის სიტურფისა. იცოდე: ხილვა უსაზღვრო დიდებისა დაუქრობელ ნათელსა ჰკვეთავს კაცის სახეზედ; ხილვა უებრო მშვენებისა დაუშრეტელ სიხარულს ჰკვალავს ადამიანის გულში.

მაგრამ არა კმაროდა ოთარისათვის მხოლოდ პოვნა სანატრელის სამებარისა, განსაზღვრულ ადგილს მისი დაგულება; აუცილებელი იყო თავისად დაესახა ის, შეკავშირებულიყო მასთან, რომ განეცადა სავსება ცხოვრებისა, სიკეთე არსებობისა. ოთარი არაფრით დასაწუნი არ იყო გულნაზისთანა ღარიბ ქალებისათვის, სანატრელი საქმროც იყო თუნდ დიდი ოჯახის ქალწულებისთვის. ამ მხრით რომ შეხედავდა ის თავის სამებარს, იმედებით ევსებოდა გული და თითქო საჭიროდაც აღარა სთვლიდა სიფრთხილეს ან დაყოვნებას. მაგრამ საბოლოო ნაბიჯი მაინც ვერ გაბედა მაშინვე: მუხლი მოეჭრა, როდესაც ამ გადაწყვეტილებით გაემართა ქალისკენ და გულს ეფონა, თავისუფლად ამოისუნთქა, როცა უთხრეს, გულნაზი ჯერ არ დაბრუნებულაო სტუმრობიდან. მაინც მიიღეს ოთარი. გააცნო თავისი თავი ქალის დედას. პირდაპირ უთხრა, რა რიგად მოეწონა მისი ქალი და რა მიზნით მივიდა ეხლა მათთან. ისე ჩამოუხდა ოთარს იქ გული, ისე თავისუფლად იგრძნო თავი ამ სახლში, რომ ყველაფერი გულახდით უამბო დედაკაცს და გაანდო მას თავისი სიხარულიც, თავისი იმედებიც, ძლიერი შიშიც, რომ რამე მოულოდნელმა მიზეზმა არ გამოაცალოს ქალი ხელიდან და უბედურმა შემთხვევამ არ დაღუპოს კაცი. ეს პირველად ნანახი უცხო დედაკაცი, მისი ბალღებიც, სუფთად მოწყობილი ღარიბი ბინაც, პაწაწინა კარ-მიდამოც, სადაც გალავანთან ერთადერთი ბროწეული ამოზრდილიყო, ისე მშვენივრად მოეჩვენა და სასიამოდ, რომ ინატრა უფლება მისცემოდა თავისი მზრუნველი მკლავი მოეხვია ამათთვის და დაეფარა იგინი ყოვლისაგან ბოროტისა. მზის სხივიც უფრო ნათელი იყო იქ და ჭახჭახა, ჩრდილიც უფრო მაგრილებელი იყო იქ და მიმზიდველი. როგორღა შეიძლებოდა ეს ყველა უცხო შექმნილიყო მისთვის ან უცნობი?! ეს იმას ემსგავსებოდა, დიდი ხნით წასული შვილი ველარ ეცნო მშობელ სახლს და უარეყო იგი, როგორც უცხო, მთლადაც უცნობი. ღმერთს დაეფარებინა ამ განსაცდელისაგან, მეუფეს სახიერს!

გულნაზის დედა კეთილად დააფიქრა ოთარის ქცევამ და თქმამ. ვაჟკაცის ქალისადმი აღტაცებაში, მის ზრუნვაში, რომ ყოველივე მარჯვედ მოეწყო და მოემართა თავის განზრახვის ასასრულებლად, მის შიშში, რომ ქალის მხრივ არავითარი ხიფათი არ შეჰმთხვევოდა მის სურვილს, ცხადად დაინახა გამოცდილმა ის ძლიერი ლტოლვილება, რომელი მოულოდნელად ჩნდება ადამიანის არსებაში, მსწრაფლ იკრებს ძალას შეუმართებელს და მიილტვის შეუდრკომლად თავის

მიზნისაკენ. ვედარც ძალუმს მას შესდგეს ან გზა იცვალოს! დიასახლისის გულში თანაგრძნობა მოუპოვა ვაჟკაცს უტეხმა გრძნობამ, რომელი გამოსჭვივოდა მის ყოველ სიტყვაში თუ მოძრაობაში, გამოჰკრთოდა მის აღზნებულ თვალთაგან. დედაკაცს ამ სახილველმა გაახსენა გარდასრული თვისი გრძნობა საქმროსადმი, როდესაც პირველად გაიცნო ის; იგი შეუკავებელი სურვილი, რომელმაც მაშინ უნებლიეთ გახლიჩა ქალწულის ბაგე კდემამოსილი და წარმოათქმევინა გაცეხულ დედ-მამის წინ: ან ეგ, ან არვინ სხვა! დედაკაცს ჭკვაშიც მოუვიდა ოთარი: კარგი სამსახურის მექონი, განათლებული, დედულ-მამულიანი; ღვთის წყალობა შეიქმნებოდა მათის დაქვევითების ყოფისათვის განგებისაგან მათთვის წარგზავნილი წყალობა. ვაჟკაციც მოეწონა, როცა დაკვირვებით აავლ-ჩაავლო თვალი გამოწვრთნილმა. თვალად ტანადი, მტკიცედ ნაგები, რიხიანი; მის ძლიერ გამომეტყველებას არც კი შეჰშვენოდა იმ ნაზ გრძნობათა სახე, რომელთაც აწ დაემონებინათ ის. ყველა ეს მოსაზრება ცხადად წარმოუდგა ცხოვრებისაგან ნაწრობს და დაუტკბა სტუმარს ჩვეულებრივ უკმეხი. გულწრფელი პასუხი მისცა უმთავრეს საკითხზედ, ჭკვიანური რჩევა.

– უნდა მართალი მოგახსენო, ჩემო ბატონო, ვითხრა გულახდით: ვერც ჩემი ქალისათვის ვინატრებ საუკეთესო საქმროს, ვერც ჩემი ოჯახისათვის უკეთეს სიძეს. დანარჩენი ყველაფერი დამოკიდებული იქნება თითონ გულნაზის სურვილზედ და მისწრაფებაზედ. განათლებულ ხალხს, ვაჟსა თუ ქალს, აღარა გესწავლებათ რა ეხლა, არც თუ ცოლქმრობის საკითხში და სხვის აზრს, თუნდაც დედ-მამის სურვილს, მხოლოდ რჩევის ხასიათი ექნება, ხომ ეგრეა, ჩემო ბატონო? თქვენზედაც ხომ ეგრე გაქვთ გამოცდილი?

– ოღონდაც რომ ეგრე გახლავთ! ჭეშმარიტსა ბრძანებთ.

– ჰოდა, ჩემი ქალიც თავის ბედს თითონვე გამოსჭედს: მის მოწონებაზედ იქნება ყოველივე დამოკიდებული. გაიცნობთ იმას და დარწმუნდებით, რომ ის, როგორც მთლად გამოუცდელი და ცხოვრების არმცოდნე, ეტრფის მხოლოდ სიყვარულს და შეისმენს მხოლოდ სიყვარულისაგან ნაკარნახევ რჩევას.

– თუ სიყვარული არ იქნება, მაშ როგორ დამკვიდრდება ოჯახი ან რაზედ შეიძლება მისი დაფუძნება?! – მიუგო ოთარმა.

და საათი ამოიღო უბიდან. დროც იყო დაჰმშვიდობებოდა: მხოლოდ გასაცნობად მისული ორ საათზედ მეტი იჯდა იქ, თუმცა დრო ორ წუთად მოსჩვენებოდა. დაფიქრებული დაადგა ოთარი ქალაქის ქუჩებს. საზრუნველი საქმე გასჩენოდა მას საფრთხილო და იმაზედ ფიქრობდა. ყოველსავე შესაძლო შემთხვევას სწონავდა, რომ არსად შეცდომა არ მოსვლოდა და თავისივე ხელით არ დაეღუპნა თავისი ბედი. ჩააკვირდა თავის თავს და შეკრთა: თითქოს წართმეოდა მოაზრების უნარი, დალაგებით მოფიქრების ძალ-ღონე; მისი გამოცდილი გონება უძლურ ქმნილიყო ამ მისთვის ძნელ საკითხის წინაშე. იდუმალ რამ შთაგონებას კი აემალლებინა ხმა და აწვდიდა განსაზღვრულ სახეს მოქმედებისას, მხოლოდ ერთადერთ სახეს:

– ეხლავე წადი შენ სატრფოსთან, მოიდრიკე თავი დიდებულ დედოფლის წინაშე, უკლებლივ განუცხადე გულისნადები და შეევედრე, მოგანიჭოს სიცოცხლე სამხიარულო.

– ვიშვიში პირდაპირ თქმას, ეხლავე მიმართვას; სხვა რამ მოსაზრება...

– არაფერი სხვა მოფიქრება! არ შეიძლება ერთს წამსაც დაჰფარო მისგან შენი სურვილი, დელვა გულისა!

– რომ შეკრთეს მოულოდნელის თქმით და უარმყოს?

– სიამით მიიღე მისმა რაინდმა მისგან სიკვდილიც!

– მართალს ამბობ! მაგრამ აუტანელია უკვე ნაპოვნი ედემის დაკარგვა: მოიცავს მაშინ გულს გარესკნელი და ააკვნესებს მახვილდასობილს.

სდუმდა შთაგონება. გონება კი, ძალმიხილი და აზნეული გონება, გეგმებს ადგენდა, ვითომ მოაზრებულ მოქმედებათა სახეებს, დაუდგრომლად ჰკვერავდა ერთმანეთზედ თითქო უკეთეს სამოქმედო გზებს. ახ, თითონვე დარწმუნებული იყო ექვდარეული, რომ მისგან სიფთხილით ნაქსოვი თუ მკვიდრად წნული სამოქმედო ბადე პირველსავე შეხებაზედ ჩაიგლიჯებოდა, ვით უღონო ქსელი დედაზარდლისა და ჩადნებოდა, როგორც შუშაბანდზედ საოცნებოდ ნაქარგი ყინულის ვარდფანჯი სხივთა კრთომაზედ. მაინც თავისას არ იშლიდა ჯიუტი და ბოლოს საუკეთესო გზა დაუსახა გაჭირვებულს, ისე მოაზრებით და დაწვლილებით შედგენილი, რომ დარწმუნდა ვაჟკაცი, თუ უცვლელად შეასრულებდა მას, არ ასცდებოდა თვის საწადელსა.

რახან ერთხელ გაიკვლია ოთარმა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ მიეღწია საწადელისთვის, ცოტა დამშვიდდა, ადამიანურად იწყო ცხოვრება. მოაგონდა ეხლა, რომ სულ ორიოდ დღით წამოსულმა აგერ კვირაზედ მეტი დაჰყო ქალაქში და საჭირო იყო წერილი მიეწერნა სახლში, მიზეზი მოეგონა დაყოვნებისა. აგრეთვე აუცილებელი იყო მოეხსენებინა თავის მთავრობისათვის მიზეზი შეგვიანებისა და საჭირო ნებართვა აელო ამის შესახებ. სამი-ოთხი კვირა მაინც მოუნდებოდა ქალაქში ყოფნა, იქნება მეტი დროც მოეთხოვნა მისი დაწყობილების საბოლოოდ დამუშავებას. ფულის შესახებაც უნდა ეზრუნა. საკმაო სახარჯო წამოიღო შინიდან, მაგრამ ეხლა ბევრი ზედმეტი ხარჯი იყო მოსალოდნელი და ვერცხლის პნევა ხელგაშლით მოუნდებოდა. ამას ყველას მოითხოვდა ის გეგმა, რომელიც გულდასმით შეიმუშავა ოთარმა და რომლის თანისთანობით განხორციელებას აპირობდა ის. იმედი ჰქონდა, ვეღარ გაუფრინდებოდა მაშინ ეს უცხო ფრინველი, რომელშიაც თურმე იყო დავანებული მისი სიცოცხლი ძალა, როგორც რამ საარაკო ქმნილებაში.

– თუ ყოველივე ნაბიჯი შენის მოქმედებისა დინჯად არ გამოზომე, ჩემო ოთარ, თუ სადმე თუნდ მცირედი შეცთომა მოგივიდა და ნელ-ნელა არ მიუახლოვდი იმ უცხო ფერიას შენის ედემისას, ვერ შეიგნებს ის, ვერც შეაფასებს შენს დიად გრძნობას. უცებ შეკრთება, ფრთას ფრთას შემოჰკრავს და გაჰქრება ლაჟვარდ სივრცეში უსაზღვრო ცისა.

– მაშინ დაინთქმება ჩემი იღბალი, ჩაიშლება საოცნებო ჩემი ცხოვრება, განქარდება თვით აზრიც ჩემის არსებობისა: იგია ჩემი გული, ხოლო უგულოდ კაცი მკვდარს ემსგავსება, უხმარ რამ სათარს, უშნოდ გადახირულს საბედნიეროდ სავალ შარაზედ.

საღამო ხანი იყო. გულნაზიანთ პაწაწა აივანზედ მზის სხივი შემდგარიყო და დაკრიალებულ ჭიქებზედ ციაგობდა. სუფრა გადაფარებულ მაგიდაზედ იდგა მოჩუხჩუხე ჩაიდანი, ხოლო მის გვერდზედ ხახალით პური და თეფშით ყველი. დიასახლისი მოსჯდომოდა მაგიდას, უღონოდ ჩამოეყარნა დაქანცული მკლავები. დილიდან საღამომდის ფეხჩაუდრეკლად მუშაობდა და აწ უნდოდა ერთი საათი შეესვენ-შეექაქანა, დამაშვრალი სხეული დაეწყნარებინა. მაშ რა უნდა ექმნა, თუ ძალზედ არ იმუშავებდა, როცა პატარა გოგოლა ჰყავდა ეხლა მორბედად და მაინც უნდოდა ქვეყანაში პირნათლად გამოჩენილიყო, არვისთვის ეჩვენებინა თავისი ნაკლულოვანება თუ გასაჭირი და სუფთად შეენახა სახლი. ქმრის დროს კი ესე არ

იყო. შემომტანი ვაჟკაცი ცივ ნიავს არ ადენდა საყვარელ მეუღლეს, გოგო-ბიჭი თავს ედგა მას. მბრძანებელი ქალბატონი იყო, განაზებულ-გაყვინიზებული. დაიხედა დედაკაცმა ხელებზე და დაღონდა. როგორ დამაშრულიყვნენ! ქმრის დროს მზისა და ნიავისაც კი ეშინოდათ აზიზებს, ლბილ და სპეტაკ თათმანებში იყვნენ მარად შეკუჟულ-შემალულები. სხვანაირად არც შეიძლებოდა: მის ამაყ ვაჟკაცს უყვარდა მათი დაკოცნა.

– ჩემს გულნაზს ხელები სწორედ ჩემები გამოჰყვა: პატარები, სუფთები, კოხტად ჩამოსხმულები, – სთქვა დედაკაცმა.

და მისი ფიქრი გადაფრინდა ქალწულისაკენ.

– ნეტა რა ბედი მოელის ჩემს ქალივოს. გულით რომ ნაზია საწყალი, აგებულობითაც სუსტია, ვერ შესძლებს შრომისა და ნაკლებულობის ატანას. უფრო ნაზია, სანამ მე ვიყავი ქალობაში. დაილუპება, თუ მოყვარული ვაჟკაცი არ შეჰხვდა და შეძლებულ სახლში არ ჩავარდა. მაგრამ რის იმედით? ფული არა აქვს და მზითევი. მხოლოდ სილამაზე? ეჰ, ეხლანდელ დროში ვინღა მისდევს სიმშვენიერეს ათასში ერთ გატაცებულის გარდა?! ფულს ეძებენ და გავლენიან მოყვრებს, რომ მათის შემწეობით გაიკვლიონ ეკლიანი გზა ცხოვრებისა. არც თუ გასამტყუნარნი არიან: გაჭირდა ცხოვრება, გაძნელდა სახლობის შესაფერად შენახვა და შეკრთნენ ვაჟკაცი, მუხლი აუთრთოლდათ ცხოვრების სისასტიკის წინაშე; ვეღარ გასულან მასთან საბრძოლველად მხოლოდ თავისზედ დანდობილ-დამყარებულნი. აღარცა სჩანან ისეთი რაინდები, ჩემი ვაჟკაცი რომ იყო ცხონებული. ვაი, რომ ბოლომდის არ შემრჩა და დამტოვა ამქვეყნად ტანჯულ-წამებული.

ჩაჰკიდა თავი. შესწყდა მის აზრთა დენა, ბუნდოვანი ჩვენებანი დაენაცვლნენ მის გარკვეულ ფიქრებს; განუწყვეტლად მისდევდნენ ერთი მეორეს საკვირველი სურათები, შეთხზილნი წარსულისა თუ აწმყოს სინამდვილიდან, გარდავლილ თუ მომავალ ოცნებათაგან. წარიტაცეს ამ სანახავებმა თვის ჭრელ ფრთებზედ დედაკაცის სული, მოაშორეს აწმყოს დუხჭირ სინამდვილეს, მთლადაც მოსწყვიტეს იგი მას და გადაიტაცეს ხორცსხმულ ნატვრათა უნივთო სამფლობელოში.

მოესმა გრიალი და გამოერკვა მსუბუქ რულს. გაჩერდა ქუჩაში ეტლი. წყვილი რაში ება შიგ. კოფოდან გადმოხტა მხლებელი და უშველა გულნაზს ეტლიდან ჩამოსვლა. ქალი შევიდა ეზოში. მსახურმა შეუტანა მსუბუქი კალათა პატარა კლიტით დაკეტილი: გულნაზის გიდელა იყო იმისი ტანისამოსით. წამზედ უკან გასრიალდა ეტლი, გაჰქრა უკვალოდ.

ქალი მხიარულად ბრუნდებოდა მდიდარ ნათესავის სახლიდან და შეანათებდა დედის სახლში, როგორც რამ სხივი მხიარული; გარდა ამისა ქალს ყოველთვის მოჰყვებოდა თან ერთ-ერთი ამხანაგი მაინც, თუ ორივე არა, რამდენსამე ხანს კიდევ დარჩებოდნენ მასთან. მდიდარი ოჯახიდან სანუკვარს რასმეც გამოაყოლებდნენ პატივსაცემად და გულის დასადებად. იქიდან მოსულ ქალს ორი-სამი დღე კიდევ შეჰყვებოდა სალაპარაკოდ ყოველივე კეთილი, რაც დაჰხვდებოდა მას სტუმრობაში ან რასაც განიცდიდა იქ. ზოგჯერ თან რამე საიდუმლო სათქმელიც მოჰყვებოდათ ტოლებს და ჩურჩულებდნენ, იცინოდნენ, მაცდურად ილიმებოდნენ. ეხლა კი ნისლი ხშირი ჩასდგომოდა დაღონებულ თვალებში და ლამის ცვრებად შენივთებულიყო იგი ჯანდი, ცრემლთა წვეთებად. დედამ დაინახა ქალის სახეზედ წყენის ნიშანი და მიეხმატკბილა, მოუალერსა. ქალმა უბეში ჩაუყო თავი და წარმოსთქვა ჟინიანად:

– თავის დღეში აღარ წავალ დედიდაანთსა, პირს აღარ ვიზავ იქით! სრულებითაც არ არის მათი მეგობრობა ჩემთვის საჭირო. ძალიან მოაქვთ თავი, ასე ჰგონიათ უფლისწულები იყვნენ მზეთუნახავები და არა უბრალო მოხელეს ქალები.

– არა, შვილო, უბრალო ხელისუფალი კი არ არის იმათი მამა, დიდკაცია, მაგრამ მაინც ჩვენთან რა საქმე აქვს ან რა ხელი იმის მოხელობას და დიდკაცობას?

– ისე მექცევინ, თითქო ვინმე უბინავო და საწყალი ვიყო, იმათ სახლში სამადლოდ შეფარებულ-შეკედლებული. ისიც კი ჰშურთ, ვინმე იმათ სტუმართაგანმა ყურადღება მომაქციოს ან ადამიანურად დამელაპარაკოს, – დასძინა ქალმა.

და ატირდა მწარედ, მდულარედ, გულამოსკვნით. შეკრთა დედა. გული ატკინა ქალის ქვითინმა; მოეხვია მას, სახე დაუკოცნა, ცრემლები შეუშრო ცრემლმორეულმა. ჩაეკითხა, რომ ნამდვილად გაეგი მიზეზი შეჭირვებისა. ქალის ნალაპარაკეში დედამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ დიდებულ ახალგაზრდას, ქალისაგან საოცნებო ჭაბუკად დასახულს ანდუყაფარს დიდკაცის სახლში და რჩეულ საზოგადოებაში სათანადო ყურადღება არ მიეცია გულნაზისათვის, თითქო კიდევ ეუკადრისნა მისი ნაცნობობა და მთლად დაჰსაკუთრებოდა მასპინძლის უმცროს ქალს. მიჰხვდა, ეს უნდა ყოფილიყო უმთავრესი მიზეზი მისი ქალის წყენისა. უამა ის გარემოება, რომ ოთარს ნამდვილი შეყვარებული რაინდივით სჭერია თავი გულნაზთან. ისიც შეიგნო, რომ მასპინძლის უფროს ქალს მიზანში ოთარი ჰყოლია ამოღებული და ძლიერ სტკენია გული, როდესაც ვაჟკაცს თავისი ყურადღება გულნაზისათვის მიუქცევია.

– ალბათ ის ოთარი მართლა და ხელსაყრელი სასიძოა, რომ ჩვენებს სწყენიათ მათ ქალისადმი მისი გულგრილობა. იქამდისაც აღელვებულან, ზრდილობა უკუუგდიათ და შეუმჩნევენივით ქალისათვის თავიანთი უკმაყოფილება თუ შური, – გაიფიქრა დედაკაცმა.

და ანუგემა ქალი:

– იცი, გენაცვალე, მთელი მათი ყურადღება უცხო სტუმრებზედა ყოფილა მიქცეული, რომ ნირი არ შეეშალათ მათთვის, მარჯვედ ჩაეტარებინათ მეჯლიში და ნასიამოვნები გაესტუმრებინათ ყველანი; შენ კი, შინაურს, იმდენ ალერსს აღარ მოგაპყრობდნენ და არც საჭირო იქნებოდა ეს. ესა გწყენია შენ, თუმცა ტყუილად.

– არა! მერმეც ვატყობდი გულავობას, სტუმრობის შემდეგ. ამისთვისაც ავეჩქარე, მაშინვე მოვინდომე წამოსვლა. თქმით არა უთქვამთ რა, მაგრამ იმათ თვალებში ვკითხულობდი ყველაფერს ამას. მარტო მია მექცეოდა ისევ ისე კეთილად და კიდევ ეწყინა, როცა დავიჟინე, წავალ-მეთქი.

– შეიძლება! მაშ ისა სწყენიათ, რომ მათ სტუმარს ოთარს თვალისჩინი ჰქონია და შენ უფრო მეტი პატივისცემით მოგქცევია, მინამ იმათ ქალს. ანდუყაფარი, აკი მაშინაც გითხარი გენაცვალე, გაქნილი ვინმე სჩანს; ალბად რამე ანგარიშის გამო ეალერსება მათ ქალს.

– არა, დედიჯან, ანდუყაფარს შეჰყვარებია ლიუბა და იმისთვის ეთაყვანება მას. კარგად შევატყე მე ეს. რად მინდა მე მათი მეორე სასიძო ოთარი, ღმერთმა მოახმაროთ! ჩემი გული უკვე მკვდარია ეხლა, დეე დავილუპო. რაღად მინდა სიცოცხლე, როცა ჩემი ოცნება უარსა მყოფს მე და სხვაზედა მცვლის მე, სხვას შესტრფის?!

– ჯერ ისევ ბალდი ხარ, საყვარელო, მთლად გამოუცდელი და იმისთვის ამბობ ეგრე. საქმე ის არის, თითონ შენ შეუყვარდე ვაჟკაცს, მაშინ შეიქნება ის სიკვდილამდის შენი თაყვანისმცემელი. შენშიც გაიღვიძებს მისი პატივისცემა თუ სიყვარული და ბედნიერად წარმართავთ ოჯახს. თუ კაცს არ ეყვარები, შენი მისადმი ტრფობაც ჩაჰკნება; იქნება ბოლოს მიჯნურობა სიძულვილადაც გადაგექმნეს, – მიუგო დედამ.

და შეჩერდა; ჯერჯერობით საჭიროდ არა სთვლიდა ამ საგანზედ მეტის თქმას.

ამ მძლავრმა დამარცხებამ ჩააფიქრა გულნაზი თავის თავზე და თავის მომავალზე. წინად ცხოვრება ყველაფერს მზამზარეულად მიუპყრობდა მას და არამც თუ არავისაგან ავად არ არჩევდა, კიდეც აპირველებდა მშვენიერ და ნიჭიერ ქალწულს. ეხლა განიცადა უღმობელი ხელი ცხოვრებისა, რომელმა ბოროტად ჩააგდო ის იწროებაში თუ ზრუნვაში. მაინც ჯერ გულს არ იტეხდა, კიდეც უღიმოდა გულში ცხოვრების სიმკაცრეს; მხოლოდ დროებითადა სთვლიდა თვის დაჩაგრულობას. გულნაზს თავისი თავი წარმოედგინა იმ მზეთუნახავად, ჯერ სიდუხჭირეში რომ ჩააგდებს განგება და შემდეგ შეუცვლის სიმძიმის სიამოვნებად, მწუხარების ცრემლებს სიხარულის მარგალიტებად: მოუვლენს მას უფლისწულს დიდებულს და გარდაუქმნის დაკნინებას დიდებად, იწროებას ფუფუნებად, უარყოფას ტრფობად სანეტაროდ; გარემოიცვავს ტკბილი ალერსით, ვით ყვავილთ ფურცლით სუნნელოვანით. ქალს ეგონა კიდეც, ბედმა უკვე მოუვლინა მას იგი რაუნდი უებრო: საროსტანი ანდუყაფარ სწორედ ის უფლისწული იყო, მისთვის განგებისაგან აღნიშნულ-დაბადებული. გული შეჰკვარდა მასზედ ქალწულს, შეიყვარა იგი და შეუერთა თავის ქალურ ოცნებას, აღჭურვა საგანგებო თვისებით, გული ჩაუდვა სიყვარულისთვის ღია, მისადმი სასიყვარულოდ განხმული გული. ეხლა ნახა ქალწულმა, მწარედ მოსტყუვდა, ამოდ უწოდა მას „სიცოცხლე“; დარწმუნდა, რა სულმდაბალი ყოფილა იგი, შემღვრეული გრძნობებით გამსჭვალული. აკი უთხრა დედამ, არაწმიდა განზრახვებით მოვიდაო შენთან. ეწყინა მაშინ გულნაზს; არ დაუჯერა გამოცდილს. ეხლა თავისი თვალთ ნახა, როგორ უზრდელად დაამცირა იგი საჯაროდ. დახე! ითაკილა დიდ საზოგადოებაში სწორედ განეცხადებინა მის ნაცნობობა; აერიდა მას; მთელი თავისი დრო თუ შნო თავს შემოავლო სხვა ქალწულს: იმასა სთვლისო ანდუყაფარ თავის საფერად და საკადრისად, მითხრა დედამ. ალბათ ეგონა გალადებულს, ადვილად დასაჩაგრნი ვიქნებოდით, ამისთვის მობრძანდა მაშინ და აგვხედ-დაგვხედაო. მართალია დედა! მაშ რა იყო, რომ მეორედ აღარ შემოიწაწანა ჩვენსა, კრებულშიაც ზედ არ შემხედა.

უნებლიეთ გაიხსენა ყოველივე წვლილი იმ მისთვის ძნელი მეჯლიშისა, განიახლა გონებაში ყველაფერი მაშინდელი; ცხადად წარმოიდგინა, როგორ განმარტოვებულად და უყურადღებოდ დარჩა ყველასაგან, თითქო დაქირავებული ვინმე ამზრდელი ან ღვთის გულისათვის შეფარებული უმწეო. დასწვა სირცხვილმან ქალი ამაყი, ჯავრის აღმურმა აჰკრა სახეზედ.

გაახსენდა გულნაზს მეორე ვაჟკაცი, რომელი მოჰშორდა მასპინძლის ქალს და მოკრძალებით დაუახლოვდა მას, განმარტოვებულს, მივიწყებულს. მთელი მეჯლისის განმავლობაში მოწიწებით შეჰყურებდა მას იგი, თავს ევლებოდა შორიახლოდან. ცოცხლად წარმოუდგა ეს ყველაფერი და მადლობა იგრძნო მისადმი: იმან დაიხსნა სირცხვილისა და გაწბილებისაგან.

– როგორის მოწიწებით მთხოვა, ნება მიმეცა ვენახე ჩემს სახლში, გასცნობოდა ჩვენებს! ეს მეორედ გხედავ, ქალწულო, და მხოლოდ მეორედა ვგრძნობ ჩემს თავს ბედნიერადაო, მითხრა. ბოდიში მოიხადა, მაშინ სალამი მოგეც უცნობს და შეგაკრთე, ვეღარ შევსძელ თავის შეკავება. გულწრფელად მეუბნებოდა ღელვილი. ვატყობდი, თვისი გრძნობის ნასახის გამოთქმაც ვერ მოახერხა, – გაიფიქრა ქალმა.



მადლობა შესძლვნა იმ უცნობ ვაჟკაცს. სიამეც იგრძნო, თავისი თავისადმი კმაყოფილება, რომ შესძლო ერთის ნახვით ისე მოეხიბლა უცნობი კაცი, დაემონებინა. ადგა, მივიდა სარკესთან; დაინახა თვისი მშვენიერი სახე, გაუღიმა თავის თავს. ღიმილაზე გაუპო მარგალიტთა საჩენად, ჩაულრმავდა ჩვილ ლოყებზედ საგუბარნი ნექტარისა. ამ ღიმილა ჩაადნო ქალის დარდები, სამხიარულო კვალზედ შააყენა მისი ნორჩი ბუნება; ააღიღინა, საამსალხინოდ აუძღერა მგრძნობარე გული.

– იცი, დედილოჯან, კარგი დღეა და გავისეირნებ. ქალაქსაც ვიყიდი წერილებისთვის. პირისფერ ქალაქსაც ვიყიდი, ისეთი მიყვარს.

– წადი, გენაცვალე, გაიარ-გამოიარე! იცი? ქალაქი ნამდვილი შენი პირის ფერი იყიდე, რომ მშვენიერი იყოს, – უთხრა დედამ და დაუკოცნა ლოყები.

როცა ქალწულს გული ხან უფიცხდებოდა სიმწარით, ხან უღებოდა წყენის ხანს განცდილ სიამით, როცა მისი გუნება იცვლებოდა ფერად-ფერადად, როგორც დღე დაუდგრომელის გაზაფხულისა, როცა წამს ეფარებოდა ნისლი ცვრიანი უძირო ცის მაგვარ მის თვალებს, ხან ცისკარი აღმობრწყინდებოდა მუნ შუქმფინარი, როცა მას მაინც სწამდა, რომ შეჭხვდებოდა ჭაბუკის სახით მოვლინებული თვისსა ოცნებას და მის მძლავრ მკერდზედ მიყრდნობილი განვლიდა ცხოვრების ზღვას მარად მღელვარეს; იმ დროს ოთარი სულ სხვა გრძნობებით იყო განმსჭვალული, სხვა საგონებელს მისცემოდა აღელვებული, აზვირთებულ ფიქრთა რაზმით გარემოცული; მას უკვე ენახა ხორცშესხმული ოცნება თვისი, რომელს სურვილით ეძიებდა იგი ყოველ ჟამს, რომლის პოვნის იმედი გადასწყვეტოდა; ამ შეხვედრას შეერყინა მის გრძნობათა მორევი და ღელავდა იგი აღქაფებული; აღძრულიყვნენ მის სურვილები და ძლიერად ისწრაფიდნენ განხორციელებულ ოცნებისაკენ; მისი გულიც, მისი ნებისყოფაც ევედრებოდნენ ფიქრთა შესაკრებელს, მარჯვედ მოეწყო საქმე სამძიმო. გონება დიდ ზრუნვის წინ შემკრთალ-აბნეული გონება, დინჯად ველარ რაზმავდა თავის ძალებს, ვერც მოხერხებით ჰკაფავდა შარას წინ სავალს, სასურველ მიზნისადმი მართლმომყვანებელს. რჩევის საკითხავად ვისთვისმე მიმართავაც ამო იყო და შეუძლებელი ამისთანა საპირადო საქმეში. ვისთვის უნდა ეკითხნა ოთარს, ვისთვის გაენდო ეს სათუთი საგანი? ვინა ჰყავდა აქ ისეთი მახლობელი ან ვის ძაღვად მიეცა მისთვის აზრიანი დარიგება? არავის, არავინ! და მოუსვენრად დადიოდა კაცი ქალაქში, უაზროდ თუ უმიზნოდ. ვერ შემდგარიყო ერთს ალაგს, ვერც რამ საშრომს მოჰკიდებოდა გულდასმით. მხოლოდ ერთსა ნატრობდა: განმარტოვებით ენახა ის ქალი მის სახლში. ამის ასრულება შეუძლებელი გამხდარიყო: არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა გულნაზი სტუმრობიდგან; იმ სასახლეში მისვლა კი, სადაც იმყოფებოდა ეხლა ქალწული...

– მაშინაცა ვხედავდი, უხერხულობა იყო ისეთი ქცევა ჩემგან და უზრდელობა, მაგრამ რომ ველარ შევსძელ თავი შემემარებინა, დარბაისლურად გავსჯილიყავი! განა შეუძლიან რკინას არ დაემორჩილოს ანდამატის ძალას, არ ეახლოს მას? ან ეხლა რასა ჰგავს ჩემი ყოფა და მოქმედება? განა ჰკვითამყოფელი კაცი იზავს ყველა ამას, რასაც მე ვჩადივარ? მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი თავი მე აღარ მახლავს, მონად შევქმნილვარ იმ ერთის მზისა?!

ოთარს უნდოდა ჩაევილო იმ ქუჩაზედ, სადაც სცხოვრობდა მისი მზეთამზე, მაგრამ მოუხერხებელი იყო: გზა არ აძლევდა, არც გავლა შეიძლებოდა იმ მიყრუებულ ქუჩაზედ ისე, არ შეენიშნათ მიმავალი. მას არ ეწადა ეს: ქალის სახლში უნდოდა მისვლა მხოლოდ მაშინ, როცა შინ დაიგულებდა მას, რომ პირდაპირ შეჭხვედროდა და რამე მალამო დაედვა თავის დაწყლულულ გულისთვის. დაფიქრებული გამოვიდა ოთარი სასტუმროდან, გზააბნეული; შეიარა ქაშუეთის ბაღში, რომ

ხეივანებში ევლო უაზროდ, უსაზღვრო დროის მისაწურ-დასაღვეად. ჩაუარა გვერდზედ დიდ აუზს, ჩამოჯდა სკამზედ ხის ქვეშ; ადევნებდა თვალს ამვლელ-ჩამვლელს, ყურს უგდებდა წყლის შხრიალს, რომელიც აუზის შუაგულში შადრევანად ამოქშუოდა და ჰაერში მბრწყინავ ცვარებად დაშლილი შხაპუნით ეპნეოდა მოლიცლიცებულ საგუბარს.

– არა, აღარ შემიძლიან ესეთს გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა! ხვალ უსათუოდ წავალ იმ ჩემის დამწველის სახლში და ვსთხოვ მის დედას, მოიყვანოს ქალი, მომცეს შეძლება ახლო გავიცნო ის და გავაცნო ჩემი თავი, რომ შევბედო და ვამცნო, გავაგებინო ეს ჩემი უზომო ტანჯვა-წამება. ეჰ, რაც იქმნება, იქმნეს: ან სიცოცხლე შემძღვნას ტურფამ, ან ლახვარი გულს დამასვას.

## 29

ადგა, გაემართა, მიუახლოვდა ბაღის კარებს. უეცრად გული გაეღო, სიხარულის სხივი ჩაესახა შიგ: ზევით ბაღიდან ჩამოსასვლელ ქვის კიბეზედ შენიშნა გულნაზი, რომელიც მარდად დაემუა ძირს და მწყობრად მოაბაკუნებდა სპეტაკ ფეხთსაცმელს, თითქო სიმებს ურბენენო ბროლის თითები. ჩალის შაპო ეხურა ვარდით გარმოდებული. მისი კისკასი მოძრაობა, სხარტი აგებულობა, მსუბუქი ტანისამოსი ეთეროვან ქმნილებად სახავდნენ მას, რომელი მიწას ფეხს არ აკარებდა, ჰაერში მოფრინავდა. პირს ღიმი უქროდა ქალწულს: სამხიარულო ჩვენებას თუ შესტრფოდა. წარსდგა წინ ვაჟკაცი და მდაბლად ეთაყვანა როგორც უფლისწულს მონამორჩილი. ქალწული ერთს წუთს შემკრთალი შესდგა კიბის უკანასკნელ საფეხურზედ, მერმე გაუღიმა, გაუწოდა პაწაწა ხელი. ოთარმა თითის წვერებზედ შეახო ბაგე. ვაჰ, თათმანი დაუხვდა თბილ-ტკბილი კანის სანაცვლოდ, მოქნილი თალათინი! ამოუდგა ქალს გვერდით. თვალი გადაავლო თავის ტანთსაცმელს და მადლობელი დარჩა თავის თავისა, რომ მოასწრო ახალი ტალავარის ყიდვა და ჩაცმა; უხერხული იქმნებოდა უშნოდ ჩაცმულ-დახურული აჰყოლოდა ამ სურათ ქმნილებას. ჩაიარეს ხეივანები. ოთარს უნდოდა ცოტა ხანს მაინც შეჩერებულიყვნენ, ფეხი დაეწყოთ ან სკამზედ ჩამომჯდარიყვნენ ხეებს ქვეშ, მაგრამ ვერ გაუბედა ქალს ვერაფერი. გულნაზი კი, ახ, უგრძნობელი, მსუბუქ ნიავსავით მიშრიალებდა შინათკენ. ვაჟკაცს ჰსურდა რაიმე კარგი საუბარი ჩამოეგდო ქალთან, მაგრამ სიტყვის მასალა აღარსად სჩანდა: ისე დაჰფანტოდა სასაუბრო საგნები, როგორც გნოლის ჯოგი შავარდნის ფრთათა შრიალზე; საკვირვლად გამოფიტულიყო ჭკვიანი ადამიანი, მთლად დაჰკარგოდა უნარი აზროვნებისა, ნიჭი მეტყველებისა. მისდევდა ქალს ჩუმად, ჯავრი მოსდიოდა თავის თავზე, ხოლო ბოღმა უფრორე ანადგურებდა მის აზრთა სალაროს. ან რა უნდა ეთქვა?! ენის წვერზედ მხოლოდ საალერსო სიტყვები მოსდგომოდა, ალერსის ნება კი არა ჰქონდა; მკლავნი მისნი მოსახვევ-მოსაჰდობად იმლებ-იწურებოდნენ, ხვევნის უფლებას ვინ აღირსებდა?! ყველა სხვა საგანი სათქმელ-სამსჯელო, თუნდ სამოქმედო, ამო იყო, უმნიშვნელო, უვარგისი, მთლად გამოუსადეგარი. ქალი ჯერ თითქო ვერ ამჩნევდა თავის რაინდის უხერხულ მდუმარებას: ის ისევ თავის ჩვენებებს გართობოდა და უღიმოდა; მერმე იგრძნო, საჭირო იყო სიჩუმის დარღვევა და მღიმარი თვალით გვერდზედ გადმოხედა ახალ ნაცნობს.

– დედიდაანთ მითხრეს თქვენზედ, ორი-სამი დღით არის ჩამოსული სამსახურის გამო, თქვენ კი ჯერ ისევ აქა ბრძანებულხართ.

– მართალი უთქვამთ, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ვერ ასრულებს თავის სურვილსა, ხანდისხან ისეთს გარემოებაში ჩავარდება, მთლად დაემლება განზრახული აზრი, დაწყობილება.

– მაშინ ადამიანი ტყვე შეიქმნება გარემოებისა, მონამორჩილი, ხოლო მონობა საშინელებაა.

– თურმე არის მონობაც ტკბილი, როცა კაცი თავის ძვირფას უფლებებს ზღვნად მიართმევს ოცნებას განსახებულს თუ ნატვრას ცხადქმნილს, – მიუგო კაცმა გულწრფელად.

ჰსურდა განეგრძო საუბარი, რახან სასურველ საგანს შეეხო მსჯელობა, მაგრამ მისულიყვნენ ქალის ბინასთან. შესდგა გულნაზი, ხელი გაუწოდა თანამგზავრს, მადლობა გადაუხადა. ოთარი შეყოყმანდა: უნდოდა ეთხოვნა, ნება მიეცა შინ მიჰყოლოდა მას, მაგრამ შეკრთა, არ ეწყინოსო, ვერაფერი გაუბედა; გაქვავებული იდგა ერთს ალაგას, სანამ ქალწული შეეფარებოდა ეზოს კარს. ისევ განქრა მისთვის უეცრად გაშუქებული სხივი მნათობისა, კვლავ მოიცვა იგი გარესკნელმა. ისე გამოიარა გავლილი გზა, როგორც მთვრალმა, ცნობამიხდილმა. გული უფრო შეეხუთა, მოთმინება უფრო დაჰკარგა; საშინლად მოესურვა ერთი კიდევ დაენახა თვისი გულნაზი, ესმინა მისი ხმა სანატრელი, ეგრძნო თვის ახლო მისი სუნთქვა სუნნელოვანი. რა სიამოვნებით დაუკოცნიდა მას კაბის კალთებს! მუხლს მოიდრეკდა მის წინაშე ქუჩაშივე და მოწიწებით შეახებდა ბაგეს მის ტანთსაცმელს, ბედნიერ ეტლზედ ნაბეჭდ ქსოვილს, რომელი დისქმნილიყო გარსა ჰხვევოდა იმ ქორფა სხეულს! მაგრამ აღარ იყო მასთან მისი ბედის ვარსკვლავი და მარტო დაიარებოდა ვაჟკაცი ოზლად, სასომიხდილი, გულდასერილი, უთმინელობით შეჭირვებული. უაზრო სიარულისაგან დაღლილ-დაქანცულ ოთარს მოაგონდა, ჯერ პური არ ეჭამა; შევიდა სასტუმროში, მოითხოვა ცალკე ოთახი, საუკეთესო სანოვავე. ეგონა ღვინო განუქარვებდა დარდებს, სადილის მირთმევაში გაივლიდა ეს საშინელი დრო ან როგორმე შემოკლდებოდა.

– ოღონდ ერთი გათენდეს დღე, მოვიდეს სტუმრად წასვლის დრო და მივალ, შევბედავ, შევალე კარებს. მაშ რა ვქნა, როცა აღარ შემიდლიან უმისოდ ყოფნა, როს მისგან შორს მყოფს გამიმწარდა სიცოცხლე ტკბილი?!

მოუჯდა სუფრას; ვერ შეირგო; სრულებითაც არ უამებოდა რჩეული კერძი, არც ღვინო ეგემა ლალისფერი, საუკეთესო. ნახევარ საათი ვერ დაჰყო სუფრაზედ. მსახურს გაუკვირდა, როცა სანოვავე თითქმის ხელუხლებელი წაიღო უკან. ან რად უნდოდა საჭმელ-სასმელი, თუ ვერ მისწვდებოდა უმთავრეს საზრდოს თვისის უთმენ სურვილისას? თუ ვერ მიჰხვდებოდა მას, სხვა ყოველი ამო იყო მისთვის და უმნიშვნელო. უკვირდა ვაჟკაცს, რომ ესე ძლიერად მოედო მას უძლეველი იგი სურვილი; ისე ანაზდად აიტაცა მისი არსება და ააპრიალა, ვით ხმელი ქარქვეტი ალმა დამწველმა. შეუძლებელია შეიქმნა მისთვის თუნდ ერთს წამს დაწყნარება, რომ ცოტა დინჯად მოეფიქრებინა თავისი გასაჭირი, აეზომ-აეწონა მდგომარეობა და წამალი დაედვა წყლულისათვის გულისა, საგრილებელ-საამებელი მალამო.

– გამაგრდი, კაცო! დაწყნარდი, გონება დაიტანე, გული გაიკლდევე, თორემ წააგებ ბრძოლას და დაინთქმები. განა შეგშენის ამისთანა მღელვარება, უთმენელობა?! აღარ ჰგეგხარ შენს თავს, ვეღარ შეგიძლიან ისე ეჩვენო იმ ქალწულს, როგორიცა ხარ ბუნებით: დინჯი, ფიქრიანი, მოაზრებით მოქმედი, დამშვიდებული. რიდას იმედი გაქვს ან ვინ რად მოგიწონებს ატაცებულ-შერყეულს?! ადამიანურად წარმართე შენი საქმე, მომზომელი თვალით და ძლიერი მარჯვენით. შეგიძლიან ეს: ქონებაც შეგწევს საამისოდ, სამსახურიც, პირადი ღირსებაც. ფუქსავატად ნურვის

უჩვენებ შენს თავს, ნურც ყელგადაგდებულ მავედრებლად! – ურჩევდა ოთარი თავის თავს.

თითონვე მწარედ ეღიმებოდა თავის დარიგებაზე: კარგადა ჰხედავდა, ესეთი და მის მსგავსი სხვა რჩევა-მოსაზრებები იზუგებოდნენ მის აღზნებულ გულზე და არამც თუ სასურველად ვერ მიჰმართავდნენ მის ნებისყოფას, მთლად უშედეგოდაც ჰქრებოდნენ. მღელვარე გრძნობათა ტალღები ვეღარ დატეულიყვნენ საგუბარში, გადმოეხეთქათ ნაპირები, თავქვე დაშვებულიყვნენ და თავის ნებაზედ მიაქანებდნენ ვაჟკაცის ფიქრებს, სურვილებს, მთლად მის არსებას. ამაო იყო ბრძოლა, შეუძლებელი! დიდი ხნით შემზადებული და ნაფიცხ ნიადაგზედ დაეცა ნაპერწკალი ელვასებურ სიყვარულისა, მსწრაფლ ააფეთქა კაცის ბუნება.

თავის მეხსიერებაში ისევ დაუბრუნდა ოთარი საგონებელს. იგონებდა ეხლა ის ყოველ წვლილს ქალთან შეხვედრისას, ყოველ მის მოძრაობას თუ სიტყვას; ისე ცხადად იდგენდა ყველაფერს თვალწინ, რომ მეორედ განიცდიდა წარსულს. გამოვიდნენ ბაღის კარებში. ცოტა ჩამოდგა, გზა მისცა ქალწულს. შეუხვიეს ქუჩისაკენ. შეჰხვდათ მსახური, რომელს თაიგული მიჰქონდა კოხტად შეკონილი. ქალმა თვალი გააყოლა ყვავილთა კონას, სიამის ღიმი ააჩნდა ბაგეზედ.

– ხომ მაშინვე შევნიშნე ის ღიმილი და რატომ არა ვკითხე, მოსწონს თუ არა ყვავილები, ან რომელიმე უფრო უყვარს და უხარია. ხომ შემემლო მიმერთმია მისთვის თაიგული. ისიც შემემლო, ამეწერნა ჩვენი ყვავილოვანი წალკოტი, ჩემგან ისეთის ზრუნვით და ხალისით გაშენებული. მე კი საუბრის საგანს ამაოდ ვეძებდი! – გაიფიქრა ვაჟკაცმა და წამოიძახა:

– ისეთს თაიგულს მივართმევ იმ ჩემ სიცოცხლის ყვავილს, რომ სხვა მისთანა შეუძლებელი იყოს! ხვალვე გავგზავნი და ისეთს დროს, ახლად გამოღვიძებულს დაჰხვდეს ყვავილთა კონა. მხოლოდ გავუგზავნი, არც ბარათს მივწერ, არც არას დავაბარებ კაცს.

გაირთო ღელვილი ამ აზრმა, მთლად გაიტაცა.

ოთარი რომ ცხოვრების გზაზედ შეჰხვედროდა ქალწულად განსახებულს ვარდს ედემს რგულს და შექმნილიყო სამარადოდ მის მონად, ის რომ ისწრაფიდა მსახურად სიტურფისა და ევედრებოდა სანატრელს, მიეხედნა მისთვის სანუგეშოდ, ნება მიეცა ჰხლებოდა მას განუყრელად, არ დაეგდო ეშხით მთვრალი არც თუ იმ ქვეყანად, რადგან უმისოდ სამოთხეცა ტანჯვის არედ გარდექმნებოდა; იმას რომ გულნაზისაგან მოხიბლულს მთელი ქვეყანა დაჰვიწყებოდა, ამავე დროს გამოუთქმელად იტანჯებოდა მისი სიშორით და დუმილით გულდალახვრული, მისგან რამ ამბის უცნობლობით დარდშემოსილი; ეჭვთა სისინით დიდსამძიმოდ აღელვებული, მისგან რჩეულ-იმედებული, ხოლო აწ უგულოდ მიტოვებულ-მივიწყებული ქალი საბედო. ეწამებოდა ქალწული, თანაც ისე, თავის ეჭვების გამხელა, მათი სხვისთვის გაზიარება და მით ტანჯვათა თუნდ მცირეოდნად შემსუბუქება არ შეემლო, ვერვის გაანდობდა თავის შავ-ბნელ ფიქრებს, გულისპასუხს ეკლიანს, ძნელი მომავლის წინადმგრძნობ გულისთქმას, ვერ გაანდობდა თუნდ მხოლოდ მისთვის, რომ იმის სიმძიმის ჯერ თითქო არავითარი ნიადაგი არა ჰქონდა მკვიდრი, არც თუ ფესვები გასულ-გადგმული. სხვა უცხო ვერ გაიგებდა, ვერ ჩასწვდებოდა იმის მიზეზებს, შავად რად

ელეგობოდნენ ფრთები ქალის გრძნობებს ან რად მიმდებოდნენ და იწევდნენ ლაჟვარდოვან ციდან ძირს, უმსგავსოდ შემღვრეულ და ჩაბნელებულ სივრცეში.

ოთარი რომ წავიდა თბილისს, მისი მშვიდობით მგზავრობა დედაზედ მხურვალედ შესთხოვა ღვთისმშობელს საბედომ. ის გზად ისტუმრებდა ადამიანს, რომელშიც თავი მოეყარნა მის ყოველსავე წადილს თუ ოცნებას: გაისტუმრა თავისი სასურველი საქმრო, რომლისაგან მოელოდა ახალქალობის დაკმაყოფილებას, დედობის მინიჭებას; მამა თავის მომავალ შვილთა, რომელთ სურვილით მოელოდა სხვათა შვილების აღზრდით და აღერსით მობეზრებული; თვისი სიამაყე, რომელი გამოიყვანდა მას დაჩაგრულ და დამდაბლებულ ცხოვრებიდან; თავისი სიყვარულიც, მართალია, ანგარიშზედ აგებულ-დამყარებული ტრფობა, მაგრამ რომელს მაინც თანა სდევდა ქალის მადლიერი გული. იმედი ჰქონდა ქალს, ამ თბილ გრძნობაზედ იქნება უფრო მტკიცედაც დამკვიდრებულიყო ცოლქმრობის კავშირი, ხოლო ბოლოს, ვაჟკაცთან თვისის ბუნების სრული გაზიარებით, იქნება მისი ნამდვილი სიყვარულიც გაელვიძებინა. მართალია, ისე განვლიდნენ ეს ცოლ-ქმარი სიცოცხლის გზას, ვერ იხილავდნენ პირისპირ მძლავრად აღზნებულ, ალად ავარდნილ სიმწვავეს მიჯნურობისას, მაგრამ რა უშავდა?! გაეგონა, რომ ისეთი აღტყინებული ვნება ხანდისხან ჩასწვავს მოტრფიალეთ, ხოლო ხშირად ჭრელ ფრთებს ულანძ-უტუსავს მათ და საიქიოს ცეცხლის სიმწვავესაც აგემებინებს სააქავო ცხოვრებაშივე. ძვირფასი მგზავრი გაისტუმრა საბედომ ქალაქს და მიტომ იყო მთელი დღე მოუსვენრად, ერთს ადგილას ვერ დამდგარიყო, დაუწყნარებლივ მიმოვიდოდა, ოხრავდა, იქენჯნებოდა.

– რა ვიცი, დღეს რა მოაქვს ან ღამეს? მგზავრობას ათასი ხიფათი სდევს და ფათერაკი. როგორ გამოსთვლი, სად რას შეეხეთქება ადგილიდან დამრულ-დაგორებული ლოდი ან რაზედ შეიფშვნის გვერდებს თუ ნაპირს?!

მაინც შიგადაშიგ სახე უღიმოდა იმედულ ქალწულს და დამცინავი თვალითაც გადაჰხედავდა თავის გულს.

– დაიცა, შე მოუსვენარო, დაწყნარდი! სარტყლის წვერზედ ხომ არ გამოგებმება ის ბრგე ვაჟკაცი და შენ კალთაში არ ჩაბერდება. იქნება შემდეგში მთელი კვირაობითაც დარჩე მარტო და მაშ რა გეშველება? მოიცა, შე საწყალო, ცოტაოდენიც და გაგახარებს მისი კეთილი ამბავი. გუშინ ჩავიდოდა ქალაქს, დღეს დაისვენებს, ხვალ გამოაფრენს ჩემკენ ცნობას და სალამს; იცოდე, ხვალ უსათუოდ მივიღებ მის ამბავს, – ამშვიდებდა ქალი თავის გულს მკრთოლვარეს.

მაინც დროს შესამოკლებლად სადილთ უკან ოთარიანთსა გადაიარა; ცდილობდა შეჰშველებოდა თავის მეგობარ მულს საოჯახო საქმეებში. თეკლემაც იცოდა რა საგანს ევლებოდნენ თავს საბედოს ფიქრები და სულ თავის ძმაზე ესაუბრებოდა, მის სიკეთეზე. ამ საუბარმა კარგ გუნებაზედ დააყენა ქალი, მტკიცე იმედები ჩაუსახა გულში, ეჭვები გაუფანტ-გაუნიავა. დამინებისას საბედო მუხლმოდრეკით ევედრებოდა ყოვლად წმიდას, წყალობის თვალთ მიეხედნა ვაჟკაცისათვის, კეთილად წარემართა მისი მსვლელობა, ყოველნი მისნი მოქმედებანი.

იმედიანად გამოელვიძა საბედოს, მხიარულად: მილს დასვენება მოეტანა დაქანცულ სხეულისათვის და შვება ეჭვებით ნაქენჯ სულისათვის. ძალაგამოკრეფილმა გონებამ სულ ახალი სახით წარმოუდგინა მას საქმის ვითარება.

– ვაჟკაცისთვის ეს მგზავრობა არც შორია, არც საშიში. აბა რა იყო აქ საწუხი ან სადარდელი?! მესმის, სახიფათო გზა ედვას წინ ან ბალღი იყოს გამოუცდელი. მივა, დაისვენებს, მიიხედ-მოიხედავს; მერმე მოგწერს წერილს თავისეხსაც, მეც. უსათუოდ მომწერს, ყველაფერს დაწვრილებით მომითხრობს, სხვასაც ბევრს დასძენს. ცალკე

მომწერს. მაშ იმათ წერილში ხომ არ ჩასწერს ჩემთან კერძოდ და საიდუმლოდ მოსაწერს?!

გადიოდა დღეები, მთელი კვირაც მიიწურა, წერილი არსადა სჩანდა. ოთარის სახლში დამშვიდებულნი იყვნენ, არაფერ საჩქარო წერილს არ ელოდდნენ მისგან. საბედოს კი მოთმინება დაეკარგა, ყოველდღე ჰკითხავდა დობილს უსტარის თაობაზედ. აღარც წერილების დამტარებელს მოუსვენა, უსათუოდ იქნებო ჩემთან წიგნი. მღელვარება თანდათან ემატებოდა, მოთმინება მთლად უშრებოდა, რწმენა ერყეოდა. ისევ დაჰრიეს ხელი შავმა ფიქრებმა. ქალის ამისთანა არეულ მდგომარეობას ხელი შეუწყო ერთმა უცნაურმა ამბავმაც, რომელიც რამდენჯერმე განმეორდა და შიშისზარი ჩაუგდო ქალს გულში.

საბედო ჩვეულებისამებრ ღამ-ღამე ასწორებდა რვეულებს. წვრილმანი სამუშაოა ეს, მოსაწყენი და ქალს ისეთი დრო ჰქონდა შერჩეული, როცა არავინ გაირთობდა, ხელს არ შეუშლიდა არაფერი. ოთარის წასვლიდან მეშვიდე ღამე იყო. ქალი დანდობილა მუშაობდა ლამპის შუქზედ. გვიან იყო. კარები შემოიღო ფრთხილად. ქალმა იგრძნო, ოთარი შევიდა ოთახში. უნდოდა წამომხტარიყო და მიჰგებებოდა: ტყვიასავით დამძიმებული ვერ დაიძრა ადგილიდან, ვერც მიიხედა. მოსული მივიდა მის სკამთან, შეჩერდა. ქალმა როგორც იყო მოახერხა მიხედვა. კვამლივით შავი არსება დასდგომოდა თავს საზარელი. შეჰკვივლა საბედომ და წამოხტა. გაცრიატდა ჩვენება, განიფანტა, განქარდა. ძლივს დამშვიდდა მცირეოდნოვ. იფიქრა ჩამძინებია, სიზმრად მეჩვენაო. შემდეგ ღამეს კიდევ იგრძნო ჩვენების მიახლება, თუმცა ისე ნამდვილ კი აღარ. ძლიერ შეშინდა. მოაგონდა ის ალმასი დანაც, ოთარმა რომ მიართვა მას სიზმრად. თრთოლამ აიტანა. მეზობლის გოგოს იწვენდა თავისთან.

– ნეტა რას ნიშნავს ეს? ნამდვილ ოთარი იყო, იმან შემოაღო კარი, ის მედგა თავს. ბოლოს საზარელი დევი დავინახე მის ადგილას და მის მაგივრად, – ღონობდა ქალი.

ბოროტმა წინადგრძნობამ შეაღო მისი გულისბჭე. უფრო შეშინდა და შეშფოთდა ისეც დარდ-ვარამდარეული. ოთარიანთ არ გაუმხილა არაფერი, არც ის, რამ შეაშინა, არც თვისი წინადგრძნობა ცუდი: აღარ უნდოდა გული გადემალნა მათთვის.

### 31

ოთარის სახლშიც დააფიქრა ყველანი მის ამბის დაგვიანებამ; მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ამას: ესმოდათ, კაცი არ დადგებოდა ქალაქს, თუ საჭირო საქმე არ ამოსჩენოდა. არცა ნაღვლობდნენ: იცოდნენ, ჰკვას არსად წააგებდა დაფიქრებული. მაინც დღე-დღეზედ ელოდდნენ მის ჩამოსვლას ან მისგან ამბავს. მოუვიდათ წიგნი. ფულსა თხოულობდა. იწერებოდა, შეიძლება კარგა ხანს დავრჩეო თბილისში. სთქვეს, ნეტა რაზედ დაბრკოლდა ის კაცი ან რაზედ დასჭირებია კიდევ ამოდენა ფულიო; უფრო გაუკვირდათ ის გარემოება, რომ საბედოზედ სიტყვა არ დაეძრა წერილში, უბრალო მოკითხვასაც არა სწერდა.

– ქალს ცალკე მისწერდა წიგნს, ამიტომ აქ აღარაფერსა სწერს იმაზედ, – სთქვა თეკლემ.

– ეგრე იქნება! როგორ ვერ მოვიფიქრე?! წადი გაიგე, რასა სწერს ან რა აბრკოლებს ქალაქში, იქნება ცდილობს იქ გადავიდეს სამსახურში.

– კარგი იქნება, გადავიდეს: წარმატებას მალე მიიღებს, დიდკაცობაში გაერევა.

– არა, შვილო! აქედან წასვლით ბევრს ვერას მოიგებს: სამსახურში თუ დაწინაურდება, სამაგიეროდ შეეღვევა თავის მიწა-წყალს, უმისოდ კი მისი მამული არ

ივარგებს. თითონაც დაიტანჯება: არ უყვარს ქალაქური ცხოვრება, უბირი ყოფა მოსწონს თავისუფალი, ბუნებასთან დაახლოვებული.

თეკლე გაიქცა სკოლისაკენ. წერილს გაშლილს მიაჩვენებდა. საბედო აივანზე იდგა დაღონებული; მკლავები უილაჯოდ ჩამოეყარნა და გაჰყურებდა სივრცეს უაზროდ, შეუგნებლად. ველარაფერსა ჰხედავდნენ მისი მიმქრალი თვალები გარდა იმ ბილიკისა, რომელიც მიიკლაკნებოდა ოთარის სახლისაკენ და რომელიც შიგადაშიგ აღარ მოსჩანდა ათასგვარ ბალახეულით დაფარულ-დამალული. თვალი მოჰკრა ჩალისფერ მანდილის ფრიალს, შენიშნა მისკენ აჩქარებით მიმავალი თეკლე გაშლილი ქაღალდით ხელში. სიხარულით გული გადუქანდა, ხელებწაწვდილი წაესწრაფა დობილისაკენ.

- ოთარის წერილი!
- ეს არის ეხლა მოგვივიდა! შენც მიიღე?
- განა ჩემთან არ არის ეგ წერილი?
- არა!
- აბა მაჩვენე! - უთხრა საბედომ.

და თითქმის წაგლიჯა წიგნი ხელიდან. გადიკითხა ერთხელ, მეორედაც ჩაათვალიერა და გადასცა პატრონს. გველსავით უკბინა გულზედ ქალს იმან, რომ მასთან მოკითხვა არ იყო წერილში. არც ის იყო ნათქვამი, რომ ქალსაც სწერს უსტარს; სრულებით არ იყო მოხსენებული დანიშნულის სახელი. ჯავრმა სისხლი გაუშრო ქალს; იდგა იგი გარკინავებული, ხმას ველარ იღებდა, ველარც ინძრეოდა. შეატყო დობილმა, რა უსაზღვროდ იტანჯებოდა ქალი და ნუგეში სცა:

- შენთან ცალკე იქნება წერილი და იმისთვის აქ აღარას ამბობს შენზედ.
- არ არის წერილი! წიგნის დამტარებელმა მითხრა, შენთვის არაფერიაო.
- მაშ ხვალ იქნება. ფულიც ალბათ ავეჯის სასყიდლად დაუბარებია: აქ რომ იყო, ამბობდა, სახლი მოუწყობელია და ახალი სული რომ მომყავს, დახვედრაც შესაფერი უნდაო. სწორედ ესე იქნება! მაშ რად ენდომება ფული, როცა საკმაო სახარჯო წაიღო თან.

საბედოს უნდოდა რითიმე ენუგეშებინა თავი, რითიმე დაერწმუნებინა გული, რომ სახიფათო არა მოელოდდა რა მის მომავალ სიხარულს და დაუჯერა დობილს სიტყვა, თავისი სასოება დაამყარა მის საბუთებზედ. დაიწყო ისევ თმენა დაუთმენელი, ცდა აუტანელი, ლოდინი გულს ლოდად დებული, სულთქმის ამშლელი, სუნთქვის მხუთველი. ამაოდ უცდიდა ქალწული! მისდევდა დღე დღეს და ღამე ღამეს, ოთარი კი აღარაფერს სწერდა არც თავის მშობელს, არც თავის დანიშნულს.

მოიტანეს ამბავი, ვიღაც მშვენიერ ქალს მისდევდა ოთარი, მოკრძალებით ესაუბრებოდაო. მაშინვე ჩაახარეს ელისაბედს მისმა მეტოქეებმა, რომ გული მოეკლათ მისთვის. კიდევ მიაღწიეს საწადელს: ქალი ალღოთი მიჰხვდა, რომ უკვე ჩაჰშლოდა სანატრელი მომავალი და თვალში ნაცარი ჩაჰყროდა ცხელი. შეიკუმშა სიმწარით. უნდოდა წერილი გაეგზავნა მუხანათისთვის. ეხლავე უნდოდა დაეწერა და შეემკო ღირსეულად; იმასაცა ფიქრობდა, თითონ ჩაჰხდომოდა მას, მაგრამ ეს ფიქრები თუ ამ სახის სხვა მრავალი სურვილები იქვე კნინდებოდნენ და ჰქრებოდნენ: ნიადაგი არ ჰქონდათ მათ მკვიდრი და ვერ იზრდებოდნენ, ვერც სამოქმედოდ იფურჩქნებოდნენ ღონემიხდილნი.

რა უტყუარი საბუთი ეჭირა ქალს ხელში, რომ ვაჟკაცისთვის საჯაროდ მოეთხოვნა პასუხი? ან რა უფლება ჰქონდა შეურაცხყოფა მიეყენებინა იმისთვის? არავითარი! კაცი არ დანიშნულა მასზედ საჯაროდ, არსად და არაოდეს არ

განუცხადებია საბედოს ვირთავო. ხშირად იყო ქალთან, მაგრამ არამც თუ მთლად არ დაუახლოვებია, არც მოჰხვევია თავისუფლად.

– თუ ჩემი დარდი და გაცრუებული იმედები გავამჟღავნე, მევე გამამტყუნებს ქვეყანა. მეტყვიან, რად უახლოვდებოდი კაცს, ისე ხშირად რად იღებდიო სახლში დღისით თუ ღამე; უთუოდ გინდოდა შეგებოჭა. ეკლესიაში ნაკურთხი ჯაჭვით და ყმად დაგედვა შენ ფერხთ ქვეშაო. ვერ აგისრულდა გულის წადილი, ვერ გაჰხდი ქალბატონად, ვერ ებატონე კარგ ვაჟკაცს და ედემივით მამულს!

გაითვალისწინა ქალმა ყველა ეს და ჩაიკეტა სახლში. მთელ დღეს ის აღამებდა, აივანზედაც არ გამოდიოდა. შენიშნეს არაჩვეულებრივი მისი ქცევა და რამდენჯერმე შეეკითხნენ, მაგრამ ის ან სულ არას ამბობდა, ან ავადმყოფობას იმიზეზებდა. ჯერ კი ურყეველ რამ დასკვნას არ დასდგომოდა თავის შემდეგ მოქმედების შესახებ, რადგან გულის ერთს კუნჭულში კიდევ რაღაცა იმედი მივარდნილიყო. ქალი ფიქრობდა:

– ალბათ თავისუფლად ცხოვრებას ნაჩვევ კაცს კიდევ ერთხელ მოუსურვებია ლაღად ნავარდი უცხო წალკოტში და წამიერი ყნოსვა იქ რგულ ყვავილებისა; ამას შენიშნავდნენ მნახველნი. მოიწყენს, მოიმწვანაილებს და ისევ დამიბრუნდება უძღები.

ტოლ-სწორნი კი იცინოდნენ მის მარცხზედ, ნიშნს უგებდნენ და ქოქოლას აყრიდნენ.

– მაშ რა ეგონა მაგ თვალდამდგარს! აკი მაშინვე გითხარით, ქალო, მაგ კაცს სულ სხვა სურვილები აქვს-მეთქი დაფარული: ჰსურს მიიტყუოს ქალი და თავისი გაიტანოს, წადილი აისრულოს. აკი ეგრეც მოხდა.

– ახია მაგაზედ! ეხლა ჩაიკეტოს კარი და იტიროს, შავი ქვა იცეს თავში.

– სატირელი აქვს და სავაგლახო. სულ სიწმიდეზედ ქადაგობდა, ზნეობრივ სისუფთავეზედ, თითონ თურმე არაწმინდობით ჰქონია გულყია სავსე: შეათვალიერა მსხვერპლი, დაიახლოვა იგი, დაუახლოვდა და ნელ-ნელა გაშალა ბრჭყალები მის შესაპყრობლად, მისათვისებლად.

– კარგია კიდევ, რომ კაცი გამოცდილი გამოდგა და დააღწია თავი მაგ ალქაჯისაგან დაგებულ ხლართებს.

– იმაზედ უფრო იკლავს თავს, რომ ისე მარჯვედ მოსაზრებულ-მოგვარებული საქმე მთლად ჩაეშალა სწორედ მაშინ, როცა ეგონა ყველაფერი დასრულებულ-მოხერხებულიაო.

ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა დაბაში გავრცელდა ხმა, ოთარი იმ საუცხოვო ქალზედ ჯვარს იწერსო. მოძღვრისაგან ნებართვის მოწმობა მოუთხოვნია და კენტად წასული კაცი მალე წყვილად დაბრუნდებაო.

გაგზავნა ოთარმა ყვავილების კონა ყვავილთა დედოფალთან და მოუსვენრად იწყო მიმოსვლა სასტუმროს დერეფანში. ეშინოდა, ვაითუ ქალმა იწყინოს მოულოდნელი ნიშანი ალერსისა, თითქმის უცნობ კაცისაგან წარგზავნილი, უკანვე დააბრუნოს მოსაკითხიო. ეს უკიდურესი გაწბილება იქნებოდა რაინდისთვის, უეცარი მოსპობა მისის იმედებისა. თუ იმ მცირე ზღვენს არ მიიღებდა ქალწული, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, იგი მთლად უარჰყოფს ნაცნობსა, უბრალო ყვავილის ჩამორთმევაც არა ჰსურს საყნოსელად მიწოდებულისა. წარმოიდგინა ეს ვაჟკაცმა და ჭირის ოფლში გაიწურა მსწრაფლ, სუნთქვა შეეხუთა. თვალი მაინც სულ იქით ეჭირა, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო გაგზავნილი კაცი. აგერ გამოჩნდა კიდევ ის და გულს ეგონა



შეჭირვებულს: ხელცალიერი მოდიოდა გაგზავნილი, მაშ თაიგული ჩამოერთმიათ მისთვის. პირზედაც ღიმი უქროდა მსახურს.

– იპოვე, ბიჭო, სახლი?

– ვიპოვე, ბატონო! მზეთუნახავიც ვნახე, მივართვი მოსაკითხი.

– თითონ ჩამოგართვა?

– თავის ხელით, ბატონო! აივანზედ ბრძანდებოდა. რომ ვეახელ, მიბრძანა, ვისგან არისო ყვავილები. მოვახსენე ყველაფერი, როგორც დამავალეთ. გაიღიმა დალოცვილმა და ჩამამართვა. მადლობა მოახსენეო, მიბრძანა.

ბიჭი რომ მოუთხოვდა საამო ამბავს, ოთარს სახე უნათდებოდა, ზედ სიხარულის ღიმილი ეფურჩქნებოდა. დაათვა მსახურმა თქმა. ოთარმა მოუწონა მას სიმარჯვე თუ მიხვედრილობა, გაიკრა ჯიბეს ხელი, საჩუქარი ჩაუჩხრიალა. სიხარულით შინ ვეღარ დადგა, ჩაიკვ-დაიხურა საუკეთესოდ და გასწია. დადიოდა უაზროდ და უკვალოდ. ათას რასმე ათვალაიერებდა, ვერ კი ჰხედავდა ვერაფერს სხვას, გარდა თავის სატრფოს სახისა. ძვირფასი სამკაული თუ თვალ-მარგალიტი, მაღაზიების ფანჯრებში საჩვენებლად გამოფენილი, მხოლოდ იმითი ფასობდა მისთვის და იმდენად, რამდენადაც მოუხდებოდა მის გულნაზს; ფარჩა თუ ოქროქსოვილი მარტო იმიტომ იყო რჩეული, რომ უკლებლივ ჩახატავდა გულნაზის მდიდარ ტანს ქანდაკებულს; ტურფა ქალწულნი იმდენად იყვნენ მშვენიერნი, რამდენადაც მოაგონებდნენ ვაჟკაცს მის სულისდგმას; ყველას და ყველაფერს მისთვის დასდებოდა ლამაზი სახე, საამო ფერი ან დიდი ფასი, რომ გულნაზს მოუხდებოდნენ, ასიამებდნენ, გაალაღებდნენ მის გულსა და თვალს.

– იცი, რად არის ქვეყნიერება კეთილქმნილი და სანეტარო?

– იმისთვის, რომ მის შუაგულ ამოსულა მისი სიტურფის და სიკეთის კონა, გულნაზი შეუდარებელი!

განა მარტო ოთარი შესტრფის გულნაზს და შეჰდაღაღებებს! არა, ყველა მას შეჰნატრის, ვისაც უნახავს იგი, ვისაც კი ოდესმე თვალი მოუკრავს მისთვის. ხოლო ვისაც არ უნახავს გულნაზი, მას არ განუცდია ძალა სიმშვენიერისა, არც უნახავს სიტურფე გარდუვალი, კაცთა შორის საარსებოდ განსახებული. შენ არ იცოდი ეს?!

შემოღამდა. ლამპრები აინთო. სასახლის ქუჩაზედ ჩაიარა ოთარმა. ქართული თეატრის შესავალი განათებული იყო და შემკული: საგანგებო წარმოდგენა ყოფილიყო იმ სადამოსთვის მოწყობილი. არ იცოდა ეს ოთარმა, რადგან გაზეთის წასაკითხადაც არ ჰქონდა თავი ხელთ. შევიდა თეატრში. პირველ ადგილთაგანში გამობრწყინდა ყელმოდერებული, ბედნიერებით გულამაყი, გაზვიადებული. არ იცოდნენ იქ მყოფთ, რა სიკეთე ჰხვდა დღეს წილად ამ ვაჟკაცს, თორემ ყველა შურით შეჰხედავდა მას; არ იცოდნენ მათ, რომ მისმა რჩეულმა ქალწულმა დღეს თაიგულის მიღება იწეა მისგან, თორემ ყველა იტყოდა ერთხმად:

– აი ბედნიერი ჩვენ შორის: მისთვის წყალობის თვალთ მოუხდენია დღეს თვით სახიერებას!

ოთარიც დაადასტურებდა, რომ ის ამჟამად რჩეული იყო განგებისაგან და ბედნიერი; იღბალი ისეთ სიკეთეს უმზადებდა მას, რომლის სადარი აღარ მოიპოვებოდა კაცთათვის მთელ დუნიაზედ.

ის იყო დალაგდა ხალხი და ფარდა შეირხა, რომ ოთარის სმენამ საამო შრიალო იგრძნო, ხოლო კეფაზედ დამწველი რამ შუქი მიეფინა. მსწრაფლ მიიხედა და უნებლიეთ წამოდგა ზეზე მთლად სიხარულად გარდაქცეული: მოშრიალებდა მისი გულნაზი, მოგოგმანებდა ჰაეროვანი; უკან მოსდევდა მას ოთარის კარგი ნაცნობი

ხნიერი ვაჟკაცი, მისვე უწყებაში მოხელედ მყოფი. ოთარმა დაუკრა თავი და დაჯდა ადგილას. დროც იყო: უკვე დაიწყო წარმოდგენა.

– რას აკეთებდნენ სცენაზე?

– რა ვიცი, რას აკეთებდნენ!

ოთარი მხოლოდ იმას არჩევდა, რომ ერთობ სწრაფად მოქმედებდნენ დალოცვილნი. სურათი სურათს მისდევდა, მოქმედება მოქმედებაზე გადადიოდა და აგერ მთლად უნდა დამთავრებულიყო წარმოდგენა, თუმცა ჯერ ნახევარ საათიც არ ეთამაშათ მსახიობთ. ძალიან მალე გათავდა წარმოდგენა! მართალია, შუაღამე გადასული იყო, მაგრამ მაინც მსწრაფლ დასრულდა ყოველივე. მაშ რა იყო, რომ სულ ორი-სამი სიტყვის თქმა ვერ მოასწრო ვაჟკაცმა ქალწულთან, ვერც მისი მზერით დატკბა, ვერც მისი ხმის სმენით შეივსო. მიეფარა გულნაზი მის თვალთაგან. მხოლოდღა მისი ღიმილი ეხატებოდა თვალთ წინ, ჯერ ისევ ბალღურ ბაგეზედ მოციმციმე ღიმი ნათელი. არა! აგერ მის ლოყასაცა ჰხედავს, თეთრ-ყირმიზად გამომჭვირავს ღაწვის რამ არეს. როცა წამოსასხამი წამოჰბურა ქალწულს, შემთხვევით ხელი შეახო მის მძიმე ნაწნავს.

– ვაჰ, საყვარელო! მისი ნაწნავების ჩაშლა, ტვერი თმით მოზურვა მის გამრცვილ მხარ-ბეჭისა, ბროლის მკერდისა... ვერა, ველარ შემიძლიან უიმისოდ ყოფნა. წავალ, მიწად დავეარდები მის წინაშე, გადვუხსნი ჩემს გულს ვნებულს, შევთხოვ მომანიჭოს სიცოცხლე ჩემმა ღვთაებამ სახიერმა. ხვალვე წავალ, წავესწრაფები!

– რომ შეაკრთო შენის სიჩქარით და დაიღუპო. არა, ოთარ, ისევ სიწყნარე! მოიეც მოთმინება, დაუწყნარდი თავს, ფრთხილად იმოქმედე და მოფიქრებით. რომ წააგო ეს საქმე, სულით ხორცამდის დაიღუპები. ან თავი უნდა მოიკლა მაშინ, ან ცოცხალი მკვდარს დაემსგავსო და ველარა არგო ვერც შენს თავს საბრალოს, ვერც შენს კერას გაციებულს, ვერც შენს ხალხს დამცირებულ-დამონებულს: გულნაზი შენი გული ყოფილა, ხოლო უგულოდ ყოფნა იგივე არყოფნაა საწყალობელი, – არიგებდა თავის თავს ვაჟკაცი.

კარგად იცოდა, ალღოთი გრძნობდა, რა ძნელი იყო მისთვის ამ დარიგების შესრულება. ჰხედავდა, რომ ქალის სიახლოვეს გონება ჰხდებოდა მას, აზრი ებნეოდა, ნება თავისუფალი უნადგურდებოდა და განა შეიძლებოდა წინადვე ეთქვა ან მოეაზრა, რას იზავდა მის მახლობლად ან როგორ მოიქცეოდა. ერთს კი ჰგრძნობდა ცხადად: ქალის საწყენს არას ჩაიდენდა, ვერც გაჰხედავდა და უკიდურეს შემთხვევაში უთუოდ მოსპობდა თავის თავს, ჯერ ისევ მურაზით გაუმაძღარ თავის სიყრმეს.

– მაშ რაღა იქმნენ ის აღთქმანი და იმედები, რომლებს იმთავით ეტრფოდი, ოთარ, რომელთათვის ისე გულმოდგინედ და ბეჯითად ემზადებოდი, ჰაბუკო? აკი სულ იმას ამტკიცებდი, ყოველივე პიროვნული უნდა შეეწიროს საზოგადო გაჭირვებას; ეს გარდაუვალი მცნება არისო მოღვაწეთათვის.

– ვამტკიცებდი და გულწრფელადაც მწამდა ეგ ყველა. ჯერ არ ვიცოდი, რა ძალა ჰქონდა გულისთქმას. ჯერ არ განმეცადა უძლეველი ძალა პირადის მისწრაფებისა, როდესაც ის ლტოლვილება ვნებად გარდიქმნება და შესძრავს, შეარყევს ადამიანის ბუნებას, დაიბყრობს მას მთლიანად და დაიმონებს. უძლური ყოფილა ადამიანი ამისთანა განცდის წინაშე, მონძი უხმარი! რაღაში უნდა გამოვადგე სხვას მე, გულმოკლული, სიმშაგით აზრახდილი, საუკეთესო მისწრაფების გზაზედ დამარცხებულ-დანარცხებული, ნებისყოფა ჩაშლილ-ჩალეწილი?! არაფერში! უხმარდა ვიქნები ამისთანა ადამიანი, უგულო, ფუჭი, გამოუსადეგარი, გადასაგდები, მთლადაც მოსასპობი! – დაასკვნა კაცმა.

და გული ეტკინა: დაენანა თავისი თავიც, თავისი ოცნებებიც, მისწრაფებებიც, რომელნი აწ გარს შემოჰხვევოდნენ იმ სათაყვანოს. შეეძლო იმ ვარდისფერ სხივთა სვეტს უარეყო ვაჟკაცი, ჩამქრალიყო მისთვის და წყვდიადში დაეტოვებინა იგი, მოესპო მისთვის ადამიანური არსებობა? ჰაი, ჰაი, შეეძლო.

– ნუ იყოფინ ესრედ, უფალო, ნუ! – შეევედრა შეჭირვებული სახიერს.  
და ისევ მოიღვედა უღონოდ, მოეშვა, უძლური იქმნა, შესაბრალოსი.

### 33

მზეთუნახავისაგან თაიგულის მიღება სრულებითაც არა ჰნიშნავდა გამგზავნის გულის შეწყნარებას და ამაოდ მიეცა მაშინ ოთარი ნაადრევ სიხარულს; თუმცა ისიც ღვთის წყალობა იყო მისთვის, ქალწულმა არ უარჰყო ტრფობის ნიშნად წარგზავნილი ყვავილი. მაინც ვაჟის საქმე არც ისე უიმედოდ მოსჩანდა, როგორც ეგონა მას და ამაოდ ეწაფებოდა სასოწარკვეთილების ფიალას. ვერ იცოდა ოთარმა, რომ ბედს შეჰყვარებოდა ის და მოევიდნა მის შემწედ მისი მეგობარი და ქალის ნათესავი ბიძინა; არ იცოდა ეს, თორემ ისეთის უიმედობით არ დაათავებდა დღევანდელ დღეს, მისთვის სასიკეთოს. გამოცდილმა ბიძინამ შეატყო, რა ცეცხლი მოსდებოდა ოთარს უნელებელი. მიჰხვდა, რომ კარგი ბედი სწევოდა ქალსაც, მის სახლსაც და ყველაფერი დაწვრილებით გააგებინა ქალიაანთ ოთარის შესახებ. უქო მისი განათლება, ოჯახი, მისწრაფებები, ხასიათი, სამსახური; აუწერა მისი ქონება.

– აი როგორი ვაჟკაცია ის ოთარი, შენ რომ მოგიხიბლავს და დაგიმონებია! მაშ რა გეგონა, შე მშვენიერო? დედიდა შენი კატიკო ოსტატი დედაკაცია, შორსმჭვრეტელი; თუ ვარგისი არ ყოფილიყო ეგ კაცი, თავის ქალს არ გაუარშიყებდა, არც შურით აივსებოდნენ ისიც, მისი ქალებიც, როცა კაცი შენა გხლებია სათაყვანებლად. ცოლქმრობის საქმეში, ვიცი, არავინ უნდა გაერიოს და არც ვერევი; ჩემი მოვალეობა იყო, მეთქვა ყველაფერი მაგ ვაჟკაცზედ, რაც ვიცოდი. ეხლა შენ იცი და შენმა გულმა, ჩემო გულნაზო. თუ დამპატიყებ ქორწილში, ქართულს ჩამოვუვლი ამ სიბერის დროს, თუ არა, მაინც არ დაგემდურები. იცოდე: ის კაცი ისეა შენის ეშხით აღგზნებული, მალე მოვა შენს წინაშე ღონემიხდილი, შეგევედრება, ვით ახალ რამ ქალწულ მარიამს, – დაათავა.

და სხვა საგანზედ იწყო ლაპარაკი. ქალის დედა ხომ მიჰხვდა, რა კოცონი აღგზნებოდა კაცს გულში მაშინვე, როდესაც მივიდა მის სახლში, გაეცნო დედაკაცს და ისეთის მოკრძალებით ექცეოდა მას. კაცმაც ხომ თითქმის გულახდით უთხრა მაშინ ყველაფერი. მაგრამ დიასახლისმა მაინც ჯერ ნამდვილ არ იცოდა, ვისთანა ჰქონდა საქმე და ეფიქრებოდა, უბედო ბედში არ ჩაეგდო თავისი შვილი. თვით გამოუცდელმა გულნაზმა იგრძნო, მის ახალ თაყვანისმცემელს გარეწარი რამ სურვილი არ ახელმძღვანელებდა. იგი მოელოდდა მკვიდრ თანაგრძნობას, რომელზედ შესაძლო ყოფილიყო დაშენება მეუღლეთა კავშირისა. მაგრამ ქალწული ჯერ ვერ აქცევდა ამას სათანადო ყურადღებას, ცოტასა ზრუნავდა ამაზედ: მისი გული ეალერსებოდა ისევ ოცნებაში შექმნილ რაინდს, რომელს ვერა ჰგვანდა ეს ახალი მისი მოტრფიალე. ეხლა მარჯვე შემთხვევამ დაჭემმარიტებით გააგებინა ქალს ვაჟკაცის ვინაობა, ხოლო მის ამბის სმენამ მთლად მიჰხარა ქალის დედა ოთარისაკენ. უკეთეს სასიძოს ვერც კი ინატრებდა ის. გულნაზის მსჯელობაც ვაჟის სასარგებლოდ მოეწყო ეხლა. თუ გონების თვალთ გასინჯავდა, დასაწუნი არა ჰქონდა რა ვაჟს. მისი გულწრფელი თაყვანისცემაც მოქმედობდა გულნაზის თავმოყვარებაზედ და ღმობიერების კვალში

აყენებდა ქალწულს. ალღოთი იცოდა ქალმა ისიც, რომ სიყვარული, თუნდაც ცალმხრივი, იშვიათი ხილია წუთის სოფლის ცხოვრებაში და მისი უარყოფა არც თუ ისე ადვილია, როგორც ერთის შეხედვითა სჩანს. ოთარის სასარგებლოდ იყო ნიადაგი შემზადებული ქალის გარშემო. ეხლა იქ კარგის მხრივ იცნობდნენ ოთარს და ჰხედავდნენ, საფერი და სასურველი მთხოვნელი აღმოსჩენოდა გულნაზს, თანაც ისეთი, როცა მზითევზედ ან სხვა რამ საქორწინო ხარჯზედ სრულებით საჭირო აღარ იყო ფიქრი თუ ზრუნვა. ოღონდ ქალს უარი არ ეთქვა, გაჰყოლოდა იგი კაცს და მას სხვა აღარა უნდოდა რა, არც არაფერი ესაჭიროებოდა. ეხლა დაბრკოლება შეეძლო მხოლოდ ქალის ნაზ გულს და მის აღტაცებულს შეხედულობას ცხოვრებაზედ. გულნაზს მაინც სწამდა, რომ შეუღლება მხოლოდ გატაცებულ სიყვარულის ნიადაგზედ არის შესაძლებელი და ისიც მაშინ, თუ ეს სიყვარული ორმაგია, თუ ლტოლვილება ორივე მხრივ განუქარვებელ ტრფიალებაზედ არის დამყარებული. არ იცოდა გამოუცდელმა, ამისთანა შემთხვევები ცხოვრების სინამდვილეში ძლიერ ცოტა არის, ერთობ იშვიათია. ცალმხრივი სიყვარულიც სანთლით საძებარია. საოცნებო სიყვარულის ლოდინში შეიძლება ადამიანმა უსიხარულოდ ჩაადამოს თავისი სინორჩე; მხოლოდ მაშინ შეიგნოს სიმძიმე ჭემმარიტებისა, როდესაც გვიანდა იქნება, ძალიან გვიან. მაშინ გარდავლილი ცხოვრება ერთ უშინაარსო და უშედეგო წამად დაესახება დაღრეჯით მჯდომარეს, ვარამით მოცულს. გულნაზის დედამ იცოდა ყველა ეს, ისიც კარგად ესმოდა, რომ ქალის გული სხვისკენ ისწრაფოდა, იმ მშვენიერ ჭაბუკისკენ, რომელიც აწ მის ნათესავ ლიუბას ეტრფის, რომელს სრულებითაც მიჰვიწყებია გულნაზი, ხოლო თუ გაიხსენა, სასიკეთოდ არ მოიგონებს მას. ეს ფიქრი აშინებდა დედაკაცს.

– თუ შენიშნა იმ ანდუყაფარმა, რომ ჩემს გულნაზს მაინც უყვარს ის, უსათუოდ ისარგებლებს ამის გამოუცდელობით და საფრთხეს შეგვამთხვევს გაქნილი. იმას ხომ მაინც აზრად არა აქვს ჩვენთვის რაიმე სასიკეთო, სრულებითაც პასუხისმგებლად არ ჩასთვლის თავის თავს, თუ ბოროტი გვეწევა მის გამო. პირველი იქნება იმ თავწასულის ცხოვრებაში იმ გვარი სამრახისი საქმე თუ! დიდკაცის შვილია, მდიდარი, გავლენიანი ახალგაზრდა და მისგან იმისთანა ჭაბუკობას შეჩვეული იქნება საზოგადოება. მისგან გათახსირებულს მხოლოდ მასხრად აიგდებს ყველა და სიცილს დააყრის, – ნაღვლობდა ქალის დედა.

და ნატრობდა იმდენი უნარი შესჩენოდა ოთარს, როგორმე თავი მოეწონებინა ქალისთვის, კიდევ შეეყვარებინა მისთვის თავისი თავი. ოთარიც ამ თვალსაზრისით აფასებდა გარემოებებს. ისიც იმასა ნატრობდა, როგორმე თავი მოეწონებინა ქალწულისთვის, რომ ოდნავ მაინც შესჩვეოდა იგი მას; მაგრამ ხედავდა, რა ძნელი იყო ეს მის მდგომარეობაში და ღონდებოდა. როგორ შესძლებდა ამას უზომოდ აღელვებული ვაჟკაცი, გონებაშმაგი, მისწრაფება შეუკავებელი? განა შესაძლებელი იყო ამისთანა გარემოებებში თავის ბუნებრივი სახის შერჩენა? არა, ვერ შესძლებდა ნამდვილ ცხად ექმნა თვისი მართლა კეთილი, აზრიანი და სანდო-სანდომი პიროვნობა. განა შესაძლებელია მღელვარე წყალში დაინახო ნამდვილი სახე ადამიანისა? არა! ჰხედავდა კაცი, რომ გრძნობათა ზვირთნი აქანებდნენ მის სახეს და საკვირველ მოხაზულობას აძლევდნენ მის ხატებას თუ ნაქვთებს, ბევრჯელ საშინელს, ბევრჯელ საცინელს. უფრო ჰღელავდა, ირყევოდა, ღონემიხდილი. ისიც საკვირველი იყო და ღვთის წყალობა, რომ ქალს არ ანცვიფრებდა ვაჟკაცის მიმოხვრა, ეჭვს არ უღვიძებდა მის სულის სისადის შესახებ. ოთარი თითონ ჰხედავდა ყველა ამას და შიშის ზარს იწვევდა ეს მის გულში; ძალა არა ჰქონდა შეეხოჭა თავისი თავი, სწორ

გზაზე დაეყენებინა აბნეული და მოაზრებული მსვლელობა მიეცა თავისი ქცევისთვის, მიზანშეწონილი. მაინც ცდილობდა, ათასჯერ უმეორებდა თავის თავს:

– ფრთხილად, ოთარ! ხომ ჰხედავ, მარტო შენს უნარზედ არის დამყარებული შენი შემდეგი ცხოვრების სიკეთე. მიაღწევ საწადელს, ნათელს შეიმოსავ, ადამიანურად წარმართავ შენს ყოფას პირადს თუ საზოგადოს; ვერ ეწევი სურვილს, ბნელი მოგიცვავს უკუნი, ჩაიშლება ყოველივე შენი ოცნება თუ ნატვრა, უხმარ იქმნები ცოცხლადვე მკვდარი, შესაზარავი. ფრთხილად, ოთარ!

ვაი, რომ იგი თავის წრთვა იმავე ღირებულებისა იყო, როგორც მგლის თავზედ სახარების კითხვა!

### 34

ძლივს გადიწვერა მზე. რამდენი ხანი ელოდდა ოთარი მზის დახრას, რომ შესაძლო ყოფილიყო სტუმრად წასვლა. დღეს პირველად აპირობდა მთელ საღამოს გატარებას თავის ძვირფას ნაცნობებთან. იმ დღეს გაუბედა ქალიაანთ თავისი სურვილი და მიიღო ნებართვა. დედამ უთხრა, მობრძანდი, სასიამოვნო იქნება ჩვენთვის თქვენი სტუმრობაო. ქალმაც გაიმეორა დედის სიტყვები. ცოტა ადრე მივიდა ვაჟკაცი სტუმრად; ქალები მაინც მზად დაჰხვდნენ; ეფიქრათ, შეიძლება ადრე მოვიდესო. გულნაზი ვერ იყო მხიარულ გუნებაზედ, ფიქრის საბურველი გადაჰფარებოდა სახეზედ, გაურკვეველი კაემანი გამოსჭვივოდა იმის თვალებში. ამ სახილველმა ჩაანელა ვაჟკაცის აღტაცება და უსაზღვრო თანაგრძნობა დაჰბადა მასში ქალისადმი.

– ნეტა რამ დააჭმუნვა ეს მზეთუნახავი ან თუ რა აქვს მას საფიქრებელ-საღონებელი? ცოდვა არ არის, ამის ნაზ არსებას შეეხოს სიმძიმისი უხეში, – ფიქრობდა ვაჟკაცი.

და ცდილობდა გაერთო ქალი, გამოეწვია მასში ციაგი სიხარულისა, ოდნავ მაინც გაეღიმებინა იგი მშვენება. წარმოიდგინეთ, კიდევ მოახერხა, თუმცა შემთხვევით. უნდოდა ქალისთვის გაკვრით მაინც გაეცნობებინა თავისი თავი, თავის აღზრდა და წარსული ცხოვრება, დაეხატნა მისთვის თავისი რწმენა, შეხედულობა პირად არსებობაზედ, საზოგადო ცხოვრებაზედ. როცა შეეხო თავის ყოფა-ცხოვრებას სასწავლებელში, ქალმა ყურადღება მიაქცია საუბრის საგანს და თითონაც მოიგონა თავისი სწავლა-აღზრდა პანსიონში. საგანმა საუბარში ჩაიტყუა ქალი. მოგონება მოგონებას მოსდევდა მის მეხსიერებაში. ბევრი სასაცილო ამბავიც გაახსენდა ქალს თავის წარსულიდან. გაება ქალ-ვაჟთა შორის გულახდილი საუბარი საყურადღებო. დედამ შენიშნა მათი დაახლოვება და გაეცალა. საოჯახო საქმეც ელოდდა მის მოქმედ მარჯვენას. ქალი გაიტაცეს მოგონებებმა. დროს ველარ ამჩნევდა იგი. ვაჟკაცი შეჰყურებდა სატრფოს, უფრო და უფრო იმსჭვალებოდა მისი სურვილით, მოუთმენლად უნდოდა მეტად მიახლება, მისი შეხება, თუნდ ტანისამოსზედ ხელის ხლება. ქალს ბაბთის სარტყელი ერტყა გვერდზედ შეკრული, ფოჩებჩამოშვებული. ოთარმა გაბედა სარტყლის წვერის ხელის ხლება, ერთი ფოჩის ხელში დაჭერა. ლაპარაკში გართულმა ქალწულმა ჯერ ვერ შენიშნა მისი მოძრაობა, მერმე დახედა, მაგრამ აღარ იწყინა ხასობა; შეეცოდა კიდევ კაცი, როცა ნახა, როგორ მოწიწებით ეჭირა იგი ფარჩის ალამი, რა ნაზად უსვამდა მას ხელს. ეს მცირედი ნიშანი კავშირისა ნეტარებასა ჰგვრიდა კაცს, თან საშინლად აღელვებდა, უძლეველ სურვილსა ჰბადებდა მასში უფრო დაახლოვებისას. საუბრის დროს ქალმა მარჯვენა ხელი მუხლზედ დაიდო და ოდნავ შეაბრუნა. ვაჟი დასცქეროდა სპეტაკ ყვავილივით

გადაშლილ ხელის გულს და იხრებოდა მისკენ. მოუთმენლად მოუნდა დაეკოცნა იგი სუნნელოვანი, გულში ჩაეკრა ხელი კეკლუცი და დაეძახნა:

– შეიქმენ ჩემი, სულისდგმავ ჩემო! ჩემი იყავი სამარადისოდ! ამ პაწაწა შენს ხელში არის მოთავსებული ჩემი ბედი და უბედობა, ამ ხელთ გიჭირავს სიკვდილი ჩემი და სიცოცხლე; ეს ხელია ის სადაფის კოლოფი, რომელში თურმე არის მოთავსებული ჩემი საწყალი სული.

ეხლა აღარც კი ესმოდა ვაჟკაცს, რას ამბობდა ქალი; მას მხოლოდ სამოთხისებურ ჭიკჭიკად მოესმოდა მისი ხმა ტკბილი და იწვევდა სანეტაროდ, საშინელის ძალით იზიდავდა მისკენ. შეძრწუნებული გონება ჩასმახოდა ვაჟკაცს, თავი შეემაგრებინა და თავზედად არ გაექრო ეს დიადი წამი თვისის ნეტარებისა. ოთარი გრძნობდა რამდენად სამართლიანი იყო გონების განწირული ძახილი, მაგრამ ცხადად ჰხედავდა ზარდაცემული, რა სისწრაფით იზრდებოდა მისი სურვილი, რა უძლეველ ძალას იმოსავდა იგი, როგორ ზვირთდებოდა, რომ წამოსულიყო გრგვინვით და წარერღვნა ყოველივე საზღვარი თუ ბჭე გონიერებისა. ქალი კი ვერ ამჩნევდა ვერაფერს და განაგრძობდა ჭიკჭიკს, როგორც ბულბული ახალი, თვისივე სტვენით მოხიბლულ-გატაცებული. აღსრულდაცა: ვაჟკაცმა ველარ შეიმაგრა თავი, დაეწაფა ქალის ხელს და შეჰღაღადა:

– მიყვარხარ, მიყვარხარ გამოუთქმელად! შეიქმენ ჩემი, მიზღვენ სიცოცხლე!

ქალწული შეაკრთო და შეაშფოთა ვაჟკაცის ამისთანა მოულოდნელმა ქცევამ. გაფითრდა, დაიფანტა ერთს წამს. მერმე გამოართვა ხელი და ადგა. ადგა კაციც მთლად გამშრალი, თავის მოულოდნელი საქციელით განცვიფრებულ-შეძრწუნებული, საშინელი წუთი იყო მისთვის ის ერთი წამი, სანამ ქალი ხმას ამოიღებდა და რაიმე პასუხს მისცემდა. ფრიად ძნელი იყო ეს წამი თვით დიასახლისისთვისაც, რომელიც შესულიყო ოთახში და უნებლიეთ მოწამე შექმნილიყო ამ გადამწყვეტ მოქმედებისა.

– ახ, ნეტავ არ გეთქვათ ეგ სიტყვა, ნეტავ დაგეცადნათ! – წარმოსთქვა ქალმა.

და უილაჯოდ გადააგდო ყელი, ხელები ჩაიფშვნიტა; მერმე შევიდა მეორე ოთახში თვალცრემლიანი. დიდი რამ ტანჯვა დაეტყო მთელ მის არსებას. ოთარიც დაემშვიდობა დედას, ესე იგი შეუგნებლად მისცა მას ხელი და ტორტმანით გამოვიდა სახლიდან. ეზოს კარებთან მოეწია მას დიასახლისი და ჩასჩურჩულა:

– ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას! შეკრთა და პასუხი ვერ მოგცათ გადაწყვეტილი, შემოიარეთ!

ოთარმა ხმა ვერ გასცა დედაკაცს, თითქო ვერც კი გაიგო, რა უთხრეს. გასცდა ეზოს. მიაბიჯებდა შეუცნობელად. იავარჰქმნოდა აზრთა სალარო, გამოჰფიტოდა სურვილთ საუნჯე, მთლად დაჰქრობოდა გრძნობათა კერა; წამოსცალიერებოდა სული ბედკრულს, გახევებულიყო. ერთი რამდა იყო იმ წუთს მისთვის ცხადი: თითონ, თავის საკუთარი ხელით დაღვარა ნექტარით სავსე თასი თვისის სიცოცხლისა; აჩქარდა უაზროდ, მოაპირქვა იგი სასმისი. არ ვიცი, რად იყო ოთარი იმ წამს დარწმუნებული, რომ თუ წყნარად ემოქმედნა და მოაზრებით, უსათუოდ მიაღწევდა საწადელს. რასაც კაცი თავის თავს უზამს, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამს! მოაგონდა ნათქვამი და სიტყვები „თავის თავს უზამს“ აჰყვა მის გაწამებულ გონებას, აღარ ჩამოჰშორდა, დაღვივით დააჩნდა მის აღზნებულ ტვინს ფრაზის ნატეხი; თვალწინ უთამაშებდა მას ეს ცეცხლით აღბეჭდილი სიტყვები. გაატარა ღამე, სიბნელე საზარელი, როდესაც ადამიანის ბუნება განილევის სიმძიმით ბოროტისა, როდესაც ბოღმა ამოსწოვს მის არსებიდან ყოველს ნიშანს სიცოცხლისას და დაავადებს მას, მსწრაფლ დააბერებს, დაახავსებს, მოაშთობს სულით ხორცამდის,

გულს გაუპობს, თმას გაუთეთრებს. გავიდა დამე. ამოაშუქა მზემ. ოთარისთვის მაინც ბნელი იყო და წყვილია. მისი მზე ვეღარ ამოვიდოდა მისთვის, მისი მნათობი სხვისთვისღა ამოაშუქებდა ეხლა, ვიღაც უცხოისთვის.

– სხვისთვის? ვიღაც უცხოისთვის?! შეუძლებელია! – წამოიძახა შმაგმა და სიმწარით გველივით დაიღვლარჭნა, როდესაც წარმოიდგინა, სხვას ვისმე დარჩებოდა გულნაზი, სხვა ვინმე ჩაიკონებდა. საშინელმა აზრმა გაუელვა:

– მოვკლავ! თავსაც ზედ დავაკლავ! – გაიფიქრა გადარეულმა.

აზრი კი არ იყო ეს, მხოლოდ რამ ფიქრი; მთელი მისი ბუნების ძახილი იყო გარკვეული, შესაძლო და მით შესაზარი, შესაძრწუნებელი. ამ მკაფიო დასკვნამ ისევ აამუშავა ოთარის სული, ისევ იწყო მის თავში აზრთა დენამ, გულმაც გაიღვიძა კვლავ, ამოდრავდა ნებისყოფაც ვაჟკაცისა. და შესძლო ოთარმა შეენიშნა სისასტიკე თუ უაზრობა მკაცრის დასკვნისა. ამ დროს გონებამ საწუგემოდ თუ დასაციინად გაუწოდა მას ის ხავსი, ქალის დედამ რომ გადაუგდო წყალწალღებულ ვაჟკაცს განწირულს.

– წავალ, ვნახავ უკანასკნელად და...

– რომ არ გეჩვენოს, სულაც არ მიგიღოს?

– მაინც წავალ! მეტად ვეღარ დამამდაბლებს ისევ მიწასთან გასწორებულს. წავალ! და მერმე, შემდეგ...

– მერმე რა? მოსპობ თუ გულნაზს?!

– მოვსპობ? გულნაზს?! მერმე ის, რომ თავს მოვიკლავ თითონ მე, მისი სახელის მადლობით მხსენებელი!

– შეგშვენის ვაჟკაცს!

### 35

გულნაზი არ ჩავარდა ისეთს გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც ოთარი: სადავე თითონ ეჭირა ხელში, თითონ იყო მხსნელი და მკვრელი იმ საბედისწერო ნასკვისა, რომელით განგება აპირობდა მის და იმ ვაჟკაცის ცხოვრების ერთად შეკონვას გამოუხსნელად. ძალიან კი დაჯავრიანდა: არ იცოდა როგორ გადაეწყვიტა საკითხი, რომელ გზას დასდგომოდა შეუმცთარს. ერთის მხრივ ედგა პატიოსანი ვაჟკაცი ყოვლად ღირსი, რომელიც საიმედო თანამგზავრი შეიქმნებოდა ეკლიან გზაზედ ცხოვრებისა. ისეთის მოწიწებით შეჰყურებდა ეს კაცი ქალს, შეუფერებელიც იყო წარმავალი არსებისადმი ესეთი თაყვანისცემა. ამას თავისი სიცოცხლე ზღვანად მიერთმია ქალისთვის, თუნდ ყოვლად დასაწველ-მსხვერპლად; აგერ მუხლმოდრეკილი ევედრება, გააბედნიეროს, მიანიჭოს ცხოვრება ადამიანური. დედაც და კეთილი ნათესავნიც თანაუგრძნობენ ამ კავშირს. მხოლოდ ერთი მისი სიტყვა, ერთი თავის დახრა ნიშნად თანხმობისა და ვარსკვლავი სიხარულისა აღმობრწყინდების იმის წყვილიადით მოსილ არეში.

– მაგრამ იმ ვაჟკაცით ჩემი გული რომ ვერ არის სავსე! ვერ შეედრება იგი ნანატრ რაინდს, რომელი დაისახა იმ თავითვე ჩემმა ოცნებამ.

ნეტავ მხოლოდ ოცნება ყოფილიყო იგი ქალწულისაგან ნანატრი, მხოლოდ საარაკო რამ ქმნილება, რომ ქალი შეჭრიგებოდა ცხოვრებაში იმის არ ყოფნას, ჩაეთვალა ის მხოლოდ შეთხზილ არსებად, რომელი არ არის ქვეყანაზედ. არ მიმოვალს ცოდვითაგან შემძიმებულ დედამიწაზედ. მაშინ ქალწულისთვის უფრო ადვილი იქნებოდა გაეწირა თავისი ოცნება და მიეღო ის, რაც მიუპყრა მას სინამდვილემ. მაგრამ ქალწულისთვის ეს არ იყო ესე: მან ცხოვრების ბჭეშივე თვალი მოჰკრა იმ თავის ნანატრ ჭაბუკს ანდუყაფარის სახით უგრძნობელისა.

– მაინც ვერ დაემდურები განგებას: თუ საოცნებო არა, არც თუ შეუფერებელი ყისმათი გიჩინა შენ იმან, – ეტყოდა ქალს გონება.

– მართალია, მაგრამ ეს კაცი მაინც ის არ არის, მე რომ გარს ვახვევდი ყველა ჩემ გრძნობებს, რომლისად მსურდა მიმერთმია ღიმილით მთელი ჩემი არსება. ხომ კიდევ მომეჩვენა იგი ჭაბუკი სანატრელი.

– იმ საოცნებო რაინდმა ვერ შეგაფასა მარგალიტი ძვირფასი, გაბედა ისე მოგპყრობოდა, როგორც თაღლითს ადვილად სასყიდს; შემდეგ პირიც იბრუნა შენგან და გაგცვალა სხვაზედ, ქალწულზედ სიმდიდრისა და დიდებისა, – გაახსენა გონებამ.

ცხადად წარმოუდგა გულნაზს ის საშინელი დამცირება, რომელი განიცადა მაშინ ანდუყაფარის თავხედი ქცევით. გული აემღვრა. ბოღმის ცრემლები მოაწვა თვალებზედ. წარმოუდგა ქალწულს განცვიფრებით და თაყვანისცემით მისადმი მიქცეული სხვა ვაჟკაცი, რომელი მოწიწებით ადევნებდა თვალს ყოველსავე მის მოძრაობას, მაგრამ ვერ შემძლებელ იყო მიახლებოდა მას, როგორც სიწმიდეს არაქვეყნიურს. ამ სურათმა მოულობო ქალს გული ოთარისადმი და დაენანა მას იგი. წარმოუდგა, რა წამებას განიცდიდა ეხლა ის და შეეცოდა. გულქვად დასახა თავისი თავი, რომელს არავითარი მსხვერპლის მოტანა არ ძალუძს მისთვის თავდადებულ მოტრფიალესათვის.

– იპოვიდა ცხოვრებაში ნამდვილ შენს ოცნებას? ერთში მოსტყუვდი მწარედ. შეეყრებიდა სადმე სწორედ იმ ვაჟკაცს, რომელი ნატვრაში დაგისახავს შენ? ან გიცნობს კი, თუ შეეყრები? რა პასუხს მისცემ, სასტიკო, განგებას, თუ გასტეხ ამ შენდამი შემოწირულ გულს?! – უწყრებოდა ქალი თავის გულს.

გული თვალს არ უსწორებდა ქალწულს, არ ეთმობოდა კრულს და შეუგნებელს საოცნებოდ დასახულის რაინდის სახე, ვერ შეჰლეოდა მას. დაიღალა გულნაზი გრძნობათა ღელვით და გარინდდა. დაჰკარგა ხალისი. მიანდო ყოველივე მიმდინარე გარემოებებს. დარწმუნებული იყო ეხლა, თვით ცხოვრება მოვიდოდა მასთან და გამოხსნიდა მის გარშემო ნაბლანდ ხლართებსა. ჩვეული იყო გაჭირვებაში სხვისგან დახმარებას: სკოლაში ყველა სიმძიმეს სხვა უმსუბუქებდა ბედიანს.

ცხოვრებაში გამოცდილ-ნაწრთობი დედა კი გულნაზისა ღელავდა საშინლად, შიშობდა, ქალს არ დაეკარგა ეს შემთხვევით კარზედ მიმდგარი იღბალი; ვედარაფერს ახერხებდა საქმის გამოსაბრუნებლად: საკითხის საბოლოოდ გადამწყვეტი თითონ გულნაზი იყო, მხოლოდ იგი. განაწამები დედა ღვთისმშობელსღა უნთებდა კელეპტარს, ევედრებოდა, ჩაეგონებინა ქალისათვის კარგი აზრები, საკეთილოდ მიედრიკნა მისი ნებისყოფა, ჯერ ისევ ხამი და მოუწრთვნელ-მოუქნელი ნებაი მისი. ოდნავის ღიმილით დაჰყურებდა ყოვლადწმიდა შემფოთებულ დედაკაცს: შეჩვეული იყო ქალწული ათასნაირ ვედრებას, ბევრჯელ საოცარს ან გასაღიმარს, რომლებიც მიჰმართავდნენ მომაკვდავნი მას, სიყვარულის მტვირთველს და განმასახებელს.

ხოლო ოთარი წყალწაღებული ხავსს მოეკიდა ფონს გასასვლელად: აჰყვა დედაკაცის რჩევას და მესამე დღეს წავიდა ქალთან. მიდიოდა და თან ძრწოდა, განეცადა საბოლოოდ იმ მომაკვდინებელი მახვილის დაგესლილი პირი, რომელი მის მოსასპობლად შეემაღლებინა მის ცეცხლთა მომდებარ გულნაზს. მეტი გზა არც იყო: უნდა პირისპირ ენახა უაღრესი უბედურება, ამოეცალნა სამსალით სავსე ტანჯვის ფიალა. ქალმა ხომ მაშინ სავსებით არ გამოაცლევინა წამების სასმისი: გადაჭრილ-გადაწყვეტილი სიტყვა მაინც არ უთხრა.

– წავალ, ვნახავ უკანასკნელად ჩემს ბედისმწერელს. ახ, რა ვქენ?! რად ავჩქარდი ესე თავხედად?!

მიდიოდა ვაჟკაცი და თან მუხლი ეკვეთებოდა, ნაბიჯი ტყვიასავით უმძიმდებოდა.



– რაღა მიდიოდა ან რა პირით?

სხვა გზა არ ჰქონდა! მის გარშემო აზვირთებულ ზღვაზედ ეს ერთი კვალიდა მოსჩანდა, ისიც უიმედო; იმას მისდევდა უსასოქმნილი. გაიარა ქუჩა. შედგა ალაყაფის კარებთან. შევიდა ეზოში. კარზედ არავინა სჩანდა. შეყოყმანდა, უნდოდა გამობრუნებულიყო. გულნაზმა ფანჯრიდან მოჰკრა მას თვალი და გამოვიდა აივანზედ. გაემართა ოთარი მისკენ. ხელი გაუწოდა ქალწულმა შემკრთალს, შევარდისფერდა, ღიმილი დაეტყო ბაგეზედ; თვალეზი კი დაღონებული ჰქონდა, ნისლმოდებული. ოთარმა შენიშნა იმ ღიმილში ნასახი თვისის ბედნიერებისა და გაბედა: დაუკოცნა ხელი. ქალმა მხოლოდ ოდნავ სცადა ხელის გაშორება. მეორე მისი ხელიც მიიზიდა და...

ნახა სამხიარულოდ მობრუნებულიყო მისთვის ბორბალი შვიდიც ცისა, დედამიწაც მის საამოდ გადაშლილიყო, ჰაერიც მის სიყვარულს უალერსებდა ნაზის შერხევით, მის გარემო ყველას სახე უღიმოდა და ყოველსავე: მთელს ქვეყანას უხაროდა ოთარის ბედი საბედნიერო.

განა ბედნიერება არ არის გამოუთქმელი, უნაკლოდ ჰპოვო სინამდვილეში შენი ოცნება განსახებული, შესძლო მიეახლო მას, მისწვდე, ხელთ იპყრო და შეუერთდე?! იცი? ეს იმ ნეტარების ნასახია, რომელი არს უჭკნობი, გარდუვალი სამარადისო. შეუმღვრეველი ტრფობა უკვდავია და დაუსრულებელი, როგორც თვით ღმერთი სიყვარულისა. ბევრი როდია ქვეყანაზედ ამისთანა უჩრდილო სიხარული. და თუ შენ წილად გხვდა იგი, კურთხეული ხარ ცითგამო და კაცთა შორის! მარად გახსოვდეს!

კიდევ კარგი ამისთანა ბედნიერება შმაგ ჰქმნის ადამიანს, გონებას ჰხდის მას, თორემ თუ იმ წამს შეეძლოს მას სრული შეგნება იმ ნეტარებისა, ვერ დაიტევდა მისი სული სავსებას სიხარულისას, ელდა მოცინარე გაჰკვეთდა მას ელვასებურ და გააპობდა.

ოთარი ამ წუთს ისე მოქმედებდა, როგორც მიჯნური შმაგქმნილი, ფიქრებდაშლილი, აზრმთლადახდილი, იმ აზრს, რომელმა მოზომვა იცის და ანგარიში. მხოლოდ ისღა აკავშირებდა ოთარის ათასგვარ თქმას თუ მოქმედებას, რომ მისი ყოველივე მოძრაობა თავს ევლებოდა მის გულნაზს რჩეულს, როგორც მზეს სამყაროში სფერონი მრავალსახენი. იმითიღა იყო ოთარის ბევრჯელ ბალღური ქცევა-მოქმედება მისაღებ-შესაწყნარებელი თუ საამ-სალიმარი, რომ ნაკარნახევი იყო მიჯნურობით და თავს ევლებოდა საყვარელს. რომ გეკითხა ოთარისთვის, როგორ გაატარა მან ის ექვსიოდე დღე, სანამ შეამზადებდნენ ყველაფერს ჯვარის დასაწერად, როგორც აცნობა შინ თავისი მურაზის მიწვენა ან როგორ დაიწერა ჯვარი, ვერაფერს გაიმბობდა გარკვევით. გეტყოდა: ახ, კარგად! მშვენივრად! და გადაგეხვევოდა, უსათუოდ გადაგკოცნიდა. იმისთვის ვერას გეტყოდა დალაგებით, რომ მომხდარმა ყველაფერმა გადაიარა უფრო მის გულზედ, მის გრძნობათა შესაკრებელზედ, სინამ ცნობიერებისა თუ აზრთა სამფლობელოზედ.

დილით დაიწერა ოთარმა ჯვარი. გემოვნებით მოკაზმულ მსუბუქ საუზმის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყვნენ ახლად შეუღლებულნი. კრიალა ეტლი ედგათ კარს ოთხ ცხენ შებმული. ქალ-სიძე დაემშვიდობნენ ყველას. ოთარმა ჩაიარა აივნის დაბალი კიბე და აღტაცებით შეჰყურებდა თავის ახალ სულს, რომ ხელი ეპყრა და წაეყვანა ეტლისკენ. გულნაზი კიბის თავს იდგა, საგზაო ტანთსაცმელში

გამოკვართული. თათმანს იცვავდა. საუცხოვო სანახავი იყო ეს ჯერეთ მოუწყვეტელი ყვავილი შლილი. აფსუს, რომ არავის მოუვიდა აზრად მისი სურათის გადაღება იმ წუთს! სახე უღიმოდა: ალერსმა და სიყვარულმა გული გაუღეს მას; მადლობით და სიამით შეჰყურებდა თავის ქმარს, ნდობით და იმედით ეყრდნობოდა მის მოქმედ მარჯვენას. მართალია, უფლისწული არ იყო ოთარ უმწიკვლო, რომელი უნდა მისულიყო ქალწულთან, ეცნო იგი თუნდ სიმდაბლემ და აღემალლებინა ღირსეულად; მაგრამ თითონ გულნაზიც მართლა ხელმწიფის ასული ხომ არ იყო მზეთუნახავი, სიმწირეში შემთხვევით ჩავარდნილი, და მადლობელი იყო ქალი, რომ ცხოვრების სინამდვილემ ესეთი მოყვარული, ჭკვიანი და უნარიანი ვაჟკაცი შეახვედრა მას. ამნაირი აზრები თუ გრძნობები დასტრიალებდნენ ქალს თავის ახალი გზის დასაწყისში. მეტად კმაყოფილნი იყვნენ ქალ-ვაჟის გარშემო სხვებიც ყველანი და ჰმადლობდნენ განგებას, რომ ესე კარგად მოაგვარა მშვენიერის ცხოვრება, არ დატანჯა უღმობელად, არც გარიყა სრულიად, როგორც სხვა ათასი. ნასიამოვნებნი იყვნენ, უხაროდათ, ღიმი უქროდათ.

ის იყო ხელი მისცა ოთარმა კიბეზედ ჩამომავალ ქალს, რომ ქუჩიდან მოისმა ცხენის ფეხის ხმა და ეტლთან გამოჩნდა ანდუყაფარ, მის შორიახლო მისი შინაყმა. თეთრ მერანზედ იჯდა ჭაბუკი მწყაზრად, ვაჟკაცურად. შეხედა გულნაზს, დააკვირდა ოთარს, მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და მიჰხვდა ყველაფერს. გაბრუნდა ტყვიანაკრავით, მსწრაფლ მიეფარა თვალთაგან. ქალი შედგა, ოდნივ ფერი ეცვალა. სხვებიც შეტორტმანდნენ, თითქო ჩვენება რამ იხილესო ავის მომასწავებელი. ერთს წამს გაგრძელდა ეს ამბავი. სიხარულით სავსე ოთარმა სწორედ ვერც კი შეჰნიშნა ეს ყველა: ის ისწრაფიდა ჩაესვა ეტლში თავისი მზე. ქალ-ყრმა გასწორდნენ ბალიშებზედ, ერთი კიდევ დაუკრეს თავი ყველას და გაუღიმეს. მოიტაცეს მდიდრული ეტლი წვივმაგარმა ტაიჭებმა.

გზა მშვენიერი იყო. ახალ ნაწვიმზედ მიწა დატკეპნილი. გატკეცილ შარას სრულებით არ ასდიოდა მტვერი. გასცდნენ ქალაქს. გადიჭიმა თვალუწვდენელი მინდვრები, სავსე მუხლშემადლებულ, თავთავასხმულ ჭირნახულით. მწყობრად მიღელავდა ყანა ნაზად მინაბერ ნიაზზედ. სათიბები აეფერადებინა მრავალსახე ყვავილს. ყვავილები სიყვარულით ადევნებდნენ თავის ჭრელ თვალებს წყვილად მიმავალ ბედნიერთ, გზადაგზა სუნნელებას უკმევდნენ კეთილნი. ფერად პეპელათა სიმრავლე უაღერსებდა მგზავრთა თვალს. კამკამი ცა გადართხმულიყო თვალუწვდენელ სიმაღლეზედ ლაჟვარდ კამარად. აქა-იქ მოსჩანდა თეთრ ღრუბელთა მომცრო ქულები.

– რა მშვენირებაა! ქალაქში ამისთანას რასა ჰნახავს ადამიანი.

– გიყვარს ბუნება, ჩემო სიცოცხლე? ისეთ ალაგასა სდგას ჩვენი სახლ-კარი, მთელი ის კუთხე ედემივით არის ნაქარგი.

– უბრძანე, ყვავილები დამიკრიფონ!

შეჩერდა ეტლი. კოფოდან მარჯვედ გადმოხტა მსახური და სწრაფად მოურბენინა მთელი ხელეური ფერად-ფერადი ყვავილებისა. ქალმა მოუაღერსა ტურფებს, ყვავილთა კონაში ჩამალა თავისი თაიგული სახე. აღელდა ვაჟკაცი, მიიზიდა ქალი, გადუკოცნა ყელ-ყური. გასცდნენ მდინარეს. მივიდნენ სოფელში. აქ უნდა დაესვენებინათ ცხენები და თითონაც შენაყრებულიყვნენ. ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა ქალმა შემოუარა რამდენსამე მახლობელ სახლს და რომ ნახა უკიდურესი სიღარიბე, დაღონდა.

– იქ, თქვენ სოფელშიც, ესე ღარიბადა სცხოვრობენ, და ესე დაძონძილები დადიან?

– არა, საყვარელო, მდიდარი დაბაა ის, ხალხი შეძლებულადაა სცხოვრობს. იქაც კი არიან ღარიბები, როგორც ყველგან ჩვენ საწყალ სამშობლოში. აი, გეთაყვა, ჩვენი მოვალეობა იქნება, გზა გავუნათოთ მათ სწავლით, მივეშველოთ დაბეჩავებულთ და ვაჩვენოთ სავალი აზრიანის ცხოვრებისა.

ღამე მდიდარ სოფელში გაატარეს. სასტუმრო არ იყო იქ, ოჯახისშვილები იღებდნენ მგზავრებს ფულით. ოთარი სუფთა და სანთიან ოთახში ჩამოხდა, მდიდარი კაცის სახლში. მგზავრის სიუხვით მოხიბლულმა მასპინძელმა ბატონკაცურად მოუსვენა მას. აღარც დაჰვიწყებია ოთარს არც ის ღამე, არც ის ოთახი. შემდეგში ამ ოჯახში დაიდვა ბინა. ისე არ გაივლიდა იმ გზაზედ, არ შებრუნებულყო. ბევრჯელ ღამესაც იქ გაათენებდა.

– იცი? ზოგი ადგილი ისეთს მნიშვნელობას მოიპოვებს ადამიანის ცხოვრებაში, როგორც წმიდა რამ სავანე, სადაც ღვთის კვალი უნახავს კაცს და დაუვიწყარი კეთილი მოჰვლენია მას. არის წმიდა ადგილები ხალხისათვის, არის წმიდა ადგილები თვითეული პიროვნებისათვის. ხომ გაქვს ამისთანა წმიდა სავანე, სადაც ცა გაგხსნია შენ და გიგემია სიტკბოება უკვდავებისა? შეურაცხ არ ჰყო იგი, არც დაივიწყო!

– უჰ, როგორი დაბურული ტყე არის! საშიში არ არის აქ? – იკითხა გულნაზმა, როცა ეტლი შეუდგა წიფლის ტყით მოცულ აღმართს.

– ნუ გეფიქრება, საყვარელო! სახელმწიფო გზა არის და დარაჯები დგანან. ჰხედავ, მგზავრიც ბევრია. ხალხიც წყნარი სცხოვრობს აქ, მუშა და მყუდრო ცხოვრების მოყვარული!

– დიდი ტყე არის?

– სულ აყრილი ტყეა, მანამ მთას გადავალთ. ნაშუადღევს გავალთ ტყეს, ესე ორ საათზედ. მერმე სულ საათნახევარის სავალია დარჩება ჩვენ სახლამდის. გზაზედ ჩვენს ტყესაც გაჩვენებ: ეს გზა ჩვენს მამულზედ გადადის. წყაროც არის იქ. მშვენიერი ადგილია. ძალიან მიყვარს.

– იქაც ესეთი უზარმაზარი ხეებია?

– ესეთია და უფრო კარგად შენახული: გაჩეხის ნებას არ ვაძლევ, მარტო ზეხმელის მოჭრა შეუძლიანთ და ნაყარ-ნაქარის გამოტანა.

ჩაითავქვევეს, მიახლოვდნენ იმ ადგილს, რომელზედაც ეუბნებოდა ცოლს ოთარი. მისახვევთან რომ მივიდნენ, სიმღერის ხმა შემოესმათ. მალე მათ წინ გადაეღობა რამდენიმე შეზარხოშებული კაცი. შეაყენეს ეტლი.

– მოგვილოცნია, ოთარ, მოგვილოცნია!

– მშვიდობა თქვენი მობრძანება!

– აბა ერთი გვიჩვენე შენი მზეთუნახავი, ქაჯებს რომ მოსტაცე.

– ნამდვილი ნესტანი გიპოვნია, ჩვენო ტარიავ!

– ცისკარია სოფლისა მშვენი!

– ვარდია ახლად ფურჩქვნილი, ედემს ნარგები!

მიულოცეს, გადაეხვივნენ ოთარს, ქალს მოწიწებით ხელზედ აკოცეს.

– საითღა მიერეკები, ბიჭო, მა ცხენებს? შემოაბრუნე აქეთ! – უბრძანეს მეეტლეს.

და მიუთითეს წყაროსკენ, სადაც პატარა ველზედ ცეცხლი აენტოთ. მშვენიერი სანოვაგე იყო გაშლილი, ფერად-ფერადი. ოთარს უამა მიულოდნელი პატივცემა ტოლ-სწორისა და დიდად მოიმხიარულა. ქალსაც გულწრფელად გაუხარდა ესეთი მოხერხებული საპატიო შეხვედრა, ესამოვნა. ძალიან მოეწონა აღმასივით მოელვარე ნაკადი, წყაროდ რომ გადმოსჩქეფდა კლდის ნაპრალიდან. ხელი შეუშვირა, ააშხაპუნა, იპკურა ნამი.

– ფერიაა სხეულშესხმული!

- სად ჰპოვე, ოთარ, ეს ანგელოზი ან რა თილისმით შეიპყარ იგი?
  - შუქურ-ვარსკვლავი შუქთა მფენელი!
- ისეთი სიმღერით და ღრეობით გაუდგნენ გზას. უკეთესი აღარ იქნებოდა.

დაბა საუნჯარაში ჯერ ვერავინ შეჰნიშნა ოთარის ქალაქში დაგვიანება. მერმე ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას. ამ ხნებში გავრცელდა ამბავი, ოთარს ქალაქში ქალი შეუგულეზია, იმას ევლებათ თავს. მოვიდა ხმა, ის ძვირფასი ქალი რომ უპოვნია, ეხლა ცდილობს ჯვარი დაიწეროსო იმაზედ. ეს ხმები თითო თითოდ მიდიოდა საბედოსთან და უფრო სავსებითაც. ბევრს ჰქონდა გულში დარდად ჩაჭრილი ოთარის დაახლოვება ამ ქალთან და ეხლა ჯავრს ყრილობდნენ. იმასაც ათვალიერებდნენ, რა გავლენას მოახდენდა ქალზედ ხმები, რომ იმ შთაბეჭდილებათა მიხედვით გამოეტანათ დასკვნა ქალ-ვაჟის კავშირის შესახებ.

საბედო ჯერ მაგდენ ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბებს. დარწმუნებული იყო ვაჟკაცის სიტყვის სიმტკიცეში და ისიც იცოდა შური ალაპარაკებდა მის მოქიშპეებს. გული მაინც ცუდად ჰქონდა, უბედურების წინადგრძნობას შეეხუთნა და ჩაეხმო ის. ამ მძიმე გრძნობას აწარმოებდა და ზრდიდა ქალის გულში ის საკვირველი გარემოება, რომ ოთარი წერილს სრულებით არა სწერდა მას.

- როგორი დანიშნულია ან როგორი შეყვარებული, როცა შეუძლიან გასძლოს და თავისი ამბავი არ გააგებინოს თავის რჩეულს ან მისი ამბავი არ იკითხოს?! გულცივები არიან ვაჟკაცები და გულქვავები! - ფიქრობდა ქალი.

მაინც ვერ წარმოედგინა, რომ კაცი ესე ადვილად გასტეხდა თავის სიტყვას, უარჰყოფდა თავის აღთქმას და მიატოვებდა ქალს, მიივიწყებდა, გონებიდან მთლადაც გადიგდებდა; არ დაუფიქრდებოდი იმას, რომ ამით გულს დაუთუთქავდა საწყალს, სახელს გაუტეხდა სიფრთხილით მოპოებულს, ნიადაგს გამოაცლიდა ფერხთ ქვეშ თავგანწირულის შრომით გამტკიცებულს.

- რომ გამართლდეს ეს ხმები, რაღას ვეგვანები ან როგორღა მედგომილება აქ? ვინ დაიჯერებს, გადაჭარბებული არა მოხდა რა ჩვენს შორის, მაინც სუფთა იყო და ფაქიზი ჩვენი დაახლოვება? ან რად გაირჯებიან დაარწმუნონ ამაში თავიანთი თავი, როდესაც უფრო ბუნებრივი იქნება მათი შავზნელი თქმა ჩემ შესახებ და მათის ღვარძლიანი გულის საფონიც: კაცი შუალამემდის იყო ხოლმე ჩემთან, - ნაღვლიანობდა ქალი.

შემდეგში, როცა ოთარის წერილი მოუვიდათ მის შინაურებს, ხოლო წერილში სრულებითაც არ იყო ნახსენები საბედო, როცა ცალკე წერილის ლოდინმა ამაოდ ჩაუარა მას, მიჰხვდა ქალი, მის გარშემო უბედურების ღრუბლები იკრიბებოდნენ. შიშით ევსებოდა სული, შეუმართებელი ჯავრი ებურებოდა მის გულს და სწურავდა ტკივილად. როცა ბოლოს გამოძახავდა ყოველივე, როცა სახლში მზადება იწყეს ახალ სულის მისაღებად, მაშინ მთლად დაუზნელდა საბედოს მზე, განწირულებამდის მისწურა ხვედრმა უმსგავსომ. აქამდის თეკლე ხშირად ჩამოდიოდა საბედოსთან და უამბობდა ყველაფერს, ანუგეშებდა რითაც შეეძლო, თუმცა თითონაც აღარ სჯეროდა, რასაც ამბობდა ძმაზედ: მას შერყევოდა ის რწმენა, რომლითაც აქამდის უყურებდა თავის ძმის სიტყვას თუ მოქმედებას. ეხლა ქალმა აღარ გაიარა დობილთან. რაღა პირით ჩავიდოდა ან რად იტვირთებდა უბედურობის მახარობლობას?! საბედომ ეს მისთვის საშინელი ამბავი სხვისაგან გაიგო, თვის მოშურნისაგან და მთელი სიმტკიცე დასჭირდა ხასიათისა, რომ სიმწარით ალაგობრივ არ ჩაეკეცნა მტრის გასახარად.

შევიდა ოთახში, დაეცა სარეცელზე და წასქდა ცრემლი მდუღარე. ბოღმა აღრჩობდა ქალს, აცხრობდა. სახეს ბალიშში ჰმაღავდა, რომ მისი ტანჯვა და კვნესა კედლებსაც არ დაენახათ, არც გაეგონათ. უეცრად წამოხტა გამწარებული. თვალთ ცრემლი შეაშრა. სახე აეტკრიცა სასტიკად.

– მოვკლავ მოღალატეს! გავუმწარებ სიცოცხლეს, როგორც მე გამიცუდა ყოფა, ავატირებ მის მზეთუნახავს! – წარმოსთქვა შმაგმა.

და იმაზედ იწყო ფიქრი, რა საშუალებით უნდა აესრულებინა ეს თავისი განზრახვა. მოქანცა ქალი ამ სასტიკმა ფიქრმა და მისმა გონებამ ოდნავ გზა აუქცია ამ მტანჯველ განზრახვას.

– არა! უეცრად მოკვდება მუხანათი, მოისპობა და რაღას იგრძნობს მერმე? არაფერს! უნდა იტანჯოს სასტიკად, როგორც ვიტანჯები მე; მთელი თავისი ცხოვრება უნდა იტანჯოს, როგორც მე უნდა ვეწამო ბოლომდის. მოვკლავ იმ ქალს, სულს ამოვხდი ოთარის ახალ სულს და ამით თითონაც ამოეწვდება მას სული, გაუმავდება სიცოცხლე. იაროს ქვეყანაზედ გულგაპობილმა. სცადოს, რა ძნელია დაკარგვა საყვარელისა.

ქალის დაღლილი აზრი ვეღარ გაჰყვა ამ შავ განზრახვას და ამცნო მას შეუფერებლობა მისწრაფებისა:

– ის ქალი არაფერში არ არის დამნაშავე, არაფერი იცოდა შენ შესახებ; თურმე არც კი მოსდევდა და ძლივს დაითანხმა. რად უნდა დაისაჯოს უბრალო და უცოდველი? ან დარწმუნებული ხარ, რომ სამუდამოდ დასტანჯავს მუხანათს ცოლის სიკვდილი? მალე მოიმგლოვებს იმასაც მურაზნაწევი, სხვას ეტრფიალება, სულ ახალს. სჩანს ნაჩვევია ამისთანა სასახელო ჭაბუკობას. თავსაც გაიმართლებს. იტყვის: დავახლოვდი, გავიგე მისი ხასიათები, დავრწმუნდი, გადარეული იყო და მისთვის გავშორდიო; ხედავთ, გამართლდა ჩემი ფიქრიო, იტყვის. რა სინდისი დაუშლის?!

ბოლოს ფიქრმა იმ საკვირველ დასკვნამდის მიიყვანა საბედო, რომ ყველაფერში თითონვე იყო დამნაშავე და პასუხისმგებელი.

– რად მიიახლე ის ვაჟკაცი ან რის იმედით? შენი სილამაზის იმედით, დუხჭირო, თუ შენი სიმდიდრისა, გლახაკო? რით ვერ მიჰხვდი, მას საქმროდ ვერ იგულებდი? რატომ ვერ გაიგე, დაუფიქრებელო, მის საქციელს ცუდი აზრი ასულდგმულებდა?

– ცუდი აზრი?! ჰა, ჰა, ჰა! ხომ არც ერთხელ შემოგბედა მრუდი თქმა უღირსი. მარტო იყავ მასთან მთელი ღამეობით, მის ხელთ იყავ, მაგრამ არ მოგეხვია, არ შეგეხო. შენ თითონ იყავ ადელვებულები, გრძნობამთვრალი, თითონ შენ უვარდებოდი ხელში, გახსოვს? არ შემოგბედა ვნებით ჩაკონვა, თავი შეიმაგრა ადელვებულმა. ნუ ამბობ, ცუდი აზრი ედვაო გულში, ცილს ნუ სწამებ, ნურც თავს იმართლებ! – ეტყოდა ქალს მეხსიერება.

– მაშ, რად დამიახლოვდა, სიტყვა რად მომცა, რად გამაწბილა?

– უნდა წინადავე ჩაჰკვირვებოდი ამას და გაგეგო ან გეგრძნო! უნდა გაგეკვლივა ყოველივე და პირდაპირ დაგეყენებინა საკითხი: ან გაგშორებოდა უმალ, ან ჯვარი დაეწერა. რაღას უცდიდი? შენ ხარ დამნაშავე ყველაფერში, შენვე უნდა დაისაჯო: უნდა მოისპო შენის ხელით შენი თავი, – დაასკვნა სასტიკმა გონებამ.

გული ეტკინა ქალს, როცა ამ დასკვნამდის მიიყვანა ის მსჯელობამ. დაენანა თავისი ახალი ქალობა, ჯერეთ ეშხით გაუმამღარი თავისი სიცოცხლე. მოაგონდა განწირულს დედა, გაჭირებული თავისი სახლი; გაახსენდა თავისი ბეჩავი მოსწავლეებიც, რომელთ დედობრივის სურვილით შესთვისებოდა, რომელთ გულუბრყვილოდ უყვარდათ თავიანთი აზრიანი და კეთილი მასწავლებელი.

– არა, ვერ შესძლებს გულმკვდარი თავის მოსპობას: ძლიერ ეშინიან ბნელი სიკვდილისა. არც შეიძლება: მტერნი იტყვიან, ცოდვის დამალვა ველარ შეიძლებოდა და სიკვდილი არჩიო სირცხვილს გათახსირებულმა. რატომაც არ იტყვიან, რა ქალი მოედებათ ენაზედ?..

არ ჰქონდა ხსნა საბედოს შავ უბედობას, არც გზა საშველი. ძნელი იყო მასზედ მიწევნილი ბოროტება, უხეში, მძიმე, შეუშართებელი. გატეხა მან ქალი, დაჰხარა იგი მიწამდის, მთლად დაამდაბლა. უღმობელმა ცხოვრებამ ლახვარი ჰკრა გულს და ღრმად ჩაჰკვეთა იგი უკურნებლად.

### 38

ადარ გულობდა საბედოს გული, ამღვრეულიყო ტანჯულის სული, ცხოვრების უარყოფისაკენ მიხრილიყო იგი. ცხოვრება კი, გულცივი ცხოვრება, შეურყევლად მიდიოდა წინ, შეუფერხებლად, პირად ღელვათა შეუგნებლად. სასტიკია ცხოვრება და გულქვა, როცა განუწყვეტელ შრომაზედ არის დამყარებული არსებობა ყოველდღიური. მასწავლებელი რომ ღელავდა და სიკვდიდმე იგვემებოდა, სასწავლებელი გულგრილად შეჰყურებდა მის სულისკვეთებას და იმნაირადვე თხოულობდა სამსახურს, როგორც ყოველთვის. მეტსაც ითხოვდა: სამოსწავლო წელიწადი მიწურულიყო, გამოცდების ხანი დამდგარიყო და ათასი საქმე იყო დასაკვერცხ-დასამთავრებელი, რომ პირნათლად წაეყენებინა სკოლა მთავრობისა თუ საზოგადოების წინაშე. და მუშაობდა თვალცრემლიანი ქალი, შეუსვენებლად შრომობდა: რვეულებს ასწორ-ასუფთავებდა, საგნებს ამეორებინებდა, სცდილობდა შეევესო, რაც წლის ბოლოს ნაკლი შეჰმჩნევოდა; პატარა ქალების ხელსაქმეს რიგზედ აწყობდა; ბაღლების ტანისამოსს და ხელპირს ათვალიერებდა, რომ ცოტა სუფთად წარედგინა კრებულისათვის. აკეთებდა ყველა ამას ჩვეულების ძალით, შეუგნებლად. მეტი ღონე არა ჰქონდა და აკეთებდა, თორემ მისი პიროვნობა ვერავითარ მონაწილეობას ვერ იღებდა ამ წვრილან საქმეში: შორიშორს იყვნენ მისი დღიური საშრომი და მისი ფიქრები თუ გულისთქმანი! თან შიშით შეჰყურებდა ქალი მიმავალს დროს; ერთსდა ევედრებოდა ღმერთს, რომ იგი მოღალატე მანამდის მაინც არ ჩამოსულიყო, სანამ გამოცდები დამთავრდებოდნენ, რომ დაეხურნა სკოლა და გასცლოდა იქაურობას, გადაკარგულიყო.

– როგორ შეიძლება ვნახო ოთარი მის ახალ ბედნიერებასთან მკლავგაყრილი და ავიტანო?! გული გამისკდება, გონება დამიბნელდება! რამდენი შემომხედავს დამცინავის ღიმილით! ბევრი პირში მეტყვის ზრახვას, ქოქოლას მომაყრის.

– საბედო, შეიძლება ქორწილშიც დაგპატიჟონ ოთარიანთ. რატომ, კარგი ნაცნობი ხარ. ხშირი მისვლა-მოსვლა გაქვს. რად არ უნდა დაესწრო მეგობართ დღესასწაულს? რაზედ უწყრები ოთარს? საზოგადოების წინაშე არ უტვირთნია შენ შესახებ არაფერი, არც ეკლესიაში. არსად უღიარებინარ თანამეცხედრედ.

– ბეჭედი?

– ნუთუ კაცს ნება არა აქვს რამე სახსოვარი უთავაზოს კარგ ნაცნობ ქალს, თუნდ საოჯახო ნივთთაგანი?!

– გამოცდილი ყოფილა ჩემი ცოდვით სავსე: ყოველივე წინადავე უანგარიშნია და გაუთვლია. მე კი მემამიტად მივენდე მას, გულუბრყვილოდა.

– მემამიტად? გულუბრყვილოდ?! სცრუვობ! შენსავე თავის წინ სტყუი! ანგარიში უფრო გამოქმედებდა, სანამ სიყვარული უანგარო, შენც სთვლიდი ყველა შენს ნაბიჯს და ზომავდი. წაგიხდა ანგარიში და ის გიღონებს გულს. თუ ნამდვილ გყვარებოდა ის

კაცი, ამოდენა ფიქრის უნარიც აღარ შეგრჩებოდა: წყალში გადაჰვარდებოდი ზარდაცემული ან გონება აგხდებოდა შეძრწუნებულს, – შეუტია ქალმა თავის თავს.

და მთელი თავისი ზიზღი თავისსავე თავზედ გადაიტანა. შეაკრთო ქალი ამ დასკვნამ და შეაშფოთა. მაინც ერთობ ძნელი იქნებოდა საბედოსთვის ხილვა ოთარის სხავსთან ბედნიერებისა, შეუძლებელი იქნებოდა ატანა დამცირებისა, თუ განგებას გზა არ გაეხსნა სევდიანისთვის. თურმე ღმერთი მთლად არ დაივიწყებს ადამიანს, არც თუ განშორდება მას სრულიად, რაიმე კვალს უჩვენებს ყოვლად სახიერი განსაცდელში ჩავარდნილს, ოღონდ კი შესძლოს ღონემიხდილმა და განვლოს ის გზა ვიწრო, ძნელად სავალი. განგებამ საგანგებოდ მოუწყო ყოველივე სხვა საქმე უმთავრეს მისწრაფებაში დამარცხებულს: სასწავლებელთა განმგებელს მოესურვებინა იმ მხარეში სკოლების დათვალიერება; ყველგან თავის ხელითვე დაენიშნა გამოცდის დრო. საუნჯარის სკოლას ადრე შეჰხვედროდა აღნიშნული დღე. ქალი მალე განთავისუფლდა ყოველივე სასკოლო საქმისაგან და მაშინვე წავიდა, თავი გაარიდა საუნჯარას.

გასცდა საბედო საუნჯარას, მთლად გასცილდა იგი მას, მაგრამ არ გაჰშორდა მას ის სატანჯველი, რომელი ჰპოვა იქ ნაცვლად კეთილისა. ვერც ჩამოსცილებოდა მას ის დარდი: თვით მის გულში ამოზრდილიყო იგი. მის არსებაში გაედგა ფესვები, როგორც რამ იარას ღრმად წასულს, საზარელს, შესაძრწუნებელს. მთელი თავისი პირადი მისწრაფებები თუ გრძნობები ქალმა დაამყარა იმ მოსალოდნელ კავშირზედ, რომელი ისეთის სიფრთხილით და სინაზით ამოზარდა ქვიან რამ ნიადაგზედ, რომელს ის-ის იყო ნაყოფი უნდა გამოეღო საესავო, როცა უეცრად მოისთვლა. ვერ შეიძლებოდა ამის დავიწყება! ვერ შეჰკრიგებოდა აზრს, რომ ეს მისი საუკეთესო ოცნება ფუჭი გამოდგა, ჩაშლილ-ჩაშავებული, არარაობასთან შესწორებული. აჩქარებით მოჰშორდა საბედო იმ ადგილს, სადაც დაენტქა მისი იმედები. ეხლა ნანობდა, რომ იქ არ დაჰხვდა ოთარს, მისი უბედურობის მიზეზს, და მთლად არ გამოცალა გესლით სავსე ფიალა, რომელი მიუპყრა ხვედრმა ულმობელმა.

– თვალეებში ჩამეხედნა გულქვავისთვის; დავენახე მისგან განადგურებული, რომ ეგრძნო ქენჯნა სინიდისისა და შეჰმღვრეოდა დიადი სიხარული. გამოვეცალე, გზა დავულოცე, ვიზრუნე... ჰა, ჰა, ჰა! ვიზრუნე, არაფრით შეჰბლალოდა სამოთხისებური წუთები...

– რად გამოვეცალე, რა აზრით?

– მეშინოდა ჩემის უზომო ტანჯვისა და დამდაბლებისა, მისთვის გამოვეცალე! ვისწრაფიდი, თითქო ლტოლვილი ძლეული უფრო საცოდავი არ იყოს და სასაცილო, სანამ პირსპირ შემხვედრი თავის დაცემისა თუ სიკვდილისა! – სთქვა ქალმა.

და ისე მოესურვა ეხლა საუნჯარაშივე ყოფნა, სხვებთან ერთად ოთარის დახვედრა, თვით მის ქორწილშიც მისვლა, რომ შეკრთა, ხომ არ შემერყა გონება, რომ ამისთანა სურვილი მეზადებო. მაინც განაგრძობდა ქალი ამგვარ ფიქრებს:

– ერთი თვალი დამეკრა, რა მზეთუნახავი მოჰვლენია ისეთი, რომ გადარეულა მისის ხილვით, რა ქალთა მზე აღმობრწყინებულა მისთვის იმ დასანგრევ ქალაქში, რომ სხვა ყველა მასთან აღარც რად მოსჩანს, არც თუ რადმე ჰღირს. ვინ იცის, ის ჩემი თეკლე როგორ ეხვევა თავის ახალ რძალს: ალბათ იმასაც უხარიან, რომ არ შევედი მათ ოჯახში და მივეფარე მათ თვალთაგან; ყალბი იქნება ისიც, როგორც მისი ძმა. მათი დედა ხომ ცას ეწეოდა სიხარულით: ვატყობდი, არ ვუნდოდი, რადგან თავისი შვილი ხელმწიფის სადარ კაცად მიაჩნდა. გაიხარონ არგასახარებლებმა! – სთქვა ქალმა და უფრო დაენანა, რომ შორს იყო ეხლა.

– ვაჰ, რომ ვერ შემიძლიან მედგრად დავეცე თავს და ჩავუმწარო ტკბილი წუთები, როგორც მე ჩამიშავებნელეს წუთისოფელი! – ნანობდა უღონოქმნილი.

დრო კი მიდიოდა და გულცივად მიაქანებდა ახალ-ახალ გარემოებებს არსებობისას, ფერად-ფერად პირობებს ცხოვრებისას. საბედოს საუნჯარაში დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. გარემოებებმაც ხელი შეუწყეს: მაღლიერმა მთავრობამ წინადადება მისცა გადასულიყო უკეთეს ადგილას, რომ იქაც ისე შნოიანად მოეწყო სასწავლებელი. ქალს საშრომი ბევრი აღმოუჩნდა ახალ ადგილას. საქმემ თანდათან ჩაიხვივა. ნელ-ნელა განელდა სიმკაცრე განცდილის მარცხისა, მოუცვდა ფხა მკვეთრ ტანჯვას, მიყუჩდა სიმწარე ტკივილებისა; მეხსიერებამ ბურუსი გადააფარა იმ საშინელ სურათებს, რომლებიც წინად ცოცხლად ედგნენ თვალწინ. ყველა ამან შეაძლებინა ქალს იმდენი სიმშვიდე მოეპოვებინა, რომ განეგრძო ყოველდღიური შრომა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი სახე იყო სიმშვიდისა, აჩრდილი სიმწარის დაყუჩებისა.

არ გამთელდა გული ღრმად დალახვრული; მხოლოდ პირი შეიკრა ნაკვეთმა ადგილმა; არ შეხორცდა, არ ამოივსო, არც გაერთიანდა უკვალოდ. გარედან თეთრი რამ ზოლი გადასდევდა დაკოდილ ადგილს, ხოლო შიგნით ისევ დარჩომილიყო ღია ნაბასრი. და იგი ნაკვეთი შეიქმნა გულისტკივილთა უშრეტ აუზად, სევდის საგუბრად სამარადისოდ. ეს საგუბარი მძიმე სევდისა ხან ივსებოდა, ლიცლიცდებოდა და ხან იკლებდა, თითქო შრებოდა; კაემანთ დენაც ოდნავ წყდებოდა.

### 39

ეხლა იმაშიც იყო საბედო დარწმუნებული, რომ მისი უბედურება ჩალადაც არ მიაჩნდათ ოთარიანთ.

– თითონ ოთარზედ ლაპარაკიც არა ღირს, პირის გამტეხ და მუხთალ კაცზედ; მის დედას ალბათ გული გაეღო სიხარულით, როცა მე ავცდი მას რძლად; თეკლემაც ნამდვილ იცოდა თავის ძმის ღალატი, მაინც მიაღერსებდა პირსაფერად, მეგობრად მეკიდებოდა, – ფიქრობდა ქალი.

არ იყო სამართლიანი ეს მისი მსჯელობა, არც თუ სინამდვილის შესაფერი. ოთარის თვალთ წინ მოულოდნელად გამოკრთა ყვავილი მშვენებისა, შეუმართებელმა ტრფიალმა ანდამატისებური ძალით მიიზიდა და ანაზდად მისტაცა ცნობა. სააზრებლად აღარ სცალოდა, თავი მისი ვარდს ემონა ახალს თავის მფლობელს და გულწრფელად დაავიწყდა ყოველივე, რაც თავს არ ევლებოდა მის მზეთა მზეს. ისე მიეფარა მის გონების თვალთაგან საბედო, როგორც უბრალო სახე სიზმრად მოლანდებული; ისე განქრა ქალის პიროვნობა ოთარის მეხსიერებიდან, როგორც აჩრდილი სხივებდაკრული; აღარ არსებობდა მისთვის ქალი საბედო, მისგან რჩეული, დაბელგილი, ხელდადებული. ოთარი აღარც იყო თავის ნების მექონი პიროვნობა, თავის ნათქვამის თუ დანაპირის მასრულელებელი: ნებისყოფა მოესპო მისთვის აღტყინებულ ვნებას. აღარ არსებობდა ეხლა მისთვის მთელ დუნიაზედ აღარც ვინ და აღარც რა, გარეშე იმ ახალის ძალისა, რომელი აღიმართა მის წინ, როგორც თვალმომჭრელი სვეტი ნათელისა. აწ საუკუნოდ იყო ოთარი მიჯაჭვული ამ ნათელთა სვეტზედ, როგორც რამ სამფსონი ახალი თმის აკვეციტ ძალმილეული. ოთარი უნებლიეთ ბრუნავდა ეხლა თავის ბედის ვარსკვლავის გარემო და სხვა გზით მისი მიმართვა შეეძლო მხოლოდ რაიმე გარეშე ძალას; ესეთი ძალა არ უვიოდა საბედოს: არც კანონი, არც მომრეობა, არც ხალხის ზრახვა. არც ოთარის დედა იყო ქალის წინაშე დამნაშავე. დიასახლისი არ იყო მთლად კმაყოფილი, როცა მისი შვილი



ღარიბ-ღატაკ საბედოს ირჩევდა ცოლად, რადგან მას რძლად უნდოდა ქალი მდიდარი, მშვენიერი, თავმომწონე ოჯახიდან გამოყვანილი, მაგრამ არც წინააღმდეგი იყო მაშინ. არც თუ ეხლა იყო ის აღტაცებული, როცა მის შვილს მოჰყვანდა ქალი, ამბობდნენ, ლამაზი, მაინც დაკნინებული ოჯახიდან. სიხარულს ეხლა ისიც სჩრდილავდა, რომ ამ ქალისთვის ოთარს დასჭირდა მიცემული სიტყვის გატეხა, საწყალი საბედოს იმედების ჩაშლა. დედა ვერ თანაუგრძნობდა შვილის შემღვრეულ ქცევას, არც უნდოდა მისი ოთარი საკილაგ-სამრახისი გამხდარიყო, საგმოზ-საწყევი. თეკლეს შესახებ მთლად სცდებოდა საბედო: იმას ეწყინა, როცა გაიგო, მისი ძმა სხვას გამოჰბმობდა კაბის კალთაზე და დაევიწყნა თავისი აღთქმა. საბედო მას დასავით უყვარდა და თუ ერიდებოდა ბოლოს დროს, მხოლოდ მისთვის, რომ სცხვენოდა თავის ძმის მაგივრად, ქალის ტანჯვა მასაც აღონებდა და აწუხებდა. სცდებოდა საბედო, ჭეშმარიტებას ველარ არჩევდა გაბოროტებული, მომეტებულ ავსა ჰხედავდა ოთარიანთ მხრივ, სანამ იყო იქ მის შესახებ. ისიც ამაოდ ეგონა საბედოს, ტოლ-სწორნი იშვებდნენ და იხარებდნენ მის მარცხზე. ისინი ეჯიბრებოდნენ მას, მათ ავ ფიქრებზედ აყენებდა შური და დამდაბლებული თავმოყვარეობა, თორემ მერმე, როცა გაიგეს, როგორ ჩაეშალა საბედოს ოცნებები, არც თუ ისე გაეხარდათ, რადგან კაცმა მაინც მათგანი არავინ ამოირჩია, სხვასა ჰსცა თაყვანი. ცოტა ხნობით მიიპყრო მათი ცნობისმოყვარეობა იმან, რას იზამდა ქალი ან როგორ შეჰხვდებოდა სამძიმო ამბავს. შემდეგ დაივიწყეს ეს ამბავი და როცა საბედო მიეფარა მათ თვალთაგან, მისი სახეც დაცილების წყალს გაატანეს.

მიჰქროდა ცხოვრება დაუდგრომელი, მიაქანებდა ტალღებს სახემრავალი, ფერად-ფერად საგნებსა ჰშლიდა გულმდიდარი, ჰფურჩქვნიდა ახალ-ახალ მოვლენებს მარადმოქმედი, ხოლო ძველი ფიქრები თუ ოცნებები, გარდასრული გრძნობები თუ სურვილები სჭკნებოდნენ თანისთანობით, ჰშორდებოდნენ თვალთა ხედვას, ილეოდნენ, მქრალდებოდნენ, არარაობის უფსკრულში ჩაინთქმებოდნენ.

ოთარის მღელვარე ბედნიერებაც ოდნავ დაცხრა და დამშვიდდა. ეხლა, როდესაც სავსებით ეწია ის თავის ნატვრას და გული საგულეშივე იგულა, გამოფხიზლდა ეშხით დამთვრალი. გარემო არსებული ქვეყნიერება ისევ აღმოჩნდა მის თვალთ წინ; თანდათან კვლავ დაისახნენ მისთვის ყოველდღიური ცხოვრების საგნები თუ საზრუნველი საქმეები და იმანაც ყურადღება მიაქცია მათ. ცხოვრებამ ისევ ჩაჰკიდა მას მძლავრი ხელი და აამოქმედა.

გაიხსენა ოთარმა ქალიც საბედო. მოაგონდა მას ყოველივე თავისი თქმა თუ მოქმედება მის შესახებ. წარმოიდგინა, რა ტანჯვას გამოივლიდა ქალი მისი მიზეზით და არ უამა, რომ უნებლიეთ ვნება მოუტანა სხვას, ისეც ტვირთმძიმეს. ზრუნვამ მაინც ვერ დაისადგურა ვაჟკაცის მოღიმარე გულში. იმით ინუგეშა თავი, ყველაფერი თავისთავადვე მარჯვედ მოწყობილიყო: ქალი გასცლოდა იქაურ არემარეს, უკეთეს გარემოებაში ჩავარდნილიყო; უფრო იმედიანად წარმართულიყო მისი ყოდა-ცხოვრება, სანამ საუნჯარაში.

– ალბათ ერთობ სწუხდა მაშინ საბედო. იქნება ეხლაც ძალიან ჯავრობს, მაგრამ ჰკვიანია და მიხვდებოდა, რომ მისთვისაც კარგად მოხდა ეს საქმე: არა მყვარებია, გული თურმე უარჰყოფდა მას და როგორი მეუღლეობა გვექნებოდა ჩვენ? მაშინ ცხადად ვერა ვხედავდი ამას, რადგან გრძნობა სდუმდა, ხოლო გონება ამბობდა ქალის სასარგებლოდ. შეუღლების შემდეგ ცხადი შეიქნებოდა ეს და გაუგემურდებოდა ჩვენი ცხოვრება; ვერ შევძლებდით ისეთ ოჯახის შექმნას, შიგ სიყვარული ყოფილიყო გამეფებული.

– კიდევ არაფერი, თუ მას მაინც ჰქონოდა ნამდვილი სიყვარული: შეიძლებოდა ამ ძლიერ გრძნობას, თუნდაც ცალმხრივს, გაეწია ორმაგი ტრფობის ოდნობა, დაჰნაცვლებოდა მას, მაგრამ ეტყობა არც ისა ყოფილა მიჯნური წრფელი: თუ ნამდვილ ვყვარებოდი, ვერ გაუძლებდა ტრფობის დამსხვრევას. განა მე შევძლებდი გზიდან ჩამოვმდგარიყავ და გამეგრძო ჩვეულებრივი ცხოვრება, თუ დამეკარგნა ჩემი გულნაზი? ვერასოდეს!

ჭეშმარიტს ამბობდა ოთარი, თუმცა სჯობდა წინადვე მოეაზრნა ეს, რომ არ შეჰხებოდა სხვას სავნებლად. საბედოსაც გაგიჟებით არ შეჰყვარებოდა ოთარი, მხოლოდ მოსწონდა იგი, ძალიან ხელსაყრელად მიაჩნდა. საბედოს სურვილებს საფუძვლად ედვა უზრუნველი მომავლის შექმნა და დაცხრომა მდებარულ მისწრაფებათა. მადლობელი იქნებოდა ქმრის კეთილ ცხოვრებაში მყოფი, მაგრამ რა აქვთ საერთო მადლობას, კმაყოფილებას თუ კეთილ სურვილს ტრფობასთან? სრულებით არაფერი! ტრფობა სდგას მარტო, ვით მწვერვალი ცამდის აწვდილი; ვერცერთი გრძნობა ვერ ეტოლოს მას, ვერც დაენაცვლოს.

#### 40

ყველაფერი მარჯვედ მოეწყო ოთარისთვის, მშვენივრად, უხინჯოდ. მის სიამის ყვავილს მაინც ემჩნეოდა პაწაწინა რამ ლაქა, თითქო ნამზნევი; ლაჟვარდ ცაზედ მისის არსებობისა ნისლის ნაგლეჯი დარჩენილიყო მიმქრალეებული. მხოლოდ ოთარი არჩევდა ამ ჯანდის ფთილას, მისი შეყვარებული გული უზომოდ მგრძნობიარე, სიყვარულის შურით გაჟღენთილი მისი არსება; ხინჯად მოსდებოდა ეს მის უჩრდილო სიხარულს, უნებლიეთ იპყრობდა მის ყურადღებას. ეფიქრებოდა, ვაი თუ ის უჩინი ქულა ღრუბლისა გაზრდილიყო, შენივთებულიყო, დაეფარა მისი ცა ნათელმოსილი, ნისლით მოეცვა და ჩაეჩრდილა, ჩაებნელებინა, აეცრემლებინა, გულსაკლავად ეტირებინა.

– ჩემია საუკუნოდ ვარდი ფურჩქვნილი, ამაო არის ყოველივე შიში და მომავალ ხიფათთა განჭკრეტა. აღარც საჭიროა წარსულ საფრთხეთა მოგონება და აწმყოს სიამის მით დაჩრდილვა, – დაასკვნა ოთარმა.

და გაელიმა, როცა გაახსენდა, როგორ სახტად დარჩა ის რაინდი უებრო, თეთრ ტაიჭზედ მჯდომი რომ მოადგა მზეთუნახავის ბინას. მაშინ ანდუყაფარს კარებ წინ ეტლი დაჰხვდა განმზადებული, ხოლო კიბის წინ სიამით აღტაცებული ოთარი, რომელს ხელი გაეწოდა ქალთამზისთვის. წუთს მიჰხვდა იგი ყოველსავე. გაბრუნდა ისარცემული.

– ტყუილადლა გარჯილიყო რაინდი წუნდაუდები! – წარმოსთქვა ბედნიერმა.

და ულვაშზედ ხელი გადაისვა თავის მოქმედებით ამაყმა, მაგრამ ეკლის წვერი მაინც იგრძნო გულს დასობილი, როცა მოაგონდა, რა მსწრაფლ ეცვალა ფერი მის ცოლს, მიუმქრალდა თვალთა იერი იმ ჭაბუკის მოულოდნელ დანახვაზედ. ოქროში ჩასვა ვდა ოთარი იმ გულთმისანს, რომელი ამცნობდა მას, რა იგრძნო ქალმა იმ წუთს ან რა აზრმა გადაურბინა სპეტაკ შუბლზედა.

ბედი ჰშველოდა ოთარს, მიტომ აუსრულდა საწადელი. მხოლოდ მისმა უნებლიეთმა აჩქარებამ, რომლისათვის ისე ჰგმობდა თავის თავს, გამოიღო მისთვის ნაყოფი კეთილი. თუ გონებისაგან მოფიქრებულ გეგმაზედ ევლო ნელ-ნელა, ასცდებოდა თავის იღბალს და დაიღუპებოდა: თეთრ ტაიჭიანი წარსტაცებდა მას საუნჯეს ფასდაუდებელს.

ანდუყაფარ არ იყო ბუნებით გულქვა, არც მხოლოდ დიდებისა და სიმდიდრის მიმდევარი; მარტო ამ თვალსაზრისით არ აფასებდა ცხოვრებას; ვერ შეხედავდა მხოლოდ ამ მხრივ ცოლქმრობას, სიყვარულს სამუდამოს. თუ მაინც ცდილობდა შეეფასებინა სიცოცხლე ანგარიშის ან წუთიერი სიამის თვალთ და ისწრაფოდა ამის შესაფერად მოეწყო თავისი მომავალი, ეს უფრო იმიტომ, აღზრდა ჰქონდა დუხჭირად მიმართული.

ანდუყაფარის დედ-მამა, მახლობელი, ოჯახის მიმდევარ-მისადევარნი იმდენად აფასებდნენ ყოველსავე მოვლენას ცხოვრებაში, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა განდიდებას და ბატონკაცურ ყოფას. იქ მეუღლობაც ამ ადლით იზომებოდა. ესეთ აზრებს თუ შეხედულებებს აწვდიდნენ მოზარდებს. ისინიც ითვისებდნენ ამ თვალსაზრისს. ნებივრად აღზრდილთ ეშინოდათ დაქვევითებულ, ზრუნვით სავსე არსებობისა, როცა ადამიანს შრომა სჭირია, დამკლავებული მუშაობა. ძრწოდნენ ამგვარ ყოფის წინაშე; ძლიერ სცდილობდნენ ასცდენოდნენ მას, უთუოდ აეხვივნათ მისთვის გზა, თუნდაც პირადი გრძნობა მიეტანათ მსხვერპლად კერპისთვის დიდებისა თუ ბატონობისა. ანდუყაფარს შეთვისებული ჰქონდა ესეთი შეხედულება, გამჯდარი ჰქონდა ეს მიმართულება და სწამდა, სხვა ყოველი გზა უღირსი იყო მისთვის, შეუწყნარებელი. ვერც კი ჰხედავდა ფუფუნებით თვალეზაბამული სხვა გზას ეკლიანს, მაგრამ ტკბილს. როცა ადამიანი თვითონ ქმნის ცხოვრებას, თავისი ხელით სჭედავს ბედს, როდესაც ის ახლავს თავის თავს, თავის მარჯვენით იკვლევს სავალს და არამც თუ არა სცდილობს სხვაზე დაამყაროს სასოება: ისწავის, თითონ შეიქმნას სხვის იმედი თუ მეშველი ცხოვრების ზღვაზე მარად მღელვარზე.

მოუხდა ანდუყაფარს საქმე შეუსაბამო: მშვენიერ ქალწულს, განათლებულს, შემკულს ყოველგვარი სიკეთით, ფუქსავატად შეჰხვდა და მხოლოდ მისთვის, რომ არ იყო ის არც მდიდარი, არც განდიდებულ ოჯახიდან. უღირსი განზრახვაც დაებადა სპეტაკისადმი, შეუძლებელ-შეუფერებელი! როცა ნახა, შესაძლო არ იყო გაეხადნა თავის ვნების საგნად, თავი მიანება, პირი იბრუნა მისგან. უზრდელადაც მოეპყრო სტუმრობაში: თითქო არ ინება თავი გაეყადრებინა მისთვის განდიდებულთა კრებულში. მაგრამ ყველა ეს მოქმედება არ იყო ანდუყაფარისთვის ბუნებრივი, არც შესაფერი მისი სულის თვისებისა; ის შედეგი იყო მხოლოდ აღზრდისა და გარეგნულად შეთვისებულ მიმართულებისა. გულის სიღრმეში ქალს თურმე ღირსეულად აფასებდა ის და როცა შენიშნა, სხვა ვაჟკაცი სცდილობდა ქალწულთან დაახლოვებას, მიჰხვდა თავის შეცდომას, გული აემღვრა, ტრფობის შურმა აიტანა და, თუ დიასახლისის ქალი არა ჰყოლიყო იმ ხანს გაარშიყებული, ხოლო თავისი თავი მის რაინდად საჯაროდ დასახული, გაჰმორდებოდა მას, მიიჭრებოდა გულნაზთან, რომ ხელიდან გამოეტაცნა სხვისთვის იგი ტურფა. შემდეგში მოიწყინა ჰაბუკმა დიდკაცის ქალი: მისი ხასი ქცევა, მხოლოდ გარეგნობაზე დადაგებული მისწრაფება, უშინაარსო, თითქო მთლად განუვითარებელი გონება ვერ იზიდავდა მას, ხოლო ტლანქი აგებულობა და ხორციანი სახე უგრილებდა ვაჟკაცურ მისწრაფებას. ჩააკვირდა ანდუყაფარ თავის მოქმედებას, ქალისადმი ურთიერთობას და არ უამა თავისი ქცევა, არც მოეწონა თავისი განზრახვა.

– ძალად ვეარშიყებოდი ქალს, ყალბ გრძნობებს ვუფენდი ფერხთ ქვეშ. არ მიხარიან და თავს ვეველები. ბოლოს იქნება ჯვარიც დავიწერო და სამუდამოდ შევუერთდე მას. ამ იმედზედა სდგას ქალი. ესე უნდა მოვიქცე მხოლოდ მისთვის, რომ მეტს სიმდიდრეს თუ დიდებას შევუერთდე. კარგია ქონებაც, გავლენაც, აუცილებელია ყველა ეს, მაგრამ განა უსათუოდ საჭიროა ამისთვის ეწინააღმდეგო შენს გრძნობას და... და გაჰყიდო თავი? – გაიფიქრა ვაჟმა.

და შეკრთა, შეერყა თავმოყვარეობა.

– იმათ ეძიონ ცოლის შემწეობით დიდება და შეძლება, ვისაც არა აქვს უნარი საკუთარი! რა გამჭირებია ისეთი, გრძნობა გავყიდო ოქროს ბჭყვრიალზედ ან ღირსების ლამაზ ლაპლაპზედ?! კარგი, თუ ის ქალი, რომელზედ გული შემვივარდება, მექონი იქნება ქვეყნიური კეთილისა და მოზიარე დიდებისა. რა სჯობის ამას?! ჩემთვისაც ხელსაყრელი იქნება ეს გარემოება, მისთვისაც; ჩემიანებსაც დააკმაყოფილებს. თუ არა, საკუთარის მარჯვენით გავიკვლევ გზას დიდებისა და სიმდიდრისაკენ. ბევრი ბრძოლა დამჭირდება? რა უშავს! მაშ რაღა მხედარი ვარ და რაინდი, თუ ბრძოლისა შემეშინდება?! – სთქვა ჭაბუკმა.

და წარმოუდგა გულნაზი, მისგან უხეშად დამდაბლებული და უარყოფილი. გამდგარა დაჩაგრული კუთხეში; მაინცა ბრწყინავს, როგორც ვარსკვლავი ცისკიდურზედ მარტოებული. იგრძნო, როგორ შეუფერებლად მოექცა მაშინ ქალს ისე, როგორც სრულებით არ შეკშვენის რაინდ ჭაბუკს, და შერცხვა თავისი თავისა, გაწბილდა. მერმე ვის გულისთვის? ისეთი ქალის საამებლად, რომელს მხოლოდ ერთი ღირსება ჰქონდა: დიდებულ ოჯახს ეკუთვნოდა და შეემლო ფარჩაში შეეხვივნა თავისი ტლანქად ნაგები ტანი.

– თუ დაკვირვების უნარი ჰქონდა ლიუბას და თავმოყვარეობა, თითონ უნდა შევძაგებოდი მისი მთარშიყე: უნდა შეეგნო, მისი პიროვნებით კი არ ვიყავ გატაცებული, იმ ნივთიერი კეთილით ვიყავ თვალეზაბმული, რომელი გარს ერტყა მას და აბრწყინებდა, – სთქვა ჭაბუკმა.

და განაგრძო:

– ბრმა უნდა ყოფილიყო ვაჟკაცი, ვერ შეეფასებინა გულნაზი, რომელი თვისით ბრწყინავდა, როგორც თვალი პატიოსანი, ვერ დაენახა იგი საუნჯე და გაჰყოლოდა სხვას, რომელი მხოლოდ ბჭყვრიალა ქერქში იჯდა, ხელოვნურად ჩამოსხმულში, ხოლო თითონ ქვა იყო უბრალო, უშნოდ ნათალი. სწორედ ბრმა ვიყავი, განდიდების სურვილით თვალეზაბდავსილი! – დაასკვნა ჭაბუკმა

და ცხადად წარმოიდგინა ყოველივე გარემოება, ჩააკვირდა თავის გულისთქმას, განცვიფრდა: მის სულში მკაფიოდ აღბეჭდილიყო გულნაზის სახე, როგორც ხატება იმ ერთის მზისა, რომელი თურმე მხოლოდ იყო მის სათაყვანო. ჩამოეცალა ვაჟკაცს ბინდი თვალთაგან, პირისპირ დაინახა თავისი ნამდვილი გრძნობა და შეკრთა, შეშინდა.

– წავალ მასთან! ყველაფერს მოვიანანიებ მის წინაშე, გულწრფელად ვეტყვი! მაგრამ ვაითუ ვედარ გაათბოს აღსარებამ იმ ტურფის გული, ვერც დააყენოს შენდობის გზაზედ. იქნება გვიანდა არის ჩემის სურვილის ჩემგან შეგნება, – სთქვა აღელვებულმა.

დაასკვნა, ეხლავე ჰხლებოდა ქალწულს, წრფელად შეენანა თავისი უხამსი ქცევა, ეთხოვნა, შეენდო მისთვის და ისევ მიეღო, თუნდ როგორც მხოლოდ მისი ღრმად პატივისმცემელი ნაცნობი. მეტსა ჰგრძნობდა აწ ჭაბუკი: ჰხედავდა, გულნაზი ერთობ მეტი იყო აწ მისთვის, სანამ ნაცნობი, უფრო ძვირფასი იყო მისთვის, შეუდარებელი. მაშ რაღა ჰღელავდა ჭაბუკი მის მოგონებაზედ ესე ძლიერ, რად ისწრაფიდა მის ნახვას ან რად უღიმოდა გული ესეთის სიამით იმის ნახვის მოლოდინში?!

როდესაც წაესწრაფა ანდუყაფარ ქალწულის სავანისაკენ, ხოლო მის კარს ეტლი დაჰხვდა შორს სამგზავროდ გამზადებული, ეგონა, ვინმე მდიდარ ნათესავს გაუწვევიაო ქალი სოფლად; მაგრამ როცა ნახა ნეტარებით აღტაცებული ვაჟკაცი, კიბის თავს გადმომდგარ ქალის წინაშე, მიჰხვდა ყოველსავე და მწარედ დაიკვნესა

მისმა გულმა; ჭაბუკისთვის სავსებით ცხად იქმნა, რა საუნჯე დაჰკარგა მან საუკუნოდ. მსწრაფლ გატრიალდა ლახვარსობილი.

დიდ მოძრაობაში იყო დაბა საუნჯარა. ყოველთვის მდორე და შეუმჩნეველად მიმდინარე ნაკადი მისის ცხოვრებისა ამღვრეულ-ადიდებულყო, ახმაურებულყო. შხეფების ისროდა აღქაფებული. იქაურ შეგნებულ ხალხს თავი მოეყარა წიგნთსაცავში, აევსო დარბაზი, ერთადერთ შესაკრებელი წიგნთსაცავში, აევსო დარბაზი, ერთადერთი შესაკრებელი ადგილი, სადაც სწარმოებდა საზოგადო საქმეებზედ მსჯელობა. ამგვარ საქმეებს არ განაგებდა ადგილობრივი მთავრობა. სრულებით ყურს არ უგდებდა; არც უამებოდა იგი; ეჩოთირებოდა მისი არსებობა. დარბაზში რომ ვეღარ დაეტია კრებული, გარედ გამოიფინა და აღელვებული ბრუნავდა ეზოში, საუბრობდა მაღალი ხმით, კამათობდა შემფოთებული. კრება მოადრევობით იყო დანიშნული. საჩქარო საქმეზედ უნდა გამოეტანათ განაჩენი და გაეზიარებინათ თავისი აზრი თბილისისთვის, რომ ერთს განსაზღვრულ გეგმაზედ წარემართათ საერთო საზრუნე, რომელმაც აღელვება გამოიწვია საუნჯარაშიც, როგორც სხვა ყველა ქართულ ქალაქებში თუ დაბა-სოფლებში. ლამპრები ააშუქეს.

– ნეტა ვიღას ვუცდით! ვისაც ესმოდა თავისი მოვალეობა და გული სტკივოდა, აქ არის! ვისაც არ უნდა, დეე ნუ მოვა: სახვეწარი არავისთან არა გვაქვს რა! – დაიძახა გულქანანთ კეკუცამ.

და გადიწია კაბის სახელო, რომ მარჯვედ ეჩინა ხელნასავით მკლავი.

– მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! როგორ შეიძლება ამდენი ხალხი ორ-სამ კაცს ელოდდეს. აცა, როდის ინებებენ მობრძანებასაო, – დასძინა ეფრემამ.

და თანაგრძნობით გადახედა კეკუცას, რომლის მკრივ აგებულობას და ომახიან ხასიათს ეშხზედ მოჰყვანდა იგი, საბრძოლველად აღელვებდა.

– სჯობდა, ცოტა მოგვეცადნა. ჯერ არა სჩანან არც თევდორე და არც ოთარი. საჭიროა ისინიც აქ იყვნენ, გამოსთქვან თავიანთი აზრი.

– ჰაი, ჰაი, კარგი იქნებოდა! ვალდებულნიც არიან მოვიდნენ. რომ არსადა სჩანან! პირველნი უნდა მოსულიყვნენ, მათი თაოსნობით უნდა კეთდებოდეს ამგვარი საქმე; ისინი კი მოწვევულნიც არ მოდიან, სრულებით არა ზრუნავენ საზოგადოებაზედ.

– დავიწყოთ! დავიწყოთ!

იწყეს მსჯელობა, სთქვეს სათქმელი, იკამათეს, დაასკვნეს; დაეხმარნენ ხალხის გასაჭირს. ოთარი არსადა სჩანდა, ის თითქო განზედ გასდგომოდა ხალხის სიმძიმის, აღარ თავობდა ჭირისუფლობას.

ვალდებული კი იყო ოთარი ეზრუნა იმ საღვაწეზე, რომელი შეეხებოდა ჩაგრული ერის ყოფა-ცხოვრებას. როგორც ხელისუფალს, მას პირდაპირ ვერვინ მოსთხოვდა ამისთანა გასჯას: ის საშრომი სრულებითაც არ მოჰყოლოდა მის სამსახურის ფარგალში. აუცილებელი კი იყო ერის არსებობისთვის. თვითმოქმედება შეზღუდვილ ხალხს, თვითუფლებათაგან გამრცვილს, მრავალი ისეთი საზრუნველი გასჩენოდა, რომელთ სრულებით არა ჰხედავდნენ მმართველნი; მათ არ შეეძლოთ განეცადათ იგი საზრუნველი, არც ჰსურდათ დაენახათ. ესეთი საშრომი ზნეობრივ ვალად ედვა ერის შეგნებულ შვილებს. სამძიმო იყო ისე ტვირთმძიმეთათვის ეს ღვაწლი, მაგრამ გზააუქცევი და აუცილებელი. ვინ უნდა მოჰვლენოდა ხალხს ჭირისუფლად, ვის უნდა ეტვირთნა ესეთი სამოქმედო, თუ არ ხალხის შეგნებულ

შვილებს?! ან რომელ მათგანს ჰქონდა უფლება გარეწრად მოჰკიდებოდა ამისთანა საზრუნველს?! ეს ღალატი იქნებოდა ერისადმი!

– როგორა ჰფიქრობ, განა თითონ ოთარს არ ესმის ყოველივე ან ცხადად არა აქვს დასახული ამისთანა მოქმედების საჭიროება? არ ეპატიება! განათლებაც, გავლენაც, ნივთიერი საშუალებაც შესწევს მას მოთავებოდეს ამისთანა დროს, ამგვარ ადგილას.

– მშვენივრად ესმის ყველაფერი, კარგადაც არის ამ საქმისათვის მომზადებული. კიდევ მუშაობდა ამ გზაზედ. ბოლოს დროს გაგრილდა, გული აიცრუვა სახალხო საქმეებზედ.

– საზოგადოებასაც ზურგი შეაქცია, თავი გაითავისწინა; ოჯახისა და სამსახურის მეტი აღარა ახსოვს რა.

– რომ ყველაფერი ესმის და ბევრი შეუძლიან, ეს ჩვენც ვიცით. გახსოვთ, შარშან ზამთარში და გაზაფხულზედ რა მარჯვედ აწარმოებდა ჩვენ საქმეებს, ფრთები შეასხა ყველა დაწყებილებას, მედგრად შეებრძოლა დაბრკოლებებს, მაგრამ...

– ეჰ, მართალი უთქვამთ, ქორწინებული ზრუნავსო მასზედ, ვითა სათნო-ეყოს ცოლსა თვისსა. ოთარი გაება ცოლის სარტყელის ფოჩებში და ველარ გამორჩეულა, აღარც ისწრაფის გამოერკვიოს.

მართალს ამბობდა ლეგა! რახან ერთხელ გაება ოთარი და გაეხვივა გულნაზის სიტურფისაგან ნასროლ ბადეში, არ იქნა, ველარ გამოერკვა იმდენად მაინც, რომ ისევ ფეხზედ დამდგარიყო, თავისუფლად განეგრძო გზა ცხოვრებისა. ეწია ოთარი თავის ნატვრას, გამოსტაცა განგებას ყისმათი სანუკვარი; რაღა ჰქონდა სვიანს სანდომ-საძებარი, თუ არა ის, რომ კმაყოფილება გაევრცელებინა თავის გარშემო, როგორც სუნნელება გაზაფხულის ყვავილისა?! პირადი ცხოვრება რომ სავსებით აღვსოდა მას სანეტარო კეთილით, რად არ მიმოაპწევდა სიხარულს სავსებისაგან თვისის სიკეთისა, რომ მოყვასიც, სხვა არსიც, მთელი მის გარშემო მყოფი ბუნებაც თანაზიარი შექმნილიყო მისის შვებისა, კეთილდღეობისა, ლამაზ ყოფისა?! მაშინ ხომ გაორკეცდებოდა მისი სიხარული, სხვის კეთილითაც გამთბარ-გამუქებული მისი სიამე. შესაძლებლადაც მოსჩანდა აეციაგებინა ოთარს თავის კერაზედაც, თავის გარშემოც ეს მოღიმარე სიამე, როგორც საოცნებო ფრთა ვარდისფერის ალიონისა.

თითონაცა ჰხედავდა, ყველაფერი ესე უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში; ამგვარ მოქმედებაში უნდა ცხადქმნილიყო აღსრულება მისის ნატვრისა, მაგრამ საკვირველს სიმნელეს წაადგა თავს თავისსავე კერაზედ. ეს სიმნელე სნთქამდა ოთარის ყველა კეთილ დაწყებილებას, ძალუმად დაეხარნა მას თავისკენ მისი ნებისყოფა, ზედ ილევდა მთელ მის მოქმედების უნარს. კერძო იყო ეს სიმნელე თუ დაბრკოლება, ერთობ პირადი; თითონ მოქმედთათვის დიადი, თითქმის შეუმართებელი; ხოლო სხვისთვის, გარეშეთათვის, მქრალი აჩრდილის მაგვარი, შეუმჩნეველი, უფრო ლანდად მოჩვენებული, სანამ ხელშესახებად არსებული და ნივთიერი.

პირთამდის იყო იგი სავსე სიხარულით, სულიერ თუ ხელშესახებ სიმხიარულით. დამტკვარიყო მისი გულიც, აზროვნებაც, მისწრაფებაც; თვით სხეულიც სავსებით მისწდომოდა კმაყოფილებას. მხოლოდ იმასღა ნატრობდა, დროთა მსვლელობას თუ გარემობათა დაუდგრომლობას არ დაერხია სიუხვე მისის ბედნიერებისა, არ დაეხარნა სავსე თასი მისის ნეტარებისა, ცვარიც არ მოეკლო იმისთვისა. შიში თვისის კაშკაშა ედემის თუნდ ოდნავ ჩაშავებისა ავსებდა მას ზრუნვით, იპყრობდა სრულ მის ყურადღებას, ზედ იხმარებდა მთელს უნარს მისის მოქმედებისას.

მაგრამ ახსოვდა: ეს ნეტარება სამუდამო იქნებოდა მისთვის ამქვეყნად ან საუკუნო იმქვეყნად მხოლოდ მაშინ, თუ ქალიც ისეთივე აღტაცებული მისწრაფებით განიმსჭვალებოდა, როგორც თითონ. მაშინ ორი ძლიერი სურვილი შეადუღებდა მათ, შეჰქმნიდა ერთხორც და ერთსულ. ჯერ ვერ იყო ესეთი უნაკლო ერთობა მათი! ამასა გრძნობდა ოთარი.

ვაჟკაცი ელდის სისწრაფით განიმსჭვალა გულნაზისადმი მისწრაფებით; თვით ქალწულმა ჯერ ვერც კი შენიშნა ის. გარემოებებმა ხელი შეუწყვეს კაცის სურვილს, ქალი დაჰყვა მის ნებას თითქმის შეუგნებლად, მძიმე ნაბიჯის გაუზომელ-აუწონელად; ქალწულის მოქმედი ნება ვერ იყო ჯერ მტკიცედ ნაჭედი, რომ შეურყევლად წარმართულიყო საკუთარ სურვილთა განსახორციელებლად; არც მისი აზროვნება იყო ჯერ დამჯდარი და მკვეთრი, რომ უცდომლად აეზომ-აეწონა ყოველივე განზრახვა თუ გულისთქმა; მისი აღზრდა და ოცნებათა მოტრფიალე გონება ხელს არ უწყობდნენ განეჭვრიტა სინამდვილე სხვადასხვაგვარ წამიერ დელვაში, არ გაეშვა თვალთა ხედვიდან უმთავრესი საგანი თვისის მოქმედებისა. მიეყრდნო შეყვარებულს, მთლად იმედიანს, მაგრამ მისთვის ჯერ ისევ გარეშეს, მისის საუკეთესო გრძნობისათვის ჯერ ისევ უცხოს. გულგრილი არ იყო გულნაზი ოთარისადმი, მაგრამ მაინც ძალუმად არ უმბერდა მისთვის გული, არც თუ უდუღდა; ოთარის გარშემო ვერ შეკრბნენ გულნაზის ქალწულებრივი ოცნებები, ვერც გულსავსედ ჩაეხვივნენ მის პიროვნებას ქალურნი მისნი მისწრაფებანი. ეს აკლდა სავსებას ცოლ-ქმრის სიყვარულისას. ოთარი გრძნობდა ამ ნაკლს, ისწავდა ამოეცხო იგი, აელიციციებინა; დარწმუნებული იყო, შესძლებდა ამას დროთა მსვლელობაში.

– ვეტრფიალები გულსავსედ და გავუღვივებ იმასაც ჩემდამი ალერსს! ჩემი გრძნობა გააღვიძებს მის თანაგრძნობას, უთუოდ აღაგზნებს. მაშ რით შეიძლება დავწყნარდე ან დავკმაყოფილდე, თუ ჩემი გულნაზი მთლად გულსავსე არ შეიქნება ჩემით და ჩემებრ ბედნიერი?!

დარწმუნებული იყო ოთარი, ქალი ლამაზი გრძნობა, რომელიც წინადაც იმდენად ძლიერი იყო, რომ დაათანახმა ის მეუღლეობაზედ, გადიდდებოდა, გაცხოველდებოდა და გადმოდუღდებოდა მჩქეფარ ნაკადად მიჯნურობისა. თავის რწმენას იმაზედ ამყარებდა, რომ ცოლი თუმცა ძალუმად არ ისწრაფიდა მისადმი, არცა გრძნობდა მასთან შეერთებაში უძლეველ სიტკბოებას ფაქიზს, მაგრამ უარსაც არა ჰყოფდა მას, არ განუდრკებოდა მასთან კავშირს, არც ერიდებოდა. მხოლოდ ის იყო ძნელი, რომ ქალი როგორღაც გარინდებული დარჩა, თითქო შეუგნებლად, ანგარიშის მიუცემლად ასდევდა ცხოვრების ჩარხს და თავისით მონაწილეობას არ იღებდა სიცოცხლის მიმდინარეობაში.

– რა არის, საყვარელო, განმარტოვებულხარ ხის ქვეშ და ფიქრს მისცემიხარ? თითქო ნაღველი ჩაგფენია მაგ მშვენიერ თვალებში. განა არა, გულმა მიგრძნო, ის ქალი დამიღონდება-მეთქი და გამოვემურე, – უთხრა ოთარმა ცოლს.

და გვერდით მოუჯდა, ხელი გამოართვა, თვალებში ჩახედა მოსიყვარულედ.

– როგორღაც მომეწყინა და გამოვედი. ძალიან კარგი ჰქენ, რომ ეს მაგიდა დაადგმევინე აქ: მიყვარს ეს ხე, კაემანს მიქარვებს. ყური დაუგდე, როგორ შრიალებენ მისი ფოთლები, ჩურჩულებენ, რაღაცას მეუბნებიან. როდესაც მთლად შევეთვისები აქაურობას და შევუყვარდები ამ ცაცხვსაც, მაშინ გავიგებ, რასაც მიაძმობს ეს მშვენიერი.

– გამიზიარებ, გენაცვალე, მე იმათ ფიქრებს? მეტყვი ყველაფერს? – შეეკითხა ქმარი.

და გულში ჩაიკრა მისი გრილი ხელი, მოშვებულ-მოდუნებული, თითქო სიცოცხლის დუღილიდან დამცხრალი, ემხიან არსებობის უნარს მოკლებული. ცხადად დაინახა ოთარმა, რაღაცა აკლდა ამ მშვენიერის ბედნიერებას, რაიმე ძალა აღზნებულ სურვილთა აღმძვრელი, იმ მიყუჩებულ ბუნებრივ ძალთა გამღვიძებელი, რომელნი ჯერ ისევ ფარულად იყვნენ ქალის არსებაში და უკლებლივ არ გადაშლილიყვნენ სამოქმედოდ, დამატკობელ ღელვათა სავითარებლად. ვის უნდა გამოეწვია სამომრად ეს ფარული ძალები, ვის უნდა აღეგზნო მასში ვნებათა კოცონი მწვავე? ოთარს! უსათუოდ მას! მაშინ მხოლოდ გადიფურჩქნებოდა მის წინ არსება საყვარელი, გადიშლებოდა მისთვის მთელი თავისის სიძლიერით, მათრობელის სიტკბოებით, თვალთწარმტაც სიმშვენიერით, გამახარებელ სუნნელებით. ვაჰ, რომ თილისმა არ ჰქონდა ვაჟკაცს, არ იცოდა, როგორ შეერთებოდა ქალს სულიერადაც, შეეგნო მისი გულის ძგერა საიდუმლო, გაეხვინა გრძნობათა საუნჯე მისი, რომ უცილებლად დაჰპატრონებოდა ობოლს მარგალიტს, რომელი დაცულ იყო მის გრძნობათა შესაკრებელში! მაშინ გულნაზის სულიც მისი შეიქნებოდა და მთელის თავისის არსებით, ხორციელის და სულიერის თავისის ბუნებით, შეუერთდებოდა მას განუყრელად სამუდამოდ, სამარადისოდ.

– როცა იმას გამიზიარებ, ჩემო სიცოცხლე, რასაც მოგიტხოვებენ ეს ფოთლები, რა ამბავს ჩაგჩურჩულებს წყნარი ნიავი, ამ ვარდის ფურცელთაგან შენათხზავ ყურში, მაშინ უკლებლივ შევიგნებ, რა ფიქრებს და ნატვრებს აჰფარებია ეს შენი სპეტაკი შუბლი, რა გრძნობები აფეთქებს ამ შენს გულს, გვრიტივით რომ ფრთხილებს კოკობ ძუძის ქვეშ! – უთხრა ვაჟკაცმა აღტაცებით.

და ველარ მოითმინა, იქვე ჩაუკოცნა ტურფას გულ-მკერდი.

– ოთარ! არ წამოხვალ კრებაზედ? ალბათ გველიან; წავიდეთ, დაგვიანდა! – შემოსძახა თეკლემ.

– ხომ არ გინდა, გენაცვალე, კრებაზედ წაგიყვანო? – მიჰმართა ოთარმა ცოლს.

– არა! არ მიმიწვევს გული. შენ წადი, თუ გელიან.

– არც მე მინდა წასვლა. უჩემოდაც კარგად გაარიგებენ ყველაფერს, – მიუგო ოთარმა.

და უფრო მიიწია ქალისკენ, რომ მეტად დამტკბარიყო მის ახლო ყოფნით.

## 42

ეგონათ, ვაჟკაცი ემონაო ცოლს საკუთარი ნების უარმყოფელი; დაივიწყაო ალერსს გარეშე სხვა ყველაფერი; ზურგი შეუქცია იმ საშრომსაცა, რასაც ავალებდა განწირული მისი სამშობლო.

– ეს ხომ ღალატია! როგორ შეიძლება ესეთი გატაცება პირადი სიამით?! არ შეჰშვენის განათლებულ კაცს საიმედოს! – სძრახავდნენ მოძმეს.

არ იცოდნენ მათ, ვერც მიჰხვდებოდნენ გარეშენი ოთარის დარდს: ეპოვნა მას თავისი იღბალი, აგერ მეორე წელიწადი იყო, გვერდთ ეწვა მეუღლეს, მაგრამ დღესაც მის ძიებაში იყო, მის გულის ძებნაში. ისწრაფიდა ოთარი შეერთებოდა მეუღლის სულიერ არსებასაც, მთელი მისი პიროვნობა ეგრძნო მკერდს ჩაკრული. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ეთქვა:

– მთლად შევასრულე ძნელი საქმე მიჯნურობისა, ისე უნაკლოდ დავამთავრე ის, როგორც დახატული მქონდა ოცნებაში!

მანამდის კი ისევ ბრძოლაში იყო რაინდი, ისევ ძებნაში: ეძებდა სულიერ პიროვნობას იმ ადამიანისა, რომელი გვერდთ ჰყავდა ნივთიერად. სტანჯავდა ვაჟკაცს



ესეთი განცდა. ალლოთი მიმხვდარიყო, რომ მისი მეუღლის კაემანთა საიდუმლო მიზეზი ესევე იყო. ჰგრძნობდა გულნაზიც, რომ ვერ შეუერთა მთლად თავისი პიროვნობა ქმრის არსებას, ხელაღებით ვერ მიუძღვნა თავისი თავი მას. გრძნობა აფიქრებდა ქალს, ჩუმს ნაღველს ჰგვრიდა. ჰგრძნობდა ოთარის მოყვარული გული, ცხადად ჰხედავდა მის დაბრძნობილი გონება, რა საშიშო იყო მისთვის ესეთი ყოფა: სახიფათო მისი ნორჩი ოჯახისთვის, დამრღვეველი მისი პირადი ნეტარებისა.

– თუ ეხლავ ვერ შევსძელ ისე გადავფურჩქნო ქალის გული, რომ მისი გრძნობები სიამით გარს ეხვევოდნენ ჩვენს ერთობას, თუ ვერ შევიჭერ ძლევამოსილი მის ფიქრთა სამყოფში და ანდამატისებურ ვერ მივიზიდე იგინი, რომ მისი ოცნებები ტრფობით ევლებოდნენ თავს ჩვენს კავშირს განუყრელს, მაშინ შესაძლო შეიქნება დაისხნენ სირანი ჩემის კერისა, გაცუდდნენ ბურჯნი ჩემის ოჯახისა, დაირღვეს იგი და დაგვიტანოს თავის ნანგრევებში მეც, ჩემი გულნაზიც.

– როგორ?!

– ესე: შეიძლება უარჰყოს მისმა სულმა არსება ჩემი; შეცთომად დასახოს თავისი ჩემთან შეერთება, უფსკრული აღმოაჩინოს განუვალი ჩვენ შორის და თვითვე ჩავარდეს შიგ შეძრწუნებული. უთუოდ დაინთქმის! ჯერ ისევ ოცნებათა სფეროში მყოფი საოცნებო არსება მისი ვერ ჰპოვებს, არც მოსძებნის ბილიკს მისახვევს, ბოროტისაგან განსარიხებელს, და დაიღუპება. მისი ფაქიზი პიროვნობა ან ჰპოვებს აქვე სრულ კმაყოფილებას, ან შეიმუსრება უწყალოდ, განილევს უსიხარულოდ, ჩასჭკნება საბრალოდ, ვით ვარდი მოსხლილი, სრესილ-სრეული, მიწას დაგლილი. ნუ იყოფინ ესე, სახიერო! ნულარ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა! – წარმოსთქვა უსასოქმნილმა.

და გააცხროვა სიმწარით, შეადრწუნა ხილვა საზარელის მომავალისა.

– არ იფიქრო, გულჩვილია ოთარი, გრძნობა მომდებრებული და მისთვის ფიქრობს ესე, მისთვის მისცემია ამაო დრტვინვას და ისიც მას შემდეგ, როცა უკვე მიაღწია მიზანს, მურაზს ეწია და შვებათა განცდა მის ხელთ არისო ყოველ ჟამს. არა! გულმაგარი ვაჟკაცი იყო ოთარი, იქნებ გულგრილიც, უფრო აზრთა მიმდევარი, სანამ გრძნობათა მონა-მორჩილი. თავის საყოველდეო ცხოვრებაში ფიქრთა გზას ედგა იგი, თავის გარშემო ყველაფერს აზრის ძალით აფასებდა და გონების სასწორზე სწონავდა. რამდენჯერ უყვედრებიათ მისთვის გულგრილობა! ცოლ-ქმრობის საქმეშიც გულქვა ვაჟკაცი დადგებოდა, მხოლოდ აზრის ამყოლი, გრძნობათა კარნახის უარმყოფელი, ანგარიშით მომზომ-მომჭრელი, თუ საბედო შეერთო, მასთან ერთად შეჰბოდა წუთის სოფლის ცხოვრებას. მაშინ მისი გული თავის საუნჯეს ისევ ჩაკეტილს და ხელუხლებელს წარიტანდა ამ ქვეყნით, რომ მიერთმია შემოქმედისათვის, ვითარცა ნიჭი მიწას დაფლული, მისგან უხმარი, გარდუფურჩქნავი. და დააღონებდა ეს სახილველი მეუფეს მარად შემოქმედს. იქნება ოთარის ისეთი ცხოვრება, გრძნობათა გარეშე ყოფნა უფრო თვალსაჩინო აღმოჩენილიყო, სასარგებლო, გარეშეთაგან მოსაწონ-მისაბადი: სხვა მხოლოდ ნაყოფს ეძებს ხელშესახებს და სასარგებლოს. მისთვის კი, პირად მისთვის, ვერ იქნებოდა იგი ცხოვრება უძვირფასესი და სანატრელი, როგორც ეხლა, როდესაც შეჰხვდა თავის ბედისწერას, პირისპირ იხილა სახე გარდუვალის სიყვარულისა და განიცადა, რა ტკბილი ყოფილა შესწირო თავი სხვას, შენთვის სანატრელს, გადაჰნერგო პიროვნობა შენი საოცნებო არსებაში, რომ მხოლოდ იქ, შენთვის ფასდაუდებ პიროვნობაში ჰპოვო შენი ბუნება განსპეტაკებული, ღვთის სახედ ქმნილი, ყოველმხრივ სრული.

ესეთ სულიერ განწყობილებაში იყო ოთარი, ამნაირი მისწრაფებები დაესახნა მას წინ, ამგვარი განცდანი დაჰპატრონებოდნენ მის გულს, ამ სახის აზრები

გაჰხდომოდნენ მას ხელმძღვანელად, როდესაც ჩაენთქა იგი თავის კერძო ცხოვრებას და ისე სავსებით, რომ პირად მისწრაფების გარეშე ვერაფერსა ჰხედავდა, არც ძალედა ეხილნა რამე. ცხოვრებას აღემართა მის წინაშე საგონებელი ძნელი და იგი საფიქრი სრულად იხვევდა ზედ ვაჟკაცის სულიერ და ხორციელ ძალებს.

შინაობაში დამტკბარი იყო ოთარი და მოალერსე. საკვირველი გამრჯელი მეოჯახე დამდგარიყო. თავისი შრომა ერთი ათად გაემლიერებინა, ყველა საზრუნველისთვის მიეპყრო ყურადღება, და დღითი დღე ივსებოდა დოვლათით მის სახლს-კარი. მაგრამ გრძნობდნენ შინაურები, ჰხედავდნენ კიდეც, რომ მთელი ეს ზრუნვა მიქცეული იყო მხოლოდ გულნაზის საკეთილდღეოდ და საფუფუნებლად: ყველა მათგანიც განიცდიდა ოთარის კეთილგანწყობილებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი შეიყვარებდა მის სატრფოს; გულნაზისადმი სიყვარული საზომი იყო ოთარისაგან პატივცემისა; ოღონდ კი გულნაზს ნუ შეჰხედავდი ავი თვალით და ვარდად დაგსახავდა იგი შენ კეთილ საქვრეტად, ყმად გექმნებოდა, მონად-მორჩილად.

– სწორედ მოუჯადოებია ჩემი ოთარი ამ ქალს! გამიგონია სიყვარული, კიდეც გამომიცდია ის, მაგრამ ესეთი თაყვანისცემა კი არ მინახავს, არც ესეთი მონობა თავდავიწყებული. არა, ღვთის წინაშე, ძვირფასი ქალი მომიყვანა რძლად, მშვენიერი, უწყინარი, ფაქიზი. ისე არ შევხვდები დილით, არ დავუკოცნო აყვავებული ლოყა, მაგრამ ყველას თავისი საზღვარი აქვს და საზომი; არც ეგრე გადამეტება ვარგა, – ეუბნებოდა ოთარის დედა თავის ქალს.

– იცი, დედილო, მეც ძალიან შემეყვარდა ჩვენი გულნაზი, მაგრამ იმას ვერ შევჩვევივარ, რომ ხშირად განმარტოვებულია და გულჩათხრობილი, თითქო დარდი აწევსო. საფიქრებელი აქვს რამე მძიმე. არ გაიფანცქალეებს უზრუნველად, არც გულგაშლით გადიკასკასებს.

– მერმე რა ძალიან უხდება გულმკვდრის შვილს ღიმილ-სიცილი!

– არ გეგონოს, დედიჯან, რომ საუბარი არ ეხერხება. როცა გუნებაზედ არის, ისეთი აღტაცებით იცის ლაპარაკი, ადამიანს ემხზედ მოიყვანს. განათლებულიც არის, ბევრი იცის.

– რაც ეგ კითხულობს! არც ერთი წიგნი არ დარჩა სახლში წაუკითხავი. მეშინიან, ბევრი კითხვით თვალები არ გაიფუჭოს.

## 43

მაგრამ კარგ ვარსკვლავზედ იყო ოთარი დაბადებული: განილევოდა ის ნისლიც განცალკევებისა, რომელი აღმოჩენილიყო გულნაზის მხრივ და ცივ ნამს აპყურებდა ოთარის მდულარე გრძნობებს, უჟამოდ და უამურად აგრილებდა მათ. ნელ-ნელა ეთვისებოდა ქალი ქმარს, თანდათან ჰხსნიდა მის წინაშე თავის გრძნობათა სალაროს და იგი საუნჯე ტურფა ყვავილებად იშლებოდა მის ცხოვრების სავალზედ. ჰხედავდა ამას ვაჟკაცი და მეტი სიხარულით ივსებოდა მისი არსება, სვეტი ნათლისა ადგებოდა მის გულს. სხვა რაღას ისურვებდა სვესრული?! მხოლოდ იმას, რომ დაუსრულებლად განგრძნობილიყვნენ დღენი სიხარულისა და სიცოცხლე წუთიერი სამარადისო ყოფად გარდაქმნილიყო სანეტაროდ. თუ იმედი არ შეენიშნა ვაჟკაცს, თუ თავის თვალით არ ენახა, როგორ განქარდებოდა იგი უამო ჯანლი კერძობისა და ირღვევოდა საიდუმლო რამ სხივებქვეშ იგი საზარი ბჭე, მისგან ქალის მაცალკევებელი, ვერ შესძლებდა ადამიანურ ყოფას ოთარი. დაბლა დაჰხრიდა მას

ჯავრი მძიმე, თმას გაუთეთრებდა ჯერ ისევ ახალს, გულს დაუღარავდა ნაღვლის ნაკადი.

– რადგან ღირს მყავ, სახიერო, სიხარულს დიადს, მთლადაც განმიხვევ ბრწყინვალე ბჭე ნეტარებისა! რახან მაღირსე ხორციელად ხლება მშვენების, სულიცა მისი შეათვისე ჩემს სულს უბადრუკს! – ევედრებოდა იმედხსნილი ვაჟკაცი მისთვის სიკეთის უხვად მომნიჭებელს.

სწამდა, აღუსრულებდა ნატვრას კეთილს: აკი ყოველთვის მოწყალე იყო იგი მისადმი! და უფრო აღეგზნებოდა გულს ცეცხლი სიყვარულისა, უფროვე ემატებოდა წყურვილი სიხარულისა. ამ სიხარულმა თუ სიყვარულმა უმაღლეს ფარდებს მიაღწია მაშინ, როდესაც გულნაზმა პირველად იგრძნო, რომ მაღლი მაღლისა გარდამოსულიყო მასზედ და მიეზღვნა მისთვის ძალა ნაყოფიერებისა.

მეორე სთველი იყო მას შემდეგ, რაც გულნაზი რძლად შესულიყო ამ ოჯახში. ეს შემოდგომაც ძლიერ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მეტადრე ხილი მოვიდა უანგარიშო, ულევი. ვაზსაც ძალიან ესხა. ოთარმა გვიან იცოდა სთველი, როცა მარცვალი მთლად მოიწვეოდა. დილიდგანვე შეუდგნენ კრეფას. უფრო დედაკაცები მუშაობდნენ. გულნაზსაც მოადრეობით გამოეღვიძა. ჩაის შემდეგ აიკრა თმა და დაიხვია მძიმე რამ კონად, გადაიდო თავზედ გამჭვირვალე მერდინი, რომლის ერთი ტოტი მიწას სწვდებოდა და გაემართა ვენახისკენ. მარტო მიდიოდა. სახლში მისი მოახლის მეტი აღარავინ დარჩენილიყო და იმასაც ხომ არ გაიყოლებდა. მოესმა სიმღერის წყნარი ხმა: მკრეფავთა დასტა ღიღინებდა. მისი ვაჟკაცი არსადა სჩანდა, ეტყობოდა ზვრის ბოლოს ჩასულიყო. მიესალმა მშრომელთ. ერთმა შავთვალა გოგომ აკიდო შეარჩია და მიართვა ქალბატონს, თან მაჯაზედ აკოცა. მეზობლის ქალი იყო გულნაზის მოტრფიალე; შორიდან ილეოდა მისთვის. თუ ვაჟი ყოფილიყო, თავს შეაკლავდა მის სიყვარულს.

– რა მშვენიერია! – უნებლიეთ წამოიძახა გულნაზმა

და მზეზედ გაჰხედა ქარვასავით გამჭვირვალე მტევნებს. დაენანა კუფხლისც აგლეჯა. იქვე ჩამოჰკიდა აკიდო, მსხლის ტოტზედ. ჩადგა თითონაც მკრეფავებში, მაგრამ უხერხულად. მუშაობამ მსწრაფლ დაღალა შეუჩვეველი. გაანება თავი კრეფას და გადიარა ისევ მსხლისკენ, რომლის მახლობლად მორაკრაკებდა რუვი. მოთავქვევო ადგილი იყო, წყალი მკვირცხლად მიაქანებდა გამჭვირვალე მჭევლებს და ადგილ-ადგილ შხეფს ისროდა, ნამს აპკურებდა. ყვავილები წაზრდილიყვნენ ნაკადის პირს. ერთი ნარგიზი ისე დახრილიყო წყლისკენ, რომ ტალღა ჰხვდებოდა შიგადაშიგ, ყვავილს წყლამდის ახრევინებდა თავს, აზანავებდა.

– პირს იბანს კეკლუცი, თან თავის თავს ეალერსება გამჭვირვალე სარკეში, – სთქვა ქალმა.

მიუახლოვდა ყვავილს, დაიხარა, ეალერსებოდა. დახრილი რომ იყო, რაღამაც უეცრად შეაკრთო, მოულოდნელმა რამ მოძრაობამ. ყური დაუგდო. ისევ განმეორდა იგი მოძრაობა. მიჰხვდა, ცხადად დაინახა, რა კრთებოდა მის გვამში. უცნაური სიხარული იგრძნო, ამაყი კმაყოფილება. ალღოთი იცოდა ეს, ეჭვი ჰქონდა მიტანილი, მაგრამ ფრთხილობდა თქმას, რადგან წინად რამდენჯერმე გასცრუებოდა იმედები. ეხლა დარწმუნდა. უნდოდა სავსებისაგან თვისის გრძნობისა პირველად თავის ქმრისთვის გაეზიარებინა. გაგზავნა დასამახებლად. კაცს თითონაც გაეგო ვენახში ჩასვლა ცოლისა და მალე მოუახლოვდა ქალს. ყვავილებში იდგა გულნაზი ვარდისფრად გაღვივებული. თვალის კილოებში მაცთური ღიმი უქროდა. თბილი სიხარული აღბეჭდოდა მთელ არსებაში. დაუკოცნა ვაჟკაცმა ორივე ხელები!

– მოდი ახლო, ყურში უნდა გითხრა რამე!

– რა, გენაცვალე? – ჰკითხა ოთარმა

და მიაპყრო ყური მარჯნის ტუჩებს. ქალმა უთხრა სათქმელი. კიდევ ჩაკვიტხა ვაჟკაცი და აყვავდა ლალი სიხარულით; შიგ თვალებში აკოცა ბედნიერმა.

ამ დღიდან სრულიად დაუახლოვდა ქალი ქმარს, მიენდო შეუსაზღვრელად, გადუხსნა უკლებლივ სიუხვე თვისთა გრძნობათა და მთელის თვისის საამო სიმძიმით დაეყრდნო მის მოსიყვარულე მარჯვენას საიმედოს. აღარც არაფერში ეკრძალებოდა ეხლა ქალი ქმარს. გულწრფელად, ხელახსნით გაუზიარა მას მთელი თავისი არსება, ხორციელი და სულიერიც თავისი ბუნება. სასიხარულო და სასიქადულო ამბავი იყო ეს ცოლ-ქმართა შორის, ახალი წყალობა შემოქმედისა: შვილთა ყოლა და აღზრდა უმთავრესი მიზანია ქორწინებისა; შემდეგში, როდესაც მისწრაფებათა ძალნი დასცხრებიან ღელვისაგან ფრიალისა და დაყუჩდებიან, როცა აქოჩრილი ზვირთები ვნებათანი დაეშვებიან და დალაგდებიან, ესლა დარჩება აზრი საიდუმლოსი. ამას ჰგრძნობდნენ ორნივენი და შეფიქრებულნი იყვნენ, როცა აგერ მეორე წელი მათის კავშირისა მიწურულიყო, ხოლო შედეგი მათის ტრფობისა არსადა სჩანდა.

– ვაითუ ღმერთმან ნაყოფიერებისა არ აკურთხა კავშირი ჩვენი! – განიზრახავდნენ გულში ორივე.

შემკრთალიყვნენ, იჭვის თვალთ გაეხედნათ მომავლისაკენ. აწ განქარდა ლანდიც შიშისა, პირი ქმნა მათკენ სავსე მყობადმა.

– საწყალი გულნაზი! ვედარც ცქრიალებს, ვედარც ფარფატებს ფრთათეთრ მტრედივით, – ეტყოდა ქმარი,

როცა მეტად დააჩნდა ქალს ტვირთი სასურველის ნაყოფისა და დამძიმდა მისი სხარტი აგებულობა, შეირყა მისი ნარნარი სვლა, დაჰკარგა იერი შეხამებული მისმა მოძრაობამ.

– იცი, გეთაყვა, თუ ძალიან ძნელად ვიყო და საშიშად, არ მომშორდე გვერდითგან: უშენოდ ვერ მომივლიან გულდადებით და აზრიანად; ვაითუ რამე ნირი შემეშალონ და ვერ ავიტანო. უჰ, როგორ მეშინიან სიკვდილისა! შესაზარია!

– რა უნდა შენთან სიკვდილს, სიცოცხლეც ჩემო?! ისე მოვაწყო ყველაფერი, შენ მოსაწონად! – სთქვა ოთარმა

და ფრთხილად მოეხვია მეუღლეს, მკერდს ჩაიკრა სათუთი. უკვირდა, რომ ეს აწ სხეულით შემძიმებული დედაკაცი, რომლის ტანს უკვე მიჰვებოდა ნაქანდაკები ჰაეროვნება, მისთვის ისევ ისე და უფრო მეტადაც სანდომი იყო, სანამ წინად. მეტადრე უხაროდა ვაჟკაცს ამოკოცნა მისის თვალებისა, რომლებშიც გრძნობა იხატებოდა საიდუმლო, რომელნი უფრო უძირონი შექმნილიყვნენ, უფრო სხვიოსანნი, კილოიანნი, მისთვის, მხოლოდ მისთვის მანათობელნი.

მთლად დამშვიდდა ვაჟკაცი. ეხლა მას აღარაფერი ჰქონდა საფიქრ-სადარდი. ეხლა განდიდებულიყო მისი ბედისადმი მადლობა, გარდაქმნილიყო მონურ მორჩილებად ყისმათისა. ეხლა მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო იმაზედ, რომ ფართედ განევითარებინა უნარი საქმიანობისა, კეთილ მოქმედებაში განევითარებინა თავისი სულიერი ძალები და საზოგადოებისთვისაც საცნაურ ექმნა თავისი უხვად დაჯილდოვებული, საფუძვლიანად განვითარებული პიროვნობა. ამ ხანში იყო, რომ დაიმსახურა ოთარმა საესავო მშრომელის სახელი, რომელს შეგნებულად ეტვირთნა აზრიანი მზუნველობა საზოგადო საქმეებზედაც და მხნედ შეჰბრძოლებოდა მათ წინააღმდეგ მიმართულ დაბრკოლებებს.

– აკი გეუბნებოდი, კაცო, ოთარი ისეთი ადამიანი არ არის, მხოლოდ პირადის ზრუნვით შემოფარგლოს თავისი შრომა. გამართლდა ჩემი თქმა. ხედავ, როგორ მალე დაატყო თავისი მადლიანი მარჯვენა აქაურ საზრუნველ საქმეს.

– გული შიგნითა ჰქონია! ხარატული ჯარასავით დატრიალდა ეგ დალოცვილის შვილი.

#### 44

ოთარი რომ ბედნიერებითა სტკბებოდა და უფრო მეტ სიამეს მოელოდა ყისმათისაგან, როგორც სჩვევია ეს ადამიანის გაუმაძღარ გულს, მას რომ ბედიც გამგონე მეგობრად მოჰვლენოდა და მიჰმადლიდა სიკეთეს სიკეთეზედ; ამ დროს მისგან ნამსხვერპლი, მისგან გულდადაგული საბედო მხოლოდ ავს განიცდიდა მუხთალის ცხოვრებისგან, სიმწარეს საზიზღარს. განტევების პირველს ხანს გამწვავებით სტკიოდა მას გული დალახვრული და კვნესოდა ქალი უწყალოდ, დაქცეულ იმედთა ქვეშ მოყოლებულ-მოტანებული. პირველში აუტანელად სწვავდა მას ალი სიყვარულის შურისა, შეუძლებელი შეიქნა მისთვის იმავ ადგილას დარჩენილიყო და თავის თვალთ ემზირნა მის გამაუბედურებელთა ზეიმისთვის. ამბობდა მაშინ:

– სისხლს დავღვრი იმ ჩემის ცოდვით სავსისას, იმ ალქაჯისას, რომელმაც მომტაცა გული უპიროსი. არ ვაბოგინებ მათ, რომ იარონ ქვეყანაზედ და ინადიმონ!

ბოროტად აშფოთებდა მას მაშინ მავნე, რომ რაიმე უგუნურობა თუ უხამსობა ექმნევიანებინა მისთვის. გაიარა პირველმა ხანმა სასტიკის ტკივილისა და ოდნავ დაყუჩდა გულის იარა, დაკარგა მოუთმენელი სიმწარე, მაინც დროთიდრო საშინელი სიმძაფრით შემოუტევდა, ხოლო ყოველთვის ყრუთა სტკიოდა, არც ერთს წუთს მოსვენებას არ აძლევდა. ეს ტკივილი მთლადაც გაქრებოდა, თუ ცხოვრების გზაზედ შეჰხვდებოდა მას სხვა ვინმე ახალი, მისი საფერი, რომ აესრულებინა მდებარეული მიწოდებანი. აგერ ხუთმა წელმა განვლო, მისკენ კი არც ერთმა ვაჟკაცმა არ მიიხედა ნდომით, სამუდამო კავშირის სურვილით.

– ჩემს ბედზედ არავინ დაუბადნია ღმერთს, არც ერთი ვაჟკაცი. ნუთუ მართლა ისეთი უბედური ვარ, ვერ შემიძლიან მივიზიდო კაცი?! ნუთუ მთლად მოკლებული ვარ ეშხს თუ მიმზიდველობას?! – გაიფიქრა ქალმა.

და კიდევ მიუჯდა სარკეს, რომ კარგად დაეთვალეირებინა თავისი სახე, მაგრამ გულცივმა მინამ არც ეხლა შეჰხედა ქალს ღმობიერად. მისი სახე, რომლის კაბადონი თვალსაჩინო რამ ნაკლს აცილებული იყო, არავითარ განკერძოებულ თუ თავისებურ სილამაზეს არ წარმოადგენდა; ხინჯი რამ არ ჰქონდა, მაგრამ უმნიშვნელოდ იყო ნაკვეთი; უკვე დაბზარულიყო კიდევ იგი სახე ნაოჭთა ნასახით. თანდათან უფრო დააჩნდება მას კვალი საზარელის ხნიერობისა! გასცრეცოდა ტუჩ-ბაგე; თვალებს, მის საუკეთესო სამკაულ თვალებს, მკაცრი გამომეტყველება მიეღოთ; წარბთა ბოლოდან მარაოსავით გაშლილიყო სრე-სრე ნაოჭი. ვერ იყო ქალის სახე მაჩვენებელი ვნებათა იმ ძლიერ ღელვისა, რომელი დართული ჰქონდა მის ბუნებას, რომელი ხშირად აპრიალეებული ალივით აჰკრავდა მას ფერხით თხემამდის და უწვავდა ხორცს, ჰბუგავდა, ანადგურებდა, ანავლებდა.

– ამ თმას რაღა ცოდვა ეკითხა, რომ მსწრაფლ მითეთრდება?! მაშინ შემაჩნდა ეს თეთრი ბუნჯგალი მარჯვენა საფეთქელთან, იმ საშინელ ღამეს, როცა გამიმჟღავნეს, შენს ოთარს უკვე ჯვარი დაუწერიაო. იქამდის კიდევ რაღაცა იმედი მქონდა წყალწალღებულს, – სთქვა ქალმა.

და ფიქრით გადავიდა იქ, წინანდელ თავის საცხოვრებელ ადგილას, სადაც ეხლა იშვებდა და იხარებდა ოთარი თავის ნორჩ სახლობაში. ის ეხლა აგერ ორი წლის ბალღს უაღერსებდა, სიამით და ფრთაჭრელი იმედებით სავსე; დღესაც შეყვარებულივით შესტრფოდა თავის მზეთუნახავს.

– ვინ იცის, სრულებითაც აღარ ვახსოვარ; იქნება მთლადაც დაივიწყა უგულომ, რომ სხვის სიცოცხლე გადალახა, სანამ მიაღწევდა თავის მიზანს...

– აღარ ვახსოვარ! განა როდისმე ვახსოვდი იმას ან შეგნებული ჰქონდა ჩემი გულისკვეთება? არასოდეს! მაშინაც მხოლოდ თავის თავზედა ფიქრობდა. ოღონდ თითონ გულსავსედ ყოფილიყო და მე კი არა, ვიღაცა საწყალ ქალს, მთელ ქვეყანასაც არაფრად მიიჩნევდა, ყველას და ყველაფერს თავს შემოივლებდა გულცივად. ეჰ, მაშინვე უნდა მეცნა, ვისთანა მქონდა კავშირი და ხელში მაგრა დამეჭირა მოლალატე.

– მაინც რას იზამდი ახალს, თავიდან რომ განმეორდეს ის გარემოებები, რომელნიც მაშინ სწარმოებდნენ?

– უფრო დაგუახლოვდებოდი, უკანასკნელ ნაბიჯსაც გადავდგამდი და მერმე მაშინვე ავასრულებინებდი თავის აღთქმას.

– ტყუილად გგონია, შეჰბოჭავდი ვაჟკაცს და ლეჩაქის ყურზედ გამოიბავდი, თუ მთლად გაუზიარებდი თავს. მაშინაც წარბშეუხრელად დაგტოვებდა, თუ გული შეჰვარდებოდა სხვაზედ. ეს იმიტომ, რომ არ უყვარდი შენ, გესმის? არ უყვარდი!

– არ ვუყვარდი?

– სრულებით არ უყვარდი! განა სცდილობდი მაშინ არ მისთვისებოდი ვაჟკაცს? არა! აკი დაჰკარგე კდემამოსილება. ყოველთვის შეეძლო მიესაკუთრებინე, მხოლოდღა საჭირო იყო ხელი გამოეწოდა შენკენ და მიეზიდნე. მიჰყვებოდი. ხედავდა ამას თითონ ვაჟკაციც, მაგრამ ფრთხილობდა, ეშინოდა ბადეში არ გაბმულიყო. შენი კი არ ეშინოდა! რას უზამდი მას? ნუთუ გგონია, შესძლებდი ძალა დაგეტანებინა და კანონის ძალით მიგეყვანა ეკლესიაში. ვერ მოახერხებდი ვერას გზით! თავისი სინიდისისა ეკრძალებოდა, თავისი სახელისა თუ ადამიანობისა. იმისსავე ზრდილობას უნდა უმადლოდე შენ, მის თავდაჭერილობას, იქნება მის შენდამი სიბრაღულსაც, რომ არ შეგამთხვია იგი ბოროტი, თორემ...

– მაშ რა უნდა მექნა ან როგორ მოვქცეულიყავ?

– უნდა გაგეტაცნა ვაჟკაცი, ისე აგეშალნა მისთვის გრძნობები, აგეფუტკრნა დალაგებული აზრები, დაჰკარგოდა უნარი თავის შეკავებისა, უკუეგდო ყოველივე სიფრთხილე თუ თავდაჭერილობა, მთლად გაჰნადგურებოდა ნებისყოფა და უღონოქმნილი, განრთხმული შენთ ფერხთ ქვეშ, მუხლთ მოგხვევოდა უსასოქმნილი, დაეკოცნა მავედრებელს კაბის კალთები. მაშ! – შეეკამათა თავის თავს ქალი.

და დაიხედა წინ, ჩაათვალიერა თავისი თავი: აწ უკვე გამხდარ-გამხმარი მუხლები კუჭრებივით ამოსჩენოდნენ მიფხავებულ კაბის კალთებიდან; შიგადაშიგ ჩაკემსილ წინდებიდან მუქად მოსჩანდა წვივის კანი, გადღენილ-დაღრეჯილი ფეხსამოსი უკარგავდა სახეს თუ მოყვანილობას ისეც საკმაოდ გაზრდილ ფეხს.

– ჰა, ჰა, ჰა! მოგეხვევოდა რაინდი უმწიკვლო ამ საუცხოვო ფერხთ, გიამბორებდა სასოებით ამ უებრო მუხლთ. სწორედ ბრმა უნდა ყოფილიყო ან გემოვნება მთლად მოსპობილი! ქალი ხარ შენ, განხორციელება მშვენიერებისა, განსახება სინარნარისა, მხატველი სინაზისა, მატარებელი სათნოებისა, ანარეკლი ზესთ შუქისა, მჭვრეტელთა სულის დამათრობელი?! რა საუნჯე უნდა მიგეპყრო რჩეულთათვის, რომ მათკენ იწვდიდი ხელს კადნიერებით? ნუთუ შესაძლო გეგონა, უგუნურო, მიგედო სიამე სოფლისგან, მოგეხვეჭა მუნ ნეტარება, ხოლო შენ არ შეგეზღვნა არავითარი

სასყიდელი საამო, შესაწირავი საუცხოვო, ვითა გუნდრუკი სუნნელოვანი?! – შეეკითხა თავის თავს ბოლმისაგან ხელქმნილი.

და შეერთა, როცა გაითვალისწინა საკუთარი თავისი მსჯელობა. როცა პირისპირ იხილა სისასტიკე თავისის დასკვნისა, პასუხი ვედარ გასცა თავის თავს, ვერც სიტყვა მოუჭრა. მთელი სიდუხჭირე წარსულისა თუ აწმყოსი ტყვიის სიმძიმით დააწვა ქალს და დაზნიქა მისი არსება, მოხარა, მიწამდის დადრიკა იგი, გატეხა წელში, გაანადგურა.

#### 45

დიდხანს ვერ გაუძლებდა ქალი ამ წყვილიადს სულისას. ელვასებური რამ განათება სჭიროდა სუნთქვის შემხუთველ სიმძიმეს, მედგრისებური გაპოზა, რომ ამ ბოლო დროს უზომოდ შეგუბებულ ბოლმას ეპოვნა სავალ-სადენი; თუ არა, სისხლს მოუწამლავდა იგი ქალს, ფიქრთ აურევდა, ჭკუას აპხდიდა, გააგიჟებდა. აღარც უბრალო საშუალება იყო ჭირის გასაქარვებლად საკმაო, შემთხვევითი რამ სახსარი გარდამავალი. ეს ფონილა გადაშლილიყო ქალის წინაშე: ან მოესპო თავისი თავი, ან მოეკვეთნა ის, ვინც ამ მთხრებლში ჩასთხია ის უწყალოდ. ამ დასკვნამდისვე მივიდა ქალი ეხლაც, ხუთი წლის შემდეგ და თითქო შეღავათი ჰპოვა უცნაური. საჭიროდა იყო ამ ორ გზათა შორის ერთის არჩევა. და ვინაიდგან არა ვინ სადა თავი თვისი მოიძულის, არამედ ჰზრდინ და ჰფუფუნებენ მას, რადგან ტკბილია სული და უფრო ადვილია სხვაზედ გადილო დანაშაული, სხვა ჩასთვალო მარცხის მიზეზად და ღირსად სასჯელისა, ამის გამო ქალის აზრი ეხლაც ამ მხრივ ჰკაფავდა გასასვლელ ბილიკს.

– ის არის დამნაშავე, ჩემი ცოდვის მტვირთველი ოთარ! რა ვქნა, რომ არ მიითვისა ჩემი ქალობა, მაინც ხომ მიმიზიდა, შელახა სიფაქიზე ჩემის ქალწულობისა, წარმტაცა კდემა უმანკო, მომიკლა სული წრფელი. პასუხი უნდა აგოს ჩემს წინაშე, სრული პასუხი!

და გაიხსენა ის წამები, როცა ვაჟკაცი მარტო იყო მასთან, როცა თვით ქალი ისწრაფიდა მისკენ და ნეტარებდა. მძლავრად მიიზიდავდა კაცი მას, მტკიცედ ჩაიკრავდა, ძუძუს ატკენდა, ვნებათა ღელვით აფეთქებულ ძუძუებს; ათრთოლებდა ტკბილად, ნეტარად, ხელახლად განიცადა აღელვებულმა ყოველივე ეს და დაენანა, რომ მთლად არ მიეყრდნო ვაჟკაცსა მაშინ, თუნდ ძალით არ ჩაუვარდა მუხლებში, როგორც ვინმე რუთი ახალი, კაცის სურვილით ღონემიხდილი.

– თუ გამებედნა, იქნება მთლადაც ბედნიერი შევქმნილიყავი: აღარ დამტოვებდა საჯაროდ თავისაგან გაუბედურებულს, არ იკადრებდა პატივმოყვარე საქვეყნოდ ჩემს დამცირებას, არც თავის სახელის გატეხას...

– არა! იკადრებდი, ყველაფერს იტვირთებდი, მოღალატე! იცოდი, რასაც სჩადიოდი: მხოლოდ დროებით სათამაშოდ გამიხადე მე, გულის გადასაყოლებელ ნივთად, გრძნობათა ასალეს და ვნებათა ფხასასხმელ პიროვნობად. შეგნებულად გამაუბედურე; უნდა მოგეზღოს ბოროტისა წილ ბოროტი! უგულო იყავ ჩემთვის და უნდა მოგიკვდეს გული, სამუდამოდ დადგეს ძგერა მისი, გაცივდეს, გაიყინოს, მთლადაც გაქვავდეს. მოგკლავ უცილოდ, შე ჩემო მკვლელო, სულთამხუთავო! მაშინვე რად არ მოვსპე პირის გამტეხი, რაღას ველოდდი?! ნუთუ მართლა ბედს ველოდდი, კიდევ სხვა ბედს!

მაინც ისევ სხვა მხარეს მიდრკა გვიანის შურისძიებით ატკრეცილი ქალის გონება.

– არა, შენ კი არ მოგკლავ, გულს მოგიკლავ, რომ შენის თვალით უყურო შენს უბედურებას და იტანჯებოდე სიკვდილამდის, როგორც მე ვიტანჯვი დაუსრულებლად: დაგისახიჩრებ მაგ მზეთუნახავს, საზარად შეეკმნი შენს სალოცავ ხატს! – დაასკვნა ქალმა.

და შეუდგა განზრახული ბოროტების მზადებას. დააპირა მისულიყო ოთარისას, მანადგურებელი საწამლავი შეესხა სახეზედ გულნაზისთვის და ამოეწვა მისი მშვენება, დაემახინჯებინა კეკლუცი; მით განუქარვებელ სიმწარით აღევსო ვაჟკაცის სიცოცხლე. მოახერხა შოვნა შხამისა, შეადგინა გეგმა ბოროტებისა; რიგზედ დაალაგა და მოაწესა, რაც კი მის ხელთ იყო სკოლაში თუ თავის ბინაზედ; გაუდგა გზას, აღარა ღელავდა, შეუკავებლად მიისწრაფებოდა. ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა, ნათლად წარმოდგენილი, ისე მკაფიოდ დახატულ-დასახული, თითქო უკვე მომხდარ ამბავს უყურებსო, გარდასრულ სიბოროტეს საშინელს.

სისხამ დილაზედ გაიღვიძა საბედომ. ალიონს ალი აეკრა ცის კიდისთვის და მუქწითლად აევარვარებინა. ქალს მოეჩვენა, სისხლით შებასრულაო ლაჟვარდი. შეჰზარა სახილველმა ერთს წუთს. ისევ გაიკლდევა გული და მტკიცედ დაადგა გზას. კარგა მანძილი ჰქონდა გასავლელი. გვიანი შემოდგომა იყო, ხშირ თრთვილს მოეშუშნა მდელო თუ ყვავილი. ცივი ნიავი უბერავდა ძალუმში. ქალი უნებლიეთ მაგრა ეხვევოდა წამოსასხამში. ჩიტუნები აბუზულიყვნენ, ეშხი თუ ხალისი მთლად დაჰკარგოდათ. გამოაშუქა მზემ; ცივი რამ შუქი მოჰფინა ქვეყანას. დაიდრა ნისლი ჭალიდან და ბორცვებიდან, ზანტად მიემართებოდა ზევ-ზევით, ნელის ღელვით. ხეებს გასძარცვოდათ სამკაულ-სამოსელი, ჩაჟანგებულ-ჩახავსებული ფოთლები შერჩენოდათ ყლორტებზედ. გზის პირას მუხის ტოტზედ შემომჯდარიყო ყვავი, ორაზროვანი ღიმილით ჩაჰყურებდა მიმავალს. გაიარა ეტლმა ხიდი, შეუდგა აღმართს, დაუახლოვდა ღელეს. ქალმა ამოიღო საწამლავით შუშა და გახედა მზეზე.

– მოვუსპობ სამუდამო ბედნიერებას! სულს ავუცრემლებ, როგორც მე ამიტირა გული! ზედ სახეზედ შევასხავ შხამს, რომ დაგლიჯოს და ამოწვას მისი სილამაზე. მაშინ ისიამოვნოს თავის მზეთუნახავით. როგორ გაუსკდება გული და გადირევა! მივალ მათთან, როგორც ძველი მეგობარი, გავუღიმებ, შევეტყუები და მოვუსპობ სიხარულს. თითონაც შემომეტყუა და ისე წარმტაცა გულის საუნჯე, – სთქვა ქალმა

და ჩაიღო შხამის ჭურჭელი. გამოჩნდა საუნჯარას მინდვრები. ხეობაც უკვე დაიწყო. შორს აღარ იყო თითონ სოფელიც. ქალმა კვლავ ამოიღო საწამლავი, ისევ გასინჯა. მოისურვა წარმოედგინა სურათი იმ უბედურებისა, რომელი თავს დაატყდებოდა ოთარის ოჯახს; ბუნდადღა მოსჩანდნენ დაზარალებულთა სახეები შეწუხებულნი, თითქო აღარც იხილვებოდნენ ისინი. იმათ მაგივრად დაინახა საბედომ თავისი თავი კაბაშემოხეული, ნაწნავჩაშლილი, პირზედ სისხლჩამომდინარე; გააფთრებული ხალხი მიათრევდა მას, როგორც ავაზაკს და... სცემდა. შეჰზარა ქალი ამ სანახავმა. შეაკანკალა. მოელო ღონე, წაერთვა უნარი მოქმედებისა. გამოფხიზლდა საბედომში გარემოებათაგან დაჩაგრულ-დამონებული არსება, რომელს ბედად ჰხვედროდა უთქმელად ატანა ყოველივე ავისა, როგორც ვინმე გერს, ცხოვრების ტაბლაზედ უღირსად შესულს, რომლის ხვედრი იყო შრომა უზომო და მორჩილება მიწად დახრილი.

– და შენ ჰბედავ, საწყალო, ჯავრის ამოყრას, სისხლის აღებას?! მისაგებელის მიგება გინდა შენისვე ხელით?! ამაოდ! მონობის გესლით არის გაჟღენთილი შენი ბუნება, შენ კი გსურს ისე მოიქცე, როგორც შეჰშვენის ლად პიროვნობას თავისუფალს... ან სად იყავ აქამდის, თუ გწამდა შენი სიმართლე, გული გითქმიდა მოგესპო შენი დამღუპი?! ალბათ კიდევ უცდიდი რასმე კეთილს ცხოვრებისგან, რომ



აგცდენოდა მძლავრი მოქმედების აუცილებლობა. აკი შეგიძრწუნდა გული, აგითრთოლდა ხელი და დასტოვე ბრძოლის ველი მაშინვე, პირველს ჟამსვე შენის ბედშავობისა. ვერ ხარ ივდიითი, ჩემო საბედო!

– ან რა დანაშაული მიუძღვით იმათ შენს წინაშე, კაცსა თუ ქალს? ის, რომ გადაჰრიე ვაჟკაცი შენის სილამაზით თუ სანდომობით, თუნდ გულწრფელის სიყვარულით, ხოლო ქალს არც გაუგონია შენი სახელი, არც უნახავს სახე შენი მთვარის მაგვარი, – მიჰმართა ქალმა თავის თავს

და ცხადად დაინახა, რომ ამოდ დაკვართულიყო სამოქმედოდ. გვიანდა იყო უკან დაბრუნება: მისულიყო ეტლი სოფელში. სასწავლებელში ჩამოხდა, მოადგილეს ესტუმრა. მიზეზი მოჩმახა თავისის მისვლისა, დაბრუნდა თავის ბინაზედ და დაადგა შრომას ქედმოხრილი, სიკვდიდმდე გასატან ჯაფას განუწყვეტელს.

სევდის საგუბარი კი მაინც არა შრებოდა მის გულში: წვეთი გესლისა ჟონავდა მუნ მის არსებიდან. დროც ველარ გაჰკურნავდა მას: ვერ ამოშრებოდა შესაკრებელი იგი სევდისა. ეს იცოდა ეხლა საბედომ და ახ, რაღაც საუნჯედ ჰხადდა თავის დაობლებულ სულისთვის იმ სევდის საგუბარს.

#### 46

განსაცდელი რომ ესე დაახლოვებოდა ოთარს და თავს დასტრიალებდა მის სიყვარულს, ის სრულებითაც არა გრძნობდა ამას, არავითარ საფრთხეს არ მოელოდა არსაით; მის გულში აჩრდილიც არ იყო ამგვარი მომავალის წინათგანცდისა. ბედნიერი იყო ამჟამად და სიამის წალკოტში დაარონინებდა უდარდელად. რა უჭირდა?! ახალგაზრდა ცოლი, ცისარტყელის ნატეხი ჰაეროვანი; ოქროსქოჩრიანი ვაჟი... სხვასაც მოელოდა ჯან-ლონით სავსე; იხარებდა საკუთარს მამულში თავის კეთილ მოქმედების ნაყოფთა მიერ გარშემორტყმული. ვისთვის რა დაემავებინა ან ვის შეეძლო ეთქვა, უსარგებლო კაციაო ოთარი? ტვირთად არავის დასწოლოდა სამძიმოდ, არც ისწრაფიდა სხვის ბარგად შექმნილიყო ოდესმე. კიდევ სცდილობდა შეემსუბუქებინა მოყვასისთვის სიმძიმე ცხოვრებისა, გაეფართოვებინა მისთვის გზა ვიწრო, თუნდა კლდოვანი. ვისა ჰქონდა უფლება მრუდის თვალით შეეხედნა მისთვის, ბოროტი განეზრახა მის ნორჩ ოჯახისთვის?! თუ ვინმე კეთილად იხსენებოდა იმ მხარეში, ისიც მათ შორის იხსენებოდა პატივისცემით. ვაჟკაცი თავის გარშემო არავითარ მტერს არა ჰხედავდა, არც არავისგან მოელოდა საზიანო მოქმედებას. გონების თვალს რომ გადაავლებდა წარსულ მოქმედებას და დაინახავდა სწორედ მიმავალ ბილიკს თავისის სიცოცხლისას, რომელზედ არ მოსჩანდა მისგან დათრგუნვილთ ნიშანი სისხლისფერი, გული ევსებოდა სიხარულით და მადლობას შესწირავდა განგებას.

– გმადლობ შენ, შემოქმედო, რომ ღირს მყავ დაცვად ჩემის სათნო ცხოვრებისა, დღევანდელ დღემდე! მომმადლე ძალა, წარვლო შემდეგნიც ჟამნი ცხოვრებისა ჩემისანი უზაკველად და სარგოდ ჩემად, ჩემის მოყვასისაც.

კმაყოფილი იყო ოთარი თავისის ხვედრისა, თავის თავს ყოველმხრივ მართლად ჰგონებდა, თავის მოქმედებას უხინჯოდ, შეუბღალავად: თუ ჯერ ბევრი სიკეთე არ მოეტანა მოყვასისთვის, ზიანიც არ მიეყენებინა მისთვის. ისიც ხომ სიქველედ ჩაეთვლება ადამიანს ამ ცოდვილ ქვეყანაზედ, თუ თავის ცხოვრებას საკუთარის მარჯვენით უძღვის, სხვის ტვირთად არ შეიქნება და არც დასთრგუნავს სხვის პიროვნობას, რომ მით აღაყვავოს კეთილდღეობა თავისი. უფროც გააფართოვებდა მოღვაწეობას, ხელს შეუწყობდა ნათელის გამეფებას ცხოვრების წყვილიადში, სიკეთის

განმრავლებას ბოროტებით გარემოცულ თავის ერში. არა ჰხედავდა მტერს თავის გარშემო, ბოროტის მისაგებლად განმზადებულ დუმმანს, არც ეგულებოდა ესეთი მავნე მთელ დუნიაზედ. ესეთი იყო ოთარის სულის განწყობილება იმ ჟამს, როდესაც ბოროტი ამხედრებულყო მის წინააღმდეგ, ისწრაფიდა დაენტქა მისი კეთილდღეობა. და თუ ვერ შესძლო ბნელმა განზრახვამ სისრულეში მოსვლა, ეს მხოლოდ მისთვის, რომ იმ შავ მისწრაფებას ვერ აჰყვა თან ძლიერი ნებისყოფა, ყოვლად საჭირო ამისთანა სიმედგრისთვის.

ოთარს არ დაჰვიწყებოდა ქალი საბედო, არც თავისი მასთან ოდესმე სიახლოვე, მაგრამ მის წინაშე არავითარ დანაშაულს არა გრძნობდა ის. როდესაც შეჰხვდა ოთარი განხორციელებულ თავის ოცნებას, იმ ჟამს საბედომ სრულებითაც ვერ მიიქცია თავისკენ მისი ყურადღება; იმ წამს აღარავისთვის არ ეცალა ოთარს, მისი არსება სავსე იყო იმ მოჩვენებით; სულის ძალანი მიქცეული ჰქონდა იქითკენ; მისი გონება, გული და ნებისყოფა ამ ნათელ საგანს დასტრიალებდნენ, მისკენ მიეპყრო მთელი თავისი გულისყური.

ყველა მისი მოძრაობა მაშინ უნებლიეთი იყო, აუცილებელი, მისგან შეუძარბებელი; მას სრულებითაც არ შეეძლო სხვანაირად მოქმედება. განა დანაშაულია ქარისგან მოხლეჩილი ტოტი რომ მოსწყდა იგი მზრდელ ადგილს და მიქანობს უღონოქმნილი?!

როდესაც მურაზს ეწია ოთარი და დაწყნარდა, მისმა გონებამ ისევ გაარჩია საბედოს სახე. მოაგონდა, რა ურთიერთობა ჰქონდათ მათ და რა იმედებით დასტოვა ის სოფლად. მაგრამ ყველა ამ გარემოებების გათვალისწინებამ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მასზედ, აღარც თუ ფრიად საგმობი რამ ნახა მაშინდელ თავის ქცევაში.

– მუშტრის თვალით შევხედე საბედოს და ნაბიჯიც წარვსდგი მისკენ, არა სრულად მივეახლე მას, არც თუ შევბღალე მისი ქალწულებრივი სიწრფოება. იმისთვის ვექცეოდი ისე ფრთხილად, რომ მხოლოდ გონების თვალთ მომწონდა ის, არ კი მიყვარდა; მუშტრის თვალთ ვაფასებდი მას: რახან სატრფო არ შემხვდა ცხოვრებაში, მეუღლესღა ვეძებდი ხელსაყრელს, ოჯახისთვის და პირად ჩემთვის სასარგებლოს. ავასრულებდი დაპირებულს, თუ უეცრად არ მომვლენოდა ის, ვისაც მარად შევსტრფოდი ოცნებაში. საბედომაც კარგად იცოდა, ხელქმნილი არ ვიყავ მისგან.

– არც თუ თითონ იყო შეყვარებული, უძლეველი რამ ვნებით ჩემდამი განმსჭვალული: მოვსწონდი, სასარგებლოდ მივაჩნდი, ხელსაყრელ საქმროდ. ავი მალე შეჰპრიებოდა ბედს და წასულიყო. ჭკვიანი ქალია და მიჰხვდებოდა, რომ სხვანაირად მოქცევა ვეღარ შემემლო, – ამბობდა ოთარი.

და სრულებითაც არ იწყენდა თავს იმაზედ ჩაფიქრებით, რომ შესაძლოა სიყვარულის გარეშე, ანგარიშთა ფარგალში დაემსხვრას ადამიანს თავისი ოცნება და იმ ზომამდის გაამწაროს ის, როგორც ვერ დაკმაყოფილებულმა ვნებამ ძლიერმა, მედგრად აამოქმედოს იგი და სასტიკი რამ გადაწყვეტილება მიაღებინოს. ამისთვის იყო, რომ კიდევ დაენანა ეხლა ოთარს, როცა უთხრეს, რომ საბედომ შემთხვევით გამოიარა სოფელზედ და ვერა გნახაო. თუ მისულიყო მასთან ქალი, ოთარი მიიღებდა მას, როგორც კარგ ნაცნობს, პატივისცემით გაისტუმრებდა სტუმარს სასურველს.

– რა უშავდა?! განა შეუძლიან ურთიერთობა ძირიანად შეცვალოს იმ გარემოებამ, თუ ერთ რომელსამე საანგარიშო საგანში ვერ მორიგდით და სოვდა არ შესდგა, არც აწარმოვდა? სრულებითაც არა! – ფიქრობდა ოთარი.

ვერ წარმოედგინა ის განსხვავება ძირითადი, რომ ამ შემთხვევაში საანგარიშო საგანი იყო თვით ქალის პიროვნება და თუ იგი სოვდა არ შესდგა, ამით ქალს მთლად

აებნა ცხოვრების სავალი. ვერ დაჰკვირებოდა ამას ოთარი; მაშინ, იმ ურთიერთობაში თითონ არ შეჰქონდა საანგარიშოდ მთელი თავისი პიროვნობა და ეგონა, ქალიც ამავე გარემოებაში არისო.

არც დრო ჰქონდა, ღრმად დაფიქრებულიყო ამაზე: მისი სული ჯერეც არ იყო საბოლოოდ დაწყნარებულ-დამშვიდებული, რადგან მისი კეთილდღეობა არც თუ ისე ურყევად-უცვლელი მოსჩანდა მის შემკრთალ გონების თვალწინ; მის ვარდობის ხანს მაინც აჰყოლოდა ზამთრის რამ სუსხი, რომელი დაჰბერავდა ჟამითი-ჟამად და ჰკუმშავდა მის სიხარულის ყვავილს უკვე გაფურჩქენილს. გარეშეთაგან სრულებით ვერ იყო შესამჩნევი ეს უნდო სიო, არც თუ მახლობელთათვის ადვილად სახილველი, მაგრამ ღრმად მგრძნობიარე გული მოტრფიალისა შიგადაშიგ ბუნდოვანად განიცდიდა იმას და თრთოდა შიშით, რომ ჟამთა სვლა უკულმა არ შეჰბრუნებოდა და სიხარულის გაზაფხულს ცხოველ ზაფხულის მაგივრად და გულსავსე შემოდგომის წილ პირდაპირ ზამთარი არ დაჰნაცვლებოდა სასტიკი. პირად ცხოვრებაში მოხდება ხოლმე ესე: იქ ისე როდია ყოველივე მოწყობილი და თანისთანად განვითარებული, როგორც მწყობრად მიმავალი დენა გარემო ბუნებისა.

#### 47

ზამთარი იდგა. გამრცვლიყო ბუნება, გაცრეცილიყო, ბეჩავად დაიყურებოდა ძირს თავის სამოს-სამკაულმოკლებული. თოვლ-ჰყაპს ჩაემავებინა დედამიწა, აეტალახებინა. ცვარ-ნამით შემძიმებული ღრუბლები ჩამოწოლილიყვნენ, დაბლა დაშვებულიყვნენ, დასწვდომოდნენ მიწის პირს; ჩაეხშოთ მზის შუქი, ჩაელამებინათ დღე, ჩაებნელებინათ. ცივი ნესტი ჟღენთავდა ტანს. ერთგვარი ხმაურობა ჟინჟლისა და რუებად მომდინარე ატალახებული წყლისა დარდს უმრავლებდა ადამიანს, ახშობდა, ამძიმებდა მის ფიქრთა დენას, ჰბოჭავდა მის გონებას, არ აძლევდა გრძნობებს სარბიელს სანავარდოს, უსიამოვნოდ სწურავდა გულს, ამრავლებდა მოწყენილობას. ვერც აზრთ, ვერც გრძნობათ ვერ გაეშალათ ფრთები თავისუფლად, ვერ მოეპოვებინათ იმდენი ძალა, რომ გაეტაცნათ ნებისყოფა, ძლიერად აემოდრავებინათ იგი, რათა მოქმედებაში გართულ ადამიანს ვეღარ შეენიშნა უჟმური დროის ტლანქი მსვლელობა; ადარ დაჰმორჩილებოდა კაემანს ურკვეველს, უსახოს, უაზროს და მით უფრო მძიმეს, აუტანელს. ადამიანისთვის, ცხოველისათვისაც წაერთმია ყოველი ხალისი ცუდს ამინდს. უგემურადლა მიმოიძროდა სულდგმული, სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული, სასომიხდილი, უმადური, არსებობის ტვირთით მდაბლად დახრილი, გაჟღენთილ მიწამდის ლაჩრად დაშვებული.

ჩალტობილიყო მთელი საუნჯარაც, ბნელად გამოიყურებოდა მწვირიანი, ჩაჟანგებული, მთლად უსახური. უშნოდ დაკარწახებული გაჭირვებული თუ გაივლიდა საფლობ-ხლარცვებით სავსე ქუჩაში ან ორღობეში. დაღრეჯილი, ლაფ-ტალახ ნასხურ-ნაპკურები.

მიყრუებული იყო ოთარის ეზოც, ჩაშავბნელებული, ცალიერი. მარტო ოთარი მოსჩანდა აივანზედ. ვაჟკაცს მოუთმენლობა ეტყობოდა სახეზედ თუ მოძრაობაში. თვალი ჰისკარისკენ ეჭირა. წამდაუწუმ დაჰყურებდა უბის საათს. გამოჩნდა ჭადარმერთული კაცი ქოლგით ხელში, უკან მოსდევდა ოთარის მოჯამაგირე, რომელსაც ჩანთა ეჭირა. ჩაირბინა ოთარმა კიბე, გაიარა ნაწილიც აჭიჭყნულ ეზოსი, რომ მალე მიჰგებებოდა მომავალს.

– ჰარიქა, ბატონო ექიმო, ჩქარა მოგვეშველეთ, თორემ დავიღუპებით!

– წინწკალაანთ წამიყვანეს ავადმყოფთან, იმაზედ შემიგვიანდა. განა უკეთობა არ დაეტყო იმ წამალზედ?

– არა! ლამის დაახრჩოს ბალლი.

– უმარჯვეთ კი წამალი? ნირი ხომ არ შეუშალეთ ან დრო არ ააცდინეთ?

– რა ბრძანებაა! საათით ხელში ვადგავარ თავს. ნუთუ სხვა სამველი აღარ არის?

ექიმი ჩაფიქრდა. უსიამოვნებამ გადაურბინა სახეზედ. გასწია სახლისკენ. საფიქრებელიც იყო: უკანასკნელი საშუალება სცადა და თუ იმანაც ვერ გასჭრა, მაშ სასწაულია მოარჩენდა ბავშვს, შემთხვევითი რამ მსვლელობა ავადობისა: ქუნთრუშა გამწვანებოდა პატარას, ჯირკვლები ჩამოჰსივებოდა ყელში და მთელი სასუნთქი აევარვარებინა. ჯოჯოხეთი დატრიალებულიყო სახლში: გულნაზის დედას ბავშვი გადაეწვინა მუხლებზედ და სულგანაბული ჩაჰყურებდა პირში; გულნაზი მისჯდომოდა დედას მუხლთან და უაზროდ მიემტერებინა ბალლისთვის თვალები. მეორე ბავშვის ხმა არ ისმოდა: ის ძიძასთან ერთად გაეხიზნათ ბოლო ოთახში და კარებიც ამოეხიზათ. ექიმმა რომ გასინჯა ავადმყოფი, გადაწყვეტილი არა უთხრა რა პატრონს. რაღაცა წამლის გამოწერა იწყო. მაგრამ დედის ალლო ვერ მოატყუა ვერც მისმა სიტყვამ, ვერც მოქმედებამ: ქალმა თვალებში შეატყო ექიმს, რომ არავითარი იმედი აღარ იყო და იქვე გული წაუვიდა. მოაბრუნეს. მეორე ოთახში გაიყვანეს.

მას შემდეგ ვეღარც გამობრუნდა ქალი, ღონეზედ ვეღარ დადგა, თითქმის გონს ვეღარ მოვიდა. ისე უაზროდ ჩაჰყურებდა გარდაცვალებულ ბავშვს, თითქო ვერ შეუგნიაო მთელი სიდიადე მოწევნილის ვაებისა. ცრემლი შეჰშრობოდა, თვალები დაჰგანიერებოდა; სპეტაკ შუბლს გამოუთქმელი მწუხარება სჰმუჭნიდა, ჰკეცავდა გატკეცილ კანს. ეს გარეგანი სახე იყო იმ აუტანელი ტკივილისა, რომელს ჰგრძნობდა ახალგაზრდა დედა, როდესაც მახვილმა განვლო მის გულში. განიცდიდა სასტიკ ტანჯვას და ვერ გაეკვლია მისი სივრცე უსაზღვრო, ვერც ჩასწვდომოდა მის სიღრმეს გაუზომელს; ვერ წარმოედგინა, როგორღა უნდა ეცხოვრა შემდეგში, როცა აღარ იყო მისი ბალლი, აღარ არსებობდა განგრძობა მისის პიროვნობისა, განმეორება მისის არსებისა.

შემძიმებული გონება ფრიად ტანჯული ვეღარ განსჭვრეტს ტვირთმსუბუქ მომავალს, ვეღარ წარმოიდგენს, რომ განუწყვეტლად მიმდინარე დრო თავის ტალღებით წარიტაცებს თვით დედის წამებას, თანდათან დაადნობს მას, დაამცირებს და ბოლოს უჩინარ ჰქმნის, მთლადაც განაქარვებს. ამას ვერ ითვალისწინებს ჭირისუფალი. იგი დარწმუნებულია, სიდიადე მწუხარებისა არ შემცირდება, ვერც შემსუბუქდება და ყოველთვის აუტანელი იქნება, როგორც პირველ ჟამს.

– ქალო, გულნაზო ჩემო, ნუ მოიკლავ თავს, ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას, ნუ წინააღუდგები ღვთის განგებას. ძნელია სიკვდილი შვილისა, აუტანელ-მოუთმენელი, გამოცდილი მაქვს ეს, მაგრამ მოთმინება უნდა იქონიო. როგორ შეიძლება თან გადაჰყვე ანგელოსს, ჩვენგან უკვე ზეცად მიწოდებულს?! ან როგორ შეგშვენის ეგრეთი უზომო ვაება, როდესაც ძუძუ-მკერდი ჯერ ისევ სავსე გაქვს პაწაწებით და შენი სინორჩე ბევრჯერ გახარებს შვილთა ყოლით? უნდა გებრალეზოდეს შენი დაღონებული ქმარიც, შენი უსუსური მეორე ბავშვიც! – ეუბნებოდა დედამთილი.

და გულში იკრავდა საყვარელ რძალს. გულნაზი უმწეო ბალლივით მიჰყრდნობოდა მოსიყვარულე ადამიანის კალთას; მაგრამ მის გულს საკვირვლად დაჰვიწყებოდა მეორე ბალლიც, თავის ქმრის სახეც. საზარელ სინამდვილეს ბურუსი გადაეფარებინა მწუხარის სულისათვის; ტანჯულ გონებას პირი შეექცია მისთვის, შორს გამდგარიყო ცნობიერების არედგან ვერ შემძლე ჰვრეტად უბედობისა. ჰსურდა ოთარს მიახლოებოდა, შეწუხებულ მეუღლეს, მოჰხვევოდა მას, თავის ცრემლთა

ნაკადი შეეერთებინა მის სიმძიმის ჩანჩქერისთვის. ამოდ! ცოლი უკუდგებოდა მისგან, ბოროტი რამ უარყოფა გაუელვებდა თვალებში; გულთ ისწრაფიდა ვაჟკაცი ამ ავ დროს მჭიდროდ შეერთებოდა თავის მეუღლეს, რომ ორმაგი ძალით უფრო მძლავრად შეჭბრძოლებოდნენ მათხედ მოზვავებულ განსაცდელს; ქალი ანაზდად მიდრკებოდა ქმრისაგან თითქო შემკრთალი, შეშინებული; ოთარს უნდოდა გულმტკივნეულად შეჭხებოდა ქალის მოდუნებულ მაჯას; ქალი ხელს მსწრაფლ აშორებდა, ზიზღი აღებეჭდებოდა სახეზედ, თითქო ქვემძრომი მიახლებოდა მას ლორწოშვებული. შეძრწუნდა ოთარი. ნახა თავისი განრისხვა ძვირფას მეუღლისაგან და ისეთი სიმწარე იგრძნო, ლახვრისა პირი გულს დასობილი, რომ სასტიკმა ტკივილმა შეამცირა შვილის სიკვდილისგან გამოწვეული ვაება და სხვა ახალ, მისთვის უსაშინელეს განსაცდელისკენ მიმართა მისი ყურადღება. შენიშნა ოთარმა ახლად გაპობილი უფსკრული თვის ფერხთ ქვეშ და შედრკა უეცრივ, გზა აებნა, მუხლი აუთრთოლდა. წარმოუდგა მომავალი წყვილიადა მთელის თავისი უაზრო თუ უსახო ყოფისა და შეძრწუნდა ფრიად. ველარ გაბედა მიახლოვებოდა ცოლს, ველარც სათქმელი ჰკადრა მას რამე და აწ შვილის საფლავზედ სტიროდა ოთარი დაფლვასაც თვისის კარგის ბედისა, რომელი მისმა სასომიხდილმა გონებამ დასახა დამთავრებულად, ღრმად დამარხულად, მიწამიყრილად.

#### 48

ეს ახალი უბედურება ძნელი სახისა აღმოჩნდა ოთარისთვის, თითქო საბედისწერო. ის არ იყო მისთვის მთლად მოულოდნელი: მის ნასახს იმთავითვე ჰხედავდა და კიდევ უკრთოდა მას; ჰგრძნობდა მის ახლო არსებობას ჯერ ისევ მაშინ, როდესაც იღბალმა გაუღიმა მას გაზაფხულის მზესავით და ცხოვრების გზა ვარდის ფურცლით აუფერადა. ეწია ვაჟკაცი თავის ნანატრს, განახორციელა ოცნება თვისი: ქებინი გაიჭრა საყვარელ ქალზედ, მაგრამ ჰხედავდა, ეს მისი ნეტარება ცალმხრივ ტრფობაზედ იყო დამყარებული, თავის საკუთარ სიყვარულზედ ქალისადმი. ქალის მხრივ კი ბედნიერების კომკს მას ბროლისას მკვიდრი ბურჯი არა ჰქონდა შედგმული, ვერ ემყარებოდა ისეთს სალს კლდეს, როგორიც არის სიყვარული ურყეველი. ცივი არ იყო გულნაზის გული ოთარისთვის, მაგრამ არც მდულარე იყო და აღარ აუხირდა გონებას გული, გაჰყვა მისგან ნაჩვენებ გზას ცხოვრებისას. შესამლო შეიქნა ეს, რადგან გულნაზი ძლიერ ნაწყენი იყო თავის საოცნებო რაინდის მხრივ, მისი გული გაბზარ-გაკაწრული იყო იმისი ქცევით და შორს გამდგარი. უსიამოვნო მოვლენა იყო ეს ოთარის ცხოვრებაში, მაგრამ არც თუ ისე ძლიერი, შეემღვრია მისთვის სიცოცხლე ტკბილი; ახსოვდა, სამყაროში არაფერი არის ყოვლად სრული და შეუძლებელი იყო მის ბედნიერებასაც რაიმე ჩრდილი არ აჰყოლოდა შავეთის მანიშნებელი. სწამდა ცხოველი მზე მისის კეთილისა განფანტავდა ნასახსაც სიამეთა სინაკლულისა და საცნაურ ჰყოფდა მასში სავსებას ნეტარებისა.

– მიყვარს! ტრფობა ჩემი ყოვლად სრულია და ძლიერი. წრფელმა სიყვარულმა მომცა ხელთ ნაყოფი საესავო. იგივ ალაგზნებს ქალის გულშიც კანდელს ტრფობისას. მაშინ სავსებით შემიერთდება იგი სულითაც, გრძნობათა სიუხვით. სიამით განვვლით საწუთროის გზას. იმ ცხოვრებაშიც ტოლად ვიქნებით. მე ვუწინამძღვრებ ძნელ სავალ გზაზედ, ის განმინათებს ბნელსა გარესკნელს, კვალს დამისახავს საყდრისადმი ნათელისა მის მხიარულისა! – ოცნებობდა ოთარი.

და გარს ახვევდა ქალს თავის სიყვარულის ქსელს გამჭვირვალეს, თავს ევლებოდა ბედნიერი, ისწრაფიდა მისთვის ეცხოვრნა, მისთვის შეელივნა თავისი

პიროვნება, მასზედ სისრულით დაებერტყნა თავისი კეთილი სურვილები თუ საიასალო მისწრაფებანი. ჰხედავდა კიდეც ამაო არ იყო მისი იმედი, ფუჭი არ იყო მისი მისწრაფება: ატყობდა, როგორი თანდათანობით უახლოვდებოდა მისი მეუღლე მას სულითაც, უღებდა კარს ჩვილ გრძნობათა საგანძურისას, ხელაღებით და სიამით მიუზღვნიდა თავის არსებას, ხორციელ თუ სულიერ თავის ბუნებას. რამდენჯერ შეუნიშნია მას ქალის სახეზედ სრული კმაყოფილების ღიმილი, როდესაც ის მთლად მინდობილი მიჰსვენებოდა ქმრის მკერდს და მძლავრ მკლავებით გარშემორტყმული მისცემოდა ოცნებებს გარინდებულს, ცნობიერების საზღვარს გადაბიჯებული, ჭრელ რამ ბურანში მთლად გახვევული, ბუნდოვან ნატვრათა ლამაზ ფრთებით გატაცებული.

– ვიცი ეხლა, გამოცდილებით ვიცი, შესაძლოა ადამიანიც შეიქნეს ნეტარი, როგორც ერთი ღმერთთაგანი. ვაჰ, თუ იგი ნეტარება ვერ იყოს დაუსრულებელი, თუ მასაც ჰქონდეს ბოლო უცილო, როგორც ყოველსავე ამ წუთიერ ცხოვრებაში! მაგრამ არა: ჭეშმარიტი სიყვარული ანარეკლია საუკუნო სიყვარულისა და უნდა განიგრძოს დაუჩრდილავი იმიერ ცხოვრებაშიც. მაშ როგორ შეიძლება საუკუნო ცხოვრების ტრფიალი, სამარადისო ყოფნის სიამე, თუ მოსცილდება ნეტარი სატრფოს?! განა შეიძლება იცხოვროს არსებამ, თუკი ამოსწვდა სულს ცხოველმყოფელს?! – ფიქრობდა ვაჟკაცი.

და ნაზად უსვამდა ხელს კულულებზედ ბაგემღიმარეს, ბალღით რომ ჩასძინებოდა მის მარცხენაზედ. ეს გრძნობა, რომ მეუღლე თანდათან იმსჭვალებოდა მისადმი სიამით, რომ მათის ერთობის კოშკს ბროლისას მეორე მხრითაც უმაგრდებოდა საფუძველი და დადგებოდა ის ბედნიერი დრო, როდესაც იგი გოდოლი სიყვარულისა მყარი შეიქნებოდა და ურყეველი, მთლად რწმენად გადაეცა, თვალთ სახედველ და ხელშესახებ ჭეშმარიტებად, როცა გაუჩნდათ მათ პირველი შვილი. ქალი რომ გონზედ მოვიდა და მოეცა ღონე მოქმედებისა, მოითხოვა თავისი პირმშო, ჩაიკრა იგი, მოჰხვია მეორე ხელი თავის ქმარს და დაჰკოცნა ორნივე. ოთარმა ჩაჰხედა მაშინ თვალეში თავის ცოლს და დარწმუნდა, იმ წამიდან იგინი უკვე განუყრელი მოტრფიალენი არიან ერთმანეთისა, ერთურთისთვის გაჩენილნი, უერთმანეთოდ მოუგონარნი.

– და ის ლანდი განკერძოებისა აღარ მოგეჩვენება არასოდეს?

– არასოდეს!

– ვაითუ...

– საქმეც ის არის, რომ ვისაც რაიმე ნიჭი მისცემია ზეგარდმო, მას შეუძლიან იმ ნიჭის ზრდა შეუფერხებლივ, დაუსრულებლად, ოღონდ კი იზრუნოს მასზედ ღირსეულად და შესაფერად. სიყვარულის უნარიც დიდი ნიჭია.

– შენ ეგრე გჯერა?

– მწამს ურყეველად!

– მოიფიქრებდი მაშინ, პირველად რომ ღირს იქმენ ხელი შეგეხო სატრფოსთვის, რომ შენი ნეტარება შეიძლებოდა უფრო გაძლიერებულიყო?

– თავის დღეში!

– ჰხედავ, უფრო აღივსო იგი სიუხვე სიამისა, მთლად აპირთავდა; აბა შენ იცი, როგორ გაირჯები, როგორ აზრიანად და გრძნობიერად თავს შემოევლები ამ შენ საბედნიეროდ შეთხზილ ქმნილებას და ღირს იქნები იმ დატკბობისა, რომელი წილად გხვდა შენ, კეთილსრულო!

და გააორკეცა კიდეც იმ დღიდან თავისი შრომაც, თავისი ზრუნვაც თუ ყურადღება როგორც საკუთარ ოჯახის კეთილდღეობისადმი, ისე საზოგადო ცხოვრების მაღლიანად წარმართვის შესახებ.

გულნაზი იმ თავითვე გრძნობდა ვაჟკაცის ტრფობის სიდიადეს; იმისთვის მიენდო მას და მიაყრდნო თავი. გაჰყვა გულნაზი. იშვებდა ოთარ. მაგრამ მაინც გამოკრთა წამი, როდესაც ოთარის გასხივოსნებული ცაზედ გადაქანდა აჩრდილი უსიამო უკვე ძლეულ სიძნელეთა, დაბრკოლების ნასახი ღონემიხდილი. იმ დროს იყო ეს, როდესაც თავგვირგვინიან ქალს, თავის ახალ ოჯახში მიმავალს, მოულოდნელად თვალთ წინ წარუდგა თავისი ოცნება ანდუყაფარი. გადუტრიალდა ქალს გული, წამსვე ჩაჯდა იგი საგულეში. სწრაფად მოხდა ეს გამოკრთომა ელვისა. ანაზდიდვე მიეფარა მოჩვენება უჟამო, ქალის გულს მაინც გაჰკრა ფრთა, კვალი დასტოვა იქ, სრე თვალთ უჩინარი, გესლიან ეკლის წვერით ნაკაწრ-ნამზნევი. შემდეგში კიდეც გაიხსენა ქალმა იგი რაინდი, როდესაც ამოიკითხა დედის წერილში:

– სხვა ახალი ამბავი ის არის, შვილო, რომ ანდუყაფარ სულ განზედ გაუდგა ლიუბას, აღარ დაიარება მათ სახლში. ჩვენებმა მაქანკალიც კი მიუგზავნეს მას და ათასი დაპირება შეუთვალეს, მაგრამ ამაოდ. იმ დღეს შემხვდა ანდუყაფარ და მომიკითხა, შენი ამბავიც სულ გამომკითხა.

გულნაზი დალონდა; თითქო დაენანა, რომ აჩქარდა მაშინ, არ აცალა გარემოებებს ბუნებრივის დენით ჩაევილოთ, წინ უსწრო მათ მოუთმენლად. ყველა ამ ფიქრთა ნასახმა თუ დაგვიანებულ სინანულის ლანდმა მხოლოდ ჩაუქროლეს მის ცნობიერებას და უკვალოდ განქრნენ არედან, როგორც უნიადაგონი, სამოქმედო ძალის აღარ მექონნი. შემდეგში ერთხელ კიდეც დაუდგა ქალს თვალთ წინ ანდუყაფარის სურათი. ამოიკითხა ცნობა: შორეულ ქვეყანაში თავი ესახელებინა თვისის სიმამაცით, მიექცია ყურადღება ძალთ მექონისა და მოეხვეჭნა სახელი უებრო გმირისა, თუმცა კი მასაც ვნებოდა: დაჭრილი გამოსულიყო ბრძოლის ველიდან.

– ვინ იცის, გულშემატკივარი მომვლელიც არა ჰყავ გვერდით! ცოლი რომ ჰყავდეს, მსწრაფლ მიჰხედავდა, ყოველ ღონეს იხმარებდა განსაკურნებელს, – გაიფიქრა ქალმა

და მიეცა ოცნებას იმაზედ, როგორ დატრიალდებოდა მისი ბედ-იღბალი, თუ მაშინ, იმ მის ცხოვრებაში შესანიშნავ ღამეს, როდესაც პირველად გაიცნო მან ოთარი, ისე გარეწრად არ მოჰპყრობოდა მას ანდუყაფარი ან კიდეც თითონ გულნაზს შეემაგრებინა თავი და არ მიეცა თავისუფლება თავის გოროზ გულისათვის. უბრალო ფიქრიღა იყო ეს ქალისთვის, გარდავლილი რამ საგანი აზრთა დენისა, უკვე გარდასრული, ჩამქრალ-ჩანელებული და ჩანავლილი. ქალს უყვარდა ოცნება, ჰაეროვან სურათთა სახვა და ათასნაირი ფრთათეთრი საგანი ჰქონდა ფიქრთა სახალისო. ეს მოგონებაც გულის გადასაყოლებელ საგანთაგანი იყო მისთვის, უკვე უხორცო თუ უნიათო, უნიადაგო და უშედეგო. მაინც განირჩევოდა ეს სურათი სხვა საგონებელთაგან: ამ შემთხვევის მოგონება გულს უსიამოვნოდ უკუმშავდა, გუნებასაც უფუჭებდა, უგემურ ხასიათზედ აყენებდა; იმ წამიერ შემთხვევას, ანდუყაფარის მოულოდნელად მის კარს მისვლას, ნამდვილ გაეკაწრა ქალისთვის გული, ფხა გაეკრა, გადაესერნა.

და იგი ნალახვრი ჩარჩენოდა ქალის გულს, სევდა იდუმალი ჟონავდა მუნ, ვით საგუბარში. მცირე იყო სავანე იგი სევდისა, მხოლოდ თითონ ჰხედავდა მას ქალი, მაინც არსებობდა იგი გულში მშვენიერისა.

ოთარისათვის დახშული იყო ოცნებათა კარი მეუღლისა: ჯერ არ იცნობდა იმ ნაზად მომდინარე სურათთა ნაკადს; არ იცოდა, რა ათამაშებდა მის მეუღლის სპეტაკ

ლაწვებზედ ხან ვარდთ სიწითლეს, ხან ფიფქთ სითეთრეს; რა იყო, რომ ხან დარდის ნასახი გამოუკრთოდა ლამაზ თვალებში, ხან ღიმი ეკონებოდა ბავშვურ მის ბაგეს.

გრძნობდა კი ოთარი ამ ოცნებათა სავანეს არსებობას, მაინც ჰხედავდა მას, თუმცა ბუნდად. რამდენჯერმე კიდეც სცადა შეელო ამ საიდუმლო წალკოტის კარი, მაგრამ ამაოდ: მისი ხელი ჯერ ვერ იყო ისე მოქნილი და მგრძნობიარე, რომ მტკიცედ ეპყრა სხივთაგან ნაჭედი გასაღები, რომელი ხსნიდა გზას იმ ოცნებათა სამფლობელოსკენ. მნელი იყო ვაჟკაცისათვის ამგვარი ყოფა საფიქრებელი.

– როგორ?! მაშ განა ასატანია, ეტრფოდე მიჯნურს ყოვლითა გულითა შენითა, ისწრაფიდე შეიგნო იგი ყოვლითა გონებითა შენითა, შეგინდეს იგი ყოვლითა ნებისყოფითა შენითა, მაგრამ ვერ შესძლო სულის მისისც გაზიარება?! მკერდს გყავდეს იგი ჩაკრული, თვალებს უკოცნიდე მას, ვერ კი გაუგო გულისკვეთება?! ვერ განგიცდია სიტკბოება მის არსებისა! მხოლოდ მის ნივთიერ ბუნებას ახლოვებულხარ, ხოლო სულიერი არსება მისი დღესაც მიუწითომელია შენთვის! ხორცს ეზიარო, სული ვერ გაიზიარო! ხომ დაგეთრთვილა გული საბრალო და ჩაგიშავდა უდროვ-უჟამოდ...

მაგონდება ზღაპარი: უძლეველ დევს თან არ ახლდა თვისი სული, კოლოფში ჩაეკეტათ იგი, ზღვაში დაეკრძალათ, თევზის თავში. მებრალეობდა ის დევი, თავის სიცოცხლე თითონ არა ჰქონდა: დარწმუნებული ვიყავ, უძლეველი თითონ უკეთ დაიცავდა თავის სულს მტრის ხელიდან. ოთარს რომ ვუყურებდი ეხლა, ის დევი მაგონდებოდა: მისი სული სხვის ხელთ იყო, გულნაზის არსებაში მომწყვდეულიყო. ამ ქალის სიცოცხლითა სცხოვრობდა იგი. თუ ის გაიღიმებდა, აღიღინდებოდა, შუქურ მხიარულებისაკენ მიაქცევდა თვალებს პირმანგი, ოთარის სულსაც სიხარული ეფინებოდა, ფრთოვანი ხალისი დააჩნდებოდა. მიაბიჯებდა მაშინ ოთარ ცხოვრების გზაზედ, როგორც რომ გმირი მოჭირნახულე, ხალისიანი, დაულალავი. თუ დაიხურებოდა გულნაზის გული, მოსცილდებოდა მის ბაგეს ღიმი, ჩაჰქრებოდა მის თვალებში სხივი სიხარულისა, კაცის სულიც შეიხრებოდა: აზრი ეფანტებოდა მკვლევარი ჭემარიტებისა, გრძნობა უკნინდებოდა მშვენიების განმცდელი, მისწრაფება ერყევოდა კეთილთ მძებნელი; გარდიქმნებოდა უბრალო ძონძად, კაცის სახედ მავალ უსულო საგნად, უხმარ არსებად, მთლადაც უვარგისად. გამოუთქმელის ტანჯვით შეჰყურებდა მაშინ ტყვექმნილი თავის სატრფო შუქურს, რომ დაენახა მის თვალებში იმედის შუქი და გარდაქმნილიყო ვაჟკაცადვე მძლედ, აზრიანად, ლამაზმგრძნობელად, კეთილმოქმედად.

როცა პირველი ვაჟი გაუჩნდათ, ახალგაზრდა დედამ იმაზედ გადაიტანა თავისი სიყვარული, გარს შემოახვია მას ყველა თავისი ნატვრა, თვით იგი საიდუმლო ოცნებებიც. დარწმუნებული იყო შესძლებდა განეხორციელებინა თავის ვაჟის პიროვნებაში ყველა თავისი ნატვრანი თუ მისწრაფებანი. მშვენიერი ბალლი იყო, აზრიანად მოღიმარე. გამოზრდიდა დედა პატარა ყაფოს, როგორც შეეფერებოდა მის განათლებულ დედ-მამას, მათ კარგ შეძლებას თუ გვარიშვილობას. უთუოდ რაინდად აღზრდიდა, გამოჩენილ ვაჟკაცად. დიდად განათლებული ჭაბუკი დადგებოდა, მაგრამ მაინც სამხედრო პირი; ანდუყაფარს დაემსგავსებოდა მისი მოსახელე! ისეთივე თვალ-ტანადი, კისკასი, მაგრამ უფრო განათლებული, დაკვირვებული და გულჩვილი.

– იმისთვის რომ, თუ იმ ანდუყაფარს მკერდში ყინული არა სდებოდა მაშინ, იმ საბედნიერო საღამოს, უთუოდ იგრძნობდა ქალწულის გულისკვეთებას და გარეწრად არ მოეპყრობოდა მას, არც გაჰხედავდა შეელახა მისი თავმოყვარეობა ისე სასტიკად, ისე უაზროდ, – გაიფიქრა ქალმა.



ჯავრით ეხლაც კი შეწითლდა, როცა წარმოიდგინა ის სურათი, ჭაბუკი რომ სხვა ქალწულს ეალერსებოდა, მას მთლად უყურადღებოდ სტოვებდა, როგორც ვინმე უხამსს, საწყალს, სამადლოს.

– რა ეგონა? განა გულნაზი მისის სურვილით ისე შებოჭილიყო ან დამდაბლებულიყო, რომ აიტანდა მისგან ყოველგვარ უარყოფას და დამცირებას? თავის დღეში! მისი მოუფიქრებელი მოქმედებით ისარგებლა სხვამ და წარსტაცა ბედი მტკბობელი. კარგადაცა ქნა! მაშ რა ეგონა თავწასულს?!

– ახია იმაზედ! ნამდვილ ესე იყო საჭირო: ალბათ არა ჰქონდა სრული სიყვარული ჩემი, თორემ ვერ გაბედავდა ისეთს თავხედობას. კარგი ვქენ, ნება დავრთე ოთარს და გამოვყევ. აკი აფასებს კიდევ ჩემს მოქმედებას, თავყვანსა მცემს, ჩემზედ ამოსდის მზე, – ამბობდა ქალი

და ცდილობდა გაემართლებინა მაშინდელი თავისი ქცევა. გულის სიღრმეში კი იგი ქცევა მაინც აჩქარებულად მიაჩნდა და თავს უსაყვედურებდა, რომ თავისი ბედი უთმენლობით სხვა მხარეს მიჰხარა.

– სასტიკად დავსაჯე რაინდი ჩემი, თუმც ღირსეულად. ვაი, რომ იგი მისი სასჯელი თვით ჩემი პიროვნების სიკეთიდან იყო აღმოკვეთილი და მწვავე ჩემთვის, ძნელასატანი. დავსაჯე იგი, თვითც დავისაჯე! აწ გარდასრული ამბავია ეს, ფერფლად ნაქცევი, მივიწყებული. ჩემი თანამეცხედრეც კი ვერა გრძნობს, რომ იმ ჩემი რჩეული რაინდის სახე ისევ ცოცხალია ჩემს საწყალ გულში. თითონ ანდუყაფარ ხომ ვერც კი წარმოიდგენს ეხლა, რომ ქმარშვილიან დედაკაცს ისევ მახსოვს იგი, რომ ცხადად მიდგა თვალთ წინ ის წუთები, როდესაც შეირყა ჩვენის ურთიერთობის ნიადაგი და ავცდით ერთმანეთს.

– იქნება ვცდები, იქნება გრძნობა მაშინდელის ტრფიალებისა მისგანაც შეგნებულ იქნა და ის განცდა იყოს იმის მიზეზი, რომ ვაჟკაცი დღემდისაც თურმე უცოლოა, რომ ჯერაც ვერ უპოვია მას თავისი ცალი თუ გულის სწორი. ვერც იპოვის, თუ მართლა ესეა, თუ მაშინ მართლა ვერ შეიგნო თავისი ნამდვილი გრძნობა და უღალატა მას. ველარ იპოვნი, თავხედო გმირო! განცდით გარწმუნებ, ველარ შეჰხვდები!

ესე ფიქრობდა გულნაზი, როდესაც მის აზრთა დენა მიიყვანდა მას გულში ჩარჩენილ სევდის აუზთან. ესეთი მისი ფიქრები თუ ოცნებები მაინც თანდათან ხუნდებოდნენ, მქრალდებოდნენ, არარაობისკენ მიიქცევოდნენ. შემდეგ თითქო მთლადაც განქრა ქალის გონებიდან ამ სახის ფიქრები, როცა რაინდის სახე შეუერთა მან თავის პირმშოს და განიზრახა მასში აღეზარდა იმ სახის ჭაბუკი, მაგრამ უკეთესი, მრავალგზივ მჯობი. ეს შეიქნებოდა საგნად უცვალებელის მისის სიყვარულისა: მასში დაემყარებოდა გრძნობათა სიმძლავრე თავდადებული დედისა, სიამაყე ოცნებათა მოტრფიალე ქალისა, დაუშრეტელი სიმდიდრე აღტაცებულის მისის არსებისა. გულნაზის გული მტკიცედ შეაკავშირა პატარამ თავის ქმრის სახესთანაც, განუყრელად შეაერთა იგინი: ამას იქით ქალი თავის ოცნებაშიაც აღარ გასცილდებოდა ოჯახის ფარგალს, მტლად დაედებოდა ქმარ-შვილის სიკეთეს, თავს შესწირავდა მისთვის ძვირფასებს. დაყუჩდა ქალის გულისთქმა იდუმალი, განქრა ყოველივე სინანული თუ უნდო შეფასება წარსულ-აწმყოსი.

ოთარმა იგრძნო ეს ცვლილება მეუღლის გულში, მიჰხვდა, რომ ჩადნა სიგრილის რიდე უკანასკნელი. მეუღლე ხელალებით მიეყრდნო მას, უკვე მთლიანად და გულუბრყვილოდ აზიარა თავის არსებას, სულიერს თუ ხორციელ თავის ბუნებას. ეს იყო საუკეთესო ხანი ოთარის ცხოვრებაში, როდესაც ის სავსებით სავსე იყო სიამით თუ კმაყოფილებით, როდესაც მთლად გაჭაბუკებულიყო ფრთებშესხმული და

ისწრაფიდა, სასიკეთოდ გადაეფურჩქნა თავისი ძალები, რომ მისწეოდა წადილს გულისას და თავი მოეწონებინა თავის საყვარელ მეუღლისთვის, მახლობელთათვის, მოყვასთათვისაც, მთელი ხალხისთვის. ამ დროს იყო, რომ გულნაზის გულშიც თითქო მთლად ამოშრა საგუბარი იგი სევდისა და უხმარ იქნა მოსასპობლად განმზადებული.

თუ ესე განეგრძობოდა მათი ცხოვრება, ქმარ-შვილის გვერდით დამკვიდრდებოდნენ ქალის საუკეთესო ოცნებანიც; წარიხოცებოდა ქალისთვის ოჯახის გარეშე ყოველივე საგანი პირადის სიამისა და კეთილყოფისა. მაგრამ უმუხთლა ბედმა ცხოვრებისგან გალაღებულ ოთარს და დახარა იგი მიწამდის: წაართვა შვილი ნანატრი და ჩაშალა ცოლ-ქმრის შუა კავშირი მტკიცე, თითქო უტეხი, ხელდაურევი. ცნობად მოსულმა ქალმა რომ ხელი შეახო გაცივებულს თავის იმედს და სიყვარულს, თავის პატარს, მის თვალში ყოველივე ღირებულობა დაჰკარგა მთელმა ქვეყანამ, ნორჩმა ოჯახმა, თვით მეუღლემაც. მისი გული აღანძ-აზუგა აღმა ბოროტებისა, მედგრად გადმოჰხეთქა მწვავმა მან ცეცხლმა ქალის თვალებიდან და მრისხანედ უარჰყო მთელი ოჯახიც, ქმრის პიროვნობაც; ნაცრად აქცია მან იგი ყველა, მთლადაც ჩანავლა და გაამტვერა. ქალმა უარჰყო ქმრის სიახლოვე, მისი იმედიც. ვერ შეიწყნარა მისი ტანჯვა, ვერც შეაფასა. მასვე დასდო თავის გულში ბრალი უბედურებისა. ქალის გონება ვერა პოულობდა ვერავითარ საბუთს თუ საბაბს ამ სასტიკ დასკვნისთვის: იცოდა, როგორ ეწამებოდა ვაჟკაცი და არავითარ მზრუნველობას არ აკლებდა ძვირფას ავადმყოფს, ვერც დააკლებდა: მაგრამ შმაგქმნილი მისი გონება არ ეძებდა სიმკაცრისთვის რაიმე საბუთს, თუნდ აჩრდილს საფუძვლისას; იმდენად უფრო მტკიცედ დასდგომოდა თავის განაჩენს, რაც უფრო შეუძლებლად მიაჩნდა იგი.

– უნდა დასაწყისშივე ეზრუნა სათანადოდ, ყველა ღონისძიება მიეღო, არ მიეყვანა საქმე ამ უბედურ ბოლომდის. თუ ნამდვილ ვუყვარდი, უნდა აეცილებინა ჩემთვის ეს სატანჯველი. რატომ ვერ შესძლო?! იქნება გრძნობდა კიდევ, რომ მინდოდა აღმეზარდა ჩემს პატარაში იმ ჩემის ტრფობის სახსოვარი სახე უებრო. იქნება...

და სახმილის ალივით აღზნებული ფიქრი ჰგვემავდა მასაც სასტიკად, მედგრად უარჰყოფდა კაცსაც, ჯოჯოხეთურ ტანჯვით განრღვეულს.

გულნაზი მართლა და მკაცრად მოეპყრო მაშინ იმ თავის რაინდს, ერთობ სწრაფად დასაჯა ანდუყაფარ და თავისი თავიც. ჭაბუკი პირველ სხივად შეჰხვდა მას ცხოვრების ბჭეში, გული აუბგერა განთიადით სიყვარულისა, ამოდ ატკინა ძუძუ ახლად გაღვიძებულ სურვილებით და ცოდვა იყო ესე სწრაფად მოკვეთა მისი, უკუგდება განუკითხავად. ვაჟკაცი თითონაც გამსჭვალულიყო ტურფისადმი მისწრაფებით. უცაბედად მოუვიდა აღქატს ის მარცხი, დაუფიქრებლად. სათანადოდ ვერ შეაფასა თავისი ღრმა გრძნობა, ვერც გაზომა გამოუცდელმა. მისთვის აწყენინა შეუნდობელად თავის გულის ვარდს, შეულახა თავმოყვარება და განარისხა თავის სავალალოდ. ჯერ არ იცნობდა კაცი თავის თავს, ვერც თუ შეეგნო სიდიადე იმ ჭრილობისა, რომელი ჩაჰკვეთა ქალის მშვენებამ, ისრად რომ დაესვა იმის ჯერ ნორჩ გულს. იმას ეგონა, წამიერ ჟინს დავემთხვიე, წუთიერ რამ გატაცებას, ლტოლვილების მხოლოდ დროებითს აღტყინებასო. უკვე გამოცდილი ჰქონდა უხანობა მიმომქროლ მიჯნურობისა: დასცხრებოდა ვნება და დატყვებულ იქნებოდა საგანიც ვნებისა,

მთლად მივიწყებული. იმათ შეუფარდა ეს ახალი სახე გრძობათა მეტყველებისა, გარდასრულ ლტოლვებს; მიტომ თავხედად მოეპყრო თავის გულს, დაუფიქრებლად და შეუნდობლად. ეს იყო იმ მისთვის სახიფათო შემთხვევის მიზეზი. მისი გრძობა საიშვიათო ტრფობის დასაწყისი ყოფილიყო, ვერ კი მიჰხვდა ამას ანდუყაფარ.

ტოლის არჩევის შესახებ ანდუყაფარ ჯერ ნასესხებ აზრებით ხელმძღვანელობდა, აღმზრდელ-მშობელთაგან მხოლოდ გონების თვალით დამუშავებულ შეხედულობით, იმ მახლობელთ მიერ დასკვნით თვალსაზრისით, რომელთ უკვე დრო მოეჭამათ, ამომქრალიყვნენ; რომელთ ბუნებაში უანგარო გატაცება და გრძობათა რაინდული მისწრაფება ჩაფერფლილიყო და მხოლოდ სარგებლობასდა ჰხედავდნენ სიცოცხლის შესაფასებელ საზომ-საწონად. იმას ეგონა, რახან გვერდით უფრო სასარგებლო ქალი ამოუდგა, გავლენიან ოჯახის შვილი და შეძლების პატრონი, გულის რჩეულიც შეიქნებოდა იგი. პირველ ხანში, სანამ საქმე მხოლოდ არმყოფაზედ და აღერსზედ იყო მივარდნილი, სანამ მხოლოდ დროს სატარებლად მიჰმართავდნენ ქალ-ვაჟი ერთურთს, თითქო ყველაფერი მარჯვედ მიდიოდა, უხინჯოდ და ურყევლად: ლაღობდნენ, ცელქობდნენ, ოცნებობდნენ, დათამაშობდნენ. შემდეგ, როცა მოიწია ჟამი უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმისა, უნდობლობა დააჩნდა ვაჟვაცს და გადრკა იგი, განზედ გაუდგა ქალწულს. გულმა აიმაღლა ხმა, შეურყია ნებისყოფა განზრახულ საქმის აღსრულებაში. ველარ წარსდგა ნაბიჯი უკანასკნელი, შებრუნდა უკუ, განერა იქაურობას, განშორდა, მთლადაც მიატოვა.

და თვალწინ დაეხატა გამოფხიზლებულს სახე გულნაზისა. აგერ იგი, მისგან ნაწყენი, გულამღვრეული. სხვა ვიდაც მიახლება თაყვანისცემით, ჰსცდილობს ეპატრონოს, თითქო სიწმიდეს რასმე დატევებულს. ცხადად დაესახა ეს სურათი, მკაფიოდ, უფრო ნათლად, სანამ სხვა ყოველი სინამდვილე. და ჩამოეცალა თვალთაგან ბინდი! მიჰხვდა ყველაფერს! იტაცა თმას ხელი თვის დასასჯელად განმზადებულმა. მოახტა მერანს. წაესწრაფა საყვარლისაკენ. აღარას ფიქრობდა. სადღა ეცალა საფიქრებლად?! არცღა საჭირო იყო რამ მოაზრება: თვით ჭეშმარიტება ედგა თვალწინ ხორცშესხმული. აღარც იმაზედა ზრუნავდა, რა უნდა ექნა: უკვე ხედავდა, რასაც იქმოდა.

– მივალ! ოღონდ კი ჩქარა, ახ, ჩქარა. მივალ, დავემხვები მის წინ, კალთას დავუკოცნი უღირსი. ვეტყვი მომიტევოს შეუგნებელს შეცოდება ძნელი და... წავიყვან საყდარში, პირდაპირ ეკლესიაში! განა შეიძლება დაჰკარგო თუნდ ერთი წამი იმ ვარდისფერ ნეტარებიდან?! მოვდივარ, გენაცვალები! არ გამირისხნდე, არც უკუმაგდო! ნუ, ნუ ჩამანთხევე მე უფსკრულში მწარის ნაღველის!

ჭაბუკის ეს ფიქრები არა ჰგვანდა სხვა მის ფიქრებს: განყენებული აზრები კი არ იყო ეს, სახეები იყო უკვე ცხადქმნილი: კი არა ფიქრობდა ჭაბუკი იმას, რაც უნდა ექნა, უკვე ჰხედავდა, რასაც იზამდა; მის აღგზნებულ გონებას წარმოემო ნივთიერი სახეები, სრულქმნილი მოქმედებები. მიეჩქარებოდა უთმინო, მიესწრაფებოდა, მიფრინავდა, მიჰქროდა, როგორც გრიგალი. მის თანამგზავრ შინაყმას უკვირდა ბატონის ესეთი დელვა და სწრაფვა. ეგონა, სასახლეში მიდისო რაიმე ფრიად საჩქარო დავალებისთვის და მისთვის მიილტვის ესე საშინლადაო.

– ელდანაკრავსა ჰგვანდა, როცა მიბრძანა ცხენების შეკაზმვა. მსწრაფლ ეცვლებოდა სახე ათასნაირად. ორ წუთში მოვუსწარ ყველაფერი, – მოუთხრობდა ის შემდეგში.

ვიწრო ქუჩისკენ რომ შეუხვია მხედარმა, გაუკვირდა თანამგზავრს. როცა ერთს წამს შესდგა ის გულნაზიანთ ბინასთან და ტყვიანაკრავით მყის გატრიალდა, მაშინ კი უიმედოდ ჩაიქნია შინაყმამ ხელი და დაასკვნა:

– ბატონის ჟინიანობას ვერ აუვა ადამიანი, ვერც თუ მიჰხვდება; არა ღირს ამაზედ ფიქრი!

უკანვე გაიარა ქუჩა ღელვილმა. უბრძანა მხლებელს, დაბრუნებულიყო. სხვა გზით გაქუსლა თითონ ცხენი. გადირბინა ქუჩები. მთლად გასცდა ქალაქს. დაადგა სოღანლუხის გზას. უკან დასტოვა ქარკაპები. გაივარა. ისე იყო ბედაური გალექებული, სულ ქაფში გახვეულიყო, ოხშივარი ასდიოდა. მიჰქროდა ვაჟკაცი. ალბათ ეგონა, რაც უფრო დაჰშორდებოდა იმ ადგილს, სადაც სიხარულის წილ დაჰხვდა მას იმედთა ნამსხვრევები და სიმძიმე, იმდენად უფრო გაუმსუბუქდებოდა კვნესა გულისა. ამაოდ ეგონა! ჯავრი უფრო გაუმძლავრდა, გაულრმავდა ტანჯვა სასტიკი. გადაშლილი მინდორი, მზიანი და ნათელი არე გულს ულახვრავდა და უწყლულებდა. წყვილიადა რამ ღრანტე ერჩივნა ეხლა მას: ის უფრო შეეფერებოდა მის ჩაბნელებულ სულს; მოწმედილ ცას, მზის სხივებით ნაზ ლაჟვარდად გაღიმებულს, ბევრად ერჩივნა ცა მოქუშული, დედამიწაზედ შავად დარქმული: ის უფრო შეეფერებოდა მის წყვილად აზრებს; ფრინველთ გალობას, მათ ამოსტვენას, ბევრად ერჩივნა ყორნის ყივილი: ის უფრო ეთანხმებოდა მასზედ მიწვენილ უბედურებას. მხიარულმა ბუნებამ სახეგაშლილმა უფრო ატკინა გული ლახვრული. მიჰხვდა ანდუყაფარ, ბუნება არ თანაუგრძნობდა მას, სრულებითაც არა; იქნება კიდევ დასცინოდა მას ან ნიშნს უგებდა, ჰკიცხავდა კიდევ!

– ესე შემფერის! რა ქნას ბუნებამ? მან შექმნა მშვენიება ძვირფასი, გულნაზი ჩემი. კიდევ მიჩვენა და ვერ ვიცანი თვალი უებრო, არ ვინებე! მთლად ბრმა ვყოფილვარ, თვალეზდავსილი, გონებახშული, გრძნობით უხეში. რადღა ვემდური იღბალს ან თუ რადა ვგმობ?! ბედმა ის ვარდი უპირველესად მე შემახვედრა, მევე მომიპყრო სუნნელოვანი და თუ მაინც არ ვემონე მას, ვერც მივითვისე, ყისმათს სხვა რადა დარჩენოდა, თუ არ დავეგმე, უარ არ ვეყავ, არ განვერისხე. რასაც თავს უზამს კაცი თავხედი, მტერი ვერ უზამს ვერც თუ ძლიერი.

ერთი ახირებული აზრი მოუვიდა ანდუყაფარს: მხარმარცხნივ მტკვარი მიისწრაფებოდა თავის უკვე გაშლილ სადინელში, ლურჯად მოსჩანდა ცის კიდემდის. ჭაბუკმა თვალი გადაავლო მდინარეს და შეაჩერა ხედვათა ისარი იმ შარაზედ, რომელიც ხევის გადაღმა ასდევდა მინდვრებს. იცოდა, მიმავალ ოთარს იმ გზით უნდა ეტარებინა თავისი ახალი სული.

– ცხენდაცხენ გავალ მდინარეს, დავხვდები მათ გზაზედ და... ბოლოს მოვუღებ იმ ჩემის სიცოცხლის წარმტაცს უღირსსა, – გაიფიქრა მხედარმა.

და ამოიღო დამბაჩა, მზეზედ აალაპლაპა ჰჰყვრიალა, ტყვიები დაუსინჯა, საცდელად კიდევ გაისროლა ერთი. დამბაჩის ხმამ ბურანიდან გამოარკვია კაცი, გამოაფხიზლა.

– ეებ! მერმე რას გინდა ეწიო მაგით? ნუთუ გგონია, გულნაზი მაშინვე ყელთ მოგეჭდობა მის ქმრის მკვლელ ავაზაკს. და ან რა იცი, ბედშავო, რომ მას უყვარხარ შენ, მის უარმყოფი. ან რათა გგონია, მან თავისი ჩვილი გრძნობები გარს არ შემოარტყა იმ ჭკვიან ვაჟკაცს, რომელმაც ერთის შეხედვით იცნო ძვირფასი, წამსვე სიამით ემონა იმას, ფიანდაზად წინ გადაუშალა მას თავისი გული?! კმარა, თავხედო! დაბრუნდი შინ და იგლოვე შენი უგვანი უგულობა, უგუნურობა.

დაბრუნდა ანდუყაფარ. ცხოვრების ტალღებმა ისევ აიტაცეს ის, აატივტივეს, აათამაშეს. ბევრჯერ დასწიეს იგი, დააქანეს, დააქვეითეს და უქადდნენ ჩაენთქათ უფსკრულში დავიწყებისა; ბევრჯერ ზე აღმართეს, აამაღლეს და აღიტაცეს საოცნებო სიმაღლემდის, მიმოატრიალებდნენ მოცეკვავე ზვირთები მომაკვდავს, ათამაშებდნენ, როგორც რამ ნაფოტს, მსუბუქ ანათალს. ცხოვრებამ აგემებინა მას ღიმიც სიამისა,

ნადიმც გამარჯვებისა; დაღრეჯილობაც მარცხისა, მწუხარებაც სიდუხჭირისა. მაგრამ არც დიდ ზეიმში, როდესაც ბედი პირს იბრუნებდა მისკენ ნათელს და უღიმოდა საალერსოდ; არც მაშინ, როდესაც იღბალი უკუ შეაქცევდა მას თავის ხატებას მანგისებურს, ხოლო მისკენ შეაბრუნებდა სახეს სასტიკს თუ ბნელს, არა სცილდებოდა ვაჟკაცის სულს სახე დაკარგულის გულნაზისა.

გულს ლახვარი ჰკრა მაშინ ქალწულმა ვარდის მაგვარმა და დაუწყლულა უკურნებელად. იგი ნაკვეთი სევდის საგუბრად შეიქმნა მის გულში დაუშრეტელად. მარად ჟამს ჰჟონავს მუნ ცვარი დარდისა, როგორც რამ ცრემლი იდუმალი, ნაღვლის ნაჟური.

შენა გგონია, საგუბარი იგი სევდისა ოდესმე ამოიქოლოს და კვალიც მისი მთლად წარიშალოს? არასოდეს!

შემდეგ ხომ გმირულ ბრძოლაში სასტიკი ჭრილობა მიიღო ანდუყაფარ, მაგრამ ის ხმლის კვალი ღრმა და საზარო თავის სიმწვავეთ ვერ ედრებოდა იმ ლახვრის ნაკვალს უხილავს, რომელს ატარებდა იგი თავის გულში, რომელი საუკუნოდ უნდა ეტარებინა მას.

აკვირვებდა ანდუყაფარს, რომ იმ ქალის სახე ველარ მოჰშორდა მის გონებას, მისი სახელი ველარ ამოშალა თავის მეხსიერებიდან, თუმცა მასზედ ფიქრს აწ აღარა ჰკონდა არავითარი აზრი, მთლად უნიადაგო იყო და მაშ ამო.

– მაგრამ, ახ, აგერ გულნაზი დაღონებული, ხალხით სავსე დარბაზში ობლად განმარტოვებული, ნათრთვილ ვარდივით თავ ძირს დახრილი.

– შენ ატკინე მშვენიებით სრულსა გული, თავხედო?!

– დიად, მე! გარნა... ახ, რაღა აზრი აქვს წარსულ ამბის აწ მოგონებას, უკვე გარდასრულ შემთხვევაზედ ფიქრს თუ ზრუნვას? იყო წუთი საჩემოდ მომართული, ვერ ვისარგებლე, ვერ მოვკიდე მძლავრად ხელი ჩემ სიხარულსა. ის აღარ არსებობს ჩემთვის სინამდვილეში, ვერც იარსებებს. მეც აღარ ვარსებობ მისთვის არც სინამდვილეში, არც თუ ფიქრთ სამყოფელში. მაგრამ ეს რასა გრძნობს გული ლახვრილი, რა ძალას განიცდის საიდუმლოს?! არა! მთლად უნდა დავივიწყო გარდასრული და ვუმზერდე მომავალს, – იტყოდა ანდუყაფარ. და აღთქმას ამღევდა თავის თავს, აღარ მისცემოდა ამ ამო ფიქრებს მთლად უსარგებლოს. მაინც დარწმუნებული იყო, რომ უქმად დაურჩებოდნენ იგი აღთქმანი: საიდუმლო ხმა ამცნებდა მას, რომ მარად სულში ჩარჩებოდა მას გულნაზის სახე, გულის მივარდნილ რამ სავანეში.

ველარც იმაში იყო ვაჟკაცი ღრმად დარწმუნებული, რომ იმ ქალს, აწ ცხოვრებაში სულ სხვა გზით მავალს და სხვის თანამგზავრს, სრულებით დაჰვიწყებოდა იგი და მისი სახსენებელი. საიდუმლო რამ ხმა ეტყოდა, რომ ქალის გულზედაც წაუშლელად იქნებოდა მისი სახე აღბეჭდილი, რომ ჟამითი-ჟამად ისიც მოიგონებდა იმ წამებს, როცა სულ სხვა სავალი იყო მათ ორთა წინ გაშლილი.

– ვინ იცის, კიდევ შეიგნო ქალმა, რომ თითონაც იყო მიზეზი ჩემის უბედობისა. სიამაყემ ააჩქარა ის, ჩემის ქცევით განრისხებული, გადააგდო სულგრძელობის ბოგირიდან და აქნევინა არა ის კეთილი, რომლისთვის გული უთქმიდა, არამედ ის ბოროტი, რომელი მხოლოდ იმ ჟამს მოსჩანდა მისადებად და აზრიანად.

– თუ ესე არ იყო, მაშ რად მოეპყრო მას ჩემსკენ კაემნით სავსე თვალები იმ საღამოს, როცა მე განზედ გავუდეგ მას და დავამდაბლე ტოლ-სწორთ წინაშე? ჯავრი გულისწყრომად გადაექცა მას, როცა მე უზრუნველად ვტრიალებდი საკრავთა ხმაზედ და ყურადღებას არ ვაქცევდი თითქო გარიყულს. შევატყე ეს მაშინ და გავიღიმე. ჩემს უბედობას თუ გავუღიმე! ან რა იყო ის, რომ ჩემს მოულოდნელ

დანახვაზედ ქალი შეკრთა და გაფითრდა, ქანდაკებად გადაიქცა ერთს წამს და ეს მაშინ, როდესაც უკვე ეტლთან მისდევდა თავის მეუღლეს, რომ შესდგომოდა ცხოვრების გზას ახლად არჩეულს?

50

ამ შემთხვევაში ვაჟკაცის გული უფრო ახლო იყო ჭეშმარიტებაზედ, სანამ მისი გონება; იმასა ჰგრძნობდა გული, რაც ნათლად ვერ განეჭვრიტა გონების მახვილთვალს. აქ ქალის გული უახლოვდებოდა გრძნობათა შესაკრებელს ვაჟისას და ეტყოდა იდუმალს რამ შთაგონებით, რომელი უჩინარი იყო გონებისთვის, შეუგნებელი.

გულნაზი სხვისა შეიქნა, მაგრამ საიდუმლო კუთხეში თვისის გულისა, როგორც რამ ნიშში, ესვენა სახე თვისის პირველის სიყვარულისა, რომელი აჩნდა მის სულში, გარნა ვერ აღივდა, ვერც აღორძინდა, რომ გამოეღო ნაყოფი სრული. მოიშთო იგი ღივი მოყვარულთავე მიზეზით. ამის შემდეგ იმათმა გრძნობამ დაჰკარგა ყოველივე ძალა სამოქმედო, გამოსადეგი აღარ იყო სინამდვილისთვის. ოცნებათა და მოგონებათათვის კი შესაფერი იყო, ხელსაყრელი და ზედგამოჭრილი. საიდუმლოებით მოცული, სხვა ყოველთათვის არარადქმნილი აღარაფრითლა ჰზღუდავდა ფრთაგამლილ ოცნებათა ნავარდს თუ ნატვრათა ვარჯიშობას; არ უჩანდა მას არც საზღვარი, არც დასასრული. ნივთიერ ბუნებისგან მთლად გამრცვლილი მარჯვედ ასდევ-ჩასდევდა მსუბუქ ფიქრების სხივოსან დენას.

– რა არის, ქალო, რას დაფიქრებულხარ ეგრე ღრმად, რომ ძახილიც კი აღარ გესმის? სახე გიღიმის, სამხიარულო აზრს წაუღიხარ. ალბათ შენს ქმარზედა ფიქრობ, ჩემ ოთარზედა. ბედნიერები ხართ, შვილო, ორნივე და შევსთხოვ ღვთისმშობელს ბოლომდის ეგრე კეთილად გაცხოვროთ ყოვლადწმიდამ.

– გმადლობთ, დედილოჯან! რა მაქვს დასაღონებელი თქვენ სახლში და თქვენს კალთაში?!

– შენ სახლში, გენაცვალე, და შენის ქმრის კალთაში! ჩემი საყვარელი შვილი ხარ ეხლა შენ, დიასახლისი საამო მწითლავიანთ ნენეს გამოუგზავნია, ბალღის ხალათი გვათხოვეთ, მაგაზედ გამოვჭრათო ჩვენც; იმისთვის გეძახოდი, – უთხრა დედამთილმა.

და აკოცა ოცნებათაგან მიბნედილ თვალებში. ისევე გაბრუნდა. მიდიოდა დედაკაცი და სიამის ღიმი უქროდა სახეზედ. უამებოდა, რომ ამისთანა მშვენიერი და ღვთისნიერი რძალი შეჰხვდა, ზრდილი და კეთილი, მოყვარული და სათნო. ის ეხლა სრულებითავე ველარ არჩევდა გულში თავის რძალს თავის საკუთარი ქალისგან, ისე დაახლოვებოდა ეს უცხო შვილი მის სულს, ისე შესთვისებოდა ძველი დიასახლისი ამ ახალს.

– ბედნიერი არის ჩემი ოთარი ამისთანა ცოლის ხელში. ყოველმხრივ შემკულია ქალი! აკი მზე ამაზედ ამოსდის ვაჟკაცს: ამის სიცოცხლითა სცხოვრობს, ამის სურვილებით ხელმძღვანელობს, ამის სიახლით სტკბება. მე რომ ვაკვირდები, იმასა ვხედავ, რომ ოთარი მხოლოდ ამაში პოულობს აზრს მოქმედებისას და ხალისს შრომისას. დაღონდება და დაფიქრდება ეს, დასჭკნება ისიც უღონოქმნილი; გაღალანდება ესა და ეშხში მოვა, გახალისდება ისიც, უნარს იათვეცებს, სიცოცხლით ივსება და სიხარულის ტალღები სჩქეფენ მის გულიდან. რა ტკბილად ლაპარაკობს, მარილიანად ხუმრობს, კეთილს და მოსიყვარულე გულს უშლის ყველას. ვინ მოიფიქრებდა, რომ იმ გულჩათხრობილს და მუდმივ ფიქრებში გართულ-გაბმულ

კაცს ამდენი გრძნობა ჰქონია დაგუბებული და ამოდენა ხალისი ფარულად შენახული! ღმერთმა ნუ ქნას, ქალი ავად გახდეს ან მოუვიდეს რამე მას! გადირევა ვაჟკაცი, თავს დაილუპავს.

ოთარი მართლა და თაყვანსა სცემდა თავის მეუღლეს, თავის ბედნიერებას, წყაროს თვისის სიხარულისა. შინ იყო, სხვაგან წასვლა ეძნელებოდა; სხვაგან იყო, შინ მისვლა მიუხაროდა. გული დაუხვია მშვენიერმა; საწადელი კერა შეუქნა და საამო ოჯახი კეთილმა სახლის ანგელოზმა.

მოდოდა ვაჟკაცი და ცხენს მოაჩქარებდა; შეხვედრის წამებს ითვალისწინებდა; პირს ღიმი ეფინებოდა. შორიდანვე მოჰკრა თვალი თავის საყვარელს. გაეშურა მისკენ; ცხენი მსახურს მისცა. ქალი ბაღში დაჰხვდა, მსხლის ქვეშ რომ მაგიდა იდგა, იქ შემოდგომა განახევრებული იყო. სიძველეს და სიმჰკნარეს ხის ფოთოლი შეეჟანგ-შეეფერადებინა. დასუსტებული ყუნწი ველარ იდგნობდა ფოთოლს და ცვივოდა იგი ძირს. მოფენილი იყო მაგიდაც, მსხლის ძირიც. მთლად მოდებული იყო იქაურობა ჩამოსული ფოთლით. ორიოდე ფოთოლი ქალის ახუჭუჭებულ თმაშიც შეჩერებულიყო, სამკაულად ფერადობდა დახვეულ ნაწნავებში. მაგიდაზედ იდვა გადაშლილი წიგნი, ქალი კი სხვა საქმეს გართობოდა: აფერადებულ ფოთლებიდან გვირგვინსა სწნავდა, ყუნწებს ხელოვნურად ამაგრებდა თითონ ფურცლებში და ფოთლები კარგად გადაბმულნი და მწყობრად დალაგებულნი გამოდიოდნენ მის ბროლის თითებიდან. ჰქსოვდა ქალი ფოთლების გრეხილს და თან იღიმებოდა, საამო სურათები ეხატებოდნენ გონების თვალთ წინ. დაათავა გრეხილი, გადაუბა თავბოლო და გახედა მზის შუქზედ. ხელოვნურად იყო სამკაული შეთხზილი. ქალის მანქანებით მომაკვდავ ფოთლებს შნოიანი რამ ფერადი სახის შექმნა შესძლებიყოთ თავის ცხოვრების დასასრულსაც კი. ასწია ქალმა გვირგვინი, თითქო ვიღაცას დაადგა თავზედ; მერმე ისევ დაუშვა სამკაული ძირს და ხელი გადუსვა ალერსით:

– შენ ის კი არ იფიქრო, ჩემო რაინდო, რომ მხოლოდ ამისთანა უბრალო სამკაულით დაგიმშვენებდი მაგ შუბლს გმირისას. არა! ეს იმიტომ შევთხზი შენთვის, რომ მომაგონეს ამ ჩამჰკნარ-გაცრეცილებმა იგი მიმქრალი გრძნობა ჩემი გაფითრებული, მრთლადაც მიმკვდარი. ეჰ, თუ მაშინ ისე სასტიკად არ მომჰყრობოდი და ისე მწარედ არ შეგელახა ქალური ჩემი თავმოყვარება, ეხლა ჩემი იქნებოდი შენ! შენი გავხდებოდი მე, შეგითვისებდი, შეგიერთებდი განუყრელად, ქოჩორს დაგიმშვენებდი ჩემ უნაზეს გრძნობათაგან შეთხზილ გვირგვინით. იცი? ათასი კოცნით შევაწებებდი იმ გრძნობებს, ეშხის სირმით შევკონავდი მათ და მოგართმევდი შენ, ჩემს სათაყვანებელს. ნუთუ ვერ იგრძენ, შე საწყალო, რომ ზვიად არსებასთან გქონდა საქმე, ნამდვილ გოროზთან?! შენ შელახე ჩემი თვითმოყვარება და მიტომ იბრუნა შენგან პირი ბედშავმა გულმა. გამოცდილი სხვა შეჰხვდა იმ სახიფათო წუთს შენს გულნაზს და ეპატრონა. მამ რა გეგონა? მეც ვიგრძენ იგი ლახვარი, რომელი მალე დაესვა შენს გულს ჩემ გამო. შენ არ იცი ეს?! არც ის იცი შენ, რომ იმ ლახვრის პირმა დახია გულიცა ჩემი? მხოლოდ სიკვდილილა განაქარვებს ამ წყლულს და წარმტაცებს ამ საიდუმლოს! – სთქვა ქალმა და დაღონდა, თვალთ ნამი მოადგა ნაღვლის ნაჟური. უნდოდ გასწია განზედ ფოთოლთაგან შეთხზილი გვირგვინი.

ამ დროს მიუახლოვდა მეუღლის განმარტოვებულ სავანეს ოთარ მხიარული, სიტკბოებათა წინად განმცდელი და ბედნიერი. მაგრამ შენიშნა მეუღლის თვალეში დარდის ნასახი და დაღონდა მსწრაფლ. ცოლმა შეხედა მას, გაუღიმა, ნისლით გამოუდარა, მაგიდაზედ უღონოდ დაწყობილი ხელები მიაწოდა. ვაჟკაცს აუბრწყინდა თვალეში, დაუკოცნა ქალს მაჯები და მოუჯდა გვერდით.

– რად იყავ, გენაცვა, დაღონებული? რა მშვენიერი გვირგვინი დაგიწნავს ამ უკვე სიცოცხლეს მოკლებულ ფოთლებიდან! იქნება ამ საბრალოდ ჩაყვითლებულმა მდელიომ აგიშალა ნაღვლიანი რამ ფიქრები, ჩემო ოცნებავ და მეოცნებევ? – უთხრა ვაჟკაცმა.

და მარჯვენა ხელით ფრთხილად დაადგა თავს ფერად ფოთოლთაგან შეკონილი სამკაული, ხოლო მარცხენით მიიზიდა თავისკენ და ჩაუკოცნა ბროლის ყელ-ყური. ქალი მიჰყვა ვაჟკაცს, მიეყრდნ-მიენდო, როგორც რამ ბავშვი უღონოქმნილი საიმედო მკერდს თავის მზრუნველ-მოჭირნახულისას.

სინამდვილემ უკვე დაანახა მანდილოსანს, რომ საყოველღეო ცხოვრება, აწმყოზედ თუ მომავალზედ ფიქრით შემძიმებული, ათასგვარ განსაცდელის თუ გაჭირვების მტვირთელ-მატარებელი, ყოველ ჟამს მოითხოვდა მედგარ ბრძოლას და ყოვლად საფასური იყო მეზრძოლი მოსიყვარულე, მისი და სახლისაც ფრთხილად დამცველ-შემნახველი. სინამდვილე სხვა იყო, ოცნებათა სამფლობელო კიდევ სულ სხვა. მის ყოფაში ოცნებათა არეს ვერავითარი გავლენა ვერ ექნებოდა ნამდვილ ცხოვრებაზედ; და აქ მხოლოდ ოთარი იყო მისი ვაჟკაცი, მფარველი მისი, მისი შვილებისაც, მთელი ოჯახისაც; ერთადერთი პატრონი თავდადებული, რომელი შეუფიქრებლად თავს შესწირავდა თუნდ ამავე წამს მათ კეთილდღეობას და სიხარულს. ეს გამოცდილებით იცოდა ქალმა და ეხლა თავისი თავი შემცოდედ ეგრძნო მის წინაშე, რომ ოცნებაშიც მას არ ეკუთვნოდა, როგორც სინამდვილეში, რომ აზრთა თუ ნატვრათა სამფლობელოში სხვა ჰყავდა მას რაინდი, მიჯნური იდუმალი, რომლის სახე გულს საამოდ ატკენდა მას, იმ გულს, რომელი განუყოფლად უნდა ჰკუთვნებოდა ამას, სწორედ ისე განუკვეთად, როგორც ამისი გული ხელქმნილი ეკუთვნის მას, მის სატრფოს სანატრელს.

– ახ, რატომ არ შემიძლიან ჩემი ყველა გრძნობები, სურვილები თუ ნატვრები თავს შემოგავლო შენ, შე საწყალო, ისე მთლიანად და უკლებლივ, როგორც შემოგზღვენ სხეულიც ჩემი, – გაიფიქრა ქალმა.

ამ ფიქრმა გული მოუღბო კაცისადმი, სულით დაუახლოვა იგი მას და აამოძრავა მის საალერსოდ: ხელი მოჰხვია ქმარს, მიიზიდა, მორცხვად აკოცა. ქალის ალერსმა ელვასავით დაურბინა ვაჟკაცს, ნეტარება აგრძნობინა აზვირთებული, არა მხოლოდ სულიერი ნეტარება, ნივთიერიც, ხორცთ საფუფუნო. ვაჟკაცი ძალიან არ იყო ნაჩვევი ცოლის მხურვალე მისწრაფებას. მისი ნატვრა იყო, ეგრძნობინებინა ქალისთვის, განეცდევინებინა სიმწვავე იმ უნელებელი ცეცხლისა, რომელი ეგზნო მასში, როგორც რამ კოცონი უქრობი, მისთვის დაკვესებული, მარტო სამისოდ ანთებული, მხოლოდ მის ასაგზნებად აპრიალეზულ-აელვარებული.

იცი? არავის სხვას უფლება არა ჰქონდა მისულიყო ამ სამსხვერპლო ცეცხლთან არც თუ შემთხვევით. სხვის მიახლოვებაზედ იგი ცეცხლი მყის ჩაქრებოდა, გაცივდებოდა: მხოლოდ მის ღვთაებისგან იყო აღგზნებული, გულნაზად სახელდებულ ღვთაებისგან, მხოლოდ მისთვისვე მსხვერპლთ შესაწირად.

ვაჟკაცმა უპყრა ქალს მაჯა, დაუკოცნა ნები ხელისა და წამოდგა. ცოლ-ქმარნი ერთმანეთს მიყრდნობილი გაემართნენ სახლისკენ სიხარულის მომლოდინარნი.

– მაგრამ განა ხორციელი ბუნება კი ჩემი მთლად შევზღვენ ამ საწყალოს, განა მოვახერხე მთლად შემეწირა მისთვის ნივთიერი არსება ჩემი ხელაღებით, გულუბრყვილო სიხარულით გარდაფურჩქნილი? არა! ეს კაცი მთლად ჩემია აწ, ჩემთვის ცოცხალი, ჩემთვისვე მკვდარი, ხოლო მე ვერ გადამიშლია მისთვის მთელი სიუხვე ჩემის ბუნებისა, რადგან მაინც თითქო უცხოა ის ჩემთვის თუნდ



მცირეოდნად. მაინც სხვად მეჩვენება იგი რამდენადმე, თითქო გარემედ, – განაგრძო ქალმა თავისი ფიქრი.

რომ მთლად გაედნო და გაექარვებინა ეს თავისი უსახო გრძნობა, შეუფერებელ-შეუწყნარებელი ცოლ-ქმართა შორის, გვერდზედ აჰხედა ვაჟკაცს ვნებით მიბინდებულ ლამაზ თვალებით და მიეჭლო ზედ. ვაჟკაცმა იგრძნო ქალის მოძრაობაში სანუკვი ვნებათა დეღვა და განეხვნეს მას სიამის კარნი, რათა პირისპირ შეჰხვედროდა იმ ნეტარებას, რომელი მაინც დაუტოვებია კაცთა სანუგეშოდ სახიერს მისგან უარყოფილ და წყეულს ქვეყანაზედ.

– იცი, საყვარელო, – ეუბნებოდა ნეტარქმნილი ვაჟკაცი თავის მიქანცებულ მეუღლეს და თან უსწორებდა მკერდზე გადმოშლილ ნაწნავებს, – იცი, სიცოცხლე, შენ რომ მოგშორდე, შენი სახე რომ მიეფაროს ჩემ თვალთაგან, შეუძლებელი შეიქნება ჩემი არსებობა თუნდ ერთს წამს. გახსოვდეს: უშენოდ ბნელი იქნება ჩემთვის მთელი სამყარო, სევდით მოცული იქნება ჩემთვის და წყვდიადი სასუფეველი, სად ბრწყინვალეს ნათელი ღვთისა, გახსოვდეს ეს მარად, საუკუნოდ! – უთხრა კაცმა.

და რაღაცა ავ წინათაგრძნობით მწარედ განმსჭვალულს ცრემლი მოადგა თვალებზედ. არც შერცხვა ვაჟკაცს იმ ცრემლებისა, უდიდეს სიხარულში უმწვერვალეს უბედობის წარმოდგენით გამოწვევულ თვალთა ნამისა. ქალმა იგრძნო მთელი სიღრმე ვაჟკაცის გულის კვნესისა და შუბლზედ აკოცა მას, გადაუსვა ქოჩორზედ ხელი.

## 51

მაგრამ ეს წინადგრძნობა ოთარისთვის მაინც სიზმრის დარი ამბავი იყო, რომელს შეეძლო მხოლოდ წამიერად შეერხია მყუდროება მისი სულისა; მას არავითარი ღირებულობა არა ჰქონდა ცხოვრების სინამდვილეში. ოთარს სრულებით არ ახსოვდა იგი წინათგრძნობა თავის შემდეგ ყოფაში, არც თუ მის შთაგონებით წარმართავდა თავის გარემოებებს. სამხიარულო და საიმედო ცხოვრებას განიცდიდა მაშინ ოთარი და შემდეგშიც უფრო მეტ სიკეთეს მოელოდდა: იმედი ჰქონდა, მისი მხნეობა, აზრიანი ცხოვრება და მოსიყვარულე გული მეტს მადლს მიიზიდავდა მის ნორჩ ოჯახისადმი, მეტს კურთხევას, და მომნიჭებელ კეთილისა და თავის უხვ კალთას დააბერტყავდა მათ კერას, სავსებით აღავსებდა მათ ნივთიერის და სულიერის სიკეთით. იყო ამის უტყუარი ნიშნები: აგერ წინ ედგა სავსება იმ მომავალის გულსრულობისა, მფარველი სხივი მისის სიკეთისა, ეს იყო მისი მეუღლე, მისი შვილების დედა, მის მკლავზედ მწოლი მშვენიერება, თითქო ისევ საძებნი, ისევ მისასწრაფი ყოველ წამს ისევ სანდომ-სანატრი, რომლისადმი სიყვარული, სამსახური ან თუ ალერსი თვისსავე არსებაში ჰპოვებდა ჯილდოს სრულს, აღსავსე კმაყოფილებას.

– აბა ამ მტევნიდან ახლიჩე კუფხალი! რქაწითელია და ეტყობა მზის პირისაა, რომ ესე ქარვასავით გამოსჭვივის, – უთხრა ოთარმა ცოლს და მიაწოდა მტევანი.

ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ ეკოცნა სპეტაკ მკლავზედ, განიერ სახელოდან რომ მოსჩანდა ისე მაცთურად. არ შეიძლებოდა: მუშები იყვნენ მარანში.

– არ კი შეგცივდეს, ქალო, გრილა აქ და ნესტიც არის ამოდენა ღვინისა და ხილის გამო.

– არა უშავს რა! მიაჩნება, რომ გიყურებთ, როგორ აბინავებთ მოსავალს.

მართლა და საამური სანახავი იყო ეს და სასიამოვნო. მთელი ვეებერთელა მარანი სავსე იყო დოვლათით. ქვევრები დადუღებული მაჭარით სავსე, ლასტებზედ გროვა-გროვად საუკეთესო მსხალ-ვაშლი, კომში, ბროწეული, მარნის კუთხეებში მიგროვილი კაკალი, ნუში თუ თხილი, ჭერი სავსე საგანგებოდ რჩეულ ჯაგნებით, კედელ-თახჩა გამოტენილი ბოსტანში თუ ბაღში მოსულ ღვთისწყალობით. მთელი წლის საზრდო იყო უხვი, მრავლად მოჭარბებული. გახალისებული პატრონი მარჯვედ და აზრიანად აბინავებდა ყველაფერს. მოჯამაგირენიც ხალისიანად აკეთებდნენ თავის საქმეს, ერთგულად ჰშველოდნენ მშრომელ ბატონ-პატრონს მადლიანს. ქალმა აიკრა კალთას ხელი და გადადგა ნაბიჯი კომშების ხვავისკენ, საითაც მიიზიდა ის ერთმა მშვენიერმა ნაყოფმა. ვაჟკაცმა უნებლიეთ დაჰკრა თვალი მსუბუქ ქოშში გამოწყობილ კოხტა ფეხს და აავლო ეშხით ნაქანდაკებ წვივს. ქალმა იგრძნო ქმრის თვალთა ისარი, შევარდისფერდა: სასიამოდ აუბგერდა გული, როცა კვლავ ნახა, როგორის აღტაცებით ემონებოდა ქმარი მის უძლეველ სიტურფეს.

– ცოდვია ჩემთვის ის ჩემი იდუმალი ოცნება, ცოდვია თუნდ ერთ წამს წარმოვიდგინო იმ ვაჟკაცის სახე და მით ვიამო, აღარ შემშვენის გულის თუნდ მივარდნილ კუთხეში მესვენოს სხვის სახე და თუნდ ერთს წამს შემოვავლებდე მას ჩემს ფიქრს და ნატვრას. დეე, ჩემი პატარა ყაფო გრძნობითაც, ჭკუითაც და ქცევა-ხასიათითაც ამას დაემსგავსოს, თავის ღირსეულ მამას. ისე ავზრდი, ამას დაეგვანოს! – გაიფიქრა ქალმა.

და თვალეებით გაუღიმა ეშხით აღტაცებულ ვაჟკაცს, ლამაზ თვალეებით. ეს მაშინ მოხდა, იმ საშინელ წუთს, ოდეს ბნელმა განაპყრო მკლავი მლახვრელი ამ პაწაწა სავანისკენ კეთილთა, რომ ჩაექრო სინათლე იმ კერისა, ჩაეხშო სიამე ცოლ-ქმრის ყოფნისა და და გაეპო უწყალოდ იმათი გული.

იცი? აღურიცხავია ძალა ბნელისა, განუსაზღვრელია სისასტიკე მისის სიბოროტისა. დაუცხრომელად ებრძვის იგი პირქუში ნათელს ჭემმარიტს. ისწრაფის, ჩაანელოს იგი ყოველგან, ჩააქროს მთელ სამყაროში და განამტკიცოს თავის მპყრობელობა. დაუნდობელია ის, საუკუნო ეჭვის ნაშობი, ჭემმარიტების უარმყოფელი, კეთილთა მათ მიწყვი მთრგუნველი, ბოროტთა სულთა მამრავლებელი, მშვენიერების მარად მსპობელი, არარაობის და სიკვდილის უხვად მფრქვეველი. რაინდი ხარ შენ ნათელთაგან წარმოშობილი? იბრძოლე უტეხად, რომ განამრავლო ქვეყნად კეთილი, აღაგზნო და განაბრწყონო ნათელი მხიარული, გარდაშალო და განამტკიცო სიცოცხლე თვალთწარმტაცი. ნუ შედრკები, შემმართველო, ბუმბერაზთა წინაშე გარესკნელისა, გაჰკვეთე ნაშობნი წყვდიადისა უსახონი! ნათელი სახიერი განგიმტკიცებს მებრძოლ მარჯვენას. იცოდე: უძლეველია იგი ნათელი მხიარული და სამარადისო; გახსოვდეს ეს!

– ქალბატონო! ყაფომ ტირილით გამოიღვიძა. თითქო შეუძლოდა სჩანს. შუბლზედ ხელი დავადე და ცხელი მეჩვენა: ვგონებ, სიცხე აქვს, – მოახსენა გულნაზს ძიძამ.

– რათა ქა? ! თითქო საღ-სალამათი ბაღლი ჩავაწვინე და რა დაემართა? – სთქვა შეშინებულმა დედამ.

– არა უშავს რა. სურდო შეჰხვდებოდა. აბა მიხედე! მეც ეხლავე მოვალ, – უთხრა ოთარმა ცოლს.

და ხელი ააჩქარა, რომ მალე დაეთავებინა ყველაფერი. ქალი გაემურა და გულს მიიკრა თავისი ოქროსქოჩრიანი, მაგრამ, გახსოვს ეს შენ, ვეღარ უშველა ვერც დედის ალერსმა, ვერც დიდმა ფარეზმა, ვერც გამოცდილმა ექიმმა, ვერც ყველას წუხილმა

საშინელმა. ბნელს დაესკვნა ბაღლის მოსპობა და მის მახვილს ხელი არ შეეშველებოდა. აკი შეარყია უბედურობამ კეთილდღეობა ოთარის ოჯახისა და განდევნა იქიდან ყოველივე სიხარული თუ სიამე. იმ უბედურებამ დაანგრია, როგორც ქარიშხალმა სასტიკმა, ღვაწლით ნაგები კერა საესავო; ჩაამუქა სულიც ქალისა, რომელი მხოლოდ იყო მაშუქებელი მთელის სახლისა. მოულოდნელად მისულმა განსაცდელმა სიმკაცრით აავსო ქალის გული და ბოროტად მიმართა თავდადებულ ვაჟკაცისადმი ავის ჩამომკვესებელი მისი გრძნობები.

– ის არის მიზეზი ჩემი გულის სიკვდილისა, მხოლოდ ის! თუ არ დავემშვიდებინე მაშინ, გადავარჩენდი საწყალს. რაღას აყოვნებდა და დროზედ არ იღებდა ყველა ზომას?

– მაინც როგორ გადაარჩენდი? ნუთუ მეტი რამის მოხერხება შეიძლებოდა?!

– არ ვიცი! უსათუოდ კი გადავარჩენდი. ღრმად ვარ დარწმუნებული. ის არის მიზეზი, რომ ვიმყოფები ამ ყოფაში, მხოლოდ ის! გამომეცხადა მაცდურად მაშინ, როცა იკვერებოდა ჩემი ყისმათი, გადამეხირა გზაზედ და მიმიზიდა. კიდევ დამღუპა!

– რა ექნა, თუ შეუყვარდი, თუ ერთის ხილვით დაატყვევა შენმა შვენივამ? ან თუ შეეძლო შენს უნებლივ გხლებოდა შენ, მოგკარებოდა?

– სრულებითაც არ შეეძლო! მაინც ბოროტებაა ეგ ჩემთვის, დამაბრმავებელი ჩემის ბედისა! – იტყოდა ქალი.

რამდენადაც უსაბუთო იყო მისი მსჯელობა, იმდენი უფრო ღელავდა წამებული, მეტად მწარდებოდა. ბედკრულად მღელვარე მისი გული მოქმედებდა მისის გონების ფარგალთ გარეშე და სასტიკობდა ჩახვევულ-ჩაბნელებული; ეუფლებოდა მის ნებისყოფას და იწვევდა მკაცრ მოქმედებათადმი, რომ დაეღუპა ვაჟკაცის ყოფა და დაენგრია მისი ოჯახი. მცირედლა და მოსწყდებოდა ოთარის ბედის ვარსკვლავი მისის არსების ლაჟვარდ კამარას. მაშინ მოიცვავდა ვაჟკაცის სულსაც ბნელი უკუნი, ჩაუშავდებოდა მას ყოფა ვარდისფერი, დაემსგავსებოდა ცოცხალი იგი მკვდარსა საზარელს, უგვან-უსახოს, ქვესკნელს დასანთქმელს.

აკი შეკრთა ვაჟკაცი, შეშინდა, მუხლი აუთრთოლდა, დაკარგა სიწყნარე გულისა, გამჭრიახოდა გონებისა, უნარი მოქმედებისა, რომ რამე მოეგვარებინა სასიკეთო და გამოესწორებინა შერყეულ-დაშლილი თავისი ცხოვრება. თვით უარყოფილი, იძულებული შეიქნა დედისთვის თუ დისთვის მიენდო მეუღლეზედ მზრუნველობა და მისი ალერსი.

ქალს კი მეტისმეტად ეჭირვებოდა მოვლა-მიხედვა და შეფერება. მოუნელებელმა დარდმა თუ გულის ჭრილობამ შეუბუნდა მას აზრთა სიწმიდე, გრძნობათა სახიერება, სურვილთა სასიკეთოდ მიმართულება. ბნელეთის ნებაზედ მომართული სულიერი მისი არსება ბოროტად მოქმედებდა მის საკუთარ ხორციელ ბუნებაზედაც: ჭამა-სმას უკლო, უმადობამ უმატა, ღაწვნი ჩაუმუქდნენ, თვალნი ჩაულრმავდნენ; წყვდიადი რამ მავნე ისახებოდა მათ უფსკრულში. ყველაფერი აუტანელი შეიქნა მისთვის, მაბოროტებელი. აღარც დედამთილს აკოცებდა, აღარც მულს უერთებდა გულს, ვერ გაანდობდა თავის სიმძიმის. თითქო უარყოფდა დედა თავის მეორე ვაჟსაც; მისი მიახლება ტკივილებს უცხოველებდა, ტანჯვას უორკეცებდა: იმას აგონებდა ეს პატარა, დაკარგულ ანგელოსს.

– იდარდოს, დეე იტიროს! საწუხარი აქვს და იგლოვოს! ადვილი არ არის პირმშოს დაკარგვა; ყველას ბუნება ვერ აიტანს ამისთანა უბედურებას, – ამბობდა ოთარის დედა.

და პირველში სცდილობდა არავის დაერღვია ქალის განმარტოვება, არავის შეეზღუდა მის გრძნობათა სამგლოვიარო სავალი. მაგრამ შემდეგში, როდესაც ქალს დარდმა ხელი დარია, დაამაბუნა და წაღმა სვლა მთლად შეუბრკოლა, შეკრთა მოყვარული დედამთილი და თავს შემოეველო ნანატრ რძალს: ცდილობდა დაეყუჩებინა მისი გულის ტკივილი, ტკბილის თქმით თუ ქცევით ამოელო მისი სულის ჭრილობიდან მოშხამული პირი ისრისა. ქალი ჰხედავდა თავის გარშემო ესოდენ მზრუნველობას, ესმოდა ისიც, რომ იგი სიყვარული, რომლით გარემოიცვა ის მისმა ახალმა ოჯახმა, ძვირფასი იყო და სანუგეშო. თითონაც ჰსურდა ბეჩავს ისევ ჩამდგარიყო წინანდელ კვალში, ოდეს სუნნელოვან ვარდად ჰყვავოდა თავის ახალნერგ წალკოტში, ღირსი ბულბულისებურ საგალობლისა; ვერღა ძალ-ედვა ექნა იგი კეთილი, რომელს ჰხედავდა გონების თვალით; მიილტოდა უნებლიეთ იმ ბოროტისკენ, რომლისადმი დახრილიყო მის ნებისყოფა. და იჯდა ქალი განმარტოვებული, თავის შავ გრძნობებში თუ ფიქრებში ჩაფლულ-ჩანთქმული, მარად განმზადებული, რომ უარყოფით შეჰხვედროდა ყოველსავე ცდას მის სასიკეთოდ მიმართულს.

– რა ვქნა, ადამიანო, ყველა ღონისძიებასა ვხმარობთ, როგორმე გავართოთ საწყალი და მცირედ მაინც დავავიწყოთ ის უბედურება, რომელიც წილად ჰხვდა მის ნაზ აგებულობას. ამაოდ! ველარა გაგვიწყვია რა. ლამის შეშშიში შევიქნე მაგის და მაგის ქმრის ცოდვით. მერმე რა მიყვარს ეს გულმკვდრის შვილი! თითქმის ჩემს შვილებს მირჩევნია. თუ ექიმს მივმართო, თითქო საექიმო არა სჭირს რა, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

– შეულოცე, ღვრინჭილა შეაბი: ალბათ თვალი ჰკრა ვინმე მა დალოცვილის შვილს. ან შანა შემოავლე და სამღთო შეუთქვი: იქნება მიზეზია, შეიძლება რომელმაც შეთავის საგვარეულოს ხატმა მოიკითხა. მოდი, ქალო, აკითხვინე ჩვენ თათელას; ძალიან მართალს იტყვის, ნამდვილად გენიშნება მისი სიტყვა.

– მეტი გზა არ არის, ღმერთმანი. შვილი ვის არ მოჰკდომია, მაგრამ თავისი თავი და მისადევარი ზედ არ გადუყოლებია მისთვის, – მიუგო დიასახლისმა.

კინაღამ წამოსცდა უცხოსთან, რომ ამ მძიმე შემთხვევას მისი შვილიც დიდს განსაცდელში ჩაეგდო, უძირო მთხრებლში ჩაეთხია, რომლიდან ამოსვლა შეუძლებელიდა იყო მისთვის, თუ თითონვე ის, მისი დანმთქმელ-მაცხოვრებელი, არ ამოზიდავდა მას უფსკრულიდან, არ გაუთენებდა უკუნსა ღამეს. ოთარი არაფერს ეუბნებოდა დედას თავის შეჭირვებაზედ, არ ამცნებდა მას თავის სასტიკ ტანჯვას: მისი წამება გამოუთქმელი იყო, სიტყვა ვერ ემორჩილებოდა მის დასასახვად; ენა აღქმოდა სასასა მისსა და უტყვ იყო იგი, ვითა უსულო.

ჰოროლი ბოროტისა დასწდომოდა მის გულს და განეგმირა იგი საშინლად. სევდის საგუბრად შექნილიყო იგი ნაგმირი. და ჰღელავდა მუნ გუბე სევდისა უსახო, საზარელი, სასტიკ ტანჯვათა გამომღებელი, აუტანელი.

თუნდ ეთქვა ოთარს მოყვასისთვის თავისი სათქმელი, ვინ უშველიდა მას ამ ვარამში ან ვინ მისცემდა სულის სიმშვიდეს? რა მოჰხსნიდა მას ტვირთს აუტანელს, რომელს შავ მიწამდის დაეხარნა მისი პიროვნება და ჩაენელებინა საუკეთესო მისნი გრძნობანი თუ ოცნებანი? ვერავის და არაფერს, სევდადარეულ სატრფოს გარეშე!

გულნაზი კი, ვარდის დარი გულნაზი, შორს გაეტაცნა ბოროტ რამ ძალას ვაჟკაცისგან, მოეწყვიტნა იგი მისგან თითქო სრულიად. და იყო ოთარ

შეძრწუნებული, დაჰკარგოდა მის თვალში მიმდინარე ცხოვრებას ყოველივე აზრი, მიმქრალიყო მისთვის ყოველივე მისწრაფება შეგნებულის არსებობისა, დაჰვიწყებოდა მას მთელი ქვეყნიერება და თვალთ წინ ედგა მხოლოდ ტანჯული, ცხოვრების ბორბალ ქვეშ მოტანებულ-მოყოლილი თავისი სულისდგმა, რომელი აგერ უზომოდ იგვემებოდა მარტოდმარტო, რომელი ვერვის უზიარებდა თავის გულის სენს აუტანელს, რომელს ვეღარ ეცნო მისთვის თავდადებული ოთარიც კი, მის ეშხით მთვრალი თავისი მეუღლე. დაეხშო ქალს კარნი წამებულის თვისის გულისა, მთლადაც ჩაეკეტა.

ვეღარ ჰშველოდნენ ქალს ვერც შანა მისნისა, არც შეთქმული სადმით, ვერც ხატი ცხოველი, აღარც ალერსი გულდამწვარ ჭირისუფალთა. ოთარი ხომ მთლად უხმარი იყო და გამოუსადეგარი: მისი მზრუნველობა სხლტებოდა ქალის გაყინულ გულზედ და ინთქმებოდნენ ბნელ უფსკრულში უარყოფისა. აწ მიზანშეუწონელიც იყო ვაჟკაცის ყოველგვარი მოქმედება თუ თქმა, აზრს მოკლებული და საოცარი. ვერც იქნებოდა მისი ქცევა შეზომილი ან ფიქრიანი: სული მხოლოდ ერთს ეტყოდა ოთარს, მარტო ერთ მოქმედებისაკენ იწვევდა:

– ჩაეკონე ტანჯულს ტანჯული, დააფრქვიე მასთან ერთად ცრემლი მდუღარე; ამით ჩაადნობ იმ უსაზღვრო უიმედობას!

ეს შეუძლებელი შეიქნა მისთვის, ხოლო სხვა ყოველივე მოქმედება იყო უაზრო და შეუწყნარებელი. მაინც მოქმედებდა კაცი, ცოცხალი იყო და იძვროდა; მაგრამ ამაო იყო ყოველგვარი მისი მოძრაობა, უადგილო, ბუნებრივ სახეს მოკლებული და მთლად უფერი.

გულნაზს კი გაეზიჯებინა ცხოვრების საზღვართაგან. წყვიდადს დაეფარნა მის წინ ყოველივე ის, რაც სინამდვილეს მიეპყრო მისთვის; ხოლო ნივთიერი სახე მიეღო და მკაფიოდ აღმართულიყო მის წინაშე ყოველივე ის, რაც არ არსებობდა მისთვის და ვეღარც იარსებებდა! განსახებული იდგა მის წინ საესავო საგანი მისის საიდუმლო ოცნებისა, პირველყოფილი მიჯნური მისი, რაინდი ანდუყაფარ. ჩამოსცლოდა მას ყოველივე ნაკლი ადამიანური, ზეკაცად ქმნილიყო სანუგეშოდ. სანატრელი ცხოვრება მოეწყო მას თავის გულნაზისთვის. ია-ვარდით მოფენილ და ძვირფასი ქვებით მოოჭვილ გზაზედ მიჰყვანდა მას ქალი და იმ საოცნებო შარაზედ მშვენიერება ენაცვლებოდა მათთვის სიმშვენიერეს, სიუხვე სიუხვეს, სიყვარული ტრფობას; ოქროსქოჩრიანი ვაჟი უჭირველ-უტკივარი მოსდევდა ვაჟსავე საესავოს ქოჩორხუჭუჭას, განმეორებას მათის სახისა. ნათესავ-ნაცნობებიც სულ სხვა ეხვივა აწ ქალს გარშემო და იყო იგი მარად განცხრომაში, სიამეში, მარად ალერსში, მიჯნურობაში. კურთხეულ იყო გულნაზი დედათა შორის, სამგზის სანატრელ.

– ახ, ჩემთან იყავ, რაინდო ჩემო საოცნებოვ, თვალს ნუ ამაცდენ, ნუ განმშორდები! არვინ ეუფლოს ჩემს არსებას სხვა უცხო შენსა გარეშე! აღარ მომშორდე, გენაცვალე. არც მიაფარო თვალთაგან ჩემთა ეს ძენი ჩემნი, შენი ხატება!

რა დაემართა ამ ჩვენს ოთარს?! აღარ გამოდის საზოგადოებაში, რომ ხელი წაახმაროს ობლად დარჩენილ საქმეებს, ან სიტყვით მაინც შეგვეშველოს და გაგვიშუქოს მოქმედების გზა. ყველაფერი დაავიწყდა თავის ოჯახისა და სამსახურის გარეშე.

– სამსახურზედაც თურმე აიცრუვა გული. აქამდის ყველა საქმეს თითონ აკვირდებოდა და უძღვებოდა, ეხლა ყველაფერი ვიღაც გადამწერალს მიანდო და

მხოლოდ ხელს აწერს, რასაც ის კაცი მიუტანს. მთელი საათობით ბოლთასა სცემს ჩაფიქრებული ან უძრავად ზის და თამბაქოს ეწევა განუწყვეტლად.

– ხელი უშვა თავის საკუთარ მამულსაც, რომელიც ისე უყვარდა და ზედ ალევდა თავის შრომას თუ მზრუნველობას.

– მას აქეთ კი დაეტყო ესეთი ცვლილება, რაც ის ბავშვი მოუკვდა.

– ვერაფერი ვაჟკაცი ყოფილა! ბავშვი გადაეცვალა და ლამის ზედ გადააყოლოს თავისი ჭკვა და უნარი. ესეც ერთი უხასიათობაა, დაჭარბებული წუხილი.

– ღვთის გმობაა მეტისმეტი დრტვინვა და სასოწარკვეთილება. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა.

ამბობდნენ მცნობნი, არ კი იცოდნენ, რომ ოთარს საგლოვი გაჰხდომოდა მხოლოდ დაკარგული ბალღი კი არა, სავალალოდ შეჰქმნიყო თვით სატრფოც თვისი. არ იცოდნენ, რომ ვაჟკაცი იგლოვდა არა მხოლოდ ნაყოფს კეთილს, უდროვოდ მოსთვლილს, თვით ხეხილსაც ედემს რგულს, ნერგს საესავოს მისის აწმყოის წალკოტისა და მომავლის იმედებისა. ამ ნაღველს გაეტეხნა ვაჟკაცი წელში, დაეხარა იგი შავ მიწამდის და მოესპო მისთვის ნათელთა მზერის უნარი. რაღა დროს საზოგადო საქმე იყო ოთარისთვის, როდესაც ბოლმით ავსებოდა გული და უკვნესოდა ნამზნევით გატენილი წყლულივით?! რა დროსღა საკუთარ მამულზედ თუ სახლზედ ზრუნვა იყო, როდესაც ოჯახის ბურჯი საამო ჩაეკვეთნა სასტიკ რამ ძალას, როგორც აყირო იმ მღილს გესლიანს?! განა თავი კი ახსოვდა ვაჟკაცს ან შეემლო ყურადღება მიექცია თავის საკუთარ პიროვნებისთვის? სრულებითაც ვეღარ! ვისთვისღა უნდოდა კეთილდღეობა, თუ თავისად ვეღარ იგულებდა მას, რომელი მხოლოდ იყო მისი სიცოცხლე თუ ნუგეში წყვდიად არეში?! თუ გულნაზი არ ეყოლებოდა, წყალიმც ზიდავდა თვითომ მას პირად და ყველაფერს, რაც ძვრიფასი იყო მისთვის!

– რად უნდა ვიტანჯებოდე, რის გულისთვის, როცა ესე ახლოა ჩემზედ მიზეზი ჩემის სიხარულისა, ჩემსავე ჭერქვეშ არის დასაბამი ჩემის შვებისა?! რად უნდა იყოს დაღონებულ-დაჭმუნვებული აი ეს ქალი, უღონოდ რომ დაუყრდნია ძვირფასი თავი ნაქანდაკებ ხელზედ და მისცემის სევდათა ტალღას?! უმწეოდ აჰყოლია დარდს, შეუბრძოლებლად. არც თითონ ძალ-უმს შეჰმართოს მას, აღარც მე მაძლევს უფლებას განვიზიარო მისი ვარამი, შევუმსუბუქო მას ყოფა ძნელი. გული არც მე დამიჭრა ნაკლებ ბალღის სიკვდილმა, მაგრამ ჭირსაც გონივრულად უნდა დახვედრა. ადამიანი რომ სცხოვრობს, ხან ავი შეემთხვევა მას და ხან კარგი, ხან სიხარული, ხან მწუხარება, თუნდაც ტკივილი უსასტიკესი. ჭირი და ლხინი ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ბნელი და ნათელი. საკვირველი იქნებოდა, მოვთხოვოთ განგებას ჩვენდა სანიჭოდ მხოლოდ სიამე თუ სინათლე და განწირულებაში ჩავვარდეთ, თუ ბოროტი მოგვევლინა სისხლით ნაღები, განიზრახავდა ვაჟკაცი გულში.

და თვალი აივნისკენ ეჭირა, სადაც სავარძელში უღონოდ ჩაკეცილიყო გულნაზი და თვალგამტერებით გაჰყურებდა სივრცეს უძრავი. დედამთილმა და მულმა ფეხაკრებით ჩაუარეს გვერდით, წავიდნენ სადღაც, ხმა არ გასცეს ქალს, რომ არ დაერღვიათ მისი მდუმარება და არ შეეშფოთებინათ. იცოდნენ, როგორ მკაცრ სახეს იღებდა მისი მღელვარება: ვეღარ ახერხებდა ქალი დაემორჩილებინა გრძნობები ნებისყოფისათვის და საფიქრო სახით გამოჰკრთებოდნენ იგინი მის თქმაში თუ მოქმედებაში. მიუახლოვდა მარტოდ დარჩენილი ვაჟკაცი მეუღლეს და თვალი მიაპყრო მის სპეტაკ მკლავს, მაცთურად რომ აღმოჩენილიყო სახელოს ფურფუმებიდან, როგორც ყვავილს ზრო გადაშლილ ფურცელთა საშუალ. ქალმა თითქო ვერ შენიშნა მისი მიახლოება. გულმა ვეღარ გაუძლო ვაჟკაცს, დაიხარა და შეეხო ბაგით ქალის ხელს. ცოლმა არ გააცალა ხელი, მაგრამ არ მიჰხედა და

მარჯვენით ანიშნა განშორებოდა მას, არ შეერყია მის მყუდროება. აქამდის ამგვარი რამ მოქმედება სასტიკად ააღელვებდა ქალს.

მაინც ამ ბოლო დროს თითქო დაცხრა ქალი შეუკავებელის დრტვინვისა თუ აღშფოთებისაგან; დამდორდა იგი ოდნავ და მიყუჩდა. მაგრამ თანაც დაჰკარგა მან ყოველივე ხალისი. აღარაფერი იზიდავდა მის ყურადღებას და ცნობისმოყვარეობას, არც მის თანაგრძნობას თუ უარყოფას. მისთვის აწ თითქო სულ ერთი იყო, რა ხდებოდა იმის გარშემო ან როგორ მიიმართებოდა ყოფა-ცხოვრება თვითონ მისი თუ მახლობელთა. გულნაზის სულიერი მდგომარეობა მას აქეთ შეიცვალა ესე, რაც მიმქრალდა და გაცრიატდა მის გონების თვალთ წინ მის ჩვენებათა თუ ოცნებათა სრული სიცხადე და მკაფიობა. უბედობის პირველ ხანს შეძრწუნებული მისი სული ვერ შეურიგდა სინამდვილეს საზარელს, მისმა წამებულმა გონებამ გვერდი აუქცია არსებულს უსახობას აუტანელს, მიჰმართა დაფარულ სავანეს საიდუმლო ოცნებისას და მძლავრად ამოზიდა იქიდან ის ხატება, რომელი იყო აღბეჭდილი მის გულის ფსკერზედ. ამოტივტივა აღზნებულმა აზრმა იგი სახე, სული ჩაჰბერა მას ცხოველმყოფელი და ეთაყვანა.

– ნამდვილ ბედნიერი ვიქნებოდი, თუ არ ამცდენოდა ეს რაინდი რჩეული, რომელ განგებას ჩემად დაესახა და გარემოებათა გამო არ დამჰპატრონებოდა სხვა კაცი, აწც უცხო ჩემთვის, – ფიქრობდა ქალი.

და განხორციელებული ედგა თვალთ წინ იგი რაინდი, რომელს მხოლოდ ხელთ ეპყრა მისი გული თუ სიხარული. აღზნებულმა ოცნებამ ანდუყაფარის ხატებასთან ერთად წარმოშობა მწყობრი სახეები იმ სანეტარო ყოფნისაგ, რომელი განხორციელდებოდა მის ცხოვრებაში, თუ ის ცხოვრება აღნიშნულ წარსადინელით წარმართულიყო. სინამდვილის სიცხადით დაინახა ქალმა ყოველივე წვრიმალიც კი იმ სანატრელი სიცოცხლისა; ფართედ შეაღო კარი ოცნებათა სამფლობელოსი და შევლო შიგ, როგორც არსებულ სინამდვილეში. და იმყოფებოდა იგი საოცნებო რამ არეში, სადა არა იყო მისთვის შეჭირვება, არცა ურვა, არცა სულთქმა; სად უძლური იყო თვით სიკვდილი და დათრგუნვილი; სად სუფევდა სიხარული უჩრდილო და ცხოვრება სამოთხისებური. იქ მიუპყრობდა მას მეუღლე მისი ანდუყაფარ მხოლოდ სიამეს არსებობისას, იქ მარგალიტი მისი ვაჟები მხიარულად მიმოვიდოდნენ უტკივარ-უჭირველნი, ყვავილთ ჰკრეფავდნენ მოლიმარ დედისთვის მისართმევად, პეპლებს დასდევდნენ დაუდგრომელნი, დანავარდობდნენ ისეთივე მალხაზნი და სუფთა-სპეტაკნი, როგორც ნაკადი ანკარა, იქვე რომ ჩამოჩქროდა მდელითა შორის; იქ შეჰნატროდნენ გულნაზს ყველანი, იქ იყო იგი კურთხეული დედათა შორის. აქ კი... ძნელი იყო აქ ბეჩავისთვის, აუტანელი. სიკვდილი დაჰქროდა აქ სახე საზარი. სიძულვილი გამეფებულიყო აქ შავად მავალი, უარყოფა დაჰფრენდა აქ ფრთა-გესლიანი.

როცა გაიარა პირველმა ხანმა სასტიკის მწუხარებისა, ოდნავ დასცხრა წამებული, მცირედ დაემვა მასში გრძნობათა ფურთნა ძლიერი. მიმქრალდა მკაფიობა ოცნებათა არეში მოჭრილ ჩვენებებისა, დაელიათ მათ არსებულ სინამდვილესთან საბრძოლველად მიმართული ძალა. გაიარა დრომ. გამოერია შიგადაშიგ ისეთი წუთები, როცა ქალს წინანდებურად ვედარ იტაცებდნენ მის აღტყინებულ გონებაში არსებული ჩვენებები: ოცნებათა ფარგალში მძლავრად შეიჭრებოდა ხორცსხმული სინამდვილე თვისის აუცილებლობით. მაგრამ ესეთი წამები ჯერ მაინც ცოტა იყო!

გაწამებული ქალის სული ჯერ ისევ მძლავრად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს; ბრძოლით უთმობდა მას თუნდ მცირე ადგილს საოცნებო ასპარეზისას, ყურეს რასმე ფეხის მოსაკიდს. მაინც დაეშვა ღელვილის მჩქროლარე არსება, დასცხრა ცოტად. ამ უდიერმა მღელვარებამ ხელი დაჰრია ქალის ნაზ აგებულებას: ხორცი დაყარა ქალმა, გახდა, ფერმკრთალი შეიქნა, მოდუნდა, მიუმქრალდა თვალთა იერი, მიუსუსტდა ცხოველმყოფელი ძალა სიცოცხლისა. საშიში იყო, არ უფლებოდა მას ავადობა და უდროვოდ არ მოესთვლო ეს ყვავილი სანიმუშო ან რაიმე არ ემზნია მისთვის, არ აერთვა პირი დასარღვევ-დასაშლელად.

დიდი ცოდვა იქნებოდა ეს, შეუწყნარებელი ბოროტება სიმშვენიერის მოსთვლა, თუნდაც შერყევა. შეუნდობელია მშვენება, ნათელი ღმერთის ქმნილება სახიერისა, ხოლო მისი მოსპობა გამარჯვებაა ბნელისა მის უსახოსი. გახსოვდეს ეს!

– ქალოჯან, ჩემო მშვენიერო, დაუჯერე ჩემს მოსიყვარულე გულს და ჩემს გამოცდილებას: ამდენი დარდი ხელს დაგრევეს და გაგანადგურებს; ცოდვა ხარ სიცოცხლით გაუმადლარი; ცოდვაა შენი ქმარ-შვილიც; ჩვენ უზომოდ დავიტანჯებით, შენი მოტრფიალენი. დამთანხმდი და კიდევ ეჩვენე ექიმს. მეგობარია ჩვენი და არ დაზოგავს თავის ცოდნას. თუ კარგს ვერას გვირჩევს, ავს ხომ არ შეგვამთხვევს, არც უარეს დღეში ჩაგვყრის, – ეხვეწებოდა დედამთილი.

დაიყოლია ქალი. თანხმობა არ გამოუცხადებია, არც სიამოვნება, მაგრამ უარი აღარ გაუბედა უფროს ადამიანს. გასინჯა ექიმმა. წამლები მისცა დასამშვიდებელი თუ საყუათო. წინადაც ჟამითი-ჟამად თვალს ადევნებდა ექიმი ქალს და დარწმუნდა, რომ მის ავადობას სათავე ხორციელ მის ბუნებაში კი არა ჰქონდა, რომელიც საღი იყო და შემძლე, თუმცა ნაზად ნაგები, არამედ სენს დასაბამი ასჩენოდა სულიერი ბუნების საზღვრებში; იქიდან მომდინარეობდა დამდნარი ტყვიასავით მძიმე და მწვავე ღვარი სევდისა, რომელს შეეძლო ჩაენავლა და ჩაეშალნა ნივთიერიც არსება მისი.

– რა გირჩიო, ჩემო კარგო? თუ გითხრა სხვა ქვეყანაში წაიყვანო, რომ მგზავრობამ, სხვანაირმა ჰაერმა ან უცხო მხარემ მიიპყროს მისი ყურადღება და დაავიწყოს დარდი, განუფანტოს შეჭირვება, ვაითუ ვერ ეწიო საწადელს. სად წაიყვან ამაზედ უკეთეს ადგილს ან სად მოეწყობი ამაზედ სანთიანად? თუნდ იაროთ, ბოლოს ხომ მაინც უნდა დაბრუნდეთ, ისევ წინანდელ გარემოებაში ჩასდგეთ და მაშინ ხელახლა აეშლება გულის ვარამი. ეგება აქვე ეფონოს, ადგილობრივ.

– მაშ რა ვქნა?

– გამაგრდი და იცადე! არ დააკლო არავითარი მზრუნველობა, ნირი არ შეუშალო. დრო უებარი წამალია აქ და მოთმინება საუკეთესო საშუალება, – უთხრა ექიმმა.

გადასცა წამალთა ნუსხა, რომელს ყოველთვის დაკვირვებით შესთხზვიდა დაბრძნობილი, რომ ხელოვნებაც დაეხმარებინა ბუნებისთვის ჭირთან ბრძოლაში.

– სიკეთის გზაზედ დააყენებს განრღვევულს ახალი რამ ცვლილება თქვენს ცხოვრებაში, შენსა და მაგის ყოფაში, კვლავ მოწვენილი თქვენზედ კეთილი: მიიპყრობს თავისზედ მაგის ყურადღებას და პირველსავე წარსადინელში გადაუშვებს მაგის განცდათა ნაკადს. ბაღის დაკარგვამ მეტად შეურყია გრძნობები და გზა აურიცა.

ოთარი მიჰხვდა, რასაც ეტყოდა მას გამოცდილი კაცი. ჭკვაში დაუჯდა რჩევა, რადგან თითონაც შეეგნო, რომ ტანჯვის მიზეზი ქალის სულიერ ბუნებაში იყო აღმოცენებული, როგორც რამ სოკო გესლიანი. განსაზღვრულ გზას მაინც ჯერ ვერ დასდგომოდა, გაჭირვებიდან გამოსასვლელს; იყო შუა წყალში გაჩერებული უღონოდ, უმოქმედოდ, უძრავად. ეშინოდა გადაედგა ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხნივ, აღმა ან დაღმა: აზვირთებული მდინარე მოქანობდა მის გარშემო და ვერ განეჭვრიტა მღვრიე



ტალღებში, საით იყო მორევი თუ ღვარისგან ნადარი ჯურღმული ან საით იყო სიღრმე უკვე ქვიშით ამოვსებული, ფონი ადვილად სავალი.

გარეშეთ კი არ იცოდნენ არაფერი იმ სულიერი ტანჯვის შესახებ, რომელი წილად ჰხდომოდა ოთარს. ვერც გაიგებდნენ ისინი მის წამებათა მიზეზს თუ სიღრმეს; თუ გაიგებდნენ, ვერ შეისმენდნენ სათანადოდ: მისი სრული შეგნება და შეფასება შეეძლო მხოლოდ მას, ვინც თვით გამოსცდიდა ამგვარ სატანჯველს. გრძნობათა არეში სწარმოებდა ის განცდა. ძნელი და მიუწვდომელი იყო მისი ბუნება თუ ძალა მარტო გონების თვალსაზრისით. სხვებს ხელთა ჰქონდათ მხოლოდ გარეგანი სახე ადამიანის ცხოვრებისა და სჯიდნენ მარტო ამ ზედაპირის მიხედვით. ამისთვის ეგონათ, კაცმა ფერი იცვალა, სათვალთმაქცოდ წამოსხმული ქურქი გადიძრო, თავის საკუთარი სახით მოგვეჩვენა მხოლოდ თავის კეთილდღეობის მიმდევარი, ყველა სხვის უარყოფელი.

– მოვსტყუვდი ოთარში! მაგის მოქმედება იმაზედ ყოფილა დამოკიდებული, თუ რა გუნებაზედ არის ამა თუ იმ დროს, რა ხასიათზედ. დღეს რომ მოჭირნახულედ გეჩვენება, სიკეთის მოსურნედ და მარჯვე მუშაკად, ხვალ თავის ქერქში შეიკრიბება და ყურადღებას აღარ აქცევს, რა ხდება მის სახლის გადაღმა, მის პირად კეთილდღეობის იქით; დღეს რომ მოსიყვარულეა შენი და მეგობარი, ხვალ ქუდსაც არ მოგიხდის შეხვედრისას, ზედაც არ შემოგხედავს.

– მართაღს ამბობ! იმდენად არა ჰმველის ხალხის გაჭირვებას, რამდენადაც განვითარებულია და შემძლებელი.

– იმედი კი დიდი გვქონდა და გვიხაროდა, ერთი შეგნებულ-შემძლებული მოღვაწე კიდევ მოემატაო ჩვენ წრეს.

– მაინც გამოსადეგია ჩვენთვის და მვირფასიც. მართალია შენი სიტყვა, საბუთიანი, მაგრამ მე რომ ვუყურებ მაგ კაცს, საიდუმლო რამ დარდი აწევს გულზედ, რომელიც ხან შეუმსუბუქდება და შვებას მისცემს, განუმრავლდება მაშინ უნარი შრომისა; ხან შეუმძიმდება სადარდელი, ძირს დაჰხრის მას, როგორც ტვირთმძიმეს და უსპობს ხალისს მოქმედებისას. მაინც იმედი მაქვს, რომ ბოლოს დასძლევს ყველა დაბრკოლებას და ისევ განავითარებს მამულიშვილი თავის მოქმედებას.

მართაღს ამბობდნენ ოთარის მეგობრები. ამ სიმართლეს თითონაც კარგად ჰხედავდა ვაჟკაცი, მაგრამ მონა იყო თავის გრძნობისა, შებოჭილ-შებორკილი ტყვე და რა შეეძლო ან როგორ დაეხსნებოდა ამისთანა თავის ყოფას?!

– ნუთუ საბედოს წყევამ მიწია და განგებამ მისთვის დამსაჯა, რომ ვერ შევესრულე იმ ქალს სურვილი?! არა! უსამართლო იქნებოდა მაშინ თვით ზენა: იმ გზაზედ მსვლელი, განვიდოდი ქვეყნიდან ისე, რომ ვერ განვიცდიდი ვერც სრულს სიხარულს, ვერც ტანჯვის უფსკრულს; ავცდებოდი ცხოვრების მთელ აზრს, ტანჯვა სასტიკიც ნუთუ არა სჯობს ცხოვრებას მდორეს, ხავს მონაკიდებს?! ყუჩი ცხოვრება! მას ხომ ძალ არ უძს გამოსცადოს ვნებათა სიტკბო თვით ედემური, ვერც ღმობა მძაფრი ჯოჯოხეთური.

– ველარ ითავსებს საბრალო გული ტანჯვას ზეკაცურს.

– მაინც ნუ დრტვინავ! ნეტარებად უნდა მიიღო, რომ სჭირისუფლობე განსახებულ შენს ოცნებას, თუნდაც გულს გესოს მისგან ამ ჟამს ბასრი მახვილი. ხომ აგისრულდა ნატვრა გულისა და ცა გაგესხნა თუნდ ერთი წამით? მაშ ზეკაცი ხარ შენ! უნდა იტვირთო ტანჯვაც ზეკაცის.

– მართაღს მომიტხრობ! ნუღარ გასტეხს სულს და ნუღარც გასდრევს ტანჯვა უსახო! მაგრამ... რითიღა ისაზრდოვოს საბრალო გულმა?

– წარსულ სიამის ოცნებაში განსახებით, სანუგეშო მომავლის წარმოდგენით!

ოთარის მეგობრები მართალს ამბობდნენ მის შესახებ, ისევე მოიხალისებს, ჩვენკენვე იზამს პირს და დაგვეხმარება, რომ უკეთესად წარვმართოთ საზოგადო საქმეები და ავაჩქაროთ მათი კეთილმსვლელობაო. ესეთი დრო მართლა და მალე უნდა დამდგარიყო; ამისი ნიშნები მოსჩანდნენ ოთარისთვის. გარეშენი ვერა ჰხედავდნენ ამ ნიშნებს, ვერც დაინახავდნენ: საპირადონი იყვნენ იგი ნიშნები, განკერძოებულნი; არამც თუ უცხოთათვის, მახლობელთათვისაც კი დაფარულნი. მეგობრები მაინც იმედიანად უყურებდნენ მას, მათ ერთობისაგან გამოკლებულ ოთარს. მხოლოდ სცდებოდნენ მის მოქმედებათა შესახებ: ეგონათ, მისი ცვალებადობა დამყარებული იყო მის დაუდგრომელ ბუნებაზედ, რომელი ჰბრუნავდა დროდადრო და იმიტომ ხან გამოჩნდებოდა საერთო ცხოვრების არეზედ, ხან შეიკუმშებოდა და ჩაიკეტებოდა, თითქო განდევილი ვინმე უქმური. მალე მოსწყინდება განცალკევება და დაგვიბრუნდებაო. ამბობდნენ. არ კი იცოდნენ, რომ ვაჟკაცის ეს ცვალებადობა იმაზედ იყო დამყარებული, ღრუბელთ მიეფარებოდა მისი მზე მისგან, თუ ნისლით უდარებდა იგი შუქური და უღიმოდა.

ილეოდა ოთარის წყვილიანი ღამე, ცრიატდებოდა; გარიჟრაჟის ნიშნები დასტყობოდა მის ცხოვრების ცას ჩაშავებულს; იღებოდა ბნელისაგან შეკუმშული მისი გული; უკვე გრძნობდა სევდისგან დაქანცული ოთარის სული სიამეთა მოახლებას, შვებათა გამრავლებას. ამის მახარებელი ნიშანი იყო ის, რომ ქალი აღარ ღელავდა შეუკავებლივ, აღარ ეძებდა განმარტოვებას; ადამიანის ხმას ბეზარს აღარ მოჰყვანდა ის; არცაა ავ გუნებაზედ აყენებდა ქმრის მიახლება. უკვე ფერი ჰკრთომოდათ და მიმქრალეულიყვნენ ის საოცნებო სახეები, რომელნი ჰვლობდნენ აქამდის გულნაზის სულიერ არსებას, სჩრდილავდნენ მის გონების თვალწინ სინამდვილეს ნივთიერს. უკუსდგებოდა სიყვარულის შურით აღგზნებული ხატება რაინდისა, რომელი სდევნიდა ქალის გულიდან მიჯნურობით განლულს ოთარს. თანდათან გაცრიატდა და უკვე მზა იყო გამქრალიყო სახე ანდუყაფარისა, რომელი ხორცხმულ ჰყო ქალის აღგზნებულმა წარმოდგენამ; ქრებოდა იგი და მასთან ქრებოდა მის გარშემო ნატვრათა არეში მოქარგული საოცნებო ცხოვრებაც თავისებური. ქალი სცდილობდა შეეყენებინა ის ჩვენებანი თავის გონების თვალწინ, არ გაეშვა ოცნებათა ფარგლიდან, მაგრამ ამაოდ ურჩებოდა ზრუნვა: იგი სურათები შეუფერხებლივ იწევდნენ უფსკრულისკენ არარაობისა. ხოლო სინამდვილე, მისი ხმები თუ მოთხოვნილებანი ძალას იკრებდნენ და შეუდრკომლად მიისწრაფოდნენ არესაკენ ცნობიერებისა, რომ გასხივოსნებულიყვნენ იქ ძლევაძმოსილნი, ისევე მიემართათ სიცოცხლით სავსე არსება სინამდვილისკენ და ჩაებათ საყოველთაო ფერხულში ცხოვრებისა. უკუსდგემოდნენ ჩვენებანი დაღლილ ოცნების თვალთა ხედვიდან; ნელ-ნელ შრებოდა საგუბარიც იგი სევდისა; სიამის ალიონი მაცოცხლებელ სხივებს აწვდიდა ქალის ტანჯულ გულს, თუმცა ჯერ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად, ბუნდად, ცრიატად.

აღლოთი გრძნობდა ტყვექმნილ ვაჟკაცის მისანი გული ამ სათავისოდ მიმართულ ცვლილებას ქალის პიროვნებაში და ილხენდა, ივსებოდა იმედით ფერად-ფერადით. იშვებდა ადამიანური ცხოვრების მოლოდინში, ხოლო თავის მშრომელ მარჯვენას სიყვარულ-სიხარულით აღმართავდა ყოველგვარ ზრუნვათა გასაფანტად ქალის გარშემო, რომ არავითარ რყევას ცხოვრებისას არ ემზნია მის სათუთ ყოფისთვის. ის იყო ძნელი, მოთმინების ფიალა აღვსოდა ვაჟკაცს, გასძნელებოდა

სიმორე გვერდითვე მყოფ მიჯნურისა, მოუთმენლად უნდოდა ეხლავე მკერდს მიეჭდო მშვენიერი, დასწაფებოდა სიამის ყვავილს თითქო უჭკნობელს, ახალთ-ახლად შლილს, მიწყივ სასურველს, მარად სანატრელს, და დაჰკრა ოთარისთვის ნანატრმა ჟამმა საოცნებომ.

ამოვიდა ოთარი აივანზედ და გაემართა გულნაზისაკენ, რომელიც სკამზედ იჯდა მოაჯირთან და გადაჰყურებდა არემარეს. სათბილობელი ჰქონდა ქალს წამოსხმული. სახე დაჰმშვიდებოდა, შუბლი გაჰხსნოდა. ოთარს ხელში ბროწეული ეჭირა; მარნიდან ამოჰყოლიყო. გამოვიდა ძიძა, ბალლი გამოიყვანა მორთული: სასეირნოდ გამზადებულიყვნენ. პატარა მივიდა მამასთან, მუხლზედ მოეხვია. კაცმა აიყვანა ბალლი, აკოცა, მისცა ნაყოფი. უთხრა:

– წადი, დედილოს მიეცი ბროწეული!

ბავშვმა მიუტანა ხილი დედას და თვალეში შეხედა; უნდოდა გაეგო, რა გუნებაზედ იყო დღეს მისი დედილო. იგრძნო დედამ ბალლის წყურვილი და შეეცოდა: აქამდის თბილ გრძნობათა შუქს არ ახვევდა გარს მის ჩვილ არსებას, რომ ლაღად აღორძინებულიყო ეს რტო ახალი, ნაყოფი მისის საკუთარის ბუნებისა, განმეორება მისის და ოთარის არსებისა განუყოფელი. ჩამოართვა ბავშვს ნაყოფი, აკოცა თვალეში, გადაუსვა ქოჩორზედ ხელი, გაუსწორა ხალათი და უბრძანა ძიძას:

– გაუფრთხილდი, არაფერი იწყინოს ან არ გაცივდეს!

ალერსს დანატრებული ბავშვი სიხარულით ყელს მოეჭდო დედას საყვარელს. გაუხარდა ყველას, პირს ღიმი მოადგათ. დედამთილმა იდუმალ ჯვარი გადაჰსახა გულგამუქებულ რძალს.

გულნაზი მალე მოახედეს ფიქრებმა საამქვეყნოდ, სინამდვილეთა სახე მიუპყრეს მის თვალთა ხედვას. მოხედებული ქალი ისევ აჰყვა ცხოვრების ტალღებს. ეხლა ქალს ცხადად დაესახა თავის დაღუპული ყაფოს პატარა საფლავიც.

– ახ, იმ შავ-ბნელ დღის შემდეგ აღარ მინახავს საბრალოს სამარე, – გაიფიქრა.

და დაასკვნა მეორე დღესვე წასულიყო, რომ ცრემლი დაეფრქვია პაწაწას სამარეზედ და შეევედრებინა იგი მეუფისთვის, რომლის წინაშე აწ იმყოფებოდა საბრალო ალბათ სახით ანგელოზისა. ამ ფიქრმა ისევ დააღონა ქალი, ისევ ჩააფარა მისი სახე სანდომი სევდის რამ ღრუბელს ძნელად გასაჭვრეტს. მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, გულნაზმა ჩაიცვ-დაიხურა და მოისურვა ქმართან ერთად გასეირნება. წუთზედ მზად იყო ოთარი. ქალმა შეუხვია იმ ორღობეს, სასაფლაოსკენ რომ ჩასდევდა. სიმშრალე იყო. გაზაფხულის მზეს ჯერ ძლიერ არ გაჰხურებოდა გული, მაგრამ მაინც ემხით დაჰნათოდა თავის სატრფო დედამიწას. ჩამოჰმორებოდა ბუნებას სიმძიმელი, აღარ მოსჩანდა მის სახეზედ კაემანთ ჩრდილი. ახლად ამოსული მდელო ღიმილით შეჰყურებდა ლაჟვარდ ცას. ხეხილი უკვე შემოსილიყო ნორჩი ფოთლით. საამო სახე მისცემოდა ბაღს თუ წალკოტს. ხალისი დასტყობოდა ყველა არსს: გრძნობდა იგი ახლად გაღვიძებულს შემოქმედებითს ძალას ბუნებისას. გასცდნენ ორღობეს, გადიარეს მცირე რამ ველი, გავიდნენ ხევს და შეუდგნენ გორაკს, საუნჯარას მცხოვრებთა საუკუნო განსასვენებელს. საფლავთა ქვების სიმრავლემ შეაკრთო ქალი; ფერი ეცვალა ოდნავ, სვლა შეუბრკოლდა.

– დაიღალე, გენაცვა? ეხლავე მივალოთ! – უთხრა ქმარმა.

გაუძღვა წინ. ოციოდე ნაბიჯის შემდეგ შესდგა შვილის საფლავთან. რკინის მოაჯირი ერტყა სამარეს, ხის ჯვარი გვირგვინით იყო შემკული. სამარე ახლად მჭკნარი ყვავილებით იყო მოფენილი. მიჰხვდა ქალი, ვისი მზრუნველი ხელის უნარი იყო ეს და მადლობით შეხედა ქმარს ცრემლმორეულმა. საფლავის გვერდზედ დაჩოქილი მტირალი დედა საარაკო ქანდაკებად დაესახა ოთარს ცრემლიანს. ბალლის

უმანკო სულმა დაინახა მისკენ მიმდინარე ცრემლთა ნაკადი და სიამით დაეწაფა წმიდას, ანკარას. ძალიან მოსწყურებოდა ბეჩავს.

– მიცვალებული პაწაწა მხოლოდ მშობლების ცრემლით იკლავს წყურვილს უჭკნობ ყვავილთა ქვეყანაში. შენ არ იცოდი ეს?!

ქალმა გამოიტირა დაკარგული შვილი და ხელი გაუწოდა ქმარს, რომ მიჰშველებოდა იგი დაქანცულს. ვაჟკაცმა ხელი დაუკოცნა ძვირფას მეუღლეს და ძლიერის მარჯვენით აღადგინა იგი ახალცხოვრებად ისევ საამოდ, ნაყოფიერად.

1916

წ.

## ლ ე ვ რ ე ლ ა

ესელა დაგვრჩა სანაცვლოდ  
იმ იმედისა დიდისა.

### 1

– ძალიან კარგი ბალები გყოლიათ, ბატონო პეტრე იოსების ძევ, მშვენიერი, ზრდილნი, სწავლაში წარმატებულნი. განათლებულნი გამოვლენ და ბედნიერად იცხოვრებენ ღმერთმა დაგიზარდოსთ!

– გმადლობთ, ჩემო პორფირე!

– თქვენი საკუთარი უნარით ამისთანა ძვირფას გარემოებაში ზრდით ბავშვებს და რა საკვირველი იქნება, შვილნი დაედარნენ და კიდევ აჯობონ მამას, თუნდ თქვენისთანა სახელოვან მშობელს.

– ძალიანაც ნუ გვაქებ, ჩემო პორფირე, თორემ შეიძლება მართლა მეტად გავზვიადდეთ, თავი ბუმბერაზად წარმოვიდგინოთ.

– როგორ არა ვსთქვა, როცა მარტო თქვენი შრომით შეჰქმენით ეს სახელოვანი და უზრუნველი ყოფა. თქვენ შვილებს მხოლოდ ერთი ნაბიჯის წადგმაღა დასჭირდებათ, რომ სათავეში მოექცნენ ცხოვრებას ყოველმხრივ გამარჯვებულნი.

– თითქმის მართალს ამბობ, ჩემო კეთილო! მადლობა ღმერთს, მარჯვედ მიდის ჩემი საქმე და ცოდვა იქნება რაზედმე უკმაყოფილება გამოვსთქვა. მხოლოდ ეს არის, რომ შიგადაშიგ თითქო ავადდემყოფობ; როგორღაც გავტყდი და შევმძიმდი; ის აღარა ვარ კაჟივით მტკიცე, ყოველგვარ გაჭირვების ატანა რომ ჩალად მიმაჩნდა. ხომ გახსოვს, რა გარემოებაში ვიზრდებოდი მე და შენ?

– მახსოვს და ეგრე! ისე მაქვს წარმოდგენილი, რომ ნასახი მაშინდელი ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისა ამოკვეთილ-ამომწვარი უნდა იყოს ჩვენ სულში და ჩვენ აგებულობაზედ: რა არ გამოვცადეთ! სიცივე, სიტიტველე, შიმშილი, უწმინდურება, შხრდიალი ყველასაგან, თავმოყვარეობის შელახვა ყოველმხრივ. ნულარ მომაგონებთ, გენაცვა, ნულარ! მხოლოდ გახსენებაც კი იმ დროსი და გარემოებისა სულს მიხუთავს, გამოურკვეველ შიშსა მგვრის. როგორ გადავრჩით?!

– ბარაქალა ჩვენს ბიჭობას, რომ მაინც გავუძელით ყველაფერს და ფონს გამოვედით, არ დავილუპენით, როგორც დაინთქვა ბევრი ჩვენი ამხანაგი. ქუჩის მაწანწალობისაკენა გვექონდა გზა მიმართული, საზარელი ხნარცვის პირას დავძრწოდით შიგ ჩასათხევად მზაქმნილნი, მაგრამ მაინც თავი შევიმაგრეთ და დახე,

დღეს კაცნი ვართ პატიოსანნი, ადამიანურად მცხოვრებნი. ბატონკაცობაშიაც კი შევსძელით ფეხის შედგმა. ვმადლობ ბედს! ნახევრისაც ღირსი არა ვარ.

– კიდეც შესდგით ფეხი დიდკაცობაში და მკვიდრადაც დაემყარეთ შიგ. რომელი დიდებულია წაგიდგებათ წინ ან მებატონე?! ნასწავლობაში, ხელთუფლობის პატივში, განათლებულ ცხოვრებაში და თუნდ დოვლათში. ეხლა ადვილად ვეღარავინ დაიკვებებს თქვენზედ მეტობას, ძალიან დიდი ადგილი გიჭირავსთ, ცხოვრების კიბეს თითქმის თავს მოჰკვებებართ. კენწეროში სწორედ რომ ყანდისავით თქვენ დაგიტებათ შხამივით მწარე ძირი ჩვენის სწავლისა. ეხლა უკვე შეგიძლიანთ მოსვენებით იცხოვროთ და გულდინჯად დაჰყუროთ ცხოვრების მღელვარებას.

– მაინც ბოლომდისინ უნდა ვიბრძოლოთ, ჩემო პორფირე, მეცა და შენც! უზრუნველყოფილნი ვართ, მოსვენება კი არ გვიწერია, მე მაინც. მაგრამ არა უშავს რა: ჯერ კიდეც იმედი მაქვს ჩემის თავისა, – მიუგო პეტრემ და შესწყვიტა სიტყვა შემოსულ ახალგაზრდის დანახვაზედ.

– აი ჩემი ლადიკოც! გთხოვთ იცნობდეთ ჩემს პირმშოს და მემკვიდრეს, – წარმოსთქვა პეტრემ და მიჰმართა შვილს:

– ეს პორფირე ბრძანდება სვიმონის-ძე, ჩემი სიყრმის ამხანაგი და გულითადი მეგობარი; ერთად ვიზრდებოდით.

– რამოდენა ვაჟკაცი გაგზრდიათ! ხუმრობა აღარ არის, უკვე უღვაშები ამოჰზიზინებია. ძალიან წარმოსადეგი ჭაბუკი დადგება, – შეაქო სტუმარმა მასპინძლის შვილი.

ლადიკო თამამად წარსდგა წინ, ფეხი ფეხს შემოჰკრა ემხიანად და ხელი ჩამოართვა მამის ნაამხანაგარს. შავგვრემანი ბიჭი იყო, შავთვალ-წარბა. გადაქანებულ შუბლზედ ჩამოჰშლოდა გადავარცხნილი თმის კულუღი. თვალის ბაიებში დაუდგრომლად უთრთოდა ალქაჯი რამ ციაგი და ეს ცულლუტ იერს აძლევდა მის სახის გამომეტყველებას.

– ჩემი ქალია, აგერ მუსიკაზედ რომ ვარჯიშობს, წელან რომ გაგაცანით თამრო. ნიჭი შეაჩნდა და საკმაოდ ძლიერიც, თუმცა არ ვიცი საიდან: მე არასდროს არა ვყოფილვარ მომღერალი თუ დამკვრელი და, ვგონებ, არც დედის მხრივ მოუდის საკრავთა ჟღერისა და სიმღერის ნიჭი, – სთქვა პეტრემ.

და გაჩუმდა, ყური დაუგდო, სმენად გარდაიქცა, რომ სტუმარსაც მიეზამნა მისთვის, ესმინა საკრავის ხმა და დამტკბარიყო. მართლა და შორეული ოთახიდან მოისმოდა სიმთა ჟღერა-წვრიალი და მწყობრ ხმათა რაკრაკ-კასკასი.

– სწორედ რომ ბედნიერი კაცი ბრძანდებით, ჩემო პეტრე, მეტ წარმატების ღირსი გყოს ღირსეული ადამიანი! – გულწრფელად უთხრა პორფირემ.

ერთობ დიდებულად ეჩვენა ეს სარკესავით დაკრიალებული ოთახ-დარბაზები ძვირფასი ავეჯით სავსე, ათასგვარი ლამაზ-ლამაზი ნივთებით და ზიზილ-პიპილებით დამშვენებული, შიგ მწყობრი ხმები უხვად მიმოზნეული, ყვავილებივით ჩაცმულ-დახურული ცოლ-შვილი და თვით ოჯახის თავი ფაქიზად მოვლილი, გაქათქათებულით მოსილი; ფეხაკრეფით და აუჩქარებლად მიმომსვლელი მსახურები; მეტადრე ის დიდკაცური ძალა, რომელიც მოეპოვებინა პეტრეს სახის გამომეტყველებას და შარავანდედად ეფინებოდა მის წვერ-ულვაშს.

მოახსენეს ბატონს, მოხელემ ქაღალდები მოგართვათო. უბრძანა შემოეყვანათ. შემოვიდა ხელქვეითი, სკამის წვერზედ დაჯდა მოწიწებით და გადაუშალა რაღაც ნაწერები. პეტრემ გადიკითხა ზოგიერთი მათგანი, ხელი მოაწერა. ერთი ქაღალდი დაუწუნა და მკაცრად უბრძანა გადაეწერნა.

– მე თითონ შუადღემდის არა მჭირია სამმართველოში მისვლა, მაგრამ აქ, სახლში, დილიდგანვე მაწუხებენ. უბრალო ქარალდიც კი ვერ შეუდგენიათ რიგიანად, თუ არ ვუჩვენე და ხელმძღვანელობა არ გავუწიე, – სთქვა პეტრემ მოწყენილის ხმით.

– ბატონო, საუზმე მზად გახლავსთ, თუ ინებებთ, – მოახსენა ფარეშმა.

პეტრემ თავისი სტუმარიც გაიწვია სასადილო ოთახში და ზანტად წამოდგა, თითქო რამე მოსაბეზრებელი საქმისათვის გასარჯესო ბატონკაცი.

## 2

პორფირე და პეტრე ერთ ბინაზედ მოჰყვნენ ბაღლობისას ქალაქში; ერთნაირ გარემოებაში გამოიზარდნენ, ერთგვარ იწროება-გაჭირვებაში გამოიარეს სკოლა, ერთადა სწვნიეს სიმძიმე თუ სიმკაცრე ბეჩავურის ცხოვრებისა. წარსულში მრავალი ღირსსახსოვარი შემთხვევა და მოგონება შემოჰხვეოდა მათ პიროვნებებს და ჰკონავდა თანშეზრდილთა მეგობრობას განუყრელად. ბევრ ჩამაფიქრებელ განცდაში იყვნენ ისინი თანამოზიარენი. ორივენი ყოჩაღები გამოდგნენ და ამტანნი: სძლიეს ყოველგვარი ნაკლულოვანება და ბოლომდის ერთად განვლეს ორ სასწავლებელში ჩარაზმული კლასები, წყვილად დაკვართულებმა გაიტანეს ლელო. ერთობ ძნელი სავალი იყო იგი ვიწროები, უმწეოთათვის ათასგვარ დაბრკოლებით სავსე, მაგრამ მაინც მიაღწიეს მიჯნამდისინ. თუმცა კი, მართალია, ბევრჯერ გაკაწრულ-გაქლეშილებმა სულით თუ ხორცით, ნაგვემთ, დამცირებულთ, არაერთხელ განადგურების კარამდისინ მიხწეულთ. შემდეგ გაჰყარა ცხოვრებამ მეგობრები. პეტრემ რუსეთი მოიარა და უმაღლესი უფლებებით შეჭურვილს პირდაპირ თბილისში მისცეს ადგილი. მალე დაწინაურდა სამსახურში თავის გამრჯეულობისა და აზრიანი ცბიერების გამო, ძალიან დიდი ადგილი დაიჭირა. პორფირე კი თბილისის გარეთ ჩაება სამსახურში და რამდენიმე წელიწადი გაატარა მბრძანებლობის ქვეშ. უბრალო სამსახური ეჭირა. შრომის სასყიდელი საკვებად ძლივსდა ჰყოფნიდა. ეს სამსახური ისევე სამძიმო ეჩვენა მას, როგორც სკოლის წესები თუ მოსწავლური ცხოვრება. მეტს მოელოდდა! რახან მხოლოდ საკუთარი შრომით შეიქმნა უფლებამოსილი, ცოტა მეტი თავმოყვარეობა განვითარდა მასში, უფრო მეტი ქედმაღლობა, სინამ აიტანდა ცხოვრება. ეხამუშებოდა მოხელესებური დამოკიდებული ცხოვრება, ეჩოთირებოდა იგი მძიმე უღელი. სკოლაში ყოფნის დროსვე ისეთი აზრი შეადგინა ცხოვრების შესახებ, რომ იქ უნდა ეპოვნა თავისუფლება. ეხლა კი თავს ედგა ბატონი და თანაც ისეთი, რომელიც არაფრით უკეთესი არ იყო მასზედ, არც განათლებით, არც კაცური კაცობით; იგი მხოლოდ ხანგრძლივი სამსახურის გამო, ქედწახრილი მუშაობის შემწეობით დაუფლებოდა ბრძანებლობას. არ უამა ვაჟკაცს ეს, იუცხოვა, ვერ შეეთვისა ამ ამბავს. ეჰ, ბოლოს მაინც მიეჩვეოდა ამ გარემოებას, შეეთვისებოდა იმ მძიმე უღელს, მის რკინის ტაბიკებს, მაგრად დაჭერილ უწყვეტ სამალდესაც. იქნება ბედნიერადაც ეგრძნო თავი იმით დაიმედებულს, რომ ჟამითი-ჟამად, ყოველ თვის ოც რიცხვში, ცხიმს წასცხებდნენ უღლისაგან ნაბეგვ-ნაბეჟ, დაღვერილ-აქერქეშებულ ქედზედ და მით წამიერად უსალბუნებდნენ მის იარებს. მაშინ ამ საპოხს დაისახავდა იგი უმთავრეს მიზნად თავისის ცხოვრებისა, ხოლო მისი ზრდა-გაბეგრება, თუნდ მცირედი მისი მატება სამხიარულოდ გარდაშლიდა მის გულს. ბევრი მისთანა მიეყვანა ცხოვრების გულცივ დენას ამისთანა დასკვნამდის და მასაც ძალით ჩააყენებდა ნაცად კვალში, თუ ბედნიერ შემთხვევას დროზედ ხელი არ შეეწყო მისთვის.

შემთხვევით კარგი დიდი დედულ-მამულის მექონი ობოლი ქალი შეერთო პორფირემ. მიწა-წყალმა ნელ-ნელა გული დაუხვია მას, მიიჩვივ-მიითვისა. ამ საუნჯემ ღიმილით გადაუხსნა წიაღი თვისი და დაარწმუნა, რომ მას აქედანაც შეეძლო ამოეღო იმოდენა სასყიდელი, რამდენსაც აძლევდნენ ბატონები, დახშულ ჰაერში მაგიდის ფეხზედ მიჯაჭვულს და მარად ქალაღზედ დახრილს. გაანება მოხელოებას თავი და დაამყარა თავისი იმედები თავის მამულზედ. სოფლური ცხოვრება მას აქეთ უფრო შეუყვარდა პორფირეს, როცა ცხვარი გაიჩინა, ფარა გაიმრავლა. ცხოვარმა მსწრაფლ უმატა მის საცხოვრებელს, მთლად განდევნა ნაკლულოვანება ყველა კუთხიდან მისის სავანესი. ეხლა პორფირე ძალიან შეძლებულ კაცად ითვლებოდა სოფელში, მდიდარ ოჯახის მექონ მეკომურად. ხალხისაგან პატივცემა ჰქონდა დამსახურებული და ნდობა-სიყვარული, რადგან ბოროტად არა ხმარობდა თავის ცოდნას და შეძლებას: არავისა სჩაგრავდა, არც აზარალებდა. არ ჰშურდა ვისთვისმე თავისი ოქრო თუ უნარი. გაჭირვებული ყოველთვის ჰპოვებდა მის კარს შველას სიტყვით, კალმით და ნივთიერადაც. სუსტი ხასიათისა კი არ იყო პორფირე, არც თუ წარამარადა ჰქონდა ხელი გაშლილი; დაუმსახურებლად მისგან რაიმე გატანა არც თუ ისე ადვილი იყო, როგორ პირველ შეხედვითა სჩანდა.

შემდეგში მთლად კმაყოფილი შეიქმნა პორფირე თავის მყუდრო ცხოვრებისა სოფელში, სადაც ყველაფერში მაღლიან ბუნებას და თავის მარჯვენას დაჰნდობოდა, სადაც ყოველივე შინვე მოეპოვებინა თავის ხელით დამუშავებული. ეხლა ის თავისუფლად გრძნობდა თავს: თითონვე იყო განმგებელი თავის თავისა, თავის შრომისა. სოფელთან კარგი ურთიერთობაც აკმაყოფილებდა ვაჟკაცს და თავის თავის მაღლიერად ჰხდიდა. კეთილი მეზობლობა თუ მეგობრობა; დოვლათით სავსე სახლ-კარი, ბუნებასთან სიახლოვე და ერთობა, მარგალიტებივით ცოლ-შვილი. სხვა რაღა იყო საჭირო ისეთ ადამიანისათვის, რომელსაც არ წაეყენებინა ერთობ გადაჭარბებული მოთხოვნილებანი არც თავის თავისათვის, არც ცხოვრებისათვის?! ეხლა კიდევ მიეღწია პორფირეს მიზნისათვის და დამშვიდებულიყო კმაყოფილი თავის თავისა, თავის ბედისა. მისი სიყრმის ამხანაგი და მეგობარი პეტრე იოსების-მე, შედარებით ძლიერ განდიდებული, გაკვირვებას იწვევდა მასში, უნებლიეთს პატივისცემას, ხოლო ეს გრძნობა არ იყო დაკავშირებული არავითარ შურთან. ის უკვირდა უკვე გასოფლელეებულ პორფირეს, როგორ მოახერხა პეტრემ, რომ ისე სავსებით შეუფერა თავისი პირადი მოთხოვნილებანი ბატონთა ბრძანებლობას, საბოლოოდ არავის დააჩაგვრინა თავი, არც დაამდაბლებინა და ნელ-ნელა ავიდა ძალთა კიბის საფეხურებზედ და აგერ ზემო სართულში მოექცა ხელთუფლობის საკვირველ კოშკს, აკი პირდაპირაც უთხრა თავისი გულისხნადები მეგობარს:

– პეტრე, სწორედ მაკვირვებს იმ თავით ამ თავამდე შენი პიროვნებაც და შენი მოთმინებაც საწადელის თანისთანობით მიხწევაში. ჭკვა რომ კარგი გაქვს და ფართედ მხედველი, ეს მე პატარობიდანვე ვიცი, მაგრამ სჩანს დიდი უნარიცა გქონია წინადგანჭვრეტისა და მის მიხედვით სამოქმედო გეგმის შედგენ-შემუშავებისა; უხვადა გქონია მონიჭებული ხასიათის ძალაც აღნიშნული მიზნის მისახწევად. განა არა, სასწავლებელშიაც მაკვირვებდა შენი შეურყეველი და დაჟინებული სვლა დასახულ საგნისაკენ.

– სხვანაირად არ შეიძლება, ჩემო პორფირე! უნდა იცოდე, რომ აქ ჩვენი ცხოვრება თავით ბოლომდინ ხელოვნურია, ბუნებრიობას მთლად მოკლებული; ამიტომ ჩვენი მოქმედებაც, თვითეული ჩვენი ნაბიჯი მთლად ხელოვნური უნდა იყოს და შეთხზილი, განზრახ საგანგებოდ შეწყობილი; მხოლოდ მაშინ ეწევი წადილს!

– ვხედავ, და ვგრძნობ! მე ვერ ავიტანე და გავშორდი მაგნაირ ყოფას.

– და რა წააგე? უკვე უზრუნველყოფილს ეხლა შენი თავი შენვე გაბარია და სცხოვრობ მოსვენებით; სრული იმედით შეჰყურებ აწმყოსაც, მომავალსაც, რადგან ფეხი მაგრა გიდგა დალოცვილ დედამიწაზედ.

– ვმადლობ ღმერთს! კმაყოფილი ვარ ჩემს გზაზედ; მაგრამ სწორედ მიხარიან შენი დიდებული ყოფაც და გულწრფელად პატივსა გცემ მაგნიარ განსხვავებულ ნიჭის მექონ მეგობარს. სიყვარულით კი, ხომ იცი, ისევ მიყვარხარ.

– ან როგორ შეიძლება არ გვიყვარდეს ერთმანეთი, არ გვიხაროდეს ერთმანეთის სიკეთე და სიცოცხლე, როდესაც ცხოვრების კალოზედ სულ ორიოდელა დავრჩით სასწავლებელში ერთად შესულნი და სწავლის გზაზედ ერთად მავალნი. სხვები საუკუნოდ მიეფარნენ ჩვენ თვალთაგან, ჩაინთქნენ უფსკრულში არარაობისა, – თქვა პეტრემ.

და ოდნავ დაღონდა. დააფიქრიანა მეგობრები ამ მოგონებამ. მათ გონების თვალწინ რამდენიმე სანდომი სახე ჩამოუტარა, რომელნიც აგერ გუშინ არსებობდნენ, მათ გვერდით ვიდოდნენ შარაზე ცხოვრებისა, მათთან ერთად სტკბებოდნენ მზის სხივით და აწ აღარ არიან, განქრნენ უკვალოდ. დუმილი ჩამოვარდა მეგობართა შორის. უნებლიეთ დახედეს მათ თავის შეჭადარებულ წვერ-ულვაშს, უკვე მიძველებულ ხელებს, უძღურობის ნაოჭებით რომ დასერილიყვნენ და დაჰკარგოდათ ჭაბუკური სიმტკიცე მოძრაობისა.

### 3

დიდი ხანი იყო პეტრეს ჩვილი გრძნობები დაჰკარგვიყო. მოხელეობას ამოეხაპა მის კეთილ გრძნობათა ნაჟური და ამოეშრო. მაინც რა საჭირო იყო ხელთუფლობაში სათნო გრძნობა ან რის გამოსადეგი?! ქალაღი უნდა შაგედგინა, თარიღი აღგენიშნა, აგენუსხა და გაგეგზავნა. ქალაღი მხოლოდ საქმეს ეხებოდა, ნაკვალ სადენში მიმდინარე საქმეთა მწკრივს. ვის აბედნიერებდა შენი ნაწერი ან აუბედურებდა, ვისა ჰქელავდა იგი ან ფეხზედ აყენებდა, ეს შენ არ გეკითხებოდა. მიდიოდა ქალაღი, მიშრიალებდა. ისიც კი არ იცოდი, შენდებოდა რამე შენ ნაწერთა განუწყვეტელი დენით თუ ინგრეოდა. გრძნობათა ფარგალ გარეშე სწარმოებდა მოქმედება, გული უძრავადა რჩებოდა და ნელ-ნელა ხევდებოდა: ნებისყოფაც მისი თუ სურვილთა კრებული შეზღუდვილიყო, მხოლოდ ვიწრო რამ სადენილა დარჩენოდა. იგი მიისწრაფებოდა მიახლოვებოდა და მიეხწია უმაღლეს ადგილს თავისის სამსახურის სარბიელისა. ეს არის ერთადერთი საგანი მოხელეს ლტოლვილებისა, ამის გარეშე ძლიერი სურვილი აღარ არსებობს მისთვის. გონების ღრმა და თავისუფალი ვარჯიშობაც შეზღუდულ-შებორკილია. კმარა აქ დაბალი ხარისხის გონებაც, ცხოველთა გონების მოსაზღვრე ცბიერებისაკენ მიხრილი ჰაზროვნება, რომელს მიზნადა აქვს მხოლოდ საზრდოობა და მეტოქეთა რქენა საკვებ ადგილთაგან ჩამოსაცილებლად. საჭირო არ არის აქ არც მეცნიერებათა სამფლობელოში ფეხმედგმული ფიქრი, არც მრავალსახე ოცნება ფრთაშესხმულ და თვალთწარმტაცი. სავნებელიც კი არის ყველა ეს მოხელესათვის და სახიფათო. თვითმოქმედების გარეშე სდგას აქ ადამიანის გონება. მისგან მოითხოვება მხოლოდ ბრძანების შეგნება და უკვე ჩამოქნილ სახეების სწორედ დანახვა. ისე უნდა გაისარჯო, როგორც მოითხოვს მმართველობის მანქანა უძღვევლი: უნდა სავსებით შეიგნო, რომ შენ მხოლოდ აღმასრულებელი იარაღი ხარ უსულგულო. ნუ დრტვინავ! მოხელეობა, როგორც დედაზრდილისა, თვის ხელოვნურ ქსელში ჰხლართავს კაცს, მთლადა ჰხვევს მასში



და დინჯადა სწოვს მისგან თვით ნასახს ადამიანობისას; ბოლოს ისე გადააგვარებს მას, რომ თავის სამსახურის გარეშე ეკარგება ყოველივე ღირებულობა.

პეტრეს ქვეყნიერებად მხოლოდ თავისი სამმართველოა მიაჩნდა, ხოლო კაცობრიობად მისდამი რწმუნებულნი მოხელენი. თვის სიყმაწვილის მეგობართან საუბარმა და მოგონებებმა მაინც გული მოუღბეს მას, დიდი ხნის განუცდელი გრძნობები გამოაცდევინეს. წარსულთ ჩამქრალ სახეებმა ჩააფიქრეს გალაღებული მოხელე თავის საკუთარ ბედ-იღბალზედ; თავის სამსახურზედ კი არა, – აქ საფიქრებელი არა ჰქონდა მას, არც საღონებელი, – არამედ თვის სიცოცხლეზედ.

– იქნება კიდევ მოდგა ჩვენზედაც ჯერი, მოახლოვდა ის შავი დღე, როდესაც ჩემკენაც იზამს პირს სულთამხუთავი საზარელი, – გაიფიქრა პეტრემ და შეაჟრჟოლა. ცუდ გუნებაზედ დადგა კაცი. შიში რამ ჩაუვარდა გულში იმ თითონ შიშის მომგვრელ მოხელეს, რომლის რიხიან ბრძანებას ისე მსწრაფლ ასრულებდნენ ხელქვეითნი, რომლის დანახვაზედ, მხოლოდ ფეხის ხმაზედაც კი ზეზე წამოხტებოდნენ მრავალნი და გაკანკულნი თვალს გაადევნებდნენ მიმავალს.

– ხომ მრწამს, რომ სულ ტყუილია და ადამიანიც ისევე კვდება, როგორც ცხოველი უბრალო, მაგრამ ვინ იცის? იქნება ჩემი ცხოვრების ნუსხაც მთლად წინ გამიშალონ დავთარში ჩაწერილი და ბეჭედდასმული, – გაიფიქრა ცრუმორწმუნებააშლილმა.

და ცხადად წარმოუდგა ცა განათებული, ანგელოსნი მრავალნი მიმომფრინავნი, რომელთ მიჰქონდათ ბრძანებანი უფლისა მთელ სამყაროში. თვით ღმერთი საბაოთი გაბრწყინებული სხივოსან საყდართა ზედან მეშვიდე ცაში. გარემოს მასსა სულნი უსხეულონი ალად ცეცხლისა, ვითა ვარსკვლავნი ბრწყინვალენი დასად და დასად. არ ინებებს იგი მეუფე მეუფეთა გასცეს სიტყვიერად ბრძანებაი თავისი, მხოლოდ ფიქრიც მისი იგივე ბრძანებაა. მყის შეიგნებენ მას მსახურნი და გარდასცემენ სურვილსა მისსა ერთი სხვას; ჩასწერენ დამწერნი სამარადისო წიგნებში, აღნუსხავენ, დაბეჭდავენ რიგ-რიგად და გაჰგზავნიან მითხრობად ნებისა მისისა. წარმოუდგა ვაჟკაცს ის საბედისწერო წამიც, ოდეს ელვის მაგვარი ჰაზრი ღვთისა მიიქცევა თვით მის, პეტრე იოსების-მისაკენ მიწოდებდად მისსა და გაჩნდება მის წინ აღმასრულებელი შეუმართებელის ნებისა.

უსათუოდ უნდა მოხდეს ეს, უნდა მიიქცეს იგიც მამა-პაპათადმი. ეხლა რომ მოხდეს, ვინდა უპატრონებს მაშინ მის ცოლ-შვილს და ოჯახს, სათუთად შენახულ სახლობას; ვინ წარუძღვება ჯერეთ დაუსრულებელ საოჯახო საქმეებს, რომლებს ესეთის ერთგულობით და ჰაზრიანად უვლის ეხლა პეტრე; ვინ უნდა დაენაცვლოს მას სამმართველოში და აასრულოს ყოველივე განზრახვა, რომელ მასა აქვს დასახული თავის სამსახურის შესახებ. მოკვდება იგი და მყის შეიკვეცება ის საქსოვი, რომელიც ისე ხელოვნურად აქვს მას გაბმული, რომლის ქსელს თუ ზედას ისე მარჯვედ ათამაშებს ეხლა; ჩაიშლება მაშინ მწყობრი მისი ქსოვილი, ხვანჯილა დარჩება მოსასპობ-გადასაგდები, – გაიფიქრა მოხელემ და იგრძნო ზარი მარტოობისა. მოესმა შორიდან გმობის ხმაც, თავისიანებთაგანვე წარმოთქმული უკმაყოფილო თქმა, რად ვერ შესძლოვო მან მკვიდრად მოწყობა კერის საქმეებისა, რომ მის სიკვდილის შემდეგ არ შერყევოდა ოჯახს ყოფა კეთილი, მწარედ არ ეგრძნო არყოფნა მისი. ცხადად დაინახა თავისი ხელქვეითნიც, დას-დასად რომ მოსდგომოდნენ მის კუბოს დაღონებულნი, ხოლო გულში უხაროდათ და სიამოვნებით ხელეებს იფშვნიტდნენ, რადგან მისი ადგილის დაცალიერება ყველა მათგანს თითო საფეხურზედ წასწევდა წინ მოხელეობის მაღალ კიბეზედ. ამ ფიქრებმა და გრძნობებმა მოულოდნელად დაუარეს მას და შეაშფოთეს. ამისათვის უფრო მოისურვა კიდევ რამდენიმე ხანი

გვერდზედა ჰყოლიყო თავის ბაღობის ამხანაგი, რომელს მასთან მხოლოდ მეგობრული განწყობილება აკავშირებდა მთლად უანგარო: პორფირეს სათხოვარი არა ჰქონდა რა მასთან, არც მისი მფარველობა ეჭირებოდა. და როცა წამოდგა პორფირე გამოსათხოვებლად, პეტრემ სთხოვა:

– ჩემო პორფირე, სადილად დღეს ჩემთან იყავი. ხომ იცი, რა სასიამოვნო ხარ ჩემთვის. თუ რამე გაქვს ქალაქში გასაკეთებელი, მოისაქმიანე; ყველაფერს მოასწრებ: ჩვენ ნაშუადღევს ხუთ საათამდის არა ვსადილობთ.

თხოვნა გულწრფელი იყო და პორფირემ ხათრი აღარ გაუტეხა დიდებულ მეგობარს, თუმცა არ იცოდა, უსადილოდ როგორ დაჰყოფდა საღამომდის.

#### 4

იარა პორფირემ ქალაქში. თუ რამე სადმე საქმე ჰქონდა, გააკეთა, საკმაოდაც დაიღალა სიარულით, მაგრამ ჯერ კიდევ ადრე იყო დიდკაცის სადილობამდინ. გასწია ჰავლაბრისაკენ. იქ, ხიდის ყურზედ, ეგულეობდა თავისი სოფლელები. ყველი, ერბო, მატყლი და ათასი სხვა მოჰქონდათ გასასყიდად. პურის ჭამაზედ მიასწრო. გაესაღებინათ საქონელი და მყიდავ-გამყიდავთ ღვინო ჩამოესხათ. მიუჯდა სუფრას, მწვადი ახლიჩა, შენაყრდა, დალია. თითონაც ჩამოუსხა. სმა-ჭამის საღერღელი აეშალა და დიდის სიამოვნებით დაათავებდა სადილს იქვე, მაგრამ არ შეიძლებოდა: უნდა სწვევოდა სადილად თავის მეგობარს. შეზარხოშებული ხომ არ მივიდოდა განათლებულ სახლში! დროსაც გაეგლო, მოსულიყო წასვლის ჟამი.

მშვენიერი სადილი იყო პეტრესას გაწყობილი. მზარეული ერთი იყო, მიმრთმევე-მომრთმევე სხვა ედგათ თავს დაკვართული. გაქათქათებული სუფრა, ხელსახოცები; ფაიფურის ჭურჭელი, ვერცხლის კოვზები, ძვირფასი დანა-ჩანგალი თუ სხვა სახმარი ჭურჭელი. ამზრდელი ქალი პატარების გვერდით. საჭმელები ნაირ-ნაირი. მუხლმალაღალი წკრიალა ჭიქები სასმელებისთვის. გარნა ახ, არავითარი თავისუფლება სუფრაზედ, არც შვება და ღიმილ-სიცილი. დიასახლისა მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ წესრიგი არ შერყეულიყო. ყველა ფრთხილობდა ტაბლაზედ, რომ შენიშვნა არ მიეღო ქალისაგან, თვით სახლის ვაჟკაციც. სტუმარიც უნებლიედ განიმსჭვალა ამგვარი რამ შიშით და სცდილობდა მთელი ყურადღება მიეპყრო თვის მოძრაობისათვის, რომ რაიმე უხერხულობა არ მოჰხდენოდა სადილზედ და უკმაყოფილება არ აღეძრა ვისიმე ან დამცინავი ღიმილი არ გამოეწვია მოინახეთა ბაგეზედ. მაინც სადილი თითქო ისე მწყობრად და კმაყოფილებით არ მიდიოდა, როგორც შეჰფეროდა; რაღაც მძიმე გრძნობა დასტრიალებდა სუფრას შვების შემხუთავი, თითქო უსიამოვნო ქარიშხალის მომასწავებელი. სუფრაზედ ერთი ადგილი ცარიელი იყო, საკერძე ჭურჭელს პატრონი არა ჰყვანდა. სწორედ ლადიკოსი უნდა ყოფილიყო ის ადგილი და სტუმარმა იკითხა გულუბრყვილოდ:

– თქვენი ვაჟი სადღა არის? ალბათ სტუმრად იქნება ტოლ-სწორში მიწვეული.

– მართლა და აქამდის სად არის ი ყმაწვილი? ვინ იცის დილას აქეთ შინ არ შემოსულა, – მიჰმართა პეტრემ ცოლს.

– შენ ხარ მამამისი და შენვე უნდა იცოდე მისი გზა-კვალი! ისე მიგიშვია საბელი, რომ კეთილს არ შეემთხვევა იგი, – შეჰმართა დიასახლისმა მკაცრად

და ლოყა აუთრთოლდა გამწვანებულ სახეზედ, ჩანგალი აუთამაშდა გამხმარ თითებში, მაგრამ მალე მიჰხვდა თქმის შეუფერებლობას და ნამალადევი ღიმილით მიუბრუნდა სტუმარს:

– აქაო და მოზრდილი ვაჟი მყავსო, ძალიან ანებივრებს ლადიკოს, მეტს ნებას აძლევს. მეშინიან, ხიფათი არ შეიქმნეს ახალგაზრდისათვის ესეთი თავისუფლება: ათასნაირი აღზრდისა თუ ხასიათის ამხანაგები ახვევიან გარს.

– რამდენი ხნისა გახლავსთ თქვენი ლადიკო?

– აგერ მეთექვსმეტეში სდგას, – მიუგო დიასახლისმა

და შეხედა ქმარს, რომ მას მოუფიქრებლად სიტყვა არ გაესწორებინა მისთვის. იტყუა ქალმა და მისთვის ეშინოდა სიტყვის შებრუნებისა: მთელი წელიწადი გადაძალა შვილის წლოვანებიდან.

– მერამდენე კლასში გახლავსთ, ჩემო ბატონო? – განაგრძო პორფირემ.

– მეხუთეში გადავიდა წლეულს. ეხლა მეექვსეშიც უნდა იყოს, საცა სამართალია, მაგრამ კარგა ხანი დაკარგა ავადმყოფობის გამო, – დასძინა დიასახლისამ სიცრუევს სიცრუვე.

ლადიკომ აგერ ორი წელიწადი დაჰყო მეოთხე კლასში და ეხლაც არ იყო გადასული მეხუთეში. სამ საგანში ჰქონდა დანიშნული განმეორებითი გამოცდა, როგორც ეწერა მიცემულ ცნობებში. ისიც დაემატებინათ, თუ ვერ შესძლო პირნათლად გამოსვლა გამოცდებიდან, დათხოვნილი იქნება, რადგან უკვე ბევრი ხანი იჯდა ერთსა და იმავე კლასშიო. ეს ყველაფერი დამალა დიასახლისმა: თავმოყვარება ნებას არ აძლევდა მას გაემხილებინა უცხო კაცთან ოჯახის მოუნელებელი დარდი, შეესხნა ის იარა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ცოლ-ქმარს და მარად ჟამს აწუხებდა მთელ სახლს. ამ საგანმა უფრო ჩააფიქრა სუფრა, რომელიც ისეც არ იყო მხიარული. ფრთა შეეჭრა სიტყვას და შემძიმდა. სახლის ვაჟკაცი სცდილობდა ისეთ საგანზედ ჩამოეგდო ლაპარაკი, რომ მიეზიდნა ყველანი, მაგრამ სახალისო აზრების მაგივრად გონება სამმართველოს საქმეებს და ამბებს აწვდიდა ლურჯ ყდაში ჩამსხდარ, აღნუსხულ და ზეწარწერილ სამდივნო ეტრატებს, ხოლო მხატვრული ნიჭი მისი თვალთწინ ცოცხლად უყენებდა ხელქვეითთა დაღრეჯილს სახეებს, რომლებიც ისეც ჭირივით მოსძულებოდა. ჩაიკემსა საერთო საუბარი, ჩაწყდა შიგადაშიგ, თითქმის ჩაშლაზედ მიდგა. დიასახლისა კი უკვე ალესილ-ალეწილი იჯდა და აშეთებდა წამოვარდნილ თვალის კაკლებს; ბრაზს გახეთქავდა იგი სწორედ, თუ სიყრმიდგან მტკიცედ შეთვისებულ ზრდილობას არ შეეკავებინა ბუნებით ფიცხი ადამიანი. ისიც აწუხებდა ქალს, რომ მთელ სადილობის განმავლობაში რაღაც მძიმე სუნი ესმოდა ნელსაცხებელთა საამო ფშვენას შეჩვეულ მის საყნოსელს, გვერდზედ მჯდომ სტუმრის სხეულისა თუ ტანთსაცმლის სუნი უჩვევი.

– ალბად სოფლად ტეტებთან თუ საქონელთან სიახლოვემ გადააჩვია ეს კაცი სიფაქიზეს, რომ სუფთად ჩაცმულსაც კი რაღაცა ზინზლის სუნი აჰყოლია. ან ვინ იცის სადილ წინ ვისთან იყო და სად; შეიძლება იქიდან მოსდევს ეს მძიმე სუნი, – ფიქრობდა ქალი

და რომ შესაძლო ყოფილიყო, სწორედ ნელსაცხებელს დაასხავდა თავზედ თვის სტუმარს ისე უხვად, რომ გადმოდენილიყო წვერთა ზედან მისთა და სამოსელთა. თანამოინახენი გაჭირვებიდან გამოიყვანა თითონ ლადიკომ, რომელიც აჩქარებით შემოვიდა ოთახში და დაიჭირა სუფრაზედ თავისი ადგილი. დედ-მამამ მკაცრად შეხედეს შვილს, მაგრამ ხმა აღარ გასცეს სტუმრის ხათრით. თითონ ახალგაზრდას კი აინონშიაც არ მოჰქონდა თავისი უხერხული შეგვიანება: ხასად იქცეოდა, მსახურებს ხმამაღლა უბრძანებდა, სუფრაზედ აქეთ-იქით სწვდებოდა, მოუზომელ სიტყვას ამბობდა; დაუდეგარი ბალღივით ირჯებოდა უკვე ჭაბუკი, სტუმრის ყურადღებაც მიიქცია მისმა კადნიერმა მიხვრა-მოხვრამ.

– იცი, მამი, სადამოზედ წარმოდგენა გვაქვს გამართული. ხვავამეანთ დარბაზი დაგვითმეს და იქ ძალიან სასაცილო კომედიასა ვსდგამთ ორმოქმედებიანს. იმათი ქალებიც იღებენ მონაწილეობას. ვარინკა ნამდვილ მსახიობია და, რომ გაიზრდება, დიდ სცენაზედ გამოვა.

– არ მომწონს შენი მარად ეგეთი გართობები. შენი ცხოვრების გზა სულ სხვა უნდა იყოს და დიდ მომზადებას მოითხოვს: ეხლა წიგნი გესაჭიროება და დაუღალავი შრომა განათლების მისაღებად. ეხლავე უნდა შეეჩვიო ბეჯით მუშაობას, რომ მერმე აღარ გაგიჭირდეს. დროზედ უნდა გაათაო გიმნაზია, მერმე, ღმერთო, შენით უნივერსიტეტი დაასრულო, რომ სინამ ცოცხალი ვარ, ჩაგაყენო ღირსეულ სამსახურში და გიწინამძღვრო; შენ კი, პირდაპირ გეტყვი ამ ჩემ ძვირფას მეგობართან, შეუფერებლად ცელქობ ამ ბოლო ხანს და გადაჭარბებით.

– არა უშავს რა, მამი! ერთ კვირასაც დავისვენებ და მერმე შევუდგები მუშაობას; აღარც ერთ დღეს გავაცდენ. ხომ იცი, თუ მოვინდომე, მალე მოვასწრობ ყველაფერს, – უთხრა ჭაბუკმა და განაგრძო:

– იცი, მამილო, სცენას ვაწყობთ და ერთი თუმანი მაინც არის საჭირო ხარჯისათვის. მომეცი ფული! ეხლაც იქა ვმუშაობდი და იმაზედ შემიგვიანდა ცოტა; მალე უნდა გავიქცე იქვე, თორემ ვერ მოვასწრობთ.

პეტრემ კარგად იცოდა, რომ მისი ლადიკო იმ ფულს არავითარ სცენას არ შეახმარებდა, მაგრამ არ უნდოდა სტუმრისათვის მეტი ექვი შეეტანინებინა ვაჟის ქცევის შესახებ; ისეც ბევრი სთქვა მასთან, როგორც შეატყო ცოლს თვალებში; დარდიმანდ კაცადაც ჰსურდა დაესახა თავისი თავი ნამხანაგარის წინაშე და ამოილო თალათინის ქისა, ერთი წითელი გადაუფრიალა ბიჭს. დედას ალმური ემატა სახეზედ, მაგრამ არა სთქვა რა: იცოდა გამოცდილებით, რომ თავწასული ახალგაზრდა გაჟინიანდებოდა, აურზაურს ასტეხდა, არაფერს დაირცხვენდა და გაშლიდა სტუმრის წინ თავის მარიფათებს.

– კიდევ მიირთვი ფლავი! – შეაპატიჟა პეტრემ პორფირე. – რუსია ჩვენი მზარეული, მაგრამ კარგად შეისწავლა ქართული საჭმელებიც. მხოლოდ იქნება ერბო ისეთი ხალასი არ იყოს, როგორც ალბათ შენა ხარ ჩვეული, თუმცა საუკეთესო ფირმისა კი არის.

– აბა მაშ მე მოგართმევთ სოფლიდან ერბოს და თქვენ შეადარეთ, – დაჰპირდა სტუმარი, რადგან მასპინძლის სიტყვებში თითქო რაღაცა ნიშნება იგრძნო მან.

დიასახლისის თვალებში სიღბო რამ დაეტყო სტუმრის სიტყვებზედ თუ ღიმილი და თითონაც შესთავაზა საჭმელი.

– საზოგადოდ აქ ბაზარზედ გამოტანილი საზრდო არ არის მაღალი ხარისხისა, ალბათ ნარევია ან ისეც მდარე, იაფფასიანი, თუმცა ერთი სამად გვახდევინებენ ფულს. აი მაგალითებრ, აქაური ცხვრის ხორცი არ არის ისეთი გემრიელი, როგორიც სოფლად მიჭამია, – განაგრძო პეტრემ.

– მართალს ამბობ, პეტრე! რაღაცა ზინზლის სუნიცა აქვს აქაურ ცხვრის ხორცს; ამიტომ იშვიათად ვუბრძანებ ხოლმე ცხვრის ხორცის ყიდვასა, – დასძინა დიასახლისამ.

– ჯიშზედ გახლავსთ ეგ დამოკიდებული. აი თუმურს ცხვარს არც ერთი ჯიშის ცხვარი არ შეედრება საჭმელად; თქვენ თითონა ჰნახავთ, ბატონო, და დარწმუნდებით, როცა გაახლებთ ნიმუშს სოფლიდან, – დააიმედა მასპინძლები სტუმარმა.

პეტრემ დაპირებისათვის მადლობა გადაუხადა თავის სტუმარს და შეწითლდა ცოტად, როცა ნახა, რომ ენას წაეცყუებინა ის და ნაჩვევ სადინელში ჩაეგდო მისი ჰაზროვნება; ისე მიემართა სიტყვა, როგორც ჩვეული იყო იმათთან თქმას, ვინც განსაზღვრულ საქმისათვის მიდიოდა მასთან.

– ჯამაგირს რომ ვიღებ, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ვასრულებ შესაფერ თანამდებობას, შეუფერხებელივ ვაწარმოებ სავალდებულო სახელმწიფო საქმეს. თუ დრო მოვიჭარბე და ზედმეტად გავისარჯე, მეტ შრომას სასყიდელიც სხვა უნდა; არავითარი ცოდვა არ არის, გაიღოს ფასი იმან, ვისთვისაც ვიშრომებ; სამართლიანიც არის და სიმართლეც, – მსჯელობდა მოხელე

და თავის შრომის ზედმეტ სასყიდელს წარბშეუხრელად იღებდა ყოველთვის.

– მექრთამეობა ხომ არ იქნება ეგ, ჩემო კარგო?

– სრულებითაც არა! ქრთამი იმასა ჰქვია, როცა ფასს გამოართმევ მის შესრულებაში, რაც ისევ შენი მოვალეობაა სამსახურის გამო; მორიგი საქმე თუ გააკეთე, ყოვლად შეუძლებელია ამაში კიდევ ვისგანმე აიღო რამე; ხოლო თუ კაცმა გაგაკეთებინა ახალი რამ ან თუ უფრო ადრე, სინამ წესი იყო, ან თუ მის საზრუნავს ცნობა რამ დასძინე სასარგებლო, მაშინ სავალდებულოა-მეთქი ამისთანა დახმარებისათვის ნივთიერი მადლობის გადახდაც.

– მაინც თაღლითობა ხომ არაფერია შენს მსჯელობაში?

– სრულებით არაფერი! ეს ესეა. მაგრამ ჩემ მეგობარ პორფირესაგან... არა, არა მინდა რა მისგან, არც არაფერი მერგება. რა გავუკეთე მას ან რა ვასიამოვნე?! ნუთუ ისე გავუკაცურდი, რომ აღარ შემიძლიან ერთხელ მაინც დავივიწყო საკუთარი სარგებლობა და გულუბრყვილოდ მივიღო სტუმარი, ჩემი მეგობარი, ადამიანი?! – გაიფიქრა პეტრემ

და ეწყინა, შერცხვა თავისი თავისა. უნდოდა ეთქვა ამხანაგისათვის, რომ მისი გამონაგზავნი საჭირო არ იყო, ისეც დიდად ასიამოვნა პორფირემ იგი, როცა ნახა და გაახსენა გარდასრული ამბები, თითქო მეორედ გამოაცდევინა, რაც ოდესმე თავს გადაჰხედოდათ. მაგრამ შეხედა ცოლს, მის სახეზედ მხოლოდ სიამოვნება ამოიკითხა პორფირეს დაპირების გამო და ვეღარ გაბედა რისიმე თქმა, ვერც მოახერხა, გაახსენდა მას ცოლთან საუბარი:

– მე თუ მაინც მივიღებ ხოლმე სახლში და სუფრაზედაც კი დავსვამ ვიღაც-ვიღაცეებს, მხოლოდ მისთვის, რომ მათაც დააფასონ ესეთი მიჩნევა და პატივი გვცენ, როგორც შეუძლიანთ.

– განა ყველანი გაჭირების გამო მოდიან ჩვენთან ჩემი მოსადევარნი და საქმისათვის; ბევრიც ისე მოდის, როგორც ჩემი კარგი ნაცნობი და სტუმარი; ხოლო სტუმარს დახვედრა უნდა.

– სტუმარი ჰო, ნათესავი იყოს და მოკეთე ან გამოჩენილი ვინმე, თორემ თუ ყველა უბრალო ნაცნობით აავსე სახლი, მალე სრულებითაც აღარ გვექნება მოსვენება, აღარც შენი ჯამაგირი გვეყოფა. დიდკაცის ცოლი! რად მინდა მხოლოდ სახელი, თუ არაფერს შემძენს იგი. მადლობა გადაგვიხადონ მცირედით, ვალად არ წაუვათ.

პეტრეს ჯალაბსაც ვერ წარმოედგინა ისეთი ყოფა, რომ ხელისუფალი მხოლოდ თავის განწესებულ სასყიდელს დაჰმყარებოდა და იმით ეცხოვრა შესაფერად. იცოდა კი განვითარებულმა დიასახლისამ, რომ ქრთამის აღება ცოდვაა და სირცხვილი, მაგრამ უბრალო მინატანს ისიც მხოლოდ შესაფერ პატივცემდა სთვლიდა, ზედმეტი ყურადღების სასყიდლად.

მაინც დაუმძიმდა პეტრეს, რომ ვერ უთხრა ამ სტუმარს, ვერ შეეხვეწა, არ გასჯილიყო არაფერზედ, არაფერი გამოეგზავნა მისთვის სოფლიდან. ამ გარემოებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა კაცი და ეს უსიამოვნება აღებეჭდა სახეზე. პორფირემ შენიშნა მასპინძლის თვალეზში ეს მოუსვენრობის ნიშანი და იფიქრა, ეხლა კი სწორედ დრო არისო გამოთხოვებისა. ის იყო დააპირა კიდეც წამოდგომა, როდესაც შემოვიდა დარბაზში ლადიკო. სასკოლო ტანისამოსი გაეხადნა, სხვა ჩაეცვა. ამ ტანისამოსში გამოკვართული ახალგაზრდა სრულებითაც პატარა აღარ ეჩვენა პორფირეს; უღვაშაბზინებული, ქოჩორგადავარცხნილი მოქნილი ბიჭი უკვე შედერებულ ჭაბუკის შთაბეჭდილებას ახდენდა. მივიდა მამასთან, მიეაღერსა და უთხრა:

– ამაღამ შეიძლება ცოტა გვიან მოვიდე და არ გეჯავროს. ვინ იცის, როდის გათავდება წარმოდგენა, მერე კიდე ვიცეკვებთ ცოტა ხანს.

– მოდი, დედილო, და შენც წამოდი! ძალიან კარგი როლი მაქვს კომედიაში და პასუხსაგებელიც; ნახე, როგორ შევასრულებ; შენ ხომ ლამაზად იცი არტისტების შეფასება. ვერცხლამიანიც ყველანი იქნებიან, – მიუბრუნდა ახლა დედას.

დედას უნდოდა შენიშვნა მიეცა შვილისათვის, უნდოდა ებრძანებინა, ადრე დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ აღარაფერი უთხრა, შვილის სიტყვებმა ოდნავ მოუაღერეს მის თავმოყვარეობას. წასვლაზე კი უარი განაცხადა. სხარტად მიტრიალდა ლადიკო და დაემშვიდობა სტუმარს. პორფირემ თვალი გააყოლა მიმავალ მოზარდს და თითონაც ადგა დასამშვიდობებლად.

– რა გეჩქარებათ, ბატონო! ჩაიზედაც დარჩებოდით ჩვენსა, – უთხრა დიასახლისამ.

და გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად. სტუმარმა ფრთხილად ჩამოართვა ფაქიზი ხელი, მაგრამ არ დაუკოცნა თითები: ჩვეულებად არა ჰქონდა ქალისათვის ხელზედ ეკოცნა, არც ეხერხებოდა. ქალბატონი კი ნაჩვევი იყო ყველასაგან ამისთანა პატივცემას.

– ნეტა სოფელში ცხოვრების გამო ჩამომრჩალა ეს კაცი ესე საშინლად თუ ბუნებითვე მოუხეშავი არის? – სთქვა ქალმა ტუჩაკვრით, როცა გაიგულა სტუმარი.

– ბუნებით ძალიან კეთილი ადამიანია და მართალი; საამხანაგოდ არცერთი არ შეედრებოდა მაგას იმ თავითვე.

– მე რასა ვკითხულობ, შენ რას მეუბნები! მე მაგის ზრდილობაზედ გელაპარაკები და არა რაღაც გულკეთილობაზედ. რა მოსატანი იყო აქ ვიღაცის კეთილი ხასიათები ან ნეტა რა გინდა მაგითი მითხრა?! – დაუკვესა ცოლმა

და აიღეწა, ბრჭყალები გამოუშვა, საბრძოლველად აიჭურვა ჩვეულებისამებრ. ქმარმა გამოცდილებით იცოდა, რა აურზაური მოჰყვებოდა ამას, თუ სიტყვას შეუბრუნებდა და დროზედ არ გაეცლებოდა მეუღლეს. მსწრაფლ ხმა ჩაიკმინდა; ხოლო, რომ მაინც მთლად არ დაემცირებინა თავისი თავი თავისსავე თვალწინ, ყელი მოიღერა და ამაყად გასწია თავის ოთახისაკენ ჯიბეში ხელეზჩაწყობილმა. ცოლმა დამცინავი ღიმილით გააყოლა თვალი და წარსთქვა გასაგონად:

– ვერც თანამდებობა გაგადიდკაცებს შენ, ვერც წითელსარჩულიანი ტალავარი გიშველის: შეუდგრომლად იწევ დაბლა, შენ ბუნებრივ მდგომარეობისაკენ. არა შეჯდა მწყერი ხესა...

გატრიალდა ქალიც თავის ოთახისაკენ. მაინც წარიტყოდა:

– სად გენერალი პატივდებული, სად ვიღაც სოფლელი კაცი, ოდესღაც რომ წიგნი უსწავლია და ვერაფერში კი ვერ გამოუყენებია! ამოა ყოველივე მეცადინეობა და წრთვნა, რომ თავის ყადარ ადამიანებთან იქონიოს ურთიერთობა.

ცოლ-ქმარი რომ ესე უგემურად განშორდნენ ერთმანეთს, მათ სახეზედ წამზედ მოიშალა ის ხელოვნური ღიმილი, რომელიც სტუმართან საჩვენებლად დაუთამაშებდათ ბაგეზედ. არც სტუმარი გასულიყო მათი სახლიდან მთლად კმაყოფილი. სანოვაგე მშვენიერი იყო და უხვი, მსახურები თავს ევლებოდნენ. ყველაფერი იყო სადილზედ, შვება კი მოშობილიყო. თავისუფლების ნიშანწყალი გამქრალიყო დიასახლისის მზირ თვალთ ქვეშ: მზარეული უსიტყვოდ წყრებოდა, რადგან ქალი ყველა საქმელს მაინც რამე წუნსა სდებდა, თავმდგომთ ემინოდათ იმ წვერწამახულ შენიშვნებისა, რომლებით ჰგმერდა მათ წამისწამს ქალბატონი. ბალები გაკანკულიყვნენ და მთელ თავის ყურადღებას აქცევდნენ დანა-ჩანგლის მარჯვედ ჭერას, ხელსახოცის დროზედ ხმარებას და ყოველგვარ წვრილმან წესს, რომ გესლიანი დარიგება არა ჰსმენოდათ უფროსებისაგან. თითონ მასპინძლები ერთობ ფრთხილად, კრძალვით დაჰფარფატებდნენ სუფრას ალბათ მისთვის, რომ არაფერი სწყენოდათ სათუთ ნივთებს და უცაბედად არ დაზიანებულიყვნენ მალაღნი. სტუმარიც უნებლიეთ განიმსჭვალა იმისი რიდიით, რომ რაიმე უხერხულობა არ ჩაედინა.

– როგორ ზავითიანად გაუელვა თვალმა ქალს, როცა საუბარში გართულმა ჭიქა პირდაპირ სუფრაზედ დავსდგი! მერმე ის ჩემი ცოდვით სავსე ჭიქის ძირი მამასახლისის ბეჭედივით აიბეჭდა გაქათქათებულზედ, – გაიხსენა პორფირემ

და ეხლაც კი შერცხვა იმ თავის მოუხეშაობისა.

– ვინ ამბობს, ძალიან კარგია წესრიგი და აუცილებელიც, მაგრამ, ვგონებ, შეღავათითა სჯობს იგი სწარმოებდეს, რომ არ შეეწიროს თვით შვებაც. წესი ხომ მაინც გარეგანი სახე არის მოქმედებისა, ნაჭუჭი რამ მოვარაყებული და გული რად უნდა ამსხვერპლოს მას, – მსჯელობდა შეზარხოშებული და ცოტა გაკილვის ყილილზედ შემდგარი ვაჟკაცი.

შორიდან რომ ათვალიერებდა ეხლა პორფირე მასპინძლის ოჯახს, ისე წარმოუდგა გარემოებები, თითქო იგი უფრო მეტად ბატონკაცურად სცხოვრობდა, სინამ შესაძლო იყო თუნდ იმ დიდ ჯამაგირის პატრონისათვის.

– სწორედ ეს იქნება მიზეზი, რომ უდარდელი სიამოვნება აჰყრია კერას; ალბად ძლივსა სწვდება მათი ქონება ფართო ცხოვრებას და იმიტომ ყოველ წუთსა სცდილობენ არაფერი გაფუჭდეს, თუნდ მცირედი და მოულოდნელი ხარჯი არ გამოიწვიოს; თანაც ყოველივე ისე იყოს მოწყობილი, როგორც შეჰფერის დიდი დოვლათის მექონს სახლობას, – გაიფიქრა მიმავალმა

და უეცრად გაიელვა მის გონებაში:

– სწორედ აქედან უნდა წარმოსდგებოდეს ხმა პეტრეს მექრთამეობაზედაც, რომელიც ასე არის გავრცელებული: ალბათ უნებლიეთ სცდილობს გაიმრავლოს შემოსავალი, რომ დაჰფაროს ხარჯები. ნამდვილ ესე უნდა იყოს, თორემ პეტრე ზნეფაქიზი კაცი იყო და თუ გაჭირება არ დასდგომოდა, ესე არ დამდაბლდებოდა, არ უღალატებდა თავის ბუნებას.

უნებლიეთ გაივლო გულში ბოროტი.

– ვაჰ, თუ მეც ზღვენი მთხოვეს ი დალაზხვრილებმა, როცა მოხერხებულად გამიკრეს სიტყვა ერბოზედ თუ ცხვარზედ! პური მაჭამეს და ფსონი მომთხოვეს.

თითონვე შერცხვა ამ სიტყვებისა, ეწყინა, რომ ესე მძიმედა ძრახავდა გულითად ამხანაგს: ისე შეწუხდა, თითქო მის გასაგონად წარმოსთქვა ეს სიტყვები. და რომ ამის

გამო დაესაჯა თავისი თავი, გადასწყვიტა საუკეთესო მოსაკითხი გამოეგზავნა სოფლიდან პეტრესათვის. სხვა მიზეზითაც კი დაასკვნა ეს: უნდოდა ენიშნებინა განდიდებული ნაამხანაგარისათვის, რომ არც თუ ის იყო ბედისაგან დაჩაგრულ-დავიწყებული.

ამ ფიქრმა გაიტაცა ვაჟკაცი თავის საკუთარ ოჯახში. წარმოუდგა ვეებერთელა ეზო გარშემორტყმულ-შემოფარგლული. შუა ეზოში ქვიტკირის სახლი, რომლის ქვედა სართულში მარანი ჰქონდა მოთავსებული და ათასი სხვა საკუჭნაო. არც სახლი, არც აივანი ისე კოპწიად არ იყო შიგნით თუ გარეთ მორთულ-მოკაზმული, როგორც ქალაქური სახლებია მოლამაზებული, არც ისეთი ხასხასი ფერადებით იყო ნაღები, მაგრამ მკვიდრი კი ძალიან იყო და ხომრიელი, მუხის გულით და უშლელი ქვითკირით ნაგები. აივანის სურაიები რა არის და ისინიც კი ისე მტკიცედ იყო ჩამოსხმული, ქვიდან გამოკვეთილი გეგონებოდათ. სახლის ზევით ხეხილი იყო ჩაყრილი, თითონ პორფირესაგან გაშენებული ხილის ბაღი. სცადა ვაზის გაშენებაც, მაგრამ არ იგვარა: სიცივე უსწრობდა ყურძენს, არ იწეოდა. სახლს ქვის გალავანი ერტყა, ხოლო მთელ დანარჩენ მამულს – ტყრუშული. შორს წასვლა დასჭირდებოდა წნელისათვის თუ! იქვე იჭრებოდა მშვენიერი მასალა, მის საკუთარ ნაწილში ტყისა. მაგრამ ამ მამულში ყველაზე ძალიან უყვარდა პორფირეს თავისივე მოაზრებით და შრომით გამოყვანილი წყარო, ბორცვის ძირში რომ გადმოწანწკარებდა თითბრის მილით და ნაკადულად ჩასდევდა მთელ ფართო ეზოს, დილის ნამივით გრილი და წმინდა.

ცოლი ერთგულადა სწევდა მასთან ერთად ცხოვრების უღელს; მისი ცხოვრება მარად სუფთად და დაუბრკოლებრივ მიდიოდა წინ, როგორც პორფირესაგან მოკრეფილი წყარო, რომელიც აწ აცოცხლებდა მთელ მამულს აყვავებულს.

## 7

გაერთო პორფირე სოფლურ ცხოვრებას. ნელ-ნელა გაიდგა ფესვები ნიადაგში, შეექვსა და შეეთვისა ბუნების კალთაზედ ყოფას, დედამიწის წიაღიდან საზრდოს ამოზიდვას. თანდათან დაივიწყა ის ხელოვნური ცხოვრება, რომელიც გარს ერტყა სასწავლებელშიც, პირველ ხანსაც თვისის საკუთარის ცხოვრებისა. ეხლა იმას მჭიდროდ აკავშირებდა თავის მამულთან შიგ ჩაღვრილი თვისი ოფლი, რომელიც აღბეჭდილიყო თვითეულ ხეზედ მისის ხილნარისა, თვითეულ კვალში მშვენიერად მოწყობილი ბოსტან-ბაღისა, ყველა კუთხეში მის სუფთად შენახულ ეზო-ყურესი, მკვიდრად ნაგებ შენობებზედ, სახნავ-სათეს მიწაზედ და ყველაფერზედ, რაც კი მისი შრომით მის თვალწინ გამშვენიერებულიყო, აღორძინებულიყო, გარდაფურჩქნილიყო. დიასახლისასაც, სახლის ვაჟკაცსაც მჭიდრო ერთობა ჰქონდათ მამულთან: მათ უყვარდათ იგი, როგორც მეტყველი მათის ცხოვრებისა; მამულიც ეალერსებოდა მათ, ჰაზრიან და გამჭრიახ მის მომვლელთ, რომელნი მარად ზრუნავდნენ მის ღირსეულად შენახვაზედ, გაპოხიერებაზედ, გამშვენიერებაზე, მხოლოდ ნიშნად ამ სიყვარულისა უხვად აძლევდა პურს არსობისას, ბინას უყვედურს და საიმედოს: ფართო ფიანდაზად გადამლილიყო მათ ფერხთ ქვეშ, როგორც სამკვიდრებელი საშვილიშვილო.

– შენ გგონია, მიწა უაზროა, უგრძობელი ან უნებისყოფო? ტყუილად გგონია, მიწის შვილო! დედამიწა ბევრს გეტყვის შენ, მრავალს კარგს გამცნებს იგი მარადჟამს, გონება თუ გაქვს მისკენ მიქცეული და ძალგიძს შეიგნო მისი ნათქვამი, მისწვდე მის ნაკარნახებს; ბევრს კარგს გაგრძობინებს იგი მის გულში ჩაკრულს, თუ შეგწევს ძალა



განიცადო მისი ღიმღილ-სიცილი, მისი ცრემლ-ნაღველი, იმედიანი ალერსი მისი და სიხარული, როდესაც მოგიპყრობს შენ თავის წიაღს ქვეყნიურის კეთილით დატვირთულს; შენ არ იცი, როგორა სწუხს ბუნება, როცა ვერ იზიარებ ვერც მის სიხარულს, ვერც მის სიმძიმის! ბუნება სავსეა სურვილებითაც, შენდამი კეთილი სურვილებით, მის ურჩო შვილო შეუგნებლო! მასა ჰსურს გქონდეს სამკვიდრებელი სამუდამო, რომ არ დაძრწოდე მიდამო, ვით ეული გზას აცდენილი, არ დაგაქანებდეს ტალღა ცხოვრებისა, როგორც მოგლეჯილ ბურბუმელას ქარი სასტიკი; ბევრი კეთილი ჰსურს შენთვის მას, სისრულე ყოველის სიკეთისა, ოღონდ შეუთანხმოდ და მიაგებო მის კეთილ სურვილებს შენიც კარგი მისწრაფებანი, შეათანხმოდ შრომა შენი შენდამი სასიკეთოდ მომართულ მის მოქმედებასთან. არ იფიქრო, შენი უარისმყოფელი იყოს მიწა, მართლა მხოლოდ ეკლისა და კუროსთავის შენდა აღმომცენებელი. არასოდეს! ოღონდ შეიტკბე მიწა, როგორც დედა მოამაგე, შეიგნე მისი სურვილები, რომ მიჰყვე მის კარგ განზრახვებს და ის რძეს გასმევს შენ ნოყიერს, აგალიცლიცებს ჯან-ღონით, აღგავსებს სიცოცხლით, აგაღაღანებს, გაგფურჩქნის ვარდად ედემისა.

მამულმა შეიკვეთა და შეიტკბო ცოლ-ქმარი, დაუურვა, გააპატიოსნა, მისცა შეძლება ნოყიერად განმრავლებისა. ეხლა პორფირეს სახლი სავსე იყო ბაღლებით და იხარებდნენ დოვლათში მყოფნი, ივსებოდნენ, თამამდებოდნენ. უფროსი ქალი აგერ დაათავებდა სწავლას მახლობელ ოთხკლასიან სასწავლებელში. აღარც განაგრძობდა სწავლას: მეტ მეცნიერებას ეჭვის თვალთ უყურებდა უკვე ჩაკვრივებულ-გამთქვინებული გოგონა; ის და სწავლა არც თუ ძალიანა თავსდებოდნენ ერთმანეთში; არც შინაურები ატანდნენ მეტ ძალას, არ აქეზებდნენ:

– ორ-სამ წელიწადს თავისუფლად მოივლის და მერე ღმერთი უშველის, საკუთარი ოჯახის წარმოებას შეუდგება, – ფიქრობდნენ პატრონები.

და ეხლავე მზითვის ნელ-ნელა მომზადებას შესდგომოდნენ წინდახედულნი. ფეფიკოს მომდევნო სხვა ბაღლებიც კუბატივით დატენილ-დაბზინებულნი უზრუნველად დარბოდნენ ეზოში კმაყოფილნი. ბედნიერად და წყნარად მცხოვრებ სახლს არაფერი დარდი არა ჰქონდა აწმყოში და მომავალსაც შუბლგაშლით უყურებდა იმედიანი. არც თუ წარსულში ჰქონდა რამ ცოლ-ქმარს დასანანი – მხოლოდ ხანდისხან თუ იოცნებებდნენ შემტკბარნი სხვა გზაზედ ცხოვრებისა, რომელიც ოდესმე შესაძლო იყო მათთვის და რომელსაც არ აჰყვნენ მაშინ.

ცოლ-ქმარი მთლად კმაყოფილი იყო ერთმანეთისა, ცხოვრებისაც. თუ ხანდისხან დანანებით ლაპარაკობდნენ ქალაქზე და იქაურ სუფთა ცხოვრებაზედ, სახელმწიფო სამსახურზედ თუ იქ წარმატებაზედ, ამ საუბარს უფრო ოცნების ხასიათი ჰქონდა და თვით საგანიც მხოლოდ სიტყვის მასალა იყო ოჯახში; არავითარი სამოქმედო ხასიათი არა სდევდა მას: არ ჰქონდათ არაფერი მიზეზი, ესურვათ მამულიდან დაძვრა და შეჭრა იმ ფესვებისა, რომელნიც გაედგათ ნიადაგში.

– საკვირველ კია, ჩემო კარგო, რომ ეს მამული ისე შევითვისე, თითქო საკუთარი ჩემი მამა-პაპეული ყოფილიყოს და არა შენ მოგყოლოდეს მზითვეში. არ დაიჯერებ, რომ თვით საფლავები შენთ წინაპართა, აი იმ ქოჩორა კაკალ ქვეშ რომ მოგიტავსებიათ, ისევე პატივსადებნი არიან ჩემთვის, როგორც საკუთარი მშობლების სამარეები. მხოლოდ მაინც ვერ მივმხვდარვარ, რად უნებებიათ თქვენებს ცალკე სასაფლაოს გამართვა ამ მამულში.

– მამულს რომ შეეთვისე ესე ძლიერ, ალბათ ჩემი წინაპრების სული შენზედ გადმოვიდა, მათ მემკვიდრეზედ. იმათ თურმე ისე ძლიერ უყვარდათ ეს ადგილი, რომ ანდერძადა სტოვებდნენ, აქვე დაემარხათ. საწყალმა მამამაც ესეთი ანდერძი დატოვა და იმისთვის დავასაფლავეთ აქ.

– შენი წინაპრების სულისკვეთება შენით გადმოვიდა ჩემზედა, რაკი ერთნი შევიქმენით განუყრელად და სამარადისოდ, – მიუგო ქმარმა და დასძინა:

– იქნება ის აზრიც ჰქონდა აქ ცალკე სასაფლაოს გამართვის, რომ მემკვიდრეებს არ გაემეტნათ მამული გასასყიდად, არ გაეხედნათ ეს, თუნდა ეს უხეიროდ მოწყობილ გარემოებათა გამო: არ ინებებდნენ საოჯახო წმიდა ადგილები სხვას ექელნა ფეხით, ვისმე უცხოსა და გამრიელს.

– მათთვის ალბათ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ ადამიანმა დასთმოს თავის მამული და შეელოს მას.

## 8

თავიანთ შვილებისათვის, ქალებისათვის თუ ვაჟებისათვის, სხვა მომავალი უნდოდათ მათ, უფრო თვალსაჩენი და ბედნიერი. ამგვარ ნატვრის აღსრულება მათი მამულის ფარგლებში და მის ნიადაგზედ შეუძლებელი იყო: ერთ მეკომურს გულუხვად აცხოვრებდა ის მიწა, მუყაითსა და ჰაზრიან მოჯალაბეს, მეტს კი ვეღარ გაუძღვებოდა, ბაღებისათვის ახალი გზების ძებნა იყო საჭირო, ცხოვრების ახალი სარბიელისა. ჯერ კი ამ ხანად, საზრუნველი იყო იღბალი მათის უფროსი ქალისა, რომელიც თუმცა ისევ ახალნორჩი იყო, მაგრამ საკმაოდ შეღვრებული და გამაგრებული, როგორც მტკიცე აგებულობის ქალწული თამამად ნაზარდი. თავიანთ პირმშო შვილის ბედს რომ წარმოიდგენდნენ, უსათუოდ ქალაქის ცხოვრებას დაისახამდნენ თვალწინ, სუფთა ყოფას განათლებულ და შეძლებულ ოჯახში.

საკვირველი იყო ამ ცოლ-ქმრის საქმე: ერთი მათგანი არ ისურვებდა ისეთს რასმე, რომ მეორეს არ მოსწონებოდა; ქალი რომ დაიწყებდა ჰაზრს, ვაჟკაცი დაამთავრებდა. ერთად თანხმობით ცხოვრებამ თითქო ერთიდაიგივე სული ჩაუდგა ორივეს, ერთისა და იმავე ჰაზრებისა, გრძნობებისა და სურვილების გამომღები სული მოქმედი.

ამ შემთხვევაში, ფეფიკოს ბედზედ ოცნების დროს, ვაჟკაცის ფიქრი გადაფრინდებოდა თბილისში და თავს ევლებოდა იმ ბატონურ ბინას, რომელშიაც განსცხრებოდა მისი ნაამხანაგარი პეტრე. მართლა და, თუ კარგი არ იქნებოდა, რომ მისი ქალი ლადიკო გასცნობოდნენ ერთმანეთს, დაახლოვებოდნენ, დაკავშირებოდნენ. დიდი მოხელეს ვაჟი აუცილებლად მამის კვალს დაადგებოდა, მამის მფარველობით დაიწყებდა სამსახურს და მისი შემწეობით მალე მიაღწევდა საპატიო ადგილს. მართალია, თვის მამასავით დიდი უფლებებით არ არის ის შეჭურვილი, მაგრამ ძლიერთა მფარველობა და ხელმძღვანელობა უფლებათა ოდნობას გაუწევს. ბიჭი კარგი სჩანდა, თვალ-ტანადი და ეხლა მთლადაც დავაჟკაცდებოდა, უფრო მეტად დამშვენდებოდა.

პორფირეს ცოლი სალომეც თავის ქალის ბედს ლადიკოს უახლოვებდა, მაგრამ მის სურვილს უფრო მეტად ჰქონდა ოცნების ფერი და ნატვრის ხასიათი, რადგან ქალის წარმოდგენით პეტრე იოსების-მის ოჯახი მეტად მაღლა იდგა თავის ხარისხით, მათთვის მიუწვდომელ სიმაღლეზედ.

– შვილი უსათუოდ მამის კვალზედ წავა: შევა სამსახურში და დიდების გზას დაადგება დიდკაცი. ცოლსაც შესაფერს მოსძებნის, ფულიან ქალს, გავლენიან ნათესაობის მეყოლს. რასაკვირველია: ყველას თავის ტოლი და მისადევარი უნდა. ქრთამის დახარბება რომ შეგვეძლოს და მზითევისა, მაშინ სხვა იქნებოდა. იმდენს რას

მივცემთ ქალს, რომ იმისთანა გამოჩენილი კაცის შვილი მოვინადიროთ და ხელში დავიჭიროთ, – ამბობდა დედა თავის გულში.

და ენანებოდა, რომ ესე ძნელი იყო ნატვრის აღსრულება. ცოლ-ქმარი ერთნაირად ფიქრობდა ამ საგანზედ, ერთმანეთს სიტყვასაც გადაუკრავდნენ ხოლმე. მაინც ჯერ განცხადებულად არ უზიარებდნენ ამ სურვილს ერთმანეთს, არც ნატვრის ყვავილსა ჰხსნიდნენ ფარდას, თუნდაც გამჭვირველს, რომ დაუსრულებელი სახე მიეღო მათს მისწრაფებას და პირდაპირ მოქმედების გზაზედ დაეყენებინა მეუღლეები. საქმით კი ჯერ მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა ეს მათი ლტოლვილება, რომ შიგადაშიგ მოსაკითხს უგზავნიდნენ პეტრესთან მსუქან ზღვენს, პოხიერს და საიასალოს, რაც ისე სანუკვარი იყო ქალაქელებისათვის; იქაურები ხომ, კარგი შემოსავლის მექონიც, როგორღაც დახაციცებულნი არიან და დამსრიტულნი, თვალი სოფლიდან მინატანზედ უჭირავთ.

ბატონი პეტრე იოსების-მეც აფასებდა ნაამხანაგართან თავის მეგობრულ ურთიერთობას. ბუნებით რბილი მისი გული მეგობარს ეძებდა გულწრფელად მოსიყვარულეს და მით უფრო, რომ თავის გარშემო მხოლოდ პირსაფერ თავყანისცემასა ჰხედავდა და მლიქვნელობას უტიფარს, რომელთა გადაღმა მხოლოდ შური გამეფებულიყო და სისინებდნენ ბოროტი სურვილები. ეს მძლავრი ხელისუფალიც თავის მხრივ სცდილობდა რითიმე გადაეხადნა პორფირესათვის პატივცემა, ესამოვნებინა მისთვის. თუ საძებნი რამ საქმე უჩნდებოდა სამმართველოებში, ის თავისი პირადი გავლენით სწრაფად უხერხებდა ყველაფერს და ჰჩარხავდა. ამ ორ ოჯახის ამგვარ ურთიერთობაში განვლეს წლებმა და იმათი ქალ-ყრმა მთლად მოიწიფნენ, დასრულდნენ და უკვე მზად იყვნენ დასდგომოდნენ საკუთარ ცხოვრების გზას; გარემოებებიც ისე მარჯვედ მოეწყვნენ ამ ხანში, რომ ამ ორმა სახლობამ ერთად მოიყარა თავი და ახლო გაეცნო ერთმანეთს. ეს შეხვედრა ფრიად შედეგიანი შეიქმნა, თუმცა ისე კი არა, როგორც ისინი ფიქრობდნენ.

– იცი, ქალო, რა ახალი ამბავი უნდა გითხრა, – მიჰმართა პორფირემ თავის ცოლს.

– რა უნდა მითხრა ან რა მომხდარა ისეთი, რომ ეგრე ნასიამოვნები შემობრუნდი შინ?

– ის უნდა გითხრა, რომ პეტრე თავისი სახლობით წყაროიანში ჩამოსულა სააგარაკოდ; მთელ ზაფხულს თურემ აქ გაატარებს.

– მართლა? საკვირველია! ის ხალხი სულ რჩეულ და ძვირფას ადგილებში ატარებენო ზაფხულს და ეხლა ჩვენკენ რამ წამოიყვანა?!

– ვინ იცის, რა მოსაზრებით გამომგზავრებულან აქეთ. მაგრამ ან კი რა განსაკუთრებული მოფიქრება უნდა: ნუთუ საქართველოს გარედ მდებარე ადგილები ემჯობინება თავის სიმშვენივრით, კეთილშეზავებული ჰაერით და სიუხვით თუნდ ჩვენს წყაროიანს.

და განაგრძო:

– იცი, ქალო, ყოველ შემთხვევაში საჭირო იქნება ვინახულოთ ის კაცი და ერთი-ორი დღით კიდევ დავპატიჟოთ მთელი ოჯახობით ჩვენთან.

– უსათუოდ! დიაღაც რომ უნდა დავპატიჟოთ. მოდი, ელიაობას მოვიწვიოთ, ჩვენი ხატობის დღეს; მაინც ხომ ბევრი სტუმრები გვეყოლება, – მიუგო ცოლმა.

– ჰაზრი არა გაქვს თავში, არც უნარი გაგაჩნია მოქმედებისა! როგორ შეიძლება ამისთანა სახლში ცოლ-შვილის ჩამორეკა?! დაბალი ოთახები, დააფრაკებული ფანჯარა თუ კარი, გალობიანებული კედლები, ვინ იცის ვისგან ნალესი; არავითარი მოწყობილება ადამიანურად ცხოვრებისათვის! სახლის წინვე რაღაც უღრანი ტყე, ნესტით რომ ავსებს მთელ სადგომს. სახლსა ჰქირაობ და ისიც კი ვერ მოგიფიქრია, რომ წყალსადენი და აბაზანა აუცილებელია მცირედ მაინც სანთიან ბინისათვის. მეტი შნო თუ არა გქონდა, რაღადა ჰკიდებდი საქმეს ხელს ან რაღად მატყუებდი, ბინაც საუკეთესოა და თვით ადგილიც ისეთი მშვენიერი, რომ თავს მოგაწონებსო.

– საუკეთესო ბინაა, ქალო! აქ ამისთანა სუფთა და მოწყობილი სახლი არც ერთი არ არის.

– მაშ უბრალო სოფელში ჩამოგიყრია ცოლ-შვილი! ან ვინ უნდა მოვიდეს ამისთანა გადავარდნილ და მიყრუებულ ადგილას, თუ არ ჩვენისთანა დაქვეითებული და ყელმოტეხილი. არც ტოლ-სწორი, არც მუსიკა, არც რაიმე სხვა გასართობი და დროს გასატარებელი!

– რა ვქნა, როცა ექიმებმა ეს სამკურნალო ტალახები გირჩიეს და აბანო?! ან რად ვიქნებით ყელგადაგდებულნი და დაქვეითებულნი, როცა მადლობა ღმერთს, ყოველთვე საკმაო ფული შემომაქვს სახლში. და თუ მართლა იმდენი აღარა გვაქვს ოჯახში, რომ უთვალავად იზნეოდეს, ესეც შენი ბრალია. ჯერ მარტო ლადიკოს რამოდენა ფულს ახარჯებ, ეხლაც კი, როდესაც მხოლოდღა დაქეიფობს ის და რამე საქმეზედ დადგომაზედ აღარც კი ფიქრობს. მაშ რა გეგონა? შიოს მარანი ხომ არ არის ეს ჩემი ჯამაგირი, რომ ხარჯავდე და არ ილეოდეს.

– სამკურნალო ტალახი! აბანო! ვის ეკადრება?! რაღაც კამბეჩების საყრელი გუბეები თუ აუზები. ტყუილად დავენდე ექიმსაც; შეუგნებელი ყოფილა. ლადიკოზედ კი სიტყვა აღარ გეთქმის; სწორედ შენგან არის საწყალი გადარეული და გზააბნეული. როდესაც მაგისთანა უზრუნველი და ბეჩავი მამა ადგებარ თავს, რასაკვირველია, შვილები უბედურები იქნებიან, თორემ ლადიკო ისეთი დიდი ნიჭის პატრონი იყო, რომ უმაღლეს ცხოვრების მაღალ საფეხურს უნდა მოჰქცევდყო, – უთხრა ქალმა.

და შეაჯახუნა კარი. ტყუილად კი სწყრებოდა ქალბატონი: არც სააგარაკო ადგილს, არც ბინას, არც აბანოს მაინცდამაინც არა უჭირდა რა, ცხოვრება დიაღაც შეიძლებოდა იქ და გემრიელად ცხოვრებაც. თუ მართალს ამბობდა ქალი, მხოლოდ იმას, რომ ლადიკოს ნამდვილად ეტყობოდა გონების სიმალხაზე პატარაობისას: ყველაფერს ადვილად ითვისებ-იხსომებდა, თითონაც თავისით ბევრს რასმე გამოიგონებდა, მეტადრე საეშმაკოს და გასაცინს; სწრაფად მოიაზრებდა და მოახერხებდა; სიტყვაც მოსწრებული ჰქონდა, კვიმატი. სკოლაშიც, სასწავლებლის დაბალ კლასებში, ამართლებდა ბავშვი კარგ ჰაზრს თავის ნიჭიერებაზედ: თავს იჩენდა მარჯვე პასუხებით თუ მახვილგონიერებით; მაგრამ ზევით და ზევით, როცა აუცილებლად საჭირო შეიქმნა მუყაითი მუშაობა და მეტი დაფიქრების უნარი, ბალღმა თანდათან დაიწია, უკან-უკან წავიდა.

ბოლოს ვედარაფერს ეხმარებოდნენ მას ვერც მაშველი მასწავლებელი, ვერც სიმრავლე სამოსწავლო წიგნებისა და ხელსაწყობებისა, ვერც კარგად მოწყობილი ბინა უზრუნველყოფილი და ვედარც მამის გავლენა. მეოთხე კლასიდან გამოვიდა. არ იქნა, ვედარ გაეტია და მაშ რა უნდა ექნათ, თუ არ გამოეყვანათ. არც დაღონდა ბიჭი ამ მარცხის გამო: დილის ძილი უყვარდა და ეხლა ადრე ადგომა აღარ იყო მისთვის საჭირო, მუშაობა ემკვლელებოდა და ეხლა სრულებით აღარაფერი ჰქონდა სამუშაო;

ზრუნვა გუნებას უმღვრევდა, გულს უწუხებდა, ხოლო ეხლა უკვე დაეტოვებინა ყოველივე ზრუნვა. მოსწონდა ესეთი თარხნობა ბალღობიდანვე განებივრებულს. შემრგო სმა-ჭამა, კარგი ჩაცმა-დახურვა, ჯიბის ფული გამოუღვევლი და აბა სხვა რაღა უნდოდა გაცულუტებულ ახალგაზრდას, მხიარული ცხოვრების მუსუსს?!

ეხლა მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ ნაცნობთა შორის მოეხვეჭნა სახელი მოხდენილი ჭაბუკისა და მარჯვე რაინდისა, ისეთი ახალგაზრდის სახელი, რომელიც სასურველი სტუმარი იქნებოდა ყოველგვარ სამხიარულოდ მოწყობილ კრებულში. მიაღწია კიდეც საწადელს. ამას ხელს უწყობდა მისი ყოველ ჟამს უსაქმობა და მოცალობა, სუფთა ტანისამოსი, ზედმიწევნით ცოდნა ცეკვისა თუ სხვა გასართობ ზნეთა და ქცევათა. სურათი აგებულობა, შნოიანი სახე და ათასი ისეთი საქციელი და თქმა, რომელიც ღიმღის მოჰგვრიდა თავმოყრილ კრებულს, ხოლო სიცილის გუნებაზედ შემდგარს კიდეც გადაახარხარებდა.

ერთი კარგი ხასიათიცა ჰქონდა ლადიკოს, რომელიც მეტ ფასსა სდებდა მას ნაცნობთა შორის: დაუზარებელი იყო წვრილმან საქმის მოგვარებაში და შეუდარებელი, სწორედ მისწრება. ნამდვილ სამუშაოზედ კი, არსობით პურის მოსაპოვებლად მიმართულ შრომაზედ, არ იქნა და ვერ დააყენეს. როცა ბოლოს ერთობ გაგრძელდა მისი უქმად ყოფა და მთლად შეუწყნარებელი შეიქმნა, თითონაც იგრძნო, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო, ესეთი მუქთახორა ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი; ფასსაც უკარგავდა მას ესეთი ყოფა ნაცნობების თვალში. ამის გამო ლადიკომ გონების თვალით დაუწყო თვალთვლება იმ სარბიელს, რომელიც უფრო უშრომლად გამოიყვანდა მას ცხოვრების გზაზედ და მსწრაფლ სახელს მოუპოვებდა თუ დიდებას; ქონებასაც მოუკრეფდა მას და სწორედ იქ, სადაც არ დაეთესნა არაფერი, არც გასჯა, არც გონების ვარჯიშობა თუ მეტი ფიქრი. მიაგნო კიდეც ამისთანა გზას.

ლადიკოს იმთავითვე ეხერხებოდა ბავშვურ გართობებში მონაწილეობის მიღება და წარმოდგენებში მოზიარობა. თავისი მარჯვე მიხვრა-მოხვრა და სახუმარო ლექსებისა თუ სცენების მკაფიო კითხვით ბევრჯერ დაემსახურებინა მოწონების ტაში. არა ერთგზის გაუგონია თავის ყურით, სწორედ ნიჭიერი ბავშვია და თავის დროზედ ასახელებს თავის დედ-მამასო. აი ამ გარდასრულმა მისმა ნამოქმედარმა აღუძრა სურვილი მას სცენის მოღვაწედ გამხდარიყო და იქ ესახელებინა თავისი თავიც, თავის მშობლებიც და მშობლიური ხელოვნებაც. ადვილი ასასრულებელიც გამოდგა მისთვის სცენაზედ შესვლა: გაიცნო მსახიობები, რამდენჯერმე მოჰყვა მათ კრებულში, დაჰპატიჟა ზოგიერთი მათგანი მითომ შემთხვევით, გაიპარსა უკვე უხვად ამოჯეჯილებული წვერ-ულვაში და შეიქმნა მსახიობი, ჯერ მართალია, მხოლოდ მოხალისე, მაგრამ მაინც წვერი მსახიობთა გუნდისა. თურმე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მსახიობად გახდომა, მოისურვა და შეიქმნა ზღაპრული სისწრაფით. ერთს დღეს წვერ-ულვაშგაპარსული შემოვიდა სახლში და განუცხადა თავის მშობლებს:

– დასში ჩავეწერე! მალე თავსაც ვისახელებ. ხვალღამ პირველი გამოსვლა იქნება ჩემი დიდ სცენაზედ და პირდაპირ საპასუხისმგებლო როლში. მართალია, ჯერ კიდეც ისეთი მძიმე სამოქმედო არა მაქვს, მაგრამ მალე ვაჩვენებ თეატრის გამგესაც, საზოგადოებასაც ჩემს ნიქსა და უნარს. ვიცი, ღირსეულად დამაფასებენ ყველანი. მსურს და კიდეც შევიქმნები დიდებული მსახიობი! ჩვენ სცენას ესაჭიროება თვალსაჩინო მოღვაწე. მხოლოდ პირველ ხანებში ცოტაოდენი ფული დამჭირდება სათანადოდ მომზადებისათვის.

– მსახიობი? ნუთუ შენა გგონია ადვილად შესძლო მაგ ხელოვნების ღირსეული სამსახური?! ნამდვილ ხელოვანს ნიჭიც დიდი უნდა ჰქონდეს და შრომის უნარიც,

შეუფერხებელი მისწრაფება განვითარებისადმი. არც განათლება შეგწევს, რომ შეძლო მისწვდე გონების თვალთ ნაწარმოებში გამოყვანილ სანიმუშო პიროვნობას და მოქმედებაში განახორციელო ის. ეს რომ მოახერხო, თითონ შენც შემოქმედი უნდა იყო, სიტყვით დახატული ტიპის სისხლ-ხორცის ამსხმელი და სულისჩამდგმელი. თუ ეს ვერ შესძელი, ვერასოდეს ვერ შეიქმნები ქურუმი ხელოვნებისა და მხოლოდ უბრალო ლაყუნს დაიწყო სცენაზედ, უშნო ტორლიაღს, – უთხრა მამამ.

– რა ავციად დასძახი თავს ამ ყმაწვილს! ჯერ სულ იმას ამბობდი, ეს ბიჭი სწავლას ვერ დაამთავრებსო და აკი აგისრულდა კიდევ წინათ თქმა. ახლა სხვა კვალს დასდგომია საწყალი, თავის არჩეულ და მოწონებულ გზას და იმასვე ეუბნები, ავს უსურვებ თავიდანვე. რადაო?! ნიჭი რომ აქვს, ეს შენც კარგად იცი; ალბათ შრომასაც არ დააკლებს თავის არჩეულ საქმეს. აქაც მათემატიკა ხომ არ უნდა და ლათინურ-ბერძნულის თუთიყუშით ზეპირობა, რომ გული არ მიუვიდეს. სახელსაც მოიხვეჭავს, ქონებასაც შეიძენს. ცოტა ხანს კიდევ იზრუნე ბეჩავზედ ნივთიერად, ეგება ფეხზე დადგეს. მითომ უნივერსიტეტში გამოგიზრდია. ვისთვისღა გინდა, თუ რამ შეძლება გაქვს, თუ არა შვილებისათვის, – მიუგო ცოლმა.

პეტრემ მკაცრი ბგერა შეამჩნია ხმაში, გააღმასების მომასწავებელი ხმითა თრთოლვა. რაღა უარი შეეძლო?! ჩაღუნა თავი და შევიდა თავის ოთახში. გამოცდილებით იცოდა, მეტი წინააღმდეგობა ხეირს არ შეჰყრიდა, მთელ დღეს ჩაუშავებდა. მიხვდა, რომ დედა-შვილს უკვე მოელაპარაკნათ ამ საგანზედ და ველარაფერი საბუთი ვერ შეაცვლევინებდა ნათქვამს.

– ჰხედავ, შვილო, როგორი ცუდი ჰაზრი შეადგინეს შენზედ, რახან სასწავლებლიდან გამოხვედი. მამაშენსაც რომ მართლა უგონოდ მიაჩნია და უქნარად, სხვებმა რაღა უნდა იფიქრონ, ჩვენმა მოშურნეებმა. ვინძლო ამ ახალ საქმეს მაინც მუყაითად დაადგე და თავი არ შეირცხვინო.

– აკი გითხარი, დედილო, ძალიან ვეცდები-მეთქი. განა სწავლის დამთავრება კი გამიჭირდებოდა, მაგრამ ლათინურ-ბერძნული ჭირივით შემეჯავრა. იცი, დედიკო, როგორმე იმდენი მაინც მომიხერხე, რომ შეიძლებოდეს შევემზადო პირველი გამოსვლისათვის.

## 10

უშედეგო გამოდგა ლადიკოსათვის ეს ახალი სარბიელიც ცხოვრებისა, თავის სურვილით არჩეული სამუშაო. ჯერ დიდის ხალისით და მეცადინეობით შეუდგა საქმეს, თითქო ფხაც გამოიჩინა ნაწარმოებთა დაზეპირებაში. ცნობისმოყვარეობით მიახედა თავისკენ თავისი ახალი თანამშრომლები. მაგრამ ბოლომდის არ გაჰყვა მას ძალა ხასიათისა: მოიმწვანია ყოველივე, მოიწყინა და ზურგი შეაქცია შრომას, სულაც უარჰყო იგი. მსახიობთა დასის ცხოვრებიდან მხოლოდ ნეშტიღა შეინარჩუნა ნამუსრევი, გადასაყრელი რამ ნაბერტყი: ბულვარზედ წარამარა რონინი, შიგადაშიგ ხელგაშლით ქეიფი და ბანქო. არა, კიდევ ერთი: თავისებური ტანთსაცმელი და ყოველთვის განსაკუთრებული სახის მექონი ქუდი, ხელოვნურად ნაკვეც-ნაჭმუჭნი საკვირველი თავსარქმელი. პირის პარსვა ხომ აუცილებელია არტისტისათვის, თუნდაც ძალიან უყვარდეს მას წვერ-ულვაში და მასაც პირი მარად წმიდად ჰქონდა მოპარსული.

მეტადრე ძალიან გაერთო ლადიკო ბანქოს. მთელ ღამეებს ათენებდა საყომარბაზო ადგილებში და ბევრჯერ დღესაც ზედ დასძენდა. იყო ისეთი დროც, როცა ლადიკო აღარა ხუმრობდა, ფიქრობდა ბანქოს თამაში გაეხადნა ცხოვრების

საშუალებად. ეს მაშინ იყო, როდესაც შემთხვევით მოგების კვალზედ დამდგარიყო კაცი და რამდენიმე თვის განმავლობაში ბლომად შეიძინა ფული. დედ-მამა ეხლა ყურადღებას აღარ აქცევდა მის უგზო-უკვლოდ სიარულს და ჰარამ ცხოვრებას. ველარც შეიძლებოდა მისი ხელმძღვანელობა: უკვე ვაჟკაცი იყო დასრულებული და დრო უთხრობდა, თვითონვე ჰზარებოდა თავისი თავი. დედ-მამა მით უფრო აღარ აქცევდა შვილის ოინებს ყურადღებას, რომ მას ჯერჯერობით ფულიც აღარ გაჰქონდა სახლიდან: თავისი შემოსავლით, მოგებული ფულით, იცვავ-იხურავდა და ძალიან კობტადაც. სწორედ ამ მოწოდებას გადაჰყვებოდა კაცი, ბანქოს განუწყვეტლად თამაშს, თუ ერთობ არ გაეთამამებინა ამ ხელობას და თავხედობამდის არ მიეტანებინა გაბედულობა. მოგებით თავგასულმა ლადიკომ მეტად ღრმაში შებედა და მორევმა დააბორიალა ის, დააყირავა, თავი ფსკერს ახლევინა. ისეთს თვალთმაქცებს გადააწყდა, რომ აღდგომის კვერცხით გაფცქვნეს, გვერდებიც კი შეაზილ-წააქლიბეს ამ გაღვერის დროს. შეკრთა რაინდი; დაინახა, რომ ამ ფარგალშიც ვერ შესძლებდა იგი მეთაურობას და უკუდგა. არა, მართლად კი არ დაუტოვებია ეს ხელობა, მაგრამ ეხლა უფრო თავთხელებს ირჩევდა სახელოდ. ბევრი ველარა გამოჰქონდა რა იქიდან, მაგრამ თითონაც დიდს განსაცდელს არ შეემთხვეოდა ამ ადგილებში.

ამ გზის გარდა კიდევ სხვა ფონი სცადა ლადიკომ: რამდენჯერმე თავისი სიჭაბუკე და მოქნილი აგებულობა გაიტანა ფულიან ქალთა ბაზარზედ, უფრო დროებით გასაქირავებლად, სინამ ხელალებით გასასყიდად. აქედანაც მაგდენი ვერა ირგო რა, თუმცა რამდენჯერმე გამოება მის ანკესს მსუქანი ღლავიც. ეს მარცხი უფრო მის დაუდგრომელ ხასიათის და თავაქალობის შედეგი იყო: თვის სურვილებს ერთობ მალე ცხადჰყოფდა, ხვამიადის ხანგრძლივი ფარვა არ შეეძლო; საკვებურადაც კი გამოჰქონდა დასაფარავი მოქმედება. მიტომ უფროთხოდნენ მას მანდილოსნები, ვერ ენდობოდნენ. აქაც მოუცდა ნაქებ ჭაბუკს, ნახტომი შეეშალა.

მაშინ იყო, რომ ისევ მამის რჩევას დაუჯერა და ინება მოხელობათა კიბის უმდაბლეს საფეხურზე შედგომა. ჯამაგირი თითქმის არა ჰქონდა აქ კაცს, მაგრამ მაინც ჯერ ისე ძალიან არა სჭირდებოდა, რადგან მამის ჯიბე ხსნილი იყო მისთვის. სამაგიეროდ სამოხელო ტანისამოსი და ქუდზედ სახელისუფლო წყვილი ბჰყვრიალა ნიშანი კარგ ყავლას აძლევდა კაცს, დამჯდარ გონებიანის და მოქმედი ადამიანის იერს.

– როგორც იყო დაწყნარდა ლადიკო, სახირო გზას დაადგა. ეხლა მამის შემწეობით მალე წაიწვეს წინ სამსახურში და შეიქნება ცხოვრების შემძლე ადამიანი.

– ძალიან ადრე გამოვიდა ცხოვრებაში და დულდა მაჭარივით, ქაფქაფებდა; ეხლა, ვგონებ, დაიდულა, დადონდგილდა და მამის კვალზედ შედგა. კიდევ გაივლის მაგ ნაკვალზედ; კვიცი გვარზედ ჰხტის.

– ქცევა ხომ გამოიცვალა და თითქო სახეც კი სასიკეთოდ შეეცვალა: დადინჯდა, თვალეზი დაუწყნარდა, დროც კი უთხრობს დამშვიდდეს: უკვე გამოვიდა ჭაბუკობის ხანიდან, – ამბობდნენ მცნობნი.

მართალს ამბობდნენ! ლადიკო ეხლა ცდილობდა დინჯად დაეჭირა თავი; სამსახურშიც მუყაითად დადიოდა და თავისი ზრდილობიანი ქცევით გულს უგებდა უფროსებს; ხოლო დაბალ მოსამსახურეებს ართობდა მრავალგვარ უწმაწურ თხრობებით და ლაზღანდარობით. კიდევ იმითი აწონებდა მათ თავს, რომ მარილიანად გამოაჯავრებდა ხოლმე სამდივნოში მიმომსვლელ ქალს თუ კაცს და ხანდისხან უფროსებსაც კი, მეორე ხარისხოვან მოწინავეებს. თვის საქმეს სათანადოდ ვერ უდებდა გულს, ვერც ემარჯვებოდა იგი, მაგრამ ცდილობდა კი, რომ შესთვისებოდა სამსახურს. მისი უფროსები არ იყვნენ უმადურნი, თავაზიანადაც ეპყრობოდნენ მამის ხათრით და იმ იმედითაც, რომ დროთა განმავლობაში

შეეჩვეოდა ის შრომას, ოთხივე ფეხით ჩადგებოდა კვალში და თითონაც ერთგულად გასწევდა უღელს, დასჭიმავდა იმ ჯამბარას, რომელზედაც აქ გაბმული იყვნენ მოხელეები, დიდნი თუ მცირედნი.

აი ამ გარემოებაში იყო ლადიკო, როცა მის დედ-მამას მოუხდა გაეტარებინა მთელი ზაფხული წყაროიანში, პორფირეს მოსახლეობის მხარეში. ცოლის დაჟინების გამო პეტრემ დასთხოვა ლადიკო საზაფხულოდ მის უფროსს და თან წამოიყვანა სააგარაკოდ. ჭაბუკის შესახებ სხვა აზრიცა ჰქონდა გამოცდილს და ნაწრთობ პეტრეს, თორემ მაინც გაბედავდა და არ დასთანხმდებოდა ცოლს, რადგან მდაბალ მოხელის დასასვენებლად გაშვება თითონაც ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა და მავნებელად. ეტყოდა ცოლს, არ დაითხოვესო და გაანებებდა თავს. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ პეტრეს გულში ედვა მკვიდრად დაებინავებინა თავისი შვილი, რამე მყარი ნიადაგი გამოემებნა მისთვის. კარგად ატყობდა მოხელეობაში გამოცდილი მისი თვალი, რომ ლადიკო ბოლომდის ვერ შერჩებოდა სამსახურს, იქაც დასწყვეტდა აპურებს და განაგდებდა თვის ქედიდან მძიმე უღელს ხელთუფლობისას. კარგად იცოდა, რომ არავითარი ხანგრძლივი შრომის უნარი არა ჰქნოდა მის შვილს, ლაღად ნაჩვევს და უხასიათოს. პეტრეს იმედი ჰქონდა, ფულიანს თუ საიმედო მამულის პატრონ ქალს უშოვიდა იქ თავის შვილს, ჯვარს გადასწერდა და ამით ლუკმა პურს გაუჩენდა მას შემდეგისათვის. იქნება პეტრეს ცოლსაც ესეთივე რამ აზრი ამოქმედებდა, როცა გადაჭრითა ბრძანა, ლადიკოც თან წაჰყოლიყო მათ საზაფხულოდ. ქალაქში არაერთხელ სცადა ცოლ-ქმარმა ამისთანა აზრის ასრულება, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა ეს, რადგან იქ უკვე კარგად იცნობდნენ მათ შვილს, სოფლად კი, გულუბრყვილო და მემამიტ ხალხში, შესაძლო იქნებოდა ამისთანა ბედის პოვნა.

– აი, ქალო, პორფირე გვპატიჟობს თავის სახლში ელიობა დღეს. თუ წამოხვალ, იქნება ცოტათი გაერთო და გახალისდე, – ეუბნებოდა პეტრე თავის ცოლს.

და გახსნილ წერილს აწვდიდა მას.

– წერილი რაღად მინდა?! ვინ პორფირე?

– არ იცი? ჩემი ნაამხანაგარი პორფირე, მოსაკითხს რომ გვიგზავნის ხოლმე.

– შენი მეგობარი? წადით! მე აბა რას გავაკეთებ იქ ან ვის ვნახამ მივარდნილ სოფელში ჩემ ტოლ-სწორს.

– წაიკითხე! ყველას ერთგულად გვეპატიჟება, უთუოდ წამოდიოთ. გნებავთ ურემს გამოგიგზავნით, გნებავთ ცხენებსაო.

ქალმა ჩამოართვა წიგნი, გადიკითხა და ცოტა ყოყმანის შემდეგ ბრძანა:

– კარგი, რახან არ დაუშლია, წავიდეთ. ეტლი დაიქირავე, ურემი ვისთვის არის საჭირო?!

– მამი, ჩემთვის უთუოდ ცხენი გამოგზავნოს; მაინც ადგილი არ გექნებათ ეტლში. მისწერე, კარგი იორღა ჩამომგვარონ და შესაფერი შეკაზმულობით, – მიჰმართა ლადიკომ მამას.

დიდი დღესასწაული იცის ელიობამ იმ მხარეს. თუმცა მოუცლელ დროს მოდის ხატობა, გახურებულ მკის ჟამს, მაგრამ ხალხი მაინც ბევრი აწყდება ღრუბელთა წინამძღვარის ნიშნს: შეთქმული აქვსთ ხოლმე და ხატს არ ელაღატება, მერმე ისეთს ძლიერს, რომლის ხელშიც არის ჭირნახულის ბედ-იღბალი. გორაკის წვერზედა ბრძანდება იქ ელია, ძველისძველ ეკლესიის ნანგრევებში დაუვანნია დალოცვილს. დახავსებული გელაზეებით არის გარშემო მოფენილი შენობის ნაშთი. იქნება ოდესმე



კერპთ საყუდარიც იყო იგი. მეორე ეკლესია აეშენებიათ იქვე, ძველი საყდრის გვერდზედ. მღვდელი რომ ახალ საყუდარში სწირავდა, ხალხი ნანგრევ ყორეს ეტანებოდა; სანთელს ანთებდა იქ, ჩამწკრივებულ ლოდებსა ჰკოცნიდა: ხატის ძველისძველი სავანე უფრო მადლიანი მიაჩნდა, სინამ მისი ახალი ბინა, სხვა გემოვნებაზედ ნაგებ-ნახატი.

– შენა გგონია ხატი არ დასთმობს თავის ძველ სამყოფს და იგი ნანგრევები მოესწრებიან ახალი შენობის განადგურებასაც?

– შეიძლება! ხალხს მაინც ხომ სწამს, რომ ძველ ხატს და ძველ სამლოცველოს უფრო მეტი მადლი აქვს, ვიდრე ახალს.

მლოცავით იყო გაჟიჟინებული საყუდრის მიდამო. დაჩარდახული ურმები, დუშაყგაყრილი ცხენები, საღმრთოდ მოლალული საქონი; ხანში შესულნი ყავარჯნებით ხელში, მოსხეპილი ბიჭები სადღესასწაულო ტალავარში, სახრე რომ მაინც ვერ მოეშორებინათ ილლიდან; ველის ყვავილივით აფერადებული ქალ-რძალი, კოლოტებივით ჩამრგვალეებული ვაჭრები, ჭენჭი რომ გადასდიოდათ სახეზედ; შიგადაშიგ მოხელეები ბჭყვრიალ-ბჭყვრიალა ფოლაქებით; ჯელგა-ჯელგა წვრილფეხობა და მათი ჟღვილ-ხვილი. განუწყვეტელი მოძრაობა იყო ხატის კარს და ხმაურობა საიმედო. პორფირიანთ ბინა ცაცხვის ქვეშ დაედვათ, საყდრის მოშორებით კარავი დაეკრათ. სამღვთოები დაეკლათ. მოჯამაგირეები და დედაკაცები სადილის სამზადისს დასტრიალებდნენ. ჭრელ-ჭრელი ფარდაგები გაეშალნათ ჩრდილში. ხალიჩაც ეგო, მუთაქები ეწყო ზედ. ეს საკუთრად პეტრე იოსების-ძისათვისა ჰქონდათ მომზადებული და მისი სახლობისთვის. თვალი გზისაკენ ეჭირა პორფირეს, მისი სახლობა კი წირვას ისმენდა ეკლესიაში. მისი ქალი ფეფიკო კეწკეწ კაბაში გამოწყობილიყო, თმა შეეწნა და შეეკეცა, ქალაქურ ჰანგზედ მოკაზმულიყო. ქალს გული არ უდგებოდა საყდარში, რამდენჯერმე გამოვიდა გარეთ, რომ დაეთვალიერებინა სტუმრების გზა.

– მოდიან! აგერ მოდიან! ეტლს ვიღაცა მოსდევს ცხენდაცხენ, – გადმოსძახა მოჯამაგირემ პორფირეს.

– ჰო, მოდიან! ცხენოსანი ლადიკო არის, პეტრეს შვილი, – გაიმეორა პორფირემ.

და გზისაკენ გადადგა, რომ შეეყენებინა მომავალი ეტლი და მიებრუნებინა თავის ბინისაკენ. ფეფიკოც კარზედ იყო. უნდოდა იქვე გაჩერებულიყო და შეჭხვედროდა სტუმრებს, მაგრამ გული აუჩქროლდა, ვეღარ შეიკავა თავი და ისევ ეკლესიაში შებრუნდა, რომ დედისათვისაც ეხარებინა. მაინც მოასწრო და მოჰკრა თვალი მშვენიერ ჭაბუკს, წერწეტად მჯდომს ბედაურზედ, და აიტკრიცა უნებლიეთ. კარგად იცოდა შეღერებულმა ქალმა თავისი მშობლების ოცნება ლადიკოს შესახებ, მიხვედრილიყო იმასაც, რა დაფარული ჰაზრი ჰქონდა ამ წვეულობასაც, რომლისთვის ესე ძალიან ემზადებოდა მისი დედ-მამა. თითონაც დიდად მოსურნე იყო გამხდარიყო წევრი იმ დიდებულ ოჯახისა, რომელზედ იმდენი კარგი ჰსმენოდა. ის ოჯახის შვილი ლადიკოც უებრო რაინდადა ჰყავდა წარმოდგენილი და ამისთვის ვეღარ დაიჭირა გული გულის ალაგას, ვერ დაერია თავის თავს.

– წმინდაო ილიავ წინასწარმეტყველო! მამცნე, შენი სახელის ჭირიმე, წინდაწინვე შემატყობინე, ჩემი ბედია ის მშვენიერი ჭაბუკი თუ არა. მომიწონებს იგი თუ არა. ძლიერ ხარ სასწაულთმოქმედი და მოაქციე ჩემსკენ მისი გულისყური, კეთილი თვალით აჩვენე ჩემი საწყალი თავი ლადიკოსაც, მის დიდებულ მშობლებსაც, რომ უკადრისად არ დამიჭირონ და განზე არ გადგნენ ჩემგან, – ევედრებოდა ქალწული ელიას.

და უნდოდა კიდევ დაენთო მისთვის კელაპტარი, მაგრამ ვერ გაბედა ხალხში მეორედ წინ წადგომა. ეგონა გულუბრყვილოს, მლოცავნი მიმიხვდებიანო საიდუმლო სურვილს და გამკიცხავენო ამისთანა ძლიერ მისწრაფებისთვის.

– ვაითუ თავი ვერ შევიმაგრო და მაშინვე ვაგრძნობინო იმ მშვენიერ ვაჟკაცს, რომ შორიდგანვე ვარ შეყვარებული და მისი კერძი. როგორ შეიძლება შეიტყოს ეს?! სხვებიც ხომ მაშინვე იგრძნობენ ამას... გამიგია, გულცივნი არიანო ვაჟკაცი, არ იციანო ნამდვილი გრძნობის ფასი და ვაითუ მაშინ აღარ დააფასოს ჩემი სურვილი, აღარად ჩამაგდოს თითონ მეც. სჯობს მაგრა დავხდე და გულგრილად.

– იცი, ფეფიკოჯან, ისე მოიქეცი, მითომ სრულებითაც არ ეხება მათი სტუმრობა შენს ბედს. უკმეხად კი ნუ დახვდები, უზრდელობაში ჩამოგართმევენ, მაგრამ ნურც ფიანდაზად გაეშლები ფერხთ ქვეშ, – არიგებდა ქალწული თავის თავს.

მაგრამ მაინც ეშინოდა: იცოდა, რომ თუ გული აუმგერდებოდა და სისხლი აუთამაშდებოდა, ვეღარ დასძლევდა გრძნობებს და გადაშლიდა მათ სუნნად-სუნელად, როგორც ვარდმან უნებლიეთ გახლიჩოს ალიონზედ კოკორი მთლად შევსებულ-მომწიფებული. შუათანა ტანის ქალი იყო ძვალსხვილი, მკვიდრად ნაგები; კანში ვეღარ ეტეოდა ჩაკვრივებული; ლოყები წითლად ასქდებოდა ხორბლისფერ ფუნთუშა სახეზედ. ღელავდა ქალწული, მადიანად ავარდნილი გულ-მკერდი ტალღასავით ქანაობდა გულისპირის ქვეშ. საღი სურვილები ძვალით-რბილამდის გასჯდომოდნენ სასძლოდ მოწიფულს და ბუნებითს გზას ელოდნენ ღვთისაგან ნაკურთხს, კაცთაგანს დალოცვილს. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ უცხო ჭაბუკის მათთან მისვლა ესრე საამოდ ათრთოლებდა მას. მაგრამ ძალიანა სცხვენოდა სურვილთა დაჩენისა. ბუნებით მოკრძალებულ ქალისათვის სკოლასაც ვერ მიეცა ხასი ქცევა, ხოლო სოფლად, თავშენახულ მთიელთა შორის, მთლადაც დაჰკარგოდა გამბედაობა, ერთობ კდემამოსილი შექმნილიყო, გადაჭარბებით. ძალიან უნდოდა ეხლა საყდრიდან გამოსვლა და სტუმრების გაცნობა, მაგრამ ვერ მოახერხა ფეხის გადადგმა, თითქო ზედ დაჰკროდა ფილაქანს; ვერც დაიდრებოდა ადგილიდან, თუ დედას არ მოეკიდნა მისთვის ხელი და არ წამოეყვანა.

– წამო, შვილო, მივესალმით ჩვენ სტუმრებს, გავიცნოთ! თურმე მოსულან, შენ კი არ მითხარი.

– ხალხით გაჭედილი იყო ეკლესია და ვეღარ მოვალწიე შენამდის, – მიუგო ქალმა და გაჰყვა დედას. გაიცნეს, მოიკითხეს, მობრძანება დაუმაძღეს. პეტრეს ცოლი მედიდურად შეჰხვდა მასპინძელ მანდილოსანს, ოდნავ მიაკარა თითები ხელის ჩამორთმევის დროს. თითონ პეტრე კეთილი ღიმილით მიეგება დიასახლისს, გულსავსედ ჩამოართვა და დაუკოცნა ხელი, როგორც განათლებულმა მახლობელმა მოსიყვარულემ. ლადიკო ერთ ხანს მოწიწებით იდგა შორიანხლო, რომ უფროსებს დაეთავებინათ გაცნობა და სალამი, მერმე მოხდენილად წარსდგა წინ ბიჯი და თათი დაუკოცნა პორფირეს მეუღლეს, ხოლო თითონ ფეფიკოს შეხედა აღტაცებით და ფაქიზად ჩამოართვა ხელი. სწორედ კარგი სანახავი იყო ამ დროს ქულაჯაში კოხტად გამოწყობილი თვალსაჩინო ჭაბუკი, შეგრეხილ უღვაშების ქვეშ საამოდ მოლიმარე. ქალს საოცნებო ბატონიშვილად მოეჩვენა ლადიკო, თავის ნატვრაში რომ რაინდი ჰყვანდა დასახული, იმაზედ უკეთესად. მაშინვე გული შეჰვარდა მასზედ. რახან ვაჟი მოეწონა, მისი დედ-მამაც საუკეთესო ადამიანებად წარმოუდგა, ჭკვიანებად, კეთილებად. სტუმარნი მაინც წესისამებრ მხოლოდ საუკეთესო თვისებებსა ჰყენავდნენ თვის ხასიათისა, კეთილ მხარეებს თვისის ქცევისას. თითონ პორფირეს ოჯახობამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზედ. იმათ ეგონათ სოფლის ხალხს შეჰხვდებოდნენ სუფთა ქცევიდან ჩამომხდარებს, მართალია, შეძლებულებს,

მდიდრებს, ქონებიანებს, გარნა თითონაც უკვე გაქონილ-გაპოხილებს. მათ კი თვალთ წინ წარუდგათ შეგნებული სუფთა ოჯახი, რომელს რაიმე ჩამორჩომა არ ეტყობოდა. უამათ ამისთანა მასპინძლისას მისვლა. გუნება გაულო მათ გულწრფელმა შეგებებამაც. პეტრე იოსების-მე ხომ აღტაცებაში მოვიდა, როცა ისევ მოჰყვა ბალღობიდან ჩვეულ გარემოებებში, რაც აგერ ოცდახუთი წელიწადი იქნებოდა აღარ განეცადა.

## 12

– ძალიან კარგი ქალი გყოლია, ჩემო პორფირე, მშვენიერი, ჯანსაღი, გაღალანებული. აი ეს შეხვდება იმედიანად ცხოვრების ცვალებადობას და არა ჩვენი ქალაქის ქალები, ნერვებაშლილნი, მისუსტებულნი, განადგურებული აგებულობისანნი. სწორედ ველის ყვავილია საამოდ გარდაშლილი! – შეაქო ქალი პეტრემ.

ამ ქებაზედ იგი ველის ყვავილი უფრო შეწითლდა და მეტად სანდომი გახდა, მიმზიდველი. ლადიკოს მთლად აუღელვა ქვენა გრძნობები და ისეთი თვალთ შეხედა მან ფეფიკოს, რომ ყველას აგრძნობინა, მართალს ამბობს მამაჩემი, კიდევ მეტი ხოტბის ღირსიაო ეს ნორჩი ქმნილება.

– თქვენი ვაჟიც მშვენიერი ვაჟკაცი დამდგარა, შევსილა, შემკულა. ყოველმხრივ ბედნიერი ადამიანი ბრძანდები, ჩემო პეტრე, და ბედნიერი მამაც შექმნილხარ. კიდევ დასრულებულა მას აქეთ, რაც ბოლოსა გნახეთ, ბრგე შეხედულობა მიუღია. სწორედ კარგი ქართველი გამოგიზრდია! – მიუზღო პორფირემ.

ხოლო ეს კარგი ქართველი შვინდისფერ ტალავარში გამოიწყოილი შოთასებური ქუდით ქოჩორზედ, მარცხენა ხელით მსუბუქად დაჰყრდნობოდა შევერცხლილ ხანჯლის ტარს, ყაფადიან თეთრ წაღაში გამოკვართული მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ წაედგა და იდგა საამოდ ყელმოღერებული. შესწავლილი ჰქონდა მას ეს დგომა: სცენაზედ უფრო ხშირად უსიტყვო როლსა თამაშობდა ხოლმე, როცა მხოლოდ ადგილის დაჭერა სჭირდებოდა და ლაზათიანად გამომჩვენება. ერთი ამ დგომათაგანი გაიხსენა ეხლა მან, რომ მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა მასპინძლის ქალზედ, რომელიც ესე ძლიერ სანდომი ეჩვენა გაგეშილს და მადლიანად ხელჩასაკიდი. ტანთსაცმელიც თეატრული ეცვა ლადიკოს. მან ის საკუთრის ხარჯით შეიძინა, როდესაც ბანქოში ქარი უქროდა, საუკეთესო თერძს შეაკერვინა. ვერცხლის ქამარი სალტასავით მჭიდროდ შემორტყმოდა მის წერწეტ წელს, მუჭაში რომ დაიჭირებოდა.

მოეწონა ფეფიკოს ეს ჭაბუკი, ახ, ძლიერ მოეწონა, გულში დარდად ჩაუვარდა პირველსავე ნახვაზედ! სცდილობდა ქალი არაფრით შეემჩნევინებინა ეს თავისი გრძნობა არც შინაურებისათვის, არც, მით უფრო, მოსულებისათვის, მაგრამ ამოდ: შუბი ტომარაში არ იმალებოდა, ხან საით გამოჰყოფდა წვერს, ხან საით; ამას თითონვე ამჩნევდა ფეფიკო. და ღელავდა, ხოლო იგი ღელვა უფრორე სანდომადა ჰხდოდა მის ნორჩ ტანს.

მწყობრად ჩაიარა სადილმა. მზე უკვე გადიხარა, როცა გაათავეს შექცევა. პეტრეს ეშინოდა, ლადიკომ მეტი არ დალიოს და თავისი მარიფათები არ გაშალოსო, ახირებული ზნე-ჩვეულებები არ გადმოფინოსო ამ უცხო ხალხში. არ გაუმართლდა შიში: თავი შეიმაგრა ჭაბუკმა, რადგან დაასკვნა უსათუოდ თავი მოეწონებინა ყველასათვის და მეტადრე ახალგაზრდა გაცნობილ ქალწულისათვის, რომ აელელებინა მისი გრძნობები და გაეტაცნა იგი. მხოლოდ ერთხელ ოდნივ აერია

ლადიკოს ნაბიჯი და ვერ შეიმაგრა თავი. არც შეეძლო თავი შეეკავებინა: ბალღობიდანვე მისი გატაცება იყო ეს, ყოვლადუძლეველი სურვილი, ჟიანობა შეუმართებელი.

– რა ქმნა ისეთი?

– მაგდენი არაფერი. ეხლავე!

ელიას საყდარს კარგი სამრეკლო ედგა, ძველ კოშკზედ ჰაზრიანად დაშენებული, მკვიდრი და მაღალი. ზარები შესწირა ეკლესიას გამდიდრებულმა ბედიურმა, რომ მისი ხელგამამავლობისა და ქველმოქმედების ხმა იმ მაღალ შენობიდან ჟღერიალ-წკრიალით მოჰფენოდა სოფელს, ხეობას, მთელ იმ მხარეს და თვით ღვთის ყურამდიდაც კი ასწდომოდა მაღლა, ზეცაში. რახან ეკლესიის დღეობა იყო, ყველას ნება ჰქონდა ზარები განუწყვეტლად ერეკა, როგორც აღდგომას. ლადიკომ მიაქცია ყურადღება ზართა რეკას და აღტაცება დაეტყო თვალებში, ხელები აჰქავდა, მოუთმენელად მოესურვა ასულიყო სამრეკლოზედ და ემცნო ყველასათვის, როგორც უნდოდა ნამდვილ შეთანხმებით აყოლება ზარებისა.

– მე რომ ზარებს ავყოლებ, მთელი მუსიკა მოისმის მათ ხმებში, ოღონდ კი თანისთანობით იყვნენ დალოცვილები შეწყობილნი! – იტყოდა თავმომწონედ.

და ვერც ერთ მარჯვე შემთხვევას ვერ გაუშვებდა, რომ არ დაეკმაყოფილებინა ეს თავისი ჟინი, ვინ იცის, რომელი შორეული წინაპრისაგან ხანგრძლივი ვარჯიშობით დამუშავებული და შესისხლხორცებული ხელოვნება, რომელიც საიდუმლო რამ გზებით გადმოსცემოდა დიდებულ პეტრეს-ძეს ლადიკოს. პატარაობითვე შეაჩნდა ეს ნიჭი და იმავ თავითვე ავარჯიშებდა მას: ძალიან ახლო იყო მათ სახლზედ ეკლესია. როცა შემდეგში ლადიკოს სამრეკლოზედ დაინახამდნენ მცნობნი, გატაცებით რომ მუშაობდა ხელებით თუ ფეხით, იტყოდნენ:

– ცხოვრების მაღალი საფეხურისათვის მიუღწევია საიმედო ჭაბუკს!

ამითი ის უნდოდათ გაეხსენებინათ ერთმანეთისათვის, რომ მის პატარობისას დედ-მამაც და ნაცნობ-ნათესავნიც მაღალ საფეხურს უქადდნენ მას ცხოვრების სავალზედ, როგორც ნიჭიერ ბაღს და გავლენიან დედ-მამის შვილს. ეხლაც რომ გაიგონა შეზარხოშებულმა ლადიკომ უცოდინარი მრეკავისაგან არეულ-დარეული ხმიანობა ზარებისა, ველარ შეიმაგრა თავი და თვალის დახამხამებაზედ თავს მოექცა კოშკს. ბარემ ნახევარი საათი რეკავდა და სცდილობდა საამოდ აელაპარაკებინა ზარები სუფრაზედ მსხდომთ სმენის დასატკობად, მეტადრე კი ფეფიკოს გულის გასაღებად. ქალწული რომ კარგი რამ იყო, ალბათ გემოვნებაც იმდენად ამალღებული ექნებოდა, რომ გაერჩია ამ ხმებში ციური ჰანგები და გუნება გაჰშუქებოდა. მშობლებს არ უამათ შვილის ეს მოძრაობა. სხვებმა შეატყეს ეს და სდუმდნენ, ცდილობდნენ არ მიექციათ ყურადღება მის მოქმედებისათვის. როცა აღარ მოეშვა კაცი ზარებს, პეტრემ ველარ მოითმინა და ბოდიში მოსთხოვა შვილს:

– ყველასა სჭირს რაიმე თავისებური ჟინიანობა; ლადიკოსაც უყვარს ესეთი გართობა, თუმცა კი აღარ შეეფერება.

– რატომ? აქ საზარალო და სამრახისი არაფერია არც მისთვის, არც სხვისთვის.

– სასიამოვნოა ღვთისთვის და საამო ხალხისათვის ამისთანა გულმოდგინება, – დასძინა ზარების შემწირველმა, – რადგან ასიამოვნა იგი მისგან მიტანილ ზარების განგაშმა და მაღალხმიანობამ, გული მოჰფხანა მას. დაუბრუნდა სუფრას ლადიკო. გამარჯვებული თვალებს აელვარებდა, ეგონა შეაქებდნენ მის გარჯას, მაგრამ როცა ნახა, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა, იგრძნო თვისი უხერხულობა და გაინაბა; ისე დაიჭირა თავი, თითქო არაფერი მომხდარაო. ის კი იყო, რომ სამრეკლოზედ აძრომის

დროს კირით გაგანგლულიყო და ბიჭს მოუნდა მისი ქუდისა და ტალავარის წმედა. ესეც არასასიამოვნოდ დარჩათ მის მშობლებს და სხვებსაც.

მაგრამ მექლიში იყო ისეთი ვაჟიც, რომელსაც ერთ წამს თითქო გული გაულო ლადიკოს ამ მცირედმა მარცხმა. ეს იყო ბედიაურის შვილი მახარე. საპატო სტუმარი იყო იგი პორფირეს სუფრაზედ, მაგრამ არ ეკარებოდა მას არავითარი მხიარულება; პირში ლუკმა უმწარდებოდა; დღესასწაული მას თავის დამღუპველ დღედ დაჰსახოდა. დიდის სიხარულით მოჰმორდებოდა შექცევას, წავიდოდა იქიდან; რამდენჯერმე კიდევ დააპირა ადგომა, მაგრამ ვერ შესძლო, ვერ სძლია თავს: გაეტანა თავისი საკუთარი ტანჯვის განცდას, ერთგვარ სიამესა გრძნობდა ამ სასტიკი წამების გაღრმავებაში და სიმწარის ძირამდის ამოწურვაში. მისი საშინელი წამება იქიდან წარმომდინარეობდა, რომ უიმედოდ იყო შეყვარებული, ხოლო მის ტრფობის საგანს ფეფიკოს გული აეყარნა მასზედ, სულ სხვა მხარეს იყურებოდნენ მისი შავი თვალები.

ადრიდგანვე მოსწონდა ქალი მახარეს. დაინახამდა ეხლა ფეფიკოს მკვიდრად ნაგებ ტანს და ვეღარ წარმოიდგენდა, თუ მადლიან გამჩენელს უკეთესი ნაქეთის შექმნა შეეძლო ამ ნაყოფიერ ქვეყანაში; მოჰკრავდა ყურს ქალის მტკიცე სვლას, მის ფერხთა მაგიძუგს და უკეთესი ხმაშეწყობილი ბგერა ვეღარ წარმოედგინა მის სმენას მოხიბლულს; წითელი რამე ვერ დაენახა ისე, რომ ფეფიკოს თურაშაული ლოყები არ დაჰხროდნენ თვალთ წინ, მზის პირის ვაშლთაებრ დაბროწილ-ჩაკვრივებულნი. კარგი ვაჟი იყო მახარე, მდიდარი. მისი მამული მომიჯნავე იყო პორფირეს მამულისა. თვის სიმცროს დიდი მეგობარი იყო ფეფიკოსი, მისთვის ტიკინებისა, მათ ხელსაწყოს და ავეჯის გამომთლელ-გამომჭრელი. შემდეგში, როცა ქალმა ოთხი კლასი დაასრულა, მახარე კი მხოლოდ სოფლის სკოლაში იყო ნასწავლი და სოფლურ ცხოვრებას ეწევოდა, ქალმა იუკადრისა ის, აღარ მიიღო თავის ტოლად თუ სწორად; ხოლო როცა შენიშნა, როგორი შეყვარებულის თვალთ დაუწყო ჭაბუკმა მზერა, სულაც ჩამოჰმორდა მას, მთლად მოერიდა.

– რად მინდა გავყვე განუვითარებელ კაცს და სოფლური ცხოვრება დავიწყო, როგორც ვინმე გლეხის გოგომ. მდიდარიაო მახარე. რა ვუყოთ, რომ მდიდარია?! მაინც სოფლელია, უბრალო გლეხი, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე. როგორ გამოდგება ეს ჩემ მეუღლედ და პატრონად?! – ფიქრობდა ქალი.

და განზე იწევდა, თვალს არიდებდა.

– მოვწონვარ, ძალიან კარგადა ვხედავ, რომ ვუყვარვარ, მაგრამ რას ვაქნევ მაგის სიყვარულს, როცა ჩემი საფერი არ არის იგი.

ახ, არ ეჯავრებოდა ქალს მახარე, მხოლოდ თვის ღირსად არა სთვლიდა მას. მაინც კი სოფელში მახარეს ყველაზედ მაღლა აყენებდა ქალწული. მეტადრე მოსწონდა მისი დაულალავი საქმიანობა, რადგან თითონაც ძალიან მხნე იყო და გამრჯელი.

რამდენჯერ მინახავს ეს ახალგაზრდები სისხამ დილით უკვე საქმეზედ დამდგარნი თავ-თავის ეზოში და მიფიქრია, სწორედ ერთმანეთისათვის არიან გაჩენილნი ეს დალოცვილის შვილები-მეთქი. ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ თუნდ ცივ ქვაზედ დაგესვა ისინი წყვილად, მაინც თავისი საღი ჯან-ღონით და საქმიანობისადმი დაუშრეტელ ლტოლვილებით საიმედო ბინას შეჰქმნიდნენ დოვლათით სავსეს და ბედნიერს. ფეფიკო ვერა ჰხედამდა ამას და თითონვე გზას უქცევდა კარზე მიმდგარ ბედს. ხშირად ჰხდებოდა ესე: ადამიანი ვერა ჰხედავს თავის ნამდვილ ხვედრს, სულ სხვას ეტანება ცხოვრებაში და იტანჯება; ბრმა გული ვერა ჰხედავს თავის იღბალს თავისსავე გვერდზედ, სხვასა სწვდება, მისთვის ეკლიანს და მთელ სიცოცხლეს ატარებს მოუსვენრობაში, შავადა ჰლევს დღეს.

ბედნიერი იქნებოდა ფეფიკო მახარეს ხელში და ბედნიერ ჰყოფდა იგი გულწრფელად მოყვარულ ვაჟკაცსაც, მაგრამ ამას ვერა ჰხედავდნენ ვერც თითონ ქალი, ვერც მისი პატრონები. ფეხი ჰკრეს ბედისაგან მათდამი მიპყრობილ რძით სავსე ვერაწას, დააქციეს იგი სინოყივრე და თვით ჭურჭელიც გადააგდეს შორს თვისგან.

იმას ვამბობდი: როცა ლადიკო ზარების რეკვაში გართულიყო და თვის ნიჭს ხმამაღლა ამცნებდა არემარეს, წყალწაღებულ მახარეს ეგონა, თუნდ ამ უსაქცევოდან, ამ პატარა მიჭვრიტანიდან დაინახავდა ფეფიკო, რომ იგი აფრაკ ადამიანთან იჭერდა საქმეს, უშინაარსო ვაჟკაცთან, და ეჭვის თვალთ შებედავდა თვის მისწრაფებას. ამაოდ ეგონა! არ იცოდა ბეჩავმა, რომ რაკი ადამიანი ვისმე დაჰსახავს თავის სასურველად, ვეღარ ჰხედავს იგი მასში რაიმე ნაკლს და თუნდ ხინჯი თვალთ ეხირებოდეს, მაინც მხოლოდ შემთხვევითი ჰგონია იგი, როგორც რამ ჩრდილი მსწრაფლ წარმავალი. ბრმა არის თვალი გრძნობისა, ბისტგადაკრული! როცა ნახა მახარემ, რომ ამ შემთხვევამაც სრულებით არ შეაგუმანა ქალი და იმდენადაც კი დაუახლოვდა ჭაბუკს, რომ სადილ შემდეგ ერთად იწყეს მიდამოში სვლა, თავი ანება თავის სატანჯველ ადგილს, წავიდა, გასცილდა იქავრობას, მთლად გადიკარგა. კარგი ქმნა! რალა უნდა გაეკეთებინა იქ, ელიას მიდამოებში, როცა ხატი უგულოდ მოეხერო მას, როცა დალოცვილმა სხვებს სიამის წყარო აღმოუდინა და ამაოდ დაათრო, მას კი სიმწარე ასვა თასით ზედიზედ?!

### 13

მზე რომ გადიხარა, მეეტლემ მოახსენა:

– ეხლა კი წავიდეთ, ბატონო, თორემ ძალიან დაგვიანდება. მთვარიანი ღამე კი არის, მაგრამ ხევ-ხუვში სიარული მაინც ძნელი იქნება.

– წავიდეთ, წავიდეთ! აბა, ქალო, შეემზადენით და ვახსენოთ ღმერთი, – მიჰმართა პეტრემ თავის ცოლს.

– არა, ბატონო, თქვენი წასვლა ეხლა არ ეგების, ყოვლად შეუძლებელია! როგორ იქნება ისე წაბრძანდეთ აქედან, რომ ჩემს სახლში ერთი ღამე არ გაათენოთ, ჩემი მეკომურობა არ გაიცნოთ, – სთხოვა პორფირემ პეტრეს.

– გთხოვთ პატივი გვცეთ და მობრძანდეთ ჩვენს ოჯახში. მართალია, თქვენ საკადრისად ვერ დაგხვდებით, მაგრამ მაინც ვეცდებით სათანადოდ მოგისვენოთ და სიამოვნებით გაგატარებინოთ დრო, – სთხოვა დიასახლისამ პეტრეს ჯალაბს.

სტუმრები ცოტახანს შეყოყმანდნენ და მერე დასთანხმდნენ. მართლა და უხერხული იქნებოდა პატივი არ ეცათ მეგობარი კაცისათვის, მის ჭერქვეშ პური არ გაეტეხათ, მისი მოსახლეობა არ გაეცნოთ. გულში არ უნდოდა პეტრეს ეხლავე დაბრუნებულიყო: პორფირეს ქალი თვალში მოუვიდა მას სასძლოდ. რომ გაითვალისწინა გარემოებები, თავის სასარგებლოდ დაინახა ეხლავე მაგრა ჩაეკიდნა ხელი საქმისათვის; ადრე გადაედგა გაბედული ნაბიჯი, სინამ პორფირეანი მუშტრის თვალთ დააკვირდებოდნენ მის შვილს და იწვრილებდნენ მის ამბებს. ეშინოდა გამოცდილ მოხელეს, პორფირეანთ არ შეეგნოთ ნამდვილი ფასი მისის ვაჟისა. მაშინ უთუოდ უკან დადგებოდნენ და ლადიკოს აქაც ხელიდან გაუვარდებოდა ლუკმა პოხილი, როგორც ქალაქშიც რამდენჯერმე მოუვიდა ესეთი მარცხი.

ჩავიდნენ პორფირესას, ჩაი აივანზედ მიირთვეს. მთვარიანი ღამე იყო წყნარი და ადამიანს ეტყობოდა იგი ბუნების კალთაზედ, ოცნებათა მორევს უხატავდა თვალწინ, ზურმუხტის ნავეები რომ დაცურავენ ზედ. ახალგაზრდები ჩავიდნენ აივნიდან და დაიწყეს სეირნობა ფართო ეზოში. ხეებ ქვეშ მთვარის შუქს ფოთოლთა ჩრდილებით

მოექარგა მდელი. ახალნორჩნი შეეფარნენ მსხლის ტოტებს და ქალის თმებზედ აციაგდა ნაკვეთ-ნაკვეთი ნათელი მთვარისა. ვაჟს ერთობ მოუნდა ეხლავე შეჰხებოდა ქალის თმას მაინც და რა ნახა, რომ აივანი და მასზედ მყოფნი აღარა ჩანდნენ იქიდან, მიჰმართა:

– დაიცათ, ქალო, რაღაცა ფარვანა დაგჯდომიათ თმაზედ!

და წაატანა ხელი, მითომ პეპელას გადასაგდებად. ქალი ჯერ ვერ მიუხვდა ეშმაკობას, მაგრამ მალე იგრძნო, რომ იქ ფარვანას ბრალი არა ჰქონდა არავითარი. იმითი მიჰხვდა ქალი იმას, რომ ვაჟს ხელი ღრმად ჩაესვა მას თმაში და დიდხანსაც, სინამ საჭირო იქნებოდა რაღაცა ჭიის ასაყვანად. არ ეწყინა ეს ეშში მოსულ ქალწულს, კიდევ უამა ჭაბუკის მიერ თვის თმათა რხევა და მემეტად შეჩერდა იგი. ვაჟკაცი ააღელვა ამ შეხებამ, ნდომის აღმა აულანმა მას ხორცები და მსწრაფლ შეახო ხელი ამოკოკრებულ ძუძუზედ, რომ ქალიც ვნების აღში გაეხვივნა. ვერ მიჰხვდა წადილს! წრფელად აღზრდილმა ქალწულმა იუცხოვა ვაჟის ესეთი დაურიდებლობა, იუკადრისა, რომ ჭაბუკს ჯერ სიყვარულზედ არაფერი ეთქვა, არ განეცხადებინა მისთვის სურვილი მეუღლობისა და ესე კადნიერად კი მოეპყრო მას. უკუდგა მაშინვე, გაბრუნდა სახლისკენ. გაწბილებული დატოვა ვაჟკაცი. დროც იყო შინათკენ წასვლისა: დიასახლისა შეშფოთდა, როცა ქალ-ვაჟი თვალთაგან მიეფარნენ და ის იყო წამოდგა, რომ დაეხედნა მათი გზა-კვალისათვის. ამ შემთხვევამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მთლად უთმინო ლადიკოზედ: ის იმ ღამესვე მოელაპარაკა თავის დედ-მამას.

– ქალი მომწონს და თუ მართლა ისეთი მდიდარია, როგორიც ხმა აქვს, შევირთავ. თქვენვე მოელაპარაკეთ მაგის დედ-მამას, თორემ თითონ ქალი როგორღაც ველურივით იქცევა, ადამიანს ახლო არ გაიკარებს.

ლადიკოს ის ეწყინა, რომ ვიღაცა სოფლელი ქალი პირველ ნახვაზედვე მთლად არ მოიხიბლა მისი ვაჟკაცური სიმშვენიერით, პირდაპირ არ ემონა მას, შეუბრძოლებლივ, ყოველ პირობათა გარეშე და ისიც მაშინ, როდესაც მან მის წინაშე უკლებლივ შეასრულა როლი შეყვარებული რაინდისა.

ამის შემდეგ ჩქარის ნაბიჯით წავიდა საქმის ვითარება: სურვილთა გამჟღავნება, ფულზედ თუ მზითვეზედ მოლაპარაკება, თანხმობის განცხადება, ბელგა-ნიშანი, ქალ-ვაჟის საარშიყო დაახლოვება, ახალი მძახლების ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და ზღვრობა. ჯვარი ნამარიამობევს დასწერეს. უნდოდათ შემოდგომაზედ მოეწყოთ ქორწილი, რთველების შემდეგ, მაგრამ ვაჟის ერთობ თამამმა ქცევამ და ქალის ძლიერმა გატაცებამ შიში დაჰბადა პორფირეანთ სახლში და ამიტომ დააჩქარეს ყველაფერი. სოფლური ქორწილი გადაიხადეს ფართე და უხვი. დიდძალი ხალხი დაეცა თავს პორფირეანთ. გულსავსე მხიარულობა იყო, შვება უჩრდილო. არავითარი ხინჯი არ სჩანდა ახალი ნათესავების ურთიერთობაში.

ქორწილს არ დაესწრო მხოლოდ მახარე. გულმოკლული იყო ჭაბუკი, ბედის მომდურავი; ვერ გასძლებდა ქორწილში ყოფას, თავის ფეფიკოს სხვის კერძად მზერას. რაღაცა მოიმიზეზა და წინა დღეს წყაროანში წავიდა. იქ დარჩა, მანამ ქორწილი თავს გადიყარეს. ფეფიკომ შენიშნა მახარეს იქ არ ყოფნა, მიჰხვდა ამის ნამდვილ მიზეზს, ერთს წამს კიდევ დაენანა კარგი მეზობელი, მაგრამ სავსებით სავსე იყო ეხლა ის სიხარულით და მსწრაფლ მიეფარა მის გონების თვალთაგან მახარეს სახე დაღონებული.

მძახლებმა დაასკვნეს, ქალი ჯერ ისევ მამის სახლში დარჩენილიყო, რადგან სააგარაკოდ დაქირავებული ბინა არც ისე ფართე იყო, რომ თავისუფლად მოთავსებულიყვნენ იქ ახალი ჯვარდაწერილებიც. ქალის მზითვეიც ჯერ არ იყო ისე

დამთავრებული, რომ ეხლავე შეეკრათ ყველაფერი და გაესტუმრებიანთ. ლადიკო სიმამრისას დარჩა: საცა მისი საუნჯე იყო, მისი გულიც, მთლად იგიც, იქ უნდა ყოფილიყო. ძალიან ისიამოვნა ვაჟკაცმა ამ ხნის განმავლობაში.

– შენ, ჩემო ლადიკო, ეხლა მიაღწიე შენს წადილს! გამთქვინებული გოგო გულუბრყვილოდ შეყვარებული, თავისუფალი სახლ-კარი და ეზო-ყურე, თავსაყრელი სასმელ-საჭმელი, ყველასაგან ალერსი და საპატიოდ დაჭერა, ჯიბე-უბე შრიალა ქალაღდით თუ ჩხრიალა ოქრო-ვერცხლით სავსე ჩეჩქივით გაყრია, სვესრულო, ყოველგვარი სინოყივრე და სხვა რაღა გინდა?! იხარებდი და იშვებდი უხვად მონიჭებულ კეთილსა ზედან! – ეტყოდა ლადიკო თავის თავს.

და ქეიფობდა, განისვენებდა, განცხრებოდა სიმე-ბატონი; იშვებდა სიყვარულით გარშემორტყმული; ბატონობასა თამაშობდა არა სცენაზე და საჩვენებლად, არამედ ცხოვრებაში და ნამდვილად. ბატონობას რა დიდი ჭირი უნდა: სჯდოდე და სთქოდეო, ხოლო აქ ლადიკოს თქმაც კი აღარა სჭირდებოდა, უთქმელად მიილტოდა მისკენ ნივთიერი კეთილი დალოცვილი. მაგრამ ამქვეყნად ხომ არაფერია სავსებით სრული და მთლად უნაკლო. სიმე-ბატონის ზეიმსაც აკლდა მცირე რამ ნირი. ჯერ ის რაღა ღირდა, რომ მეტი ხნობით მოუნდა რაღაცა სიღინჯე და თავდაჭერილობა: არ შეიძლებოდა აქ ყველა აფრების აშვება; გარდა ამისა ბანქოსათვის ხელები ჰქაოდა მას, ჯიბე-უბეც ფულებით გატენილი ასქდებოდა, თამაში კი არ შეიძლებოდა, გატაცებით თამაშობა. ვის გაეთამაშებოდა ამ ტყე-მინდორში, სადაც ბრალიანს თუ უბრალოს ქედი წაეხარნა ლაღა კამეჩისავით და შეუქაქანებლად მუშაობდა. თუნდაც შემთხვევით შეჰხვედროდა საფერი ამფსონი, ჯერ მაინც დრო არ იყო თავის ხნე-ჩვეულების დარდიმანდულად გადაშლისა.

– იცი, შვილო, უკვე ცოლიანი კაცი ხარ, შენი თავი აწ შენ გაბარია, მაგრამ მაინც მოვალედა ვრაცხ ჩემს თავს მოგაგონო: უფრთხილდი შენი უზნეო ზნე არ განავითარო აქ და ეხლავე არ შეაკრთო ეს საწყალი ხალხი! – უთხრა მამამ

და ისეთნაირად დაემშვიდობა, თითქო სამუდამოდ მოსპო მასთან კავშირი თუ დამოკიდებულობა. ამ სიტყვებმა ჩააფიქრეს ლადიკო და მეტადრე იმან, რომ დედამაც დასძინა:

– ჩვენ ეხლა ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ შენ წინაშე. ახლა შენ იცი და შენმა ახალმა გზამ.

– ალბათ ჰგონიათ, რომ ეხლა მათთან საერთო აღარა მაქვს რა და აღარც არაფერს მოვთხოვ მათ, – გაიფიქრა ლადიკომ

და უსიამოვნოდ დაედარა სახე, ბოროტი რამ ნაპერწკლები აღეგზნენ თვალებში სხვის ულუფაზედ თუ სხვის კალთაში ნაჩვევ ვაჟკაცს.

პორფირეს აკვირვებდა სიმის ისე მთლად უქმად ყოფა. არც ხელის განძრევა, არც წიგნი, არც სიყვარული ბუნებისა, რომელიც იმ მხარეს ძალიან მდიდარი იყო და მოხდენილი. ერთხელაც არ მოისურვა ტყეში გასეირნება, მინდვრებისა და ახობის დათვალიერება, მახლობელ მდინარეზედ გადახედვა. არც ცხოვრების გაცნობისადმი მისწრაფება გამოიჩინა, ცხოვრება კი იმ კუთხეში თავისებური იყო და საგულისხმიერო. ისიც კი არ ითავა ამ კაცმა, დაახლოვებით გასცნობოდა თავის ცოლეურთ მამულ-დედულს, სარჩო-საბადებელს, წარმოების ავლა-დიდებას. უქმად დება, ჭამა-სმა, მთქნარება, ბაქიობა, ძილი, ახალ სარეცელზედ ხორცთა სიამე. აქაც არ მოეწონათ პორფირეანთ თავიანთ სიმე, ცოლთან ურთიერთობაში: კდემახდილი იყო



ვაჟკაცის მიერ ეს ურთიერთობა, თავდაჭერილობა და სირცხვილი უარყოფილი იყო მისგან; დაუდევრობა მისი ღირფობამდის აღწევდა, გარყვნილობის სამზღვარს ეხეთქებოდა საჯაროდ, დღისით-მზისით. ვერ იყო შეუგინებელი ნაკურთხის საწოლი ახალი ცოლ-ქმრისა, უბიწოება მთლად გამქრალიყო მათ შორის, ზნეობრივი უბიწოება უხრწნელი და სამარადისო. ქალს არამც თუ ჩამოაცალა მისმა ადამმა ნათელი მფარავი ცოდვათა სიშიშვლისა, არამედ უგბილი ღრეჭით ჩამოჰგლიჯა ის ფოთოლთაგან შეთხზილი საფარველიც, რომელი ოდნავ კიდევ ჰბურავდა მის ტანს მთლად გამარცვილს, დედიტშობილს, და შემკრთალიდა იდგა ქალი თვალცრემლმორეული, გაოცებულ-შემფოთებული, თითქმის შეძრწუნებული. ვაჟკაცი კი არავითარ უხერხულობას არა გრძნობდა, ვერა ჰხედავდა თავის ქცევაში ვერაფერს ისეთს, რაც არ შეეფერებოდა პატიოსან ოჯახს, თავშენახულ ქართულ კერას. მას თავი თითქო თავისუფალ ადგილას წარმოედგინა, სად კავშირნი ზნეობრივნი მთლად დახსნილ არიან, ხოლო ლამაზი სახე ცხოვრებისა შემდვრეულ და გახრწნილ. ყველა ამას ცხადად ხედავდა მოთაკილე ოჯახი პორფირესი, მაგრამ მაინც დიდის მოთმინებით ითმენდა ყველაფერს. რას იზამდნენ? ის იმედილა ათმენინებდა მათ, რომ ბოლოს და ბოლოს თავს მოეგებოდა თავწასული და შესაბამი პატივცემით მოეპყრობოდა სახლსაც, მეუღლესაც, თავის თავსაც.

– რა ვქნა, სადაური დიდი ოჯახის შვილია და მაღალ საზოგადოებაში გამოწრთვნილი?! მაგისი ქცევა უბრალო სალახანურ ყოფას მოაგონებს ადამიანს. აღარავითარი ხათრი და მოკრძალება! ამოდენა დედაკაცი ვარ და მე თითონ სირცხვილით ვილევნი მაგის ქცევაზედ.

– იცი, საყვარელო, შენ ჩვენი ოჯახის ზნე-ჩვეულებით ნუ ჰზომავ სხვას, ნურც სხვებს ადარებ ჩვენს თავს: შენგან ეკლესიასავით ფაქიზად შენახულ კერაზედ მოთავსება და მის ყალიბში ჩადგომა ადვილი არ არის უცხოთათვისა; ლადიკო კი ჯერ ისევ უცხოა ჩვენთვის, თუმცა სიძეა და შვილი. ნუ გეფიქრება: ფეფიკო შენა გგავს და მოახერხებს თავის ქმრის მოწრთვნა- მოტეხას ჩვენებურად, შეაგნებინებს განსხვავებას ნაკურთხ სარეცელისა და შეგინებულ საწოლ შორის.

– მე მოვახერხე კერის სიწმიდით შენახვა?! შენ თითონ უბიწოსავით იყავი იმთავითვე კდემამოსილი; ისიც მომწონდა შენში, რომ თავის დღეში არ იკადრებდი უხამს ქცევას და ისიც საქვეყნოდ, ყველას წინაშე.

– ვკადრულობდი კიდევ და ეხლაც გაკადრებ! – უთხრა პორფირემ და მიიზიდა მეუღლე, ბაგე დაუკოცნა.

– რა დაგმართია, კაცო, და რას გაუყმაწვილებიხარ?! – შეჰმართა ნასიამოვნებმა დედაკაცმა.

და მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ შეგვნიშნაო ცოლ-ქმართ ალერსის დროს.

უკვე მიწურულიყო ზაფხული, დამდგარიყო მოაგარაკეთა გადაბარგების დრო. წასასვლელად ემზადებოდა პეტრე იოსების-ძეც თავის ოჯახობით. დიასახლისი პირველ ხანებში თუმცა უჯავრდებოდა თავის ქმარს, ზაფხული მიკარგულ ადგილას გინდა გამატარებინო ყარტან-ყურტან ხალხშიო, მაგრამ ბოლოს გულში მაინც კმაყოფილი დარჩა და მადლობელიც, რადგან ლადიკოს ბედი გარიგდა აქ და ახალმა მძახალმაც მთელი ზაფხული უხრუნველჰყო ისინი რჩეული სანოვაგით და სოფლურ ყოველგვარ ნაწარმოებით. ისე გაატარეს არდადეგები, არაფერი დაჰხარჯვიათ ბინის ქირის მეტი; თან წასაღები ნუზლაც ბევრი დარჩათ.

გამზითვეს ქალიც. ღვინობისთვეში გაისტუმრეს ქალ-სიძე. ლადიკომ შეიგვიანა სოფელში: თავისმა მამამ აღუთქვა, მოვახერხებ და ერთ თვესაც ზედმეტს დაგათხოვინებ სამსახურიდან ქორწინების გამოო. უხვად გაატანეს მზითვენი. პირმშო

შვილი იყო ფეფიკო და არაფერი დაიშურეს. დიდებულ სახლშიც ისტუმრებდნენ და არ უნდოდათ ვისმე ტუჩი აეკრა ან ქალისათვის, ან მის პატრონებისათვის. ქალაქში პეტრეს სახლში, ერთი ოთახი მიუჩემეს ცოლ-ქმარს. პირველში ნამდვილ მოეწონა ფეფიკოს ქალაქი და ქალაქური ცხოვრება, უმუშავო, მსახურთა ხელით რომ კეთდებოდა ყველაფერი, ბატონკაცურად რომ ჰქონდათ ყოველივე მოწყობილი. მაშინ იყო, რომ მოსწერა დედ-მამას თავისი ცხოვრების ქება. ეძებდე და ჰპოვებდეო! რასაც ვეძებდი, იმაზედ უკეთესიც ვიშოვნეო, იწყობდა ქალი თავის წერილს, და აწერილი იყო დაწვრილებით კარგი რამ ყოფა სანუკვარი. წერილში ცოტა გაზვიადებული თქმა მოსჩანდა; შეატყო ეს ფეფიკოს დედ-მამამაც. ქალმა იცოდა, წერილს ნათესავ-ნაცნობებს წაუკითხავდნენ მისი შინაურები და უნდოდა თავი მოეწონებინა მათთვის. წიგნმა კმაყოფილება აგრძნობინა პორფირეანთ და მათ კეთილის მყოფელთ. ქალის დედ-მამაც მხოლოდ იმან ჩააფიქრა, რომ ფეფიკო თავის ქმარზედ არაფერს იწერებოდა; მხოლოდ მოკითხვა შემოეთვალნა მის მაგივრად. პორფირეს კი სწორედ ეს საკითხი აწუხებდა; თითქმის ორი თვე რომ თავის სახლში გაეტარებინა სიძეს, ათვალეირებდა მის ხასიათს და მიდრეკილებას, ხოლო ამ სინჯვისაგან გამოტანილი დასკვნა ვერ იყო მისთვის სანუგეშო.

– ლადიკო ვერ არის დამჯდარი გონების კაცი, მთლად უქნარაც არის, ფუფუნება კი ძალიან უყვარს. ამისთანა ხასიათის ადამიანს დიდი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, რომ არ დაიღუპოს და ყოველთვის სხვის ხელში შემაცქერელად არ დარჩეს. მისი ჯამაგირი კი... ალბად ერთობ მცირე ჯამაგირი აქვს, თორემ იტყოდა: ძლიერ უყვარს კვებნა. შენ რას იტყვი, ჩემო კარგო?

– მე მას ვიტყვი, რომ არ მომწონს შენი მკაცრი მსჯელობა ლადიკოზედ და ეგეთი უიმედო შეხედულობა მის მომავალზედ. აქ თუ ხელი არ გაუძრავს და ნებივრობდა, სიძე-ბატონი იყო სტუმრად ჩამომდგარი და იმისთვის იქცეოდა ისე. ალბად ის გინდა, სტუმარიც კი გასარჯო შენ სახლში.

– შენს პირს შაქარი, თუ მე ვცდები მის შესახებ! მაგრამ შრომის თაობაზედ ისე არა ვწუხვარ – აბა რას გამიკეთებდა აქ – როგორც ის მაჯავრებს, რომ არავითარ ცნობისმოყვარეობას არ იჩენდა ახალგაზრდა, თითქო მისთვის არაფერი არსებობდა თავის თავის მეტი; არც თავაზიანობა ეტყობოდა, თითქო ყველა და ყველაფერი მას უნდა შემოჰვლებოდა თავს, თვით ნორჩი ცოლიც.

– ეგ კი მეც მაწუხებდა, მისი შეუსაბამო ურთიერთობა ფეფიკოსთან: არ დასტრფოდა სათუთად, თავს არ ევლებოდა, არაფერში არ ანებივრებდა, პატივსაც კი არ სცემდა შესაფერს. ისე გარეწრად და უხეშად ეპყრობოდა მას, თითქო მხოლოდ ჟინის მოსაკლავად დაიდგაო გვირგვინი. უსიტყვოდ იცის ფეფიკომ ჩაფუფქვა და მეშინიან გული არ დაეჩაგროს ბეჩავს.

– მეც ეს მაფიქრებს და მალონებს.

– მაშ შენა გგონია, ადამიანო, ავჩქარდით და უბედო ბედსა ვწიეთ ჩვენი ქალი?

– ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეგრე იყოს! რასაკვირველია ემჯობინებოდა, ჯერ გაგვეცნო კაცი და აგვეწონ-დაგვეწონა ყველაფერი. მაინც ნუ გეფიქრება: ღმერთია მოწყალე, არ დაგვტოვებს სახიერი უნუგეშოდ, არც დაგვიღონებს საწყალ ქალს; ცოლქმრობის საქმე ხომ ზეცას რიგდება.

ესე უბნობდა ერთმანეთში ცუდი ეჭვებით სავსე ცოლ-ქმარი. ეხლა თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შესცდნენ გამოუცდელნი და ბჭყვრიალა გარეგნობამ

თვალი აუბა მათაც, მათ ქალსაც. ერთმანეთს კი ჯერ მთლიანად არ უმხელდნენ თავის გულის ნადებს. მაინც იმედი ჰქონდათ, რომ მათი ცუდი წინადგრძნობა არ გამართლდებოდა და მათი ქალის ცხოვრება კარგად მოეწყობოდა. ეხლა თითქოს კიდევ ენანებოდათ, რომ არ დაახლოვეს თავიანთ ქალი მახარესთან, ფეფიკოს უიმედო მოტრფიალე ვაჟკაცთან. მახარე ხომ სწორედ ხელსაყრელი ქმარი იქნებოდა მათი ქალისათვის: შეძლებული, გამრჯელი, მოყვარული გულის პატრონი, ფეფიკოს უსამზღვროდ თავყვანისმცემელი. ცოლს ისე გულდინჯად შეემლო დაჰყრდნობოდა ამ ვაჟკაცის მარჯვენას, როგორც სალ კლდეს, ურყევებს სახლის საფუძველი.

– ეჰ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. თვალი რომ შეჩვეული აქვს ადამიანს ვისზედმე, ვეღარ აფასებს სათანადოდ. საზოგადო ჭეშმარიტებაა ეს და ჩვენც, ვგონებ, დაგვიტანა ამ საერთო კანონმა, – ფიქრობდა გულში სიმშვიდედაკარგული პორფირე.

ეს შინაური მღვდელი კი, მახლობელი მოტრფიალე ფეფიკოსი, შინაური პურივით გამტანი მახარე, ეხლა მარად ჟამს თვალწინა ჰყვანდა პორფირეს. უნებლიეთ ადარებდა მას ლადიკოს და იგი შედარება ამცნებდა, რა ძვირფასი გული და მარჯვენა დაუკარგა თავის ქალს, უსამზღვროდ დააღონა ვაჟკაციც პატიოსანი.

მართლა და აუტანელი სევდა შემოსწოლიყო ჭაბუკს. მისი ყოფა ისეთი იყო ეხლა, რომ ყურადღებას იქცევდა თავისზედ, შინაურების ყურადღებასაც, გარეშეებისაც. ძალიან გულჩათხრობილი შეიქმნა, პირს ღიმი აღარ მოსდიოდა, აღარ გაისმოდა ეზოში მისი ღიღინი და ხმაურობა; ისე დააღამებდა ქალაქ დღეს, სამ სიტყვას არ გადააბამდა ერთმანეთზედ. მიუკარებელიც შეიქმნა: მეზობლებს ერიდებოდა, ხალხში ფეხს აღარ გასდგამდა. მუშაობდა კი განუწყვეტლად, შრომობდა ქედწახრილი, თითქო ჯაფაში უნდა ჩაკლასო გაუნელებელი დარდი გულისა. მართლა და განუქარვებელ ვარამს ებრძოდა ვაჟკაცი, რახან მის გულს მოსწყვეტოდა ის შეუდარებელი ყვავილი სუნნელოვანი, რომელი ერთადერთი ამოდის ადამიანის გულზე მთელ მის ცხოვრების განმავლობაში. იგი ყვავილი ტრფობისა არ განმეორდება მისთვის, აღარ განუმეორდება არც ნეტარება უცვლელის სიხარულისა. ბოლმა აღრჩობდა მახარეს. ჯავრი მხოლოდ თავის თავზედ მოსდიოდა, ფეფიკოს მოქმედებას კი სრულ სამართლიანად სთვლიდა.

– რაც უნდა იყოს, განათლებული ქალია, განვითარებული მამის შვილი და აბა როგორ შემეთვისებოდა უვიც კაცს ან რად წამომყვებოდა ვიღაც გლეხს, სოფლის სკოლაში გაწრთვნილს. ეს კი სულ ჩემივე ბრალია: ძალით უნდა გამეწია სხვა სასწავლებლისაკენ: შეძლება არა ჰქონდა მამაჩემს თუ! არც ისე უნიჭო ვიყავი, წიგნს ვერ დავრევოდი და ვერ მიმელო საშუალო სწავლა მაინც. ეჰ, დედ-მამაც უნდა შეგნებული მყოლოდა, რომ მოეფიქრათ, რა მცირე ფასი აქვს ეხლანდელ დროში უსწავლელ ადამიანს, – ჯავრობდა მახარე.

და გაწამებულს აღზნებული ოცნება ეხლაც ცხადად წარმოუდგენდა მისთვის დაკარგულ ქალს ხან ეზოში მიმომსვლელს, ხან საყდარში მიმავალს ველის ყვავილივით წითელ-ყვითლებში, ხან ტოლ-სწორში სამხიარულოდ ჩარეულს. ფიქრი ხანდისხან ისე გაიტაცებდა ჭაბუკს, რომ ფეფიკოს სიცილი ცხადად შემოესმოდა მათი აივანიდან. ბევრჯერ გაიგონებდა მის ხმას, მის ძახილს. ერთხელ მსხლის ქვეშ წამოწოლილიყო, თვალს ადევნებდა სამარის მღილს სევდისას, რომელიც გულს უღრღნიდა მას და უეცრად ისეთი განწირული ძახილი შემოესმა ფეფიკოსი, რომ წამოხტა ელდანაკრავი.

– არა, ჩემი ესეთი ყოფა არ ეგების, შეიძლება მართლა გადავირიო და მთლად გავთახსირდე. უსათუოდ უნდა გავეცალო აქაურობას: ეგებ რასმეს გული გადავაყოლო და მცირედ მაინც გავფანტო დარდი, – ფიქრობდა ვაჟკაცი.

ცდილობდა რამე ახალ გზას დასდგომოდა ცოტახნობით მაინც. დედ-მამაც ატყობდა შვილს, რომ სევდა შემოსწოლოდა მას მძიმე, გარნა ნამდვილი მიზეზი ვერ შეეგნოთ სავსებით და სწუხდნენ, როცა კი საქმე მოაცლიდა მათ, დაფიქრებულიყვნენ ამაზედ.

– ცხვარში წავალ! რამდენსამე თვეს დავყოფ იქ; დავხედავ იქაურობას, ადგილობრივ მოვიაზრებ, კიდევ თუ შეიძლება ცხოვარის გამრავლება, – განუცხადა ერთხელ მახარემ.

– რა გინდა, კაცო, ცხვარში? მეცხვარეები კარგი გვყვანან და ძალიან სანდონი, სახლს კი უშენობა ცუდად დაეტყობა: ბევრი რამ ველარ გაკეთდება, სხვა დაიცვარის და წახდება, – უთხრა მამამ.

დიდ უარზედ კი არ შეუდგა: თითონაცა ჰხედამდა, რომ ვაჟკაცი აღარ ეკუთვნოდა თავის თავს და უკეთესი იქნებოდა მისთვის რამდენიმე ხნით გამოეცვალნა ცხოვრების გარემოებები. გულჩამავებულმა მახარემ წასვლის წინ გადახედა იმ ადგილ-კუთხეს, სადაც უყვარდა ხოლმე მიმოსვლა მის ფეფიკოს, იმ მოძრავ ყვავილს, აწ მისთვის დამჭკნარს, ცისარტყელის რამ ნაკვეთს, აწ მისთვის ჩამქრალს. ეთხოვებოდა ჭაბუკი არა მხოლოდ თავიანთ ეზო-ყურეს, არამედ პორფირიანთ მოსახლეობასაც, მთელ გარემო არემარესაც: ის ეხლაც ნათლად ჰხედამდა აქ ყველგან თავის გულისვარდს და მით უფრო ეტანჯებოდა სული, რომ იგი ნახვა მხოლოდ ზმანება იყო სიცხადეში ნანახი, მოჩვენება რამ უსხეულო, უსისხლხორცო, უგულო.

– მეზობლებს მაინც არ ჰნახავ წასვლისას, არ გადივლი? – შეეკითხა მამა.

– რა საჭიროა?! გული არ მაქვს, კაცთ ნახვა მეზარების.

– თუ ჩვენ მოგბეზრდით, ბეჩავ, იმ საოჯახო საქმეებისათვის მაინც არ გტკივა გული, რომლებიც მთლად შენ გაბარია? უპატრონოდ დარჩება ყველა მოჯამაგირეების ხელში. მამაშენს მაგდენიც აღარ შეუძლიან, არცა სცალიან.

– ჰაი, ჰაი მენანებით თქვენც, ჩემი სამუშაოც, მთელი ჩვენი მოსახლეობაც, მაგრამ ვამბობ, ღმერთი შემეწევა და იქაც კარგ რასამ მოვაგვარებ. ნურას ინაღვლებთ: ამოგივალთ!

– იარე! ხატი ძლიერი იყოს შენი წინამძღვარი კარგ გზაზედ და შემწე წალმართ საქმეში!

აპრილის მიწურულები იყო. უკვე კარგად შემალლებულ მზეს სხივები შემოენათებინა აივანზედ ფანჯრებიდან. ცხელოდა. სასადილო ოთახში, რომელიც მუხის გულისფრად იყო შეღებილი და მუხისავე მსხმოიარე ტოტების არშიით შემოხაზული, ჩუქურთმიან ფართე მაგიდაზედ იდგა ვერცხლის ჩაიდანი და ზედ მოვარაყებულ ფაიფურის ჩაისაყენი. ოდნავი დუღდა ჩაიდანი, ნელის ხმით ამბობდა თავის გრძელ სათქმელს. იქვე ეწყო ყველი მარმარილოს ფირფიტით, კარაქი ბროლის საკარაქით, სავსე სარძევე, ბჭყვრიალა მავთულისაგან მოწნული ხახალი ნამცხვართ. სუფრა-ხელსახოცი ფიფქივით თეთრი. მაგიდას მისჯდომოდა პეტრე იოსების-ძე და ჩაის მიირთმევდა, თან გაზეთს ათვალაიერებდა. სხვა ოთახების კარებები ჯერ ისევ დახურული იყო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. პატარა ეზოში ჩაეყვანა ძიძას: უფრთხილდებოდნენ, ქალბატონს ძილი არ შეშფოთებოდა. ფეფიკოც მაგიდასთან იჯდა თეთრი კაბა ეცვა წითლად შეჩითული. ხომრთელი კაბა შეეკერნათ ქალისათვის, რადგან ეხლა გამოწყობილი ტანთსაცმელი ველარ გამოადგებოდა მას. ფერმკრთალი

შექმნილიყო ქალი. ნაზუქის ყუებისავით დაბროწილი ლოყები შესცრეცოდა, მოსდუნებოდა. სიცოცხლემოკლებულ თვალებში კრთომა ისახებოდა, თითქო რამ შიში.

– დამისხი, ქალო. ერთი ჭიქაც: ეხლა აქაური წყალის სმას ისევ ჩაის სმა სჯობია, – უთხრა პეტრემ

და მიაწოდა რძალს ჭიქა ვერცხლის საჭიქით.

– ინებეთ, ბატონო! – მოახსენა რძალმა

და გადასცა ჩაი.

– ლადიკო წავიდა სამსახურში?

– ჩაი გიახლათ და წავიდა. ბალები რომ წავიდნენ სკოლაში, იმის შემდეგ, ესე ცხრა საათზედ.

– კიდევაც გვიან წასულა. მე რომ პირველად შევედ სამსახურში, რვა საათზე უკვე სამდივნოში ვიჯექი ხოლმე.

მამამთილის სიტყვებზე ოდნაც დაილაღა ქალი და უსიამოვნო ჩრდილმა გადურბინა სახეზედ. შენიშნა ეს პეტრემ და ჩაჩუმდა, თორემ კიდევ სხვაც უნდა ეთქვა მისთვის, ლადიკოს აუგი. მას უნდოდა მთლადაც გაემჟღავნებინა ქალისათვის, რასაც ლადიკოს უფროსი სწერდა იმის შესახებ. ფეფიკო იმაზედ დაიბნა ეხლა და შეკრთა, რომ ცოტა იმტყუნა მამამთილთან: მისი ქმარი ცხრა საათზედ კი არა, ის იყო გავიდა სახლიდან და ისიც იმიტომ, რომ ქალმა ძალა დაატანა მას. პეტრეს შეეცოდა რძალი და აღარ უთხრა, რომ უფროსი ძალიან უკმაყოფილო იყო ლადიკოზედ.

– თქვენმა შვილმა ამ ბოლოს დროს სულ მთლად ხელი აუშვა საქმეს. ამისთანა უქნარა და ცუდლუტი მოხელის შენახვა შეუძლებელია შეიქმნა, თუმცა თქვენი დიდი ხათრი და პატივისცემა მაქვს. მის საქმეებს სხვებს ვახვევ თავს, ისეც მძიმედ დატვირთულ გადამწერებს, ხოლო ეს იმათ მხრივ სამართლიან დრტვინვას იწვევს, – სწერდა სამდივნოს გამგე.

მართალი იყო ის. ეს კარგად იცოდა პეტრემ. ლადიკოს საქმის შნო არა ჰქონდა, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის უნარი. საქმეს თითქოს დიდის ხალისით და ძლიერებით ეკვეთებოდა, მაგრამ იგი მედგარი მილტოლვა მცირედ ჟამს გასტანდა, მერმე ამოჰქრებოდა პირახდილი არაყივით და მოადუნებდა ვაჟკაცი მაჯას, მთლადაც აიღებდა საქმეზედ ხელს. მისმა დაუდგრომელმა ხასიათმა, საადვილო გასართობთა ძიებამ, მარადჟამს მზამზარეულზედ ყოფნის მისწრაფებამ მთლად მოუსპო მას ძალა თვითმოქმედებისა და გახადა ადამიანი მუქთამჭამელად. სინამ ბალები იყო, ეს სენი არ მოსჩანდა საშიშად: ბალები ნიადაგ მშობელთა და მზრუნველთა ხარჯით არიან, მაგრამ როდესაც დავაჟკაცდა ლადიკო, ეს ავადობა საფიქრებელი შეიქმნა; ხოლო როცა ცოლი შეირთო და დადგა დრო, თითონ ეცხოვრებინა თავისი თავიც, თავისი ოჯახიც, მაშინ კი აუტანელ ბოროტებად გარდაიქმნა მისი უბედობა თუ მცონარეობა. ამ მანკს უნდა ემსხვერპლნა თითონ იგი და ყველა, ვინც მის ანაზარა დარჩებოდა. ყველას შემწუხებელ სიავედ უნდა შერიცხულიყო ესეთი ვაჟკაცი, ხოლო ყველაზე ადრე და ძლიერ თავისი ცოლ-შვილის მტანჯველ-მალონებელად. პეტრეს სახლის მწუხარება იყო ეს ამბავი, საზარელი იარა და მოერიდა იგი ძლიერის ხელით შეჰხებოდა ამ წყლულს, რომ არ ჩაებნელებინა ეს ნათელი დილა.

– შენ, ქალო, შენ კი დალიე ჩაი ან დანაყრდი?

– არა, მე დედას მოვუცდი; როცა გაიღვიძებს, მაშინ გიახლებით.

– როგორ შეიძლება იმას უცადო ან რა საჭიროა? ის თერთმეტ-თორმეტ საათამდის არ დგება, შენ კი სულ ადრე იცი გაღვიძება და რად გინდა მისი ცდა; ხომ გული გადაგელევა.

– არა მიშავს რა! ეწყინება, თუ არ მოვუცადე. ყველას გაგითავებიათ, ეხლა მარტო მეღა უნდა დავლიო გაწკუმპლილი ჩაიო, იტყვის.

– ახალ ჩაის არ ჩაუმატებთ ხოლმე მისთვის?

– როგორ არა! ყოველთვის ახლად ავადუღებინებ ჩაიდანს და ჩაისაც ხელახლად ჩავყრი ჩაისაყენში.

არ უამა ვაჟკაცს რძლის ესეთი უხერხული მდგომარეობა. შეუძლებლად მიაჩნდა მას ქალი უზმო ყოფილიყო მთელი დილა და ეცადნა, აცა როდის გამოიღვიძებს დიდი ქალბატონი, რომ მასთან დავნაყრდეთ, თითქო მის შესაქცევად და გასართობად. იმისიც კი ეფიქრებოდა პეტრეს, რომ იცოდა, დედამთილი ლუკმას არ შეარგებდა ქალს: ჭამა-სმაში წესის სასტიკად დამცველი, არავის აპატიებდა ნამცეცის უშნოდ გადაგდებას, უცაბედად გადაწუნწკლებულ წვეთს, უშნოდ მოქნეული ყბის ღლაჭუნს თუ ტუჩთა წკლაპუნს. უთუოდ შენიშვნას მისცემდა. ფეფიკო კი უფრო უბრალოდ იყო აღზრდილი, თავისუფლად ქცევას მიჩვეული და ამ ორი ქალის გემოვნება სრულებით ვერ თანხმდებოდნენ ერთმანეთში. ამას ყოველდღე ჰხედავდა ვაჟკაცი, სადილ-ვახშმად თუ სხვა დროს, თუმცა ცოლის ხათრით ყურს იყრუებდა და თვალს არიდებდა. იმასაც ამჩნევდა კაცი, რომ ფეფიკო თვალში არ მოსდიოდა დედამთილს. მართალია, თავის თავის მეტი მაინც არავინ უყვარდა იმას, მაგრამ ეს ქალი თითქო შეიძულა კიდევ დიასახლისმა. ისე მედიდურად ეპყრობოდა მას, თითქო სახლის რძალი კი არა ყოფილიყოს, შეძლებული ოჯახის შვილი, არამედ ყელმოტეხილი ვინმე მათთან შეკედლებული. თაკილობდა კიდევ თავის გვერდზედ თავის ტოლ-სწორად ჰყოლიყო რძალი. ჯერ ცხადად არ უმჟღავნებდა ყველა ამას დიასახლისი, ზრდილობა ამის ნებას არ აძლევდა, მაგრამ პეტრეს გამოცდილი თვალი უკვე ამჩნევდა ყველაფერს. კიდევ მოელოდა ის მათ შორის განხეთქილებას, რადგან შეუძლებელი იყო რძალს არ ეგრძნო ეს შეუფერებელი მედიდურობა და ან შეჰრიგებოდა მას ოდესმე.

ისიც იცოდა ვაჟკაცმა, რომ მაინც ვერას გახდებოდა ამ შემთხვევაში და ამ მომავალს ვერასგზით ვერ შეაჩერებდა. ამისთვის უფრო იყო კაცი ჩუმად. მხოლოდ შორიდანა სცდილობდა კეთილად მოეგვარებინა საქმეები და საუკეთესოდ, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, ცოტა საბაბი მისცემოდა გაბოროტებისა ისეც აზეზილ გუნებაზე მდგარ დიასახლისას. ეხლაც ჩაი რომ გაათავა პეტრემ და წასასვლელად ემზადებოდა, სულ ჩამოათვალიერა კედელ-კუთხე, მტვერი რამ ხომ არსად დარჩენია მსახურს ან უწესრიგოდ ხომ არა სდგას ავეჯიო. იცოდა, მისი ცოლი პირველადვე ამისთანა წვრიმანს მიაქცევდა თავის ყურადღებას და გაფიცხდებოდა, ავად ალაპარაკდებოდა. წინადაც, რძლის მიყვანამდის, პეტრე არ ენდობოდა მსახურებს და უთუოდ ჩამოათვალიერებდა ყველაფერს, თავის ხელითაც კი მოასუფთავებდა და მიალაგებდა, თუ სადმე მტვერს შეჰნიშნავდა ან უადგილოადგილ დადებულ რამ ნივთს.

პეტრემ მაინც დააღვივინა ჩაი თავის რძალს და ისე წავიდა სამსახურში. წასვლისას მოსიყვარულედ დაემშვიდობა ქალს, როგორც ყოველთვის იცოდა ეს: ებრალებოდა ბუნებით კეთილს ეს თითქო ტყვედ ჩავარდნილი უცხო შვილი. მოსწონდა კიდევ ის მის მშვიდი და სათნო ხასიათის გამო, რადგან ცოტა დანატრებული იყო ამგვარ მშვიდ სახეს.

მამამთილის წასვლის შემდეგ ქალმა ერთი კიდეც გადაავლო თვალი ყველაფერს და გავიდა აივანზედ. გადიხედა ძირს. მიიხედ-მოიხედა. ვერაფერზედ შედგა მისი თვალი, ვერაფერზედ დაისვენა. ქვითკირის სახლები ზეცამდინ აწეული, თუნუქის სახურავები, მერცხლის ბუდეებივით გადმოკიდებული რკინის აივნები, ძირს ქვაფენილი. ყველგან ქვა და რკინა! არსაით მწვანე, არსად ყვავილი. მიდ-მოდიოდა ხალხი, მიეშურებოდა.

– როგორი ჩქარის ნაბიჯით დადის ეს ქალაქის ხალხი, თითქმის გარბის, ალბათ იმისთვის, რომ დიდი მანძილებია გასავლელი და სამუშაოც საათობითა აქვს გამოთვლილი, – გაიფიქრა ქალმა.

გამვლელ-გამომვლელნი სალამს არ აძლევდნენ ერთმანეთს, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ: ალბათ სრულებით არ იცნობდნენ ურთიერთს. არც ეცალათ შეენიშნათ ვინმე და შემდგარიყვნენ: ქალაქის გაწვალებული ცხოვრება აჩქარებდა მათ საშოვრისაკენ. შუა გაზაფხული იყო, ქუჩას კი ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც თუნდ იანვარი. მხოლოდ ცხელოდა და მტვერს ემატნა. ჰაერს სრულებით არ ეტყობოდა გაზაფხულის სურნელება, უფროც შემძიმებულიყო საყნოსელად. მიიდა ქალმა სკამი აივნის კუთხეში და ჩაფიქრდა, ოცნებამ გაიტაცა ის თავის მამის სახლში.

მინდორივით გადაშლილი ჩვენი ეზო ეხლა ამწვანებულ-აფერადებულია ხასხასი ბალახით და ტურფა ყვავილებით. კარ-მიდამო აჟიჟინებულია მრავალი ფრინველით, შინაურით თუ გარეულით. ათასი ჩიტუნა ეტანება ქათმის საკენკს. რა მშვენივრად გრილა ეხლა იქ! დილით ადგომა სოფლად სიცოცხლესა ჰმატებს ადამიანს, თვით სიცოცხლეა იგი. იქ ადრე ამდგომსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა. და განა მარტო ყმაწვილს?! ადრე წამოდგომა, მზეს რომ აასწრო, საჭიროც არის იქ, აუცილებელი. ახ, ნეტა ეხლა ხელ-პირი დამაბანინა ჩვენ წყაროზედ, რაკრაკით რომ გადმოდის ანკარა; ხელი ვერ უძლებს, იყინება.

მოაგონდა ქალს თავის პატარობა, როდესაც მისმა მამამ შეკრიბა ტინიდან გადმონადენი ცვარები, მიაგნო წყლის სხვა სადენსაც და წყარო გამოიყვანა მამულში. ძვირფასად აყვავა იქაურობა იმ მაცოცხლებელმა ნაკადმა, გაახარა მცენარეც, ადამიანიც, ფრინველი თუ ოთხფეხიც, დაამშვენა ყოველივე.

– როგორ შეიძლება დილის ძილი გაჭიმო მეოჯახემ სოფლად?! სისხამ დილითვე უნდა შეუდგე გასაკეთებელს, თორემ აგიტირდება ფრინველიც, ცხოველიც; დაგექსაქსება ყველაფერი, აგერევა და მთელი დღე უკუღმა დატრიალდება ყოველივე საწალმართო. კრუხ-წიწილას უნდა მიხედო, ბატ-ინდაურს. ეხლა ვეებერთელა ჭუკები ეყოლებათ ინდაურებსაც, ბატისა თუ იხვის ჭუკი ალბათ დედებისაგან აღარც კი ირჩევინ. ძროხების დაწველასაც უნდა უგდო ყური, რომ არ იხმარონ გაურეცხავი ჭურჭელი ან უწმინდური ხელი. მეც მივეშველებოდი ხოლმე წველაში. ძალიან მიყვარს ახლად მოწველილი რძე, ჯერ ისევ ქაფქაფი. შინ ჩემის მეტს არავის უყვარდა ის. ახლა საქონელს უნდა ნახირში გარეკვა. თუ მენახირეს ფეხზე არ დაუხვდი, საქონი არ ჩააბარე, ეწყინება: იმასაც თავისი წესი აქვს და ადათი. ცხენებიც საძოვარზედ უნდა გააყვანინო. უნდა დაიწმინდოს და დაწყნარდეს ეზო-ყურე. მარტო ვაჟკაცი ვერას გახდება, დედაკაციც უნდა ეშველებოდეს. ყველაფერი პატრონს შეჰყურებს იქ და ღალატი არ შეიძლება, თავის მორიდება; მათი ღალატი შენისავე თავის ზარალი იქნება: იქ ყოველივე შენი მეგობარია, კეთილისმყოფელი, საცხოვარი; როგორ მიყვარდა ყოველივე! იმათაც ვუყვარდი, ჩემს ფეხის ხმასაც კი იცნობდნენ,

დამედევნებოდნენ. ყველანიც დამივიწყებდნენ... აღარ ვყევარ იქ და დამივიწყებდნენ!  
– გაიფიქრა ქალმა.

და მის გონების თვალს წარმოუდგა მეზობლის ეზოც, მახარეანთ კარ-მიდამო.

– როგორ დარცხვენილი გამოვიდოდა მახარე, თუ ჩვენ ავასწრობდით, მე და მისი და სალომე! კარგი ვაჟკაცია მახარე და ჰაზრიანი. აფსუს, რომ სწავლა არა აქვს მიღებული! გაუბედავი კი არის, ბუნებით მორცხვი. ვგონებ, ძალიან ვუყვარდი ბეჩავს. რო შემხვდებოდა, ღიმილს ვეღარ შეიკავებდა, თვალები უბრწყინდებოდა. ენა კი ებმებოდა ჩემთან, ორ სიტყვას ვერ მეტყოდა ზედიზედ. არც საკვირველია, რომ ვუყვარდი: თითქმის ერთად ვიზრდებოდით. სათამაშოებს ის გამომითლიდა ხოლმე, ტიკინებს თუ მათ ავეჯს; სულ რაღაცა სამი-ოთხი წლით არის ჩემზედ დიდი. აი მახარეს უნდა გავყოლოდი, რომ ბედნიერება ეგრძნო, თორემ ლადიკოსათვის სულ ერთია: ალბათ ბევრი ჩემისთანა უნახავს და დაუვიწყრია გულგაყინულს. კიდეც ემძიმა ამას ცოლშვილიანობა... ერთხელ სალომემ გადმომცა მახარეს სიტყვები: ისე ხალისიანად ვმუშაობ, როცა ფეფიკო ახლო-მახლო მეგულვება, თითქო ჩემი სულისჩამდგმელი ის იყოსო. დაღონდებოდა ბეჩავი, ჩემი გათხოვება გულს ატკენდა. ჩვენები არაფერსა მწერენ მეზობლებზედ: ალბათ ჰგონიათ, რომ ბედნიერი ვარ და ბედში მყოფს ისინი ყველანი დამივიწყებდნენ, – გაიფიქრა ქალმა.

და ნამი იგრძნო თვალეზედ, წამწამზედ გადმომდგარი ცრემლის წვეთები. მსწრაფლ შეიმშრალა თვალეები, ეწყინა კიდეც, რომ წარსულ ცხოვრების მოგონებამ ესე სამძიმო გუნებაზედ დააყენა უკვე ქალბატონი ქალი. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ შენიშნა ჩემი შეუფერებელი სისუსტეო.

– აგერ წავალ საზაფხულოდ უცხო ქვეყანაში და ბუნებასაც უმშვენიერესსა ვნახავ, ცხოვრებასაც უკეთესს განვიცდი, ნამდვილ განათლებულ ხალხსაც გავიცნობ ბრწყინვალეს. თბილ წყლებზედ უნდა წავიდეთო, ამბობს დედამთილი.

უნდოდა ეთქვა „დედა“, მაგრამ გონებაშიაც კი ვერ მოახერხა ამ სიტყვის ხმარება: ეს ცნება ვერ ეთვისებოდა პეტრეს მეუღლეს, არც არაფერში ჰგვანდა ის ფეფიკოსათვის დედას; დედინაცვლობის გაწევა კი შეეძლო მას და ადვილადაც. დედას ვერ ეძახდა რძალი მას, დედამთილობით მოხსენებაც სწყინდა ქალბატონს; უფრო ის მოსწონდა, როცა სახელითა და მამის სახელით მიჰმართავდა მას ფეფიკო. გრძნობდა ქალი, რომ დიასახლისას იმის საწინააღმდეგოც არა ექნებოდა რა, თუ ქალბატონობით მოიხსენებდა მას იგი.

ფიქრებში გართული ფეფიკო ზანზალაკის ძლიერმა წკრიალმა გამოარკვია: გაეღვიძნა ქალბატონსა და თავის სენაკპანს უძახდა, მოახლე გოგოს. უკვე მეთორმეტე საათი იყო, დროს სწრაფად გაერბინა. შევიდა ქალიც ოთახში. ცუდ ფეხზედ ამდგარიყო, სტუქსავდა მოახლეს, ზარმაცობასა სწამებდა, უწყობას; მჭახე ხმით გაიძახოდა; სიფიცხისაგან სახე დარღვევოდა, შემხმარ ლოყებზედ სიწითლე კვერკვერად ამოსჯდომოდა. მსახური თავსა მართლულობდა, სულ აქ დავტრიალებ და ვმუშაობო. ფეფიკომ დაადასტურა მოახლის სიტყვა. დედამთილმა ბოროტად გაუელვა რძალს ამ თქმაზედ, ხმა კი არ გასცა. ფეფიკოს მაინცდამაინც ძალიან არ გაჰკვირვებია ესეთი დაწყება დღისა: იგი უკვე შეჩვეული იყო ამგვარ დილებს. ხომ ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, უაზრო ბოროტებასაც.

– ქალო, შენი ქმარი ხომ წავიდა დღეს სამსახურში?

– გიანხლათ! კარგა ადრე წავიდა, ჯერ ცხრა საათიც არ იყო.

– გადაჭარბებულ თავისუფლებას არის ნაჩვევი ჩემი ვაჟი: პირმშოა ჩვენი და აზიზად ვზრდიდით. ეხლა შენი ვალია ყურადღება მიაქციო მაგას და ოჯახის კარგი პატრონი დააყენო. შენს მამამთილს რომ ეხლა დიდებული ადგილი უჭირავს, ეს



მთლად ჩემი უნარია და მეცადინეობა. ვაჟკაცმა მალე იცის ბოლოს დაშვება, თუ ფხიზლად არავინ მისდევს მას გვერდით. გახსომდეს ეს! ლადიკომ კი სწორედ ერთგულად უნდა იშრომოს ეხლა. აუცილებელია ეს: უკვე ცოლ-შვილი პატრონი კაცია და ცხოვრების უანრი უნდა მოიპოვოს, საკუთარ მოსახლეობას შეუდგეს; ყოველთვის ხომ დედ-მამის საფარველქვეშ არ იქნება და მის ულუფაზედ, – ბრძანა დიასახლისამ.

და ნაზად აიღო ფინჯანი. ჩაის შეექცეოდა და თან მუსაიფობდა. ფეფიკომ პასუხი ვერ გასცა ამაზედ. ან რა უნდა ეთქვა? პირველი არ იყო დედამთილისაგან ესეთი თქმა თუ ყვედრება; გაეხშირებინა მას რძალთან ესეთი სიტყვა, ცხადად აგრძნობინებდა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ახალი ცოლ-ქმარი საკუთარ ბინას გაიჩენდა და თავისით ცხოვრებას შეუდგებოდა, დამოუკიდებელ ყოფას.

## 18

ფეფიკოს რომ უთხრა დიასახლისამ, ეხლა შენი მოვალეობა არის ყური უგდო შენ ქმარსაც, შენ ოჯახსაცო, ეს ლიტონი სიტყვა არ იყო, არც პირველად ჰქონდა მას ნათქვამი. თავიდანვე როგორღაც უარყოფით შეხედა მან რძალს, თითქო მედიდურად დაადგა, პირდაპირ ბრძანებლობის კილო შეითვისა მის მიმართ. რაც უფრო მეტი ლმობიერება დაატყო ქალს ხასიათში და მეტი მორჩილება ქცევაში, იმდენი უფრო მაღლა ასწია თავი, თითქოს შვილის ცოლი კი არ ამოსდგომოდა გვერდში, არამედ ვინმე დაჩაგრული უცხო-უღირსი. გამოუცდელი ქალი ვერაფერ წინააღმდეგობას ვერ უბედავდა დედამთილს, მით უფრო, რომ ქმრის მხრივ არა ჰქონდა არავითარი ძალა თუ იმედი. მისი ქმარი ხელგამომავალი კაცი არ გამოდგა, უნარმოსილი, თავის საკუთარ მარჯვენაზედ დაყრდნობილი-დაიმედებული, და ქალმა ვერ გამონახა ფერხთ ქვეშ მკვიდრი ნიადაგი, რომ გამაგრებულიყო ზედ და შებრძოლებოდა დამოკიდებულ ყოფას უპატიოს. რა ოჯახის შენახვის თავი უნდა ჰქონოდა ამისთანა ფუჭ კაცს, ან რა უხაროდა მის ცოლ-შვილს მის შემყურებელს?! ჯამაგირი ლადიკოს მხოლოდ სამთუმან ნახევარი ჰქონდა თვეში და ნამდვილ სახელმწიფო მოხელედაც ჯერ არ ყოფილიყო ჩარიცხული. არა ჰქონდა მას შეგნება მოვალეობისა, არც ძალა თავის თავის შეზღუდვისა ვალდებულობის აღსასრულებლად; ბუნება მისი ცხოველთა ბუნებამდის იყო დახრილი და გონება პირუტყვთა გონების სახედ განწყობილი. მასში ცბიერება სჭარბობდა ჭეშმარიტების პირდაპირ ჭვრეტას და ეს ეშმაკობა უმანძილოც იყო, პირად მის კმაყოფილებისადმი მიმართული. მის აღზრდის შედეგეიც იყო ეს, სიმცროდან შეუსაბამოდ განვითარებისა... ლადიკოს აღზრდას საფუძვლად ედგა მხოლოდ ის, რომ მიეპყროთ ბავშვისათვის ყოველივე სიამე, ყოველთვის აესრულებინათ მისი სურვილები, თუნდ მავნე ნდომები, უაზრო და უსაფუძვლო; ხოლო აეცდინათ მისთვის ყოველივე ის, რაც ჟინის შეზღუდვას იწვევდა მის მხრივ და შრომას, მოქმედი ძალის განვითარებას. შემდეგმა ხანმა ველარ შესძინა ვერც სიბრძნე, ვერც სხვა სასიკეთო თვისებები. ისე გადიარეს მის თავზედ ჟამთა დასებმა, რომ ვერ დასწვდნენ სასიკეთოდ, ველარ ჩააგდეს ის სიბრძნის კვალში. ფეფიკოს ისიც აოცებდა ქმრის ქცევაში, რომ კაცი არა ზრუნავდა მასზედ. სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა, გართობა თუ ქეიფი მხოლოდ თავისთვის! ერთის მარჩილის საფასს არას მიუპყრობდა მეუღლეს, არც სახლში შემოიტანდა. ერთი წყვილი წულაც კი არ უყიდა ქალს, რომ ბაკიბუკით გაევილო ქალს მისი ნაყიდი ფეხსაცმელით მისივე გულის გასახარად. ფული კი სწრაფად ეპნეოდა ხელიდან, მანეთები ფრთებს ისხამდნენ მის ჯიბეში და ფრინდებოდნენ. რაც ფული ჩამოიტანა სოფლიდან, ერთ კვირაზედ

უკვალოდ გააბნია. მერე მიჰმართა ქალს და იწყო ნელ-ნელა ფულების დატყუვნა, სულ გაალაგა, რაც ნაღდი ჰქონდა დედ-მამისაგან ჯიბის ფულად მიცემული. ჯამაგირიდან კი ერთი უზალთუნიც არ შეუტანია შინ. ცოლი ჯერ არაფერს ეუბნებოდა ამაზედ, ხოლო როცა შემდეგში გაბედა და უთხრა, ვაჟკაცმა გაკვირვებით შეხედა მას.

– რა ჯამაგირი? ი რაღაც ფარას რომ მაძლევენ? ვის ეკადრება! თუთუნისათვისაც ძლივს მყოფნის იგი, – უთხრა იმან.

და როცა სახტად დამრჩალ ქალს სახეზედ ტანჯვა აებეჭდა, განცვიფრდა კაცი და დასძინა უაზროდ:

– აი მალე დიდ ადგილს მომცემენ, დიდ ჯამაგირს დამინიშნავენ და მაშინ მომთხოვე, რაც გინდოდეს.

ქალმა ხმა აღარ გასცა, პირი მოარიდა. ვაჟკაცმა ეს ძალიან იწყინა და წარსთქვა წარმავალმა:

– აქამდისინ მარტო დედ-მამა მყვანდა მეთვალყურედ, ახლა შენც მიემატე. მარჯვედ იყავით, დათვლა არ გაგიჭირდესთ!

ქალს, მართალია, დღეს არა უჭირდა რა, არც ფული უნდოდა, მაგრამ ალღოთი გრძნობდა და მიჰხვდა კიდევ, რომ ამისთანა ვაჟკაცის ხელში ძნელად თუ გაიჩენდა ცალკე კერას; ცალკე ოჯახის მოწყობა კი ადრე თუ გვიან დასჭირდებოდა, რადგან მისი კარგი მამამთილი სულ მუდამ ცოცხალი არ იქნებოდა, ცას ვერ შეაბერდებოდა და თუნდაც დიდხანს განეგრძო ღმერთს მისი სიცოცხლე, დედამთილი მაინც არ შეიფერებდა მათ, მეტადრე, როდესაც ბალღი გაუჩნდებოდათ.

– ერთი ბეწო ხმაურობა ვერ აუტანია აზიზმაზიზს. თუ ნირი შეეშალა რაშიმე, ქმარსაც კი აღარ ინდობს, ისე საშინლად ფიცხდება, და აბა ჩემი პატარის ტირილს როგორ გაუძლებს ან რადა?! ახლა სუნი თქვი შენ. ისე ხომ ვერ შეინახავ პატარას, სახვევლების სუნი არ დატრიალდეს ხანდისხან. დედამთილი რად იტვირთებს ამას, როდესაც მცირედი რამ სუნი სამზარეულოში ამწვარი საჭმლისა თუ გადახარშული ჩაისა აღელვებს მას და აშფოთებს, – ფიქრობდა ქალი.

და ეს ფიქრი აღონებდა მას. ქალი თანდათან იმედსა ჰკარგავდა ქმრის შესახებ. სწუხდა იგი, მაგრამ სხვა რამ გზა მაინც არა ჰქონდა. ავი იყო თუ კარგი, მაინც მისი ქმარი იყო; მაინც მის ანაზრად უნდა ეცხოვრნა საბოლოოდ და ამიტომ ისევ მოტკობასა სცდილობდა, მიფერებას, რომ გული დაეხვივნა გაქსუებულისათვის, რომ მოფერებით თავი შეეყვარებინა დედამთილისათვისაც. ერთი იმედი კიდევ უღვიოდა ქალს გულში:

– გამიგონია, შვილისშვილი საყვარელიაო და იქნება ამ გულცივმა ადამიანმაც შეიყვაროს პაწაწა; მაშინ აღარა უშავს რა ბავშვს: მოგვიხერხებს და სანთიანად მოგვათავსებს მეც და იმასაც.

როცა სთქვა „იმასაც“, გაელიმა: წარმოიდგინა თავისი პაწაწა და სიამე იგრძნო მთლად ახალი, სიხარული ჯერედ განუცდელი. ცხადად წარმოუდგა იგი დიდი მოვალეობაც ბალღის შესახებ, რომელსაც არ ეღალატებოდა; დაასკვნა, ეხლავე შესდგომოდა თადარიგს, რომ შესაფერად მიეღო მომავალი ბატონი პატარა. ძალიან უნდოდა ქალს, ეს თვისი გრძნობა-აზრები გაეზიარებინა თავის ქმრისათვის, მაგრამ თავი შეიკავა: ვერას შეასმენდა მას, ვერც აგრძნობინებდა მყობად სიხარულს. მხოლოდ აღთქმა დასდვა, ყოველი ღონისძიება ეხმარნა და ოჯახში კეთილი განწყობილება ჩამოეგდო თვისდამი და სიყვარული: მარტო ეს თუ იქნებოდა იმისი თავდები, რომ აღარა გაუჭირდებოდა რა მის პაწიას, არც ნაკლულევანებას განიცდიდა თავის ცხოვრების დასაწყისშივე.

ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ფეფიკო ცდილობდა ფიანდაზად დაჰფენოდა სახლში ყველას, ითმენდა ყველაფერს, ნებით თავს იდებდა იწროებას, რომ რაც შეიძლებოდა ნაკლებად საზრუნველი შექმნილიყო ოჯახისათვის. თვალეზში შეჰყურებდა დედამთილ-მამამთილს და პატარა მულებს თუ მაზლებსაც. აკი ყველას თანაგრძნობა მოიპოვა ქალმა, გარდა დედამთილისა, რომელმაც არც იცოდა ბუნებით, რა იყო ხანგრძლივი გულკეთილობა და სიყვარული. ქმარსაც თანდათან უფრო დაუტკბა ქალი, თუკი შესაძლო იყო უფრო მეტად მოტკბობა. თვითმოყვარე ლადიკოსაც სწორედ ეს უნდოდა. ის ეხლა უფრო პირდაპირ წავიდა თავის უმთავრეს მიზნისკენ. ეს მისი მიზანი ის განზრახვა კი არ იყო, გონივრული ურთიერთობა დაემყარებინა მეუღლესთან, ამაზედ ის სრულებითაც არა ზრუნავდა, არც ძალა შესწევდა ეზრუნა. ცოლს პირველ ხანშივე მხოლოდ ჟინის დასაცხრომელ საგნადა სთვლიდა ის და კიდევ სავსებით კმაყოფილდებოდა; მერმე ნელ-ნელა მოიმწვანოდა ქალი და ეხლა, როცა ალერსთა ნაყოფის თანდათან ზრდამ შეამძიმა ქალი და გარეგანი მიმზიდველობა დაუკარგა, ვაჟკაცი მთლად უგულოდ უახლოვდებოდა მას. სულაც განზედ გაუდგებოდა და ყოველსავე მასზედ ზრუნვას დაუტევებდა, თუ იმ საიდუმლო განზრახვას არა ჰყოლიყო იგი შებოჭილი. ახალი არ იყო ეს მისი ფიქრი, ქორწინების პირველ ჟამსვე დაასკვნა ეს აზრი. სწორედ მაშინ, როცა ჯვარისწერის დღეს სიმამრმა აღთქმული ფული სიძეს კი არ ჩააბარა ხელში, არამედ თვის ქალს გადასცა ქალადებით: ქალის სახელზედ შეეტანა მას თანხა. ლადიკოს კი სწორედ იმ ფულისაკენ ეჭირა თვალი. რაც ჯიბის ფულად მისცეს მას და ფეფიკოს, ეს მხოლოდ ხელის ჭუჭყად მიაჩნდა, ტოლ-სწორში მოსაბნევ-მოსაფანტავად.

– რა ფულია ეს?! ვინმე გიმნაზიელი ხომ არა ვარ, მუჭა ვერცხლმა დამაკმაყოფილოს ან შრიალა ქალადებმა ელექტმელეტი მომგვაროს. ის კი, ის თანხა ხელში მოხვდება კაცს და შეძლებას მისცემს მოეკიდოს რამე სასარგებლო საქმეს. მაშ რა უნდა ვქმნა უკვე ცოლ-შვილის პატრონმა კაცმა, თუ რამე ხერხი არ ვიხმარე ცხოვრების წასამართავად?! – ამბობდა ლადიკო.

და თითქო გულწრფელად ოცნებობდა იმაზედ, რას გააკეთებდა ისეთს, რომ დაწყობილება ხვავიანი გამომდგარიყო მისთვის თუ საშვილიშვილოდ.

– მაინც როდემდინ უნდა ვიყო მამის ხელში შემყურებელი? ადარც შემშვენის ესე მცირეწლოვანივით ცხოვრება; საკუთარი გზა უნდა გავიკვალო. შევძლებ კიდევ, თუ ხერხიანად მოვიხმარე ის თანხა; საკმაო ფული სძევს ადგილობრივ და მოვაგვარებ. ყველას კი ის ემჯობინება, სახლები ვიყიდო. ბანკის ვალით გადმოვიტან ჩემზედ ისეთ სახლს, რომ ბინაც მოგვცეს, ქირაც შემოიტანოს. მამაჩემი რომ ეხლა ამოდენა ქირას აძლევს ბინაში, მაშინ ის ფული შინვე დარჩება; ჩემ სახლში იცხოვრებს, ქირის გაღება არ დასჭირდება. რაკი ბინა უზრუნველი მექნება და ცოტაოდენი შემოსავალიც, მერმე ადვილად გავაუმჯობესებ ჩემს ყოფას, – ფიქრობდა ვაჟკაცი.

ფული რომ ცოლის სახელზედ იყო შეტანილი, ეს როგორღაც ჰბოჭავდა მის ნატვრას, ფრთებს აკვეცდა მის ოცნებებს, მაგრამ აქაც ანუგეშებდა თავისთავს:

– ფეფიკოსაც განვუმარტავ ეხლანდელ ჩვენ დამოკიდებულ მდგომარეობას, კარგად შევაგნებინებ ყველაფერს და ისიც დამთანხმდება, ჩემთან ერთად იმოქმედებს ამ შემთხვევაში. ვის გაუყვია ცოლი და ქმარი, მეტადრე ამისთანა სახეირო საქმეში?!

ფული თუნდ იმის ჯიბეში ყოფილა, თუნდ ჩემ ჯიბეში. თუ არ დაიშლის, იმის სახელზედ ვიყიდი სახლებს და დავამტკიცებ.

ესე მსჯელობდა ლადიკო და თან მაინც იმის ფიქრში იყო, ფული როგორმე ხერხიანად გამოერთმია ცოლისთვის, ისე მარჯვედ მოეწყო საქმე, რომ იმას თითონვე შეეძლია ფული. უდარიელებდა ცოლს, დროს ურჩევდა, ნელ-ნელა უზიარებდა თავის აზრებს და ოცნებებს, თვალწარმტაცად უხატავდა იმ დროს, როდესაც შეიქმნებოდნენ ისინი საკუთარი სახლის პატრონნი ქალაქში, და მაშასადამე, შეძლებულნი, სამსახურის გარეშეც კი უზრუნველყოფილნი. ქალი უარყოფით არ ეპყრობოდა ქმრის ნატვრას; არც უიმედოდ სთვლიდა მის აზრს ცხოვრებისას, მხოლოდ ჯერ ვერ ენდობოდა: ეშინოდა, არაფერში მოტყუებულიყო კაცი ან რამე ჟინს არ გადააჰყოლოდა და საქმე არ დაეღუპნა. ქალმა იცოდა ქმრის დაუდგრომელი ხასიათი და ისიც, რამდენად უყამურად ეპყრობოდა ფულს, თუკი ხელთ იგდებდა სადმე. ახსოვდა მას მამის დარიგებაც, წამოსვლის დროს რომ ავედრებდა, ფრთხილად ყოფილიყო და ხელიდან არ გაეშვა თავის მზითვევი.

– შენი ქმარი ჯერ დაუდუღებელი ვაჟკაცი მოჩანს და ძალიან გაუფრთხილდი, ეს შენი ფული უბრალოდ არ შემოგეხარჯოთ; არც ანდო მაგას, სანამ არ დადინჯდებოდეს და ჭკვას არ დაუკვირდებოდეს. ისიც გახსოვდეს, რომ პეტრე იოსების-მის უნებლიეთ თუ დაუკითხავად არაფერი სამძიმო საქმე არ დაიჭირო! – ეტყოდა მამა.

აკი ფრთხილადაც იყო ქალი და ცდილობდა აეწონ-დაეწონა ის მოსაზრება, რომელიც ქმარს დაემუშავებინა და რომლის ასასრულებლად ფულსა თხოულობდა ეხლა. მამასაც მისწერა ეს და იმან დასტური შემოუთვალა, მხოლოდ კიდევ არიგებდა, უფროსებს ჰკითხე, მათ რჩევას მისდიეო. ქალიც ჯერ ისევ ყოყმანობდა, რყევაში იყო. და აი ეხლა, როდესაც ქალი განზრახ მეტად მოუტკბა ქმარს, როდესაც მან თავის ისეც მოყვარულ ხასიათს დაურთო ის ჰაზრიც, რომ მეტი კეთილი ქცევით თავი შეეყვარებინა ყველასათვის, ლადიკომ იხელთა დრო თავის განზრახვის განსახორციელებლად. თითონაც მიუტკბა ცოლს, მთლად ალერსად გარდაიქცა; თანაც რამდენსამე ხანს ისე დარბაისლად შეინახა თავი, რომ მისმა დედ-მამამაც კი მიაქცია ყურადღება მის დაბრძნობას.

– დახე, როგორ მოდრკა და მოიქნა ლადიკო, მშვენიერ ხასიათზედ დადგა და ქცევაზედ.

– დრო უთხრობს! საცაა შვილის პატრონი შეიქმნება; ადარ შეჰშვენის ბალღური ქცევა, – ამბობდა მისი დედ-მამა.

შეეტყუა ლადიკო ცოლს, დააემინა დედ-მამაც და ჩამოართვა ქალს ფული. როცა ლადიკო ფულს იღებდა ჯიბეში, თითქო დარწმუნებული იყო, რომ მართლა და ჭკვიანურ საქმეს მოახმარებდა მას, მაგრამ თავის სულის სიღრმეში მაინც ჰხედავდა იმ ვერაგ მაცთურს, რომელიც მხრებში შეუჯდებოდა ხოლმე მას და თავის საემშაკო კვალზედ ათამაშებდა. ის ეშმა ჯერაც არსად სჩანდა, სადღაც გულის კუთხეში მიყუჟულიყო და იქიდან იღიმებოდა ცბიერად. ლადიკომ ეხლა მეტის რიხით განაგრძო დაწყობილი საქმე: კიდევ გასინჯა გასასყიდად გამოტანილი შენობა, მისგან უკვე თვალდაკრული, უკეთ შეისწავლა გეგმა და გარემოებები, მოურიგდა პატრონს. ყველა გააკვირვა თავისი ჰაზრიანი მოქმედებით და დაარწმუნა თავის საქმიანობაში. მოვიდა საქმე საქმეზედ, ფულიდა იყო ჩასაბარებელი, რომ საბუთები თვის ხელში გადმოეტანა. ამ წუთს ელოდდა მასში დაბინავებული ეშმა: ერთი გულიანად გადიხარხარა იმან და წარუძღვა წინ თავის მორჩილ მონას ადგილთაკენ მწვანელოვანთა და ტკბილად განსასვენებელთა. რამდენსამე დღეს ისე გაქრა შრომით

მოგებული თანხა, როგორც თოვლი ცხოველი მზის შუქზედ. დარჩა ქალი ხელცალიერი. ქმარი ეხლა თითონვე ეყელზეითებოდა გულჩათუთქულ ცოლს:

– რა ვუყოთ, რომ ჯერ არ ვიყიდე სახლები?! ან რად უნდა მეყიდნა, როცა გამოანგარიშებამ ბოლოს დამარწმუნა, რომ ის სახლი მაინც საბოლოოდ არ შემრჩებოდა, მაინც ვალი გაიტანდა მას თან. მესმის მამულის ყიდვა ნაღდ ფულზედ, თორემ ვალით... ნაღდი კი იმდენი არ იყო, რომ ადამიანს შესძლებოდა რამე სახიერო საქმის დაწყება. რა ძალიან ბუზღუნებ, შენს ფულს შენვე მოგიტან: პატიოსან კაცს ვასესხე რამდენიმე თვით და სარგებლით დააბრუნებს. აი თამასუქი, შეინახე! – უთხრა ქალს გაჯავრებით.

და მართლა მიაწოდა ქაღალდი წაღებული ფულის შესახებ, ვიდაცის ხელით დაწერილი და ხელმოწერილი თამასუქი, მოჭორებულ ადამიანზედ გაცემულის ფულისა.

ქალმა გამოიტირა თავისი ფულიც, თავის ქმარიც. მწარედ დარწმუნდა იგი, რომ გადაჰკიდებოდა რაღაც უნიადაგო პიროვნებას, მთლად გაქნილ-გათადლითებულს, სამუდამოდ გარეცხილს; შეიგნო, რომ ამისთანა კაცისაგან არასდროს უნდა მოელოდეს არავითარ სიკეთეს და უშუქო სევდამ შეამძიმა მისი არსება. დაიძრა ფლატე ფეფიკოს ფერხთ ქვეშ და ჩააქანა ის უფსკრულისაკენ, რომ ჩაემარხა იქ მისი ნორჩი ცხოვრება, შავად დაედო მისი ახალქალობა და უსიხარულოდ მისი სიცოცხლე.

– ახ, რა მალე, სწრაფად, უქამოდ! თვალი არ გამახილებინა სასიხარულოდ, ერთი წუთიც არ მაცხოვრა სასიკეთოდ და საამოდ, – ემდურებოდა ქალი ბედს.

## 20

ზოგმა დარდმა ჩქარა იცის განელეება; გადნება იგი, გაილევა, უჩინარ იქმნება და ანთავისუფლებს გულს ახალ შვებისათვის, ცხოვრების ლამაზ სახეების მისაღებ-მისათვისებლად. ფეფიკოსათვის თანხის დაკარგვა ამნაირი დარდი იყო. მართალია, ძლიერ ძნელი იყო ქალისათვის ამ სახსრის მოსპობა, მაგრამ მაინც უნელელებელი არ იქნებოდა, არც გარდუვალი, თუ მხოლოდ ფულს შეჰხებოდა ბოროტება; მაგრამ აქ საქმე უფრო რთული იყო და ჯავრის მიზეზი ღრმა: ლადიკო, მისი ჯვარწერილი ქმარი, მის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ბუნებით ცუდი გამოდგა, საფუძვლიდგანვე ჩამბალ-ჩაშლილი, ხოლო მის სიკეთეზედ ფიქრი ამაო, თუნდ მის შემდეგისათვის გამოკეთებაზედ ფიქრი. გამოუცდელმა ქალმაც კი მთლად შეიგნო ეხლა ეს და ამან ჩაუბნელა გული უნათებლად, ჩაუშალა ყოველივე იმედი მომავალზედ. ფუჭიდა უნდა ყოფილიყო მისი შემდეგი ცხოვრება, ხოლო მისი ქალობა ჩაშავბნელებული. ეს განუქარვებელი დარდი იყო, რომ საფლავის ლოდივით ეწვა ქალს გულზედ, უხშობდა მას ყოველ სიამის კარს, უიმედობის მთხრებლში ჩასთხევდა ამოუსვლელში.

უფრო დაიჩაგრა ქალი, შეშინდა, დაილალა. გვერდით აღარავინა ჰყვანდა საიმედო, აღარც არაფერი ჰქონდა დასაყრდნობელი და ფეხაკრეფითლა დადიოდა სახლში ნიადაგ გამოცლილი, სასომიხდილი, თავის საკუთარ თავისადმიც რწმენაგაცრუებული. ახლაც დედამთილიც სულ იმას ჩასსისინებდა, მოუმზადებელი ხარ ცხოვრებისათვის, ყოვლად შეუძლებელია შენი ქვეყანაში გარევა და გამოჩენა, იმდენი უნარიც კი არ გაქვს, წრთვნა შეიგნო და ახალი რამე შეიძინოვო. იმდენი ჩასძახა დიასახლისმა ესა და ამისთანები, რომ ბოლოს იმანაც მართლა მთლად შეუგნებლად წარმოუდგინა თავისი თავი; ფრთები დაუშვა, საცოდავად აიბუზა; შეგებრალეობდათ, თვალებში რომ ჩაგებდნათ შემკრთალ და განადგურებულ

ქალისათვის. დედამთილს არად მიაჩნდა ფეფიკოს ტანჯვა, ის უფრო და უფრო უავდებოდა მას და უანჩხლდებოდა. თვის ბოროტებას ეხლა ისიც დაურთო, რომ დასცინოდა ქალს, თითქმის მასხარად იგდებდა. მას აქეთ შემოიღო მან ეს ახალი სახსარი დამცირებისა, რაც ფეფიკოს მთლად გაუფლანგა ქმარმა ფული და ხელცარიელი დასვა იგი.

– ჩემს ლადიკოს უფრო განვითარებული ცოლი შეჰყვროდა, ქალაქში გამოწრთვნილ-გამოცდილი და ხელგამამავალი, რომ მოენადირებინა ყმაწვილკაცი და მაგრა დაეჭირა ხელში. შენ კი, ჩემო დაღონებავ, წახვედი და ვიღაც სოფლელი გოგო მოუყვანე, თითქმის მთლად შეუგნებელ-გამოუცდელი. აბა რა ადგილი აქვს მაგას ჩვენს სახლში და ჩვენს ყოფაში?! – ჰყვედრიდა ქმარს დედაკაცი.

– ლადიკოს თვით ალქაჯიც ვერ მოჰხრიდა, თუ ცოლად შეჰყრიყო, გესმის? თვით ალქიც კი! რა უნდა გააწყოს ამისთანა კეთილმა და ღვთისნიერმა ქალმა?! მართალს ამბობ, ტყუილად ჩავდექი მაგის ცოდვაში და ჩვენს ღვთისგარეგანს შევრთე ეგ. საუკეთესო ქმრის ღირსია ფეფიკო, პატიოსანი კაცის ხელში ნამდვილად საყვარელი მეუღლე დადგებოდა და ტკბილი დიასახლისა, – მიუგო ქმარმა

და თავი შეაფარა თავის ოთახს, როცა ნახა, როგორ ბოროტად აუთამაშდა ლოყა მის ცოლს ამ მკვახე სიტყვებზედ.

თანდათან შეიმაღლა მზემ ცის კამარაზედ. უფრო და უფრო ჩამოცხა. ჯერ ისევ მაისი იყო და ისე საშინლად ცხელოდა, რომ ფეფიკოს შუა ზაფხულშიაც არ ენახა ესეთი სიცხეები. სუნთქვა ეხშობოდა ისევ შემძიმებულს ქალს. მისმა დედამთილმა სწრაფად იწყო წასასვლელად მზადება. არც ქმარს ამზადებდა, არც რძალს. მარტო თითონ ემზადებოდა თავის სხვა შვილებით. ლადიკოს ხომ არც კი ახსენებდნენ. მაინც საკვირველ ცხოვრებას ატარებდა ეხლა ლადიკო: დღე ეძინა, ღამე შინიდან იკარგებოდა; სრულებით დაეტოვებინა ზრუნვა აზრიან ცხოვრებაზედ. როცა ცოლი ჰკითხავდა, რატომ სამსახურში არ დადიხარო, ის უტევდა:

– მერმე რა სამსახურია ის?! რაღაცა ოცდათხუთმეტი მანეთი თვეში! ჩვენი მზარეული ორჯერ მეტს იღებს, ადამიანმა რომ იანგარიშოს. ან რა გაფიქრებს და გადარდებს? ხომ გაქვს ღვთის მადლით ყველაფერი, ბინაც, საზრდოც, ჩასაცმელ-დასახურიც და სხვა რაღა გინდა. ნუ გეშინიან, ყოველთვის ესე იქნები უზრუნველყოფილი. მაინც შენ რა გაღონებს? მე ვარ სახლში ვაჟკაცი და ჩემი საზრუნველია ეგ ყველაფერი, – ეტყოდა ლადიკო ცოლს.

ქალი კი ძალიან დარდობდა. ჰხედავდა, რომ მის ქმარს არამც თუ არავითარი შრომა არ შეეძლო და ზრუნვა ცოლ-შვილის შენახვაზედ, არამედ თითონაც სხვის ულუფაზედ ყოფნა სჭირდებოდა, სხვის უმნო ბარგი გამხდარიყო მოსაბეზრებელი.

ფეფიკოს ჯერ მაინც კიდევ ეგონა, საზაფხულოდ თან წამიყვანენო, როგორც ოჯახის განუყრელ წევრს, მაგრამ როცა უკანასკნელი დრო მოვიდა, დედამთილმა გადაჭრით უთხრა:

– შეუძლებელია შენი წაყვანა. სადაც მე მივდივარ, იქ სულ სხვაგვარ ცხოვრებას ვეწევით, განათლებელს და ბრწყინვალეს. შენთვის იქაური საზოგადოება მთლად უცხო იქნება და შეუფერებელი; არც გაწრთვნა გაქვს სათანადო. ძალიან ძვირადაც დაჯდება იქ შენი შენახვაც, შენთვის ცალკე ოთახი, ზედმეტი საზრდო და ყველა სხვა დიდს ხარჯს გამოიწვევს. შენ კი ფული აღარა გაქვს ხელში, დიდი სარგებლითა გაქვს გასესხებული. ვერც რას ისიამოვნებ: საშენო გასართობი იქ არაფერი იქნება. აქ დარჩი პეტრე იოსების-ძესთან. წლეულ ეგ სამსახურის გამო ვერ წამოვა სააგარაკოდ. იცოდე, მაგასაც ბალღით უნდა ყურადღება და ხელის შეწყობა: ცხოვრებისა არაფერი ესმის. მსახურებს აქა ვსტოვებ ჩემი მოახლის გარდა. ამზრდელი, რა თქმა უნდა, ბავშვებს

გამოჰყვება. ვინძლო ჩემ მოსვლამდინ არაფერი წაახდინონ, სახლი არ აიკლონ, – უბრძანა ქალბატონმა რძალს.

ფეფიკომ მორჩილებით მოისმინა დაბარება. მეტი რა ღონე ჰქონდა?! ეუცხოვა კი მას თავისი ასეთი დამცირება, ძალიან ეწყინა; თვალები ცრემლებით აევსო. ის ნუგეშიდა უქარვებდა შეურაცხყოფას, რომ დროებით მაინც მოჰმორდებოდა დიასახლისს და აღარ გაიგონებდა მის მკაცრ ხმას, აღარ განიცდიდა ყოველ წუთს მისგან ბოროტ წრთვას, არც მომაბეზრებელ შენიშვნებს ყოველ ფეხის გადადგმაზედ. საწყენი კი ძალიან იყო დედამთილის ქცევა ფეფიკოსათვის, იმასა ჰგვანდა ეს, ოჯახი ხატობაში წასულიყო, რძალი კი შინ დაეგდოთ, ეზო-ყურე სუფთად შეინახეო. მართალია, სახლის უფროსიც ქალაქში რჩებოდა, მაგრამ ეს ხომ უნებური იყო და სამსახურის გამო თითქმის იძულებითი. ლადიკოზედ კი ხმაც არ ამოულიათ არც მის დედას, არც სხვებს, თითქო ის წევრი კი არ არისო სახლისა, არამედ ვინმე შემთხვევით იქ მცხოვრებელი, სახლის აბრა უმნიშვნელო თუ ნალო სათრეველი.

– ეხლა კი მარტო დავრჩით, ჩემო ქალო საყვარელო! აბა შენ იცი და შენმა დიასახლისობამ. მსახურები მკაცრ ბრძანებას არიან დაჩვეულები და ეცადე შენი გულკეთილობა სისუსტეში არ ჩამოგართვან, თავს არ წავიდნენ. თუ შეგაწუხონ ან არ გისმინონ, მე მითხარი ხოლმე და მე ვაჩვენებ მაგათ სეირს! ძალიან ხომ არ გეწყინა, ჩემო კარგო, თან რომ არ წაგიყვანა შენმა დედამთილმა? – უთხრა პეტრემ რძალს,

როცა გაისტუმრა ცოლ-შვილი და შინ დაბრუნდა.

– არა! მაინც ტყუილად ხელს შევუშლიდი მე იქ: ვერ შევითვისებდი ისეთს ცხოვრებას, როგორსაც დედამთილი სწერდა. იმისი კი მეშინოდა, თქვენც არ წაბრძანებულყავით, – მიუგო ქალმა

და ნდობით შეხედა თვის ახალს მამას კეთილისმყოფელს.

პეტრეს უამა რძალის პასუხი და აღუთქვა, ვეცდები, არაფერი გაგიჭირდეს, ოღონდ კი დარდს ნუ დაიმჩნევ და გული მხიარულად შეინახეო.

## 21

კარგ გუნებაზე დადგა ფეფიკო დედამთილის გასტუმრების შემდეგ და იქნება მთელი ზაფხულიც სიამოვნებით გაეტარებინა, თუ სიცხეებს ერთობ არ შეეწუხებინათ ის. იმ წელიწადს თბილისში ადრე ჩამოცხა. დიდი გვალვები დაიჭირა და თონესავით აანთო კედლები თუ ქვაფენილი. ოფლად იწურებოდა გრილ ჰაერს ნაჩვევი ქალი, სუნთქვა უგუბდებოდა, ყოფა უძნელდებოდა. ვედარა ჰმველოდა მას ვერც ყინულზედ ნაციები საზრდო თუ სასმელი, ვერც ფართე და თავისუფალი ბინა. ვერ შესძლებდა ქალი მთელ ზაფხულს იქ ცხოვრებას, უსათუოდ დაიხაშმებოდა და ავად გახდებოდა, თუ არა ჰყოლიყო მას სხვა მზრუნველები და პატრონები: თუ ფეფიკოს დედ-მამას არ ეფიქრა მის კეთილდღეობაზედ.

პორფირიანთ გაზაფხულზედვე დააპირეს მიეპატიჟნათ საზაფხულოდ ქალ-სიძე და თავიანთ ახალი ნათესავებიც სულ ერთობ, მაგრამ ეფიქრებოდათ, ვაითუ შესაფერად ვერ დავუხვდეთ ახალ მძახლებს და სათანადოდ ვერ გავუმასპინძლდეთო. იმის კი არ ედარდებოდათ, როგორ ვასაზრდოვოთო, უხვადა ჰქონდათ ყოველივე ღვთის მოწყალება, არა! ბინას არა სთვლიდნენ მათ შესაფერად. მართალია, კარგად მოზრდილი სახლი ედგათ და საფუძვლიანად მოწყობილი, მაგრამ სოფლურად რომ იყო იქ ყველაფერი გამართული, იმისი ეფიქრებოდათ. მეორე აზრიც ტრიალებდა იქ: ამბობდნენ, მარტო ქალ-სიძე მოვიწვიოთო, მაგრამ ესეც გაბედვით

ვერ გადაეწყვიტათ, ვაითუ დაგვემდურნენ, ჩვენ რატომ აღარ გვთხოვესო წასვლა. ამ ორ აზრს ადგა ცოლ-ქმარი, ვერ გადაეწყვიტა, რომელ კვალს აჰყოლოდა საბოლოოდ და ამისათვის ცოტა შეუგვიანდათ წერილის მიწერა, თანაც იმედი ჰქონდათ, რომ ახალი მძახლები თითონვე წლეულაც წყაროიანში მოისურვებდნენ საზაფხულოდ დაბინავებას და ამითი გაუადვილებდნენ მათ მოქმედებას.

მაშინ ქალ-სიძეს მთელ ზაფხულს აქ გავატარებინებთ, იმათ კი მხოლოდ რამდენიმე ხნობით მოვიწვევთ, რომ არ მოეწყინოსთ, – ბჭობდა ცოლ-ქმარი.

ამასობაში დღეები გადიოდნენ და როცა მამის წერილი მიუვიდა ფეფიკოს, მისი დედამთილი უკვე გამგზავრებული იყო უცხო მხარეს.

– აი, მამა იწერება, საზაფხულოდ უთუოდ ყველანი ჩვენთან მობრძანდითო. აფსუს, რომ წერილმა ცოტა შეიგვიანა და დედამთილი უკვე წასულია, – მიმართა ფეფიკომ მამამთილს

და წერილი გადასცა. პეტრემ წაიკითხა წიგნი და ჩაფიქრდა.

– მაინც არ წამოვიდოდა შენი დედამთილი თქვენს სოფელში. წყაროიანშიაც კი გაჭირვებით გაატარა შარშან ზაფხული. ის სულ სხვანაირად არის დროს ტარებას ნაჩვევი და სოფლად მოიწყენდა, დაიტანჯებოდა. შენ კი, ჩემო კარგო, თუ გინდა, ადექი და წადი. არ გაგიშვებდი, რადგან ჩემთვის ძნელი იქნება სახლში მარტო ყოფნა, მაგრამ ვხედავ, რომ სიცხე ვერ აგიტანია; ვაითუ დაგცადოს და ავად გახდეს, მერმე ეგრე მყოფი ადამიანი. ლადიკოს ვეტყვი და ის წაგიყვანს.

– თქვენ რომ მარტო დარჩებით? დედამთილსაც ეწყინება, მამასთვის და სახლისათვისაც თავი დაგინებებიაო, მეტყვის. თქვენც წამობრძანდით, ბატონო! ერთად წავიდეთ. ძალიან გაეხარდებათ მამასაც, დედასაც.

– არა, გენაცვა! მე წლეულ არ შემეძლიან მთელი ზაფხულის განმავლობაში თავი დავანებო სამსახურს. შენს დედამთილსაც არ ეწყინება: ხშირად ვრჩები ზაფხულობით აქ მარტო. ხომ იცი, სამსახურს არ ეღალატება. ერთი ათიოდე დღით კი შემეძლიან წამოვიდე, უსათუოდ ჩამოვალ კიდევ თქვენსას, მხოლოდ შემდეგ, მკათათვის მიწურულებში.

– მართლა?! ახ, რა კარგი იქნება! მივსწერ მამას.

– მისწერე! ან კი რაღა მიწერა გინდა: თითონ შენ უამბობ ყველაფერს. აი ფული, შეემზადე და წადი. მეც წერილს გაგატან ჩემ მძახალთან, მოსაკითხსაც.

და მიუვიდა ქალი პორფირეს. მარტო მივიდა ფეფიკო, ქმარი არ ახლდა მას თან, არც სხვა ვინმე მახლობელი. ლადიკომ მხოლოდ სადგურამდის გააცილა ცოლი, ჩასვა ეტლში და დაემშვიდობა.

– ერთს კვირაზედ მეც იქ გავჩნდები. კარგი ადგილი ამითქვეს. ამ სამ-ოთხ დღეში კეთდება საქმე და ვაითუ ამცდეს, რომ წამოვიდე: ფეხდაფეხ უნდა საქმეს მიყოლა. ძალიან ხელსაყრელი თანამდებობაა და სარგებლიანი. ბევრი მოკითხვა თქვენებს!

არავითარ თანამდებობას არ ეძებდა, არც ვინმე რასმეს აძლევდა მას. იმისთვის არ გაჰყვა ცოლს, რადგან პირშავად იყო სიმამრთან. სახარჯოც არ ახლდა ჯიბეში, რომ დიდკაცურად წაეყვანა ცოლი, საკუთარი ეტლით; ნაჩვევი იყო ფუქსი გარეგანი შთაბეჭდილება მოეხდინა ადამიანზედ. კარგადაცა ჰქმნა, რომ არ გაჰყვა! მთელი წლის განმავლობაში ერთი ხელი ტანისამოსი ვერ შეუკერა ცოლს, რომ ქალი მისეულით დამშვენებულიყო და რა პირით უნდა მიეყვანა იგი მამისას? განა ესე იბრუნებს ხოლმე ფეხს დიდებული ოჯახის რძალი და კარგი ქმრის პატრონი ქალი?!

მარტოდმარტო დაბრუნდა ფეფიკო სამშობლოში, თითქო უმწეო ვინმე ყოფილიყო ან ქვრივ-ოხერი, პატრონდალუპული. მაგრამ არა, მთლად მარტო არ იყო



ქალი: თან მიჰყვა უკვე საკმაოდ მომწიფებული ნაყოფი ქმართან ახლოობისა, მასთან სავალდებულო კავშირისა და არა ტრფობისა თუ სიყვარულისა.

ფეფიკო თვალნათლივ მივიდა სოფელში, როცა ხალხი ისევ კარზედ იყო გამოშლილი. ეტლით მიადგა კარს მარტოდმარტო. ამ გარემოებას მაშინვე ყურადღება მიაქცის მეზობლებმა. ძალიან ეწყინათ პორფირეანთ, როცა ნახეს, რომ გამოუცდელი ქალი უპატრონოდ გამოეშვათ ამოდენა გზაზედ. ქალს ათასი გაჭირება სდევს გზაზედ და ხიფათი. პეტრე იოსების-ძეს კარგად ესმოდა ეს, როცა ჰგზავნიდა რძალს, მაგრამ ვედარაფერი მოახერხა: ლადიკომ მტკნარი უარი განუცხადა სიმამრთან წასვლაზედ, თითონ არ შეეძლო გაჰყოლოდა თავის რძალს, ხოლო მსახურის გატანება საჭიროდ აღარ დაინახა, რადგან საიმედო მგზავრებს ჩააბარა ქალი იმავე ეტლით მიმავალ თანამგზავრებს. თითონ ფეფიკომ მაშინ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას. ის მთელი თავის არსებით ისწრაფიდა გასცლოდა ქალაქს, მის მტვერს თუ სიცხე-პაპანაქებას, რომ თავის მშობელთა ჭერქვეშ მალე დაესვენა ყოველ მხრივ გატანჯულს.

– ლადიკო სადღა არის, შვილო? – მიჰმართა მამამ მოკითხვის შემდეგ.

– არ წამოვიდა! რაღაცა დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი და ვერ შეეღია ეხლავე.

– ისეთი რა საქმე გამოუჩნდა, რომ ახალგაზრდა ცოლი მარტოდმარტო გამოგიყენა ამოდენა გზას. ან შენთვის უნდა ეცა პატივი, ან ჩვენთვის. მე მაინც დამიბარებდნენ, თუ თითონ არ შეეძლოთ გამოყოლა.

– რადა ხარ, შვილო, ეგრე გაყვითლებული და ჩათეთქილი? ავად ხომ არ იყავი, გენაცვალე? გზამ ხომ არ გაგლახა უჩვევი?

– არა, დედილო, ავად არა ვყოფილვარ; მგზავრობითაც კარგად ვიმგზავრე, – მიუგო ქალმა

და დაბლა დაიხედა, დედას ანიშნა თავისი მდგომარეობა, რომელიც ხშირად შემლის ხოლმე ქალს სახიდან და ავადმყოფს დააგვანებს მას.

– უი, გენაცვალეთ, და მაგ გარემოებაში მყოფი ქალი უპატრონოდ როგორ გამოგიშვეს გზაზედ იმ უკეთურებმა. შენი დედამთილი რასა ფიქრობდა, როცა გისტუმრებდა.

– დედამთილი თავისი ბალღებით აგერ ორ კვირაზედ მეტია, რაც სხვა ქვეყანაში წავიდა.

მეტი თქმა აღარ აცალეს არც ქალს, არც მის დედ-მამას; გარს შემოეხვივნენ ბალღები, მეზობლები, მოჯამაგირეები, ნაცნობ-ნათესავები, მშვიდობით მოსვლას ულოცავდნენ, უაღერსებდნენ, ჰკოცნიდნენ: უხაროდათ, რომ მშვიდობით მოსული ნახეს თავიანთ საყვარელი ფეფიკო.

## 22

– ქა, პორფირეანთ ფეფიკომ ფეხი იბრუნა: მოუვიდათ ქალი ქალაქიდან!

– მართლა? ხომ კარგად არის? ვინ იცის, კიდევ გადიდკაცდა და თავი აღარ გაგვიყადროს.

– ჩვენი ფეფიკო და გაამაყება! როგორ შეიძლება?! გადამეხვია და დასავით გადამკოცნა. იცი, ქალოჯან, მარტო მოვიდა, არც ქმარი მოჰყვა და არც ვინმე ქმრის მოსადევარი.

– რას ამბობ, გოგო? ამოდენა გზას მარტო როგორ გამოივლიდა და ან რად?

– რა ვიცი! თითონ პორფირეანთ სწყინთ და უკვირთ ეს ამბავი. დაღონებულად მეჩვენა ქალი, თითქო, თვალეებში სინათლე ჩაქრობიაო.

- აკი დიდებული ოჯახის რძალი შეიქმნაო და დიდი მდიდარი.
- იჰ, პორფირეანთაც ხანდისხან გაზღვარზღვარება იციან და ბაქიობა.
- იქნება მაგ საწყლებს მართლა დიდებული ვინმე ეგონათ თავიანთ სიძე და მოტყუვდნენ. თეთრი თხა მსყიდველს მსუქანი ეგონაო.

ლაპარაკობდნენ ფეფიკოს ტოლ-სწორნი და ჰკვირობდნენ, რომ განთქმულ ოჯახის რძალმა ესე უპატიოდ იბრუნა ფეხი, მთლად ეულისავით დაბრუნდა თავის მამის სახლში. მათ გულს თითქო საამოდაცა ჰფხანდა ის ამბავი, რომ, როგორც ემჩნეოდა, მაინცდამაინც დიდ ბედნიერებაში არ ჩავარდნილიყო მათი ტოლი და ამხანაგი, არც თუ პატივში, თუმცა ეს გრძნობა ბოროტების სამზღვრამდის ვერ უწევდა და ნიშნის მოგებას ვერ იწვევდა დობილებში: მოლიმარე ფეფიკოსაგან მარტო კეთილი ახსოვდათ მათ და მისი ავი ნამდვილად არასდროს არ უამებოდათ. ადამიანის გულის ფსკერზედ ავი სთესია და ალბათ იმიტომ მცირე კმაყოფილებას მაინც ჰგვრიდა მათ ის გარემოება, რომ ფეფიკო ცხოვრების სავალში თავს არ მოჰქცეოდა მათ, მათი თანაგრძნობის საგნადაც კი გამხდარიყო ეხლა ის. ამ ამბავმა, ფეფიკოს ესე უბრალოდ და ეულად დაბრუნებამ, ნამდვილად ასიამოვნა მხოლოდ მახარეს დედა, რომელიც ძალიან გულნატკენი იყო პორფირეანთაგან...

- ტყუილად დაიწუნეს მაშინ ჩემი ვაჟი და უარჰყვეს. არც ისეთი უსწავლელი კაცია ჩემი მახარე, როგორც მაგათა ჰგონიათ. არც თუ მაგათი ქალი იყო მეტი სწავლისაგან გარდას გადასული: სულ რაღაცა ოთხი კლასი კი აქვს დამთავრებული. პორფირეს ცოლს ეგონა, სასახლეში გავათხოვეო ჩემი ქალი; დიდად მოჰქონდა თავი, ყველგან იკვებოდა.

- აღარ ღირს, დედიჯან, მაგაზედ ლაპარაკი. რაც მოხდა, მოხდა! წარსულის გამობრუნება შეუძლებელია არის ეხლა, - უთხრა მახარემ დედას.

და ჩააჩუმა, რადგან ვერ აეტანა ფეფიკოზედ საუბარი, მით უფრო მისი დამრახვა. ჯერ ხომ მაინც ნამდვილი არავინ იცოდა, მართლა მდარე ბედში ჩავარდნილიყო ქალი თუ თავიანთგანვე მოჭორებულს და უსაფუძვლოდ აშენებულ ამბავს მოუთხოვრებდნენ შურიანები. ის შემთხვევა, რომ ქალი მარტო ჩამოსულიყო თბილისიდან, ჯერ კიდევ არაფრის დამამტკიცებელი არ იყო. თითონ მახარე უბრალო შემთხვევას აწერდა ამას, უშნოდ მოწყობილ გარემოებებს და ეჭვის თვალთ უყურებდა ამის შესახებ მითქმა-მოთქმას. ის კი სრულებითაც არა სჯეროდა, ფეფიკოს შნო დაუკარგავსო, თვალეში სიცოცხლის ნაპერწკალი ჩაჰქრობიაო. მისი წარმოდგენით, ფეფიკო ისევ ისეთი ყოვლად სრული უნდა ყოფილიყო, როგორც ენახა წინად. როგორ შეიძლებოდა მას რაიმე სიდუხჭირე შეჰპაროდა და შეერყია მისი მშვენება, ან რა დასაჯერებელი იყო ეს?! თითონ მახარე ღამე დაბრუნდა შინ და მეორე დღესაც თვალი ვერ მოჰკრა ქალს, ხოლო სხვის ნათქვამი სრულებით არა სჯეროდა.

- როგორ შეიძლება, ავი წაჰკიდებოდა ფეფიკოს, ან ვისმე ღირსეულად ან შეეფასებინა დაუფასებელი?! ბოროტი ვერ შეეხებოდა მას, რადგან მას არაფერი ჰქონდა საერთო ბოროტთან, ვერც მიახლებოდა მას რაიმე ავი. თუ მართლა ბოროტია ის ვიღაცა კაცია, ფეფიკოს ქმარი, მაშინ მხოლოდ შემთხვევით დაჰპატრონებია ქალს, სწორედ ისე, როგორც ვეშაპმა წუთიერად ჩანთქას მზე და იგი ისევ უვნებლად გამობრწყინდეს იმ საშინელების გვერდიდან, შეუბღალავად.

ესე ფიქრობდა ჯერ ისევ ეშხით გატაცებული მახარე. მაგრამ როდესაც თავისი თვალთ ნახა ქალი, უკვე სხვის მიერ ტანთშემძიმებული და სახეშემოლილი, როდესაც ძლივსდა იცნო ამ უცხოსაგან შემწიკვლულ ქალში ის უმანკო ის უმანკო ქალწული, რომელს თაყვანსა სცემდა იგი უსამზღვროდ, როდესაც დაწვრილებით გაიგო ისიც, რა

ურთიერთობა დამყარებულიყო ფეფიკოსა და მის ქმარს შორს, გული აუკვნესდა და ჯავრით აევსო სული, ცხოვრების უმსგავსოდ რყევისადმი სიბოროტით.

– როგორ შეიძლება, რომ ცხოვრება არ ინდობს ქვეყნად არავითარ მშვენიებას და სიფაქიზეს? შეარყევს მას, შერყვნის ხშირად რეგვენის ხელით, რომელს არ ძალუძს მისწვდეს, რა სანატრელს შეჰხვედრია იგი შემთხვევით, რა ტურფა ყვავილს წასდგომია თავს, და მოსთვლის მას მხოლოდ მისთვის, რომ უკუაგდოს იგი, გაქნას მწვირეში და გაქელოს. ღმერთო მაღალო, ვერც შენ გაგირიგებია ამ ქვეყანაში ყოველივე აზრიან-სამართლიანად!

და მახარეს სხვანაირად ვეღარ წარმოედგინა ფეფიკოს ქმარი, თუ არა განხორციელებულ შეუგნებლობად, რომელს შემთხვევით ჩაჰვარდნოდა ხელში საუნჯე ფასდაუდები და გაეთელნა იგი უხეშად, დაემცირებინა უაზროდ. ბოროტი იგრძნო ვაჟკაცმა თავის აქამდისინ სიკეთით სავსე გულში: ისეთი სიავით განიმსჭვალა იმ უცხო ადამიანისადმი, რომ ბუნებრივად მოეჩვენა და სასიკეთოდაც იმ კაცთასამგზავსის განადგურება, მთლადაც მოსპობა. გაახსენდა ტანჯულ მახარეს ის პაწაწინა თხრობა, რომელიც ადასტურებს, რომ ადამიანის გული დაბადებით სპეტაკია, ხოლო ცხოვრება სთესავს შიგ ღვარძლს, და დაენანა მას თავისი მოსიყვარულე სული, რომელშიც ადგილი ჰპოვა აწ ბოროტმა გრძნობამ თუ სურვილმა.

– ფეფიკო კი მაინც ისევ კეთილია, ღმობიერი, მოსიყვარულე. მის ნათელ გულში ცხოვრების სიავესაც ვერ ჩაუბნევია თესლი ბოროტი: თითონ დამელაპარაკა მაღლიანი, მოდგა ღობესთან, მომიკითხა. იგრძნო, რომ მე ვერა ვბედავდი ავჩქამებოდი მას და იმიტომ თითონ გამომეხმაურა, – ამბობდა მახარე.

და ჰმადლობდა ქალს ყურადღებისთვის, თითქო მოწყალებისთვის. ნელ-ნელა ისევ უსაშველო შეიქმნა მახარეს ყოფა. ისევ იჩინეს მასში თავი ძველმა გრძნობებმა, რომელნიც თითქო დაყუჩდნენ მის ცხვარში ყოფნის დროს. ეხლა უფრო მეტი მტანჯველნი შეიქმნენ ის გრძნობები, რადგან გრძნობათა საგანი თვალთ წინვე ჰყვანდა, ხოლო მათი განცხადება ყოვლად შეუძლებელი იყო და უაზრო, საოცნებო იწროებაც კი აღარ დარჩენოდა მის გულისთქმას; გულშივე უნდა ეტრიალებინა მას იგი ბოღმა შეუძარტებელი თუ უძლეველი. და ისევ ჩაიხშო ვაჟკაცმა კარი გულისა; ჩათხრობილ-ჩაბნელებულივე დაიარებოდა იგი, კაცთ ხილვა მოსმაგებოდა. ცდილობდა, ისევ განუწყვეტელ შრომაშივე ჩაეკლა თავისი სევდა გზაუხსნელი. ვინ იცოდა, რა ხდებოდა მახარეს გულში, ვინ მიჰხვდებოდა? ვინ გაზომავდა მის ტანჯვის სივრცეს, ვინ ჩასწვდებოდა შავ განცდის სიღრმეს?

– რაც ხანი გადის, ეს ჩვენი მახარე უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდება და უკაცური. თანაც, საკვირველია, უფრო აძლიერებს უნარს მოქმედებისას. მთელი ოჯახის წარმოება ხელში დაიჭირა ხელდალოცვილმა, მერმე რა აზრიანად და ხვავიანად!

– ძალიან გამოიცვალა ვაჟკაცი! არც სიმხიარულე მაგისთვის, არც გართობა, არც ტოლ-ამხანაგი. ღიმი აღარ მოსდის პირზედ. მითომ გაეარშიყოს თუ რომელსამე ქალწულს ან გაეხმაუროს! დაჰვიწყებია ქვეყანა, მის გარემო არსი ქვეყნიერება. რამდენჯერმე ისიც ვნახე, რომ თავის თავს ელაპარაკებოდა ხმამაღლა, გრძნობით შებოჭილ-გატაცებული.

– იცი, რა გითხრა? მე ნამდვილ შევნიშნე, რომ ესეთი ცვლილება იმის აქათ მოხდა მაგ კაცის ცხოვრებაში, რაც ფეფიკო გავათხოვეთ. ეხლა მეორედ გაუახლდა გულის იარა, რაკი ქალი აქვე დაიგულა, თავის მეზობლად.

– ძალიან არა ჰყვარებია მა საწყალებს?! უთქმელი კაცია, მოკრთალებული და ნამდვილად ვერ გაგვაგებინა მაშინ თავის გულისთქმა. ნეტავი მაგისთვის მიგვეცა ქალი! ორნივენი ბედნიერები იქნებოდნენ ყოველმხრივ. ჩვენც ხომ ესე აღარ დავღონდებოდით, არ მივეცემოდით ძნელ საგონებელს.

– რაღა დროს ამაზედ ლაპარაკია. ნეტა ფეფიკომ მაინც არ იგრძნოს, არ გაიგოს, რა რიგ ეწამება ვაჟკაცი მაგის გულისათვის: ვაითუ მაშინ უფრო მეტად დაჰგმოს ბეჩავმა თავისი ბედი და გვირგვინი.

მაგრამ ფეფიკომ უკვე მშვენივრად იცოდა ეს ყველაფერი, რადგან მათ არაერთხელ გამოეთქვათ ყველა ეს მასთან, თუმცა ნაყიმ-ნაყიმად და სიტყვაგადაკვრით. თუნდ არავის ეთქვა, მაინც მიჰხვდებოდა: თვალები უკვე ახილული ჰქონდა და თითონაც კარგად ჰხედავდა ყველაფერს. რაღა ქალი იქნებოდა იგი, ევას ნაშობი, თუ ალლოთი ვერ მიჰხვდებოდა, რა წრფელი იყო მახარეს სიყვარული, ღრმა, უანგარო. ჰაი, ჰაი, მიჰხვდა და ძალიანაც დაენანა, რომ მაშინ შესაფერად ვერ დააფასა ბალღობიდანვე მისი თაყვანისმცემელი ვაჟკაცი, რომ ბრჭყვიალა გარეგნობამ თვალები აუბა ყალბ თვითმოყვარებით გატაცებულს. ფეფიკომ ეხლა თავის თავიც უკეთ შეისწავლა და შეაფასა; დაინახა, რომ თითონაც სოფლურ ცხოვრებისათვის უფრო იყო მომზადებული, ისეთს ყოფისათვის, რომელსაც ეწოდნენ მისი მშობლები ან მახარეანი.

– თუნდაც ღირსეული ვაჟკაცი გამომდგარიყო ლადიკო, დაბრძნობილი და მეოჯახე, მაინც ძნელი იქნებოდა შევჩვევოდი ქალაქურ ყოფა-ცხოვრებას, სადაც ადამიანი აგლეჯილია ბუნების კალთიდან და მოვარაყებულ გალიაში შემწყვდეული. ვერ შევეთვისე იქაურ ყოფას! ახლა ის უბედურება, რომ ქმარი არ გამომადგა. ცოდვაა ქალისაგან თავის გვირგვინის გმობა, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ერთი თავაქალა ვაჟკაცია მთლად უნიადაგო. არც ვუყვარვარ! ბუნებაც ისეთი აქვს, რომ არ შეუძლიან ვინმე შეიყვაროს ან რამე, გარდა თავის თავის გალაღებისა. იქნება უკვე სრულებითაც გადავუვარდი გონებიდან. არც კი დამემშვიდობა რიგიანად. როდი მაკოცა! მთლადაც შეუძლებელი შეიქნებოდა ჩემი ქალაქში ცხოვრება, თუ მამამთილს არ ვუყვარდე და არ ვებრალეობდე, – დაასკვნა ნაწყენმა ქალმა.

ეხლა რომ აკვირდებოდნენ პორფირეანი თავიანთ ახალ ნათესავების ოჯახს, ყველაფერი ზერელად დაბლანდული ეჩვენებოდათ მათ იქ, არასაიმედოდ; ქვიშაზედ დაშენებული მოსჩანდა მძახლების სახლი, ადვილად ჩამოსანგრევი: მათი სიძე ცარიელ რამ სახეს წარმოადგენდა ვაჟკაცისას, ფუყს, უშინაარსოს, უქმს; მხოლოდ მფლანგავს, კერის მანიავებელს. პეტრეს ცოლი ერთი გაავზნებული ქალი აღმოჩნდა, ავი გუნებისა და ბოროტი სიტყვის დედაკაცი, რომელს მთელი სახლი გათანგული ეჭირა ხელში, ოჯახის წევრნი დაშინებულ-დალალული; სახლიდან განედევნა მას გულუბრყვილო სიცილ-ღიმილი, საამო ერთობის მაგივრად დაემკვიდრებინა გაბოროტებული განცალკევება და დაღრეჯილობა. პატარები აღმზრდელებისა თუ ძიძების ხელში იყვნენ და ვერ ამრავლებდნენ სახლში ალერსს, ვერც მხიარულებას; თვით მშობელთაგან ბაღლების მოვლა, მათ გულისათვის თავის თავის შეზღუდვა, მათი პაწაწინა ჭირისა თუ ლხინის ყოველჟამს გაზიარება, ფეხდაფეხ მიდევნა და განცდა მათის სულის თუ ხორცის, აღორძინება გადაფურჩქენისა – ეს ყველაფერი უარყოფილ იყო იქ; ყველა ამისათვის შრომა იყო საჭირო და მოთმინება, ხოლო დიასახლისს

არცერთი ამ განძთაგანი არ ჰქონდა.

რადგან დედ-მამა ბაღების ცხოვრებით არა ცხოვრობდა, ამიტომ მათი ურთიერთობა არ იყო ცხოველ სიყვარულზედ დამყარებული. უყვარდათ შვილები, მაგრამ იმ სიყვარულით არა, როგორც უყვარს ადამიანს ყველაფერი, რისთვისაც ოფლი დაუღვრია და რაშიაც უგრძნია თავის საკუთარი პიროვნების განსახება თუ განხორციელება.

მთელ ოჯახში საიმედო და სასიამო პიროვნება ისევ პეტრე იყო: მის გულში თურმე ჯერ ისევ ჟონავდა სხვის სიყვარულისა თუ სიბრალულის წყარო. ფეფიკოსათვის მხოლოდ ის აღმოჩენილიყო ოჯახში გულის დამხვევი და ხელის ამპყრობი; თუ ეს კაცი არა ყოფილიყო იქ იმ სახლში, ქალი უსათუოდ ჩაჭლექდებოდა პირველსავე თვეებში თავის იქ ყოფნისა. ქალი ეხლა მხოლოდ პეტრესღა იგონებდა მადლობით და სიყვარულით.

მაგრამ რა იყო ფეფიკოსათვის მისი მამამთილი? მხოლოდ დროებითი შემნახველი და მფარველი! ქმარი უნდა ჰყოლოდა ქალს სამუდამო პატრონად, ის კი თითონ გამოდგა საპატრონებელი, მარად ჟამს ხელზედ შესანახი, ოჯახის წვერი ძნელმოსავლელი, რომელი ყოველ წუთს აწარმოებდა კერის დანგრევას და არაოდეს მის აშენებას.

– დაგვიანებულია ფიქრი და დაკვირვება, შეუძლებელიდაა ეხლა იმთავითვე დაშვებული შეცდომის გამოსწორება. ისევ პეტრეს კალთა უნდა დავიჭიროთ წყალწაღებულებმა: თუ საქმის მობრუნება კიდევ შეიძლება, მხოლოდ მისით, – ფიქრობდნენ პორფირიანი.

პეტრე იოსების-ძეც ფიქრით თავის მძახლებთან ყოფილიყო. ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული, რაც ქალი ჩამოვიდა ქალაქიდან, რომ მოუვიდათ წერილი. მოსიყვარულე ადამიანის წიგნი იყო კეთილად გაწყობილისა. მშვიდობას იწერებოდა. მოკითხვა შემოეთვალნა. ფეფიკოს თავის ქმარმა მოსწერაო წერილი, ალბათ მიიღებდაო.

– მიიღე, ქალო, ლადიკოსაგან წიგნი? – შეეკითხა მამა ქალს.

– არაფერი წერილი არ მომსვლია! ალბათ ტყუილი უთხრა მამას, – მიუგო ქალმა წყენით.

ერთი კვირით მოვახერხებ მანდ ჩამოსვლას და თქვენთან ყოფნასო, იწერებოდა პეტრე; სიცხემ დამთენთა, როგორღაც დავმძიმდი და დავღონდი; თქვენთან სულითაც და ხორციტაც დავისვენებო. ძალიან გაეხარდათ პორფირიანთ. იმედიც მიეცათ, ლადიკოზედ გულდასმით მოვილაპარაკებთ ერთად და რამე წამალს დავადებთ მის უიმედო ყოფასაო. ქალსაც ძალიან უამა მამამთილის წერილი. ფეფიკო ეხლა უკვე გამოცოცხლებული იყო: ფერი გადაეწმინდა, ლოყები შეუნათლდა; დახშულ ჰაერს მოემხამა საბრალო, გახურებელს და ეხლა ისევ გამოაბრუნა მთა-ტყის გრილმა ფშვენამ სუნნელოვანმა. თუ არ წამოსულიყო ქალი, უსათუოდ დაავადდებოდა; აკი გითხარ, აუტანელი სიცხეები დაიჭირა იმ ზაფხულს თბილისში. ისე გავიდა მთელი მკათათვე, ცვარი წვიმა არ მოსულა. იქაურ სიცხეებს ჩვეულთაც კი სული უგუბდებოდათ. ვისაც კი სადმე სავანე ჰქონდა ან გასაქანი, სოფლად გაიხიზნა.

ძალიან შეაწუხა სიცხემ პეტრე იოსების-ძეც. მძიმე კაცი იყო, ნაპატივეები ხორცის მექონი და სულ ომხივარი ასდიოდა, ოფლად იცლებოდა. მაშინვე გასცილდებოდა სიცხეს და სოფლად წავიდოდა, არვინ ჰყვანდა დიდკაცს დამშლელი, მაგრამ რუსეთიდან მოელოდა დაწესებულებათა უფროსს გამგეს და ფეხი ვერ მოიცვალა ადგილიდან. ჩამოვიდა იგი წარჩინებული, ძალიან მოიწონა პეტრე იოსების-ძე, როგორც ხელისუფალი, შეუქო განმგებლობა და ნიშნად მადლობისა მეგობრულად

ჩამოართვა ხელი, ჯილდოც აღუთქვა. აღტაცებაში იყო პეტრე. წერილები აფრინა თავისიანებთან. პორფირეანთა სწერდა, ამ ორ-სამ დღეში მოვდივარო. დატრიალდა პორფირე სასურველ სტუმრის ღირსეულად მისაღებად, მაგრამ ვერ მოუხდა გულუხვ მასპინძელს საამო მძახლის სტუმრად მიღება: მოვიდა ლადიკოსაგან დეპეშა, მამა უეცრად ავად გახდა, წვეთი დაეცაო; ეხვეწებოდა, ჩამომეშველენითო; ძნელი იყო პორფირესათვის მოსავლის თავის დანებება და ქალაქს წასვლა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, წავიდა. გულის ფანცქალით ელოდნენ ამბავს. არ გასულა ოთხი დღე, რომ პორფირესაგან მიიღეს ცნობა, პეტრე იოსების-ძე გარდაიცვალაო. მწარედ მოსწყდა წელი ფეფიკოს; ჩანგრეულიყო ის ერთადერთი ბურჯი მისი კეთილდღეობისა. ჩამოვიდა საქეიფოდ გასული ჯალაბიც განსვენებულისა. ტირილი, ვაი-ვაგლახი, ხარჯი, უბედურება. პორფირე ჯიბე გამობერტყილი დაბრუნდა შინ და სასომიხდილი.

– საზარელი უბედურობა ვიხილე, ნამდვილ დანგრეული ოჯახი! წარმოიდგინეთ, სამარხი თანხაც კი არ აღმოაჩნდა საბრალოს. შენი დედამთილი საშინლად იყო გაფიცებული, თითქმის გადარეული. მკვდარს კი არა ტიროდა, სიბრალულს კი არ გამოსთქვამდა საცოდავისადმი, არამედ ჯავრობდა, გაჰკიოდა, აკვესებდა, მოსთქვამდა, რაღა უნდა ვქმნა და როგორ უნდა ვიცხოვრო რაღაცა საცოდავი წლიური ულუფითაო; ლადიკო ხომ სახსენებელიც აღარ არის: უაზროდ დახტოდა გზააბნეული, უმიზნოდ აწყდებოდა აქეთ-იქით.

– მაშ არაფერი ქონება არ შეაჩნდა განსვენებულს ან ფულით, ან მამულით?

– არავითარი! ისე უცხოვრია დღიურად, როგორც რამ მფრინველს უზრუნველს. ან კი როგორ შესძლებდა დაზოგვას ყოველდღე იმოდენა ხარჯის მექონი სახლი, მთლად ბაზარზედ დაყრდნობილი.

– სასმელ-საჭმელზედაც ბევრი იხარჯებოდა სახლში, მაგრამ უფრო ჩაცმა-დახურვა აწყალებდა იმათ ქონებას, სტუმრეულობა და გართობები; მსახურებსაც ჯიბე-უბით გაჰქონდათ ყველაფერი. დედამთილი სრულებით ყურს არ ათხოვებდა ხარჯს, ოღონდ კი ყველაფერი თავისდროზედ ყოფილიყო და სუფთა, საიასალო. მეც ნებას არ მამლევდა თვალ-ყური მედევენებინა მათთვის და ანგარიში მომეთხოვნა, – დასძინა ფეფიკომ.

– დიდ ქალბატონობიდან კი ჩამოხდება პეტრეს ქვრივი, მაგრამ საბოლოოდ მაინც არა უშავთ რა: მთავრობისაგან საკმაო ხარჯი მიეცემათ და შვილებსაც სახელმწიფოდ დაუზრდიან; ჩვენ ჩვენი გასაჭირი უნდა ვსთქვათ და ვიჩივლოთ: ლადიკო მთლად უქნარა არის და უდები, ნეტა რაღამ უნდა აცხოვროს ან როგორ უნდა შეინახოს ცოლ-შვილი. ჩვენ რას მოველოდდით და დახე, რა შეგვრჩა ხელში! – დაიჩივლა დიასახლისმა.

– აღმითქვა, უსათუოდ ბეჯითად დავადგები რამე საქმეს, ეხლა მხოლოდ ჩემი თავის იმედიღა უნდა მქონდესო. ჯანსაღი ვაჟკაცია, ხელი არ აკლია და თვალი, დარწმუნებული ვარ, გზას რასმე გამოსძებნის ცხოვრებისას, – ანუგეშა პორფირემ დაღონებულნი.

უეცრად დაეცა პეტრეს სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახი და მოესპო მის სახლობას კეთილდღეობა. მდიდრულად მოკაზმულ ფართო დარბაზებს ნაჩვევმა დიასახლისამ პატარა რამ ბინა დაიქირავა ყოველ სანთიანობას მოკლებული. ოთახების მოწყობილობა და სხვა მრავალი სალამაზო და საფუფუნო ნივთები თუ ავეჯი მიყიდ-

მოყიდა, თუმცა თვითთულს მათგანს თავის არსების ნაწილი გაატანა თან, ისე იყო შეჩვეული ყველა მათთან და შესისხლხორცეული. რადღა უნდოდა ისინი ან სად რას დასტევდა იმ საცოდავ ოთახებში?! ამ გადაბარგებისა და გაყიდვ-გამოყიდვის დროს ერთადერთი ავანჩავანი ლადიკო იყო. მისი ბედი, რომ ყველაფერმა მის ხელში გაიარა და ამ გარჯის დროს მცირეოდენი სარგებელი ნახა; თუ ეს არა, არ ვიცი, რა ეშველებოდა მთლად ჯიბე გამობერტყილს. თქვენი მტერი იყოს, როგორც ის დარჩებოდა გარიყული, თევზივით ხახამშრალი.

უფრო და უფრო დაეტყოთ პეტრეანთ, რა საშინელი უბედურება დასტეხოდათ თავს და როგორ მთლად დანგრევოდათ კერა; ჭრილობასავით თანდათან გაულრმავდათ ტკივილები. რაც ეკუთვნოდათ გარდაცვალებულის სამსახურის გამო, იმისი მიცემაც კი გაუძნელეს და შეუგვიანეს. ნაჩვევი იყო ქალბატონი, მათ კარსა მდგარიყო მთხოვნელი; აწ თითონ მოუხდა კარდაკარ სიარული და ხვეწნა. შავებით მოსილს შავ წამოსასხამის კალთის ქვეშ ეჭირა თხოვნები და იდგა სამმართველოებში თუ გამგეთა კარს. განეპის გული მრისხანებითა მით აღტკინებულთა; შემფოთდის იგი და შეძრწუნდის, ვითარცა მთვრალი; დაიბნის ყოველი სიბრძნე მისი და განიფანტის; გარნა დრტვინვა მისი უგულუბელყოფილ იქმნის უფლებით მოსილთა მათთაგან განდიდებულთა. ყურადღებას აღარ აქცევდნენ მის ღელვას. ვიღაც გადამწერალნიც კი დამცინავის ღიმილით ეგებებოდნენ მას და ხვალის იმედითა ჰკვებავდნენ. რაკი ძალი გამოეცალა ხელიდან, ყველა ცდილობდა დაეჩაგრა ის, ჯავრი ეყარა, ეგრძნობინებინა მისთვის არარაობა მისი. და ვიხილე ამპარტავანი ფრიად დამდაბლებული, და ქედმაღალი დახრილ პირადმდე მიწისა, და მდიდარი მთხოვნელ პურისა; გარეშეექციათ მისგან პირი თავისი მცნობათა და მახლობელთა მისთა; რომელნი უღიმოდინა მას მსხდომარნი ტაბლასა მისსა, აწ უარჰყოფდინა მას, ვითარცა უღირსსა.

არა, მართლა ისე კი არ იყვნენ პეტრეანი განადგურებულნი, რომ ცხოვრების საღსარი აღარ ჰქონდათ და მთლად დაგლახაკებულყვნენ, რადგან დიდი მოხელის ოჯახს კარგი საზრდო დაენიშნა ხაზინიდან; კიდევ შესაძლო იყო მათთვის სუფთად ცხოვრება, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მოაკლდა ჩვეულს ფუფუნება, ჩამოერთვა ბრძანებლობა და ეს შეუჩვეველი ყოფა ჭირად დაესახა მას, აუტანელ ვაებად. მაინც, ეჰ, არა უშავდა რა თითონ ქალბატონს, შეეჩვეოდა. მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ შესჩვეოდა?! საწყალ ლადიკოს კი მამის სიკვდილის შემდეგ ნაცარში ჩაუვარდა კოვზი; ამ უბედურობამ მიწასთან გაასწორა ის. იმას აღარავის იმედი არა ჰქონდა, აღარც უნდა ჰქონოდა. ვისგანღა რას გამოელოდდა?! ეხლა სავანეც ეყვედრებოდა ვაჰკაცს, ყუდე რამ თავშესაფარი: იმ პაწაწინა ბინაზედ, რომელშიაც მოთავსებულიყო ეხლა მისი დედა, ადგილი აღარ იყო მისთვის, ველარ ეტეოდა იქ, საზრდოობაც გაჭირდა მისი და ცეცხლის პურს აჭმევდა დედა, როდესაც კი მიუპყრობდა მას კოტორს.

– ჯანსაღი კაცი, ცოლ-შვილის პატრონი და მარად სხვის ხელში შემყურებელი! რატომ მიწა არ გაგისკდება და თან არ ჩაგიტანს. ძალა არ გაკლია და ღონე, ხელი და ფეხი, იშრომე, რომ შენც გამოიკვებო და ჩვენც შეგვეშველო, – დაიწყებდა მისი დედა.

და აღარ გაათავებდა, მანამ თვალწინა ჰყვანდა თავისი ვაჟი. იმას კი აღარა ფიქრობდა გააფთრებული, რომ კაცს ხელიცა ჰქონდა, პირიც, მაგრამ ხასიათი აკლდა და შრომის უნარი, იქნება თვით მისივე მიზეზით. ლადიკო ეხლა გაუჭირებლივ აღარ შადიოდა სახლში ან სცდილობდა მამინ მისულიყო, როცა დედას სადმე გაიგულებდა. ეხლა კი არას გზით აღარ შეიძლებოდა უსაქმოდ ყოფა, რამე სახსარი უნდა ამოეჩინა თავის თავისათვის, წყარო ცხოვრებისა. უნდა ეძებნა და ეპოვნა ადგილი ბრჭყალთ ჩასაკიდებელი, მოეხელნა რაიმე საკბილო, რომ გამოეგლიჯ-გამოეტანა თუნდ ის, რაც

არ ერგებოდა, ხოლო რაიც შეერგებოდა ამ გაჭირებულ ყოფაში, ეცდებოდა უსათუოდ შერგებოდა მას. და დაძრწოდა ვაჟკაცი ირგვლივ, ცბიერობდა, თაღლითობდა, ატყუებდა: თავსაც ბევრგან იმდაბლებდა. რისთვის, ახ?! ის არ ერჩივნა ღონით სრულს, დღიურად ემუშავნა თუნდ ქუჩაში, სხვის ბარგი კი არა ყოფილიყო საზარი? ჰაი, ერჩივნა! თითონაც კარგად ხედავდა ამას, მაგრამ საქმეზედ ვერ მიეგდო თავისი თავი, კვალში ვერ ჩაეყენებინა, ერთ ადგილას ვერ შეეჩერებინა, რომ რამე ხვავი ჰქონოდა მის ნამუშავარს.

ამ გაჭირებაში იყო ლადიკო ჩავარდნილი, როცა მისი გონების თვალი მიიქცა ისევ ცოლეურთაკენ. დაასკვნა, წასულიყო პორფირეანთას. დროც იყო! მის ცოლს ფეფიკოს აგერ ვაჟიშვილი ეჭირა ხელში, მას კი არავითარი ზრუნვა არ მიელო თავის შვილის შესახებ, ჯერ არც კი ენახა იგი. რომ აცნობეს ვაჟიანობა, წერილით უპასუხა, მოვდივარო. მაინც არ წავიდა: კიდევ ებადა ხელის მოსათბობი, ჯერ სახრინავზედ არ მიმდგარიყო საქმე. ეხლა კი მეტი ღონე აღარ იყო და გაემართა სიმამრიანთკენ. არავითარი ჯიგარი და სიყვარული ცოლ-შვილისადმი არ ახელმძღვანელებდა; მას ის იმედი ჰქონდა, რომ სიმამრს გამოართმევდა ცოტა რამ ფარას.

– მითომ რატომამო? მოვალეა პორფირე კიდევ მომცეს: მისი ქალი რომ წამოვიყვანე, ერთი-ორად მეტი ნაღდი მერგებოდა, სანამ მათ მომცეს. მხოლოდ ამის გამო მოვკიდე ხელი სოფელ ქალს, თორემ აქვე ქალაქში ვიშოვიდი მაშინ ჩემთვის საფერს და ხელსაყრელ ცოლს. უთუოდ კიდევ უნდა მომცეს ნაღდი! – დაასკვნა ლადიკომ.

მაინც ერთს ხანს კიდევ შებრკოლდა ქალაქში, რომ წინანდებურად კოხტად გამოწყობილიყო. უამისოდ ვერ ჩავიდოდა სოფელში, ვერც წინანდელი სიამაყე ჩაჰყვებოდა თან, რომ ისევ თავი მოეწონებინა ყველასათვის, თითონ პორფირესათვისაც კი. მოახერხა სუფთად ჩაცმა და საგზაოს შოვნა. წავიდა, მივიდა, განისვენა ორი-სამი დღე. შეეშალა ანგარიშები: არც პატივითა მიიღეს, არც ფული მისცეს. ცოლსაც ძალიან აწყენინა. ჩასვლის უმაღვე გაუმეორა ქალს მის დედამთილისაგან ბოროტად ნათქვამი სიტყვები:

– თუ შენ ქალაქში დარჩენილიყავი მაშინ, მამას ასცდებოდა ავადმყოფობა და ოჯახი არ დაგვენგრეოდაო, – უთხრა ქალს.

როცა განუმეორეს მას, რომ ამ შემთხვევაში თითონ ქალიც მსხვერპლი შეიქმნებოდა უდიერის სიცხისა და პეტრეზედ მიწევნილ უბედურებასაც ხელს ვერ შეუშლიდა, მაინც თავისას გაიძახოდა ჯიუტად, სწორედ ისე, როგორც მისმა დედამ აიჟინა ეს თქმა უბედურობის დროს. ძალიან ეწყინა ფეფიკოს და ზედ აღარ შეხედა, აღარ მიეკარა. მიიხედ-მოიხედა ვაჟკაცმა და რო ნახა, სადავლო აღარ დარჩენილიყო იქ, ადგა და წავიდა. წასვლისას მაინც გამოართვა ცოლს მცირე რამ სახარჯო.

– მე ის მიკვირს, რომ მთლად უჯიგრო კაცი გამოდგა: ვაჟიშვილი ჰყავს პირმშო და ერთი არ მოუალერსა, გულში არ ჩაიკრა.

– ეჰ, გაქსუებული კაცია, გულგადარეცხილი; ცულლუტობისა და ქეიფის მეტი მაგას არც რამე სწამს, არც რამე შეუძლიან.

– სიტყვაბარაქიანი კი ძალიან არის და ბაქია. რეები რა არ აღვითქვა! ამ სამსახურში შევალ, იმ შრომას დავადგები; მალე ცოლ-შვილს წავიყვან; ჩვენებსაც ჩვენთან გადმოვიყვან და ბატონკაცურად ვაცხოვრებ...

– ენას ჭალი არ ედება და სიტყვას შრომა არ უნდა, არც ოფლის მოწურვა. ენით ადამიანი ერთ წუთს ქვეყანას გადააბრუნებს და ისევ გადმოაბრუნებს. არა, მაგას შრომის შნო არა აქვს, ცოლ-შვილის შენახვის უნარი: უსაქმობა უკვე ბუნებაში



გასჯდომია და მხოლოდ სასწაული გაკკურნავს ამ უკურნებელ სენიდან, – დაასკვნა პორფირემ.

და მიეცა ცოლ-ქმარი მწარე საგონებელს თავის ქალის უბედო ბედის შესახებ. ამაოდ! ფეფიკოს ცხოვრების გზა ჩახერგილი მოსჩანდა მათ თვალთ წინ და დახშულ-დაკეტილი.

## 25

ამის შემდეგ ორჯერ-სამჯერდა შემხვდა ლადიკო, ისიც შემთხვევით. შეითან ბაზარზედ მივდიოდი, აბანოებისაკენ, და იქ შევნიშნე ის. გახუნებული ტანისამოსი, გახუნებული ქუდი, წაღა წაჰგრებოდა, თუმცა სუფთად ნაწმედი. გზა ავუქციე: ახლო ვიცნობდი მას, როცა კარგი ქარი უქროდა და შერცხვებოდა თავის დაკნინებულ ყოფისა, თუ შევეჩხებოდი. შემდეგში უფრო კარგ გარემოებაში ვნახე. ტრამვაიზედ ვიჯექი, უეცრად ნაცნობი ხმა მომესმა:

– ქალბატონო, თუ შეიძლებოდეს, თქვენი ბილეთი!

და კვლავ:

– მომეცით ნება, მოგეხმაროთ ჩამოსვლაში!

გავიხედე, – ლადიკო სასიამოვნო ღიმილით ხელს უწვდიდა სუფთად ჩაცმულ მანდილოსანს, რომელსაც ფეხი ჩამოედგა კიბეზედ. დამტარებელთა მეთვალყურეობა მიეცათ. სუფთა ტანისამოსი ეცვა ბჭყვრიალა ღილებიანი. უღვაშები მოხდენილად აეწკიპნა. თავს აწონებდა იმ ვიღაც მგზავრ ქალს. განშორდა მატარებელს, ჩემამდინ აღარ მოაღწია: ვგონებ, შემნიშნა. სულ ბოლოს სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილს მოვკარ თვალი: მეომართა მცირე რაზმს უძღვოდა, სვლას თუ მიმართულებას უხელმძღვანელებდა, თვალებს აბრიალებდა. შემდეგში აღარსად შემხვედრია ლადიკო, აგერ ორი წელიწადია, თვალი აღარ მომიკრავს მისთვის.

ფეფიკო მამის სავსე ოჯახში მალე მთლად გამობრუნდა. შვილიანობის შემდეგ უფრო გადიფურჩქნა, დასრულდა, გაიბადრა; ავი თვალთ არ ინახებოდა. უხდებოდა ნატანჯ ქალს დაფიქრებული იერი: საიდუმლო გამომეტყველებას აძლევდა მის თვალებს დარდის ნასახი.

– ე ჩვენ ფეფიკოს დავინახავ პირისფერ კაბაში და ბაღლით ხელში, ღმერთო, ნუ მიწყენ ღვთისმშობელი მგონია მოწყულთ მოსილი. ლამის ვილოცო ი დალოცვილი, ხოლო პატარა იესოს სიცოცხლით სავსესა ჰხატამენ. ამის ბავშვი კი სუსტია, ფერმკრთალი; ავადმყოფი არისო, – ამბობდა გულში მახარე.

და რომ გადახედავდა იქით ეზოში მიმომსვლელს ქალს, თვალს ვედარ მოსწყვეტდა გრძნობააშლილი. უკვირდა, რაღად იზიდავდა მის არსებას ესე ძლიერად იგი ქალი, მისთვის უკვე უცხო, სხვისგან ხელშეხებული და სხვისა კერძი. ხომ აღარაფერი საერთო აღარ იყო მათ შორის, აღარც შეიძლებოდა ყოფილიყო და მაშ რაღად იყო მისი თვალი მარად იქით მიქცეული, თავს რაღად ევლებოდა ფიქრი მისი მარად ჟამს, მისკენ რაღად ისწრაფიდნენ მისი ძლიერი სურვილები. ახ, უაზროდღა მოსჩანდა მახარეს გონების თვალთ წინ ეს მილტოლვა. გულს მაინც ნეტარებად მიაჩნდა ეს მოქმედება, ბრმა გულს თვალდამდგარს, რომელს ისიც კი ვერ შეაგნო, რომ ფეფიკოსათვის ადრეც არ არსებობდა იგი და ეხლაც ხომ აღარც შეიძლებოდა მისკენ გადახრილიყო ქალის გონება.

არ იცოდა ბეჩავმა მახარემ, რომ ფეფიკოს აზრიც და გულიც მისკენ მიხრილიყვნენ. ქალი შეცდომადა სთვლიდა წარსულს, გაუსწორებელ შეცდომად, გარნა ოცნება უნებლიედ სურათს სურათზედ ჰშლიდა მის წინ და თვალი წარმტაცად

ჰხატავდა იმას, როგორ მოეწყობოდა მისი ცხოვრება, თუ მახარეს გაჰყოლოდა მაშინ; თუ ეს ბალდი, პატარა მისი შალიკო, ყოფილიყო ნაყოფი ერთობისა ამ შეყვარებულ კაცთან, რომელიც ეხლაც მისი ეშხით არის დაბმული და უღონოქმნილი.

– ქმარშვილიანი ქალი და სხვა ვაჟკაცზედ ვფიქრობ! როგორ შეიძლება?! ღმერთმა ის გაიმეტა ჩემთვის და ალბათ მეტის ღირსი არ ვიყავი, – ამბობდა ქალი.

და ცდილობდა ჩაეკლა თავისი ცოდვილი ოცნებები. ამაოდ! ოცნება არ ემორჩილებოდა მის ნებისყოფას.

1916 წ.

## ყოვლად სამღვდელო

### 1

სადამო ხანი იყო, როცა ფრიდონი შევიდა სოფელში. ფეხით იცოდა სკოლიდან შინ ასვლა; მუხლმაგარს არ მიაჩნდა სიმწელედ ორმოციოდე ეჯის გავლა მოკლე გზებით; კიდევ ეხალისებოდა; შარაგზით არ იყო მოსაწყენი: ჯაგნარი, პატარა ტყე, ნაკადი, გადასახედები – ეხლაც ფეხითვე მოვიდოდა, თუ სალთა ყოფილიყო. ბარგი ჰქონდა თან: ლოგინი, წიგნების ყუთი, ტანისამოსის ბუდე, ნივთები თუ ნატეხრები. მარტო ცხოვრობდა აჩემებულ ოთახში და ეხლა რადგან სწავლა დაამთავრა, გამოეთხოვა იმ ბინას, თან წამოიღო წამოსაღები, გადმოალაგა, გაუსწორდა. ვერ გაიგეს, მანამ ეზოს კარი არ შეაღო. ფარდაგი გაეშალნათ ხის ქვეშ, იქ იყვნენ დედა, დაძმანი.

– მომეშველენით, შევიტანოთ ბარგი!

– ფილო მოსულა, დედიჯან!

– ჩვენი ფილო!

ეცნენ გახარებულნი. მიჰყვა მათ დედა, მეზობლის ქალიც ღაღანა.

ერთი კი შეყოყმანდა ქალი, უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ გულმა გაიტაცა და მიეგება. მხიარულად იყო ახალგაზრდა. თავისთავად ეღიმებოდა.

– ჩემი ვაჟკაცი! ეხლა სულ მორჩი სწავლას? განათლებული მყავს და რა მშვენიერი!

– ნუ გგონია, მარტო დედის თვალს ეჩვენებოდეს მშვენივრად. მტრისთვისაც მოსაწონია და სასიამოვნო, – ჩაურთო სიტყვა განაყოფიანთ ბაბედამ.

და მიესალმა:

– მამა სად არის?

– ეკლესიაშია. საცაა, მოვა.

– მამ მორჩი სწავლას?! ეხლა ცოლს შეირთამ და ეკურთხები.

– ადრეა: სულ ოცი წლისაა ბიჭი.

– დააქორწინე და დააბინავე! კარგი საქმისათვის ადრე არასდროს არ არის, – თქვა მეზობელმა.

და გადაჰხედა ღაღანას, რომელიც სიყვარულით შეჰყურებდა გამარჯვებულს.

– იცი, დედიჯან, აკადემიაში მე მგზავნიან სახელმწიფო ხარჯზედ. მარიამობა რომ ჩამოივლის, წავალ.

– ჰო, გენაცვალე? – მიუგო აღტაცებულმა დედამ და გადაეხვია კვლავ.

- კიდევ სწავლა?!
- ახლა რუსეთში?!

## 2

ბეჩავი დიაკვანი იყო სოსიკა; თუ ყოჩალი ცოლი არ შეჰხვედროდა ყაჩაღანი, თავები სოროში შეათრევდნენ. სთქვა: ჩემს ვაჟს განათლება უნდა მივცეო და შეასრულა. არაფერი დააკლო, ყოველი ნირი შეუსრულა, ფეხდაფეხ მისდევდა. ეწია საწადელს. ნიჭიერი ბალღი გამოდგა, მეცადინე და აუსრულა მშობელს ნატვრა. ჯერ ისევ მეორე კლასში იყო, როცა შესძლო წირვა-ლოცვაზე მოხმარება. პატარა დიაკვანს ემახდნენ. მღვდელსაც და ერსაც ის უფრო მოსწონდათ, სანამ დიდ დიაკვნის დუდუნ-ღმუილი.

- ეხლავ შემოდლიან დიაკვნობა მივაცემინო, თუნდაც ვერ შევძლო გავუძღვე ბიჭს შემდეგ კლასებში.

- არა, კაცო, კაბას გავყიდი და ყმაწვილს კი ხელს არ შევეშლი.

- ისე, სიტყვაზე ვამბობ, თორემ განა...

დაათავა ოთხი კლასი.

- ჩემი ბიჭი ეხლა პირდაპირ მთავარდიაკვნად შეიძლება ვაკურთხებიანო, თუნდ ნაბიჯიც ვეღარ წადგას სწავლაში. შეიქმნება სრულწლოვანი, იქორწინებს და...

- ყბას ნუ ადგამ, კაცო! დარუებული მიდის და უთუოდ დაათავებს სწავლას.

- ვიცი, დაასრულებს: ყოველ წელიწადს აჯილდოვებენ წარჩინებული სწავლისთვის და ყოფაქცევისათვის.

ეხლა, როცა კურსდასრულებული დაუბრუნდა შვილი, სოსიკამ ახედ-დახედა სიამოვნებით და წარსთქვა:

- თუნდ რამე შემთხვევამ დაგაბრკოლოს და რუსეთს ვეღარ წახვიდე, საფიქრებელი არა გვაქვს რა: ხელათვე შეგიძლიან მღვდლობა შეიმოსო, საუკეთესო მრევლი ჩაიბარო. ძლიერ ცოტაა ჩვენს მხარეს სწავლადამთავრებული მოძღვარი.

- არაფერი დამაბრკოლებს, მამი! ხარჯი საეკლესიოა და მე ჯერ ვერ შეველევი სწავლას. როგორ შეიძლება უმაღლესი სასწავლებელი არ დავათავო და ისე გამოვიდე ცხოვრებაში?!

გულში ეთანხმებოდნენ ჭაბუკს და თავმოყვარეობით ივსებოდნენ: რუსეთში კურსს დაასრულებს, გზა ხსნილი ექნება დიდ-დიდ ადგილებისაკენ, რჩეული შეიქნებაო. სოფლად კი არა, ქალაქშიც თითით საჩვენებელი იყო დიდი განათლებით აღჭურვილი მსახური ეკლესიისა.

თითონ ახალგაზრდა ეხლა ვეღარ იზიარებდა დედ-მამის ოცნებას: ეკლესია წინანდელი ძალით ვეღარ იზიდავდა იმას. გულუბრყვილო რწმენა შეჰრყეოდა და სამღვდლო ხარისხს უმზერდა, როგორც საშუალებას ცხოვრებისა. თავმოყვარეობა კი უფრო გაზრდოდა, ფრთები განზედ გაეშალნა და ხუცესის ანაფორაში ვეღარ თავსდებოდა.

ყველა ეს ჯერ მომავლის საზრუნველი იყო, აწმყო ღიმილით უყურებდა გამარჯვებულს და აღუთქვამდა გზას ყვავილოვანს. ფრიდონი სარგებლობდა წუთით, ცდილობდა გამოვლილ შრომისა და ზრუნვის შემდეგ შეექაქანა ცხოვრების გზაზედ, მიემართნა გულის ძგერა ლამაზ ყოფისაკენ.

მანც გაბმულ გართობას ვერ შეითვისებდა გონებით შრომას მიჩვეული; შიგადაშიგ მისდევდა იმ სავალს, წიგნზედ რომ გადადიოდა. გარემოებაც ამგვარი შრომის სასარგებლოდაც მოეწყო: ღაღანასთვის ტამაზლუხად გამოეტანებინათ ფრანგულზედ სამუშაოები და საჭირო იყო ვისმე ეშველნა მისთვის ამ ბარგის გადატანაში.

– შვილო, ფრიდონ! აბა ვინ არის ჩემი ღაღანას მშველელი, თუ არა შენ?! მენანები ისეც გატანჯული ყმაწვილი, მაგრამ მანც გევედრები, დაეხმარო სამუშაოს შესრულებაში.

– სიამოვნებით! არც ბევრი დრო და შრომა დამჭირდება, ნიჭიერია, არ გაუჭირდება. ჩემთვისაც კარგია: ფრანგულში უნებლიეთ დავხელოვნდები.

– გასამრჯელო, გენაცვალე?

– რას ბრძანებთ?! სრულებით არაფერი! მურაბა ხანდისხან.

ადვილი პირობა იყო: ღაღანას დედა განთქმულ მემურაბედ ითვლებოდა. არ მოაკლო ტკბილი ქალ-ვაჟს; სარუსეთოდაც მოუმზადა ფრიდონს.

სწრაფად მიდიოდა დრო, თუ მიქროლავდა. ერთი კვირაღა აკლდა წასვლას. მოისურვეს მეზობლებმა ტყისაკენ გასეირნება, ახალი თხილის თავის ხელით დაკრეფა. მანც მოცლილნი იყვნენ. კვირა დღე იყო. წყლის პირს რომ მივიდნენ, სიძნელე დახვდათ: წყალს ემატნა, გაშლილიყო და ქალებს გაუძნელდათ გასვლა. თითონ წყალი არ იყო საშიში, მაგრამ ფეხსაცმელი ავესებოდათ. ბალებმა ფეხთ დაიხადეს და გაცვივდნენ, დედაკაცებმაც მიჰმართეს მათ. ღაღანა შედგა შეფიქრებული. უხერხულად მიაჩნდა მაშიების, ყელიან წინდების დაძრობა, ფეხთ გაშიშვლება. მანამ ქალი მოიფიქრებდა რასმე, ფიდო დასწვდა ქალს, აიყვანა და შეტოპა. მდულარე ძალამ დაურბინა ძარღვებში და მძლავრად მიიკრა მკერდზედ ქალის მუხლები. ღაღანამ მხიარული განცვიფრებით დახედა რაინდს. ქალ-ვაჟის თვალნი შეჭხვდნენ ერთმანეთს.

თხილი დაკრიფეს. მეტად ისიამოვნეს. მხიარულად დაბრუნდნენ უკან. მიუხაროდა ვაჟს წყლის პირას: აყვანილსვე გაიყვანდა ქალს. ვერ აუსრულდა სურვილი: მეზობლის ურემი მოდიოდა და გადმოიყვანა ყველანი. მანც ის შეხება და შეხედვა თბილ გრძნობად აეკრა ყმაწვილს. სითბო არ ნელდებოდა, აღარც გრილდებოდა, რუსეთის ყინვებმაც ვერ გააგრილეს იგი საამო სითბო.

დადგა წასვლის დღე. შეიკრიბნენ მეზობლები. მღვდელმა ოლარი გადიგდო სამშვიდობო პარაკლისისთვის. მაშინ არც ისე ადვილი იყო რუსეთის გზა; ყველა გრძნობდა, რომ ომში ისტუმრებდნენ გამოუცდელ ახალგაზრდას, სამშვიდობო შორეულში, მანც საშიშში: იქნებ ამ შორეულ ბრძოლაში უფრო მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეღუპა ქართველობას, სანამ ხმალთა ტრიალ-პრიალში. მიჰმართა დარიგებით მოძღვარმა; ისიც უთხრა, რუსის გოგოს არ გამოჰბოდა კალთაზედ: არ გვიჯობს, ვერ ვუთავსდებით; აქაც ბევრი გვყავს და იმათზედაც უკეთესები: შინ რომ ყმაწვილს შიოდეს, ტაბლას გარეთ რა ხელი აქვს?! ხუცესი იყო და უტაბლოდ აქაც ვერ გადარჩა.

დაჰკოცნეს შინაურებმა. ცრემლი მოჰრეოდათ. მიჰყვნენ მეზობლები. გული აუჩუყეს ვაჟს. ღაღანას რომ აკოცა, სახეზედ წამოშლილმა ქალის თმამ და კულულებმა მოუალერესეს, კოცნითვე უპასუხეს.

ორი წელიწადი ფეხმოუცვლელად დაჰყო ახალგაზრდამ რუსეთში; სწავლის ჭაპანს ეწეოდა თავგამოდებით. საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. მესამე ზაფხულს ბედმა გაუღიმა; მეცნიერებთან ერთად მოავლინეს საქართველოში. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ჰნახავდა თავის ქვეყანას, რომელიც ასე დაჰნატრებოდა უცხოობაში, მიეალერსებოდა მშობელ-ნათესავებს, სახელსაც გაითქვამდა: დახე, ჩვენი დიაკვნის ბიჭი როგორი მსწავლული გამოსულა, მეცნიერებთან ერთად გამოუგზავნიათო, საძნელო საქმის საწვრილებლადო!..

ხუთიოდე დღე დაჰყო თავის სახლში. ნახვის სურვილს კიდევ სიამე დაემატა: საქმე რომ დაევალებინათ, გასამრჯელოც უხვად მიეცათ და შესძლო წაჰხმარებოდა თავის ღარიბ სახლს.

- ჯერ ისევ სწავლაშია და კიდევ ინახავს, ჯიბის ფულსაც მეტობით აძლევს!
- რა ბატონკაცურად აცვია!
- ბედნიერი კაცია ჩვენი დიაკვანი!
- ჩვენი ღვდელი ისეთი პატივისცემით ექცევა, თითქოს მოძღვართუხუცესი მობრძანებულაო.
- შენ ხუმრობ და თურმე არქიელობა შეუძლიან მიიღოს ორი-სამი წლის შემდეგ.
- გაუმარჯოს! სასახელოა მაგისტანა ახალგაზრდა.

ისიც უხაროდათ მეზობლებს, რომ ფიდომ ყველას ჩამოუარა: მოსიყვარულე გული უჩვენა, ალერსიანი. მაინც პირველად ღაღანაანთ ეწვია. თავი მოსწონდა დაბზინებულ-დამშვენებულს, ის კი არ იცოდა, მისი მეგობარი ქალიც გაზრდილიყო, კოკობ ყვავილად გადიმებულიყო. რომ მოეგება, ადგილობრივ გაშემდა ვაჟი განცვიფრებული: სპეტაკ ხორციტ შევსილიყო, მურაზს დაემშვენებინა, თვალეზი ანთებოდა მცხინვარებით. მიეალერსნენ ერთმანეთს. ბაღურის ადარ იყო შეგებება: ყოველ მათ სიტყვას, უბრალო თქმას სხვა სურნელება ასდიოდა, თუ გემოვნება.

– მე ჩემი თავი მომწონდა სარკეში და აი მოსაწონი სინორჩე სადა ყოფილა! – სთქვა გულში ჭაბუკმა.

იმ ხუთ დღეს ძალიან დაუახლოვდნენ ქალ-ყრმა ერთმანეთს. რომ წავიდა ვაჟი, ღაღანას აჩრდილი გაიყოლა, იმასაც დაუტოვა თვის გულის ნაწვრეთი. და ეს თილისმა იყო, რომ მყინვარეთში ველარ მოხიბლეს ბამბის ქალებმა. ბოლოს მიწერ-მოწერაცა ჰქონდათ ქალ-ვაჟს, იშვიათად უგზავნიდნენ უსტარს ერთურთს. თავდაჭერით სწერდნენ. მაინც ორივესთვის ცხადი იყო, რომ ერთმანეთისათვის ეგულებოდათ თავი.

აღაფრთოვანა ახალგაზრდა ღივმა სიყვარულისა. იმის სახელით, იმ წილ თავმოსაწონად, მისგან მეტის პატივისცემის და სიყვარულის დასამსახურებლად უმატებდა მეცადინეობას ისედაც ბეჯითი. მიაქციეს პროფესორებმა ყურადღება. ძვირფას ძალთა რიცხვში მოაქციეს ახალგაზრდა. ზოგი რამ იმედები დაამყარეს მასზედ: საეკლესიო სფეროს უჭირდა მაშინ ნიჭიერი მოღვაწეები და თანაც ისეთნი, რომელნიც არ იყვნენ თავით ბოლომდის გაღჟენთილნი არც უკიდურეს მისწრაფებებით, არც შეურიგებელი ხასიათით.

მშვენიერი ვაჟკაცი ჩამოვიდა ძვირფასად მომზადებული. არამცთუ არ გაუჭირდებოდა ამას აჰყოლოდა ცხოვრების ტალღებს, თითონ შეეძლო გაეკვალა ახალი გზა არსებობისა. მეზრდოლი იყო. ადვილად შესძლებდა ეტვირთნა სხვის ბედ-იღბალიც და გულსავსედ მიეტანა სამზღვრამდისინ წუთის ყოფისა.

მშვენიერმა ზაფხულმა გაიარა ახალგაზრდისთვის. ღაღანა და ფიდო გაირჩნენ სიკეთით ყველა სხვისაგან და შეუტოლდნენ ერთმანეთს შეფარდებულნი. სიამის ღიმილმა გადააბა ორივე ოჯახი. დაითქვა მცნობთა ყბაში ქალ-ვაჟი ერთმანეთისათვის. არ ნაჯიშობდა ფიდო ამ ხმებს, არ უარობდა, არც ჭორად სთვლიდა. მოხერხებულ წუთს ელოდდა ბოლო სიტყვისათვის.

## 5

მოტანებული იყო წასვლის დრო: საქართველოშივე მიეცათ სამსახური. მოუვიდა განწესების ქაღალდი. სულ ორიოდ დღეც და უნდა წასულიყო, ჩასდგომოდა თავის ახალ სამუშაოს. განმარტოებულიყვნენ ახალგაზრდები. გადიარეს ეზო. შევიდნენ ბაღში. კაკალ ქვეშ რომ მორი ეგდო, იმაზე ჩამოსხდნენ. მუსაიფობდნენ. ამბობდნენ არაფერზედ, მაინც ყველაფერზედ. ემხს აეტანა ჟინჟილია ქალი, ალერსი მოჰსურვებოდა. ყმაწვილკაცისკენ მიხრილ ლოყაზედ ვარდი იმლებ-იკუმშებოდა. გვერდგვერდ გახედვა. ელვის ისარნი. აცეკვავდნენ ქალის თითნი ვაჟკაცის ხელში.

- ღაღან, გენაცვა, ცხოვრების ბჭესთან ვდგევარ, აგერ უნდა შევადო კარი და...
- და ვაჟკაცურად შეებრძოლე ახალ ცხოვრებას.
- ცოდვა ვარ ცალად: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო!
- უფრო სხვა ქვეყანაში იბრძოდი მარტო და დაბრუნდი გამარჯვებული.
- ტყუილად გგონია, მარტო.
- მაშ ვინ გეტანა?!
- შენი აჩრდილი, ჩემო ლამაზო!

მიიზიდა. მოსახვევად მიჰყვა ქალწული. აღიბეჭდა ვარდზედ კოცნით ქალის დასტური. მხიარულად დაბრუნდნენ; ეღიმებოდათ, უმიზეზოდ ეცინებოდათ; იკასკასებდნენ, თუ ლამაზ კდემას არ შეეპყრო მოყვარულები.

- აი, წახვალ სამსახურში, დიდ ქალაქში მოჰყვები, ათას მომხიბლველ გარემოებაში მოექცევი; ეცადე, ცხოვრებაში არ შეგერყეს სვლა ნათელ გზაზედ.

- არა, მამი. მფარველი ანგელოსი შთამაგონებს კეთილ სავალსა, - სთქვა ფრიდონმა.

და გვერდზედ გახედა ღაღანას, რომელსაც ფერი მისდი-მოსდიოდა: ძლივს იჭერდა თავს ღელვისაგან.

- გიძლოდეს მზის ამყოლი, გინათებდეს გზას რებისა!

კიდე რამდენიმე დღე დატრიალდა შინ. არ ეთმოზობდა იქაურობა: გული ჰქონდა ჭაბუკს დახვეული, უკანასკნელ ნაბიჯს აპირებდა. ახლა აკადემიის საბჭოსაგან მოუვიდა სხვა განაჩენი: იქ დაეტოვებინათ იგი პროფესორის თანაშემწედ. იწვევდნენ, დროზე წასულიყო. ქაღალდს კერძო წერილიც მოჰყვა: შენზედ სხვა იმედებსაც ამყარებენ სასულიერო უწყებაში; დარწმუნებული ვარ, შესძლებ გაამართლო იგი იმედებით, - სწერდა ურყევად დაწესებულების მმართველი.

დიდ საგონებელში ჩააგდო ამან ახალგაზრდა და მისი დედ-მამა. მეტად საპატიო წინადადება იყო, მაგრამ საძნელო: უნდა სამუდამოდ გასულიყო სამშობლოდან, ასთვისებოდა უცხო ხალხს და მის ცხოვრებას. უარი შეუძლებელი მოსჩანდა, დათანხმება - ერთობ ძნელი. მაინც აქ ყველაფერი ცხადი იყო და მოსაფიქრებლად შესაძლებელი. მეორე საიდუმლო განზრახვა მთავრობისა უძლეველად იზიდავდა ახალგაზრდას და მისი არგაგება არ შეიძლებოდა. დაასკვნა, დაჰმორჩილებოდა მიმწვევ ხმას და ადგილობრივ გაეკვლია ყველაფერი.

- შენ რას იტყვი, ჩემო სასურველო?
- რა მეთქმის?! იმ სიშორეთ... უცხოეთში...
- არა უშავს რა! არ მომეწონება, წამოვალ: აქაც ადგილი არ დამელევა.
- თუ მოგეწონა?
- მაინც წამოვალ: უშენოდ მე სამოთხეშიც ველარ ვიცხოვრებ!

## 6

მაინც ცრემლოდნენ გასტუმრებისას, გული უტიროდათ, თუმცა არ იცოდნენ, რისთვის. ღაღანაც თვალეზს იწმენდა. წამსვლელსაც გული დაჰხუროდა. უკვე მზად იყო, სევდის ბურუსი ცრემლთა ნამად გადმოსდენოდა. უტევდა თავის თავს:

- რჩეულთა გზაზედ შეუგდიხარ ბედს მოღიმარეს და კიდევ სწუხარ?! დიაკვნის შვილი პროფესორად და ინაზები? გასწი ხარხარით, გამარჯვების ზეიმ-ქეიფით! - ეტყოდა გონი.

არ უსმენდა გული გონების თქმასა, იბურებოდა. გონებისა და გულის შულღში ახალგაზრდა გონებისკენ გადიხრებოდა; მისი კარნახი ცხადი იყო და ადვილად შესაფასებელი.

- მოგიპყრობენ თავის ნებით სანატრელ სანდომს და კიდევ ეჭვობ?!  
არ იშლიდა გული თვისას, ბუნდად ეტყოდა, გამოურკვეველ სურათებს უჩვენებდა, რომელთ შორის მკაფიობდა ღაღანას სახე.

- საწყალი, ვუყვარვარ ნამდვილ! მაშ რაღა მანაღვლებს; ჩამოვალ და წავიყვან. უცხო ქვეყანა... რა უშავს: ყოველგან ქვეყანა უფლისა და სავსება მისი! შეერკვევა. იქიდანაც გამოვადგები ჩემს ქვეყანას, თუ კაცი ვარ.

აღარ ეცალა მეტის ფიქრებისათვის: გულმხურვალედ დაემშვიდობა რჩეულ ქალს და დაადგა მყინვარეთის გზას.

ახალი სანახავები, ახალი ნაცნობები, უცნობი შთაბეჭდილებები, უძველესი სიამენი და ნელ-ნელა გამჭვირვალდა სევდის საგუბარი, უჩინარ იქმნა.

არც ეცალა საფიქრებლად თუ სანაღვლელად. ჩასვლის უმაღლვე დაავალეს შესდგომოდა თავის საქმეს და ის ხომ ისეთი ძნელი იყო, რომ მთელი დრო იმისათვის უნდა მოეხმარებინა, თუ უნდოდა შერჩენოდა ადგილს, დაემსახურებინა სტუდენტთა ყურადღება და მოწონება. ძნელი საქმე იყო ეს. იქნება კიდევ შემკრთალიყო ახალგაზრდა მუშაკი, თუ მაშინვე შეძლება არ მისცემოდა, დიდებულად მოწყობილიყო, რომ მთელი თავისი დრო და ძალები შეეხმარებინა თავის მეტად საპასუხისმგებლო სამრომისათვის. შეჰმართა მეცნიერების ზღვას, თანდათან ღრმად შევიდა, მთლადაც ჩაყურყუმელავდა შიგ.

## 7

იქნება პირველი და უმთავრესი ის მეორე დავალება იყო, რომელზედაც ყრუდ უბნობდნენ. მძლედ მიდიოდა სწავლაში ფრიდონ, სანაქებოდ გაათავა უმაღლესი სასწავლებელი. მაინც ჰყვანდნენ იქ თანამებრძოლნი, რომელნი იმედიანად უსწორებდნენ მას უღელს და ალბათ იმათ, თავიანთებს, ერგებოდათ სახარბიელო ადგილი, თუ იმ მეორე მიზეზს არ გადაეხნიქა სასწორი ფრიდონისაკენ.

ისტორიული ხანა დამდგარიყო სახელმწიფოს ცხოვრებაში მაშინ: ხალხი გაძლიერდა, დაბზარა თვითმპყრობელობის საფუძვლები, მძლავრად მოითხოვა

თავის უფლებები. მეტი გზა აღარ ჰქონდათ, მცირე რამ მაინც უნდა დაეთმოთ, რომ დაემოშმინებინათ.

იჩინეს თავი დამონებულ ხალხთა მისწრაფებებმა. საქართველოშიც გაისმა ხმა: ჩვენვე ვიყვნეთ ჩვენის თავის პატრონი! ეს ხმა აიმაღლა ქართველთა ეკლესიამაც. ყველაზედ ძალიან ეს ემწვავა მთავრობას: სამღვდელთა უმთავრეს ბურჯად მიაჩნდა თავის სიმყარისა და განძინდა ფრიად. რას იზამდა გაღვიძებულ დევთა ლაშქართან?! განიზრახეს დაეთმოთ ქრთილის ოდენა: საქართველოს ეკლესიის უმთავრესი მმართველი რუსი იყო და ისეთი დიდუფლებიანი, რომ შეეძლო გაეწურნა ქართველთა რწმენა თუ სინიდისი, კიდევ სწურავდა. ეხლა შესაძლოდა სცნეს ეკლესიის საქედმპყრობლად ქართველი დაეყენებინათ. ამ მოსალოდნელ მოხელედ განიზრახეს მოემზადებინათ ახალგაზრდა ფრიდონ: ეგონათ, ეს კაცი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მათთვის სხვა ამ ხელობისთვის გამზადებულეზზედ.

ნელ-ნელა განუცხადეს ეს ახალგაზრდა პროფესორს, თანისთანობით შეაჩვიეს იგი ამ ჰაზრს. ბოლოს დაიბარა აკადემიის გამგემ და განუცხადა საიმპერიო ეკლესიის მთავარ გამგებლის ნება:

– უნდა აღიკვეცო ბერად. სული წმინდა გიწოდებს შენ მმართველად ივერიის ეკლესიისა, ეგზარხად სრულიად საქართველოსი. შენი სამშობლოს კეთილდღეობაც გავალებს ამას. მიიღებ მღვდელთმთავრობის ხარისხს იმ მოკლე დროში, რომელსაც უწესს ეკლესია.

...წარიყვანეს ჭაბუკი იგი წმიდასა მას ქალაქსა, დაადგინეს სართულსა მას ზედან ტაძრისასა, უჩვენეს მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი თუ დიდები მათი და რქვეს:

– ესე ყოველი გამზადებულ არს შენთვის, და მოგეცეს შენ, უკეთუ ინებო... ხოლო თუ არა... მრისხანეა მეუფე ისრაილისა: ბასრია მახვილი მისი!...

წადი შენ ეხლა და იყოყმან-იჭოჭმანე.

## 8

მაინც ფიქრობდა ამ საგანზედ. მის გონება ხან თანხმდებოდა, ხანც უარობდა. საბუთად ის მოჰყვანდა უარყოფელ ფიქრს, რომ ამ თანამდებობის მიღებით ეხმობოდა ჩვეულებრივი ცხოვრების კარი; არამც თუ ეკრძალებოდა ოჯახს მოჰკიდებოდა, უბრალო მოქალაქებრივ ცხოვრების ბილიკებიც ბევრგან ეხერგებოდა. არ იყო ეს საბუთი ერთობ მძლავრი: წვრილმანში რომ შეიზღუდებოდა, დიდ ასპარეზზედ ფართოდ იყო მისი სვლა. ყველაფერი ხელთ ექმნებოდა ხორციელის თუ სულიერის მისწრაფებათა ასათავებლად. დადებითი პასუხი სძლევდა უარყოფითს.

სინჯავდა თავის მსოფლმხედველობას, რწმენას ძირითადს. გარკვეული პასუხი არ სჩანდა აქ: ბევრი იცოდა, რაც ესწავლებინათ, სულ ანუსხულ-ათვისებული ჰქონდა. როცა უნდოდა, გადახსნიდა და გადმოაწყობდა; მაგრამ მრავალგვარ ცოდნათაგან რომელი იყო მის სულთან, მის არსებასთან უხსნელად შეკავშირებული, ეს ვერ გაერკვია. იქნება არც ერთი?! ამ მხარისაკენ არ იყო აღზრდა მიმართული, ამაზედ მის გარშემო არა ზრუნავდნენ. თითონაც ეს მხარე უყურადღებოდა ჰქონიყო დატოვებული და ეხლა აბა რა პასუხს მიიღებდა?!  
სარწმუნოებაც, მისგან ნაკარნახები ყოველივე სახეც მხოლოდ ხელობა იყო მისთვის. არსობითი პურის მოსაპოვებლად და ვარგი ხელობა: პატივსა და დიდებას მიუზმობდა და მხოლოდ სთხოვდა გაჰყოლიყო მას. შრომაც აღარ უნდოდა ამ ფართო გზაზედ სიარულს: ყოველივე აქ საჭირო საცოდნარი უკვე ზედმიწევნითა ჰქონდა შესწავლილი.



– მაშ, სულო ჩემო, მოგენიჭების მრავალი კეთილი და განისვენე, ჰსჭამე, ჰსვი და იხარებდ! მიაქციე სულთა ძალები იქით, საით გითქმის გონება, გული!

– მაინც საით, რა მისწრაფებისაკენ? – ჰკითხავდა იგი ნებისყოფას ამაოდ! საწადელი საგანი მთელ ცხოვრებაში სანატრელი არა ჰქონიყო, ამაზედ არც ეზრუნათ მასწავლებელთ, არც ეზრუნა თითონ. მისი ყოველი მისწრაფება ჟამიერი იყო აქომამდე და მისაღწევი, აღწევდა კიდევ. მაგრამ რომელი იყო ის უმთავრესი, რომელსაც თავს ევლებოდა ყოველივე მისი სურვილი, ეს ვერ იცოდა. მაშ რით უნდა ყოფილიყო ესა თუ ის მდგომარეობა უმჯობესი, თუ არ იმით, რამდენად შეუმკობდა იგი სიცოცხლეს, დაუტკბობდა ცხოვრებას და დაუკმაყოფილებდა თვითმოყვარეობას. რადღა იქნებოდა მისგან უარსაყოფელ ეს ახალი შარა, ესე ხალვათი და საპატიო? არაფრით, სრულებით არაფრით.

მიჰმართავდა იგი გულს. ვერ ჰპოვებდა ვერც აქ ვერაფერ ძლიერს და მტკიცეს, რომ ეხლა ეკარნახნა მისთვის საბოლოო წარსადინელი. არაფერი მიეზარებინაო გულისთვის ამისთანა, არც ჩაეთეს-ჩაენერგათ. წვრილი გრძნობები... თავსაყრელად ეყოფოდა ახალი სიკეთე მათ დასაკმაყოფილებლად.

მხოლოდ ის სახე, ღაღანას სახე... უწინდელი კანონი სჯობდა: შესაძლო იყო ეპისკოპოსი ცოლშვილიანი. რა ბედნიერად შევინახავდი! არა!

– და რომელმან დაუტევა მამა, ანუ დედა, ანუ ცოლი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს – ...დედ-მამის დატოვება სრულებით საჭირო არ არის, მათი ას წილად პატივისცემას შევსძლებ შეუმჩნევლად, ცოლი კი... ჩემი ღაღანა... კიდევ კარგია, ნიშნობა არ გადავიხადე და... რა კარგია ის დალოცვილი! ეხლაცა ვგრძნობ მკლავზედ მის სითბოს. ას წილად... მიიღოსო. – მაინც ღაღანას ხომ ვერ ვეზიარები... ეჰ, ეტყობა, სრულ კმაყოფილებას ვერ ჰპოვებს კაცი ამქვეყნად.

## 9

სრული თუ არა, მოყელყელავებული სიამე ხომ თავისთავად მოისწრაფოდა მისკენ. იდგა ახალგაზრდა, არ გაურბოდა ჭრელ ბედისწერას. მოვიდა მეწყერი და დაიტანა. შეყრილიყვნენ ეკლესიის მსახურნი, წარჩინებულნი. ხალხით გაჭედული ეკლესია მოსკოვში: – ქართველ ახალგაზრდას აკურთხებენო ბერად, მეცნიერს, უკვე პროფესორს.

– დიდი ადგილისთვის ამზადებენ.

მოაწია ჟამმა. დადგეს შავად მოსილი საწიგნე, დაასვენეს ზედ ჯვარი და სახარება. ძაძით მოსილი ახალნორჩი საწიგნის გვერდზედ. წარსდგა მაკურთხეველი.

– ქრისტე უხილავად აქა მდგომარე არს! მამცნე, რამეთუ ნებითა შენითა გნებავს მიღებად ანგელოსებრივისა ამა სქემისა?

– ნებითა ჩემითა, მამაო პატიოსანო.

– არცა ვინ იძულებულ გყოფს, არცა რა მიგიზიდავს?

– არცა ვინ, მხოლოდ მე ჩემით.

მაკრატელმა ჩხრიალი მოიღო იატაკზედ. ჟრჟოლად დაურბინა ხმამ მთელ ეკლესიას.

– მომეც მე მაკრატელი იგი!

მიაწოდა. ისევ გადააგდო და მიაწოდებინა. კვლავ.

– იხილე, შვილო ჩემო, ვის შეერთდები, ვისსა მიხვალ! ეკრძალე!

კრძალვით იდგა მდაბლად დახრილი.

– ძმაი ესე ჩვენი ფილარეტ მოიკვეცს თმასა თავისა თვისასა სახელითა მამ...

მდუმარედ გარდაქმნილ ეკლესიაში გაისმა დუქარდის კრაჭუნი. ხელსახოცები ქალთა თვალებთან. მათ ქვითინის ხმები. რა ატირებდათ; თუ ერთ-ერთ მათგანისთვის სამუდამოდ დაიკარგა მოსხეპილი ჭაბუკი, ასეულისთვის კვლავ მოიპოვა.

მსწრაფლი წარმატება ხარისხებისა. შეატყო, მალე საჭირო აღარ იქმნებოდა მისთვის პროფესიონალი. უკლო შრომას. რაღად უნდოდა მუშაობა, თვალთ ჩაწყალება? შრომა სასჯელად განუწყესა შემოქმედმა შემცოდე კაცსა; ფილარეტს აწ ანგელოზებრივი სახე შეემოსა უცოდველი და გაენთავისუფლებინა თავი წყევლისაგან, მის შედეგისაგან.

## 10

– ქალო ეფემია! იმ ჩვენმა პროფესორმა რატომ ესე დაგვიგვიანა წიგნი: ორ თვეს არ გადააცილებდა და ეხლა...

– აღარც წერილი გამოგვიგზავნა და აღარც ფული...

– ხომ არა შეემთხვა რა იმ კაცს? ღმერთო, დაგვიხსენ!

– იქნება ღაღანასა აქვს რაიმე ცნობა, აბა ჰკითხე.

– შენგან არ მიკვირს! ღაღანა მაშინვე მოგვირბენინებდა ამბავს, თუ წიგნი მოსვლოდა. მაინც გადადი, ნახე.

არც ღაღანას ჰქონდა ამბავი. წიგნმა... შემდეგაც დაიგვიანა. არ უნდოდა ეცნობებინა, რომ მან დაასკვნა ბერად შედგომა. იგი მწირია, ბერმონაზონად ნაკურთხი, არქიმანდრიტის ხარისხზედ აღყვანებული. მოსწერა წიგნი მაშინ, როცა უკვე აკურთხეს ეპისკოპოზად. ფულიც ხელგამლით გამოუგზავნა. წიგნი ფართე ქაღალდზედ დაწერილი, მისი ვინაობა დაბეჭდილი ზედ. ხელი აუკანკალდა სოსიკას, როცა ხსნიდა ეპისტოლეს: ესეთი ქაღალდი სიზმარშიაც არ ენახა თავის სახელზედ. წაიკითხა. კიდევ გადიკითხა. თან ილიმებოდა, თან ცრემლი სდიოდა.

– აღარ იტყვი, კაცო რა ამბავია ჩვენს თავს?!

ენა ებმოდა. მაინც გაირკვია სიტყვა.

– ჩვენი ფილო... ეპისკოპოზად უკურთხებიან!

– უი დედასა! ბერად შემდგარა?!

– ეპისკოპოზია, ქალო, ფილარეტ მღვდელთმთავარი, – წარმოსთქვა სოსიკამ.

და როგორღაც რეტად ააყოლა თვალი. გადიკითხეს. მალე არქიეპისკოპოზობას მომცემენო, ექსარხოსობა არ ამცდებაო.

სოსიკა თავის მღვდელს ათასში ერთხელ გაუსწორებდა თვალს, როდესაც ის მეტისმეტად გაამწარებდა მას. მოძღვართ უხუცესთ ხსენებაზედ მზად იყო წამომხტარიყო და შენდობის მისაღებად მომზადებულიყო. ეპისკოპოზი... არქიელი, სრულიად საქართველოს ექსარხოსი ფილარეტი?! არა, არა!

ერთხელ ღმერთი გამოეცხადა ისრაილს აცეცხლებულ დიდებაში და ეტყოდა. შეეშინდა ერსა მას. დადგეს შორს და ჰრქვეს მოსეს: შენ გვეტყოდე სიტყვასა ღვთისასა, თვით ღმერთი ნუ გვეტყვის ჩვენ, ნუ უკვე მოვსწყდეთ, არ!

რა ვუყოთ, რომ შვილი იყო, მაინც ხომ არქიეპისკოპოზი იყო, საექსარხო, იქნებ ექსარხი... არა! გადაჭარბებაა. ერჩინა ფრიდონივე ყოფილიყო ესე, შუათანა... ვინღა ჰკითხავდა დედ-მამას?! შედეგი მათთვის დიდად ხვავიანი იყო. სულ ახლები დაიკერეს, თითონ სოსიკამ კარგი ცხენი იყიდა ნაბიჯიანი.

წერილი წაუკითხეს ღაღანას. იმას ფერი ეცვალა, დაიბნა, თვალები მოენამა. სადედამთილომ გულში ჩაიკრა და ანუგეშა. ქალს უნებლიეთ გაეღიმა ცრემლების ქვეშ.

– რამ გაგაღიმა, გენაცვალე?

– ცხადად წარმომიდგა ფილო ბერის კუნკულაში და...

გასაღიმი არა იყო რა ქალისთვის: ცხოვრების ზღურბლზედვე გული ატკინა წუთისოფელმა. არ თუ რამ სამგლოვიარე ჰქონდა ახალ ნორჩს; ეს სიყვარული საბედისწერო არ იყო მისთვის და ერთს აცდენილი სხვას ელოდდა მისი ქალობა. ჯერ დრო ბევრი ჰქონდა.

## 11

